შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ოც ტომად

თბილისი
2007

ილია ჭავჭავაძე

თხზულებანი

ტომი XIII

პუბლიცისტიკა წერილები

1894-1897

"ილიას ფონდი"
2007

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა
აკადემიური გამოცემის
სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი
ირმა რატიანი

გიორგი აბაშიძე
ანდრო ბედუკაძე
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ეთერ შარაშენიძემ და ჯულიეტა გაბოძემ

ტომის რედაქტორი ნოდარ ტაბიძე

„ილიას ფონდი“ (თავმჯდომარე ანდრო ბედუკაძე)
2007

პუბლიკისტური წერილები

1894 წელი



<ქუთაისის ბანკის შესახებ>

ტფილისი, 16 იანვარი, 1894 წელი

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამ 20-ს იანვრისათვის დაუნიშნავს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, „რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების შეცვლისა, რათა ეხლანდელ საზოგადო კრებათა მაგიერ შემოღებულ იქნას არჩევნები მათი, რომელნიც უნდა დაესწრნენ ხოლმე ბანკის კრებას მის სხვადასხვა საქმეთა განსახილველად.“

დღე-აქამომდე ყოფილი წესი, რომლის ძალითაც შესდგებოდა ხოლმე ბანკის საზოგადო კრება, ნება და უფლებას აძლევდა ყველა წესიერ ცენზის პატრონს ბანკის წევრს, თითონ დასწრებოდა კრებას და მიეღო მონაწილეობა როგორც ბანკის საქმეთა განხილვაში, ისეც გადაწყვეტაში. ამ სახით აწ არსებულის წესით თვითეულს ამისთანა წევრს სარჩევი და გადამწყვეტელი ხმა ჰქონდა კრებაში.

ეხლა, როგორც ეტყობა, განუზრახავთ, ეს ფართო უფლება ცოტად თუ ბევრად შემოზღუდონ და ვიწრო ფარგალში მოაქციონ. ჩვენ შევიტყეთ, რომ ეს შემოკლება უფლებისა საჭიროდ დაუნახავს თვით ფინანსთა სამინისტროს და წინადადება მიუცია ბანკისათვის, რომ საზოგადო კრება ბანკისა ამას იქით შედგენილ იქნას არა ცენზის პატრონ წევრთაგან, არამედ მათ წარმომადგენელთაგან, რომელნიც ამორჩეულ უნდა იქმნენ წევრთა კრებისაგანაო.

რა თქმა უნდა, რომ ეს ამისთანა განკარგულება სამინისტროსი გამოწვეულ იქმნება იმ არევ-დარევისა და

ურიგობისაგან, რამაც ამ ბოლო ხანებში, სამწუხაროდ ჩვენდა, ასე იჩინა თავი ბანკის კრებებზედ ქუთაისში. ერთმანეთის წეწვა-გლეჯა ამ კრებებში, გამწვავება შენ-ჩემობისა, საომრად გამოსვლა კერძო ინტერესებისა და ამის გამო დას-დასად დარღვევა და განაწილება საზოგადოებისა, ერთმანეთის გადაკიდება, მტრობა, გაუტანლობა და ათასი სხვა ვაი-ვაგლახი, ბოლოს იქამდე მისვლა, რომ საჭიროდ დანახულ იქმნა კრების ღირსების დასაცველად პოლიციის და ადმინისტრაციის მოწვევა, — ყოველივე ეს ისე არ ჩაივლიდა, რომ მთავრობას ყურადღება არ მიექცია და რაიმე ღონე არ ეღონა.

ამ არევ-დარეულობას რომ სარჩულად მაინც ბანკის საქმეთა სიყვარული და სიკეთე სდებოდა, კიდევ ადამიანი ასე თუ ისე შეიწყნარებდა. უბედურება ის იყო, რომ შენჩემობა თავის უკადრისს ფრთასა ჰშლიდა გარყვნად და წაწყმედად საქმისა, დასამხობლად ზნეობისა, წასახდენად ხასიათისა. აშკარად სჩანდა, რომ საზოგადო საქმე, როგორც ბანკია, სულ დავიწყებულ იქმნა. იგი მტლად დაედო და ფიანდაზად გაეშალა ცალკე კაცის წყურვილსა და სურვილსა.

ამის დასამტკიცებლად შორს ძებნა საბუთისა არ მოგვინდება. აბა გაიხსენეთ საზოგადო კრებანი ქუთაისის ბანკისა, თუ თვალწინ არ აგეტუზოთ ამისთანა, მართლა რომ დაუჯერებელი და უცნაური ამბავი. ყოველი კრება ბანკისა, როგორც მოგეხსენებათ, დაიწყება ხოლმე ყოველთ უწინარეს ბანკის საქმეთა განხილვითა: ჯერ ყველაზე წინად იმისთანა საგანსა სინჯავს ხოლმე კრება, რომელიც ასე თუ ისე არსებითს საჭიროებას ბანკისას შეადგენს და რომლის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ბანკის ბედს შეეხება. ვიდრე ეს არსებითნი საჭიროებანი ბანკისა ისინჯება კრებაში, კრებაზე ასი, ასოცი, თუ მეტ-ნაკლები წევრი ძლივს მოდის და რაკი არჩევანზე მივა საქმე, მაშინ ნურც ხუთას-ექვსასი კაცი გშურთ. რას მოასწავებს ეს, თუ არ იმას, რომ ბანკის გულშემატკივარი მეტად ცოტაა, რომ თითონ ბანკს იმოდენად ყურს არ უგდებენ და თავის მხნეობას მარტო მაშინ იჩენენ, როცა „მე თუ შენ“ დადგება ხოლმე მოედანზე მთელის თავის უგემურობითა.

განა ეს ამბავი იმის მომასწავებელი არ არის, რომ ამ შემთხვევაში ხალხი მორეკილია, ასე თუ ისე განგებ მოგროვილი და მობირებულია კერძო კაცის ოსტატობით, გაძვრენ-გამოძვრენით, და არა თითონ მოსულია საზოგადო საქმის სიყვარულით და გულისტკივილითა. რა თქმა უნდა, ამისთანა კრება ვერას დროს ვერ დადგება იმ სიმაღლეზედ, საცა მარტო საზოგადო საქმის სიყვარული და გულისტკივილი საქმობს და ჰმართავს თვით საქმის სვე-ბედას.

აქ, ჩვენის ფიქრით, დანაშაული ის წესი კი არ არის, რომელიც თვითეულს ცალკე წევრს ბანკისას ხმას აძლევს კრებაში, არამედ ის გაიძვერობა, ის ეშმაკური ოსტატობა, ის უკადრისი ღონისძიებაა, რომელსაც არა ჰთაკილობენ ჩვენში ისინი, ვისიც მრწამსი ის არის, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ გაიძვერობას, ამ ეშმაკობას უნდა ეწამლოს რამე, უნდა კრიჭა შეეკრას, უნდა კარი ამოეგულოს, რომ კარში ფეხი არ გამოდგას. ამას, ჩვენის ფიქრით, მთელის საზოგადოების თვალი და ხელი უფრო შესძლებს, ვიდრე სხვა რამე.

ჩვენ არ ვიცით რამდენად გასწმენდს და გააფაქიზებს ჩვენს მოღვაწეობას საზოგადო სარბიელზე იმისთანა კრება, რომელიც შედგენილ იქნება საზოგადოების რჩეულთაგან. უწესოებას და ურიგობას, არა გვგონია, ამ რჩეულთა კრებისაგან ბევრი რამ ეწამლოს. ტფილისის საკრედიტო საზოგადოება ცხადი მაგალითია იმისი, რომ ეს რჩეულთა კრებაც ვერაფერი ციხე-სიმაგრეა, ვერაფერი ფარ-ხმალია უწესოებისა და ურიგობის მოსაგერებლად. ბევრს კი ჩვენში იმედი აქვთ, რომ ეს რჩეულთა კრება ერთადერთი ღონეა, რომ ჩვენს საზოგადო საქმეს ეშველოს რამე და წესიერი სვლა იქონიოს. ძნელია ხელაღებით თქმა, რომ რჩეულთა კრების შემოღების სურვილს თავისი პატივსადები საბუთი არა ჰქონდეს, რაკი შესაძლო გახდა ჩვენში განგებ მორეკა წევრთა კრებაში და არა მათის საკუთარის სურვილით მოსვლა, საქმის სიყვარულით გამოწვეული. დრო და მაგალითი ქუთაისის ბანკისა დაგვანახვებს, რჩეულთა კრება რამოდენად დაედება წამლად ამ ჩვენს ახლად შემოსეულს ჭირსა. დღეს კი

ქუთაისის ბანკის შესახებ მეტია იმაზე ლაპარაკი, — აწ არსებული წესი სჯობია, თუ ახლად განზრახული. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის განცხადებიდამა სჩანს, რომ ახლად განზრახულის წესის დადგენა გადაწყვეტილი საქმეა და მხოლოდ საჭიროა იმის პროექტის შედგენა, თუ როგორ და რა გზით მოხდეს ეს რჩეულთა არჩევანი.

ყველაზე უწინარეს გამოსაძიებელი აქ ის არის, რომ ამ პროექტის შესადგენად ბანკის საზოგადო კრებაა მოწვეული თუ თავად-აზნაურთა? სჩანს, თავად-აზნაურთა კრებაა, თორემ თუ ბანკისა ყოფილიყო, ბანკის მოსახლეობას უნდა მოეწვია კრება და არა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს. თუ ესეა, მაშინ თავად-აზნაურთა კრება როგორ შესცვლის წესდებას ბანკისას, ესე იგი იმისთანა დაწესებულებისას, რომელიც სულ სხვა კრებას ექვემდებარება? არ ვიცით, ამ მხარეს საქმისას როგორ აუქცევს გზას მოწვეული კრება თავად-აზნაურთა, ხოლო უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაკი მიწვეულია, სჩანს საბუთი რამ იქმნება.

ესეა თუ ისე, აწ მიწვეულმა თავად-აზნაურობამ უნდა შეადგინოს პროექტი რჩეულთა კრების დასაწესებლად, სამაგიეროდ აწ არსებულ წევრთა კრებისა. რაკი გადაწყვეტილია, რომ არჩეულთა კრება უნდა უსათუოდ იქმნეს, ეხლა მარტო ისღა დაგვრჩენია, ჩვენ ჩვენი აზრი ვსთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით მოხდეს რჩეულთა არჩევანი. ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ გამოვუდგებით ყოველს წვლილს ამ საქმისას, ჩვენ მხოლოდ, ჩვენის შეძლებისამებრ, აღვნიშნავთ უმთავრესს საგნებს.

ჯერ ყველაზე უწინარეს უნდა გამოირკვას, რამდენი რჩეულია საჭირო, რომ წარმომადგენლობა საკმაოდ ვრცელი იყოს. ჩვენ გვგონია, საკმაო იქნება ორასი რჩეული. ეს ორასი კაცი უნდა განაწილდეს თანასწორად თვითეულ მაზრისათვის, ასე არც მეტი სხვა და არც ნაკლები. თუმცა შესაძლოა, რომ თვითეულმა მაზრამ ცალკე ამოირჩიოს თავისი წარმომადგენელნი, მაგრამ უკეთესი იქმნება, რომ არჩევანი (რჩეულთა) მოახდინოს ხოლმე საზოგადო წევრთა კრებამ ქუთაისში იმ კანდიდატთაგან, რომელსაც თვითეული

ცალკე მაზრა წარმოადგენს. რჩეულნი უნდა არჩეულ იქმნენ სამის წლის ვადით და, მაშასადამე, ამ არჩევნებისათვის სამს წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს ქუთაისის საერთო წევრთა კრება. ყოველს ცალკე წევრს ბანკისას ნება უნდა ჰქონდეს დაესწრას რჩეულთა კრებას, მიიღოს მონაწილეობა საქმეთა განსჯისა და განხილვის დროს, თავისი აზრი სთქვას, ერთის სიტყვით, ეგრედ წოდებული „სარჩიელის ხმა“* იქონიოს.

ეს ჩვენი აზრი იქნება ვერ მოუხდეს ადგილობრივს გარემოებას და, რა თქმა უნდა, ადგილის კაცნი უკედ მოაწყობენ და უკედ შეუფერებენ ამ ახალს წესს საქმისა ვითარებას და იმ მიზეზს, რომელმაც ამ ახალის წესის შემოღება საჭიროდ გახადა. ჩვენი სურვილი მარტო ეს არის, რომ ახალმა წესმა მეტად არ შეჰხუთოს სისრულე საერთო გუბერნიის წარმომადგენლობისა ბანკის საქმეში და ამ გზით ცოტაოდნად მაინც შეურჩინოს ბანკის კრებას ის საზოგადო მნიშვნელობა საერთო კრებულისა, რომელიც დღესაქამომდე ჰქონდა და რომელიც სასურველია კვლავაცა ჰქონდეს.

[1894 წ.]

* (Совещательный голос)

<„კახეთის მევენახეთა საზოგადოების“ დაარსება>

ტფილისი, 28 იანვარს

მოგეხსენებათ, კახეთის მემამულეთა შორის დიდი ხანია მუშაობს ის აზრი, რომ საჭიროა დაარსდეს კახეთის მკვიდრთაგანვე ისეთი საზოგადოება, რომელმაც უნდა იტვირთოს და იზრუნოს, რათა კახეთის დიდსა და უხვს სიმდიდრეს — კახურს ღვინოს მოუაროს, მუშტარი ბლომად აუჩინოს და ბაზარი გაუხსნას, გაუფართოვოს. მოგეხსენებათ ისიც, რომ დღეს უკვე შემდგარია წესდება ასეთის საზოგადოებისა ამ სახელწოდებით: „Общество Кахетинских Садовладельцев для сбыта своих вин.“

წესდების შემდგენელთ ამასთანავე ცალკე წერილითაც განუმარტავთ, რა მიზეზმა და გარემოებამაც გამოიწვია ასეთის საზოგადოების დაარსების სურვილი. წესდებაცა და ეს განმარტების წერილიც დღე-დღეზედ უნდა იქმნას წარდგენილი, სადაც ჯერ არს, დასამტკიცებლად.

მართლაც, ქვეყანამ იცის კახურ ღვინოების ღირსება. ეს ღვინოები ისეთის თვისებისაა, რომ ადვილად შეუძლიან მოცილობა გაუწიონ რუსეთში უცხო ქვეყნების ღვინოებს, რომელზედაც მეტის სიძვირის გამო უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება, თუ მართლა ნამდვილი ღვინოებია და არა შეთითხნილი სხვადასხვა მასალისაგან ყურძნის წვენის გარდა. ხოლო თუ კახური ღვინოები ნაკლებად მოიპოვება რუსეთის ბაზარში, ამის მიზეზი ის კი არ არის, ვითომ ან ღვინოსა ჰქონდეს წუნი, ან ნაკლებად მოჰყავდეთ, ან კიდევ

სხვა ქვეყნის ღვინოებზედ ძვირი იყოს, არამედ ის, რომ დღეს-აქამომდე კახურის ღვინის მომყვანთა და დამყენებელთ ძალაუნებურად მარტო ჩვენებური მუშტარი ჰყვანდათ სახეში, მარტო ჩვენის ქვეყნის ბაზარს შესცქეროდნენ. წინად კიდევ შეიძლებოდა ასე წარმოება საქმისა. მაშინ ღვინო ამიერკავკასიის სხვა ადგილებისა ვერ მოდიოდა ტფილისში, რომელიც არის აქაური უმთავრესი ბაზარი. ვერ მოდიოდა, იმიტომ რომ ის ადგილები შორს იყო ქალაქზე და გზებიც არ ვარგოდა. იმ ადგილებიდამ ღვინის მოტანას დიდი ხარჯი აწვა, რადგანაც გზაც შორს იყო და დიდხანსაც უნდებოდნენ ზიდვას. ამ დიდხანს დარჩენას გზაში სხვა ზარალიც მოსდევდა, რადგანაც იმ ადგილების ღვინოები, როგორც უფრო სუსტნი, ადვილად ფუჭდებოდა და ვერ იტანდა ხანგრძლივს და დიდს გზას. ცხადია, რომ ამისთანა გარემოებაში კახური ღვინო ბატონობდა ტფილისში და წინ იდგა ყველა სხვაგვარ ღვინოზე ჯერ ღირსებითა და მერე მით, რომ ახლო იყო ბაზარზე იმოდენად, რომ იტანდა გზის ხარჯსა. საღდებოდა კიდეც ქალაქში კახური ღვინო, ჯერ იმიტომ რომ ბაზარი ერთხელ შეჩვეულ და დაჩემებულ კახურის გემოს ეტანებოდა, და მერე აქაური ბაზარი არა საჭიროებდა, რომ ღვინო გამძლე ყოფილიყო. იგი ბაზარი სჯერდებოდა, მეორე მოსავლამდე გაეძლო ღვინოს, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში ღვინო სრულიად საღდებოდა და ამ სახით ბაზარი იტევდა მთელის წლის მოსავალს კახეთისას. გარდა ამისა, სიმაგრე და სიკეთე კახურისა იმოდენაა ეხლაც, რომ, იშვიათ შემთხვევას გარდა, ადვილად ინახება ერთის წლის განმავლობაში. ამისათვის არც ხარჯია საჭირო, არც ბორჯი და არც განსაკუთრებულის სიფრთხილით დაყენება და მოვლა ღვინისა. ტფილისსაცა და საზოგადოდ კახურის ღვინის აქაურს მუშტარსაც ამაზე მეტიც არა უნდოდა რა. ცხადია, ღვინის მოყვანასაც და დაყენებასაც ამ ორის გარემოებისათვის უნდა გაესწორებინა ანგარიში და შეჰფერებოდა თავის მუშტრის გემოვნებას და საჭიროებას. ამიტომაც, ოღონდ ღვინოს გამძლეობა მოსავლიდან მოსავლამდე ჰქონოდა და სხვა ჭეშმარიტ სიკეთესთან ცოტაოდენი

სიმწკლარტეც, ურომლისოდაც აქაური მუშტარი ღვინოს ღვინოდ არა ჰხადიდა, და აქაურ ბაზარში მუშტარი არ დააკლდებოდა.

ეხლა გარემოება სულ სხვაფრივ შეიცვალა და კახურ ღვინოს თითქმის ხელიდამ გამოეცალა აქაური ახლომახლო ბაზარი და მუშტარი. გაყვანილ იქმნა რკინის გზა ბათუმიდამ ბაქომდე და ამ მიზეზით ღვინის გადატან-გადმოტანა გაადვილდა, გაიაფდა სხვა ამიერ-კავკასიის ღვინის ადგილებიდამ, რომელთაცა ხვდება რკინის გზა.

ამის გამო არაკახურ ღვინოებით აივსო ჩვენებური ბაზრები და, თუმცა ეს ღვინოები კახურზე გაცილებით მდარე ღირსებისაა, მაინც, რადგან იაფია, ისყიდება და მერე ხშირად კახურის სახელითაც. ამ სახით კახური ღვინო შეცოტავდა ბაზარში და მისი ადგილი არაკახურმა ღვინოებმა დაიჭირა. თუ ეხლა ჰყიდულობს აქაური ბაზარი კახურს ღვინოს, ჰყიდულობს მარტო იმისათვის, რომ დაბალ და უხეირო ღვინოში აურიონ და ისე გაჰყიდონ, როგორც კახური. ეს არის მიზეზი, რომ ძალიან ძნელია ეხლა ტფილისში ნამდვილის კახურის ღვინის შოვნა თითო-ოროლა ადგილ გარდა.

ასე შევიწროვდა დღეს კახური ღვინო. შევიწროვდა იმდენად, რომ ასეთს გარემოებაში, არა თუ ძნელია გაძლიერდეს ვენახების გამრავლება და ღვინის მოყვანა კახეთში, არამედ საფიქრებელია, რომ უფრო მეტად არ შემცირდეს და არ დაეცეს. თუ საიდგანმე შემწეობა არ აღმოუჩნდა ამ საქმეს კახეთში, მეტი რა ღონე იქმნება, ვენახების რაოდენობა და სივრცე, რომელიც საკმაოდ გადიდდა დროთა მიმავლობაში, ისევ უნდა შემცირდეს და შეცოტავდეს საზარალოდ მთელის კახეთისა და ქიზიყის კეთილდღეობისა.

როგორ უნდა ეშველოს მაშ ამ საქმეს? ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ტფილისი, 29 იანვარს

გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ გაჭირებული და უნუგეშო მდგომარეობა კახეთის ვენახის პატრონთა და კახურ ღვინოს მომყვანთა, რომელთაც სხვადასხვა ჩვენ მიერ დასახელებულ მიზეზთა გამო ხელიდამ გამოეცალათ

აქაური ბაზარი და კახურ ღვინოს დღეს იმდენად ნაკლებად ჰყავს მუშტარი, რომ მემამულეთა აღარ იციან, რა უყონ ან თავიანთ ვენახებს და ან მშვენიერს კახურს, როგორ ეშველება მათ საქმეს?

დიაღ, კახეთში ვენახები ბევრია, ღვინო უხვად მოდის. თუ ცდა და შემწეობა იქნება და ამ ვენახების შემუშავება, აგრედვე დაყენება და მოვლა ღვინისა განკარგდება, უკეთესად, უფრო მეტის ცოდნით მოეწყობა, კახურ ღვინოებს არ გაუჭირდებათ თავისი რაოდენობითა და ღირსებით რუსეთის ბაზრებში უცხო ქვეყნების ღვინოების მაგიერობა გასწიოს რამდენადმე და მუშტარსაც გული მოუგოს მით, რომ ნამდვილი ყურძნის წვენი იქმნება და შიგ არა ერევა რა. თუ ასეა, ცხადია, მთავრობა არას დაჰკარგავს, უკეთუ იზრუნებს და ხელს შეუწყობს ღვინის მოყვანას კახეთში. ამ ზრუნვით, ჯერ ერთი, რომ რუსეთს დაეზოგება დიდძალი ფული, რომელსაც ეხლა იხდის სამზღვარგარეთის ღვინოებში და მეორეც — ერის ჯანმრთელობაც ეჭვქვეშ არ იქნება და ქვეყანა თავს დაანებებს იმ შინ და სამზღვარგარედ მომზადებულს ღვინოებს, რომელიც სწამლავს და ვნებს ხალხს.

ერთადერთი ხსნა კახეთის ვენახის პატრონთა, თუ არ უნდათ სულ უმუშტროდ დარჩნენ, ის არის, რომ ახალი ბაზარი მოეპოვოს კახურ ღვინოს საქართველოს გარედ, უფრო კი რუსეთის დიდ ქვეყანაში, რუსეთი სავსეა ისეთის შინ მოხერხებულ, ნაკეთებ და მონათლულ ღვინოებით, რომელშიაც ძალიან ნაკლებად არის საკუთარის ყურძნის წვენი და ხან სულაც არ არის. კახურის ღვინის გატანა რუსეთის ბაზრებში საკეთილოდ შესცვლის დღევანდელს უნუგეშო ყოფას მით, რომ ღვინის მუშტარსაც მისცემს კარგს და მარგებელს სასმელს და ღვინის მწარმოებელსაც ხალისი ექმნება, ბაზარია, საცა მუდამ შემიძლიან გავასაღო, რამდენიც უნდა ღვინო მომივიდესო.

ხოლო იმისთვის, რომ კახური ღვინო გავრცელდეს და საღდებოდეს რუსეთში, საჭიროა ვიქონიოთ სახეში პირველად, რომ კახური ღვინო შეეფერებოდეს ახალ მუშტართა გემოვნებას, მოჰშორდეს სიწკლარტე, რომელსაც ერიდება რუსეთის მუშტარი, ხოლო ყველა

სხვა თვისი ღირსება ხელუხლებლად შერჩეს; მეორედ, ღვინოს, თავის თვითეულ და ცალკე ხარისხისამებრ, ერთგვარი გემო, სურნელება და ფერი ჰქონდეს მარტო იმ თვისებათა შემწეობით, რომელიც ბუნებითვე აქვს; მესამედ, გაძლიერდეს მისი ბუნებრივი ღონე დიდხანს გაძლებისა, რათა არ წახდეს, საუარესოდ არ შეიცვალოს კარგა ხნის განმავლობაში და შეეძლოს ატანა ცოტად თუ ბევრად შორს მანძილზე წაღების და ხანგრძლივად შენახვის, ერთის სიტყვით, შეიძინოს იგი თვისება, რომელიც მას შეჰქმნის ვაჭრობის საიმედო საგნად.

რაკი კახური ღვინო ბუნებით კარგია, ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების წესები ახლა ბევრად განკარგებულია ეხლანდელის მეცნიერების მიერ, ეჭვი არ უნდა იყოს, ჩვენის აზრით, რომ მარტო თავის ბუნებურ თვისებათა წყალობით და სწავლა-ცოდნის მიშველებით შემზადდეს, კახური ღვინოები ადვილად დადგება იმ დონეზე, იმ თვისებაზე, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ და რომელთა წყალობით არის მხოლოდ შესაძლო დღევანდელი ცვალებადი ღვინო მტკიცე და საიმედო სავაჭრო საქონელი შეიქმნას და რუსეთის, თუ გარედ სადმე ბაზარში საკმაო და ღირსეული ადგილი დაიჭიროს. აი კახურ ღვინოების ამ დონეზე დაყენება საფუძვლად დაუდვია ხსენებულ საზოგადოებას, რომელსაც ჰქვიან „Общество Кахетинских Садовладельцев“. რა გზით და ღონისძიებით განუზრახავთ ამისი მიღწევა და შესრულება, ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ტფილისი, 30 იანვარს

„კახეთის ვენახების პატრონთა საზოგადოების“ აზრით, დღევანდელი აქაური ღვინის წარმოება მარტო ერთს საგანზეა დამყარებული და ის საგანი ღვინოა, რომელიც ამის გამო ერთადერთი წყაროა შემოსავლისა ძვირად შესამუშავებელ და საკეთებ ვენახებისაგან. მაშინ, როდესაც ღვინისაგან ნარჩენი მასალა, დღეს თითქმის გადასაყრელად გამზადებული, როგორც უვარგისი რამ, შესაძლოა კაცმა გამოიყენოს და გადაკეთოს ღირებულ სააღებმიცემო საგნად. ღვინის მარილი, კრემორტარტარი და მწვანე წამალი /Яр - медянка/ ღვინის წარმოების გამონარჩენ მასალისაგან გამოსაღები, საკმაოდ გააძლიერებს შემოსავალს ვენახისას, თუ ამისათვის კაცი ხელს გასძრავს და ამ საქმეს ცოდნით მოეკიდებაო.

თუმცა ამ საგანზედ მიმართული წარმოება სულ სხვა საქმეს შეადგენს, განსხვავებულს ღვინის კეთებისაგან, მაგრამ თუ იგი აღორძინდა ჩვენში, ახალს წყაროს შემოსავლისას ხელთ მისცემს ვენახის პატრონთა იმით მაინც, რომ ღვინის კეთებისაგან ნარჩენ მასალას, დღეს გამოუსადეგს და მაშასადამე უფასოს, ფასს დასდებს და სავაჭრო საგნად შეჰქმნისო. ამით გაუჩენს ვენახის პატრონს ახალს წყაროსა, რომელიც გააძლიერებს შემოსავალს ვენახისას, რადგანაც ეს ახალი საქმე, რომლისათვის საჭიროა ღვინისაგან ნარჩენი მასალა, მოითხოვს ამ მასალასაო.

ამ სახით ვენახის შემოსავალი საერთოდ იმატებს და, მაშასადამე, შესაძლოა ამ ახალ წყაროს გაჩენით ღვინოსაც უფრო ზომიერი და ხელმისაწვდენი ფასი დაედოსო. დღეს მთელს ხარჯს ვენახისას მარტო ღვინო უნდა გაუძღვეს, ღვინომ უნდა დაფაროს შემუშავება ვენახისა, იხადოს ზარალის შიში და თვით ვენახის პატრონსაც საკმაო მოგება მისცესო. ყოველივე ეს საკმაოდ ადიდებს ღვინის ფასსა და ამ განდიდებისაგან არც ვენახის პატრონი ხეირობს და არც ღვინის მუშტარიო.

კარგა ბლომა ფული, რომელიც რუსეთიდამ გადის ღვინის მარილის, კრემორტარტარის და მწვანე წამალის სამზღვარგარეთიდამ მოზიდვისათვის, რატომ შინ, რუსეთშივე არ უნდა ჰრჩებოდეს, მაშინ, როდესაც ყოველივე ეს შესაძლოა კახეთში გაკეთდეს და იმოდენად საკმაოდ, რომ რუსეთის შინა ბაზრები თითქმის სავსებით დააკმაყოფილოსო.

ამ სახით „კახეთის ვენახების პატრონთა საზოგადოებას“ თავის საგნად დაუდვია: ღვინის საქმე კახეთში იმ ხარისხზე დააყენოს, რომელიც მარტოდმარტოა თავმდები, რომ კახური ღვინო შეიქმნას მტკიცე და საიმედო საგნად აღებმიცემობისა გარედ

ბაზრებისათვის და ნამეტნავად რუსეთისათვის და ააღორძინოს იგი ახალი დარგი წარმოებისა, რომელთა ძალით ღვინისაგან ნარჩენი მასალა შესაძლოა გადაკეთდეს საფასურ საგნად ვაჭრობისათვის და მით ვენახის პატრონთ გაუჩნდეთ ახალი წყარო ვენახის შემოსავლისა.

ხოლო ყოველივე ესე თვითეულ ცალკე კაცთა ღონისათვის მიუწვდომელია და რაც თვითეულისათვის შეუძლებელია, იმას შესძლებს შეერთებული ღონე ბევრისაო, მთელის კრებულისაო. ესა გვქონდა სახეში წესდების პროექტის შემადგენელთაო, ამბობენ დამწყებნი ამა საქმისა. მისახწევად იმ აზრისა, რომელიც საზოგადოებას თავის მოქმედების საგნად მიუღია, დაუდვიათ, 1/ რომ წევრთაგან მოგროვილ ღვინოს თვითონ საზოგადოებამ მოუაროს, შეუფეროს გარედაბაზრის მოთხოვნილებას ისე კი, რომ კახური ყურძნის წვენში არა რა გაურიოს და მარტო მის ბუნებურ თვისებას ხელი შეუწყოს და ბუნებური წმინდა კახური ღვინო გაიტანოს ბაზარში, კარგად მოვლილი საგამძლეოდ და საგემოდ; 2/ რომ შემწეობა აღმოუჩინოს ვენახების უკედ კეთებისა, ღვინის დაყენებისა და მოვლისათვის და ღვინის ნარჩენი მასალა ახალის წარმოების საგნად გახადოს და 3/ შუამავალი შეექმნას ღვინის მსმელთა და ღვინის პატრონთა ისე, რომ ორივესათვის უზარალო იყოს.

ყოველი მუხლი წესდებისა ამ სამს საგანზეა მიმართული და მოწყობილი, ასე კი, რომ თვითონ "საზოგადოებას" საკუთრივ არავითარი აზრი გამორჩენისა არა აქვს და ამ სახით სრულად ზურგი შეუქცევია იმგვარ წყობისათვის, საცა თვითონ დამწყები თავის ხეირს დაეძებს. მთელი მოგება თვითეულ იმ ღვინის პატრონისათვის არის გადადებული, რომელიც წევრად შესულია და თუ საზოგადოება იღებს რასმე შუამავლობისათვის, მარტო იმოდენას, რაც საკმაოა მიუცილებელ ხარჯისათვის, რომელსაც თვით კრება საზოგადოებისა ამტკიცებს.

განვმარტეთ რა ზოგადის ნიშნებით საგანი „კახეთის ვენახების პატრონთა საზოგადოებისა" და ისიც, რომ თვით „საზოგადოებას" უარუყვია ყოველივე

აზრი გამორჩენისა საკუთრად თავისთვის, ყოველს წვლილს ვერ გამოვუდგებოდით, რადგანაც ეს მოითხოვდა თითქმის მთელის წესდების გადმოწერას და ახსნას. ეს კი სათქმელია, რომ ამ „საზოგადოების" დამფუძნებელთ იმედი აქვთ, მთავრობა თანაგრძნობით მიიღებს მათ მიერ შედგენილს წესდებას. იგინი ამბობენ, რომ ამ „საზოგადოების" დადგენა არამც თუ ააცილებს კახეთს ღვინის საქმის დაცემას, არამედ გააძლიერებს შესაძლო საზღვრებამდე.

ეს გარემოება არ უნდა დავიწყებულ იქმნას თვით სახელმწიფოს ინტერესების მხრითაც, რადგანაც მთელი ორი მაზრა კახეთისა /თელავის და სიღნაღის/ და ნაწილი მესამისაც /თიონეთისა/ შეჰყურებს ღვინოს, როგორც ერთადერთს წყაროს ცხოვრებისას და სახელმწიფო ხარჯის ხდისას. ცოტად თუ ბევრად შეწყვეტა ამ წყაროსი ღონეს მოაკლებს იქაურ მკვიდრთა და მეტისმეტად გაუჭირებს ცხოვრებას და ხარჯის ხდასა მაშინ, როდესაც ბუნება კახეთისა ხელს უწყობს ადამიანს ღვინის საქმის გაძლიერებისათვის. გაძლიერებული კახეთის ღვინის საქმე, კარგად და ეხლანდელ მეცნიერების შემწეობით რიგიანად წარმართული, შემძლებელია რუსეთს შეუმოკლოს საჭიროება სამზღვარგარეთიდამ ღვინის ზიდვისა და იგი დიდძალი ფული რუსეთისა, რომელიც დღეს სამზღვარგარედ გადის, შინვე რუსეთში დატრიალდება მისთა მკვიდრთა საკეთილდღეოდ. გარდა ამისა ხელშეწყობა, რომ ნამდვილი, შეურევნელი კახური ღვინო შეტანილ იქმნას რუსეთის ბაზარში, სასურველია საერო ჯანმრთელობის მხრითაც, რადგანაც დღეს რუსეთში საღდება წამლებით მოწამლული ღვინო, შინაური თუ გარეული, და ეს, რა თქმა უნდა, უვნებლად არ ჩაუვლის ხოლმე ერსაო.

ყოველივე ეს მით სასურველიაო, ამბობენ დამფუძნებელნი, რომ კახური ღვინის ბუნებრივი სიკეთე ყველასაგან ცნობილია და, თუ ბაზარი გაეხსნა, ამის მიხედვით განკარგდება ვენახების კეთება, გაიმატებს ვენახების მოედანი და გაძლიერდება ღვინის საქმე და ამ გზით რუსეთის ბაზარი შეიძენს მარგებელს სასმელს იმოდენად ბევრს, რომ დიდძალს ღვინოს სამზღვარგა-

რეთისას განდევნის და დიდად შეაფერხებს, თუ სულ არ მოსპობს იმ მოწამლულ სასმელთა ბაზარში სვლას, რომელიც დღეს ღვინის სახელით საღდება და იყიდებაო.

[1894 წ.]



<„სამთა კავშირი“>

ტფილისი, 24 აგვისტო

როგორც წინად, ისეც დღეს ეგრეთ წოდებული „სამთა კავშირი“ გერმანიისა, ავსტრია-ვენგრიისა და იტალიისა დედაბოძია საურთიერთობო პოლიტიკისა. აშლა და გარიგება ევროპის აწეწილ საქმეებისა დღესაც, როგორც წინად, იმაზეა დამოკიდებული თუ რა შინაგან სიმაგრეს და სიმტკიცეს წარმოადგენს ეგ „სამთა კავშირი“ დღეს, ან მახლობელ საგაისოდ.

თუ ყური დავუგდეთ ამ საგნის შესახებ მომხდარ ამბებს და გაზეთების მითქმა-მოთქმას, ამ დედაბოძს ეხლანდელის საპოლიტიკო მდგომარეობისას, ცოტად თუ ბევრად ძირი ულპება და ლამის გადაიქცეს. ეს კი აშკარად სჩანს დიდი ხანია, რომ მაგ დედაბოძს ჭია გასჩენია და გულ-ღვიძლს უფხვნის. ესეა თუ ისე, საქმე დღეს ისეთს ყოფაშია, რომ თვით მოკავშირეებს გული როგორღაც უტოკთ და ერთმანეთს ყურაც-ქვეტილები თვალს ადევნებენ. თვითეულს სამთაგანს ჰგონია თუ ჰშიშობს, ორნი სხვანი მღალატობენ და არიქა, ხელიდამ ისე არ გამისხლტნენ, რომ მე რიყეზე მარტო არ დავრჩეო.

ჯერ, როგორც მოგეხსენებათ, იტალია როგორღაც გაუგორდ-გამოუგორდა საფრანგეთს, ეგებ ფული მოვუგოვო. თუ ესეაო, ახლა ავსტრიამ დაუდო რაღაც თანხები იმავე საფრანგეთს და იქამდე მოუტკბილდა, რომ ერთს დროს ავსტრიის იმპერატორმაც კი მოიწადინა სწვევოდა სტუმრად საფრანგეთსა. ამ ბოლო დროს ხომ გერმანიამაც, ყოველ ამის მნახავმა, იფიქრა, - ეს ჩემი გულითადი მეგობრები რაღასაც ცუღლუტო-

ბენ და ეშმაკობენ, — და ამანაც გაუთამაშ-გამოუთამაშა საფრანგეთს, თუ ასეა, ისა სჯობია, მე დავასწროო.

რომ გერმანიას ძალიან უნდა საფრანგეთის გულის მოგება, ეს ყველასათვის ცხადია და ყველამ დიდი ხანია იცის. თავმოყვარეობა, პოლიტიკა თუ აბრუს გატეხის ფიქრი ნებას არ აძლევს გერმანიას, რომ ამ გზაზე გულახდილად ფეხი გადგას, საფრანგეთი როგორმე მოიმადლიეროს და მით ეს აუარებელი საომარი ხარჯი, რომელიც აგრე ემძიმება გერმანიის ერს, შეიმსუბუქოს. გერმანია საფრანგეთისავით მდიდარი არ არის, რომ ეს ამოდენა ჯარების თოფიარაღქვეშ დგომამ კარგად და შეუმჩნევლად ჩაუაროს. როცა იქნება, საცა წვრილია, იქ გაუწყდება ძაფი მოთმინებისა ხარჯით ძალზე დატვირთულს ერს გერმანიისას და მაშინ იქნება შინაურმა აწეწილობამ ხელფეხი საგარეო მოქმედებისათვის სრულად შეუკრას და აღარ მოაცალოს გერმანიის მთავრობა საგარეო საქმეთათვის. ამრიგად, შესაძლოა გერმანია უომრადაც დამარცხდეს, თუ დღევანდელი შეთოფიარაღებული მდგომარეობა მისი კიდევ დიდხანს გასწევს.

მდიდარმა საფრანგეთმა ეს კარგად იცის და იმიტომ ჯერხანად ყურსაც არ იბერტყამს, როცა კანტი-კუნტად აქედ-იქიდან მოისმის ხოლმე ხმა, მოდი ჯარები შევიცოტავოთ და ტყუილუბრალოდ ნუ ვეთელინებით ამ შეიარაღებულ მშვიდობიანობასაო.

უფრო დიდ გაჭირებაში არიან ორნი სხვა ამხანაგნი გერმანიისა — ავსტრია და იტალია. ამათ ლამის სული ამოხდეთ იმ დიდ ხარჯის გამო, რომელსაც მათგან „სამთა კავშირობა“ ითხოვს. იტალია დღეს ხომ ისეთ მდგომარეობაშია, რომ ლამის გაკუტრდეს, ისე ყელთამდეა ვალში ჩაფლული, რომ არც კი იცის, როგორ ამოვიდეს. ამისთანა მდგომარეობის ძალმომრეობით „სამთა კავშირის“ წინააღმდეგნი დღედადღე მრავლდებიან იტალიაში, რადგანაც ამ შეუძლებლობის და უღონობის მიზეზად სთვლიან „სამთა კავშირს“. არ არის უიმისო, რომ პარლამენტში, თუ გარედ ჟურნალ-გაზეთობაში უფრო არ გახშირდებოდეს ხმა სამთა კავშირის სამდურავისა, მაგ კავშირმა შემოგვაწყრომა საფრანგეთიო და ამ დღეში ჩაგვაგდოო.

ვინ იცის, ამ გაჭირვებას და სამთა კავშირის ასე თუ ისე ტოკვას სადამდე მიეყვანა საქმე, რომ დღეს ევროპას სხვა შინაური ტკივილები არ ასჩენოდა და თითოეული სახელმწიფო, რომელთ ხელშიაც არის ბედ-იღბალი მთელის ქვეყნის პოლიტიკისა, ამ ტკივილს არ გაეჩერებინა შინაურს ყოფა-ცხოვრებაზე. ეს ტკივილი ანარხისტების გაძლიერებაა ამ ბოლოს ხანებში და ყველგან, თითქმის ყოველ გამოჩენილს სახელმწიფოში ამ ანარხისტების საქმემ შეიპყრა მთელი მზრუნველობა და ყურადღება სახელმწიფო კაცთა და ამის გამო დღეს საგარეო საქმეთათვის აღარავის არა სცალიან.

ახლა ეს ჩინეთის და იაპონიის ომმა მიიზიდა კიდევ ყურადღება ევროპისა. საფრანგეთს, რუსეთს და ინგლისს, ნამეტნავად ამ ორს უკანასკნელს სახელმწიფოს, დიდი ინტერესები აქვთ ამ შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ამ სახელმწიფოებისათვის სულ ერთი არ არის, როგორ გათავდება საქმე ჩინეთისა და იაპონიის შორის. თითოეული მათგანი ცდილობს წილმიუღებლად არ დარჩეს ამ საქმეში, ერთი გაიმარჯვებს თუ მეორე.

აქ საქმე იმაშია, რომ ჩინეთს უნდა გაუბატონდეს კორრეიას, და იაპონიას ჯერ ამ მხრით გაძლიერება ჩინეთისა, როგორც მეზობლისა, არ უნდა და მერე თავისთვის სახეიროდ მიაჩნია, რომ კორრეია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მაინც დარჩეს, რომ, როგორც უძლური მეზობელი, თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს. ეხლახან, კორრეის მეფემ, ამბობენ გაზეთები, კორრეია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადაო.

უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ კორრეია დღესაქამომდე ჩინეთის პროტექტორობის ქვეშ იყო და ეხლა ეს გამოცხადება კორრეის მეფისა, თუ მართალია, ჩინეთის წინააღმდეგობასა ჰნიშნავს და იაპონიის მომხრეობას. ამით იაპონიას, რასაკვირველია, აბრუც მოემატება და ღონეც, რადგანაც კორრეია მისი მეშველი იქნება შინა და გარედ და მით იაპონიას გაუადვილდება ომი და ჩინეთს კი გაუძნელდება ჯარების მოძრაობა კორრეიაში.

ეხლა ევროპის სახელმწიფონი გაჩუმებულნი არიან და ელიან, საქმე ომისა როგორ გათავდება. ეს იმისთანა საქმე კია, რომ შესაძლოა ევროპის სახელმწიფონი ერთმანეთს შეახალოს და ერთი ალიაქოთი მოხდეს, თუ შიგ ევროპაში არა, იმ შორეულ აღმოსავლეთ ქვეყნებში მაინც.

[1894 წ.]



<საფრანგეთსა და გერმანიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დასაწყისი>

ტფილისი, 26 აგვისტო

ჩვენ გუშინწინ /„ივერია“ № 182/ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი „სამთა კავშირის“ გამო განგებ, რომ აგვენიშნა ერთი გარემოება, რომელსაც ამ ბოლო ხანებში ხშირად იხსენებენ ხოლმე გაზეთები და რომელსაც დიდი შედეგი უნდა მოჰყვეს, თუ აღსრულებაში მოვა და თუნდაც არ მოვიდეს აღსრულებაში, მაინც დიდმნიშვნელობიანია დღევანდელ დღის პოლიტიკისათვის, რადგანაც თავისთავადაც ბევრს რასმეს მოასწავებს, ჩვენის ფიქრით, და ასე თუ ისე იმოქმედებს “სამთა კავშირის” შინაგან ძალ-ღონეზე.

ჩვენ აქ სახეში გვაქვს ის გარემოება, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის მტრედმა მშვიდობიანობისამ და დაახლოებისამ ფრენა დაიწყო. ეს ამბავი მით უფრო საგულისხმიეროა, რომ ამ გზაზე ფეხი პირველად გამოსდგა გერმანიამ იმისთანა გაზეთის პირითა, რომელიც ყველასაგან მიჩნეულია, ვითარცა დაახლოებული ორგანო გერმანიის მთავრობისა.

ამ ამბავს, ერთის გაზეთის თქმას და სჯას სხვა გაზეთებმაც გერმანიისამ ბანი მისცა და ერთობ შემჩნეულ იქმნა, რომ ეხლა გერმანელები უფრო ხმადაბლა ლაპარაკობენ საფრანგეთზე და უფრო ტკბილად იხსენიებენ მის ავ-კარგსა, როცა კი შემთხვევა ეძლევათ. ამისთანა ამბავი, ამ გზაზედ პირველად ფეხის გამოდგმა გერმანიისა, რომელსაც წინ უძღვის იმისთანა თავმომწონე და ძლევამოსილობით გაზვიადებული იმპერატორი, როგორიც ვილჰელმია, ძნელი მოსალოდნელი

იყო, რადგანაც ეს ამისთანა საქციელი, ცოტა არ იყოს, თითის მოკაკვაა საფრანგეთის წინაშე.

თუმცა გერმანიის ახალგაზრდა იმპერატორი ჟამთა ვითარების ამყოლი კაცია, თავის გულითადს რწმენას და წყურვილს ხშირად დაადუმებს ხოლმე წინაშე აუცილებელ საჭიროებისა და ხშირად ჟამთა ვითარებას და მოთხოვნილებას უმორჩილებს ხოლმე თავის გულის ნადებსა და სურვილს, მაგრამ მაინც ბევრს უკვირს, - რად მოიწადინა, რამ აიძულა, რომ ასეთს გზაზე დააყენა გერმანიამ თავისი პოლიტიკა საფრანგეთის მიმართო.

მართლადაც, ფრიად საჭირო და ძნელი გამოსაცნობია, მით უფრო, რომ აშკარა მიზეზი არა სჩანს და ფარული კი დიპლომატების ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი, ჯერ ხანად მაინც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გერმანიის იმპერატორი ჰხედავს, რარიგად ემძიმება ევროპას ეხლანდელი მდგომარეობა, სარჩოსაბადებელს გამრჯელის ერისას სჭამს და ინელებს აუარებელ ჯარების თოფ-იარაღქვეშ დგომა, ჰხედავს ამას და ამასთანაც იცის, რომ ამ მართლადა მძიმე ტვირთის მომავლინებელი მიზეზი საფრანგეთის და გერმანიის შორის დაბუდებული მტრობაა. ყოველ ამის გამო, შესაძლოა, ვამბობთ, ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა იმპერატორი გერმანიისა თავის თავმოწონებას მსხვერპლად აძლევს კეთილშობილურს და პატიოსნურს წყურვილს მთელის ევროპის კეთილდღეობისა და ამისათვის არა ჰრიდობს პირველმა ხელი გაუწოდოს შერიგებისა საფრანგეთსა და მით მოსპოს ეს შეთოფიარაღებული უომრობა, რომელიც ომზე უარესად ნელ-ნელა სწოვს მთელს ევროპასა.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის დამოკიდებული გერმანიის იმპერატორზე, რომელსაც ვით ძლევამოსილს და კარგად გამართულს, ყველანი დღეს თვალწარბში შეჰყურებენ. არც იმისთანა გულის კაცია იგი, კაცად-კაცური სულგრძელობა და კაცად-კაცური პატივმოყვარეობა და თავმოწონება მის გულისაგან შორს იყოს. ამასთან იმდენად გულწმინდაა და გონებაგახსნილი, რომ ამ დიდს საქმეს – ჭეშმარიტ და მართალ მშვიდობიანობის ჩამოგდებისას, თავს მოუხრის

მთელის თავის ახალგაზრდობის მხურვალებითა, რადგანაც გონებითი თუ ზნეობითი უნარი აქვს მისწვდეს, რომ ამ გზით სახელის შოვნა უფრო სასახელოა და სადიდებელი, ვიდრე ხმლით და სისხლის ფრქვევით გამარჯვება და განადგურება ვისიმე. ვილჰელმ II იმისთანა ხასიათის კაცია, რომ შეიძლება ამ დიდმა საგანმა აიყოლიოს და გულთათქმანი ცალკე კაცისა დაუმორჩილოს დიდს მოვალეობას ქვეყნის გამაბედნიერებელ კაცისას.

მეტისმეტი იმედი იქნება ვიფიქროთ, რომ გამწვავებული მტრობა და გულნატკენობა საფრანგეთისა ეგრე მალე დაამდეს და ყოველსავე შიშს ევროპის აშლილობისას მით ბოლო მოეღოს. მაგრამ, ისიც კარგია, რომ – გაზეთების სიტყვით, საფრანგეთის და გერმანიის ურთიერთობას უკეთესობა დაეტყო და ცხადი შეიქმნა მათი ერთმანეთთან მოტკბილება. დღესაქამომდე საფრანგეთი ჰთაკილობდა, როცა გერმანია მოიწადინებდა ხოლმე რამე აამოს და დღეს კი ყოველს ამისთანას თვითონ საფრანგეთი, თუმცა თავდაჭერილად და წინდახედულად კი, აღარ უარობს და კეთილის სიტყვით იხსენიებს.

არ ვიცი, ეს ახლად გაჩეხილი გზა საფრანგეთის და გერმანიის შორის რამოდენად გაიტკეპნება და სად მიიყვანს საქმეს, მაგრამ ეს კი დასამალავი არ არის, რომ ეს ამბავი ნიშანია ჟამთა ვითარებისა და სამთა კავშირის ტოკვისა.

[1894 წ.]

<სოფლის მეურნეობა რუსეთში>

ტფილისი, 28 აგვისტო

გაჭივრებულმა მდგომარეობამ სოფლის მეურნეობისამ და მიწათმოქმედებისამ მეტად ხმამაღლა ღაღადი დაიწყო რუსეთში. დიდი ხანია უჩივიან, რომ მიწის მოჭირნახულე კაცი რუსეთში უმწეოდ არის დარჩენილი და არავითარი ღონისძიება არა აქვს, თავის საკუთარის ძალ-ღონით გაჭივრებისაგან თავი იხსნას.

მართალიც არის: სოფლის კაცს, მიწის მოჭირნახულეს არ მოუვა მოსავალი, შიმშილის შიშს უნდა მიეცეს და მოუვა ცოტაოდნად ბარაქიანად, არსად იმისთანა ბაზარი არა აქვს, რომ გასასყიდს ჭირნახულს კუთვნილი ფასი ამოაღებინოს. ამის გამო სოფლის ნაწარმოების საქონელი ძლივძლივად შოულობს მუშტარს და იძულებულია ჩალის ფასად გაიცეს ხოლმე. ამრიგად სოფლის მეურნე ორსავ შემთხვევაში ზარალშია.

ბევრ სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ იმისას, რომ მიწის მოსავალს თავისი შესაფერი ფასი არა აქვს ბაზარში. სხვათა შორის დანახულია ის მიზეზი, რომ სოფლის მოჭირნახულეს საქმეში სამუშაო და სატრიალებელი ფული ხელთ არა აქვს ხოლმე და იძულებულია მოსული ჭირნახული ჩალის ფასად გადაჰყაროს, რომ ამ გზით თითო-ოროლა გროში იშოვნოს ათასნაირ ხარჯის გასაძღოლად და გასასტუმრებლად. ამ ყოფაში მამულის განკარგება, მიწის გაღონიერება, მეურნეობის წინ წაწევა და გაძლიერება ხომ ყოვლად შეუძლებელია და შეუძლებელი.

მთავრობამ მიაქცია ამ უნუგეშოდ ყოფნას სოფელში მომჭირნისას ყურადღება და წამლად დანახულ იქმნა, რომ სოფლის მეურნეს და მოჭირნახულეს ფულის შოვნისას ადვილი და იეფი სახსარი აღმოუჩინოს. ამისათვის ფინანსთა სამინისტრომ ამ ბოლოს ხანებში საკმაოდ ფართოდ გაუღო სოფლის მეურნეობას და სხვადასხვა წარმოებას სახელმწიფო ბანკის კარები და გამოაცხადა წესები, როგორ, რა გზით და რამდენად უნდა გაუმართოს ხელი კრედიტის შემწეობით სოფლის მოჭირნახულეს.

წინანდელი წესი ეგრედ წოდებულ სოლოვექსელებისა სოფლის მეურნეთათვის, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად შემოღებულ იქმნა სოფლის მოჭირნახულეთა ხელის გასამართავად, უფრო შეავსეს და უფრო შეუწონეს გარემოებას და საჭიროებას სოფლის კაცისას და 22 ივლისს ამ წლისას გამოაცხადეს იმპერიაში სამოქმედოდ.

დღეის ამას იქით სოფლის მეურნეს, რომელსაც კი ძალ-ღონე და სურვილი შესწევს რითიმე წინ წასწიოს თავისი მამულის საქმე, გააძლიეროს, ასე თუ ისე, თავის მიწის მოქმედება და საქმიანობა, სახსარი აქვს, ფული იშოვოს სახელმწიფო ბანკის შემწეობით ადვილად და იეფად და ამით თავის საქმეს დაუბრკოლებლად გაუძღვეს. წესდებაში მოხსენებულია, რომ შესაძლოა სოფლის მეურნემ ფული ისესხოს სახელმწიფო ბანკიდამ, როგორც მამულის განკარგების და კეთების სახარჯოდ, ისეც სასყიდლად იმისთანა საქონლისა, მანქანებისა და საჭირო საგნებისა, რაც-კი დანიშნულ იქმნება სოფლის მეურნეობისათვის.

რა თქმა უნდა, ფულის აღება სესხად სახელმწიფო ბანკიდამ ისეა მოწყობილი, იმ წესებით შეზღუდული, რომ ბანკს გასესხებული ფული არ დაეკარგოს. ამ მხრით სახელმწიფო ბანკს კარგი, მაგარი ზღუდე აქვს შემოვლებული და რიგიანად აღნუსხული, - თუ როგორ, ვის, რაში და რამდენი მიეცეს და რა უნდა უთავდებობდეს ნასესხის ფულის დაბრუნებას.

ჩვენ ვეცდებით, როცა გარემოება ხელს მოგვცემს, ვაუწყოთ ყველა ეს წესები ჩვენს მკითხველს და ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ სახელმწიფო ბანკის

კრედიტი სოფლის მეურნეთათვის და სხვა მრეწველთათვის ჩვენშიაც იმოქმედებს. უკვე არჩეულია ჩვენშიაც ეგრედ წოდებული „მიმღები კომიტეტი“, საცა მიწვეულ არიან, სხვათა შორის, ჩვენებური მამულის პატრონებიც. ამ კომიტეტის მოვალეობაა თვითეულ მთხოვნელის ქონებრივს შეძლებისა მიხედვით აღრიცხოს, რაოდენი ფული ენდობა მთხოვნელს სესხად და უშიშრად.

თუ ეს საქმე პირველშივე კარგად დაეწყო და არჩეულმა კომიტეტმა საკმაო სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინა, იმედია, ეს ახლად გამოცხადებული კრედიტი ჩვენში რიგიანად ფეხს მოიკიდებს და მართალს გამრჯელს დიდს შეღავათს მისცემს არსებობისათვის ბრძოლაში და ხელს მოუმართავს, თავისი ოჯახი და მამული ფეხზე დააყენოს და წელში გამართოს. რამდენიმე მაგალითი გასესხებულის თავის დროზე არდაბრუნებისა ან დაკარგვისა საკმაო იქნება, რომ ეს საკეთილოდ განზრახული საქმე ჩვენ, აქაურებს გაგვიუქმონ და თვითონ კრედიტი, დაუშრეტელი და იეფი, მოგვისპონ სახელმწიფო ბანკში.

ჩვენმა კაცებმა, რომელნი მიწვეულნი არიან სახელმწიფო ბანკის კომიტეტში, ეს შიში მუდამ უნდა სახეში იქონიონ და განზრახული კრედიტი დიდის სიფრთხილით და წინდახედულობით მიანიჭონ არა მფლანგველებს და ბედოვლათებს, არამედ იმათ, ვისიც უეჭველი იმედია, რომ კრედიტით ნაშოვნს ფულს საქმესა და მამულს მოახმარებენ და დაბრუნების დროს არ იტყვიან: არა გვაქვს და რა დავაბრუნოთო. აკი ვამბობთ, რამდენიმე ამისი მაგალითი საკმაო იქნება, რომ ჩვენ, აქაურებს სახელმწიფო ბანკის კარი ცხვირწინ დაგვიკეტონ და ამით ბედოვლათთან ერთად ისინიც დაიღუპნენ, ვისაც საქმის კეთება და ქონების გაძლიერება შეუძლიან იეფად მოწვდილ კრედიტის შემწეობით.

[1894 წ.]



<მამულების გამიჯვნის თაობაზედ>

ტფილისი, 2 სექტემბერი

გაზეთები იუწყებიან, რომ სექტემბერში ტფილისში მოვა სამიჯნო უწყებათა გამგებელი და მმართველი ბ-ნი გორემიკინი, რომელსაც საგნადა აქვს აქვე, ადგილობრივ შეიტყოს, რა მდგომარეობაშია ამჟამად გამიჯვნის საქმე საქართველოში.

არა გვგონია, ამ გამიჯვნის საქმემ ჩვენში თავი რითიმე ისახელოს და მოაწონოს ბ-ნ გორემიკინს. ყველაზე დიდი ნაკლულუვანება ამ საქმის ის არის, რომ იგი მეტად მძიმედ დადის და ბოლო აღარა აქვს. ეს წინადაც შენიშნულ იყო და მიზეზად ის იპოვეს, რომ ამ საქმის მოხელენი მეტად ცოტანი არიან და ვერ ასდიან აუარებელ რიცხვს დავიდარაბისასაო.

ცოტად თუ ბევრად, ამ მიზეზსაც თავის საბუთი ჰქონდა. ხოლო ეს მოხელენიც მოემატნენ, თვითონ განსამართლებას გამიჯვნის საქმეებისას სახსარი მიეცა ვითამდა უფრო სწრაფად სვლისა, მაგრამ მაინც არა ეშველა რა საქმეთა სწრაფად სვლას. სჩანს, ამისი მიზეზი სხვა რამ უნდა იყოს, უფრო არსებითი და ძვალ-რბილში გამჯდარი. ერთს ამისთანა მიზეზს ჩვენ ვხედავთ თვით გამიჯვნის სამართლის აგებულებაში.

ყველამ იცის, რომ გამიჯვნის სამართლის წესით, ყველას ნება აქვს დავა გამოაცხადოს, თუნდ მამული თავის დღეში მის ხელთ არ ყოფილიყოს და არა რაიმე სამართალი და საბუთი არ მიუძღოდეს. რა თქმა უნდა,სამართლის კარი არავის არ უნდა გამოეგულოს და ყოველთვის და ყველასათვის ღია უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში კი მეტად ბოროტად ჰხმარობენ

ამ თავისუფლებას დავის გამოცხადებისას და თითქმის ყოვლად დაუსჯელად.

ჩვენ ვამბობთ, ყოვლად დაუსჯელად იმიტომ, რომ ტყუილუბრალო მოდავე, ტყუილუბრალოდ ახირებული კაცი, მარტო ან მტრობით, ან ჯიბრით ხმალამოწვდილი მიესევა ხოლმე მართალს მფლობელს და პატრონს მამულისას და დავიდარაბას აუტეხს, რა არის, ვითომდა საქმე გაუძნელოს, მალე არ გაათავებინოს და მით ამოიყაროს ჯავრი.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია გამიჯვნის საქმისათვის, ის შენიშნავდა, რომ საცა მიწათმზომელი ფეხს შესდგამს ხოლმე გასამიჯნავად, იქ იმისთანა მოდავენი წამოდგებიან, რომელნიც ფიქრადაც არავის გაუტარებია თავის დღეში. ამის გამო მამა-პაპიდამ უდავო მამულსაც კი დავა გამოუჩნდება ხოლმე, ხშირად სრულიად უსაბუთო და უსაფუძვლო.

კიდევ ვიტყვით, თუმცა ერთის მხრით თავისუფლება დავის გამოცხადებისა არ უნდა იყოს შეზღუდულ, რადგანაც აქ ყოველივე შეზღუდვა გზას უღობავს კაცს დარღვეულის უფლების აღდგენისას, და შეუწყნარებელია კეთილად განწყობილ სახელმწიფოსათვის, მაგრამ მეორეს მხრით ის ამბავი, რომ ჭეშმარიტის უფლების პატრონი, ნამდვილის საბუთების მქონებელი, არ არის მოსვენებული და გულდადინჯებული თავის მამულში და, რაკი გამიჯვნაა, ათასი მოულოდნელი ტყუილუბრალო დავა შესაძლოა აეკვიატოს და მანამდე მშვიდობიანი მფლობელობა ეხლა თავსაცემად და სადავიდარაბოდ გაუხდეს,— არც ეს ამბავია იმისთანა რამ, რომ ღირსი არ იყოს ყურადღებისა. ამ შემთხვევაში ტანჯულად და წამებულად გამოდის მართალი და მტყუანს კი, ტყუილუბრალო მოდავეს არა აკლდება რა, რომ უდავო სადავოდ გახადა და მით მართალი ზარალში შეიყვანა, მერე იმისთანა ზარალში, რომელსაც თვით არა ჰზღავს.

აი რა აბრკოლებს გამიჯვნის საქმეებს, რომ უკვე დაწყებულს ბოლო აღარა აქვს. ჩვენ არ ვიცით, ამ შემთხვევაში რა ეშველება საქმეთა სწრაფად მსვლელობას და როგორ უნდა მოესპოს კერძო კაცს უსაბუთოდ დავის ატეხა და მით გამიჯვნის საქმის

დაყოვნება და დაგვიანება. შემოღებულ რომ იქმნას ზარალის ზღვევა, იქნება ამან ცოტად თუ ბევრად ალაგმოს ტყუილუბრალო სიხარბით ან მტრობით და ჯიბრით გამოწვეული დავა. იტყვიან, ეგეც შეზღუდვაა სამართლის კარისაო, მაგრამ იგი წესი, რომ მტყუანმა მართალს ზარალი უზღოს, ჯერ ათასჯერ ჩააფიქრებს მტყუანს და მერე ასე თუ ისე ამოქმედებს. აქ მარტო მართალი იქნება მოგებაში და სამართალს სხვა რა აქვს საგნად, თუ არ მართალის მფარველობა.

კერძო კაცის ავკარგიანობას ამ შემთხვევაში კიდევ ასე თუ ისე მოინელებს ადამიანი, რაკი სხვა გზა და წამალი არა მოიპოვება რა. ხოლო ქვეყანამ არ იცის, — როგორ გაუძღვეს ხაზინის დავებსა. სახელმწიფო ქონების მოხელენი, რომელთ, რასაკვირველია, არ შეეწამება არც მტრობა და არც ჯიბრი ვისიმე, ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ ამათაც, საცა გინდა და არ გინდა, დავა უნდა გამოაცხადონ, თუ ჰსურთ საყვედური არ მიიღონ სახელმწიფო ქონებათა მიმართ გულგრილობისა და დაუდევრობისათვის. ამის შიშით და იქნება ზოგჯერ მოწონების წყურვილითაც, იგინი ყველგან, საცა გასამიჯნავად ფეხს შესდგმენ, თავს ამოჰყოფენ და დავას აცხადებენ.

ეს მით უფრო ეხერხება სახელმწიფო ქონებათა მართველობას, რომ წესნი სამართლისანი მისკენ არიან გადახრილნი, მას ხელს უმართვენ და შემწეობენ. ავიღოთ თუნდ ის შემთხვევა, რომ ხაზინა თუნდ გამტყუნდეს, ჯარიმასაც კი არ იხდის, არამც თუ უზღოს რამე მართალს პატრონს მამულისას, რომელიც საქმის დაყოვნების გამო აუარებელ ზარალშია. რიგიანი სამართალი მარტო მაშინ არის, როცა ყველასათვის თანასწორია და თუ ცალკე კაცი სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯარიმას იხდის — როცა გამტყუნდება, რატომ ამისთანავე შემთხვევაში ხაზინა არ იხდის თუნდ იმავ ჯარიმას სასარგებლოდ კერძო კაცისა. რაც უნდა იყოს, ცოტაოდენი შიში ჯარიმის გადახდისა თვითონ ხაზინას ჯერ ჩააფიქრებდა, გადაასინჯვინებდა თავის საბუთებს დავისას და ისე გამოაცხადებინებდა დავას, თუ გამოსაცხადებელი იქნებოდა. ამ გზით მრავალი უსაბუთო დავა ხაზინის მხრით თავისთავად მოშორდებოდა თავიდამ სამართალსა და მამულების პა-

ტრონებსა და გამიჯვნის საქმეს სისწრაფე მოემატებოდა.

აკი ვამბობთ, თუ კერძო კაცისაგან ტყუილუბრალოდ დავების ატეხას არა ეშველება რა, სახელმწიფო ქონებათა მართველობას ათასი სახსარი აქვს, უთავბოლო დავები მოსპოს და იქ სადავოდ არ ჩაერიოს, საცა წინადვე დანახული და გამორკვეული საბუთი არ მიუძღვის. გამოცხადება სახელმწიფოსაგან დავისა, რასაკვირველია, ძნელია მიენდოს ერთს რომელსამე მოხელეს, თუ ნამეტნავად შემოღებულ იქმნება ჯარიმა ხაზინისათვისაც, თუ იგი გამტყუნდა. აქ საჭიროა კოლლეგია, რომელსაც მინდობილი უნდა ჰქონდეს, ჯერ მინამ დავას გამოაცხადებდეს სადმე, საქმეს საბუთები მოუჩხრიკოს, ასწონ-დასწონოს ღირსება საბუთებისა, მათი სიმტკიცე და სიმკვიდრე და განაჩენით დაადგინოს, სად გამოაცხადოს მისმა მოხელემ დავა და სად არა. ეს კოლლეგია თავმდები იქნება იმისი, რომ უსაბუთო დავა ხაზინისა არსად არ გამოცხადდება და ის მრავალი საქმე, რომელიც დღეს ბრკოლდება მარტო მით, რომ სახელმწიფო დავა, ხშირად უმიზეზო და უსაბუთო, შიგ ურევია, ბევრად შეცოტავდება და მით გამიჯვნის საქმეს ჩვენში ერთი მძიმე და შემფერხებელი უღელი აეხსნება.

ჩვენ გვახსოვს, რომ თავადაზნაურობამ ყოფილს სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ბ-ნ ასტროვსკის ქაღალდი წარუდგინა ამ საგანზე და სთხოვა იგი, რაც ჩვენ ზემოთ მოკლედ მოვიხსენიეთ ხაზინისაგან დავების ატეხის გამო. ჩვენა გვგონია, მეტი არ იქნება ბ-ნს გორემიკინს აუწყონ, სხვათა შორის, ეს ერთი მიზეზიც საქმეების დაბრკოლებისა და სთხოვონ, ამ მხრით წამალი რამ დასდოს მთავრობამ ჩვენში გამიჯვნის საქმეს. ჩვენში არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ გადაჭარბებულ გულმოდგინებას სახელმწიფო ქონებათა მოხელისას სადავოდ გაუხდია არამც თუ გარეთი მამულები, არამედ თვითონ სახლებიც და სახლ-კარის ადგილებიც იქ, საცა ხსოვნაც არის, რა ხნიდამ სახლ-კარის პატრონი უდავიდარაბოდ და მშვიდობიანად მდგარა და დგას. აბა საცა შესაძლოა ამისთანა ამბავი, იქ გამიჯვნის საქმემ, რასაკვირველია, ფეხმუხლი უნდა მოიჭრას სწრაფად სიარულისა.

[1894 წ.]



<მინისტრის მოლოდინში>

ტფილისი, 3 სექტემბერი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენში მოდის სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების მინისტრი. ბ-ნს მინისტრს უნებია თავისის თვალით ინახულოს, სხვათა შორის, ჩვენი ქვეყანაცა, შეიტყოს მისი ავი და კარგი და, რაც ეშველება, უშველოს.

მცირეოდენი დრო, რომელსაც ბ-ნი მინისტრი ჩვენში დაჰყოფს, მეტად მოკლე ხანია და ძნელია კაცმა იფიქროს, რომ ამ მოკლე ხანში მან შეიტყოს იგი არსებითი ვითარება ქვეყნისა, რომლის ცოდნა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს რაიმე რიგიან დადგენილებისათვის და ნაყოფის მომცემ ცვლილებისათვის. იმისთანა თანამდებობის კაცს, როგორიც მთელის იმპერიის მინისტრია, ძნელად მოეთხოვება ერთს ადგილას სადმე დიდხანს დაყოვნება, რადგანაც სხვა ათასი საქმე კარს ადგა და ჰღაღადებს დაწყებას და გათავებას.

ეჭვი არ უნდა გვქონდეს მისი, რომ ბ-ნი ერმოლოვი გულმოდგინე კაცია და აღსავსეა სურვილით, რომ საცა მიდის, იმ ქვეყნის ტკივილი შეიტყოს და წამალი მოუპოვოს. იგი ერთი იმისთანა მინისტრია, რომელზეც მთელის რუსეთის განათლებულმა საზოგადოებამ დაამყარა თავისი სასოება და იმედი გაჭირვებისაგან ხსნისა და თითქმის ღაღად-ჰყო მის მინისტრად მიწვევაც კი. მაშასადამე, მისს მოსვლას ჩვენს ქვეყანაში არ უნდა ჰქონდეს საგნად მარტო გავლა-გამოვლა აქა-იქ და მერე წასვლა მარტო იმ აზრით, რომ სთქვას, ლამაზი ქვეყანა ყოფილაო, და სხვა ამისთანა.

რაკი ესეა და რაკი ვერ ვიმედოვნებთ, რომ ბ-ნმა მინისტრმა ჩვენს ქვეყანას იმოდენა დრო შესწიროს, რამოდენაც საჭიროა ქვეყნის ავკარგიანობის ზედმიწევნით საცოდნელად, ჩვენ თვითონ აქაურები უნდა ვეცადნეთ, ბ-ნს მინისტრს გავაგებინოთ ყოველივე ის, რაცა გვტკივა და რა გვაბრკოლებს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრების გზაზე.

ამ მხრით, ვისაც კი ჩვენში საზოგადო გაჭირვებული მდგომარეობა აწუხებს, ყველანი სცდილობენ მოიფიქრონ, გამოარკვიონ საჭიროებანი და წამალიც შველისა ამცნონ. ამ მზადებასა და მოფიქრებაშია მოთავენი ტფილისის, ქუთაისის ქალაქებისა და აქაური სამეურნეო საზოგადოება და მხოლოდ მარტო ერთი ჩვენებური თავადაზნაურობა მიჩუმებულია და ბუზსაც არ იფრენს, თითქო მისი გარეშემო სოფლად ყველაფერი ვარდებით იყოს მოფენილი და არაფერი არ ეჭირვებოდეს არც სოფელს, არც მეურნეობას, არც თავად-აზნაურს, არც გლეხსა. ეს ამისთანა გულგრილობა მაშინ, როდესაც აქ მოდის იმასთანა მინისტრი, რომელიც გულმოდგინედ მცდელია ნახულს ქვეყანას დანახული სატკივარი გაუგოს და გზა ხსნისა მისცეს შეძლებისამებრ, ჩვენა გვგონია შეუნდობელი ცოდვაა წინაშე ქვეყნისა საერთოდ და საკუთარის თავისა ცალკედ.

მინამ დროა ბ-ნ მინისტრის მოსვლამდე, ჩვენ ვურჩევთ ჩვენებურ თავადაზნაურობას ამიერ თუ იმიერ საქართველოისას საგანგებო კრება მოახდინონ, ან სხვა რამ ღონე იღონონ იმის მოსაფიქრებლად საერთოდ, რომ უშველონ ბ-ნ მინისტრს გამორკვევა ჩვენის ქვეყნის ვითარებისა, აღნიშნონ იგი საგნები, რომელზედაც უნდა მიიქცეს ბ-ნ მინისტრის ყურადღება, და თავის მხრით უჩვენონ გზა გაჭირვებისაგან ხსნისა.

ყველანი იძახიან, რომ ღმერთს ჩვენთვის მდიდარი ქვეყანა მოუცია და მასზე მცხოვრები ერი კი სიღარიბიდამ ვერ გამოსულა. რად უნდა იყოს ესე, თუ ერთი დიდი იარა და ნაკლი არა აქვს ჩვენს ქვეყანას თვით ცხოვრების აგებულებაში და წესთწყობაში, რომელიც ამოქმედებს ერს საეკონომიო სარბიელზე? ან ვინ უნდა იცოდეს ეს ნაკლი ისე ზედმიწევნით, ისე

მართლად, თუ არ ქვეყნის მკვიდრთავე, რომელთ გარშემო დღე ყოველ ისმის ღაღადი ქვეყნისა და მდინარებს მისი ვაი-ვაგლახი.

ჩვენდა სმწუხაროდ, გლეხს მინისტრამდე ხმა ძნელად მიუწვდება. დაგვრჩა მარტო ერთი თავადაზნაურობა, რომელსაც გზა აქვს მისვლა-მოსვლაც იქონიოს ბ-ნ მინისტრთან და მოილაპარაკოს კიდეც მასზედ, რაც ეჭირვება ქვეყანას და რაში შესაძლოა საქმის შველა და წარმართვა, აქ საჭიროა მხოლოდ კარგად მოფიქრებული სიტყვა, დასაბუთებული ნაკლი ქვეყნისა, კარგად და ნათლად გამორკვეული ჭეშმარიტი საჭიროება საქვეყნო თვისებისა და არა კერძო რამ ცალკე თითო-ოროლა კაცისა.

იმედია, ჩვენებური თავადაზნაურობა არ დაჰკარგავს ამ იშვიათს შემთხვევას ბ-ნ მინისტრის მოსვლისას, ამ შემთხვევას ღირსეულად დახვდება და გაუძღვება და მით რაიმე შეღავათს და შველას მისცემს ჩვენს ქვეყანასა. კიდევ ვიტყვით, შეუნდობელი ცოდვა იქნება, რომ ამ შემთხვევაში თავადაზნაურობამ მის საკადრისად თავი არ იჩინოს და ხმაამოუღებელი დარჩეს.

[1894 წ.]

<ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე>

ტფილისი, 18 სექტემბერი.

ბ-ნი მინისტრი სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედებისა მოდის და ჩვენს საზოგადოებაში დიდი ლაპარაკია, რა ვუთხრათ და რა ვთხოვოთო. ამის მითქმა-მოთქმაში მრავალი სხვადასხვანაირი სათქმელი აღმოჩნდა და უფრო მრავალი სხვადასხვაგვარი სათხოვარი.

ჩვენა გვგონია, რომ ყველაზე უწინარეს თავდაპირველ საგნად უნდა წარუდგეს ბ-ნ მინისტრს ერთი ყველასაგან ადვილად დასანახი გარემოება და ყველასაგანვე თითქო დავიწყებული. ჩვენ ვამბობთ დავიწყებული, იმიტომ, რომ როცა ლაპარაკია ჩვენში აქაურ მიწათმოქმედების ავკარგიანობაზე და უნუგეშობაზე, იგი გარემოება, რომელიც, ჩვენის ფიქრით, თავი და თავი მიზეზია ჩვენის მიწათმოქმედების უნუგეშობისა და უკან დარჩენისა, არავისაგან არ არის ხოლმე სახეში მიღებული. და ამიტომაც გაჭირვების და სატკივარის წამალს იქ ვადებთ, საცა სატკივარის ბოლოა და არა სათავე, საცა შედეგია და არა მიზეზი. ეს იმასა ჰგავს, რომ კაცმა მღვრიედ მდინარე ნაკადული წყალისა ბოლოდამ ეცადოს დასწმინდოს ხოლმე და არა სათავიდამვე, თუ მაინცდამაინც დაწმენდა უნდა.

ხსენებული გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენის მიწათმოქმედების გარს ყველაფერი გამოიცვალა და ამ ცვლილებას თავისდაგვარად უნდა შეეცვალა თვითონ მიწათმოქმედების გზა და მიმართულება ჩვენში. ეს არ მოხდა. მიწათმოქმედების სვლა ჩვენში ისევ ძველს საჭიროებას და მოთხოვნილებასა აქვს შეწონილი და შეფერებული და თუ ამას უწინ თავის პატივსადები საბუთი ჰქონდა, ეხლა ცარიელის ზარალის მეტი არა მოაქვს რა და მიწათმოქმედება, მამულის ასე თუ ისე კეთება, ხელს არ აძლევს მოჭირნახულეს იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა დღეს და შესაძლებელი ჩვენის ქვეყნის ჰავისა და მიწის მიხედვით.

მაშინ, როცა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას გარს მტრები ეხვია, როცა სამეზობლოდ მდგომარე ხალხი სამტროდ იყო დამოკიდებული, როცა საქართველო მტერთაგან შინ ჩაკეტილი იყო, გასვლა-გამოსვლის გზები ან სრულიად შეკრული ჰქონდა, ან იმისთანა, რომ დიდის გაჭირვებით, ხარჯით და დროს დაკარგვით, საქართველო, არამც თუ სხვა ქვეყნებს, თავისს საკუთარ ნაწილებსაც კი თვალს და ხმას ძლივ მიაწვდიდა ხოლმე. — მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი მიწათმოქმედება უნდა ძალაუნებურად მიქცეულ ყოფილიყო მასზე, რომ ყველაფერი თავისი საკუთარი ჰქონიყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა სააღებმიცემოდ ჭირნახულის გაჩენას ფიქრადაც ვერ გაიტარებდა, რადგანაც აღებმიცემობა თხოულობს მშვიდობიანს, იეფს და მსწრაფლ გზასა და საქონლის გადასატანგადმოსატანად.

ამ გარემოების ძალმომრეობით ჩვენი მართლა-და მდიდრად შემკული ქვეყანა იძულებულ იყო, რაც საცხოვრებლად ადამიანისათვის საჭიროა, შინ თვითონვე ეკეთებინა და მიწისაგან ამოელო, თუ არა და, მშიერი და შიშველი დარჩებოდა. მაშინ არა თუ საჭირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვქონოდა და სხვა საჭირო მარცვლეულობა, არამედ სამოსელიც კი. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც, ოცდაათ წლის წინად ერთს სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მაქო ფეიქრისა არ დაგენახათ, მატყლის საჩეჩელი საშალე ძაფისათვის არ ყოფილიყო გამართული თითქმის თითეულის მცხოვრების დერეფანში, ხშირად არ შეგხვედროდათ სამღებრები ნაქსოვის, თუ ნაკეთების საღებავად, და სხვა ამისთანა წვრილმანი საოჯახო, საშინაო მრეწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი.

აღებმიცემობის მოწყალებით ეს წვრილმანი საოჯახო და საშინაო მრეწველობანი გაუქმდა, რადგანაც დამშვიდებამ ჩვენის ქვეყნისამ, კარგმა გზებმა სამეზობლოდ მისვლა-მოსვლისამ, აღებმიცემობას სახსარი მისცა უფრო იეფის, უფრო კარგის საქონლის მოტანისა, და შინაურმა წვრილმანმა მრეწველობამ მოტანილს საქონელს ვერც ფასში და ვერც სიკეთეში ცილობა ვერ გაუწია. დაანება ჩვენმა ქვეყანამ ამ წვრილმანს მრეწველობას თავი და ირჩია ნაწარმოებთა ყიდვა სხვისაგან, იმიტომ რომ საეკონომიო სფეროში წინამძღვრობს მარტო სიიეფე და სიკეთე სასყიდელ საქონლისა და სხვა არა-რა.

ამ გარემოებამ და ამასთან იმანაც, რომ სახელმწიფო ხარჯს წინად მიწის მოსავლით იხდიდა ხალხი და ეს ეხლა ფულად სახდელი გაუხდა, ის მოიტანა, რომ ფულის შოვნა მეტად გაძლიერებულ საჭიროებად შეიქნა ჯერ ხსენებულ მრეწველობათა ნაწარმოების სასყიდელად და მერე სახელმწიფო ხარჯის სახდელად. ფულის საჭიროებას, რასაკვირველია, სულ სხვა გზა უნდა მიეცა ჩვენებურ მიწათმოქმედებისათვის, რომელიც დღეს ერთადერთი სახსარია, ერთადერთი წყაროა, ერთადერთი საეკონომიო მოქმედებაა ცხოვრების გასაძღოლად ჩვენში.

შემდეგ ვეცდებით გამოვარკვიოთ, ჩვენმა მიწათმოქმედებამ შეუფერა თავისი გზა ამ საჭიროებას თუ არა.

ტფილისი, 21 სექტემბერი,

ჩვენ წინა წერილში („ივერია", №198) მოვიხსენიეთ, რომ ფულის შოვნის საჭიროება გაგვიძლიერდა ცალკე იმ მიზეზით, რომ, რაც უწინ შინვე ჩვენში კეთდებოდა, ის ეხლა სასყიდელი გაგვიხდა, და ცალკე მით, რომ სახელმწიფო ხარჯი ფულით მოსაშორებელი შეგვექნა.

რადგანაც ჩვენის შეძლების და ეკონომიურ ღონისძიების ერთადერთი სახსარი მიწათმოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიქცეულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც აღებმიცემობის ბაზარში, შინა თუ გარეთ, კარგი გასავალი ჰქონებოდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მადლიანი ჰავა და ნოყიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღევანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწეობით უფრო მეტად ახეირებს მოჭირნახულეს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გაგვაქვს ბაზარში.

სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთექო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულსათვის, როგორც, მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა. პურს, თუ უწინ, როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია. დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგვეღო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინისგზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორის კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდამ მოვიტანოთ ჩვენი სამყოფი პური, — რუსეთს აღარ ვიტყვით, — უფრო იეფად და უფრო კარგიც, ნუ თუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით.

ჩვენ რომ ამ გზას დავდგომოდით, ან დღეის იქით დავადგეთ, ჩვენ საქვეყნო თუ სამეზობლო ბაზარში ჩვენს ძვირფასს ჭირნახულს გავიტანდით და იქიდამ იმ საჭირო ჭირნახულს შემოვიტანდით, რომელიც ამ გზით უფრო იეფად დაგვიჯდებოდა, ვიდრე ეხლა გვიჯდება, როცა ჩვენვე მოგვყავს შინ. მაგალითებრ, წელს ოდესაში პური ფუთი თითქმის 26 კაპიკად იყიდებოდა, ნუთუ ოდესსიდამ პურის მოტანა ამ ფასად უფრო სახეირო არ იქნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის, რომელსაც, თუ რიგიანად ვიანგარიშებთ, შინაური პური ერთი ორად ამაზე მეტი უჯდება, რაც გინდ ნაკლები ვიანგარიშოთ: თუმცა იშვიათი ამბავია ჩვენში, რომ ჩვენი

შინაური პური ფუთი სამ-ოთხ აბაზზე ნაკლები იყოს, მაგრამ მაინც მოჭირნახულეს ბევრს არას აძლევს გამოსარჩენსა და ამ გზით მის ჯიბეს ბევრი არა ემატება-რა.

სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც, რუსეთის ჰავისა და მიწის მიზეზით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ, და რუსეთიდამ პური გვეზიდნა; ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნებოდა: ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იეფად დაგვიჯდებოდა და მერე ჩვენი გასასყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვცემდა, უფრო მეტს ამოიღებდა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ეხლა იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმარებთ, რომ უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ, ორგზით მოგებაში ვიქნებით.

ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც კი გაუსაღებია, — სახელმწიფო ინტერესის თვალითაც კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავის ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა მაშინ, როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის, საქართველოც შეიქმნება, და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაუძლიერდება.

ვიდრე მთავრობა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას არ შეხედავს იმ თვალით, რომ აქ მიწათმოქმედებას სხვა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს მისი ჰავისა და მიწის შესაფერი, ვიდრე თავის მეცადინეობას იმაზე არ მიაქცევს, რომ ახალი საჭირნახულო საგანი გაუჩინოს აქაურ მიწათმოქმედებას, იმ დრომდე ყველაფერი ფეხზე დადებული მალამო იქნება, მაშინ როდესაც სატკივარი თავზეა.

ბ-ნი მინისტრი მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მობრძანდება აქ ქვეყნის ვითარების შესატყობად და მეტად სანატრელია, რომ ჩვენზე უფრო მცოდნე კაცთა ეს განსხვავებული გარემოება აქაურ ქვეყნისა უფრო მეტის საბუთით წარუდგინოს და ამის

საშველის სარჩიელი გამოურკვიოს. აქაური სამეურნეო საზოგადოება, როგორცა სჩანს მის განაჩენიდამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ საშველის სარჩიელზე დამდგარა. სჩანს ამ პატივცემულს საზოგადოებასაც იგი საჭიროება დაუნახავს, რაც ჩვენ აქ მოკლედ მოვიხსენიეთ.

[1894 წ.]



<მიწათმოქმედების სწორად წარმართვისათვის>

ტფილისი, 25 სექტემბერი

ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ მიმართულება შეიცვალოს და იგი ჭირნახული მოიყვანოს, რომლის შეძლებასაც იძლევა აქაური ჰავა და მიწა, და რომელსაც დიდი ფასი აქვს, დიდი მუშტარი ჰყავს და ადვილად გადასატან-გადმოსატანია („ივერია“ №200), ამას, რასაკვირველია, კარგა ხანი და დრო უნდა.

იმ სისტემას მიწათმოქმედებისას, რომელიც დღეს ჩვენში არსებობს და რომელსაც საგნათა აქვს ყველაფერი თავისი იქონიოს, დიდი ხანია მიჩვეულია აქაური მოჭირნახულე და დიდის ხნის ჩვეულებას ეგრე ადვილად ზურგს ვერ შეუქცევს მიწათმომქმედი არამც თუ ჩვენში, არამედ სხვაგანაც. აქაურს მკვიდრს რომ უთხრათ, — დაანებე თავი პურის მოყვანას, რადგანაც სხვიდამ უფრო იეფად მოიტან, და მოიყვანე ის, რაც სხვაგან ან სულ არ მოდის, ან ძალიან ნაკლებია, რასაც სხვაგან, სამეზობლო ბაზრებში კარგი ფასი აქვს და პურზე მეტი გამოსარჩენია, იქნება სასაცილოდაც აგიგდოთ: პურზე ხელი როგორ ავიღოვო.

ის კი არ ვიცით, რომ რაც პურისათვის გარჯა და შრომა უნდა, რამოდენა მიწებსაც პურზე ვაცდენთ, ყოველივე ის რომ, საცა შეიძლება სხვა უფრო ფასიან ჭირნახულს მოვახმაროთ, ფულსაც უფრო ბლომად ვიშოვით და კუჭსაც უფრო ადვილად და გაუჭირებლად გავიძღობთ. ეს მით უფრო შესაძლებელია და მოსახერხებელი ჩვენში, რომ აქაური ჰავა და მიწა, როგორცა ვსთქვით ზემოდ, ამის ღონეს და სახსარს

გვაძლევს. რა გნებავთ, რომ აქაურმა ჰავამ არ გამოზარდოს და აქაურმა მიწამ არ მოიყვანოს? ყოველგვარი მცენარე, რაც ერთის პოლუსიდამ მეორემდე მოდის ქვეყნიერობაზედ, თითქმის ყველა იგი შესაძლებელია მოსაყვანად და გასაზრდელად ჩვენში.

რადგანაც ჩვენი ქვეყანა დღეს მარტო მიწათმოქმედებით ჰშოულობს თავის სარჩო-საბადებელს და მარტო მიწათმოქმედებით სცხოვრობს, აქ უნდა ვეცადნეთ გავამრავალგვაროთ საგნები მიწათმოქმედებისა და იგი არ მოვაცდინოთ იმაზე, რაც სხვიდამ ადვილად მოსატანია და იეფად სასყიდი. გამრავალგვარებას მიწათმოქმედების საგნებისა, მერე იმისთანებისა, რომელთაც კარგი ფასი აქვთ სამეზობლო, თუ საქვეყნო ბაზრებში, ცოდნა და შეძლება უნდა. უამათოდ შეუძლებელია ცვლილებისა რისამე მოხდენა და მიწათმოქმედების იმ გზაზე დაყენება, რომელსაც ჩვენ ვამბობთ.

ცოდნისათვის ყველაზე უწინარეს სამეურნეო სკოლებია საჭირო და მათ შორის ერთი მაინც იმისთანა, რომელსაც უმაღლესს სკოლას ეძახიან. დღესაც ყველა მცოდნე კაცს ეოცება, რომ ამისთანა მდიდარ ქვეყანაში ერთი ამისთანა უმაღლესი სკოლა არ არის. სკოლები, რასაკვირველია, თავისს სარგებლობას მოიტანენ თავის დროს, მაგრამ ამას ჟამი და ხანი უნდა, დრო კი თავისას არ იშლის და ჩვენ უკან-უკან მივდივართ. ამისათვის, გარდა სკოლისა, აქაურ მკვიდრთათვის დიდი რამ იქნება სამაგალითო ფერმები, საცა ყოველი კაცი თავისის თვალით დაინახავს ავკარგიანობას იმ ახალს ჭირნახულისას, რომელსაც იგი ფერმები მოიყვანენ, აქაურ ჰავასა და მიწასთან შეფერებულად, ჰნახვენ და ისწავლიან იმ ახალ ჭირნახულის ხელს, მოვლას და პატრონობას. სამაგალითო ფერმა ორგვარია: ერთი სამეცნიერო, რომელსაც საგნად უფრო ისა აქვს, რომ გამოსცადოს, რა ჰხეირობს, როგორ ჰხეირობს, ერთი სიტყვით, თეორია საქმედ როგორ გადიქცეს. ამისთანა ფერმაში ხარჯი ყოველთვის აღემატება ხოლმე შემოსავალს. არის მეორეგვარი ფერმა, რომელსაც განსაკუთრებით აღებმიცემობის ხასიათი აქვს და რომელიც იმაზეა აგებული, რომ ჭირნახულმა მოჭირნახულეს რაც შეიძლება მეტი გამორჩენა მისცეს

და ამიტომაც საგნად უფრო ისა აქვს, რომ ხალხს დაანახვოს, რა მცენარე უფრო სახეიროა გასაჩენად და გასამრავლებლად და რა მოქმედება უფრო მეტს იძლევა. არც ამისთანა ფერმაა უიმისოდ, რომ სამეცნიერო ცდაც საგნად არა ჰქონდეს, მაგრამ ამ ცდას ფერმაში მცირე ადგილი აქვს დათმობილი, თავი და თავი საგანი კი ის არის, რომ მსურველს აჩვენოს, ასწავლოს, რა და რა ჭირნახულია მოსაყვანი, რაგვარად არის მოსავლელი, ხელშესაწყობი, რომ გამორჩენა ბლომა და ბარაქიანი იყოს. აი ეს მეორეგვარი სამაგალითო ფერმაა საჭირო ჩვენში გასამართავად ყველგან, საცა-კი სხვადასხვაობა ჰავისა და მიწისა სხვადასხვაობას ჭირნახულისას ხელს უწყობს.

ყოველ ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ არ არის იმისთანა უკან დაწეული ქვეყანა, საცა თითო-ოროლა კაცი, აქა-იქ, კანტიკუნტად არ გამოვიდეს და არ შეეჭიდოს თავისს საკუთარის ღონით რომელსამე ახალს საქმეს თავისს ქონების გასაძლიერებლად. არც ჩვენი მიწათმოქმედებაა უიმისო, რომ თითო-ოროლა ცალკე კაცი არ გამოდიოდეს და ამისათვის წელებზე, როგორც იტყვიან, ფეხს არ იდგამდეს, ახალს რაიმე საგანს არ შესჭიდებოდეს, რომ როგორმე სვე გაიტანოს. ხშირად ამისთანა კაცს მხნეობაც დიდი აქვს, გარჯილობაც, მაგრამ ვერასა ჰხდება და თავისს ტვირთქვეშ ითელება. ამისთანა მეცადინე კაცს, მის მიერ ახლად დაწყებულ საქმეს რომ მთავრობა მიეშველოს, შემწეობა და საჭირო შეღავათი მისცეს, ამ მხრითაც ქვეყანას ცოტად თუ ბევრად ეშველებოდა და ახლად დაწყებული, მაგრამ უმწეობით წამხდარი საქმე აბრუს არ გაიტეხდა ხალხში, აი იმან კი არ დაიწყოო, მაგრამ ვერას გახდაო, ამას მაინც არ იტვიან.

ამასთან ფრიად საჭიროა, სხვადასხვა თესლეულობა სასყიდლად საშოვი იყოს აქავ ჩვენში. ამ მხრით დიდს შემწეობას მოგვცემდა თესლეულობის საწყობი, რომელსაც ჯერ ხანად ცალკე კაცი ვერ გაბედავს იქონიოს ზარალისა და უმუშტრობის შიშითა. მთავრობისათვის კი, თუნდ მართლა ზარალიც იყოს, არაფრად საფიქრებელია, ჯერ იმიტომ, რომ მაგოდენი ზარალი არა იქნება-რა და მერე იმიტომ, აქ

ნაზარალევი მკვიდრთა ქონების გაძლიერებით სხვა სახით დაუბრუნდება მთავრობასვე თავისს დროზე.

აი, ჩვენის ფიქრით, უმთავრესნი საჭიროებანი, რომელსაც ჩვენებურებმა ყურადღება უნდა მიაქცევინონ ბ-ნს მინისტრს, რომელიც ჩვენში მობრძანდა, როგორც ამბობენ, აქაურის ქვეყნის საჭიროების შესატყობლად და წამლის დასადებად.

[1894 წ.]



<იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების გამო>

ტფილისი, 22 ოქტომბერი.

მიცვალება აწ ღვთის მიერ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III-ისა — ეს დიდი სამგლოვიარო და სამწუხარო ამბავი — უიმისოდ არ ჩაივლის, რომ დიდი ზედმოქმედება არ იქონიოს მთელს ქვეყნიერობაზე საერთოდ და რუსეთის იმპერიაზედ საკუთრივ იმ მხრით, რომ ერთს ძლიერს სახელმწიფოს გარდაეცვალა ხელმწიფე, მოყვარე მართლისა, გულმტკიცე, მშვიდობისმყოფელი და გულითადი მსურველი თავის ქვეყნისა და ერის ბედნიერებისა.

აწ ღვთის მიერ განსვენებული გვირგვინოსანი პატრონი და ხელთმძღვანელი რუსეთისა დაიბადა 26 თებერვალს 1845 წ. და მამა-პაპათა ტახტზე აბძანდა 2-ს მარტს 1881 წ., მაშასადამე, მისი ხელმწიფობა ცამეტ წელიწადზე ცოტა მეტია. ძნელი და მძიმე დრო შეხვდა განსვენებულსა. საგარეო საქმეთა გარემოებანი, ცალკე, ვითარცა ნაშთნი რუსეთ-ოსმალოს ომებისა, ცალკე, ვითარცა შედეგნი ფიცხელის ომისა საფრანგეთისა და გერმანიის შორის, იმოდენად გამწვავებულნი იყვნენ, იმოდენად არეულ-დარეულნი და აწეწილნი, რომ მცირეოდენი მიზეზი საკმაო იყო, სადმე აფეთქებულიყო ომი, რომლის მოლოდინითა და საშინელებითა თრთოდა მთელი კაცობრიობა ყოველ ცისმარა დღეს. სისხლისღვრა, აოხრება ევროპისა და განადგურება მისის სიმდიდრისა, რომელიც აუცილებლად მოჰყვებოდა ომს, შიშითა და ზარით თვალწინ ეხატებოდა მშვიდობის

მნატვრელს კაცობრიობას. ვამბობთ კაცობრიობას, იმიტომ, რომ დედაძარღვი კაცობრიობისა დღეს ევროპაა და ევროპის მკვიდრნი სხვას არას ჰნატრულობდნენ მშვიდობიანობის გარდა, როგორც ეხლა, ისეც მაშინ.

რუსეთს, როგორც ერთს უდიდეს სამპყრობელოს, უნდა ანგარიში გაეწია ამ რთულ და საშიშარ გარემოებათათვის გარედ და თვისი მოქმედება შეეწონა დროთა მოთხოვნილებისათვის. გარდა ამ საგარეო საქმეთა, შინაურნი საქმენიც ითხოვდნენ განსაკუთრებულს ყურადღებას, შველას და წარმართვასა. აქ, ამ სფერაში, განსვენებულმა იმპერატორმა თითქმის გახელმწიფების უმალვე აღიარა, რომ იგი საგნად თავის უმაღლეს მზრუნველობისას სდებს გაძლიერებას თვითმპყრობელობისას, მტკიცედ დაცვას წესისას და უფლებისას, ერის ოფლისა და ქონების ზოგვას, სამართლიანობისა და კანონიერობის გავრცელებას.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით მოკლე გაზეთის წერილში ყოველს იმ სფერას სახელმწიფოს რთულის გამგეობისას შინად თუ გარედ, საცა განსვენებულმა იმპერატორმა თვისის ხელმწიფების კვალი დააჩნია საისტორიოდ. ჩვენ მხოლოდ ვეცდებით იგი ღვაწლი განსვენებულისა გამოვარკვიოთ, რომელიც, ჩვენის ფიქრით, განსაკუთრებულსა და განსხვავებულს მნიშვნელობას აძლევს მისს ხელმწიფებას გარედ თუ შინა.

საგარეო საქმეთა პოლიტიკაში განსვენებული მპყრობელი რუსეთისა ცნობილია, ვითარცა მშვიდობის მყოფელი კაცთმოყვარე ხელმწიფე, მტკიცე სიტყვისა და მტკიცე მიმართულებისა. თითქმის მთელის ევროპის ჟურნალ-გაზეთობამ და უპირატესთა სახელმწიფო კაცთა ერთხმად აღიარეს, რომ მშვიდობისმოყვარეობამ და კაცთმოყვარეობამ ღვთის მიერ განსვენებულ იმპერატორისამ დაიხსნა ევროპა საშინელის სისხლისღვრისაგან და აოხრებისაგან ამ ცამეტის წლის განმავლობაში, თუმცა ამისათვის დღე ყოველ მრავალი სხვადასხვა მიზეზი იყო. კაცობრიობაო, ამბობენ იგინი, მადლობელი უნდა იყოს ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III-ისა, რომ ამ ცამეტ წელიწადში ევროპა

არ შეაძრწუნა საშინელმა ხოცვა-ჟლეტამ, სრვამ და სისხლთა დენამ.

მართლა და, ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე III ბრძანდებოდა მიზეზი, რომ ზოგიერთთა სახელმწიფოთა შორის გამწვავებულმა საქმეებმა ომამდე, სისხლისღვრამდე არ მიაღწია. ვინ არ იცის, რარიგად ხმალამოწვდილნი ედგნენ ერთმანეთს პირისპირ გერმანია და საფრანგეთი, რომელთა ომი და ჩხუბი ჩაიყოლიებდა თითქმის მთელს ევროპას. ეგრეთ წოდებულს „სამთა კავშირს", ომისათვის თითქმის ხმალამოწვდილს, მან შეაჭრა ფრთები მით, რომ გერმანიისაგან დაჩაგრულსა და დაბრიყვებულს საფრანგეთს თავისი ძლიერი ხელი სამეგობროდ გაუწოდა. კრონშტატის და ტულონის საღღესასწაულო ამბებმა „სამთა კავშირს" თვალი აუხილა და ქარქაშიდამ ამოღებული ხმალი უკანვე ჩააგებინა მით, რომ თუ ვინიცობაა საომრად გაიწევ, იცოდეო, მარტო განცალკევებულ საფრანგეთთან კი არ გექნება ომიო, იმასთან ერთად დიდ და ძლიერ რუსეთთანაცაო.

ამ თავდაჭერილმა და მშვიდობიანმა მუქარამ თავისი ჰქმნა: „სამთა კავშირს" წინ დაუყენა მისი სწორი ძალღონე საფრანგეთისა და რუსეთისა და მით შეუმუსრა გაბედულობა. ასეთივე მშვიდობისმოყვარეობა გამოიჩინა განსვენებულმა აღმოსავლეთის საქმეშიაც: მარტო ერთი ბოლგარეთის ამბები რომ გავიხსენოთ, კაცი გაოცდება, რაოდენი სულგრძელი მოთმინება იყო საჭირო ძლიერის ხელმწიფისა, რომ ამ ამბებს უომრად, სისხლდაუღვრელად ჩაევლო. ამისთანავე მიზეზიანი ამბავი მოხდა 1885 წელს კუშკაზე ავღანელებთან. აქ უეცარმა და მოულოდნელმა შეჯახებამ რუსეთისა და ავღანელების ჯარებისამ კინაღამ ინგლისთან ომი არ გამოიწვია და თუმცა რუსეთმა მას შემდეგ ერთი უშველებელი მხარე შემოიერთა და მით თავისი მიჯნები ავღანისტანს მიაბჯინა, მაგრამ წინდახედულმა პოლიტიკამ ომი ააცილა ქვეყნიერობას და ამ ამბავმა უსისხლოდ ჩაიარა.

ამ კაცთმოყვარეობამ და მშვიდობისმყოფელობამ, რომლითაც აღსავსე იყო გული იმპერატორის ალექსანდრე III-ისა, რამდენი ასი ათასი გამრჯელი

კაცი შეარჩინა ევროპას, რამდენი ასი ათასი კაცი გადაარჩინა უდროო სიკვდილს! ნუღარ ვიტყვი იმას, თუ რამდენი ქონება, რამდენი სიმდიდრე და, მაშასადამე, რამდენი ეკონომიური ძალ-ღონე და სახსარი ცხოვრებისა შეურჩინა კაცობრიობას და არ შეამუსვრინა იმ ვეშაპს, რომელსაც ომს ეძახიან! ამ მხრით ღვაწლი ქვეყნიერობის წინაშე დიდია და დიდიც არის სახელი მშვიდობისმყოფელისა.

იმედია, რომ მადლობელი კაცობრიობა ამ ღვაწლს განსვენებულისას არ დაივიწყებს და იმპერატორის ალექსანდრე III-ის სახელს „მშვიდობის მყოფელობითაც" მოიხსენიებს.

შინაურ საქმეებშიაც დიდი კვალი დააჩნია განსვენებულის იმპერატორის ხელმწიფებამ და ხელმძღვანელობამ. ჩვენ არ ვიტყვით, უადგილობის გამო, რა ცვლილება მოხდა იმის ხელმწიფობის დროს საფინანსო, საერო სწავლა-განათლებისა, სამოსამართლო, საადმინისტრაციო და სამხედრო საქმეებში. ჩვენ მარტო ამას ვიტყვით, რომ მისი ძლიერი ხელი თითქმის ყოველს სფერას სახელმწიფო გამგეობისას, ასე თუ ისე, შეეხო, ხოლო ყველაზე შესანიშნავი მოქმედება, ჩვენის ფიქრით, გამოჩნდა შინაურ საეკონომიო პოლიტიკაში.

მის დრომდე საეკონომიო პოლიტიკას რუსეთში წინ მიუძღვებოდა ის აზრი, რომ ეკონომიური კეთილდღეობა სახელმწიფოსი და ერისა მარტო აღებმიცემობისა და ვაჭრობის გაძლიერებაზეა დამოკიდებულიო. ამისათვის ყოველივე მოღვაწეობა და მოქმედება სახელმწიფოსი მიქცეული იყო თითქმის მარტო აღებმიცემობასა და ვაჭრობაზე. საშველად აღებმიცემობისა და ვაჭრობისა არაფერს ჰზოგავდნენ, რაც კი შესაძლებელი იყო. კანონმდებლობა იყო, სულ იმას ჰმეცადინეობდა, რომ გაეძლიერებინა ეს გვარი მოქმედება, ფული იყო, ფულით მხარს აძლევდნენ, კრედიტი იყო, სახელმწიფო ბანკის ზანდუკი მარტო ვაჭრობისა და აღებმიცემობისათვის იყო ღია. განსვენებულის ხელმწიფებამ შეავსო და შეასწორა ეს ცალკერძოდ მიმართული მზრუნველობა სახელმწიფოსი. ცნობილ და აღიარებულ იქმნა, რომ მარტო ერთი აღებმიცემობა და ვაჭრობა

ვერას უშველის ქვეყანას, თუ სხვა საეკონომიო მოქმედებანიც მასთან ერთად ფეხს მაგრად არ მოიკიდებენ და წინ არ წაიწევიან; რომ თვით ვაჭრობა და აღებმიცემობა უხელ-ფეხოა, შეუძლებელია, უღონოა თუ სხვა მოქმედებანიც, რომლის ძალითაც მკვიდრი უნდა ჰშოულობდეს თავის სახსარს ცხოვრებისას, არ არის ვაჭრობასთან ერთად ფეხადგმული, დაღონიერებული და წარმატებული.

საეკონომიო პოლიტიკას იმპერატორმა ალექსანდრე III-მ ეს აზრი დაუდვა საფუძვლად და მზრუნველობა სახელმწიფოსი სხვა საეკონომიო მოქმედებითაც მოჰფინა. მიწათმფლობელობას და მიწათმოქმედებას აღმოუჩინა შემწეობა სახელმწიფოსი, აგრეთვე საფაბრიკო და საქარხნო წარმოებასაც. მუშათა საქმეს დაუდო კანონები, მიმართული მასზე, რომ საქმის პატრონის თვითნებობა დაუმორჩილოს რიგსა და წესსა და მუშას უკანონოდ არ მოექცნენ და გარჯა გადამეტებული არ გააწევინონ. თავადაზნაურობას, გლეხობას გაუმართა საადგილმამულო ბანკები, გაუღო კარი სახელმწიფო ბანკისა მიწათმფლობელს და მიწათმოქმედს; საცა საჭიროა და შესაძლებელი, ყველას და ყველგან მიაშველა კანონი, ფული და კრედიტი, შეუქმნა მიწათმოქმედებას ცალკე სამინისტრო, რომ უფრო ვრცლად, უფრო განსაკუთრებით ამგვარს მოქმედებას შემწეობა, შველა და დახმარება აღმოუჩინოს.

ამ სახით ეკონომიურს პოლიტიკას რუსეთისას უფრო მართალი, უფრო ვრცელი, უფრო ზედმიწევნილი და შემძლებელი მიმართულება მიანიჭა ქვეყნის აღორძინებისა წარმატებისათვის ეკონომიურს გზაზე. ვისაც თვალყური უდევნებია, რაც მოხდა განსვენებულის ხელმწიფობის დროს რუსეთის საეკონომიო სფერაში, ის უჩვენოდაც შეჰნიშნავდა, ნამეტნავად ამ ბოლოს ხანებში, რა დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ამ მხრით რუსეთის კანონმდებლობამ და რა დიდად სანუგეშო მიმართულება მიეცა ამ მზრუნველობას საყოველთაოდ, წოდებათა განურჩევლად.

ამ სფერაში ყოველივე, რაც დამოკიდებული არ იყო საგარეო პოლიტიკაზე, მაგალითებრ, "დამოჟნის" ბაჟი და სხვა ამისთანა სულ მკვიდრთა სასარგებლოდ იყო

მიმართულ და დადგენილ სასახელოდ განსვენებულის იმპერატორის ხელმწიფობისა.

კიდევ ვიმეორებთ, რომ ჩვენ საგაზეთო წერილში ვერ გამოვარკვევდით მთელს მნიშვნელობას აწ წარსულის ხელმწიფობისას. ისტორია იტყვის თავის უტყუარს სიტყვას უფრო მცოდნე და ზედმიწევნილ კაცის პირითა. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ განსვენებულს ხელმწიფე იმპერატორს, სხვათა შორის, ორი დიდი ღვაწლი მიუძღვის ქვეყნის წინაშე: ერთი ისა, რომ მისმა მშვიდობისმყოფელობამ და კაცთმოყვარეობამ ევროპა და რუსეთი გადაარჩინა სისხლისღვრას, და მეორე ისა, რომ რუსეთის ეკონომიურს ცხოვრებას ფართო გზა გაუხსნა განკარგებისა და წარმატებისათვის. ერთიცა და მეორეც ისეთი დიდი ღვაწლია, რომ როგორც მსოფლიო ისტორია, ისეც რუსეთისა მადლობით მოიხსენიებს მშვიდობისმყოფელს გვირგვინოსანს, აწ ღვთის მიერ განსვენებულს....

[1894 წ.]

<ინგლისმა პირი იბრუნა რუსეთისაკენ სამეგობროდ>

ტფილისი, 25 ნოემბერი

ერთი უდიდესი საქმე სამსოფლიო პოლიტიკისათვის გამომჟღავნდა ამ ბოლოს ხანებში, საქმე იმისთანა, რომელიც დიდს ამბებს მოასწავებს ქვეყნიერობისათვის საერთოდ, წვრილთა ერთათვის საკუთრივ, თუ თავი დაიჭირა და ფეხი მოიმაგრა სახანგრძლიოდ იმ საფუძვლზე, რომლის ქვაკუთხედი დღეს აშკარად გათვალისწინებულია ყოველის კაცის წინაშე.

ეს საქმე იგია, რომ ინგლისმა დღეს პირი და გული იბრუნა რუსეთისაკენ დასაახლოებლად და სამეგობროდ. ეს ამბავი მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ დიდი ნაპოლიონის დამარცხების შემდეგ თითქმის მთელი ოთხმოცი წელიწადი გავიდა და ამ ხანგრძლივ დროთა განმავლობაში ერთი იმისთანა წუთიც არა ყოფილა, რომ ინგლისი სამტროდ წინ არ დასდგომოდეს რუსეთს ყველგან და ყველაფერში.

ეს მტრობა დაუძინებელი იყო, თუმცა ზოგჯერ დროთა მიხედვისამებრ, იგი მტრობა მეტნაკლებობით იჩენდა ხოლმე თავსა: ხან ძლიერ გაიწევდა თავში, ხან ნაკლებ. დღეს სულ სხვასა ვხედავთ. ჟურნალ-გაზეთობა ინგლისისა თითქმის ერთხმად იძახის დღეს, წარსული დავიწყებას უნდა მივცეთო და დღეის ამას იქით ხელიხელგადაჭდობილი რუსეთთან ერთად უნდა ვისაქმოთო. ჟურნალ-გაზეთობა ინგლისისა მით საყურადღებოა, რომ იგი ისე ნათლად და უტყუარად არსად არ აღიბეჭდავს ხოლმე საზოგადო აზრს ერისას, როგორც ინგლისში, იმიტომ რომ სრულად დამოუკიდებელი და თავისუფალია.

სხვა ქვეყნის გაზეთები და მათ შორის რუსეთისანი ამბობენ, რომ თითქმის მთელი ჟურნალ-გაზეთები ინგლისისა, სიტყვანი პოლიტიკოსებისა, ეკკლესიაში მქადაგებლებისა და კერძო კაცებისა სულ ამ ინგლისით სამეგობროდ გამოწვდილს რუსეთისაკენ ხელს შეჰნატრიანო. რუსეთისათვის სამტროდ ცნობილნი გაზეთნიც კი, — თუ პოლიტიკოსნი, თუ ცალკე კაცნი, — სულ ამ მეგობრობას შეჰხარიანო გულით და სულით მოწადინებულნი არიანო, რომ დღეის ამას იქით რუსეთმა და ინგლისმა ერთად იარონ სამსოფლიო პოლიტიკის გზაზედაო.

მახლობელი მიზეზი, რომ ინგლისმა საჭიროდ დაინახა ამ მხრით თავი ეჩინა, იყო ჯერ უიმედო ავადმყოფობა განსვენებულის იმპერატორისა და მერე მისი უდროოდ გარდაცვალება. ჯერ მინამ განსვენებული ხელმწიფე ავად ბრძანდებოდა, ინგლისის სურათიანი სატირული გაზეთები, რომელთაც დიდი ზედმოქმედება აქვთ ინგლისში, ერთიმეორეს ეცილებოდნენ უპირატესობას და პირველობას იმაში, რომ უფრო ძლიერ და სავსებით გამოესახათ საშიშარი მოლოდინი საქვეყნო უბედურობისა. მაგალითებრ, გაზეთს „Tudy“ დახატულია ქალი, რომელიც წარმოადგენს სახეს „მშვიდობისას“. იგი ქალი მიჰყუდებია კარს, მორთულს ორთავიანი არწივითა და მწუხარებით აღსავსე ყურს უგდებს. ამ სურათს ზედ აწერია „საშიშარნი დრონი“. გაზეთ “Pall Mall Budjet”-ში გამოუსახავს ევროპა, რომელსაც თითქმის თვალში ცრემლით უპყრია ცისაკენ ხელნი ვედრებით, რომ განსაცდელისაგან დახსნილ იქმნას.

შემდეგ იმ უბედურის დღისა, როცა ხელმწიფე იმპერატორი განსვენებას მიეცა, გაზ. “Fun”-ში გამოსახულია „მშვიდობა“, რომელიც დასტირის კუბოს და ქვეშ აწერია: „მე დავკარგე მეგობარი“. ყველაზე უკეთესია თურმე სახე „მშვიდობისა“ გამოყვანილი გაზეთს „პუნჩში“. „მშვიდობა“ დიდად მწუხარე ჰსდგას ხელმწიფე იმპერატორის კუბოს წინაშე და ქვეშ აწერია: „უპირველესი ჭირისუფალი“. ამ სურათს უფრო

აცხოველებს ზედ დართული ლექსი, საცა გამოთქმულია ღვაწლი განსვენებულის იმპერატორისა და სხვათა შორის სწერია: „აი რისთვის, დიდო თვითმპყრობელო, გულნი თავისუფლების მოყვარეთა აღინთო შენდამი სიყვარულითა და „მშვიდობას“, ვითარცა უპირველესს ჭირისუფალს, კრძალულის ხელით ზეთისხილის შტო მოაქვს შენს გოლიათს გულზე დასადებად“.

ყოველთვის რუსეთის მიმართ სამტროდ მიმართული გაზეთი „Pall Mall Gazette“ და მეგობრად ცნობილი „Daili News” ერთმანეთს ეთანხმებიან, რომ იმპერატორი ალექსანდრე III ევროპას უფრო მეტად დააკლდა, ვიდრე რუსეთსაო... „Deili Cronicle“-ს მოჰყავს შემდეგი სიტყვები განსვენებულისა: „მე მსურდა მშვიდობა – ეგ დიდი მადლი, რომელსაც კი ღმერთი უწყალობებს ხოლმე სააქაოს. ვაი იმათ, ვინც მას დაარღვევს“. სხვა გაზეთებს, რომელთა ჩამოთვლა, ვფიქრობთ, მეტიღაა, უხარიანთ, რომ რუსეთის ჟურნალ-გაზეთობამ თანაგრძნობით მიიღო ეს ჩვენი მეგობრული სურვილიო და ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ამ ერთა შორის ცოტად თუ ბევრად დაახლოებამ გზა გაიკეთაო. ეს იმპერატორის ალექსანდრე III-ს უკანასკნელი სამსახურია, რომელიც მან მშვიდობას გაუწიაო. ჩვენი სურვილიაო, რომ მისმა სულმა დაინახოს, რა დიდად გვაწყურებს და გვაიძულებს ძლიერება და დიდებულება მისის მაგალითისა, რომ მისი ამაღლებული და განათლებული პოლიტიკა სამუდამოდ დამკვიდრებულ იყოს და უფრო მეტად წარმატებულ.

თითქმის ამავე გრძნობით და აზრით წარმოსთქვეს საქვეყნოდ თავისი სიტყვანი ლორდმა როზბერიმ და სალუსბერიმ. თუ არ დავივიწყებთ, რომ ერთი დღეს პირველი მინისტრია და ლიბერალების მოთავე ინგლისში და მეორე პირველ მინისტრადვე ნამყოფი და მოთავე კონსერვატორებისა, მაინც ცხადი იქნება, რა ძლიერ ფეხადგმულია ინგლისში სურვილი რუსეთთან დაახლოებისა და ხელიხელ სვლისა. თუ ეს ორი ბანაკი, ყოველთვის ერთმანეთის წინააღმდეგნი, ერთმანეთში მოაშველა და მოარიგა ამ ახლად აღძრულმა სურვილმა, სჩანს, თვით სურვილი საერთოა და მით უფრო შესანიშნავი და საყურადღებოა შემდეგისათვის.

საკვირველი ყოველ ამაში ის გარემოებაა, რომ ინგლისმა ეგრე უეცრად და მოულოდნელად პირი და გული იბრუნა. მართალია, დიდი დანაკლისია, რომ ქვეყნიერობას დედაბოძი მშვიდობიანობისა წაექცა და ამისთვის გლოვა და წუხილი სამართლიანია ყველგან და ყველასათვის. მაგრამ იგი ინტერესები, რომელიც ინგლისს ამ ოთხმოც წელიწადში ასე თუ ისე ამოქმედებდნენ ზოგისთვის სამტროდ და ზოგისთვის სამეგობროდ ევროპაში, ხომ ისევ იმას ჰღაღადებენ, რაც წინად, ისევ იმ ტაფაში იწვის და იგივე ცეცხლი უკიდია (ხომ ამ მხრით არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ტაფა არ განელებულა, ცეცხლი არ ჩამქრალა).

ხომ მეტისმეტი მტრედული უგუნურება იქნება, კაცმა ეს ამბავი ამ მწუხარებას მიაწეროს, რომელმაც ასე შეიპყრო მთელი ევროპა ნეტარხსენებულ იმპერატორის განსვენების დღიდამ. პოლიტიკა ერთი უგულო რამ არის და იმ ბუნებისა, რომ მარტო სარფა და გამორჩენა ასულდგმარებს. ამ სარფასა და გამორჩენას იგი ვერ მოსჭრის ყურსა და მტლად ვერ დაუდებს მას, რასაც გრძნობა მოითხოვს, თუნდაც დიდად ამაღლებული და დიდად საპატიო.

მაშ რა უჩინარმა მიზეზმა მოჰღრიჯა რუსეთისაკენ სამეგობროდ ამოდენა ხნის მტრული პოლიტიკა ინგლისისა ეგრე სასწრაფოდ, ეგრე უეცრად? ამის პასუხის გამორკვევა ვგონებთ შესაძლებელია, თუ გულში ჩავხედავთ დღევანდელის დღის ბოროტსა, დროთა გარემოებისაგან წინადვე მოგროვილსა და აწ გასაცხრილად თუ გასანიავებლად მოვლენილსა.

[1894 წ.]



<მართლმსაჯულება ქვეყნისა და ერის სამსახურში>

ტფილისი, 26 ნოემბერი

მართლმსაჯულება, სამართლის ქმნა ერთი იმისთანა არსებითი საჭიროებაა, ურომლისოდაც ერთი დღეც არ შეუძლიან იცხოვროს ქვეყანამ და ერმა. ვერა ურთიერთობა ადამიანისა, ვერა კრებული მისი ერთს დღესაც ვერ გასძლებს უიმისოდ. ან როგორ უნდა გასძლოს, როცა სამართლის ქმნა ერთი იმისთანა აუცილებელი, ყოვლად ძლიერი მოქმედებაა, რომელზედაც დამყარებულია მთელი სასოება და იმედი მშვიდობით მყოფობისა, ადამიანის ღირსების, სახელის, ოჯახის და სარჩლისა და მფარველობისა.

როცა მართლმსაჯულება, სამართლის ქმნა ცუდად არის აგებული და მოწყობილი, იქ ჩვენის ფიქრით, იმედი უნდა გადაწყვეტილი ჰქონდეს კაცს, რომ მისი მუდამი წყურვილი საკეთილდღეოდ წარმატებისა ვერას იზამს, რაც გინდა გაისარჯოს და დიდი მხნეობა გამოიჩინოს. იქ ყველაფერი უქმია, ყველაფერი უღონო და უძლური. ცხოვრება ადამიანისა რთულია და საჭიროება ცხოვრებისა ათასს სხვადასხვა გზაზე იწვევს ადამიანს სამოქმედოდ. მაგრამ არც ერთი ამ გზებისა სანატრელ საგნამდე ვერ მიიყვანს კაცს და კაცთა კრებულს, თუ სამართლის ქმნა, ეს უძლიერესი და ყოვლად მხსნელი ფარ-ხმალი დაბრკოლებულია და ღონეგამოცლილი.

ამიტომაც სამართლის ქმნა მარტო სამართლის ქმნისათვის უნდა იყოს და სხვა ამის მეტი არა აეკიდოს-რა. თუ სამართლის ქმნას სხვა საგანიც რამე აჰკიდეთ ზურგზე, იგი ჰკარგავს თვისს არსებითს მნიშვნელობას, თვისს ბუნებას, თვისს მაცხოვრობას, თვის საპატიო მიზეზს არსებობისას.

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“-ო, სთქვა ჩვენმა რუსთაველმა და მართალიც არის. სწორედ ასეთია ძლიერება და შემძლებელობა სიმართლისა და ამიტომაც კიდევ ვიტყვით: სამართლის ქმნა მარტო სამართლის ქმნისათვის უნდა და არარამ სხვა არ უნდა აბრკოლოს მისი ყველასათვის სანუგეშო მოქმედება.

სამწუხაროდ ჩვენდა, ეს ძირითადი და არსებითი მოთხოვნილება სამართლის ქმნისა ხშირად ავიწყდებათ ხოლმე ქვეყნის საქმეთა დამწყობთა და გამრიგებელთა. ეს სამწუხარო ამბავი ეხლახან შეჰნიშნა რუსეთის გაზეთმა „Русская жинзнь“-მა და ის საბუთიანი აზრი წარმოთქვა, რომ საჭირო ა ამ მხრით ჩვენს წესწყობილებას სამართლისას ყურადღება მიექციოსო და მოვაშოროთო თავიდამ იგი დიდი ნაკლულოვანება, რომ სამართლისათვის დავალებული რუსული ენა ამოქმედოს იქაც კი, საცა რუსული არ იციან. მართლა რომ დიდი ნაკლულოვანებაა, იმისთანა ნაკლულოვანება, რომლის მოწყალებით სამართალი, ჰკარგავს რა თავისს მადლს მეტყველებისას, ხელიდამ უშვებს ერთადერთს ძლიერს ღონეს მართლის აღმოჩენისას. ზოგჯერ ერთი გულუბრყვილო სიტყვა უფრო ჰშველის ხოლმე მართლის აღმოჩენას, ვიდრე მთელი კაზუისტობა საბუთებისა. სიტყვა, პირდაპირ თქმული და პირდაპირ სამართლის ყურამდე მიხწეული, დიდი საშველი ღონეა სამართლის ქმნისათვის. საცა ამ სიტყვას გზა შეკრული აქვს, იქ ნურავინ იტყვის, რომ სიმართლის გზა გახსნილიაო.

ამ გზაზე დგომა სამართლისა მაშინ უფროა სამწუხარო, როცა თვითონ სამართლის მქმნელმა არ იცის ენა იმ ერისა, რომელსაც უსამართლებს და იძულებულია ამ შემთხვევაში მიენდოს უვიცს მთარგმნელსა და რასაც ამ უკანასკნელის უვიცობა ამცნებს, იმაზე დაამყაროს თავისი განაჩენი. ან რა საიმედო სურათს წარმოადგენს ერთის მხრით მოსამართლე, რომელსაც მოჩივართა ენა არ ესმის და მეორეს მხრით მოჩივარი,

რომელსაც ენა მოსამართლისა არ გაეგება. ამ ყოფაში შესაძლოა ყოველისფერი, გარდა მართალის სამართლის ქმნისა.

სხვა ქვეყნებში, მაგალითებრ გერმანიაში ეს ამბავი დიდ ნაკლულოვანებად ცნობილია სამართლისა და ქვეყნისათვის და იქ დადებულია პოლონელთა გამო, რომ მოსამართლემ უსათუოდ უნდა იცოდეს ენა იმ ერისა, საცა ჰსამართლობს. უამისოდ პოზნანში მოსამართლის ადგილს ვერავინ მიიღებს. თუმცა გერმანია ძალიან მოწადინებულია, რომ პოლონელთ დაავიწყებინონ მათი ენა და გერმანელებად გადაჰქმნან, მაგრამ სამართლის წმინდა დანიშნულებამ და მისდამი პატივისცემამ იძულებულ-ჰყო ეგ წადილი შეეწირა იმ აუცილებელ და შეურყეველ აზრისათვის, რომ სამართლის ქმნა სამართლისა ქმნისათვის უნდა იყოს და არარას სხვას არ უნდა ემორჩილებოდეს.

არსად, იქნება, არ იყოს საჭირო ამ აზრის განხორციელება ისე, როგორც საქართველოში და ერთობ ამიერკავკასიაში. რუსული გაზეთი „Русская жизнь“ ამბობს, რომ საჭიროაო სამართალს ამ მხრით ყურადღება მიექციოსო და თუ შესაძლო არ არის იგი წესი იქმნას შემოღებულ, რაც ამ შემთხვევისათვის გერმანიაშია, ის მაინც ვიზრუნოთო, რომ ამიერკავკასიის მომრიგებელ მოსამართლეებს კარგი და მცოდნე მთარგმნელები ჰყვანდესო. რა თქმა უნდა, უარარაობას ისევ ცალი უღელი ხარი სჯობია, მაგრამ სამართალი ისეთი მძიმე საზიდარია, რომ ცალი უღელი ხარი დიდს სამსახურს ვერ გაუწევს. ან რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი, რომ ჩვენშიაც ხსენებული წესი იყოს დანიშნული და აქაურ მომრიგებელ მოსამართლეს ის მოეთხოვოს, რასაც გერმანიაში სთხოვენ?

[1894 წ.]



<ინგლისის პოლიტიკის ახალი მიმართულება>

ტფილისი, 2 დეკემბერი

ჩვენ ამას წინად დავიწყეთ საუბარი იმაზე, რომ ინგლისი დღეს საჭიროდ ჰხედავს რუსეთს დაუახლოვდეს და ვიკითხეთ — რა აიძულებს ამ ეგრედ წოდებულს "გაუტანელ ალბიონს" მთელის თითქმის ოთხმოცის წლის მტრობის დავიწყებას და მის მაგიერ მეგობრობის ხალისის და სურვილის გამომჟღავნებას. თუმცა ზოგიერთი გაზეთები ამ შემთხვევაში დიდს ადგილს აძლევენ გრძნობას, გაღვიძებულს განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე III სამშვიდობო პოლიტიკის დიდ მაგალითისაგან, მაგრამ ჩვენ უარვყავით აქ თვითმოქმედება გრძნობისა, რომელსაც პოლიტიკაში, საცა ყველაფრის გადამწყვეტია ბევრი მე და ცოტა სხვას, ადგილი არა აქვს და რომელიც, თუ ოდესმე თავს იჩენს ხოლმე, წარმოადგენს მარტო საფარავს დამალულის ანგარიშისას — თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.

რომ თვალნათლად გამოირკვეს ნამდვილი მიზეზი ინგლისის პოლიტიკის ახალ მიმართულებისა, საჭიროა გამოვარკვიოთ ჯერ ის, რას დაახარბებს ინგლისი რუსეთს და რას მიანიჭებს რუსეთი ინგლისსა, თუ ვინიცობაა დამეგობრების სურვილმა მართლა თავი დაიჭირა და გზა გაიტანა.

ყველასაგან ცნობილია, რომ რუსეთს დიდი ანგარიში აქვს ევროპაში ბალკანეთის კუნძულის გამო. აქ დიდი ცილობაა მასზე, თუ რომელი დიდი სახელმწიფო — ნამეტნავად ავსტრია თუ რუსეთი — იქონიებს უპი-

რატესს გავლენას. ეს საგანი რუსეთისათვის მეტად ძვირფასი რამ არის და მთელი მისი პოლიტიკა ეგრედ წოდებულ „აღმოსავლეთის საქმეში“ მარტო ამაზეა მიმართული და ამისათვის მრავალი ომი გადაუხდია, მრავალი ჯარი და ფული გაუწირავს. მას აქედ, რაც პარიჟის ხელშეკრულობამ უფლება რუსეთისა შავ ზღვაში შესვლა-გამოსვლისა შეზღუდა, „აღმოსავლეთის საქმე“ უფრო გაუმწვავდა რუსეთს და ბალკანეთის კუნძულზე მაგრად ფეხის მოკიდება დაუძინებელს სურვილად გადუქცია. შავ ზღვაში დარდანელის გზით შესვლა, ხმელთაშუა ზღვაში იქიდამ გამოსვლა გაუხდა რუსეთს ერთს უსაჭიროესს საგნად, ურომლისოდაც იგი თავის თავს შავ ზღვაში დამწყვდეულად უნდა ჰხადოდეს. ამას ხელს უშლიდა მუდამ ინგლისი და ეს ხელის შეშლა მით უფრო საყურადღებო და გამჭრელი იყო და არის, რომ ამაში მომხრეობა ინგლისს არ აკლდებოდა ცალკე საფრანგეთისაგან უწინ და ცალკე ამ ბოლოს ხანებში გერმანიისა და ნამეტნავად ავსტრიისაგან. რომელიც აქ პირისპირ უდგას რუსეთს, ნამეტნავად მას შემდეგ, რაც გამოძევებულ იქმნა გერმანიიდამ. ევროპაში რუსეთს ამაზე მეტი მწვავე საგანი არა აქვს თავისს პოლიტიკისათვის, გარდა ამისა, რომ უღელი თანასწორობის სასწორისა ცალკერძ არ გადაიხაროს. ამ უკანასკნელმა საჭიროებამ გამოიწვია დამეგობრება რუსეთისა და საფრანგეთის და ამ დამეგობრებამ შეუძლებელ გახადა მოქმედებითი პოლიტიკა „სამთა კავშირისა“ და, ცოტა არ იქმნა, ძირი შეურყია.

აზიაშიც რუსეთს იძულებულს ჰხდიდა სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობად ჯერ ის საბუთიანი სურვილი, რომ თავისი განუზომელი სამზღვრები ადვილად გასამაგრებელი გახადოს და მერე ის, რომ გზა გაიხსნას ოკეანისაკენ. აქაც ინგლისი ეღობებოდა წინ რუსეთს და იძულებულს ჰხდიდა ამ უკანასკნელს თავისი სამზღვრები მიეწვდინა ინდოეთამდე, რომელიც უჭირავს ინგლისს და შეადგენს მის სუსტ მხარეს ღონისას. რადგანაც ინგლისს უფრო ადვილად ევნება ინდოეთის მხრივ და რუსეთის ინდოეთამდე გაწევა და მიჯნების მიბჯენა ამის გამო და აქ მეტად

საფრთხილოა, ამიტომაც ადვილად მისახვედრია, რა საბუთი აიძულებდა ინგლისს ურჩობა გაეწია რუსეთისათვის აზიაში საერთოდ და ავღანისტანში საკუთრივ. იგივე შიში ინდოეთამდე ხელის მიწვდენისა ამოქმედებს ინგლისის პოლიტიკას ეგვიპტეშიაც, საცა სუეცის არხი მახლობელ და საადვილო გზად არის ცნობილი ევროპიდამ ინდოეთისაკენ და სადაც თვითვეული ცალკე დიდი სახელმწიფო ევროპისა საერთოდ — და საფრანგეთი საკუთრად — ყოველთვის მზად არის უპირატესობას შეეცილოს ინგლისს.

დღეს რუსეთის და ინგლისის ინდოეთის შუა ერთი დამოუკიდებელი სამეფოა ავღანისტანისა. ამ ბოლოს ხანებში ეს ავღანისტანი გაუხდა რუსეთს და ინგლისს საკამათოდ აზიაში. ბევრს სადიპლომატო კალამს მოუტყდა წვერი, ზოგჯერ ცოტაოდენი სისხლიც დაიღვარა, კინაღამ ერთხელ საქმემ ომამდენაც არ მიახწია — ვის არ ახსოვს კუშკაში მომხდარი ამბები! იმის გამო თუ, — ეს თავისთავად სუსტი და ადვილად დასაპყრობი სახელმწიფო ვინ ჩაიგდოს ხელში ან იმისათვის, რომ თავისს ნებაზე ატრიალოს, ან იმისათვის, რომ საკუთრებად დაინარჩუნოს. ეს საქმე უნდა ასე თუ ისე გადაწყვეტილიყო მარტო რუსეთსა და ინგლისს შორის ჯერხანად მაინც. დიდის აღებ-დაღების და ერთმანეთის მუქარის შემდეგ აქ დღეს საქმე მორიგებით გათავდა, უსისხლოდ და მშვიდობიანად. მორიგება იმაში მდგომარეობს, რომ ავღანისტანის და რუსეთის მიჯნების შუა ერთი იმისთანა ადგილი დანიშნეს, რომელიც ვერც რუსეთმა უნდა გადალახოს, ვერც ინგლისმა და ამით მითამ გადაუბოძებელი ზღუდე დასდეს.

რამოდენად აასრულებს თავის დანიშნულებას ეს მითამ-და მაგარი ზღუდე, ამას დრო გამოაჩენს, ჩვენ კი არა გვწამს მისი ხანგრძლივობა და სიმაგრე. მუდამ ხარბს პოლიტიკაში ხელშეკრულობა სძლებს იმ დრომდე, ვიდრე ერთ-ერთი მხარე ძალ-ღონეს არ შემოიკრებს მისდა დარღვევისათვის. ჯერ კიდევ ბევრი დრო დაეხარჯება კაცობრიობას, ბევრი სისხლი დაიღვრება, ბევრი ქონება განადგურება, ვიდრე პოლიტიკა იმ საპატიო სიმაღლეზე დადგება, რომ წინ წაიმძღვაროს სამართლიანი ერთხელ დადგენილი განა-

ჩენი. აქ პუშკინის არ იყოს — „Всё моё, – сказал булат“.

ასეა თუ ისე, დღეს კი ჭეშმარიტ ამბად უნდა ვირწმუნოთ მორიგება ინგლისსა და რუსეთ შორის ავღანისტანის გამო. ეს ჩვენის საუბრის საგნისათვის დიდმნიშვნელობიანი ამბავია. ინგლისმა, არ ვიცით, ამ ამბავს განგებ მოუხუჭა თვალი და მოუყრუა ყური, თუ რამ სხვა ანგარიში დაიხვია ხელზე, ხოლო ეს კი ნამდვილია, რომ ეს მორიგების ამბავი მიიჩნია საბუთად ეთქვა, რომ რუსეთმა ამით დაგვიმტკიცაო თვისი მშვიდობისმოყვარეობა და სრულიად დაგვინელა მწვავი შიში ხელის გაწვდენისა ინდოეთისაკენაო. ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ ლორდმა როზბერიმ და ყოფილმა მინისტრმა სალუსბერიმ ესეთი აზრი საქვეყნოდ გამოსთქვეს. ერთის მხრით, იქნება ინგლისი გულწრფელადაც ამბობდეს ამას, იმიტომ, რომ ამ მორიგებით, როგორც სჩანს, რუსეთმა იგი დაუთმო ინგლისს, რისთვისაც ეს უკანასკნელი თავს იტკიებდა ამდენს ხანს: რუსეთს ავღანისტანისაკენ გზა შეეკრა და ინგლისის მიერ მოპოებული ზედგავლენა ავღანისტანზე ხელშეუხებლად შერჩა ინგლისს.

მაინც და მაინც მერმისს მივანდოთ გამოჩხრეკა იმისი, თუ რამოდენად გულწრფელია ასეთი მეტყველება ინგლისისა, ეხლა კი საჭიროა ვსთქვათ, რომ ინგლისმა ეს ამბავი დაიხვია ხელზე, ვითარცა ამისთანა საბუთიანი მაგალითი, რომელმაც ვალად დასდო სამეგობროდ გაეწვდინა ხელი რუსეთისათვის და ამით საჭირო ფერუმარილი წაესო ამისთანა ანგარიშებისათვის, რომელთაც მოითხოვენ არსებითნი გარემოებანი მისის დღევანდელის პოლიტიკისა და რომელნიც არიან სახარბიელნი მარტო ინგლისისათვის. აი აქ არის შიგნეული მიზეზი, რომ ინგლისი ცდილობს დაუახლოვდეს რუსეთს და მორიგების გამო აღძრული გრძნობა მითამდა მადლობისა მარტო ვარაყია გულში დამარხულ ანგარიშებისა. ვისაც ეგ ანგარიშები გაუთვალისწინებია და სწამს მათი ძალმომრეობა, იგი ვერასდროს ვერ დაიჯერებს, რომ დაახლოებამ და მეგობრობამ რუს-ინგლისისამ დიდხანს თავი დაიჭიროს, თუნდაც დღეს კიდეც მოხდეს და განხორციელდეს.

ამაზე საუბარი შემდეგისათვის უნდა გადაიდოს, რადგანაც უიმისოდაც გაგძელდა დღევანდელი ჩვენი წერილი.

[1894 წ.]

<ინგლისის ფლოტის ბატონობა საზღვაო–სავაჭრო საქმიანობაში>

ტფილისი, 4 დეკემბერი

ინგლისი ერთი იმისთანა ქვეყანაა, რომელსაც გარს არტყია ზღვები და ეს გარემოება დიდს უპირატესობას აძლევს ცოტად თუ ბევრად უზრუნველ ყოფისას ევროპაში. შიში მტრის შემოსევისა და თავზე დაცემისა ამ მიზეზით აცილებული აქვს ამ ზღვათა შორის მდებარე სახელმწიფოს. ამ მიზეზსავე უნდა მიეწეროს ის პირველ შეხედვით საოცარი გარემოება, რომ ინგლისი დღეს-აქამომდე დიდად საჭიროდ არა ჰხედავს საერთო სამხედრო დებულება შემოიღოს და იგი დიდი ტვირთი სამხედრო ბეგარისა დაადოს თავისს ერსა, რომელიც სხვა ხმელეთის სახელმწიფოებში დიდი ხანია შემოღებულია და რომელიც დღეს ეგრე ძლიერ აკვნესებს ყოველ ქვეშევრდომს ხმელეთის სახელმწიფოსას. ეს მით უფრო საოცარია, რაკი ამ თითქმის ქუდზე კაცის გამოსვლამ საომრად ფეხი მოიკიდა ერთგან, ყოველ სხვა სახელმწიფოებისათვის საერთო სამხედრო ბეგარა აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა მტრის წინაშე გულდაგულ დადგომისათვის. გარშემორტყმული ზღვები ინგლისისათვის იმისთანა ზღუდეა, რომლის იქით ძნელად გადუწვდება ხელი ხმელეთიდამ საომრად გამოლაშქრებულ მტერსა და ინგლისს ჯერხანად თითქმის აინუნშიაც არ მოსდის შეუცვალოს წესი და აგებულება ძველებურად მოწყობილ თავისს სახმელეთო მხედრობასა.

ეს გეოგრაფიული გარემოება ინგლისის მდებარეობისა სულ სხვა გარჯას ჰთხოულობს შესახებ ზღვათა მხედრობისა. ამიტომაც მთელი ისტორია ინგლისისა თითქმის იმაზეა მიქცეული, რომ რაც შეიძლება მეტი ძალ-ღონე იქონიოს ზღვაში შეჭიდებისათვის, თუ ოდესმე ვინმე გაუბედავს თავზე დასხმას. ამ საჭიროებამ შეაქმნევინა ინგლისს ისეთი ფლოტი, რომელსაც ადრე მთელი ერთად შეკრებილი ღონე სხვა სახელმწიფოებისა და ეხლა ვერა სახელმწიფო თითოეულად ცალკე ომს ვერ გაუსწორებს ზღვაში ვერც ფლოტის სიკეთით, ვერც სიმრავლითა.

თუმცა თვით ინგლისი მადლიერი არ არის თავისის ფლოტისა, თუმცა ზოგიერთი გაზეთები ბუკითა და ნაღარით სიკეთესაც უწუნებენ, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ მაინც ძალ-ღონით სხვაზე მეტი არ იყოს. თუ ინგლისი დღეს ემდურება თავისს ფლოტს მარტო იმისთვის, რომ უფრო გააძლიეროს, უფრო გაადიდოს, რადგანაც ამ ბოლოს ხანებში თითოეული ცალკე სახელმწიფოებიც ხმელეთისა გულხელდაკრებილი არ იყვნენ ამ საქმისათვის. თითქმის დღეს აქამომდე უფლოტო გერმანიამ ცოტად თუ ბევრად მოზრდილი ფლოტი გაიჩინა, არც რუსეთმა ამ მხრით დააკლო რამ, საფრანგეთმა ხომ ასეთი საქმე მოახდინა, რომ საკმაოა ერთი ვინმე ფლოტის მქონე კიდევ მიიმხროს და მაშინ ვინ იცის, ვინ წინა და ვინ უკან. აი რა გარემოების წინაშე დღეს ჰფრთხილობს ინგლისი, როცა თავისს ფლოტის ავკარგიანობას ამ გარემოების შიშით თვალს უსწორებს. ეს არის მიზეზი, რომ ინგლისი შინ იმ გზაზე სდგას, რომ ფლოტი უფრო გაიმრავლოს და გაიძლიეროს.

ინგლისი ანგარიშის ქვეყანაა და დიდი მზრუნველი თავისის ერისათვის. იგი მარტო ცარიელ სახელისათვის იმოდენა ხარჯს არ გააწევინებს თავისს ერს, რამოდენასაც მისი ძლიერი და დიდი ფლოტი ჰთხოულობს. მართალია, მისი ძალღონიერი ფლოტი მუქარაა ომების დროს, მაგრამ, ღვთის მადლით, ომები ხომ ყოველდღე არ არის. აი თითქმის მთელი ორმოცი წელიწადია ინგლისს თვალსაჩინო ომი არსად და არავისთან არა ჰქონია. აქ არაფრად მოსატანია ინდოეთის არეულობა, საცა ინგლისის მხრითაც სისიხლი დაიღვარა, აგრეთვე ზულუსებთან, მახდისტებთან, და სხვა

ამისთანაებთან თითო-ოროლა თოფისა და ზარბაზნის დაცლა ომებად არ ჩაითვლება. ეს ამისთანა ომები იმოდენად საგრძნობელია ინგლისისათვის, რამოდენადაც ნესტარი სპილოსათვის.

მაინც და მაინც, ჩვენდა სასიხარულოდ, დრო მშვიდობიანობისა გაცილებით სჭარბობს ომიანობის დროსა კაცობრიობის ისტორიაში და ამისთანა ხანგრძლიობა მშვიდობიანობის ხანასი ბევრს ქონებას ინგლისისას შეიწირავდა სახარჯოდ ფლოტისა, თუ რომ ფლოტი უსაქმოდ ჰყოლოდა დატოვებული ომების მოლოდინის შიშითა. ჩვენ დღესა ვხედავთ, რომ სწორედ ამ ტაფაში იწვის დღეს ყოველი ერი ხმელეთის სახელმწიფოსი, რადგანაც იძულებულია თოფქვეშ იყოლიოს უსაქმოდ მრავალი ჯარისკაცი და ამისათვის აუარებელი ხარჯი აძლიოს. ბრძნების ქვეყანა ინგლისი ეგრე არ მოექცა თავისს ფლოტს. საომრად აგებულ ხომალდებსაც კი საქმე გაუჩინა, რომ ქვეყანას თავისის ხარჯის ფასი მაინც აუყენოს. საქმე იგი იყო და არის აუარებელი საქონლის ზიდვა ზღვებსა და ოკეანეებზე, იმ საქონლისა რომელსაც თვითონ ამზადებდა თავისს ფაბრიკებში და რომელიც სხვიდამ შემოჰქონდა ან შინ სახმარად, ან გადასაკეთებლად საგარეოდვე აღებ-მიცემობისათვის.

რა თქმა უნდა, ფლოტი ამ უკანასკნელ სამსახურს ვერ გაუწევდა ინგლისის ერს, თუ რომ ზღვებსა და ოკეანეებზე თავისუფალი გზა არ ექმნებოდა. ჭკუიანმა და შორმხედველმა ინგლისმა იმ დროსვე დაიჭირა ამ მხრით თავისი საქმე და გაიჩარხა, ჯერ როცა ამაზე ფიქრი ჩამიჩუმადაც არავის სხვა სახელმწიფოს გულშიც არ გაუტარებია. როცა სხვებს ეძინათ. მაშინ მღვიძარე ალბიონმა ზღვებსა და ოკეანებზედაც გზები გაიხსნა და ყველგან ასეთი სადგურები გაიკეთა ნაპირებზე, რომ დღეს ყველანი სიხარბით შეჰნატრიან. კარგად წინ დანახულმა და კარგად გაგებულმა ვითარებამ თავისის ქვეყნისამ ინგლისი ამ ისტორიულ გზაზე დააყენა იმოდენის გამარჯვებით, რომ იგი შეიქმნა ზღვათა მფლობელად და დღეს-აქამომდე გულ-ღვიძლი მისის პოლიტიკისა იგია, რომ ეს გზა უფრო გაიხალვათოს, გაიგანიეროს და სადგურები მოიმატოს ყველგან, საცა

ყველასაგან ცნობილი მხნეობა და მოხერხება აღებ-მიცემობისა ხელსა და სურვილს მიაწვდენს. ამის გარე ინგლისს სხვა არავითარი ტკივილი, სხვა არავითარი სურვილი არ ამოქმედებს პოლიტიკაში. რუსეთსაც ამისთვის უშლიდა შავ ზღვიდამ გამოსვლას ხმელთაშუა ზღვაში და ერთობ გაწევ-გამოწევას ზღვებისა და ნამეტნავად ინდოეთის ოკეანესაკენ. საფრანგეთსაც დღეს ამისათვის ეკამათება სამტროდ ეგვიპტეში, მადაგასკარში, ამისათვისვე ჰღალატობდა და ჰღალატობს ტონკინში, რომლის დაჭერითაც საფრანგეთმა გაიძლიერა ზედმოქმედება და გავლენა ჩინეთის სამხრეთის ნაწილსა და ინდოეთის ოკეანეზე და, ცოტა არ იყო, შეჰხუთა ინგლისის მოქმედება სიამ-ბირმანში. გერმანიასაც სწორედ ამისთვის აემზირა ამ ბოლოს ხანებში, რადგანაც აფრიკაში გერმანიამ დიდი ცილობა დაუწყო ინგლისს და ამ ცილებაში გამარჯვებისათვის საფრანგეთს მოუტკბილდა საკოლონიო პოლიტიკაში ინგლისის წინააღმდეგ. გარდა ყოველ ამისა, თვით ინდოეთში ინგლისის საქმეები ისე დალაგებული არ არის, რომ ამ მხრით მოსვენებული იყოს. ინდოეთი თავისის ორას მილიონის მცხოვრებლებით ინგლისის შესახებ წარმოადგენს ერთს უშველებელს ძირს თივისას, რომლის აბრიალებისათვის საკმაოა ერთი ნაპერწკალი. ინდოეთის ახლომახლო ცეცხლის გაჩენა, როგორც დღეს, მაგალითებრ, ჩინეთ-იაპონიის ომია, დიდად საფრთხობელია ინგლისათვის. გარდა ამისა, ინდოეთი სამხრეთით უდევს ჩინეთსა და დასავლეთით ნაწილით სწვდება ინგლისის ბირმანს, ბირმანი მომიჯნავეა სიამისა და სიამი საფრანგეთის ტონკინისა, და ეს ქვეყნები სულ ინდოეთის ოკეანის სანაპიროები არიან და ამასთან ტონკინი ჩინეთის ზღვას ერჩის ქვევიდამ მთელის თავისის სიგრძით სამხრეთით ჩრდილოეთისაკენ გაწვდილით, და ზემოდამ ჩინეთი და იაპონია. ამის გამო ინგლისისათვის სულ ერთი არ არის, როგორ დაეწყობა საქმე ამ დამარცხებულ ჩინეთისა და გამარჯვებულ იაპონიის შორის. ამიტომაც ადვილი მისახვედრია, რომ ჩინეთ-იაპონიის ომმა აქამდე უტკივარი თავი აუტკივა დღეს ინგლისსა აქაც. აი პოლიტიკური გაჭირება დღევანდელი ინგლისისა ამ

მრავალგვარ აწეწილ საქმეებშია და შიში, რომ მარცხი ან აქ, ან იქ არა წაეკიდოს-რა, იძულებულ ჰყოფს აქედ-იქით მიიხედ-მოიხედოს და სამეგობროდ ხელი გაიწვდინოს. მარტოდ დარჩენა ამ დროს, როცა ამდენის მხრით ქარი ჰქრის და ბუქი მოაქვს, საშიშია.

მართალია, ყველაზე უწინ თვალი აახილა საფრანგეთმა და დაინახა, რომ ინგლისს დიდი ხანია ზღვასა და ოკეანებზე გზა გაუხსნია და უკეთესი სადგურები და ქვეყნები აღებ-მიცემობისათვის უკვე დაუჭერია, მაგრამ დღესაც ბევრსა ჰნანობს, რომ თავის დროზე ამაზე არ უზრუნვია და ეს დიდი სახსარი გამდიდრებისა ხელიდამ გაუშვია. მით უფრო ჰნანობს, რომ ინგლისს ფეხი ყველგან მაგრად მოუკიდებია და დღეს ძნელია ფეხი ვინმემ მოასხლეტინოს. ფარული ფიქრი ფლოტის გაძლიერებისა და განდიდებისა საფრანგეთში, სხვათა შორის, ამ მხრით არის გამორკვეული დღეს ინგლისისათვის და აი მიზეზი, რომ დღეს-აქამომდე საფრანგეთსა და ინგლისს შორის რაღაც შუღლია და მიუნდობლობა.

მარტო საფრანგეთს, რასაკვირველია, დღეს ინგლისი არ შეუშინდება, მაგრამ რაკი ასე აწეწილი აქვს ყველგან საქმე და ამ აწეწვისაგან ასე გაჭირვებულია, რომ შესაძლოა ინგლისის მომდურავთ ერთად მოიყარონ თავი და ინგლისს შეუტიონ, დღეს ინგლისი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი — როგორ გავძვრე-გამოვძვრე ამდენს ბარდებშია, რომ საგრძნობელად არ დავიკაწრო და არ დავიჭრაო. ეს დღეს მით უფრო საფიქრებელია ინგლისისათვის, რომ საფრანგეთის გარდა სხვა სახელმწიფოებმაც თვალი აახილეს მასზედ, თუ რა დაჰკარგეს, რომ აქამომდე ეძინათ. თითოეული ცალკე სახელმწიფო, დიდი თუ პატარა, რომელსაც კი ზღვის სანაპიროდ მდებარეობა სახსარს აძლევს ზღვაში მიმოსვლისას, სულ ყველანი სცდილობენ, თუ დაკარგული არ დაიბრუნონ, ახალი მაინც თვითონ დაინარჩუნონ. ისპანიის პოლიტიკა მარროკოში და პორტუგალიისა აფრიკაში სწორედ ამითია საწყენი ინგლისისათვის და იმოდენადაც, რომ ერთს დროს საწყალს პატარა პორტუგალიას ინგლისის მუქარამ ენა მუცელში ჩაუგდო. იტალიისა და გერმანიის

მოქმედება აფრიკაში იმის მომასწავებელია, რომ წარვიდნენ დრონი ინგლისისათვის ნაქებნი მტკბარად და ეხლა ინგლისს შიში უნდა ჰქონდეს ცილებისა, არამც თუ იქ, საცა ახალი რამ არის შესაძინებელი, არამად, იქნება, იქაც, საცა უკვე შეძინებული რამ აქვს. გაუთავებელი შური და ხარბობა პოლიტიკაში და ის გარემოება, რომ ევროპა დღეს ისე გაჭედილია მცხოვრებლებით, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ვეღარც კი იტევს, საკმაო საბუთია ამ შიშისა ინგლისისათვის.

ჩინეთ-იაპონიის ომმა ხომ უფრო გაამწვავა ეს გაჭირებული მდგომარეობა ინგლისისა. კორრეა, რომლის გამოც ატეხილია ეს ომი, იმისთანა ლუკმაა, რომ აქ ერთმანეთს შეეხალნენ ინტერესები რუსეთისა, ინგლისისა, საფრანგეთისა, ჩრდილო-ამერიკის შტატებისა და გერმანიისაც კი. ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით, რაში მდგომარეობს ეს ინტერესები და ეს კი სათქმელია, რომ შესაძლოა ამ ჩინეთ-იაპონიის ომმა ერთობ საკოლონიო პოლიტიკა ევროპისა გაუთვალისწინოს ქვეყანას და, რასაკვირველია, ნატვრის თვალი ინგლისზე გააჩერებინოს. ეს რომ ასე არ იყოს, გერმანიას, რომელსაც ერთი მტკაველი მიწაც არ უჭირავს აზიაში და ჩინეთ-იაპონია დიდ მანძილზეა მისგან შორს, რა უნდა, რომ აქ ეჩხირება და ჰლამის თითქმის საფრანგეთთან ერთად წინ გადაეღობოს ინგლისსა?

აი ეს ბევრგან აჯიჯგნილი საქმე იძულებულ ქმნის დღეს ინგლისს, მინამ დრია, დაიმეგობროს ვინმე იმისთანა, რომელსაც ღონეც შესწევს, თუ ვინიცობაა საქმე ღონეზე მიდგა, და ადვილადაც მოსარიგებელია. ამისთანა სახელმწიფოდ იცნო დღეს ინგლისმა რუსეთი და თავისს თაკილს თითქმის ხვეწნისას იმით იგერიებს, რომ მე მოვალე ვარ პამირის საქმის მშვიდობიანად გათავების სამაგიერო რუსეთს გადავუხადოვ. საქმე კი იმაშია, რომ დღეს-აქამომდე ამის იმედს ვერ იქონიებდა ინგლისი და დღეს კი, როცა ხელმწიფე იმპერატორი დაუმოყვრდა ინგლისის სამეფო გვარეულობას, ამ იმედს ცოტაოდენი ფერი დაედო და ღონე მიეცა.

რა უნდა დაახარბოს რუსეთს ამ მეგობრობის სამაგიეროდ? ამის პასუხს იძლევიან ინგლისის გაზეთები ვერსტმინსტერისა და სტანდარტი. რუსეთს უნდა გზა

გავუხსნათ ზღვისა და მზისაკენაო, მინამ ინგლისი დღევანდელ საფრთხესაგან თავს დაიძვრენს, ამის ძახილს არ შესწყვეტს. არც კი ეს არის საკვირველი, ვიფიქროთ, რომ ყველა ეს მითქმა-მოთქმა რუსეთთან დაახლოებისა იმისათვის არის გამომცხვარი, რომ საფრთხობელა გაუკეთოს გერმანიას, რომელმაც მეტად ძლიერ დაუხლართა ინგლისს საქმეები აფრიკაში და, გარდა ამისა, ამ ბოლოს დროს საკოლონიო პოლიტიკაში გადიწია საფრანგეთისაკენ. ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ამ გზით გერმანია შეუშინდება ინგლისს და თავისს მწვავს მოქმედებას ინგლისის წინააღმდეგ ცოტად თუ ბევრად დაანელებს და მაშინ ინგლისი სულ სხვა ჰანგზედ დაიწყებს თავისს პოლიტიკურ გალობას, და სულ სხვა ჰარალალოს დაიძახებს.

[1894 წ.]



<კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის>

ტფილისი, 15 დეკემბერი

ფინანსთა სამინისტროში დღეს აღძრულია გადასაწყვეტად ერთი საგანი, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა ჩვენთვის და ამიერკავკასიისათვის დიდ მნიშვნელობიანად უნდა ჩაითვალოს. სამხრეთ გუბერნიებს რუსეთისას, სახელდობრ იმ ადგილებს, საცა ვაზი ჰხეირობს, უთხოვნიათ სამინისტოსათვის, რომ ვენახებზედაც ხანგძლივ ვადიანი სესხი ეძლიოს. სამინისტოს, როგორც სჩანს მის მიწერ-მოწერისაგან, ეს ორიოდე ადგილის თხოვნა საერთო საგნად გადაუქცევია და საერთოდ წესის შემოღებისათვის ვენახების დაგირავების თაობაზე შესდგომია საქმის განხილვასა. ამას ვამბობთ იმ საბუთით, რომ ფინანსთა სამინისტრო შეჰკითხებია სამეურნეო სამინისტოს, როგორ და რა გზით შესაძლოა ვენახები გირაოდ მიღებულ იქმნას ხანგრძლივის სესხის სათავდებოდ.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სამეურნეო სამინისტოს აქაურ მის ხელქვეითა მოხელეთათვის მოუწერია, ამ საგანზე თავისი აზრი წარმოსთქვან და სამინისტოს გაუგზავნონ. აქაურმა უფროსმა მოხელემ სამინისტოსამ ამ საგნის გამოსარკვევად მიიწვია სახელმწიფო ქონებათა სადგურში აქაური აგრონომები და ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის ზოგიერთი წევრნი და ამ კრებულმა უკვე შეადგინა თავისი გადაწყვეტილება, რომელიც საკმაოდ ვრცლად მოხსენებული იყო „ივერიაში“.

ჩვენ დღეს სრულებითაც არა გვაქვს აზრად გავარჩიოთ, რაში მდგომარეობს ეს გადაწყვეტილება. ჩვენ

გვსურს მხოლოდ გამოვარკვიოთ მნიშვნელობა აღძრულის საქმისა ჩვენის ქვეყნისათვის.

ჯერ, როცა საადგილმამულო ბანკის წესდება წარმოდგენილ იყო დასამტკიცებლად, მაშინ ყურადღება მიქცეულ იყო სამინისტოსი იმ მუხლზე, რომელიც ვენახებსა ჰხადიდა სათავდებოდ ხანგრძლივის სესხისა. სამინისტრომ მაშინ ძალიან იუარა ეს მუხლი და თავისი უარი იმითი დაასაბუთა, რომ ვენახი იმისთანა ქონებაა, რომლის ღირებულება იმოდენად სავენახე ადგილზე არ არის დაფუძნებული, რამოდენადაც პატრონის გარჯასა და მხნეობაზეო; გირაოდ მიღების დროს შესაძლოა ვენახი ისე იყოს მოვლილი და ნაკეთები, რომ კარგს და ღირებულ ფასად დაფასდეს, რადგანაც კარგად ნაკეთი ვენახი ერთობ ძვირფასი ქონებაა, ხოლო ვინ გვითავდებებს, რომ ხანგრძლივ დროთა განმავლობაში ვენახის მოვლა-პატრონობაში რაიმე ცვლილება არ მოხდეს და მოუვლელობით არ ამოვარდესო; მაშინ ბანკი უსათუოდ ზარალში ჩავარდება, რადგანაც კარგ ყოფაში დაფასებული ვენახი, ცუდ ყოფაში მოუვლელობით ჩავარდნილი, იმოდენას ვეღარ მისცემს პატრონს, რომ სესხის სიმძიმეს გაუძლოს და ძალაუნებურად გასასყიდად უნდა ბანკს თავზე მოახვიოსო; ბანკი კიდევ კარგ ყოფაში დაფასებულს ვენახს, მოუვლელობით ცუდ ყოფაში ჩავარდნილს, ვეღარ ამოაღებინებს ვერც თავნსა და ვერც სარგებელს და უეჭველად იზარალებსო.

რასაკვირველია, ამ აზრს თავისი საბუთი აქვს: ვენახი ძვირფასი ქონებაა მხოლოდ მაშინ, როცა მართლა ვენახია. საკმარისია სამ-ოთხ წელიწადს პატრონმა ხელი არ შეუწყოს, ვენახი აბერჩხარდება და ვაზის ნაშენობით ძვირფასი ქონება ცარიელ მიწის ღირებულებაზეღა ჩამოვარდება და ამ შემთხვევაში ზარალი ბანკისა უეჭველია. ამიტომაც სამინისტრომ ვენახი მარტო მოკლევადიან სესხის თავდებად იცნო და ვადად სამი წელიწადი დასდო, რადგანაც, რაც გინდ იყოს, სამი წელიწადი ისეთი მოკლე დროა, რომ ჯერ საიმედოა მოვლა-პატრონობაში რაიმე ცვლილება არ მოხდეს და მერე ვენახი ისე არ წახდეს, რომ ვენახის ნიშანწყალი მაინც არ შერჩეს. ჩვენის წესდების ძალით,

შესაძლოა ამ სამს წელიწადს კიდევ სხვა ხუთიც მიემატოს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ყოველ ვადის მომატებაზე ვენახი ბანკის მიერ გასინჯულ და შემოწმებულ იყოს. ვადას კიდევ როგორმე გაუძლებდა ვენახის პატრონი, მაგრამ აქ საქმე მარტო ვადა არ არის. საქმე ის არის, რომ ბანკმა მოკლევადიანი სესხი უნდა აძლიოს ნაღდ ფულითა და ამ მხრით საადგილმამულო ბანკები ერთობ დიდ დაბრკოლებაში არიან, რადგანაც უმთავრესი მათი ღონისძიება გირავნობის ფურცლებია და ნაღდი ფული, რაც აქვთ, მარტო ამ გირავნობის ფურცლის თავდებობაშია თითქმის დახაფრებული და ამის გარეთ ხელთ არა აქვთ ნაღდი იმოდენად, რამოდენადაც სესხის მთხოვნელები არიან.

ამ ნაღდ ფულის ხელმოკლეობას ის მოსდევს, რომ ბანკები ღონისძიებას მოკლებულნი არიან მოკლევადიანის სესხის მთხოვნელები სავსებით დააკმაყოფილონ, ესე იგი იმოდენა აიძულონ, რამოდენასაც მათის მამულების ღირებულება გასწვდება. ბანკები ამ შემთხვევაში იმასა ჰრჩეობენ, რომ ნაღდი ფული გამოიზოგონ, რათა ბევრს გაჭირებულს ცოტცოტაობით მაინც გასწვდნენ, თორემ მამულის ღირებულებაზე რომ წავიდნენ, ათში ერთ-ორს თუ ეყოფა ნაღდი ფული ბანკისა. ამიტომაც ჩვენს ბანკს წესადა აქვს, რომ რაც გინდ დიდფასიანი მამული იყოს, ორას თუმანზე მეტი არ მიეცეს, ისიც ერთს ხელში.

ხანგრძლივი სესხი კი ღონისძიებას აძლევს ბანკს გაასესხოს ფული გირავნობის ფურცლებითა იმდენი, რამდენსაც მამულის ღირებულობა შესძლებს და აიტანს. აი ამაშია დიდი მნიშვნელობა ხანგრძლივის სესხისა ვენახებზე ჩვენში. ეხლა ვენახი რომ ათას თუმნადაც ჰღირდეს, ორას თუმანზედ მეტს ვერ მიიღებს სესხად პატრონი და ეს დიდი დანაკლისია პატრონისათვის, რომელსაც ქონება დიდფასიანი აქვს და გაჭირებაში კი სავსებით ვერ გამოუყენებია საკრედიტოდ, მაშასადამე, ამ მხრით ქონება მისი უქმია. გარდა ამისა, მოკლევადიანი სესხი, რომლის ბუნება ის არის, რომ ვადის განმავლობაში სარგებელი უნდა იღოს და ვადის შემდეგ თავნი ერთბამად და სრულად დაიბრუნოს, მეტად სამძიმოა სესხის ამღებისათვის ჯერ

იმ მხრით, რომ ვერა უძრავი მამული მოკლე ხანს ვერ გაუსწორებს პატრონს თავნსა და სარგებელს სესხისას, მამულისათვის აღებულისას. რაკი ესეა, პატრონმა სხვა ღონე უნდა იღონოს ვალის გასასტუმრებლად და მისთვის სწორედ ეს არის ძნელი და გასაჭირი. გრძელვადიანი სესხი კი, გირავნობის ფურცლებით აღებული, შესაძლოა მოშორებულ იქმნას ყოველწლივ ნაწილ-ნაწილად და თანდათანობით გაუჭირებლივ, თუ პატრონი მუყაითია და ვალს ვალად ჰხადის. გაუჭირებლივ ვამბობთ იმიტომ, რომ გრძელვადიანი სესხი, მამულის სარგოდ მამულზედ მიქცეული, აძლიერებს მამულის შემოსავალს და გაძლიერებული შემოსავალი გაუჭირებლივ გადიხდის ვალსა.

ეს აზრები რომ წავიმძღვაროთ წინ, დავინახავთ, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, თუ სამინისტრომ შესაძლოდ დაინახა ვენახების დაგირავებით ხანგრძლივის სესხის აღება. ჯერ ერთი ისა, რომ სესხის სიდიდე შეზღუდული არ იქნება ნაღდის ფულის მეტ-ნაკლებობისაგან და ვენახის პატრონს კარი გაეღება სესხი მიიღოს იმოდენი, რამოდენსაც მოითხოვს ღირებულება ვენახისა, მეორე ისა, რომ სესხის ამღებს ნება მიეცემა თუნდ ერთბამად დაუბრუნოს ბანკს აღებული ვალი, თუნდ ცოტ-ცოტად და თანდათანობით იხადოს ვადის კვალობაზე, მესამე ისა, რომ ხანგრძლივი სესხი, ცოტცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით სახდელი, ნებას აძლევს პატრონს კრედიტით მოშველებულ ფულით განაკარგოს გირაო მამული, გაუძლიეროს მოსაცემი მოსავალი და მით თითონაც გაღონიერდეს და ვალსაც გაუჭირებლივ გაუძღვეს.

მოკლევადიანი სესხი, 3-ის წლით აღებული, ამ უკანასკნელს შემწეობას არ მისცემს მამულის პატრონს, იმიტომ რომ შემოსავლის გაძლიერებისათვის მამულის განკარგებაა საჭირო და მამულის განკარგება კიდევ დიდის ხნით ფულის დახაფრებას თხოულობს. უძრავი ქონება, ვენახი იქნება თუ სხვა რამ, იმისთანა ბუნებისაა, რომ მასზე მიქცეული ფული პატრონს გვიან, დიდის ხნის განმავლობაში უბრუნდება თავისის სარგებლით, ისიც ერთბამად არა, ცოტცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით. ამიტომაც თვითონ

საადგილმამულო კრედიტი, რომელიც დაფუძნებულია მარტო უძრავ ქონებაზე, ამ უძრავ ქონების ბუნებაზევეა ზედგამოჭრილი: იგიც ჰთხოულობს სესხის დაბრუნებას ერთბაშად კი არა, ცოტცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით.

ვენახები კაი მოზრდილ ლუკმას ქონებისას წარმოადგენს ჩვენში, და თუ კანონი გრძელვადიან საკრედიტო საგნად გაჰხდის ამ დიდფასიან მამულს, მაშინ ვენახი, ვითარცა ამ მხრითაც გამოსაყენებელი ქონება, თავისს სრულს ეკონომიურს მნიშვნელობას მიიღებს და ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, ფასს მოუმატებს.

[1894 წ.]

1895 წელი



<პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები>

ტფილისი, 13 იანვარი,

ყველაზე უდიდესი ამბავი ამ ბოლო ხანებისა ის არის, რომ პრეზიდენტი საფრანგეთის რესპუბლიკისა კაზიმირ პერიე სამსახურიდამ გადადგა. ამ მოულოდნელმა ამბავმა ელვასავით მოირბინა მთელი ქვეყანა და ბევრგან ჩააფიქრა სხვადასხვა სახელმწიფოების ბედის გამგებელნი და, რა თქმა უნდა, ყველგან ჰკითხულობენ, რამ აიძულა ეს თავი საფრანგეთის ერისა, რომ ასე მოიქცაო. მიზეზი გადადგომისა თვითონ კაზიმირ პერიემ ახსნა. პრეზიდენტის სახელს საკმაო პატივისცემით არ ექცევიანო, უპატიურად ეკიდებიან ჟურნალ-გაზეთები და ცალკე პირნიო. მე რადგანაც საფრანგეთის ერის თავი ვარ, ეს უდიდესი ადგილი და თანამდებობა ნებას არ მაძლევს ჩემი ღირსება მევე დავიცვაო და ისინი კი, ვინც მე პრეზიდენტად, ჩემდა უნებურად, ამირჩიეს, არავითარს სარჩელს არ მიწევენო.

ესეთი საბუთი სამსახურიდამ გადადგომისა არავინ მოუწონა კაზიმირ პერიეს და ყოველგან, საფრანგეთს აიღებთ, თუ სხვა ქვეყნებს, გადადგომილს პრეზიდენტს ამისათვის ჰკიცხვენ: შეშინდა ვითარცა მხდალი და გაიქცაო. კარგად მოიქცა კაზიმირ პერიე თუ ცუდად, ჩვენ ამის გარჩევას არ გამოვუდგებით. ჩვენა გვგონია, დაუდგრომლობას და ხანმოკლეობას ერთობ საფრანგეთის საქმეთა მმართველობისას სხვა, სულ სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს, და იმისთანა საბუთები, როგორც კაზიმირ პერიე ამბობს, ან იმისთანა, რომლის გამოც მთელი სამინისტრო მისი სამსახურს დაეთხოვა, ისარია, რომლის მშვილდი კი დამალულია საფრანგეთის დღევანდელ შინაურ საქმეთა ავკარგიანობაში.

რომელიც გნებავთ სახელმწიფოს ცხოვრება აიღეთ, ყველგან ერთს აუცილებელს ამბავს შეხვდებით. ხან სახელმწიფოს იმისთანა ხანა დაუდგება, რომ სარწმუნოების საგნები უპირატესს ადგილს იჭერენ ერის და სახელმწიფოს ცხოვრებაში და ეს საგნები შეიქმნება ხოლმე მიზეზად ერის განხეთქილებისა, დასებად დაყოფვისა და დასების ერთმანეთთან ბრძოლისა: მაშინ ჭკუა და გონება ერისა უპირატესად ამ საგნების წრეში ტრიალებს და მოქმედობს. ხან იმისთანა დრო და ჟამი მოდის, რომ სახელმწიფო და საქვეყნო საქმეთა გამგეობისათვის ერი მეტს მონაწილეობას ჰთხოულობს, პოლიტიკურ უფლებათა განფართოება უსაჭიროესს საგნად კეთდება და მაშინ იგი თავისის ჭკუის, გონების ძალ-ღონეს უპირატესად ამაზე ჰხმარობს. ხან იმისთანა ხანა დადგება ხოლმე, რომ გარემოება ცხოვრებისა ჰღაღადებს ეკონომიურ ცვლილებათათვის და მაშინ საგნები ეკონომიურნი მიიზიდვენ ხოლმე მთელს ძალ-ღონეს ერისას და ამ საგნების მოედანზე ბანაკებად დაეწყობიან ხოლმე საქმეთა მომქმედნი კაცნი, იბრძვიან და კამათობენ, ვიდრე უღონიერესი თავისას გაიტანს, ან სხვა უფრო მწვავი საგანი გაჩნდება საბრძოლველად.

დღეს თითქმის მთელს ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში სწორედ ეკონომიურ წესწყობილების ცვლილებათა საჭიროების ხანაა. აი იგი მშვილდი, რომლის ისარის ტყორცნას ვერ უძლებს ხოლმე ვერც ერთი სამინისტრო საფრანგეთში და რომელსაც საქმე ზოგჯერ იქამდე მიჰყავს, რომ სამინისტოს დაცემას პრეზიდენტის დაცემაც თან მოსდევს. დღეს ტყუილად კი არ ჰქადულობს გამარჯვებას საფრანგეთში ეგრედწოდებული დასი სოციალისტებისა პრეზიდენტის გადადგომის გამო. იტყვით, ამ დასის წარმომადგენლნი საფრანგეთის პარლამენტში ცოტანი არიანო და როგორ დაგიჯეროთ, რომ ძლევამოსილობა ამათ დარჩენოდესო.

საქმე იმაშია, რომ დღეს საჭიროება ეკონომიურ ცვლილებისა საკმაოდ გავრცელებულია საფრანგეთში.

ნუღარ ვიტყვით, თვით ოპორტუნისტების, მონარქისტების და კლერიკალების შორისაც კი დღეს იპოვნით იმისთანა კაცებს, რომელნიც ამ ცვლილებას ჰქადაგებენ და სხვას ეცილებიან, რომ მშრომელს და გამრჯელს ხალხს უკეთესი დღე მიანიჭონ, მის საჭიროებას და კეთილდღეობას როგორმე მიეშველნენ, და არა შემთხვევას არა ჰკარგვენ, რომ თავისის მოქმედების საგნად არ აღუთქვან ერს რაიმე ეკონომიური ცვლილება მისდა საკეთილდღეოდ. უნუგეშოდ ყოფნა და ძალზე გაჭირვებული ცხოვრება მშრომელის და გამრჯელის ხალხისა ამ ცვლილებას ჰღაღადებს იმოდენად ხმამაღლა, რომ თვით დაწინაურებულნი წარმომადგენელნი ეგრედწოდებულ ბურჟუაზიისა — მონარქისტებია, თუ რესპუბლიკელნი — ჰგრძნობენ, — რა ჭექა-ქუხილის ღრუბელი იკრიბება ამ მხრით საფრანგეთის თავზე საერთოდ და ბურჟუაზიაზე საკუთრივ.

ეს უნუგეშოდ დარჩენილი მშრომელი და გამრჯელი ხალხი გულმოდგინე მომხრეა რესპუბლიკისა, მაგრამ ამასთან გულნატკენიცა, რომ ამ რესპუბლიკამ არ გაუმართლა იმედები. ამათის ფიქრით, პირველი და უაღრესი საგანი რესპუბლიკის მმართველობისა უნდა ყოფილიყო კეთილდღეობა ერისა, უნდა მშრომელისათვის საშრომი გაეჩინა და ამით მუშაკაცისათვის სახსარი მიეცა — ჯეროვანი გასამრჯელო მიეღო, რომ ადამიანურად ეცხოვრა; თვითონ რესპუბლიკას უნდა გაეჩინა ფაბრიკები და ქარხნები ან სხვა რაიმე, რომ მოჭარბებულ რიცხვს მუშაკაცისას სამუშავო ჰქონოდა, კარგად მოეწყო იქ მუშაკაცის ბედი, რომ სხვებისათვის მაგალითი ჰყოფილიყო; უნდა სამუშავო დღე შეემოკლებინა და გაეჩინა, რაზედ ნაკლებ არ უნდა მისცემოდა ფასი მუშაობისა, მოხუცნი, დაშავებულნი, საპყარნი, ქვრივ-ობოლნი შეევრდომა, და მუშაკაცის მოზარდის თაობისათვის კარი გაეხსნა სწავლისა, გონების გახსნისა და რაიმე ხელობის ცოდნისა. ეს თითქმის დიდსა და პატარას ენაზე აკერია დღეს საფრანგეთში, მაგრამ ამას ეურჩება დიდი უმრავლესობა ბურჟუაზიისა, რომელის ხელიდამ დღეს აქამომდე მართველობა საფრანგეთისა ვერ გამოსულა,

და რომელსაც მუშაკაცის ყელის საბელისა ხელიდამ გაშვება ზარალის მომასწავებლად მიაჩნია. ბურჟუაზია, როგორც შემძლებელი ნაწილი ერისა, დიდძალოვანია არჩევანებში. რესპუბლიკის დაარსების დღიდამ დღევანდლამდე არც ერთი არჩევანი პარლამენტის დეპუტატებისა ისე არ გათავებულა, რომ უფროსერთობა ბურჟუაზიას არ დარჩენოდა პარლამენტსა და სენატში.

რადგანაც პარლამენტის უფროს-ერთობის დაგვარად შედგება ხოლმე ჩვეულებისამებრ სამინისტრო, — ადვილად მისახვედრია, რად მოხდება ხოლმე ისე, რომ მმართველობას საფრანგეთისას ყოველთვის ბურჟუაზიის მომხრეობა ეტყობა და ეკონომიური ცვლილება მუშაკაცთა სასარგებლოდ ბრკოლდება.

პარლამენტი უფროსერთად ბურჟუაზიისაგან შემდგარი, ჰშველის ხოლმე თავის მომხრე სამინისტოს, მაგრამ როცა ჰხედავს, რომ საჭიროება ერისა ხმამაღლა ჰღაღადებს, და ამ ღაღადებას შიში მოსდევს, — მაშინ იძულებულ ჰხდის სამინისტრო გადასდგეს და სხვა კაცებს დაუთმოს მმართელობა ქვეყნისა. რასაკვირველია, ისევ უფრო ბურჟუაზიის მომხრენი არიან ხოლმე ამ შემთხვევაშიც, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ცვლა კაცებისა ცოტა ხნობით მაინც დააამებს ხოლმე ტკივილს ერისას იმ იმედით, რომ იქნება ახალ კაცთ ახალი რამ მოგვიტანონო. ამ ცდასა და ლოდინში ცოტა თუ ბევრი დრო გადის, და ბოლოს, როცა ერი ჰხედავს, რომ ამათგანაც არა გამოდნა რა, ისევ ხელახლად ჰღაღადებს. ამ ღაღადს მოჰყვება ხოლმე ისევ ის ცვლა მინისტრებისა, ისევ ის იმედების გამტყუვნება, ისევ ის ღაღადი, ჩივილი და ტკივილი. აი, ჩვენის ფიქრით, მიზეზი იმისი, რომ საფრანგეთში არც ერთი სამინისტრო დიდხანს ვერა სძლებს, რადგანაც ცვლა მინისტრებისა არ მოასწავებს ხოლმე ცვლას სამმართველო სისტემისა, როგორც, მაგალითებრ, ინგლისში, და თითქმის წარმოადგენს ხოლმე საქმის გადადებას შემდეგისათვის.

კაზიმირ პერიე, მისი პირველი მინისტრი, და უფროსერთი სხვა მისი მინისტრებიც შეწამებულ არიან, რომ ბურჟუაზიის მხარე უჭირავთ და ეკონომიურ ცვლილებას ეურჩებიანო. ბურჟუაზიის პარლამენტმა,

მათმა მომხრემ, იგრძნო აწ ღაღადება ერისა და ძველს ჩვეულებას თავისას დაადგა: პრეზიდენტს და სამინისტოს მიზეზი მისცა გადადგომისა, როგორც სჩანს, იმ იმედით, რომ თუმცა ეხლა ამათ მაგიერ სხვანი დადგებიანო, მაგრამ ის სხვანიც ჩვენები იქნებიანო, ხალხს ეს მართველობის გამოცვლა დააწყნარებს რამდენსამე ხანსა და მერე რაც იქნება, ის იყოსო.

ეგრე სვლა სახელმწიფო საქმეთა შეუძლებელია, თუ საფრანგეთის სამინისტრო და რესპუბლიკის პრეზიდენტი გულახდილად და მედგრად არ დაადგა ეკონომიურ ცვლილებათა გზას და ამ მხრით გამწვავებული ტკივილი საფრანგეთისა არ განჰკურნა, იგი დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და მისი ბედი და ხანგრძლივობა ყოველთვის ბეწვზე ეკიდება. ესეც კი საფიქრებელია, რომ ვაი თუ ძაფი მოთმინებისა გაუწყდეს თითონ ერსა და ერთი ასეთი ალიაქოთი ასტეხოს, რომ თავბედისა ვეღარა გაიგონ რა.

[1895 წ.]

ტფილისი, 17 იანვარი,

ჩვენს წინა მეთაურში*. გამოვთქვით, რომ პრეზიდენტის და უფრო ხშირად სამინისტროების დაუდგრომლობას და ხანმოკლეობას საფრანგეთში მიზეზად ისა აქვს, რომ პარლამენტი და სენატი — ეს უმთავრესნი გამგებელნი საქმისანი — იძულებულ არიან წაჯექ-უკუჯექობით იმოქმედონ, ერთი ფეხი რომ წინ გადადგან, მეორე უსათუოდ უკან. ეს წაჯექ-უკუჯექობა ძალაუნებურად თავს იჩენს ხოლმე ყველგან — პრეზიდენტს ირჩევენ თუ სამინისტროს.

პარლამენტი და სენატი დღეს იმისთანა ელემენტებისაგან არის შემდგარი, რომ ვერსად წაუვა ორწყალშუა დგომას, გულით რომ ერთი უნდოდეს — პირი მეორე მხრისაკენ უნდა ეჭიროს. დღევანდელს საბრძოლველს მოედანზე ცალმხრივ ბურჟუაზია დგას, რომელსაც შესწევს დღევანდელი ეკონომიური წესწყობილება, — და მეორეს მხრივ ამ წესწყობილების მომდურავნი და ეკონომიურ ცვლილებათა მომხრენი. პარლამენტი და სენატი ამათ შუა ჰტოკავს და ვერ გაუბედნია ან მთლად ერთისაკენ გაიწიოს, ან მეორისაკენ. პარლამენტის და სენატის სული და გული დღეს უფრო ბურჟუაზიისაკენ არის, მაგრამ ამასთან ისიც იციან, რომ ერის ცხოვრების ღაღადებასაც ანგარიში უნდა გაეწიოს. პირველნი გულით ვერ გაუმეტნიათ და მეორეს შიშით ყურს ვერ უყრუებენ.

ეს გარემოება ატოკებს მთელს ეხლანდელს ყოფას მმართველობისას საფრანგეთში და ამიტომაც იგი საფუძველი, რომელზედაც სხვაგან საზოგადოდ ფეხი უნდა მოიკიდოს ხოლმე მმართველობამ, აქ, საფრანგეთში, მოლიპულია და უბრალო საბაბია საკმაო — ფეხი მოასხლეტინონ პრეზიდენტსაც და სამინისტროსაც. ესევე გარემოება წაჯექ-უკუჯექობისა და ორწყალშუა დგომისა მიზეზია იმისი, რომ პარლამენტმა და სენატმა, როგორც ვთქვით, ერთი ფეხი რომ ერთისაკენ გადადგას, იმავე წამს მეორისაკენ მეორე უნდა გადააბოტოს ხოლმე.

სწორედ ამისთანა მაგალითს დღესა ვხედავთ საფრანგეთში. პარლამენტმა თავისს პრეზიდენტად ამოირჩია ბრისსონი, კაცი რადიკალთა დასისა და მომხრე ეკონომიურ ცვლილებათა. გარდა ამისა, სამინისტროს დუპუისას, რომელიც თავით ფეხამდე ბურჟუაზიას ეკუთვნის, სარმა გამოჰკრა და ძირს დასცა. ამასთანავე საჭიროდ არ დაინახა საკმაოდ გამოსარჩლებოდა თვით რესპუბლიკის პრეზიდენტს კაზიმირ პერიეს, რომელიც იგივე ბურჟუაზიის კაცია და ურჩი ეკონომიურ ცვლილებისა და რომელიც ამის გამო გადადგა სამსახურიდამ.

ყოველივე ამით დიდად აამა პარლამენტმა ერთს მხარეს, სასოება გაუძლიერა, იმედები გაუღვიძა და ღაღადება მისი დაადუმა. ხოლო იმ ფიქრმა, რომ აგრე გასისწვრიება საქმისა ცუდს დღეს დაჰმართებს ბურჟუაზიას, რომელსაც უფროს-ერთობა პარლამენტისა ეკუთვნის სულით და გულით, იძულებული გაჰხადა პარლამენტი ამათკენაც მოეხედნა და ერთი ფეხი ამათკენაც გადაედგა: ზოგი რომ იმათ, ზოგიც ჩვენაო. ამ სურვილმა, თუ წყურვილმა, თავი გაიტანა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევანში. კონგრესმა, რომელიც

* იხ. „ივერია“, № 9

შესდგება ხოლმე პარლამენტისა და სენატის შეერთებულ კრებულისაგან, ამოირჩია ფელიქს ფორი.

თუ სახეში მივიღეთ, რომ ფელიქს ფორი ეხლანდელი წესწყობილებით გამდიდრებული კაცია, ნამინისტრალია აწ გადადგომოლის სამინისტროსი და თავისის საპოლიტიკო აზრებით ეკუთვნის ეგრედ წოდებულ ზომიერ რესპუბლიკელთა დასსა, ადვილად მივხვდებით, რომ ეკონომიურ ცვლილებათათვის ერთის ფეხით წინ წადგომას ზედ მოჰყვა მეორე ფეხით უკუდგმა. ამ სახით ხელახლად გამოცხადდა, რომ ეხლანდელ საფრანგეთის საქმეთა გამგებელთ ერთსა და იმავე დროს ჰოც უნდა და არაც, როგორც აქამომდე.

იმ გარემოებაში, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტად ამორჩეულ იქმნა ფელიქს ფორი, ცხადად გამოიხატა, რომ საფრანგეთის საქმეთა გამგებელთ — პარლამენტს და სენატს — სულ არ ჰსურვებიათ, რომ ორწყალშუა დგომისაგან დაეხსნათ საფრანგეთის მმართველობა და ერთს რასმე გარკვეულს გზას დასდგომოდნენ, ან სულ ბურჟუაზიისაკენ გადასულიყვნენ, ან ეკონომიურ ცვლილებათა მომხრეებისკენ. სამს შესაძლებელ საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის ერთი იყო ვალდეკ რუსსო, მეორე ფელიქს ფორი და მესამე ბრისსონი. ვალდეკ რუსსო გულითადი მომხრეა კაზიმირ პერიესი, მაშასადამე, მის ბურჟუაზიულ პოლიტიკისა, და ცნობილია კონსერვატორად რეაქციონურ ფერისა. ბრისსონი რადიკალია და გულითადი მომხრე ყოველგვარ ცვლილებისა, და ფელიქს ფორი, როგორც ზომიერი კაცი, ამათ შუა არის, არც ფლავია, არც ჩლავი, არც ჰოა და არც არა. რადგანაც ბურთი და მოედანი ამ შემთხვევაში ფელიქს ფორს დარჩა, კაცს, რომელიც არც საკმაოდ წინსვლას უქადის საფრანგეთს, როგორც, მაგალითებრ, ბრისსონი, არც ძალიან უკან დახევას, როგორც ვალდეკ რუსსო, ცხადია, აქაც იგივ წაჯექ-უკუჯექობა გამოიჩინა პარლამენტმა და სენატმა, რასაც აქამდე იჩენდა. ფელიქს ფორი სწორედ იმისთანა კაცია, როგორის გუნებისაც დღეს პარლამენტი და სენატია საფრანგეთში. ამაზეა ნათქვამი: ყოველი მზგავსი მზგავსსა ჰშობსო.

რადგანაც ხსენებულ მიზეზთა გამო საფრანგეთის შინაურ საქმეთა გარემოება ნებას არ იძლევა ერთი გარკვეული პოლიტიკა იქონიოს საფრანგეთის მმართველობამ, ერთს რომელსამე გზას დაადგეს, ერთი განსაზღვრული მოედანი ამოირჩიოს სამოქმედოდ, ამიტომაც დიდად ძნელია ახალის სამინისტროს შედგენა ახალის პრეზიდენტისათვის. კაზიმირ პერიე სულ იმასა სცდილობდა, რომ რადიკალებისაკენ ერთი ფეხიც არ გადაედგა და უნდოდა ეს დასი მჩვარში როგორმე გაეხვია. ამაზე მოისხლიტა მან ფეხი, ამაზე წაიბორძიკა თვით მისმა სამინისტრომ. ახალმა პრეზიდენტმა ფელიქს ფორმა მითომ-და გაუწოდა ხელი რადიკალებს და მისი წევრი ლეონ ბურჟუა მიიწვია და სთხოვა — სამინისტრო შეადგინე შენის მეთაურობითაო. ლეონ ბურჟუამ ამის პასუხისათვის ვადა სთხოვა.

დღეს დეპეშებით ვიცით, რომ ლეონ ბურჟუამ გამოუცხადა ახალს პრეზიდენტს, არ შემიძლიან და უარს ვამბობო. ესეც იმის ნიშანია, რომ ეხლანდელი ელემენტები პარლამენტისა არ წარმოადგენს შემძლებლობას, რომ რამოდენადმე ერთგვარი სამინისტრო შეედგინა ლეონ ბურჟუას, ერთის გამორკვეულის პროგრამმისა. აშკარაა, წინდახედული კაცი არ ჩაიბამდა თავს იმისთანა სამინისტროში, რომელსაც სხვა არა დარჩენია რა, რომ ორწყალშუა დგომასა და წაჯექ-უკუჯექობაში სახელი და თავი გაიფუჭოს.

ჩვენის ფიქრით, ახალი პრეზიდენტი რესპუბლიკისა იძულებულ უნდა იქმნას ან პარლამენტი დაითხოვოს, ახალი არჩევანები მის დეპუტატებისა დანიშნოს და ამ გზით დაეკითხოს საფრანგეთის ერს, ან იმისთანა საშუალნი კაცნი მიიწვიოს სამინისტროში, რომელთაგანაც არც ჰოს იმედი იქმნება, არც არასი, და რომელთა დღეგრძელობაც დღეებით იქმნება დასათვლელი, თუ ამ უკანასკნელს გზას დაადგა ახალი პრეზიდენტი ან ნებით, ან უნებურად, საეჭვოა, რომ საფრანგეთის ერმა დიდხანს ითმინოს ამისთანა ამბები.

[1895 წ.]

<სიტყვა ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე>

მე, ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდგან და კრების ოქმიდგან შევიტყე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერ ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში — მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბატონებო!.. ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, — ჩვენის ერთიანი ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამც თუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდეესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქედ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქედ, რაც ჩვენნი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესი მამულისშვილნი, ჩვენნი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო. ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულისშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქეცით. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა.

[1895 წ.]



ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდან

(სახალხო სკოლების უფლებათა შესახებ)

ფრიად საყურადღებო წერილი დაბეჭდა წარსულის თვის მეორე ნახევარში (№ 6961) სუვორინის გაზეთმა „ნოვოე ვრემია“-მ ამ სათაურით: „Русская народная школа в Финляндий“. ჰკითხულობ ამ წერილსა და ჰკითხავ შენს თავსა: „ნუთუ ფინლიანდია და საქართველო შეადგენენ ნაწილს ერთისა და იმავე სახელმწიფოისას? უფლებანი ფინლიანდიის სახალხო სკოლებისა იმდენადვე განირჩევიან ჩვენის სკოლების უფლებიდგან, როგორც დღე და ღამე. ყველა დირექტორები და ინსპექტორები სკოლებისა გამოუკლებლად არიან მხოლოდ ფინლიანდიელები, მთელი სწავლა მიდის მხოლოდ ფინლიანდიის ენაზედ და, ასე გასინჯეთ, რუსულს ენას როგორც საგანსაც კი არა აქვს ადგილი ამ სკოლების პროგრამაში“. „Просим помнить, - ამბობს გაზეთი, - что по господствующему в народно-училищном деле принципу, русский язык вовсе нельзя преподавать в низших школах Финляндий“. ფინების აზრით დაბალ სახალხო სკოლას შეუძლიან მხოლოდ დედაენა ასწავლოს რიგიანად, მისცეს ბავშვს პირველდაწყებითნი ცნობანი თავისს ენაზედ და გაავრცელოს ფინურის წიგნის ცოდნა ხალხში. რომელიმე უცხო ენის სწავლება ამისთანა სკოლებისათვის აუტანელი ტვირთიაო, ფიქრობენ ფინები და თავის აზრს ადგანან და ახორციელებენ. რუსული ენა ფინლიანდიაში სავალდებულო საგანს შეადგენს მხოლოდ საშუალო და მაღალ სასწავლებლებში. ამ მოწყობილების მეოხებით ფინლიანდია ისე დაწინაურდა ხალხის განათლებით, ისე გაამდიდრა თავისი სახალხო ლიტერატურა და ისე უხვად მოჰფინა პირველდაწყებითი ცოდნა დაბად და სოფლად, რომ დაეწია ევროპის დაწინაურებულს სახელმწიფოებსა.

როგორ გგონიათ, კატკოვის თაყვანისმცემელი სუვორინი რას ჰფიქრობს ამ მოწყობილების შესახებ? იქნება სჭექს და ქუხს მის წინააღმდეგ და სწადიან მისი ჩაშლა, ჩაფუშვა და სხვანაირად მოწყობა? სრულიადაც არა. იგი კრინტსაც არა სძრავს ამ მხრით.მას სრულიად სხვა დარდი აწუხებს: საქმე ის გახლავთ, რომ ფინლიანდიაში რუსებიცა სცხოვრობენ და მათთვის ისე ცოტაა რუსული სკოლა დაარსებული, რომ ბევრი რუსი იძულებულია ან უსწავლელად დაანარჩუნოს თავისი შვილები და ან მისცეს ფინურ სკოლაში და იგინი გააფინნოს. ამ რუსულ სკოლებს აქამდის განაგებდა რუსეთის განათლების სამინისტრო, ახლა კი თურმე ფინლიანდიის თვითმართველობას სურს ეს სკოლები ხელთ იგდოს. აი ამ პროექტის წინააღმდეგ ღაღადებს სუვორინი და ევედრება სამინისტროს, ხელიდგან ნუ გაუშვებ რუსული სკოლების მართვის უფლებასა, თორემ ფინლიანდიელები არამც თუ არ ამრავლებენ მათ მცირე რიცხვსა, არამედ არსებულებსაც დაჰკეტენო.

მაგრამ ამასთან ეშინიან გააჯავროს ფინლიანდიელები და ამიტომ უმატებს: ეს რუსული სკოლები სამინისტრომ შეინახოს თავისს ხარჯით და არა ფინლიანდიის ხარჯითაო. გაზეთი უფრო მეტს, მისგან მოულოდნელს თავაზიანობას იჩენს ფინლიანდიის შესახებ, როდესაც ამბობს, რომ ჩვენ აზრადაც არა გვაქვს ფინების გარუსებაო. „Здесь нет речи о русификации края, здесь имеются в виду только интересы тех русских , которых судьба забросила в Финляндию, русских, родных по плоти и духу,“- ამბობს გაზეთი.

გაიხსენეთ, თუ ამას წინედ რა თავაზიანი და სამართლიანი მსჯელობა წარმოსთქვა მეორე რუსულმა გაზეთმა, „Московские Ведомости“-მ პოლონიის სახალხო სკოლების შესახებ და დარწმუნდებით, რომ ახლა მაღალს სფერაში უბერავს იმისთანა ქარი, რომ

გარუსებაზე გადარეულს გაზეთებსაც კი სხვა ლექსს ათქმევინებს, სხვა მიმართულებისათვის აკმევინებს.

ჩვენში? ჩვენში ქშუტუნებს დაუცხრომლად იგივე უკუღმართი ქარი ხალხის განათლების შესახებ და არამცთუ არა სუსტდება, პირიქით თანდათან ძლიერდება. ორივე საქართველოს დირექციაში გაქრა ქართველების სინსილა და მათი ადგილი დაიჭირეს სხვა ტომის პირებმა, რომელთაც არ იციან არც ხალხის ენა, არც მისი ყოფა-ცხოვრება და მოკლებულნი არიან ძმურსა და მშობლიურს თანაგრძნობასა მისდამი. ქართული ენა პირველი ადგილიდგან სულ ბოლოს მოექცა და თითქმის დაჰკარგა უფლება სავალდებულო საგნისა. სწავლა მიდის არა დედაენაზედ, არამედ გაუგებარზედ. გამეფდა იქითს საქართველოში მუნჯი მეთოდი, წყარო სიცილისა და ტირილისა, და მოარულისავით ლამის აქეთს საქართველოსაც შეეყაროს. სახალხო სკოლა გარდაიქცა გონების დარეტიანებისა და დაჩლუნგების კერად. ჩვენ არამც თუ გაუზომელს მანძილზედ ძირს ჩამოვედით შედარებით ფინლიანდიასთან, კავკასიის სხვა ხალხებიც კი მეტის უფლებით სარგებლობენ. მაგალითად: „დირექციები თათრულს სკოლებს უგზავნიან პირველს და მეორე საკითხავს წიგნსა, სომხურს სკოლებს — მესამესაც, ჩვენში სკოლებისათვის კი პირველი წიგნიც შურთ და თხოულობენ, რომ იგი დაპატარავდეს და დაემზგავსოს ოსურს ანუ მეგრულს ანბანსა“.

რა დავაშავეთ, ვის რა ვირი მოვპარეთ, პოეტისა არ იყოს?

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთსა.

მაშ რად გადავიქეცით დაბალ, უმდაბლეს ღობედ?

უფრო ჩვენივე უმზგავსობის გამო. იმის მაგიერ, რომ ყოველი ჩვენი უფლება, მონიჭებული კანონისა და ხელმწიფის მიერ, მხნედ, დაუცხრომელად და მტკიცედ დაგვეცვა, დავემგზავსენით მონებსა, რომელნიც ერთმანეთს ედიდგულებიან, სძულთ ერთმანეთი, სჭამენ ერთმანეთსა და სხვებს კი ებრიყვებიან და მხოლოდ ოთხს კედელს შუა ჩურჩულს ბედავენ იმისას, რაც უნდა წარმოითქვას ხმამაღლა, საქვეყნოდ, რადგანაც ეს

წარმოსათქმელი სრულიად კანონიერია, სასარგებლო ჩვენთვის და სახელმწიფოსათვის.

[1895 წ. 5 აგვისტომდე]



ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)

(„ნოვოე ვრემიას“ კორესპოდენტი ცილს სწამებს ქართველებს)

სოხუმიდგან გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ სწერენ:

„ქართველები განგებ ავრცელებენ ხმებს, ვითომც სოხუმის ოლქში ციებ-ცხელება იცის მუდამ, რათა ამით დააშინონ რუსები, რომელთაც სურთ აქ მამულების შეძენა. ბოლოს დროს მეტად მტრულად უყურებენ რუსებს ადგილობრივი მკვიდრნი. სოხუმის მხარე ახლა იღვიძებს, მალე რკინისგზა გაივლის ამ ადგილებზედ და აქამდის მიძინებულმა მცხოვრებლებმაც გაიღვიძეს: მათ ძალიან ეშინიათ — რუსებმა არ დაიპყრან ადგილები ამ მშვენიერ ქვეყანაში. ამგვარის შემთხვევის თავიდგან ასაცილებლად სოხუმში არსდება საზოგადოება ქართველების, აბხაზების და ბერძენთა, რომელთაც განუზრახავთ, თვალ-ყური ადევნონ მამულებს და თუ სადმე ან სოხუმში, ან სოხუმის მიდამოში გამოჩნდება გასასყიდი მამული, მაშინვე შეიძინონ ისინი. ამრიგად, უმთავრესი საგანი ახალის საზოგადოებისა არის: ხელიდგან არ გაუშვან აქაური მიწა-წყალი. მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ განზრახულს საზოგადოებას, გარდა აღნიშნულ საგნისა, აზრადა აქვს ეცადოს, რომ უმიწაწყლო მკვიდრთა და რუსებს შორის სიძულვილი არ მოისპოს.*“.

სწორედ არ მოველოდით „ნოვოე ვრემიაში“ ამგვარ წერილს! ამისთანა შემთხვევის გამო „ნოვოე ვრემიამ“ ისე მოხერხებულის წერილების შეთხზვა იცის, ძნელია კაცმა გაარჩიოს, სად თავდება სიმართლე და სად იწყება სიცრუე, ცილისწამება, ჭორი და ინსინუაცია. ახლა კი საკვირველის მოუხერხებლობით მოუჭორავს სუვორინის გაზეთს... კორესპონდენტი წერილს იმით

* კურსივი ჩვენია. რასაკვირველია, მეტია იმის განმარტება, თუ რა მავნებელია ეს საზოგადოება რუსების დასახლებისათვის ამ მდიდარს ქვეყანაში, სადაც ლიმონისა და ზეთის ხილის ხე ქუჩებში ყვავის, სადაც ოლეანდრებითა და წნორით არის მოფენილი მდინარეთა და წყაროთა ნაპირები

იწყებს, რომ ქართველებმა განგებ დაჰყარეს ხმები სოხუმის ციებ-ცხელების შესახებ, რათა რუსები დააფრთხონო. მოდი და ნუ გაგეცინება, ასეთს ბრალდებას რომ წაიკითხავ! ქართველები სრულიად წინააღმდეგის სენით არიან შეპყრობილნი: ქართველს კაცს ისე გადამეტებით უყვარს თავისი სამშობლო, რომ სამშობლოს შესახებ ცუდის გაგონებას პირად შეურაცხყოფადა სთვლის და მძაგებელს არ შეარჩენს ცუდს სიტყვას. „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი კი გვარწმუნებს ქართველები თვითონ ავრცელებენ სამშობლოს შესახებ ცუდს ხმებსაო... თუ სოხუმის მიდამოების ციების ამბავი სიცრუვეა, ეს ისევ სუვორინის თანამემამულეთა მოჭორილი გახლავთ, რადგანაც მათ, — არვინ იცის, რა მიზეზებისა გამო, — ხშირად უყვართ ხოლმე ძაგება ჩვენის ქვეყნის ბუნებისა და უაზრო გინება მისის მცხოვრებლებისა. მაგრამ ვიკითხოთ ერთი: როდის შეიქმნა სოხუმის მიდამოების ციების ამბავი სიცრუვეთ? განა რუსებისავე ექიმებს, სწავლულებს და მწერლებს ბევრჯერ არ შეუმოწმებიათ, რომ იმ ადგილების ჰავა მავნებელია უცხოთათვისაო?! განა მართლა არ ამოუწყვეტია აქაურს ციებ-ცხელებას უცხო ახალშენები?! დიაღ, სოხუმის მხარის ჰავის ცუდი გავლენა უცხოელებზედ დღემდის სიმართლე იყო, მაგრამ დღეს, რაკი ქართველებს განუზრახავთ აქ ადგილ-მამულის შეძენა, ციებ-ცხელების ამბავი სიცრუედ უნდა იქნას აღიარებული!.. შემდეგ, წერილში ვკითხულობთ, რომ იქაურ მცხოვრებ ქართველთ, ბერძენთ, აბხაზებს და სხვათ განუზრახავთ საზოგადოების შედგენაო ადგილ-მამულების შესაძენად. კარგი და კეთილი, თუ ეს მართალია! სწორედ მოსაწონი და სასარგებლო საქმე განუზრახავთ სოხუმელთ და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ამ განზრახვის წინააღმდეგ არა ითქმის რა. თვით „ნოვოე ვრემია“-ც ვერას იტყვის წინააღმდეგს პირდაპირ, მაგრამ სამაგიეროდ მას ისეთი ცილისწამება ჩაურთავს, რომ გაზეთს ნება ეძლევა ახალის „საზოგადოების“ წინააღმდეგ გამოილაშქროს. კორესპონდენტი სწერს, ვითომც მას საბუთი აქვს სთქვას, რომ ახალს საზოგადოებას სურს სიძულვილი დასთესოს მკვიდრთა და რუსთა შორის!

განა დამტკიცება სჭირია, რომ ეს სრულიად მტკნარი სიცრუვეა და ნამდვილი ცილის წამება? ეს რომ მართალი იყოს, განა კორესპონდენტი აგრე ყრუდ მოიხსენებდა რაღაც საიდუმლო „საბუთს“? განა „ნოვოე ვრემია“ ბუკსა და ნაღარას არ დასცემდა, მართლა რომ გაჩენილიყო რუსეთში ამგვარი მავნე საზოგადოება? განა ასე მელანხოლიურად დაიწყებდა წუწუნს ცნობილი „ნოვოე ვრემია“, რომ მართლა საპატიო საბუთი ჰქონდეს ხელში ამგვარ მავნე საზოგადოების წინააღმდეგ?!.. რასაკვირველია, არავითარი საბუთი არა აქვს და არც შეიძლება ექნეს, რადგანაც არავის ფიქრადაც არ მოუვა ამგვარ უაზრო საგნების დასახვა... ეს ცილისწამება გაზეთს დასჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ სასარგებლო საზოგადოება, რომელსაც ადგილ-მამულების შეძენა განუზრახავს, მავნედ ჩაეთვალა... საზოგადოებას განუზრახავს ბოგანო ხალხის დასახლება და ადგილ-მამულის შერჩენა – ეს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეა, მაგრამ, რადგანაც ეს საზოგადოება მკვიდრთაგან შესდგება, მაშასადამე, მავნებელიაო და აი „ნოვოე ვრემია“-ს ლოღიკა!.. „ნოვოე ვრემია“ წინად უფრო ხერხიანად ავრცელებდა ხოლმე ცილისწამებასა და სიცრუეს, დღეს რა მოუვიდა ნეტავი?

[1895 წ. 23 აგვისტომდე]

<კრწანისის გმირთა მოსახსენებლად>

ტფილისი, 11 სექტემბერი

ხვალ, 11 სექტემბერს, კრწანისის მინდორზე პანაშვიდია დანიშნული საოხად და სახსენებლად იმ საოცარ გმირებისა, რომელთაც ამ ასის წლის წინად სწორედ ამ დღეს თავი შესწირეს თავისს საყვარელს ქვეყანას, თავისს რჯულ-სარწმუნოებას, თავისს ვინაობის ხსნას, თავისს ისტორიის ანდერძს, თავისის ერის სახელსა და დიდებას და ერთობ თავისის ქვეყნის მერმისსა. ვინც კი მოასწრო ქურდულად მოსეულის მტრის გულდაგულ დასახვედრად და თავისის წმინდა სისხლით მორწყო კრწანისის მინდორი, ყველამ იცოდა, რომ იგი საშინელი დღე დღეა დიდის განსაცდელისა: დღეა, როცა ბედი ქართლისა უნდა გადასწყდეს: როცა ჰო თუ არა საქართველოს არსებობისა თვალწინ დაუდგა თავგადადებულ ვაჟკაც მამულიშვილებს, როგორც ხმალ-მოღერებული სულთამხუთავი და ყველა ელოდდა ვაჟკაცურის გულისცემით უკანასკნელს სიტყვას ჩვენის ბედის განაჩენისას, ხმლის ტარზე ხელმოკიდებული და სასიკვდილოდ გაფიცული.

ყველა იქ მყოფი ჰგრძნობდა, რომ იმდღეინდელი გამარჯვება თუ დამარცხება უქმად არ ჩაუვლიდა სამშობლო ქვეყანას. ყველა ჰხედავდა, რომ იმ დღის გამარჯვება მარტო მოგებას ომისას არ მოასწავებდა ვაჟკაცთა თავმოსაწონებლად, არამედ ხსნას ქვეყნისას წაწყმედისა და დამხობისაგან და ამ მამულიშვილურ გრძნობით გამსჭვალულთ

„მრავალ ყმაწვილთ კაცთ, ნუგეშთა ქართლის,

დასდეს აქ თავი მამულისათვის“.[1/]

ამიტომაც ასე ალაპარაკებს ჩვენი პოეტი ნ. ბარათაშვილი იმ დიდებულ მეფეს, რომელთანაც „ერთად მარხია სამარეს დიდება ივერიისა“ და რომელსაც მეორე პოეტის სიტყვით,

„მთელი სიტურფე ქართლისა
ესვენა ძლიერ მხრებზედა,
როგორაც შუქი მთვარისა
იალბუზისა ქედზედა“.[2/]

და რომელიც ასე თურმე ეუბნებოდა ჯარს, კრწანისის მინდორზე საომრად გამზადებულს:

„საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!..
დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა!..
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი,
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო უყვარს, ძმანო, მამული!...“

რასაკვირველია, ამ ამბის შემდეგ, რომ სამასი არაგველი იქავ მეფე ერეკლეს წინ გაიფიცნენ და მერე ომიდამ ერთი ცოცხალი არ გამოვიდა:

„თუ გაგვიწყრება ღმერთი და
ვერა განვდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან
შინღა წავიდეს ცოცხალი!”
და გარდიწერეს პირჯვარი,
ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს
და შავარდენებრ მივარდნენ
სპარსთა ურიცხვთა სიმრავლეს!...
შესძრეს... გაფანტეს... მარამა

1/ ნ. ბარათაშვილი
2/ ვაჟა-ფშაველა

ზედ თავიც თვისი დააკლეს!...
ფიცი ვაჟკაცთა წმინდა არს!
მათცა სიკვდილით შეჰმოწმეს!...“[1/]

რასაკვირველია, ვამბობთ, ყოველ ამის შემდეგ, რომ ერთი მუჭა ჯარი საქართველოსი არ შეუშინდა ერთი ათად მეტს მტერსა და მინამ ფეხზე დგომა შესძლებიათ, მტრისათვის ზურგი არ უჩვენებიათ, ხმალი ქარქაშში არ ჩაუგიათ, ერთიერთმანეთი უმხნევებიათ ამ სიტყვებით:

„ქუდი ნუ ჰხურავს თავზედა,
ვინც არ იჩინოს გმირობა!...
ვინაც ცოცხალი მტერს დარჩეს
ყმადა და სასაცილოდა,
ღვთისაგან წყეული იყოს
გვარით საშვილიშვილოდა,
თუ ვერ შევიძლოთ საცადი,
გაგვწირონ სასიკვდილოდა,
მოვკვდეთ,-გვეხუროს მიწისა
ნაბადი მოსათბილოდა.“[2/]

გაიწირნენ კიდეც სასიკვდილოდ, შავი მიწა ერგოთ ქვეშ ლოგინად და ზემოდამ მოსათბილობელ ნაბდად. დაიხოცნენ, მაგრამ დიდი მაგალითი გვაჩვენეს იმისი, თუ რა შეუძლიან მამულის შვილს, როცა გულში აბჯრად აქვს ხსნა ქვეყნისა და ხელში ხმალი სახსრად. შვიდი ათასმა კაცმა სამოცდაათი ათასი მტერი შეაყენა, შეაბრკოლა და ყოფილა წუთი, როცა ადგილიდამ დასძრა კიდეცაო, და პირი აბრუნებინაო.

ჩვენ აქ ამ ჩვენის ბედისწერის ისტორიას არა ვწერთ. ჩვენი სურვილია ხვალ ყველა დამსწრემ პანაშვიდზე ცხოვლად აღიბეჭდოს იგი საოცარი სურათი ვაჟკაცურ მამულიშვილობისა, რომ შვიდი ათასი თავგანწირული ქართველი უშიშრად და უდრტვინველად გულდაგულ დასჯახებია სამოცდაათი ათასს ზედ-

1/ გრ. ორბელიანი.
2/ ვაჟა-ფშაველა

მოსეულს მტერს და თვითვეული ლომად ქცეულა იმ წმინდა და დიდებულ აზრით აღფრთოვანებული, რომ თავდადებას და თავგანწირვას ითხოვს დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა. აი ის ცხოველი სურათიც იმ საშინელ ომისა, რომელიც დღეს აქამომდე შვენის, ერის სულსა და გულშია დამარხული და იქიდამ ამოღებულია პოეტის მადლცხებულ ზედმიწევნის ნიჭითა:

„ქალაქით კრწანისს გავედით.
ველოდებოდით მტერსაო,
შორს მოდიოდნენ წყეულნი,
ცაში ადენდნენ მტვერსაო,
დაჰკრეს ნაღარას, საყვირსა,
აქოთდა გიჟი ბუკები —
ჩვენი — აქ, იქით — თათრისა,
ღვინოსებ სისხლის მდულები.
ცა მოიღრუბლა, მიწამა
ასტეხა გლოვა-ზარია,
სისხლისამ მორწყო წვიმამა
ქართველთა მთა და ბარია.
როგორც ღრუბელი მოვიდა
მრისხანედ თათრის ჯარია,
ისეთი ვსჩანდით იმასთან,
ვით ზღვასთან წვიმის ცვარია...
მაგრამ ვინ იტყვის იმასა,
მტერი გვაჭარბებს რიცხვითა?
ბევრჯელ უტეხავ ქართველსა,
კლდეები გულის ფიცრითა!
„შემოკალთულნი ჩოხებში
მტერს უცდის ქართველებიო,
და გველისპირულს ფრანგულებს
ადნება ქარქაშებიო.
“რა ვნახეთ, მტერი, მივცვივდით
ხმალმოწვდით გამალულები
და დავინთქენით სპარსებში,
გარს მტრისგან შემორტყმულები.
ხმალთ სტვენას, ცხენთა ჭიხვინსა
ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი,
და თავმომწონე დროშებსა

ჰაერში გააქვთ ფრიალი.
აბრეშუმზედა ნაკერი
ბრწყინვალებს ჩვენზე ჯვარია,
იმისი შემაცქერალი
იბრძვის ქართველთა ჯარია.
იბრძვიან გამწარებულნი
თითო ოც-ოცის მკვლელია...
მაგრამ დავმარცხდით სიმრავლით,
გაცუდდა ვაჟკაცთ ხელია;
გაწყდნენ სამშობლოს ერთგულნი
მტრისა სისხლითა მთვრალნია,
დაიგეს მიწის ლოგინი,
დაჰხუჭეს მუდმივ თვალია...
“იმათ ადგება ნათელი,
დასტირის ღამ-ღამ მთვარეო,
მათ სიმამაცის მნახველი
დღესაც ჰკვნესს არემარეო“.[1/]

არემარე ჰკვნესს და ხვალ დაიკვნესებს მთელის საქართველოს გულიცა, როცა პანაშვიდზე ლოცვით და კურთხევით შეავედრებენ ღმერთს იმ საკვირველ ვაჟკაცთა სულსა, რომელთაც ქვეყნის ხსნისათვის კრწანისის მინდორზე „დაიგეს მიწის ლოგინი და სამუდამოდ დაჰხუჭეს თვალნი“.

„აწ საფლავიცა არსად სჩანს მათთვის!..
ჰაერში განჰქრა მათი სახელი,
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა!..
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..“[2/]

ნუთუ მართლა ხვალინდელმა დღემაც ისე უნდა ჩაიაროს, რომ ჩვენთვის თავგანწირულ და თავდადებულ მამულიშვილებს არ ეღირსოთ ჩვენგან ღირსსახსოვარი ძეგლი იმ ადგილს, საცა იგინი დაიხოცნენ ქვეყნისათვის... სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ ხვალინდელი

[1/] ვაჟა-ფშაველა
[2/] ნ. ბარათაშვილი

დღე ასე კვალდაუჩნევლად გავატაროთ და ძეგლის დადგმისათვის არა ვიფიქროთ რა. ნუთუ ღირსნი არ არიან! ნუთუ ჩვენ, იმათი სისხლ-ხორცნი, იმოდენად უმადურნი ვართ, იმოდენად გულმოკლულნი, რომ თითო-ოროლა გროშს ვერ გავიმეტებთ მათთვის, ვინც ჩვენთვის, ჩვენის ქვეყნისათვის გაიმეტა თავისი თავი, თავისი სიცოცხლე და კრწანისის მინდორზედ დაა-ფრქვია თავისი სისხლი, მტლად დაედო თავისს საყ-ვარელს ქვეყანას და თავის მშობელს ერსა?..

[1895 წ.]



<კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი>

ტფილისი, 4 ნოემბერი

გუშინდელმა კორესპონდენციამ თელავიდგან ფრიად სასიამოვნო ამბავი გვაუწყა. ამ კორესპონდენციიდამ სჩანს, რომ იქაურ თავადაზნაურობას მიუგნია და ხელი ჩაუჭიდნია იმისთანა საგნებისათვის, რომელიც დღეს პირველ საჭირბოროტო საქმედ უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

ჩვენი ეგრედწოდებული ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზედ ნაკლებ ხელხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარედ დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭი-როს ყველგან, და ჩვენში ხომ რაღა თქმა უნდა. დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარ-მატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარედ დამოუკიდე-ბლობისა, მაძღრობისა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალ-ღონიერებაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდ სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის. ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოივლინებიან კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირ-ღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადურჩენია, რომ ჭამა-სმის გარეითად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს? ეს თუ შეუძლებელი არ არის, დი-დად საეჭვოა მაინც იქ, საცა ერი ღატაკია, უძლური

და მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად გაწირული. ღვთის მადლით, ჩვენ ჯერ ამ განწირულებამდე არ მივსულვართ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ დღესა თუ ხვალე ამ დღეში ჩავცვივით, თუ მინამ დროა თავს არ ვუშველეთ, ჩვენ მოედანი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა სხვას დავუთმეთ. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა და ამ მიზეზთა შორის უმთავრესი ის არის, რომ ჩვენ საშუალსაუკუნეთა რაინდობის ანდერძებით გულს ვიფხანდით, თავს ვიწონებდით: ხმალი, თოფი, ცხენი, რახტი, ლამაზი ქულაჯა და სხვა ამგვარი შეადგენდა საგანს ჩვენის ნატვრისას და წყურვილისას; და როცა ჩვენ გატაცებულები ვიყავით ამ ნატვრითა და წყურვილით, ჩრჩილი შემოგვეპარა, ჩვენის ერის ნაშრომ-ნაღვაწი ჩვენგან დაწუნებულ ვაჭრობით ხელთ იგდო, ამ გზით საქმით გაგვიბატონდა, ყმად დაგვიჭირა და სიტყვით კი თავს გვიქონავდა და გვეძახდა, — ბარაქალაო, კაცებიც თქვენა ხართ და ქუდიც თქვენა გხურავთო. ჩვენც ეს ბარაქალა დავიჯერეთ, ამით მოვტყუვდით და ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწი კერძი ცხოვრებისა დღეს იმათ უდგიათ, და ჩვენ კი შორიდამ ვუყურებთ და ცარიელს თითს ვილოკავთ. დღეს ბარაქალა და მართალი ბარაქალა ჩვენგან იმათ ეკუთვნის, იმიტომ რომ ისინი მიუხვდნენ ახალთა ქართა ბერვას, დროთა ძარღვს, აწინდელს აუცილებელს ღაღადს და მოთხოვნილებას, თავისი ძალ-ღონე ჭკუისა თუ ხელისა ამ ღაღადს, ამ მოთხოვნილებას შეუფერეს, შეუყენეს, გაღონიერდნენ ჯიბით, გაღონიერდნენ ყველაფრით, ხელთ იგდეს ამ საუკუნის ძლიერი ღონე — ფული და, მაშასადამე, ხელთ იგდეს დიდი სახსარი ყოველგვარის წარმატებისა. როცა ჩვენ ვისხედით და შუბლზედ ქუდშეკეცილები და მხრებზედ ყურთმაჯგადაყრილები „მრავალჟამიერს“ ვიძახდით, ისინი თავმოკატუნებულნი იდგნენ ჩვენ წინაშე და სიცილად არა გვყოფნიდნენ და, ვინ იცის, იქნება გულშიც ამბობდნენ: ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო. აი ბოლოს სიცილსაც შევესწარით: ბურთი და მოედანი ეკონომიურ ცხოვრებისა გამოგვეცალა ხელიდამ და დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიუხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირ-

ბოროტს, ვინც დროთა ძარღვს მარჯვედ მიაგნო და დროთა ღაღადს შეალია ძალ-ღონე არსებობისათვის ბრძოლითა.

ჩვენ კი, ვისის ქონებით, ვისის ნაჯაფევით, ვისის ნაღვაწით სხვანი კეთდებოდნენ, გავირიყენით, ცარიელზედ დავრჩით და დღეს შორს არა ვართ იქამდე, რომ ჩვენ ჩვენს სახლში სტუმრებად შევიქმნებით და სხვანი გაგვიმასპინძლდნენ, თუ თავს არა ვუშველეთ-რა, ვიდრე კიდევ შესაძლოა ბედს თავი ჩვენსკენ მოვუღრიჯოთ. თელავის თავადაზნაურობა, მისდა სასახელოდ, მიმხვდარა ამ გაჭირვებას და შესდგომია საშველის ძებნას. რამოდენად სამკურნალოა და უებარი ამ ჭირისა იგი წამალი, რომელიც მას მოუპოვია, — ეგ სხვა საქმეა, ამაზედ ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც. ხოლო სანუგეშო ის არის, რომ ჩვენის დღევანდელის ტკივილისათვის მიუგნია ზედმიწევნილად და ეგ ტკივილი მთელის თავის სიგრძე-სიგანით თვალწინ დაუყენებია ასე თუ ისე მოსარჩენად და საწამლებლად. საცა მიზეზი ჭირისა ზედმიწევნილად მიგნებულია, იქ მკურნალობა ერთიორად გაადვილებულია.

ტფილისი, 9 ნოემბერი,

ჩვენს მეთაურში ამ რამდენისამე დღის წინად ის აზრი აღვნიშნეთ, რომ ეკონომიური მოედანი ჩვენში ჩვენ, მიწის-მშრომელთ, ხელიდამ გამოგვეცალა და სხვამ დაისაკუთრა და დაინარჩუნა. ეს იქნება გადაჭარბებული აზრი იყოს, მაგრამ, თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ ჩვენის ნაამაგარისაგან გამორჩენა და მოგება სხვასა ჰრჩება და ჩვენ ჩვენს სახლში, ჩვენს მიწა-წყალზე, მარტო დღიური მუშები ვართ სხვისა, მაშინ ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრს თავისი ადგილი აქვს და საბუთი.

ვიმეორებთ: გარეშემო ყველაფერი შეგვეცვალა, ამ ცვლილებამ მრავალგვარი ახალი საჭიროება აგვიჩინა, ცხოვრება გაგვიძვირდა, გაგვიძნელდა, ვეღარ ავუდივართ აუცილებელს ჭირბოროტს დღისას. ამ უნუგეშო მდგომარეობის სისწვრივ ვხედავთ, რომ მტერი აღარ გვაცდენს მუშაობისაგან, მშვიდობიანობა ჩამოვარდა, სახლობას აღარავინ გვიწიოკებს, ნაშრომ-ნაღვაწს

არავინ გვიოხრებს, რკინისგზებისა და ზღვაზე სიარულის წყალობით ჩვენს ნაამაგარს კარი ფართოდ გაეღო, ცოტად თუ ბევრად ბაზარი გაუდიდდა, მუშტარი მოემატა, აღარა ვართ გარშემო მტრებისაგან და უგზოობისაგან იძულებულნი შინ კარჩაკეტილები ვისხდეთ, ჩვენი ვერა მივაწოდოთ რა სხვას, ან სხვისა არა მოვიწოდოთ რა. სულ ყოველს ამასა ვხედავთ და მაინც ვჩივით და ვტირით ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს უილაჯობას. ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია, რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებიარობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს. ამ მდიდარს და მომცემს ქვეყანაში რადა ვართ ღარიბნი და ღატაკნი? მადა, რომ ჯერ მაინც კიდევ ვტრიალებთ იმ აზრთა წრეში, იმ სურვილთა და წყურვილთა მზიან-ჩრდილში, რომელიც იყო გამოსადეგი ამ მეცხრამეტე საუკუნის წინად.

დღესაც ვიძახით თავმოწონებით: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი პურადი, გულადი, იგივ მხნე, იგივ მღერელიო“. მართალია, ბევრი არ არის სხვაგან ჩვენი ქვეყნისთანა ქვეყანა. ისიც მართალია, რომ პურადობა და გულადობა ფრიად მოსაწონი და ტკბილად მისაჩნევი ღირსებაა ადამიანისა, მაგრამ ჭირი ის არის, რომ დღევანდელი უკუღმართი დღე მაგაებს აღარა ჰკმარობს, მაგაებიდამ ბევრს ვერას გამორჩება.

დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა. კარგია თუ ცუდი ეს ასეთი ყოფა, ჩვენ ამაზედ თვალი უნდა ავახილოთ, ამაზედ ვიფიქროთ. საქმე ის არის, რომ დღევანდელმა დღემ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზედ არა სდგას, იგი ღონემიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან. ამ ბრძოლაში „ყურთმაჯთ ბრიალი, ხმალთა ტრიალი, ცხენიდამ ხტომა და კვლავ შეხტომა“ ვერაფერი თამასუქია გამარჯვებისა, ვერაფერი ღონეა.

ერთადერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერხანად მარტო მიწათმოქმედებაა ჩვენში. საფაბრიკო

და საქარხნო წარმოების მოედანი, თუმცა დღეს ჩვენში საგრძნობელად ხელთ არავის ჩაუგდია, მაგრამ ამაებისათვის ჩვენ არამც თუ ქონება არა გვაქვს, არამცთუ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, — აზრადაც არავის მოსვლია ამაებისაკენ მიიხედოს და ეს დღეს მოცლილი და სხვებისაგან დაუჭერელი ადგილი მაინც დაიჭიროს. ამას ვინა სჩივის? ის ერთადერთი მოქმედებაც, რომელიც დღეს ჩვენ ასე თუ ისე პურს გვაჭმევს, ისეთს მდგომარეობაშია, რომ, თუ გზა და საფუძვლი არ გამოეცვალა, ისიც ხელიდამ წაგვივა და ჩაუვარდება სხვას, ჩვენზე უფრო მხნეს, ჩვენზე უფრო მცდელს, მცოდნეს და გამჭრიახ კაცს. ეკონომიური ბუნება ქონებისა ის არის, — უძრავი ქონებაა თუ მოძრავი, — რომ უხერხო და უმცდელ კაცისაგან ხეირიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთოდ ბუნებურ კანონსა.

თავი და თავი მიზეზი იმ უეჭველ ამბისა, რომ მიწათმოქმედება ჩვენში მატებას და გაძლიერებას მოკლებულია; რომ დღეს არ იძლევა იგი იმოდენას, რომ არამცთუ სახვალიოდ რაიმე გადავინარჩუნოთ, საღღეისოდაც არ გვყოფნის; რომ ჩვენს საკუთარ მიწაზედ ჩვენის უმხნეობით და დაუდევრობით სხვის დღიურ მუშად გავიხადეთ თავი, და ვინ არ იცის, რომ დღიურ მუშის კერძი მსოფლიო სუფრაზედ იმოდენია, რაც მხოლოდ საკმარისია კაცს შიმშილით სული არ ამოხდეს, — ყოველ ამისი თავი და თავი მიზეზი იგია, რომ დღეს ჩვენებურს მიწათმოქმედებას იგივე საგანი აქვს, იმავე საქმეს ეტანება და ზედ ალევს თავისს ძალსა და ღონეს, რაც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში და კიდევ წინადაც უნდა გასძღოლოდა ასე თუ ისე მაშინდელთა მკვიდრთა საჭიროებას, და ამ სახით, მაშინ, როცა ჩვენს გარეშემო ყველაფერი შეიცვალა, ჩვენი ერთადერთი ეკონომიური სახსარი არც ზნეს იცვლის, არც ფერსა.

კიდევ ვიტყვით: მტერთაგან და უგზოობისაგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებულ იყო ის მოეყვანა, ის ემუშავნა თავის მიწაზე, რასაც დღეს უფრო იეფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდამ მოვიტანთ. იგი ძვირფასი

ჭირნახული, რომლის მოყვანასაც ასე ხელს უწყობს ჩვენებური დალოცვილი ჰავა და მიწა, მაშინ ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო. ეხლა სულ სხვაა. დღეს რა გვიშლის, მაგალითებრ, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებურ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იეფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფასს საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდამ პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით და არა მოგებაში?* ამას წინად ერთს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ თრიმლს დიდი მუშტარი ჰყავს რუსეთშიო და კაი ფასადაც გავაო. აბა ჯერ თრიმლი რა არის, ჩვენებური ტყეები სავსეა მაგითი, და გამოდის, რომ მაგასაც კი შესძლებია ქონების ღონე მოგვცეს, თუ ხელს მოვკიდებთ. სხვას ნუღარ ვიტყვით, რის მოცემაც შეუძლიან ჩვენს მდიდარს ქვეყანას, საცა ჰავა და მიწა ასე ხელს უმართავს კაცს, რომ რაც სულსა და გულს უნდა, კაცმა გაიჩინოს, გამოიღოს ბაზარში გასატანად.

თელავის თავადაზნაურობას ეს საჭიროება უგრძვნია და საგნად შემდგარ ამხანაგობისა დაუდვია განკარგება და გაძლიერება მიწათმოქმედებისა. განკარგება და გაძლიერება სწორედ იმ მხარეს უნდა მიექცეს, რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინონ, გაუმრავალგვარონ კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემოსაღები საჭირნახულო შეუწონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირფასი რამ ჭირნახული დაუდვან საგნად მიწისმომქმედს და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი ააღებინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა. რასაკვირველია, ყოველს მას სურვილისა და წყურვილის გარდა, ცოდნა და მოხერხება უნდა, და როგორც ეტყობა, არც ეს აუცილებელი მხარე საქმისა

* დღეს რომ ჩვენში პური ამბრებში ჰლპება და თუ არ ჩალის ფასად, მუშტარი არა ჰყავს, განა იმით არ აიხსნება, რომ აქაური ბაზარი სავსეა რუსეთიდამ მოტანილ პურითა, რომელიც ბაზარს უფრო იეფად უჯდება, ვიდრე ჩვენი შინაური პური?

დაუგდია უყურადღებოდ თელავის თავადაზნაურობას: სხვათა მისაღწევ საგანთა შორის ცოდნისა და ხერხის გავრცელებაც დაუვალებია განზრახულის ამხანაგობისათვის.

მართალია, დიდი მოედანი დაუნიშნავს თელავის თავადაზნაურობას მის მიერ განზრახულს ამხანაგობის მოქმედებისათვის, მაგრამ აქ სიდიდეს კაცი არ უნდა შეუშინდეს. რაც ცალკე კაცისათვის დიდია და მძიმე, ის ადვილი საზიდია ბევრისათვის. ეხლანდელს დროში კრებული ძალა სასწაულთმოქმედობს. მართალია, გულგაშლილი ქართველი ჩვეულს არის, რომ თუ მოსახვეტია რამე, კაბდოთი მოხვეტოს, და თუ არ ასე, მცირეზე ხელს არ წაიწვდენს, მაგრამ პატარა ნიჩბითაც ბევრი რამ გაკეთდება და ძალიან შესაძლოა ცოტცოტაობისაგან დიდი საქმე გამოვიდეს. აქ საჭიროა მოთმინება და ამაზედ ცოტა უკაცრავად გახლავს გულჩქარი ქართველი, რომელიც სჩივის და ჰყვირის ხოლმე, როცა განზრახული იმავ დღესვე სავსებით არ ეძლევა, ის კი ავიწყდება, რომ ღმერთი ყოლადშემძლებელია და იმანაც კი ექვსი დღე მოანდომა ქვეყნის აშენებას.

ჩვენ, როცა დაწვრილებით შევიტყობთ, თელავის თავადაზნაურთ როგორც დაუწყვიათ ხსენებული საქმე, კიდევ, ვიტყვით რასმე ამ საგანზედ, სადამდინაც ჭკუა და გონება გაგვიწვდება. ეხლა კი ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო ამბად უნდა ჩაითვალოს თელავის თავადაზნაურთა იმ გზაზედ ფეხის მოკიდება, რომელიც დღევანდელი საჭირბოროტო და საღაღადებელია.

ტფილისი, 16 ნოემბერი,

ჩვენ ამას წინად ორს მეთაურს წერილში მოვიხსენიეთ, რომ თელავის თავადაზნაურობამ განიზრახა საეკონომიო გზაზე გამოსვლა და ამისათვის განაჩინა, საზოგადოება შეედგინა. ეხლა პროექტი წესდებისა უკვე შეუდგენიათ, დაუბეჭდიათ და აპირობენ წარადგინონ, საცა ჯერ არს, დასამტკიცებლად.

იგი პროექტი, რომელსაც სათაურში აწერია — Проект устава ,,Союз сельских хозяев Кахетии“ ჩვენ მივიღეთ და მით ღონისძიება მოგვეცა ზოგიერთს

მხარეს ამ ახალის საქმისას შევეხოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ თვითვეულს მუხლს ამ პროექტისას ვერ გამოვუდგებით, მეტად შორს წავა და ვგონებთ, არც საჭიროა. საქმე დედააზრის გამორკვევაა და იმ მუხლების აწონ-დაწონვა, რომელთაც უნდა გაიტანონ ეს დედააზრი. სხვა წვრილმანი ადვილად მოსავლელია და გასასწორებელი.

დედააზრი პროექტისა, ანუ მისაღწევი საგანი დასაარსებელ „კავშირისა", ცხადად გამოთქმულია წესდების პირველ მუხლშივე და პირველი არის შემდეგი: სოფლის მეურნეობის ჭირნახულს მოუპოვონ იმისთანა მუშტარი, რომელიც ჭირნახულს ჰსაჭიროებს თავისთვის შინ სახმარად და არა გასასყიდად, და ამ გზით მწარმოებელი მხმარებელს შეახვედროს პირდაპირ უშუაკაცოდ, სახელდობრ ისე, რომ ჩარჩსა და ვაჭარს მოესპოს გზა სყიდვისა და გასყიდვისა, გამსყიდველად იყოს თვით მოჭირნახულე და მყიდველად მხმარებელი და ამათ შუა ჩარჩი და ვაჭარი არ ჩასდგეს.

ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენი ისეთია, რომ ჩარჩი ან ვაჭარი იძულებულჰყოფს მოჭირნახულეს იეფად ჰყიდოს, რაც შეიძლება, თვისი ნაჭირნახულევი და მხმარებელმა, რაც შეიძლება ძვირად იყიდოს. ერთიც ჰკარგავს რომ იეფად ჰყიდის და მეორეც, რომ იეფად ნაყიდს ძვირად ჰყიდულობს, ორივენი ზარალში არიან და მოგებაშია მარტო ჩარჩი ანუ ვაჭარი. ჩარჩი და ვაჭარი რომ აღებმიცემობას თავიდამ მოაშორონ, მოჭირნახულე და მხმარებელი პირდაპირ შეახვედრონ ერთმანეთს და ამ გზით იგი დიდი ლუკმა მოგებისა, რომელიც ჩარჩსა და ვაჭარსა ჰრჩება, მოჭირნახულემ და მხმარებელმა შუა გაიყონ, სხვა რომ არა ვთქვათ რა, ესეც კი საკმარისია, რომ პირველს მეტი ერგოს თავის ნაჭირნახულისაგან და მეორეს ნაკლებ დაუჯდეს სახმარად საჭირო საგანი. ვთქვათ, როცა პურს ათ შაურად ფუთსა ჰყიდულობენ მოჭირნახულისაგან, ხუთმეტ შაურადა ჰყიდიან მხმარებელზედ, თაბაუთი აქ ხუთი შაურია. ეს ხუთი შაური შუაზე რომ გაიყონ მოჭირნახულემ და მხმარებელმა, მოჭირნახულეს ფუთზე ერგება ათ შაურის მაგიერ სამი აბაზი და ხუთი გროში და მხმარებელსაც ფუთი დაუჯდება ხუთმეტ შაურის მაგიერ იგივ სამი აბაზი და ხუთი გროში. ამ სახით, ამათ შუა რომ ჩარჩი და ვაჭარი არ ჭაჭანებდეს, ორივენი მოგებაში იქნებიან. ხსენებულს პროექტს საგნად დაუდვია, რომ სწორედ ამ გზით მოეშველოს მოჭირნახულეს და მხმარებელსა და ჩარჩი და ვაჭარი, რამოდენადაც შეიძლება, არ გააჭაჭანოს შუამავლად ამ ორთა ერთმანეთის სიკეთეზე დამოკიდებულ მკვიდრთა შორის. რასაკვირველია, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მოჭირნახულემ პირდაპირ მიაწვდინოს თავისი ნაჭირნახულევი მხმარებელსა და მხმარებელი პირდაპირ შეხვდეს მოჭირნახულესა. როგორ და რა გზით არის შესაძლო ეს საქმე მოხდეს?

რა თქმა უნდა, თვითვეული ცალკე მოჭირნახულე და თვითვეული ცალკე მხმარებელი ვერ დაიწყებენ ერთმანეთის ძებნას. ამისათვის არც ღონისძიება აქვთ, არც მოცალეობა. აქ უნდა იმისთანა ადგილები აჩნდეს, საცა მოჭირნახულე თავის ჭირნახულს დააწყობს გასასყიდად და საცა თვითვეული მხმარებელი იპოვის სასყიდად თავის საჭიროსა. ხსენებულს პროექტს, მიუღია რა ეს სახეში, დადგენილი აქვს გამართოს თვალსაჩინო ადგილებში მაღაზიები, დუქნები, სარდაფები, საწყობები, საცა ყოველს მოჭირნახულეს, წევრსა თუ არაწევრს „კავშირისას", შეუძლიან თავისი ჭირნახული მიიტანოს გასასყიდად. ამ დახმარებისათვის „კავშირი" დაიაქს* იღებს იმოდენს, რამოდენასაც განაწესებს საზოგადო კრება „კავშირისა".

თუ ეს დაწყობილება მოხერხდა და განხორციელდა, უეჭველია, ეშველება რამ ჩვენს აწინდელს მდგომარეობას, რომლის წყალობითაც ორ გზით, როგორც გამყიდველს და მყიდველს, გვწოვენ და გვთლიან, და დღეს საკითხი მხოლოდ ეს არის: მოხერხდება და განხორციელდება თუ არა, ჩვენ ამის პასუხის თქმას ვეცდებით მაშინ, როცა აღვნიშნავთ სხვა ორს საგანსაც, რომელიც მისაღწევად დაუნიშნავს ხსენებულს „კავშირსა" და რომელსაც შემდეგ მოვიხსენიებთ.

---

* Комиссионная плата

მეორე საგანი „კახეთის მეურნეთა კავშირისა“ იგია, რომ რაც სოფლის კაცისათვის საშინაოდ სახმარია და სასყიდელი, ყოველი იგი, შეძლებისამებრ, პირდაპირ მწარმოებელთაგან იყიდონ, რადგანაც იეფად დაუჯდებათ, და ამის გამო იეფადაც შეეძლებათ გაჰყიდონ და სოფლის კაცს მიაწოდონ.

სოფლის კაცს თუ ხელს შეუწყობენ, ღირებულ ფასად გაასაღოს თავისი ნაჭირნახულევი და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ, არა ნაკლები სამსახურია, რომ რაც შეიძლება იეფად მიაწოდონ ის, რაც მას სახმარად სჭირია და არა აქვს. აქაც საფუძვლად დადებულია ის აზრი, რომ მხმარებელი მოჭირნახულეს პირდაპირ შეახვედრონ და ჩარჩი და ვაჭარი დაითხოვონ შუამავლობისაგან. მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში მოჭირნახულე სოფლის კაცი მხმარებელად არის დასახული და მისის ჭირნახულის მხმარებელი მოჭირნახულედ იმისა, რაც არა აქვს სოფლის კაცს და რაც მისთვის სასყიდელია. ამის აღსასრულებლად „კავშირს“ დაუდგენია იქონიოს საწყობები იარაღისა, თესლეულობისა და სხვა ყოველისა, რაც კი საჭიროა სოფლის მეურნისათვის, აგრეთვე ყოველ იმისა, რაც ადგილის მკვიდრთათვის საშინაოდ სასყიდელია.

მესამე საგანი „მეურნეთა კავშირისა“ არის განკარგება და წარმატება სოფლის მეურნეობისა კახეთში, რა თქმა უნდა, რომ ამ მხრით არამც თუ კახეთი, მთელი საქართველო უკან ჩამორჩენილია იმოდენად, რომ ლამის მიწაზედ ხელი ავიღოთ, რადგანაც იგი ჭირნახული, რომელსაც დღეს შევჩერებივართ და მოგვყავს და რომელზედაც ამოდენა შრომა და ხარჯი მიგვდის, მეტად გაიეფდა და თითქმის ზარალის მეტს არას იძლევა. ამ გაიეფებას იმისთანა მიზეზი აქვს, რომელსაც არამც თუ ოდესმე ბოლო მოეღება, არამედ დღედადღე გაძლიერდება და გადიდდება. დღეს პურზე, ქერზე და სხვა ამისთანა მარცვლეულობაზე შელეული ამაგი და ხარჯი მიწათმომქმედს ხელს არ მისცემს, რადგანაც იშვიათს შემთხვევათა გარე, ეგ მარცვლეულობა, სხვიდამ შემოტანილი, უფრო იეფად უჯდება

აქაურს მხმარებელსა, ვიდრე ჩვენი ჩვენ გვიჯდება, და ამის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ, ან ზარალით ვყიდოთ ჩვენი ნაამაგარი, ან ორმოებში დავალპოთ. რუსეთის პური ბევრად იეფია, ვიდრე ჩვენი, ჩვენის შრომისა და გარჯის კვალობაზე, და აქ ცილობა სწორედ წყლის ნაყვა იქნება, ვიდრე არ ვისწავლით ერთისა და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი გამოვაღებინოთ მიწას, ან არ ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავალი გამოვაღებინოთ იმისთანა, რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს აქაური ჰავა და მიწა, და რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს რუსეთში და სამზღვარგარედაც. კიდევ ვიტყვით: იმას, რასაც რუსეთი სხვა თბილ ქვეყნებიდამ ეზიდება და რასაც ზედ ალევს არა ერთსა და ორს მილიონს მანეთსა, ის ყოველისფერი თუ არა, ბევრი მაინც ჩვენში ადვილად მოვა, ოღონდ ამისი ხელი ვიცოდეთ, ამისი ცოდნა გვქონდეს.

ამ ცოდნის მოსაფენად და გასავრცელებლად „კავშირს“ საგნადა აქვს ჰბეჭდოს წიგნები, ბროშურები აგრედვე იქონიოს დროგამოშვებითი ჟურნალი ან გაზეთი, თავისის მოღვაწეობის შესაფერი. წიგნით ცოდნის გავრცელებას არა ჰკმარობს „კავშირი“ და საბუთიანადაც. წიგნი ამ შემთხვევაში ისე მალე მისაწვდომი და შესათვისებელი არ არის, როგორც მაგალითი, როგორც ის, რასაც კაცი თვალით ჰხედავს, რასაც გამოცდა აჩვენებს, ნამეტნავად თუ სახეში ვიქონიებთ იმ უმეტესობას ერისას, რომლის ფეხზე დაყენება ასე სანატრელია ჩვენთვის და რომელიც მკვიდრი ბურჯია ქვეყნისა.

რადგანაც მარტო წიგნი ვერ გაუწევს საკმაო სამსახურს დიდს საქმეს ცოდნის გავრცელებისას, „კავშირს“ განუზრახავს საქმე ისე მოაწყოს, რომ მსურველმა თავისის საკუთარის თვალით დაინახოს, რა უფრო სასარგებლოა კაცმა გამოაღებინოს მიწას, რაა სასურველი მოსაყვანად, რარიგად უნდა აკეთოს, რარიგად მოუაროს, რაგვარად უნდა შეუწყოს ხელი და იწარმოვოს.

რომ ყოველივე ეს აჩვენოს მსურველს და დაარჯეროს, რომ ამა თუ იმ ჭირნახულისაგან უფრო დიდი

გამორჩენა ექმნება, „კავშირი“ კახეთში იქონიებს მიწებს, საცა ყოველ ამის მაგალითს და საბუთს თვალით დაანახვებს, რომ სხვა გზითაც შემწეობა აღმოუჩინოს სოფლად მომქმედს მოჭირნახულეს, „კავშირი“ გაიჩენს ხალხში გასავრცელებლად რაც საუკეთესო ხილია, ან საბოსტნე რამ, ან მცენარე, და იყოლიებს საუკეთესო ჯიშის პირუტყვსა, რომ ამით პირუტყვთშენება განკარგდეს ჩვენში და კაი ჯიშის პირუტყვი გამრავლდეს.

აი ეს სამი საგანია მოხსენებული წესდების §1-ში, რომელიც „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირს“ მისაღწევად დაუნიშნავს. შემდეგს §-შია დასახელებული სხვა საგნებიცა, მაგალითებრ, ქარხნებისა და ფაბრიკების გამართვა, იეფ კრედიტის დაარსება სოფლის მეურნეობის ტეხნიკის განკარგებისათვის და მკვიდრთა ხელის გამართვისათვის.

საქმე დიდ ფარგალშია მოქცეული, როგორცა სჩანს, და სანატრელია, რომ აღსრულებაში მოვიდეს. ეხლა იკითხავთ: რა ღონე, რა შეძლება უნდა გასწვდეს ამოდენა საქმესაო? ამის პასუხს თვითონ წესდება „კავშირისა“ გვაძლევს და საჭიროა ამ მხრითაც ჯერ წესდება ვალაპარაკოთ.

ტფილისი, 29 ნოემბერი

ჩვენ ამას წინად მოკლედ აღვნიშნეთ ის საგნები, რომელიც წინ დაუდვია მისაღწევად „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირსა“ და ყოველივე ეს იმით გავათავეთ, რომ საჭიროა გავიგოთ, რა ღონისძიებით დაუპირებიათ ამ დიდის საქმის განხორციელება. ამის შესახებ პროექტი წესდებისა გვაუწყებს, რომ ღონისძიებას „კავშირისას“ შეადგენს საქმეში სატრიალებელი ფული და ზარალის მზღვევი თანხა.

საქმეში სატრიალებელი ფული უნდა შესდგესო:

ა) ერთხანად წევრთაგან შეტანილ ფულისაგან. აქ თვითვეულ წევრზე, მისის შემოსავლის მიხედვით, დანიშნულია სხვადასხვა ზომით შემოსატანი. ვისაც 500 მანეთზე ნაკლები წმინდა შემოსავალი აქვს, იმან უნდა შეიტანოს ხუთი მანეთი და ვისაც 500 –ზე მეტი, – ერთი თუმანი და ვისაც 100 მანეთზე ნაკლები

შემოსავალი აქვს, ის განთავისუფლებულია ერთხანად შესატანისაგან;

ბ) ყოველწლივ შესატანის საწევრო ფულისაგან. აქ დანიშნულია წმინდა შემოსავლის კვალობაზე ასის თავზე ერთი;

გ) დაიაქისაგან, რომელსაც „კავშირი“ აიღებს მის შემწეობით გაყიდულ საქონლის კვალობაზედ იმ ზომით, რომელიც დადგენილ იქმნება საზოგადო კრებისაგან;

დ) დაიაქისაგან, რომელსაც გადიხდიან მყიდველნი, თუ ამას საზოგადო კრება დაადგენს;

ე) იმ ფულისაგან, რომელიც „კავშირს“ შემოუვა საკუთარ სააღებმიცემო საქმისაგან და იმ ჭირნახულის გასყიდვისაგან, რომელსაც თვით „კავშირი“ მოიამაგებს, და

ვ) იმ სარგებლისაგან, რასაც მისდა კუთვნილი ფული შემოიტანს.

ზარალის მზღვევ თანხას ორი წყარო აქვს დანიშნული: ერთი ის, რომ რაც რამ ზემოდასახელებული ფული იქმნება, იქიდამ ასის თავზე ერთი ამ თანხისთვის უნდა გადიდვას ყოველწლივ, და გარდა ამისა წმინდა მოგებისაგან ყოველწლივე წესდებაში დანიშნული წილი უნდა ეძლევოდეს.

ჩვენა გვგონია, და არა-უსაბუთოდ გვგონია, რომ პირველ ორ მუხლში მოხსენებული სახსარი თავდაპირველი ღონეა, რომ „კავშირმა“ საქმე გაიმართოს და მოქმედება დაიწყოს; სხვა დანარჩენი შემოსავალი საგულვებელია მაშინ, როცა „კავშირის“ საქმე გაიწევს და ფეხს გასდგამს გარედ ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინოდ და მოიპოვებს საკმაო ნდობას.

მაშასადამე, გამოსაკვლევად ჰრჩება მარტო ხსენებული პირველი ორი მუხლი იმ მხრით, მისცემს თუ არა „კავშირს“ იმოდენა ღონისძიებას, რომ პირველშივე „კავშირი“ არ დაბრკოლდეს და მკვდრად დაბადებულს არ დაემსგავსოს. რა თქმა უნდა, იმ მრავალ საგნების გასაძღოლად, რომელიც „კავშირს“ განუზრახავს, დიდი ფულია საჭირო, და ის ფული კი, რომელსაც ხსენებული პირველი ორი მუხლი შემოატანინებს წევრთ, წვეთი იქნება ზღვაში. ხოლო ჩვენ წინადაცა ვთქვით,

რომ მხნე და გამრჯელი კაცი არ უნდა შეუშინდეს სიდიდეს საქმისას და, მაშასადამე, გაძღოლისასაც. განზრახული „კავშირისაგან“ საქმე იმოდენად მრავალშტოიანია, რომ შესაძლოა პირველ ხანებში მარტო ერთს რომელსამე შტოს შეუწონოს „კავშირმა“ თავისი შეძლება, იგი ამოქმედოს და მერე, შეძლების გაძლიერების მიხედვით, თანდათან და თვითო-თვითოდ სხვა შტოებსაც მოჰკიდოს ხელი.

საფიქრებელი ეს არის, რომ ამისთანა საქმეში თანდათანობასაც თავისი საზღვარი აქვს. ეს საზღვარი დამოკიდებულია იმ საგანზე, რომელიც პირველ ხანშივე საჭიროა ამოქმედდეს, რომ „კავშირმა“ პირველშივე თავი იჩინოს თავისის აგებულებითა, გამჭრიახობითა და სიმარჯვითა და ამით ნდობა მოიპოვოს. თუ ამისთანა საქმეს ნდობა არ დაედვა ქვაკუთხედ, ყოველივე მეცადინეობა უქმია და გზაგაუტანელი. თუ ამ თვალით ამოირჩევა პირველ ხანის სამოქმედო საგანი, მაშინ თვით საგნის სიგრძე-სიგანე გვაშინებს, — რაოდენი ღონეა საფიქრებელი, რაოდენი შეძლება უნდა მზად იყოს, რომ არჩეულს საგანს გასწვდეს უკლებლივ. ეს ერთი მხარეა საქმისა, რომელიც სახარჯავს თხოულობს და აქ იქნება მეტნაკლებობას საჭირო ფულისას და შეძლებისას როგორმე მოევლებოდეს. ეს თვით „კავშირის“ მოთავეთათვის მიგვინდვია.

ხოლო ამ საქმეს აქვს მეორე მხარეცა, რომელსაც არაგზით არ ეღალატება და რომელიც პირველ ხანშივე მთელს თავისს საზღვრებში სავსებით უნდა დატეულ იქმნას და, მაშასადამე, უკლებლივ და სავსებით სახარჯოც უნდა საგულებელ იყოს. ეს ხარჯი ჯამაგირებია და გასამრჯელო იმ კაცთათვის, რომელნიც მოწვეულ უნდა იქმნან პირველშივე საქმის ფეხთაადგმისათვის, საქმის დაწყება-აგებისათვის: ცოტა იქნება პირველში სამუშაო, თუ ბევრი, ამაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული რიცხვი საჭირო კაცთა, არამედ იმაზე, რომ საქმე სამერმისოდაც პირველშივე მკვიდრად დალაგდეს, ძირი მაგრად გაუკეთდეს, სათავე განზრახულს ბოლოს პირველშივე შეუფერონ, დღევანდელი დღე, დღევანდელი საგანი, ხვალის მშობლად გაჰხადონ

და საქმე თანდათან მატებაში შეიყვანონ და მატების გზაზე დააყენონ.

აქ ყოველივე ხელნაკლებობა ხარჯისა მომაკვდინებელი შეცდომაა. საჭირო კაცთა სავსებით მოწვევისათვის „კავშირმა“ არ უნდა დაზოგოს რა პირველშივე, თუნდაც ხელთათვის საქმე არა იყოს რა ჯერ, იმიტომ რომ თავიდათავი საჭიროება საქმის აგებაა, მისი დალაგებაა სამოქმედოდ, რადგანაც მარტო ეს აგება და დალაგება გამოიწვევს იმ ნდობას, ურომლისოდაც „კავშირი“ და სხვა ყოველი ამისთანა ერთს ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს, ერთს წუთსაც ვერ იხეირებს. ამ კაცთა მოწვევას და საქმეში ჩაბმას კარგა ბლომა ხარჯი მოუნდება.

იქნება ვიფიქროთ, რომ აქაც თანდათანობა სამსახურს გაგვიწევდეს და იმას დავებჯინოთ, რომ საქმეთა მატების მიხედვით, კაცებსაც მოვიმატებთო. რასაკვირველია, ზოგში იქნება ესეც მოსახერხებელი იყოს, მაგრამ უფროს-ერთში კი მაგით ფონს ვერ გავალთ იმისთანა საქმეში, რომელიც „კავშირს“ განუზრახავს. ბევრი კაცია საჭირო პირველშივე. სათავის გაჭრა და გამაგრება იმოდენა ზღვა საქმისათვის, როგორიც „კავშირის“ საქმეა, სახუმარი არ არის, პირველშივე დიდს მისვლა-მოსვლას ნდომულობს, დიდს გარჯას, დიდს თვალის ტრიალს და გონების გაშლას.

თუ მართლა ასე აუცილებელია პირველშივე საჭირო კაცთა სავსებით მოწვევა, რა ფული უნდა გაუძღვეს იმათს ჯამაგირს და გასამრჯელოს? საიდამ და როგორ უნდა მოინაცვლოს ხელი „კავშირმა“ ამისათვის? საკმაოა ის წევრთა შემოსატანი, რომელიც პირველ ორ მუხლშია დანიშნული?

ჩვენ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ტფილისი, 3 დეკემბერი

მართალია ბევრი ლაპარაკი იმისთანა საქმეზე, როგორც „კახეთის მეურნეთა კავშირის“ საქმეა, ზოგს არ იამება და იქნება სამდურავიც შემოგვითვალონ, მაგრამ ჩვენ ვერ შევუშინდებით ამ სამდურავს, რადგანაც იგი საქმე მეტად საყურადღებო საგნად მიგვაჩნია. ბევრს ვერ იპოვით ჩვენში იმისთანა ბიჯს, იმისთანა

დაწყობილებას, იმისთანა სამოქმედოს რასმე, რომ ისე უკლებლივ, ისე ნიშნობლივ, ისე უკანდაუხევლად და პირდაპირ გატარებული იყოს წყურვილი თვითმოქმედებისა, როგორც „კავშირის“ წესდებაშია. აქ ნაგრძნობია და ჰო-უარაოდ აღიარებული, რომ სხვის ხელში ყურება, სხვისაგან მანანას ლოდინი, სხვისი ხვეწნა და მუდარა, სხვაზე ჩივილი — გვჭამს და გვყვლეფავსო, არიქა გვიშველეთ, ვიღუპებითო, — ვერაფერი ხიდია ჭირიდამ გამოსვლისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ხელი გულს დაგვიკრებია, არას ვნაღვლობთ, არას ვდარდობთ და მარტო ჩივილ-ყვირილის მეტს არას ვაკეთებთ. ეს ერთი სანუგეშო მხარეა ხსენებულ „კავშირისა“ და ფრიად სასიხარულოც მით, რომ აღძრულია აზრი თვითმოქმედებისა და მისის აუცილებელ საჭიროებისა გაჭირვებიდამ ხსნისათვის.

მეორე მხარე არანაკლებ სანუგეშო და სასიამოვნო ის არის, რომ „კავშირს“ დაუნახავს ის ჩვენს მიერ დიდი ხნის დავიწყებული და ჩვენგან დატოვებული ადგილი, საცა დღევანდელის დღის ვითარებისაგან ასე ცხარე ბრძოლაა არსებობისათვის და საცა ჩვენ ძლეულნი ვართ და სხვანი გამარჯვებულნი. სარბიელი ამისი დღევანდელი ეკონომიური ავკარგიანობაა და აი რა სარბიელზე საჭიდაოდ იწვევს „კავშირი“ თვითმოქმედების ძალ-ღონეს საზოგადოებისას. აღმოშობა, ფეხზე წამოყენება, თუნდ მარტო დასახელებაც იმისი, რომ თვითმოქმედებაა ჩვენი მხსნელი ჭირბოროტისაგან, როგორც შემდეგში, ისეც დღევანდელ დღეს, სასიხარულო ნიშანია ჩვენის გამოფხიზლებისა, ჩვენის დაძინებულის აზრის დაძვრისა და მოქმედებისა, მით უფრო, რომ ეს თვითმოქმედების წყურვილი ხსენებულ სარბიელზე თვით საზოგადოებას გასჩენია და არა ორიოდე მწიგნობარსა, რომელთა ხმა ხშირად უდაბნოში მღაღადებელ ხმადა ჰრჩება ხოლმე, რაც გინდ მართალი და სახეირო იყოს.

ეს სანუგეშო მხარენი „კავშირის“ მიერ წამოყენებულ საქმისა მეტად საკეთილოდ საგრძნობნი არიან და ამიტომაც გძლად საუბარს ამაზე არ უნდა მოვერიდნეთ იმის შიშით, რომ ზოგი ჩვეული არ არის

ამისთანა მშრალის საუბარის მოსმენისა და სამდურავს შემოგვითვლის, — რას აჭიანურებთ, მოვბეზრდითო.

ჩვენ წინა წერილში ვიკითხეთ: რადგანაც აუცილებელია პირველშივე საჭირო კაცთა სავსებით მოწვევა, რა ფული უნდა გაუძღვეს იმათს ჯამაგირს და გასამჯელოს და როგორ უნდა მოინაცვლოს ხელი „კავშირმა“, რომ ამის ხარჯს გასწვდეს? ჩვენ ისიცა ვთქვით ამასთან, რომ თუ წესდებას „კავშირისას“ მივხედავთ, ამისათვის მარტო ორი წყაროა განზრახული. ერთი — წევრთა ერთხანად შემოსატანი და მეორე — ყოველწლობითი. ძალიან ვეჭვობთ, რომ ამ ორმა წყარომ „კავშირს“ ღონე მისცეს სამოქმედოდ გამოსვლისა. წესდება ამბობს, რომ რაკი „კავშირს“ 50 წევრი ეყოლება, მოქმედება უნდა დაიწყოსო. რა უნდა გახდეს ამ 50 წევრის შემოსატანი საქმის დაწყებისათვის?

ერთხანად შემოსატანი დანიშნულია იმაზე, ვისაც ორმოცდაათ თუმანზე ნაკლებ წმინდა შემოსავალი აქვს — ხუთი მანეთი, და ვისაც მეტი წმინდა შემოსავალი აქვს — ერთი თუმანი, მერე ყოველწლივ ასზე ერთი მთელის შემოსავლიდამ.

ავიღოთ, — თუმცა დაუჯერებელია კი, — რომ პირველშივე ასი წევრი ჩაიწერა. ერთხანად შემოსატანი შეადგენს ასს თუმანს, ყველასი შემოსავალი ორმოცდაათს თუმანზე მეტი რომ ვიანგარიშოთ, თუმცა არც ეს არის დიდი საიმედო. სამწუხაროდ ჩვენდა, ყოველწლობითს შემოსატანს წესდებაში განსაზღვრული არა აქვს რა, რომ ანგარიში იქიდამ დავიჭიროთ! იქა სწერია, ყოველწლივ თვითვეულმა წევრმა ასზე ერთი უნდა შემოიტანოს წმინდა შემოსავლიდამაო. ამის გამო არ ვიცით, ნორმად ისევ ის ორმოცდაათი თუმანის მეტნაკლებობაა მიღებული, თუ ნამდვილი ზედმიწევნილი შემოსავალი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნამდვილი, ზედმიწევნილი შემოსავალია, თორემ ისე, როგორც ერთხანად შემოსატანია დანიშნული, შეუძლებელია ანგარიში, რადგანაც ორმოცდაათს თუმანზე მეტობა თუ ნაკლებობა, განუსაზღვრელი რამ არის და განუსაზღვრელი ანგარიშის სათავედ შეუძლებელია რომ დაიდვას. მაშასადამე,

უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველწლობით შემოსატანი ზედმიწევნილ შემოსავალზე უნდა იყოს გაანგარიშებული, ესე იგი. თვითვეულ წევრს ცალკე უნდა აუნუსხონ შემოსავალი და ისე დააწერონ შემოსატანი ფული, დავანებოთ ჯერ იმას თავი, რაგვარად შესაძლებელია ამისთანა ანუსხვა შემოსავლისა, რომ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური, — მარტო ის ვიგულისხმოთ, რომ იმ ასს წევრს ორთაშუა რიცხვით ას-ასი თუმანი წმინდა შემოსავალი აღმოუჩნდა. ვგონებთ, ეს მეტიც არის საგულვებლად და არა ნაკლები. აქედამ „კავშირს“ შეუდგა ასი თუმანი. ამ სახით პირველ ხანში საქმის დაწყებისათვის „კავშირს“ ხელთ ექმნება მხოლოდ ორასი თუმანი. ამ ფულით ძნელად თუ რასმე გახდება „კავშირი“, იმიტომ რომ სხვა განზრახული შემოსავლები „კავშირისა“ იმისთანანი არიან, რომელნიც საქმის გამართვას და წარმოებას მოსდევს. ჩვენ ამ ორასი თუმნის ანგარიშისათვის კი იმისთანა მაგალითები ავიღეთ, რომელიც პირველ ხანში მოულოდნელია და მაინც ორას თუმანზე მეტი არ დაგვიდგა, და რა უნდა ჰქმნას „კავშირმა“ თუნდ ამ ორას თუმნითა? ეს ხომ საჭირო კაცებსაც ჯამაგირად არ გასწვდება და საქმეს რითღა მიაწვდინოს ხელი? ჩვენ, რასაკვირველია, დიდად გვიამება, რომ „კავშირმა“ ამ სიძნელეს გზა როგორმა აუქციოს და რითიმე ან როგორმე გაუძღვეს თვისდა განზრახულს საქმეს, მაგრამ ვშიშობთ კი, რომ იმედი პირველშივე არ გაუმტყუნდეს.

გარდა ამისა, რა ღონისძიება აქვს „კავშირს“, რომ ზედმიწევნილი წმინდა შემოსავალი აუნუსხოს საკმაო ზედმიწევნილობით წევრსა? ჯერ იმ სახელმწიფოებში, საცა გადასახადი შემოსავალზეა დადებული, თვით სახელმწიფოს, რომელსაც აუარებელი მოხელენი ჰყვანან და იმოდენა ღონისძიება აქვთ, ვერ მოუწყვიათ ამისთანა საქმე ისე, რომ ნამდვილი შეიტყონ, და „კავშირი“ როგორ მოახერხებს? ან რა საჭირო იყო ამისთანა ყინულზე წერა შემოსატანისა, როგორიც თვალისათვის უჩინარი შემოსავალია? განა ჩვენში ბევრმა კი იცის, რა შემოსავალი აქვს, და ან გადაწყვეტით შეუძლიან ამისი თქმა? შემოსავალი ხომ დიდად სამიზეზო და

მიზეზიანი საგანია და სად, როგორ აუვა „კავშირი“ ათასნაირს სამდურავს იმას ცოტას ახდევინებენ და მე ბევრსაო, და სხვას ამისთანებს. თუნდ ეგეც არ იყოს, იმისთანა ქვეყანაში, საცა მამულში დატრიალებულს კაცს ვერ გაუგია, წელს რა შემოუვა და ხვალ რა, ხომ საჭირო იქნება ყოველწლივ ხელახლადი ანუსხვა შემოსავალისა და „კავშირმა“ ხომ თავისი დღე ამას უნდა შეალიოს?

ასე თუ ისე, წესდება „კავშირისა“ ამ მხრით მეტად შეუმუშავებელია, მეტად განუსაზღვრელი და ბუნდი. სხვა ნაკლებობა რომ არა სჭირდეს რა, მარტო ეს ბუნდიანობა საკმაოა, წესდება არ იქმნას შეწყნარებულ, ვისგანაც ჯერ არს, თუ ესე წარსდგა დასამტკიცებლად. ჩვენ კი იმოდენად დიდი და კარგი გვგონია თვით დედააზრი, რომ ვისურვებთ ამ „კავშირის“ მიერ დაწყებულ საქმისათვის ყოველსავე სიკეთეს და გამარჯვებას.

[1895 წ.]



<ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა>

ტფილისი, 14 ნოემბერი

შუაგული, შუანასკვი ეგრედწოდებულ აღმოსავლეთის საქმისა — ოსმალეთია, სხვა ყოველი წვრილმანი ძაფია, ამ დიდ ნასკვში მოქცეული და ჩართული. ეს ყველამ კარგად იცის. დღევანდელის პოლიტიკის ტკივილიც დღეს სწორედ ეგ არის.

ყველამ ისიც იცის, რომ ოსმალეთი ერთს იმისთანა საჭმელსა ჰგავს, რომელიც მეტად გემრიელია და ამასთანავე მეტად მაწყინარიც. ამიტომაც ერთის მხრით იგი სანდოა და მეორეს მხრით საშიშარი. ყველას მოეხსენება, რომ თვითეული დიდი სახელმწიფო ევროპისა, და იმისთანა პატარაებიც, როგორიც საბერძნეთია და ბალკანეთის სამეფონი, ამ გემრიელს კერძს დიდი ხანია თავს დასტრიალებენ, როგორც სვავნი მძორს, და ყველას კლანჭი გაწვდილი აქვს — კარგი ნაჭერი ხელთ იგდოს, და თუ დღეს-აქამომდე მსუნაგობას და ხარბობას პოლიტიკისას კლანჭი არ გამოუკრავს, ეგ იმას უნდა მივაწეროთ, რომ ყველა უფრთხის ამ გზით გაბედოს რამე. საკმარისია ერთმა რომელმამე ხელი გაიწვდინოს მსუქანი ნაჭერის ხელში ჩასაგდებად, მაშინვე აირევა მონასტერი, დიდი-პატარა ერთმანეთს დაეჯახება და მაშინ, ვინ იცის, ვინ წინა და ვინ უკან. აი საშიშარი მხარე ამ ეგრედწოდებულ აღმოსავლეთის საქმისა. ეს მხარეა მისი ღონეც და უღონობაც.

ყველანი დარწმუნებულნი არიან და საბუთიანის შიშით შეპყრობილნი, რომ თუ ერთი რამ დაინძრა იმ

შენობისა, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან, არამცთუ თმა ყალხზე შეუდგება ევროპის პოლიტიკას, არამედ ხმალზედ ხელს წაივლებს და ტყვია-წამალიღა, თოფ-ზარბაზანიღა შეიქმნება მოციქულად ერთმანეთზედ სასიკვდილოდ მისეულ სახელმწიფოთა შორის. ამიტომაც დღეს ყველას ენაზედ მარტო ეს აკერია: შეტოკდა იგი შენობა თუ არა? საშიშარი აღმოსავლეთის საქმე წამოდგა ფეხზე და მთელის თავის ტანით გამოეჭიმა ქვეყანას თუ არა? მოვიდა დრო ოსმალეთის დარღვევისა და ევროპიდამ განდევნისა თუ არა?

დიპლომატია ამის პასუხს ჯერ სამალავში ჰმალავს. ყური კი რომ დავუგდოთ ამ ყბედად ცნობილს დიპლომატიას, აქედამ ჰოც გამოდის და არაცა. არც საკვირველია ეს ორჭოფი, ეს ორპირი მოქმედება დიპლომატიისა. იგი, მართალია, დაუზარებელი ყბედია, მაგრამ იმისთანა ყბედია, რომელიც დილიდამ საღამომდე უნდა ჰლაქლაქებდეს და მაინც არა სთქვას რა და, რაც შეიძლება, სათქმელი ღრმად დაიმალოს გულში. ამისთანა უნარი დიპლომატიისა შემთხვევას აძლევს ჟურნალ-გაზეთობას კალმები აწრიპინოს და თავისებური ბილიკები დაჰქნას იმ სამალავის კარის გასაღებად, საცა დიპლომატია თავის გულისნადებს ინახავს.

ამ ჟურნალ-გაზეთობას რომ ვკითხოთ, ინგლისი ტყუილად ფახიფუხობსო, ტყუილად შვრება, რომ აღმოსავლეთის საქმე აშალოს და აწეწოსო. დიდ შეცდომად და ცოდვად უთვლიან ინგლისს, რომ ამ გზაზედ გამოვიდა და გაბედულად იძახის: დროა ეს ძირგამოთხრილი შენობა დაირღვას, დაიქცესო, დროა ეს მძოვრი — ოსმალეთი — ევროპიდამ განიდევნოს და სხვა ამისთანაო.

ჩვენის ფიქრით, ტყუილადა სცემენ კიჟინას ინგლისსა. ინგლისს თავის სვე-ბედის თავში იმისთანა კაცები ჰყოლია და დღესაც ჰყავს, რომ ისინი ისე ადვილად არ შესცდებიან, რომ ჩვენისთანა კაცებმა შეცდომა გაუსწორონ. ინგლისმა კარგად იცის, რას მოქმედობს და რას ეტანება. იგი ისე არ წაადგება სახტომს, რომ ჯერ ათასჯერ არ გადაზომოს და სახტომი თავისს ღონეს არ შეუწონოს. ინგლისმა კარგად იცის, რა ლუკმაა ოსმალეთი, და რა ხარბი და მსუნაგია

ყოველი სახელმწიფო, როცა ამისთანა ლუკმაზე მივარდება ხოლმე საქმე. ეს დაუძინებელი სიხარბე და მსუნაგობა იმისთანა ძალმომრევ თვისებისა და ბუნებისა არის, რომ რაკი აღვირი დაბღუჯა და გაიწია, არ მოერიდება, რომ გუშინდელი მტერი დღეს კაცმა მოყვრად გაიხადოს და გუშინდელი მოყვარე — მტრად.

ამისი მაგალითი ბევრია და, სხვათა შორის, ავსტრო-უნგრეთია. განა დიდი ხანია მას აქედ, რაც ინგლისმა ავსტრო-უნგრეთს მწყრალად და გაბედულად შესძახა: ხელები შორსო! და დღეს, როცა აღმოსავლეთის საქმე ცოტად თუ ბევრად აიშალა, რას ვხედავთ? ავსტრია მიეკედლა თითქმის ინგლისს და ინგლისმაც თითქმის გულში ჩაიკრა. ან დასაჯერებელი იყო ამ ცოტა ხნის წინედ, რომ იტალია და ავსტრია სადმე ფეხს ერთად გადასდგამდნენ? მართალია, ორნივ ესენი წევრნი იყვნენ სამთა კავშირისა, მაგრამ ერთმანეთზე დიდი ხანია გული აყრილი ჰქონდათ, და თუ ამათ აერთებდა რამ, ეს გამარჯვებულის და გაძლიერებულის გერმანიის ძალმომრეობა იყო. მაინცდამაინც სამთა კავშირს საკუთარ საქმის გარეითად, სხვაგან ყოველგან ეს ორნივე სახელმწიფონი ერთმანეთს მტრულის თვალით უყურებდნენ. და ეხლა რას ვხედავთ დღევანდელ აწეწილ აღმოსავლეთის საქმის გამო? ორნივ ერთად იღვწიან ინგლისის სამხროდ. ან თვითონ გერმანია აიღეთ. დღეს აქომამდე იფიქრებდა განა ვინმე, რომ ავსტრიას და იტალიას იგი ხელს გაუხსნიდა ცალკე მოქმედებისათვის, როგორც ამას დღეს ვხედავთ? სადღაა დღეს ის ძალ-ღონე სამთა კავშირისა, როცა გერმანია ორს თავისს მოკავშირეს ეუბნება აღმოსავლეთის საქმის გამო, თქვენ როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით და მე კი დრომდე არც იქით გავიწევ, არც აქედ. მოვუცდი, დრო და ჟამი რას იტყვისო და ისე მოვიქცევიო.

ამაების მაყურებლისათვის განა საკმაო არ არის ეს ხელდახელი მაგალითები დასარწმუნებლად, რომ ინგლისს კარგად გამოხატული აქვს თვალწინ იგი გზა, რომელზედაც ასე გაბედულად ამ ბოლოს დროს გამოვიდა, და იგი საგანი, რომელსაც ეტანება მისაღწევად და რომელსაც ინგლისი ჯერ კარგა დიდ ხანს

გულიდამ ვერ ამოიღებს უიმისოდ, რომ დიდს საფრთხესა და განსაცდელში არ ჩააგდოს თავისი ძალ-ღონე და ძლიერება როგორც შინ, ისე გარედ.

ჯერ მინამ საქმე ისე მიდის, როგორც ხსენებული მაგალითები ნიშნობლივ გვისახავენ, ვერავისგან ვერ ითქმის, რომ ინგლისი ამაოდ ირჯება. არავის საბუთი არა აქვს სთქვას, რომ დიდ ბრიტანიას დავთრები აერია და კოჭი ალჩუზედ არ უჯდება. ჯერ კი ალჩუა და მერე ვნახოთ, რა იქნება. ტყუილად იჭაჭებიან ზოგიერთი გაზეთები და ამტკიცებენ, რომ ინგლისს მარცხი მოსდისო, ლამის მარტოდმარტო დარჩეს პოლიტიკის მოედანზედაო და მაშინ უღონოობისაგან ხმას ჩაიწყვეტსო. არავინ იცის, როგორ გავა და გამოვა ერთმანეთში ევროპა, ვინ ვის მიეკედლება, ვინ ვის გაუწვდის ხელსა და საშველად მოიწვევს, თუ ოსმალეთის საქმე აიშალა. ეს კი იცის ინგლისმა და სხვამაც, რომ აღმოსავლეთის, ანუ უკედ ვსთქვათ, საქმე ოსმალეთისა, — იმისთანა რამ არის, რომ თუ აიშალა, ყველას თავისი საკუთარი ტკივილი, ცალკე თავში საცემი საქმე აუჩნდება და ეს უეჭველი გარემოება ბევრს მეგობარს ერთმანეთში გაჰყრის და ბევრს მტრებს ერთმანეთში დაამოყვრებს, დაამეგობრებს.

დღეს აღმოსავლეთის საქმე იმ ხანაშია, რომ ზოგი, ვინც მზად არ არის, ან თავის თავს უღონოდა სცნობს, სცდილობს ეს მწვავი და მრავალ სატკივარის ამშლელი საქმე როგორმე დრომდე ჩააფუჩეჩოს, დააძინოს, და ზოგი კი, ვისაც იმედი აქვს მოედნიდამ ბურთის გატანისა, იღწვის, რომ ამ საქმემ ფეხი აიდგას და მით იძულებულ ჰყოს ევროპა — თვისი სახელმწიფოები ერთმანეთში სხვარიგად შეჰკრას და სხვაგვარი დამოკიდებულება აუჩინოს. ამ უკანასკნელს გზას ადგია ინგლისი.

[1895 წ.]

<ოსმალეთის არეულობა და ევროპა>

ტფილისი, 19 ნოემბერი

საოცარი მდგომარეობაა დღევანდელის პოლიტიკისა ევროპაში. ვინც გუშინ ოსმალეთის განდევნას ევროპიდამ და მის დანაწილებას ნდომულობდა და ამისათვის არც ჯარს და არცა ფულს არა ჰზოგავდა, დღეს იგი მაგრად სდგას იმაზე, რომ ამ მხრით ოსმალეთს ხელი არავინ შეახოს, და ვინც გუშინ ესარჩლებოდა ოსმალოს და თავგამოდებული იბრძოდა და სისხლსა ჰღვრიდა, იგი დღეს სულ სხვა საგალობელსა ჰგალობს. გარდა ამისა, საითაც კი მიიხედავთ, ყველგან იძახიან, — ეს ოსმალეთის არეულობა არავითარს შიშს არ მოასწავებსო. იტალიის მეფე ჰუმბერტი, ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრო-უნგრეთის მინისტრებიმ საცა კი შემთხვევა აქვთ, სულ იმას ჰღაღადებენ, რომ გულს წინადვე ნუ გაიხეთქთ, ყველაფერი მშვიდობიანად და უტყვიაწამლოდ, უთოფზარბაზნოდ ჩაივლისო. ღმერთმა ჰქმნას, ეგრე მოხდეს, ყველა კაცთმოყვარე ადამიანი ამას ინატრებს.

ხოლო ამ მშვიდობიანობის ღაღადებასთან ერთად არც ის ამბები იმალავს თავს, რომ ოსმალეთში ხოცვა-ჟლეტაა და უფრო უარესს მოელიან. ეს მოლოდინია მიზეზი, თუ დიპლომატები შვილდსა ჰმალვენ და ისარს კი ისვრიან, — ყოველის მხრით ისმის, რომ ყველგან დიდს მზადებაში არიან, ხმალსა ჰლესვენ და მშვიდობიანობას-კი გვარწმუნებენ. ინგლისი, იტალია, ავსტრო-ვენგრია და იქნება სხვანიცა იმას ჰცდილობენ — თავიანთი ფლოტები იმ ფეხზე დააყენონ, რომ საცა და როცა დასჭირდეს, თოფ-ზარბაზანსაც ხმა ამოაღებინონ.

მართალია, დიპლომატიაში და პოლიტიკაში ტყუილს ფახიფუხს და მუქარას ხშირად თავისი ადგილი აქვს ხოლმე სხვის გულის გასახეთქათ, ხოლო აქ საკითხავი ის არის: საომარს ხომალდებს რომ აძლიერებენ, ფლოტს რომ საომარ ფეხზე აყენებენ, ვინ ვის უხეთქავს გულსა? ნიშანში ვინ არის ამოღებული? არა გვგონია, რომ ნიშანში ოსმალო იყოს ამოღებული, რადგანაც იგი უამისოდაც გულგახეთქილია დღევანდელის ამბების გამო და უძლური — ვისმე აურზაური გაუწიოს. ერთი მკვახედ და გადაწყვეტილად შეთვლილი სარჩიელი და იმისი ჯანი! იგი კრინტსაც არ დაძრავს და ყურმოჭრილ ყმასავით დაემორჩილება რიხიან სიტყვას ევროპისას. ხოლო სად არის და რად გვიანდება ეს რიხიანი სიტყვა?

აქაც იგივე უცნაური ამბავია. არ არის დღეს ევროპაში ისეთი დიდი სახელმწიფო, რომ თავმოწონებით არ იძახოდეს თავისის დიპლომატების პირითა, ევროპის სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობა არისო; თვითვეული დიდი სახელმწიფო იმ აზრზე სდგასო, რომ ურთიერთის თანხმობით და ყველამ ერთად იმოქმედოსო ოსმალეთის შესახებო. ამას ჰფიცულობენ ყველანი, მაგრამ ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს. თუ ეგრეა, მაშ საქმე რაღაზეა? რაღად იჟლიტება ამოდენა ქრისტიანე სული და არა ქრისტიანე? რაღას ელიან? საქმე დღედადღე მწვავდება, სისხლის ღვრა ძლიერდება, არეულობა ჰმატულობს, აღრევა და ერთმანეთზე წევა ამოღებულის ხმლით, დღეს თუ ერთმანეთის დამოუკიდებლად, დაქსაქსულად, ცალ-ცალკე მოქმედობს, — ხვალ, ხვალზევით მოსალოდნელია ერთს უშველებელ, გაერთებულ ცეცხლად გადაიქცეს და მოეკიდოს მთელს ოსმალეთსა, და მაშინ ხომ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს. სად არის ეგ თანხმობა ევროპისა? სად არის ის კაცთმოყვარეობა, რომელზედაც ასე უყვართ ხოლმე დაბჯინება პოლიტიკოსებს და დიპლომატებს და რომელიც მართლა რომ დედაბოძია იმისთანა ჩაგრულ ერისათვის, როგორიც საწყალი სომხები არიან ოსმალეთში? ნუთუ ერთი ერი — სომხები მეორეს — ოსმალოს უნდა მიეცეს შესაჭმელად, აქაო და თქვენ ცოტანი ხართ და ჩვენ ბევრნიო,

და განათლებული ევროპა კი უყურებდეს ამ უსამართლობას და იმით იწონებდეს თავს, რომ ჩვენ ყოჩაღად ვართ, ერთს პირზე ვდგევართ, საერთოდ და განუყოფელად გვსურს ვიმოქმედოთო. თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არის, შუა დიდი მანძილია.

სად არის ეგ საერთო და განუყოფელი მოქმედება? მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო, სწორედ ეს არის. საქმე ის არის, რომ ეგ თანხმობა და ერთობილად მოქმედება ყინულზე დაწერილი თამასუქია, ჯერხანად ხელიხელთ საგოგმანებელი. ოსმალეთის საქმე რთულ ინტერესების ამბავია. ზოგს დიდს სახელმწიფოს იმისთანა საკუთარი ინტერესები აქვს აქა, რომ არასგზით სხვა სახელმწიფონი ამას არ დაჰყვებიან და სხვა სახელმწიფოებს იგი არ დაეთანხმება. აი სად არის ჭირი დღევანდელის პოლიტიკისა. აი სად არის მისი ნასკვი, ჯერ ძნელად გამოსახსნელი. თუმცა ევროპა გვეფიცება, მაგრამ უეჭველია, ჯერ იგი ერთს აზრზე არ დამდგარა. უეჭველია, გარედ ერთს ჰლაპარაკობს და შინ კი, ფარდებს უკან, სულ სხვას ჰფიქრობს და სხვარიგად არის საქმე. ესე რომ არ იყოს, განა დასაჯერებელია, რომ მთელი ევროპა ერთს აზრზე იდგეს, — როგორც გვარწმუნებენ, — ერთსა და იმავეს ეტანებოდეს, და ოსმალო კი გაუუჯიათდეს და ღობე-ყორეს ედებოდეს. ევროპა მართლა რომ ერთის რისამე მოწადინებული იყოს, განა ოსმალო გაუძლებდა, განა იგი ასე გააჭიანურებდა საქმეს და თვალის დახამხამების უმალ არ აუსრულებდა ერთობით გაძლიერებულს სურვილს? ოსმალეთს რა შეუძლიან მთელის ევროპის წინაშე? აკი ვამბობთ: ერთი რიხიანი სიტყვა ევროპისა და მაშინვე ენა მუცელში ჩაუვარდება ოსმალეთს შიშითა. საქმე ის არის, რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის არც ერთობილი აზრია და არც ერთობილი სურვილი. აქ ზოგიერთს ეჩო უჭირავს ხელში და ჰლამის თავისაკენ მოითალოს.

[1895 წ.]



<იქნება ომი თუ არა?>

ტფილისი, 23 ნოემბერი

იქნება ომი თუ არა? სულ ყველანი დღეს ამას ჰკითხულობენ და არავის ვერ გაუბედნია სთქვას ან ჰო, ან არა. ევროპაში დღეს ამის საპასუხოდ საკმაო არ არის ოსმალეთის არეულობა და აღმოსავლეთის საქმის აწეწილობა. თუნდა ეს საქმე ასე თუ ისე უომრად გათავდეს, მაინც, იქნება ომი თუ არა — ეს საკითხი თავის მიზეზს არ დაჰკარგავს და არ მოშორდება ადამიანის ენას, ვიდრე სხვა უფრო ხანიერი გარემოება ევროპისა, სულთამხუთავსავით ატუზული, არ გაქარწყლდება. ეს გარემოება ის არის, რომ ევროპაში ერთის მხრით „სამთა კავშირია“ და მეორეს მხრით „ორთა კავშირი“.

გერმანიის დაუცხრომელი ბეჯითობა ჯარების გამრავლებისათვის, თოფ-იარაღის მზადებისათვის და ერთობ სამხედრო აგებულების (организация) რაც შეიძლება მალე სისრულეში მოყვანისათვის ხომ ყველასათვის ცხადია. არც ის არის დამალული, რომ მისნი მოკავშირენი — ავსტრია და იტალიაც ამისათვის ბეჯითობენ, ამ გზაზედვე იღწვიან და ირჯებიან, რაც კი ღონე და ძალა შესწევთ. ყოველივე ეს ბევრისათვის ვერაფერი საიმედო ნიშანია იმისი, რომ მშვიდობიანობის მომასწავებელი იყოს. ამნაირმა მოქმედებამ "სამთა კავშირისამ" გამოიწვია სამხედრო ღონის განდიდება და გაძლიერება რუსეთისა და საფრანგეთის მხრითაც. ამ ამბავმა დიდი ხანია შეაჩვია მთელი კაცობრიობა იმ აზრს, რომ დღესა თუ ხვალ ზარბაზანმა უნდა წამოიქუხოს სადმე და მთელი ევროპა ერთმანეთს დაა-

ჯახოს ადამიანთა საჟლეტად, ქონების ასაკლებად და გასანადგურებლად.

ეს მოლოდინი ჯერ აქამომდე ღვთის მადლით არ ასრულებულა და ვინატროთ, რომ არც ასრულდეს. ხოლო სამწუხარო ის არის, რომ, რაც ხანი გადის, ომის შიშს ცეცხლი ემატება. ყველას მოეხსენება, რომ ერთიერთმანეთის მიხედვით ყოველმა სახელმწიფომ ევროპაში თავთავისი წესი შემოიღო თავისის მხედრობის გასაძლიერებლად და გარდა ამისა იმისთვისაც, რომ ჯარები მარდად მოიკრიბოს, სწრაფად დააყენოს საომარ ფეხზე, სწრაფად გამოიყვანოს საომარზე და სხვა ამისთანა. რომ ახალმა კანონმა თუ წესმა სამხედროსამ თავისი ქმნას და დანიშნულება გაამართლოს, ამას დრო უნდა. ხოლო დრო დამოკიდებულია ამ შემთხვევაში არა მარტო ადამიანის სურვილზე, არამედ ბევრს იმისთანა შინაურ და ბუნებურ გარემოებაზე, რომელიც ასე თუ ისე ხელს უწყობს ან აბრკოლებს თვითვეულს ცალკე სახელმწიფოს.

აქ შინაური წესწყობილება, სივრცე და სიდიდე სახელმწიფოსი, ადგილმდებარეობა, ქონება, ავკარგიანობა გზებისა ჯარების გადასაყვან-გადმოსაყვანად, გამოცდილება, ცოდნა, ბეჯითობა მოხელეთა, რიცხვი და თვისება მკვიდრთა, თვითონ ავკარგიანობა სამხედრო წესისა და ბევრი სხვა ამისთანა იძულებულჰყოფს ყოველს სახელმწიფოს სამხედრო წესწყობილება ამ მრავალკეცს გარემოებას შეუფეროს, შეუწონოს. ამაზეა დამოკიდებული თვითონ დროც, რომლის განმავლობაშიაც შესაძლოა ახალმა წესმა თავისი შეასრულოს.

ამ მხრით არც ერთი სახელმწიფო ისე არ არის დაწინაურებული, როგორც გერმანია. მცოდნე კაცთაგან გამორკვეულია, რომ 1896-1897 წლებში ახალი სამხედრო წესი გერმანიისა სრულ სისრულეში მოიყვანს გერმანიის მხედრობას. ამავე წლებში იტალია, ეს მოკავშირე გერმანიისა, სისრულეშივე მოიყვანს აღჭურვას ძალებისას ახალის თოფ-იარაღითა. ავსტრიაც, მესამე მოკავშირეც, მზად არის საშველად. გარდა ამისა, მცოდნე კაცნივე ამბობენ, რომ გერმანია სამს-ოთხს დღეზე ჯარს საომრად გამოიყვანსო, იტალიასა და ავსტრიასაც შეუძლიანთ, თუმცა არა ესე სწრაფად, მაგრამ მაინც კარგა მალე იგივე მოახდინონ.

რუსეთის სამხედრო წესწყობილება ისეა გაანგარიშებული თურმე, რომ მხედრობას დანიშნულ სისრულეში მოიყვანს მარტო 1903 წელსა და ექვსი კვირა მოუნდება თურმე, რომ შესასევად სადმე ჯარი გაიყვანოსო. 1903 წელს კი რუსეთს იმოდენა ჯარი ეყოლება, რომ არავითარი მტერი მისთვის საშიში აღარ იქნებაო. მინამდე კი რუსეთი, რომელსაც ცალკე წინ დაუდგება გერმანიის მოცლილი ჯარი და ცალკე ავსტრიისა, ვერც საფრანგეთს მიეშველებაო და ვერც გერმანიაში შესევას შეიძლებსო. ყოველივე ეს, რაცა ვთქვით, ერთმანეთს რომ დაუპირისპიდეს ერთმანეთის შესადარებლად, გამოვა, რომ თუ ომი ასატეხია, გერმანიამ ან 1896, ან 1897 წ. უნდა ასტეხოს, თორემ მერმეღა მშვიდობით, იმედო გამარჯვებისავ.

არავისათვის დამალული არ არის, რომ გერმანია ორმხრივ იყურება სამტროდ, — რუსეთისა და საფრანგეთისაკენ, და ეხლა ამას ჰფიქრობენ: ჯერ მინამ რუსეთს თავისი სამხედრო აგებულება სისრულეში არ მოუყვანია, გერმანია უნდა აჩქარდეს და თავს დაეცეს საფრანგეთსა და იტალიის შემწეობით ჯერ ეს ქვეყანა ცალკე დაამარცხოსო. საბუთიანი აზრი, რომ გერმანიას და იტალიას ერთად ძნელად გაუსწორებს ომს მარტოკა საფრანგეთი, მეტად დიდი რამ არის, რომ გერმანია არ წაქესდეს უეჭველის გამარჯვების იმედითა, რაკი საფრანგეთს დაამარცხებს, მაშინვე ავსტრიის შემწეობით რუსეთს შეუტევსო კიდევ იმ იმედით, რომ გერმანიას და ავსტრიას ერთად რუსეთი ძნელად თუ გაუმაგრდებაო. ამ გარემოებაშია დღეს გერმანია და, თუ მართლა გერმანიისათვის ომის ატეხა აუცილებელი საჭიროებაა, ძნელად საგულვებელია, რომ მან ომი არ ასტეხოს ან 1896, ან 1897 წელს, ესე იგი მაშინ, როცა ყოველივე გარემოება ასე ხელს უწყობს თითქმის უეჭველ გამარჯვებისათვის. ეს გარემოება უფრთხობს დღეს ძილს ყოველს მშვიდობისმოყვარეს, ვაი თუ ახალგაზრდა იმპერატორი გერმანიისა ამ გარემოების მაცდურებას ვერ გაუმაგრდესო და იმის შიშით, რომ ასეთი მარჯვე შემთხვევა კვლავ აღარ მიეცემა, ხელი

ხმალს მოჰკიდოსო. ამ სახით, თუნდ ოსმალეთის საქმე მშვიდობით გათავდეს, ევროპას არა მცირედი შიში უნდა ჰქონდეს ომისა ამ მხრიდამ, როგორც ეტყობა.

[1895 წ.]



<ციხეში ჯდომა უფრო ახშობს ზნეობას, ვიდრე აფხიზლებს>

ტფილისი, 24 ნოემბერი

დიდი ხანია ევროპის მეცნიერნი და სახელმწიფოში მომქმედნი კაცნი ცდილობენ გამოარკვიონ, ციხეში ჩასმით შეიძლება თუ არა დანაშაულის ჩამდენი ადამიანი გამოსწორდეს, გამოკეთდეს. ამაზე ბევრი ჰო და ბევრი არა თქმულა, ზოგსა სწამს ამ მხრით ციხის მადლი და ზოგს არა და ამის გამო ზოგი ისე მაგრად ებღაუჭება ამგვარს სასჯელს, ვითარცა სახსარს ადამიანის კარგ ზნეობის გამოფხიზლებისას და ზოგი კი შორს იჭერს, რომ ციხე მაგის შემძლებელი იყოს, და ამტკიცებენ, რომ ციხე უფრო ჰრყვნის და აფუჭებს ადამიანსაო. ზოგიერთი ნიშნებია, რომ ეს უკანასკნელი აზრი თანდათან გულშემატკივარს და თანამგრძნობს ჰპოულობს. დღეს ძნელად სადმე შეხვდებით იმისთანა გამოჩენილს მეცნიერს ანუ სახელმწიფო კაცს, რომ სწამდეს ციხეში ჩასმით ადამიანის გამოკეთება. პირიქით, დღეს ბევრნი ამტკიცებენ, რომ ციხეში ჯდომა უფრო ახშობს ზნეობას, ვიდრე აფხიზლებს და აღვიძებს და ასე მოქმედობს ნამეტნავად არასრულს წლოვანს დამნაშავეზე და იმისთანა კაცზე, რომელსაც დანაშაულობა შეემთხვა არა გულის სიბოროტითა და არა იმით, რომ იგი ხელობით ავაზაკი იყოს, ან ავსაქმის მოურიდებელი. ხშირად გულით ჯერ არწამხდარი და კიდევ საკეთილოდ საიმედო კაცი ციხიდამ გამოდის ზნედახშული და მთლად სამუდამოდ ხელიდამ წასული.

ბელგია, ეს პატარა, მაგრამ კარგად განათლებული ქვეყანა, პირველი დადგა იმ აზრზე, რომ ციხე ვერაფ-

ერი ადგილია ადამიანის გამოსაკეთებლად. ამიტომაც პირველმავე შეიტანა კანონებში ეგრედ წოდებული „პირობითი სასჯელი“ წვრილმან დანაშაულობისათვის, რომელსაც მოკლე ხნით ციხეში ჯდომა მოსდევს. ეს პირობითი სასჯელი იმაში მდგომარეობს, რომ იმ დამნაშავეს, რომელსაც მცირე დანაშაულობისათვის ციხეში ჯდომა განუჩინა სამართალმა, ჯერ დრომდე ხელს ნუ ახლებენ, აცალონ დამნაშავეს თავისუფლად იყოს, თვალი ადევნონ და თუ დანიშნულ ვადამდე ჰნახეს, რომ მისი ყოფაქცევა რიგიანია და შეუმწიკვლელი, სრულაც აპატიონ და თუ არა, მხოლოდ მაშინ სასჯელი აღსრულებაში მოიყვანონ.

გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის იმპერატორმაც ბრძანება გამოაცხადა იუსტიციის მინისტრის მიმართ იმის შესახებ, რომ იმ დანაშაულთათვის, რომელთა გამოც სამართალმა დაადგინა არა ექვს თვეზე მეტი, სასჯელის აღსრულება დააყოვნოს. ამისთანა შემთხვევაში და ნამეტნავად თუ დასასჯელი არასრული წლოვანია (18 წლისაზე ნაკლები), მინისტრს ნება ეძლევა განაჩენი სამართლისა არ მოიყვანოს აღსრულებაში; დამნაშავე თავისუფლად დასტოვოს რამდენისამე ხნით და არა უმეტეს ერთის წლით, თითქო გამოსაცდელად. თუ მისი ყოფაქცევა ამ ვადის განმავლობაში ყოვლად მართებული და მოსაწონი იქნება, მაშინ სრულადაც შენდობილ იქმნას, თუ არა და, განაჩენი აღსრულებაში მოვიდეს.

თუმცა ეს ბრძანება ჯერ კანონად არ ჩაითვლება, რადგანაც ამ შემთხვევაში საჭიროა პარლამენტის თანხმობა, მაგრამ ესეთი ბრძანება პრუსიაში, თუ არ მთელ გერმანიაში, მაინც სახელმძღვანელოდ უნდა ჰქონდეს იუსტიციის მინისტრს, რადგანაც აქ იმპერატორი მოქმედობს, ვითარცა ხელმწიფე, რომელსაც უფლება შენდობისა მინიჭებული აქვს კანონითა. აქ საქმე იმაშია, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა იგი ჰქმნა, რის უფლებაც კანონით ეკუთვნის და რაკი ამ მხრით იმპერატორის აზრი გამოქვეყნდა, უეჭველია, როგორც პრუსიის პარლამენტი, ისეც გერმანიისა ბეჯითს ყურადღებას მიაქცევს სასჯელთა კანონმდებლობას იმისათვის, რომ ამ აზრის მიხედვით სასჯელთა აღსრულების წესი შესცვალოს და კანონებში შეიტანოს.

ვინც იცის, რა მდგმურები ჰყავს ციხესა და მათ შორის ჩავარდნილი მცირე დანაშაულისათვის ადამიანი რა გარყვნილობისა და ავზნეობის საფრთხეშია ხოლმე, ნამეტნავად არასრულწლოვანი, ან ჯერ გულით და გონებით არდამჯდარი, უვიცი ვინმე და ამიტომაც მზად მყოფი სხვის დარიგებას, რჩევას ადვილად აჰყვეს და ბოროტის მაცდურებას ვერ გაუმაგრდეს, — ვინც ყოველივე ეს იცის, იმისათვის მეტად სანუგეშო უნდა იყოს და თანასაგრძნობი იგი ნიშნები, რომელიც მოასწავებს, რომ ადამიანს მადლი ციხისა დამნაშავის გამოსაკეთებლად აღარა სწამს და, პირიქით, იმის ცდაშია, რომ ავზნეობის საფრთხესაგან დაიხსნას სასჯელად დანიშნული, რამოდენადაც შესაძლებელია. ამ გზაზე კაცობრიობა რაც უფრო მეტს მანძილს გაივლის, მით უფრო სანატრელია, რადგანაც ბევრს სულს, ჯერ კიდევ გამოსაკეთებლად საიმედოს, დაიხსნის სამუდამოდ წახდენისაგან. ან აქამდე რა საფიქრებელი იყო, რომ ჯერ მთლად არდაცემული კაცი, ჩავარდნილი სხვა ავკაცთა შორის, მათთან ერთად დამწყვდეული, თუნდ ორის-სამის თთვით, გამოკეთდება. ან მითამ რა მაღალზნეობის მაგალითები ასწავლიდა ჭკუას ციხეში, საცა მათთან ერთად ქურდბაცაცანი და ბევრი სხვა ადამიანობაზე უსირცხვილოდ ხელაღებული კაცნი არიან ხოლმე დამწყვდეულნი.

[1895 წ.]

<ელექტრონით განათება ტფილისისა>

ტფილისი, 26 ნოემბერი

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქალაქში გახშირებული მითქმა-მოთქმაა, რომ ტფილისში შემოღებულ იქმნას ელექტრონით განათება. რა თქმა უნდა, ეს აზრი ყველას მოსწონს და ამ მოწონებაზე შორს არ არის თვით ტფილისის საბჭოცა, რომელსაც ამ საგანზე ლაპარაკიც ჰქონდა 18-ს ნოემბერს. ეს ისეთი საქმეა, რომ წინადაც დაეწყოთ ლაპარაკი ამაზე და რაიმე გამორკვეულ აზრზე დამდგარიყვნენ, არ იქნებოდა მეტი. რუსები იტყვიან: ისევ გვიან სჯობია, ვიდრე სულ არაო. ისიც კარგია, რომ ამ საგანს ეხლა მაინც მიაქციეს ყურადღება და თუ ამას საკმარისი გულმოდგინებაც ზედ დაატანეს, შესაძლოა გამოვიდეს რამე სახეიროდ ჩვენის თავმინებებულ დედაქალაქისად.

ხსენებულ მითქმა-მოთქმისაგან სჩანს, რომ სურვილი აღძრულია, აქა-იქ ამისათვის ფიქრიც მოქმედობს, ჰზრუნავენ და ირჯებიან და თუმცა ყოველივე ეს ჯერ მიმალულ-მიფარებულია ოთხკედელშუა, მაგრამ ზოგიერთი ხმა მაინც გარედ გამოდის და მეტი არ იქნება, ამ ხმებს ყური ვათხოვოთ. მაგალითებრ, ამბობენ, რომ ჩვენის საბჭოს მოხელენი ამ საგანის თაობაზე უკვე მიწერ-მოწერაში არიანო და მოლაპარაკება გაუმართავთო, რა თქმა უნდა, ამისთანა დიდ საქმეში, როგორიც არის ელექტრონით განათება ტფილისისა, არამც თუ მეტია, ფრიად საჭიროა წინადვე გამოლაპარაკება მცოდნე კაცებთან, საჭიროა სხვისის გამოცდილების შედეგი ვიცოდეთ ამ საქმეში, შეტყობილ გვქონდეს, სად და როგორ მოუხერხებიათ ასეთი საქმე, სად და როგორ დასჯდომიათ, რა გასულა, რა შემოსულა, რის იმედი უნდა იქონიოს ქალაქმა და რის — არა და მებრვე სხვა.

ვიმეორებ, ყოველივე ამის ცოდნა და შეტყობა ერთს იმისთანა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, ურომლისოდაც გაგნება გზისა ამ საქმეში შეუძლებელია და მეტისმეტად საშიშია იმ მხრით, რომ უგზო-უკვლოდ სიარულმა დიდი რამ შეცდომა არ მოგვახდენინოს და საქმე ისე არ დაგვაჭერინოს, რომ ბოლოს ვინანოთ, სახელდობრ, მაშინ, როცა გასწორება წანახედისა ძნელიღა იქნება, რომ ეს ასე არ მოხდეს და საჭირო ცნობანი მართლა იმ კაცთაგან მივიღოთ, რომელნიც ამისთანა საქმეში სარწმუნოდ დანახულნი და ცნობილნი არიან, არ იქნება მეტი, შევიტყოთ, ვის უნდა გამოველაპარაკნეთ და სად უნდა ვეძებოთ ამ საქმეში სარწმუნოდ გამოცდილნი კაცნი.

ქალაქში ხმა დადის, ვითომ მოურავს ამ საგანზე ლაპარაკი, რასაკვირველია, მიწერ-მოწერით დაუწყვია ერთის ინჟენერის ფირმასთან ოდესსაში. მართალია ეს ამბავი თუ არა, არ ვიცით. ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ არ იქნება მეტი და სასურველია, რომ ამ ფირმამაც თავისი გვითხრას, თავისი აზრი გვაუწყოს. რაც ბევრი ცნობა გვექნება, მით უფრო კარგია. ხოლო ამას კი ვიტყვით, რომ მეტისმეტი წინდაუხედავობა იქნება, მარტო ამ ფირმასთან გამოლაპარაკება ვიკმაროთ, მარტო ამას მივაყუდოთ ჩვენი ყავარჯენი.

ნუ დავივიწყებთ, რომ შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში უკვე მოქმედობს ელექტრონი იმისათვის, რისთვისაც ჩვენს ქალაქს ჰსურს მისი ძალი მოიხმაროს, ესე იგი, განათებისათვის. ჭკუიანმა ჟენეველებმა ამ განათების საქმეს ზედ დაურთეს ერთი სხვა სასარგებლო საქმეცა, რომელიც თითქმის იმოდენა შემოსავალს აძლევს ქალაქს, რამოდენასაც ელექტრონით განათება. იქ ელექტრონით განათებას ამოქმედებს მდინარე რონა და ამ მდინარის ძალითვე ელექტრონი ამუშავებს სხვადასხვა ქარხნებსა და ფაბრიკებში მანქანებს, სადაც კი პატრონების სურვილით ელექტრონი გაყვანილია. ჩვენი ტფილისი, რომელსაც შიგ ჩამოუდის ამისთანა ძლიერი წყალი, როგორიც მტკვარია, ამ შემთხვევაში

მეტად ხელშესაწყობია და აქაც ეს ძლიერი ღონე მტკვარისა, როგორც ჟენევაში რონისა, დიდად უნდა აადვილებდეს როგორც განათების საქმეს ელექტრონით, აგრედვე მანქანების მოქმედებისას ელექტრონითვე. უეჭველია, ჩვენის მტკვრის წყალობით ეს ორი საქმე ერთად უნდა შეერთებულ იქმნას, როგორც ეს არის ჟენევაში დღეს და დიდს შემოსავალსაც აძლევს ქალაქსა.

ეს მხარე იმ საგნისა, რომლის გამოც ვლაპარაკობთ, მცოდნე კაცთა გამორკვევის საქმეა და თუ აქ ვახსენეთ, მარტო იმისთვის, რომ რადგანაც ჟენევაში ელექტრონით განათება და მანქანების მოქმედება უკვე გამართულია და რადგანაც ჩვენი მტკვარი აქ, როგორც იქ რონა, მეტისმეტად ხელჩასაკიდებელია და უპრიანეა საჭირო ცნობანი იქ ჟენევაში მოვიკითხოთ, იქაურ ინჟენერებს — დავეკითხოთ და საქმე ისე დავიჭიროთ. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ შემთხვევაში ჟენევა და ტფილისი ერთსა და იმავე გარემოებაში არიან: აქაც მტკვარი იმ სამსახურს გაგვიწევს ამ საქმეში, როგორც იქ რონა. ოდესსიდამაც მოსული ცნობები, რასაკვირველია, ასე თუ ისე, გამოსადეგი იქნება ამ საქმეში. ხოლო ოდესსა უწყლო ქვეყანაა და წყლის ღონის გამართვა ელექტრონის განათებისა, არა გვგონის, იქ ისე ზედმიწევნით ნაცადი ჰქონდეთ და ზედმიწევნით ნასწავლი, როგორც ჟენევაში, რომელსაც ეს საქმე დიდი ხანია ნაცადი და ნასწავლი აქვს. აი, სად უნდა ვეძებოთ სახელმძღვანელო ამ საქმეში, აი, სად უნდა მოვიკითხოთ ყოველივე მისი ვითარება და საიდამ უნდა მოწვეულ იქმნან ინჟინერები, თუ საქმე — აღსრულებამდე მივიდა.

ჩვენა გვგონია, რომ ამ გზით შეუცდომელად და წინდახედვით გავივლით და იქნება უფრო იეფადაც დაგვიჯდეს განზრახული საქმე ელექტრონით განათებისა.

[1895 წ.]



<წყალდიდობა საქართველოში>

ტფილისი, 5 დეკემბერი

ყოველ მხრიდამ სწორედ შესაძრწუნებელი ამბები მოდის, რომ ღვინობის თთვეში ყოფილმა წყალდიდობამ აუარებელი ზარალი მიაყენაო მკვიდრთა სულდგმულს და არასულდგმულს ქონებასა. ბევრგან თვით ადამიანიც შეიწირა და დასტოვა ოჯახები უპატრონოდ და ობლად. აოტება და აოხრება მეტი აღარ შეიძლება. ბევრგან არამც თუ სარჩო-საბადებელი, წლევანდელი მოსავალიც არ შერჩათ, ზოგს ბინაც და სადგურიც მოუშალა და ამ ზამთრობით უქადის ცასქვეშედ დარჩენას ზოგან ცოლ-შვილით და მთელის სახლობით.

კიდევ კარგია, თუ ამნაირად დაზარალებულს ღონისძიება აქვს, ხელი გაიმართოს სადმე, ხოლო ვაი იმას, ვინც ამასაც მოკლებულია. და ვინ არ არის ამას მოკლებული საწყალ გლეხთაგანი მაინც, რომელთა სარჩო-საბადებელი, რაც ხელთა აქვთ, დღის საჭიროებას უიმისოდაც ძლივღა სწვდება ხოლმე და სად როგორ მოინაცვლის ხელს, სად და როგორ გაუძღვება ბინის მოშლას, ტიტველ-შიშველობას, შიმშილ-წყურვილსა?

ამისთანა უბედურების მსმენელთ გული სტკენიათ საქართველოს მკვიდრთა ზარალისაგან და ჩვენის ქვეყნის გარედ, მოსკოვში, ამ კაცთმოყვარულ გულმტკივნეულობას იქამდე უმოქმედნია, რომ კომიტეტიც შეუდგენიათ ფულის მოსაგროვებლად ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში დაზარალებულთა შემწეობისათვის.

გუშინ „ნოვოე ობოზრენიე“-მ გამოაცხადა, რომ მოსკოვში შემდგარა კომიტეტი ამ სამადლო განზრახ-

ვითა და თავმჯდომარეობა მიუღია ქალბ-ნს უვაროვისას. ამისი ცნობა ჩვენც მივიღეთ მეტად სარწმუნო კაცისაგან და ეს ამბავი ეჭვგარეშე უნდა ვიგულვოთ. ეხლა მარტო ესღა დაგვრჩენია, ჩვენს თავს დავეკითხოთ: თუ მოსკოვმა ხელი მოჰკიდა ამ ჩვენთვის სამადლო საქმეს, თუ იქაურთა გული შეინძრა აქაურ უბედურობისაგან, თუ აქაურთა მკვიდრთა უნუგეშობამ და მწუხარებამ იქამდე მიაღწია და კაცთმოყვარული მზრუნველობა გამოიწვია, ჩვენ რად დავრჩით ასე გულგრილად? ჩვენი გული უფრო წინად არ უნდა დაძრულიყო ამ სამადლო და საჭირო საქმისათვის, რადგანაც გაუბედურებულნი და დაზარალებულნი წყალდიდობისაგან ჩვენნი სისხლ-ხორცნი არიან, ჩვენი თავისიანები, ჩვენი თანამემამულენი, ჩვენი ძმანი და მახლობელნი!

შორეულმა მოსკოვმა გვაჯობა ამაში, შორეულმა მოსკოვმა გვაჩვენა იმისი მაგალითი, რომ ძმა ძმისთვის და შავ დღისთვისაო და ჩვენ კი, ქართველებმა, ქართველი დავივიწყეთ გაჭირვებას და შავ დღეში და ყურსაც არავინ ვიბღერტავთ, როცა ასე უწყალოდ და შეუბრალებლად მოსეულმა უბედურებამ ამოდენა სული ადამიანი, დიდი და პატარა, შეიწირა და მიწასთან გაასწორა. თითო-ოროლა გროში, ბევრისაგან მოგროვილი, ვინ იცის, რამდენს სულს დაიხსნიდა წყურვილ-შიმშილისაგან, ტიტველ-შიშველობისაგან და ზოგან სიკვდილისაგანაც. აი სწორედ ამ თითო-ოროლა გროშის გამომეტებისათვის ჩვენთა ძმათა და მახლობელთა საოხად და სახსნელად ღონე სულისა და მადლისა არ გაგვწვდა. არ უნდა გვრცხვენოდეს?! ამისთანა უღონობას არ უნდა ვგლოვობდეთ?! ღმერთო, რამ დაგვამცირა და წაგვახდინა ესე სამარცხვინოდ!

თუ მადლსაც ჩვენს გულში ადგილი აღარა აქვს, თუ ჩვენში ძმას ძმის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, როცა ამისთანა უეცარი ჭირი და უბედურება ეწვევა, — რითღა უნდა სულდგმულობდეს საზოგადოება, რა ფესვზედღა უნდა ამოვიდეს და იხაროს ცხოვრებამ ერისამ, რა ზამინები და თავხეებიღა უშველის, რომ ერის თავშესაფარი შენობა არ წამოიქცეს და დიდი და პატარა თან არ დაიტანოს. მადლი და მისი საქებური

მტარებელი ადამიანობა თუ აღარ იქმნება, აღარც ურთიერთობაა, აღარც ძმობა და სიყვარულია, აღარც გულმტკივნეულობაა, ერთის სიტყვით, არაფერი იმისთანა, რითაც ადამიანი პირუტყვისაგან ასეთის თავმოწონებით ირჩევა. მადლი და ადამიანობა იგი ხელთუქმნელი ბურჯია, რომელზედაც ყოველი ერი თავისის ბედნიერების და მერმისის ციხე-სიმაგრეს აშენებს ხოლმე. გამოაცალეთ ეს ბურჯი და შენობას დარღვევისაგან არა დაიხსნის რა.

მართალია, ერის არსებობისათვის დიდი რამ არის ნივთიერი ქონება, მაგრამ არის ერთნაირი სხვა ქონებაცა, ურომლისოდაც ერი თავს ვერ დაიჭერს ამ წუთის-სოფლის გზაზე. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ ადამიანი არა მარტო პურით ცოცხალ არს; სხვაც რამ არის საჭირო და ის სხვა — ზნეობაა და ზნეობური ქონებაც ისეთი აუცილებლობაა ერის მკვიდრთა ფეხზე დგომისათვის და ხანგრძლივ ადამიანურ ცხოვრებისათვის, როგორც არსებითი პური. გული ამომშრალი, უმადლო, უკეთილო, ერს ერად ვერ აბოგინებს. და ნუთუ დღეს გული ამოგვიშრა ჩვენ იმოდენად, რომ ჩვენთა სისხლ-ხორცთა, ჩვენთა ძმათა და მახლობელთა საშველად სხვა უნდა გვაჩვენებდეს მაგალითს.

არა გვგონია, ასე წავწყმედილვიყოთ, ასე წამხდარვიყოთ და ამიტომ იმედი გვაქვს, ჩვენი საზოგადოება, ჩვენი დიდ-პატარაობა გააღვიძებს თავისს გულში მადლის ქმნის წყურვილსა, ასე თუ ისე შეუდგება დაღუპულ და იმედგადაწყვეტილ მოძმეთათვის საშველ საქმესა და არ დაჰზოგავს თავისს წვლილსა, ვინც რის შემძლებელია, აქ ყოველი გროშიც თავისს სამადლო გზას იპოვის და მრავალთაგან თვითო წვლილი არა ერთსა და ორს კაცს სასოწარკვეთილს გულს გამოუკეთებს და ადრე და მალე წახდენისაგან დაიხსნის ცოლითა და შვილითა.

საჭიროა, ითავოს ვინმემ აქაც, ჩვენში, ამერ-იმერთა შორის კომიტეტი შეადგინოს და მოიწვიოს ჩვენი ერი ამ დიდ საქებურ სამადლო საქმისათვის. ხვეწნა და მუდარა აქ მეტია: თვითონ საქმე ჰღაღადებს თავისა თვისისათვის, ოღონდ ვინმე მხნე კაცი დამწყებად გა-

მოჩნდეს. ჩვენი მარშლები არა ცოტა შემწეობას გაუწევენ ამ საქმეს, თუ მოიწადინებენ საკმაო გულმოდგინებით შედგომასა. არც ჩვენი სამღვდელოება უნდა ჩამორჩეს სხვას და თვისი სამწყსო უნდა მოიწვიოს მოყვასთა საშველად და იმედია არც მათი ხმა დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოში. ინტელიგენციაც, რა თქმა უნდა, არ მოიყრუებს ყურს და იგიც მოაშველებს ამ საქმეს თავისს ძალ-ღონეს, თავისს წვლილს, ოღონდ ითავოს ვინმემ, მხნემ და გამრჯელმა, და დიდი და პატარა, თავადი და გლეხი შესძრას ამ სამადლო საქმისათვის და იმედია ბევრი თუ არა, იმოდენა მაინც მოგროვდეს — თუ ყველას არა — ზოგიერთს გაუბედურებულს მაინც ნუგეში რამ მიეცეს, წამალი რამ დაედოს.

[1895 წ.]



<ოსმალეთის სომეხთა განწირვა>

ტფილისი, 12 დეკემბერი

ყველა იძახის, რომ სომეხთა საქმე მიწყნარდა და ვითომც სამშვიდობოზედაც გავიდაო. ცალკე ხომ ამას იძახიან, ცალკე ისიც ისმის, რომ სომხებს მაინც სდევნიან და ჟლეტენ. დღე არ გავა, რომ დეპეშა არ მოვიდეს, აი აქ თუ იქ ამდენი სომეხი დააწიოკეს, აიკლეს, ამდენი ამოხოცეს, ამდენი დაღუპეს. რა თქმა უნდა, არც მეორე მხარე რჩება უიმისოდ, რომ სომეხთაც არ შესწამონ ამისთანავე მოქმედება, მითამ და წინააღმდეგ ოსმალთა, და მით არ ამართლოს იგი ულმობელი საქმენი, რომელსაც ოსმალნი სჩადიან.

ვინ ვისა სდევნის, ვინ ვისა ჰკლავს და იკლებს, ვინ სტყუის და ვინ მართალია იქ, სადაც ერთის მხრით ძალია და მეორეს მხრით უღონობა, — ეს ყველამ კარგად იცის, ამას ყველა აშკარად ჰხედავს, მაგრამ ზოგიერთის ჟურნალ-გაზეთების კალმის წრიპინისაგან სჩანს, რომ ბევრი განგებ თვალებზე ხელებს იფარებს, არა დავინახო რაო, ან დანახულს ჰმალავს და იმაზე აჭყეტს თვალებს, რაც ესიზმრება სხვადასხვა შინაურ მიზეზისა გამო, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ მათთან, რაც მართალია და რაცა სძრავს ადამიანის გულს ამ შემთხვევაში.

აშკარაა, სომხების საქმე და ერთომ ოსმალეთისაც განგებ ირევა, აცა — წყალი იქნება როგორმე აიმღვრეს, რომ ბადე კარგად მოხვდესო. ამასობაში ძლიერებისაგან სუსტი იჩაგრება თუ არა, ამისი დარდი და ნაღველი არავისა აქვს, ამისთვის თავი არავისა სტკივა იმოდენად, რომ ნასკვი დღევანდელის ტკივი-

ლისა აქ გამოინასკვოს და ღვაწლი ქვეყნისა ამ ნასკვის გამოხსნაზე დაიხარჯოს, როგორც სამართალი და კაცთმოყვარეობა ითხოვს.

ჩვენ სრულებით არა გვწამს, რომ რომელიმე სახელმწიფო აქ მარტო სომხების ბედის გასწორებას გულდადებით ეტანებოდეს და მარტო ამისთვის იღვწოდეს. სომეხთა საქმე, ასეთის ბუკითა და ნაღარით ატეხილი, აქ უნდა იგულვებოდეს, ჩვენის ფიქრით, იმოდენად, რამოდენადაც იგი სამსახურს გაუწევს თვითვეულის ცალკე სახელმწიფოს თავმოყვარეობას და ხარბს სურვილსა, რომ მე ჩემი ვირგუნოვო. ყველას თავისი ანგარიში აქვს და სომეხთა საქმე მარტო მიზეზია ანგარიშების აშლისა და დავთრების არევ-დარევისა.

რა თქმა უნდა, ეს აწეწილი საქმე ისე არ ჩაივლის, რომ თავგანწირულ სომხებს ოსმალეთში ცოტა რამ სიკეთე არ დაეყაროს, მაგრამ ეს ცოტა რამ ძალიან ცოტა რამ იქნება და სომხებს ნაათალსაც იმ წამებისას ვერ უზღავს, რაც მათ გამოიარეს, რასაც იგინი ასე თუ ისე სამართლიანად ელოდნენ და რისთვისაც ასე საქებურად და სამაგალითოდ თავი გაიწირეს. ამას უშლის იგი მიუნდობლობა, იგი ცილობა, იგი ხარბობა, იგი დაუძინებელი მეთუშენაობა, რომელიც ასე ძლიერ მოქმედებს სახელმწიფოთა შორის ყოველს საპოლიტიკო საქმეში. ავიღოთ თუნდა მაგალითად მეორე, სტაციონერების ამბავი. რა მოხდა აქ იმისთანა, რომ კაცმა თავი იდიდოს და ამაზე ცილობა დაიწყოს, თვით საქმე დაივიწყოს და ამას გამოეკიდოს. სულთანს ნება ჩამოართვეს, რომ დარდანელის გზით მეორე წყობა ხომალდებისა შეეშვა. აქაც კი იმაზე დაიწყეს ცილობა, — არა, ეს საქმე მე მოვახერხე და არა მეო და ამიტომაც გვირგვინი გამარჯვებისა, ქება-დიდება მე მეკუთვნისო; ხოლო რა არგო ამ ხომალდებმა სომხების საქმეს და ერთობ იმ მწვავს გარემოებას, რომელიც დღეს ასე ამძიმებს ევროპას? ამაზე არავინ დარდობს, თითქო ამ საკითხს აქ ადგილი არა აქვს, თითქო თავიდათავი საგანი ასეთის ფართიფურთობით ატეხილის ალიაქოთისა ის იყო, — ვინ ვის აჯობებდა, ვინ გაიტანდა სვეს გამარჯვებისას სულთანის წინაშე.

თუ მართლა იმაზე შესდგა ეგ სტაციონერების საქმე, რაზედაც დღეს შეუყენებიათ, იმისი ფასი გროშია. აბა, ომის მოლოდინით შეშინებული გული ევროპისა რას გამორჩება იქიდამ, რომ ეს სახელმწიფო დაიდგამს გვირგვინს გამარჯვებისას ამ შემთხვევაში თუ ის. ვის რად უნდა, ან რის მაქნისია ლაპარაკი იმაზე, თუ თავმოსაწონებლად ვინ გაიხდის ამ ჩალის ფასს სტაციონერების საქმეს, მაშინ, როდესაც სისხლი ადამიანისა ორტოტად იღვრება და ამას შველა უნდა. ან რა თავმოსაწონელია ამნაირი უქმი გამარჯვება. ეს ხომ სიტყვის ბანზე აგდებაა და სხვა არაფერი. ვინ არ იცის, რომ რაკი საქმე სიტყვის ბანზე აგდებაზე მიდგება, ვერაფერი ნუგეშია, ვერაფერი ნიშანია თვითონ საქმის ბოლოში გატანისათვის. თუ ეს სიტყვის ბანზე აგდებაღა დარჩათ „სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა“, ვერ ითქმის, რომ ევროპის სახელმწიფოებს სომეხთა საქმეში ალჩუ უჯდებოდეთ. რასაკვირველია, უნუგეშობის მიზეზი აქ ერთმანეთის ჯიბრია და ერთმანეთის მეტოქობა. სხვაგვარი ქადილი და ღაღადება ჯერხანად მაინც ყინულზე დაწერილი თამასუქია და ვისაც საქმის დაყოვნების მიზეზი ჰსურს შეიტყოს, აქ ამ ჯიბრსა და მეტოქეობაში უნდა ეძიოს. ეს აზრი არა ერთხელ გამოგვითქვამს და ვგონებთ, რომ ამ აზრს ახალი საბუთი მოეცა ამ სტაციონერების გამო ატეხილ ცილობისაგან.

განა აქედამ აშკარად არა სჩანს, რომ სახელმწიფოებს სომეხთა საქმე ისე არ ამძიმებთ, როგორც სხვა რაღაცა გულში დამალული, თორემ რა დროსია, ამ ცილობისათვის კაცმა თავისი ჭკუა და გონება მოაცდინოს და ამისათვის გაცხარებით თავი გამოიდოს.

[1895 წ.]

<სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურის მოძველებული წესწყობილების შეცვლის საჭიროებაზე>

ტფილისი, 21 დეკემბერი

დიდი ხანია ცნობილი, რომ აწ მომქმედი წესწყობილება და კანონდებულება სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურისა აღარ შეეფერება დღევანდელს ვითარებას ცხოვრებისას და ეს შეუფერებლობა ჰღაღადებს ამ სფეროში საჭირო ცვლილებების შემოტანას და რეფორმებს. ეხლახან „პრავიტელ. ვესტ"-მა აუწყა მთელს რუსეთს, რომ სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურის დაძველებულ წესწყობილების შეცვლა საჭიროდ დანახულ იქმნა მთავრობისაგან და რადგანაც ეგ წესები თითქმის აღარაფერში არ ეთანხმებიან ეხლანდელს მოთხოვნილებას და საჭიროებას, ამიტომაც მისი ძირეული შეცვლა აუცილებელიაო.

რუსეთის გაზეთები ერთხმად იძახიან და სამართლიანადაც, რომ დიდი ხანია დრო არისო ამ საქმისათვის ყურადღება მიგვექცია და ხსენებული წესი, აღნიშნული კანონთა მესამე ტომში, ძირიანად გადასინჯულიყო და ახალ ვითარებისათვის შეეფერებინათო. პირველ შეხედვით, ამბობენ იგი გაზეთები, ეს ამბავი თითქო მარტო მოხელეებს შეეხებათო, მაგრამ კარგად კი რომ ჩაუკვირდნენ საქმეს და განზრახვა ცვლილებისა მთელის თავისს სიგრძე-სიგანით განსაზღვრული იქმნას და გათვალისწინებული, დავინახავთო, რომ ხსენებულ საქმეს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ინტერესიც აქვსო.

მართალიც არის. საზოგადოების ცხოვრება, ერის ბედის ტრიალი, თვითვეულ ცალკე ადამიანის სულისა და ხორცის ავი და კარგი, ხშირად და ძალიან ხშირადაც დამოკიდებულია მოხელეობის ავკარგიანობაზე, იმაზე, თუ რამოდენად უცილობელად და ადვილად გამოსარკვევად განსაზღვრულია მოხელეობის ერთის მხრით მოვალეობა, რომელიც შეადგენს უფლებას თვითვეულის ქვეშევრდომისას და მეორეს მხრით უფლება, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა ქვეშევრდომის მოვალეობისა. განუსაზღვრელობა უფლებამოვალეობისა ერთადერთი მიზეზია იმ სამდურავისა და უკმაყოფილებისა, რომელიც ხშირად ისმის ხოლმე ცალკე მოხელეობის მხრით ხალხის მიმართ და ცალკე ხალხის მხრით მოხელეობის მიმართ. ადამიანის გრძნობა ღირსებისა, მისი პატიოსნება, მისი სახელი და მშვიდობით ყოფნა, მისი სარჩო-საბადებელი, მისი სულიერი და ხორციელი სვე-ბედი, ოჯახობა, სახლკარიანობა და სხვა ყოველივე ამისთანა, რომელიც საზნეო და საქონებო საუნჯეს შეადგენს ყოველის ადამიანისას — ესე ყოველი უნდა იყოს მოხელეობის მფარველობისა და სარჩელის ქვეშ, თუ ვინმეს ამ მხრით ევნო რამე. ავკაცობას თვითვეული ცალკე კაცი ვერ გაემკლავება. მოქალაქური ურთიერთობა და მშვიდობით ყოფნა შეუძლებელია იქ, საცა მოხელეობის უვარგისობა იძულებულ ხდის ადამიანს თვით შეეჭიდოს მისის ადამიანურის უფლების დამრღვევსა და თვით აღიდგინოს დარღვეული უფლება. კარგად მოწყობილ ქვეყანაში ყოველ ამისთანა საქმეში მისი ნუგეში და იმედი მოხელეობა უნდა იყოს და არა საკუთარი თვითნებობა და ძალმომრეობა.

ჩვენ ამითი იმის ქადაგება კი არ გვინდა, ვითომც ეგრედ წოდებული „აპეკა" მოხელეობისა კისრად მოვახვიოთ თვითვეულს ჩვენგანს. ღმერთმა გვიხსნას ამისთანა „აპეკისაგან". ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რომ მოქალაქურ ურთიერთობაში კარგა მოზრდილი ადგილი უჭირავს იმისთანა საქმეს, საცა მარტო სახელმწიფოს შეუძლიან ნუგეში და იმედი მშვიდობით ყოფნისა აძლიოს თვისთა ქვეშევრდომთა, განურჩევლად დიდისა და პატარისა, ღონიერისა და უღონოსი, ჩაგრულს,

დევნულს ხელი აწოდოს შველისა და ხსნისა და ყველას კანონი წაუმძღვაროს წინ პირუთვნელად, პირმიუფერებლად, მიუდგომლად, როგორც მაშინ, როცა მოქალაქეთაგან მოვალეობის აღსრულებას ჰთხოულობს გარემოება, ისეც მაშინ, როცა უფლება მოქალაქისა ჰღაღადებს ადამიანის ხსნად უკანონოდ ხელშეხებისაგან.

მოხელეობას ამ უწმინდეს უფლება-მოვალეობის გარე არც მიზეზი აქვს არსებობისა და არც საბუთი. აქ არის მისი მაღალი საზოგადოებური მნიშვნელობა და მისი აუცილებელი საჭიროება ქვეყნისათვის. ამიტომაც ასე სანატრელია, რომ ეს უფლება და მოვალეობა მთელის თავისის სივრცით თვალწინ დაყენებულიყოს, რაკი წესდებას მოხელეობისას შეცვლას უპირებენ. რუსეთის გაზეთები ამბობენ, რომ ამისთანა რთულ საქმეში, როგორიც წესდებაა მოხელეობისა, ყველაფერი საჭირო ძნელია კაცმა ჩამოთვალოსო და იხსენიებს მარტო სამს საგანს, რომელთაც ყურადღება უნდა მაინც და მაინც მიექცესო.

პირველი დიდი ნაკლი ეხლანდელი წესდებისა ის არის, რომ უმცროსი მოხელე უფროსის წინაშე ხმაამოუღებელია და ტყვედქმნილიო და მარტო იმისი აღმსრულებელი, რასაც უფროსი უბრძანებსო. ამას ის მოსდევდაო, რომ უმცროსს გრძნობა სამართლიანობისა უნდა მოეკლა, დაეხშო გონება ინიციატივისათვის, თვისის თაოსნობით არაფერი ერკვია, არაფერი ეძიებია, თავისი აზრი არა ჰქონოდა და ხმაამოუღებლივ დამორჩილებოდა თავისის უფროსის ბრძანებასა, ხშირად იმისთანას, ერთი ბრძანება მეორესა ჰშლიდა, მეორეს არღვევდაო. ამისთანა ყოფას ვერ უძლებდა მართლმოყვარე და გონებიანი უმცროსიო და ამიტომაც ან უნდა გაჰქცეოდა სამსახურს, ან უნდა თავისი ადამიანური ვინაობა წაეწყმიდა და მოეკლაო. უმცროსი, რასაკვირველია, უფროსის ხელქვეითი უნდა იყოსო, ხოლო ამ ხელქვეითობას თავისი საზღვარი უნდა დაედოსო. ეხლა სულ სხვა დრო არისო. ეხლა იშვიათია ის მკვდარი მოხელე, რომელმაც მარტო უფროსის წინ გამოჭიმვა იცოდა თრთოლით და ხმაამოუღებლად და მარტო კალმის წრიპინი და მარტო „ატნაშენიების“

წერა სამსახური ეგონა. ახლა ხშირიაო უფრო ცოცხალი კაცები, რომელთაც ზედმიწევნით გაეგებათ ბუნება სამსახურისა, ესმით საზოგადოებრივი ინტერესები, განვითარებული გრძნობა აქვთ თვისის მოვალეობისა და საკუთარის თავის ღირსებისაო. ამის გამო საზღვარდაუდებელ ხელქვეითობას, რომელიც აქამომდე ადამიანობაზედ ხელს აღებინებდა, ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ახალ წესდებაშიო. ეგრედ წოდებული „მესამე პუნქტი“, რომელის ძალითაც უფროსი უმცროსს სდევნიდა სამსახურიდამ უმიზეზოდ, დაუსაბუთებლად, საჭიროა გაუქმდეს და ხელქვეით მოხელეს უნდა მიენიჭოს იგი უფლება, რომლის ძალითაც თავისს თავს უშიშრად უნდა ჰგრძნობდეს, რომ, თუ ვინიცობაა თავის საქმეს სინდისიერად ასრულებს, ვერავინ ვერც შეაწუხებს და ვერც დაითხოვს სამსახურიდამ.

მეორე ნაკლი ის არისო, რომ ცხოვრება გაძვირდა, გაჭირდა და ჯამაგირები კი იმ ზომით ეძლევა მოხელესა, რაც შეეფერებოდა წინანდელ იეფობასაო. მოხელე ამ ზომის ჯამაგირებით თავს ვეღარ ინახავს და, რასაკვირველია, რომ ქონებით ყოვლად უილაჯო მოხელეს ქრთამი და სხვა ამგვარი უკადრისობა წაიცდენს ხოლმეო. რომ მოხელეობა დახსნილიყო ამ გაჭირებულ მდგომარეობისაგან, საჭიროა ჯამაგირი მოემატოსო.

მესამე ნაკლი ის არისო, რომ, ერთის მხრით, მართალს მშრომელს, რომელიც დღედაღამ თვალებს იწყალებს შრომითა და ჯაფითა, საკმაო გასამრჯელო არ ეძლევა ჯამაგირიდამ და, მეორეს მხრით, იმისთანა მოხელენიც არიანო, რომ ცოტა საქმე აქვთ, ან სულაც არა და ჯამაგირები კი დიდი ეძლევაო. აქაც გადათვალიერება უნდა და ნამეტანობის მოჭრაო.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს, რასაც რუსეთის გაზეთები ამბობენ, ფრიად საჭიროა, რომ დავიწყებულ არ იქმნას, როცა ახალის წესდების შედგენას შეუდგებიან. ყველაფერს ამას, რაც მოვიხსენიეთ, არა მარტო მოხელეებისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ ყველასათვის, იმიტომ, რომ ხსენებულ ნაკლთა მოშორება განაკარგებს ცოტად თუ ბევრად მოხელეობას იმისდა მიხედვით, თუ ამ განკარგებისათვის რას გამოიმეტებენ. ჩვენის ფიქრით კი აქ დავიწყებულია ერთი უდიდესი საჭი-

როება, რომელიც მართლა რომ პირდაპირ საზოგადოებურს ინტერესს შეადგენს და თუ ეგ შეტანილ და დადგენილ იქმნა წესდებაში, დიდს შეღავათს მისცემს ხალხსა და მისცემს დიდს ნუგეშს, რომ მკვიდრთა უფლება არ იქნება ხელშეხებულ მოხელეთა თვითნებობისაგან და ძალმომრეობისაგან. აწ არსებულ წესდების ძალით, თუ უკანონო მოქმედება რაიმე ზარალს მოგაყენებთ, არა გაქვთ ნება ეს ზარალი სასამართლოს ძალით აზღვევინოთ, თუ უფროსი მოხელისა ამას არ მოინდომებს და საჭიროდ არ დაინახავს. სხვა ქვეყნებში, მაგალითებრ, საფრანგეთში, თუ მოხელემ თვისის მოქმედებით გაზარალათ რამ, თქვენ ნება გაქვთ პირდაპირ, სხვის დაუკითხველად და ნებისდაურთველად ზარალის მომყენებელს მოხელეს სამართალში უჩივლოთ და თქვენი ზარალი აზღვევინოთ, თუ სიმართლე მიგიძღვით. ეს ამისთანა კანონი ორის მხრით სანატრელია: ჯერ იმით, რომ იგი ჰლაგმავს თვითნებობას მოხელისას და აფრთხილებს, ამ გზით არა დააშაოს რა და, მეორეს მხრით, თვითონ მკვიდრი დარაჯად უდგა თვისს უფლებას და თვითნებობას მოხელისას გზას არ აძლევს. აქედამაც და იქიდამაც თვითნებობა მოხელისა ისე ხელშეკრულია, რომ იშვიათი ამბავია მოხელემ ადამიანი დასჩაგროს ძალმომრეობით და თვითნებობითა. მშვიდობიან და ნუგეშიან ცხოვრებისათვის განა ცოტაა, რომ მოხელის თვითნებობა ამ ორსავ მხრით ხელშეკრული იყოს და ყოველმა მკვიდრმა წინადვე იცოდეს, რომ დაუსჯელად მის უფლებას უკანონოდ ვერავინ შეეხება, ვერავინ შელახავს, არამც თუ მისივე მსგავსი მკვიდრი, არამედ თვით მოხელეც კი.

ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ იმას, რომ ყოველს მკვიდრს მიენიჭოს უფლება პირდაპირ სამართალს მიჰმართოს ხოლმე, როცა ჰგრძნობს და ჰხედავს, რომ მოხელე უკანონოდ ექცევა და თვისი ზარალი აზღვევინოს სამართლის ძალითა. ესეთი კანონი ფეხზე დააყენებს მკვიდრს და თვით მოხელესაც გონებაში ჩააგდებს და გააფრთხილებს და მაშინ, ვინ იცის, რამდენი უსამართლობა მოისპობა და რამოდენად გახალისიანდება მკვიდრი ამისთანა ნუგეშიან კანონის მფარველობის ქვეშ.

[1895 წ.]



<ქართული სკოლების გიმნაზიებად გადაკეთების თაობაზე>

ტფილისი, 30 დეკემბერი

გამგე კომიტეტი სათავადაზნაურო სკოლისა*, და თვით საზოგადოება, რომლის წარმომადგენელი იგი კომიტეტია, ძალიანა სცდილობს, რომ დაარსებული სკოლა სრულ გიმნაზიამდე მიიყვანოს და წყარო ცხოვრებისა ამ სკოლასა საკუთარი გაუჩინოს, რომ სხვას არ შეჰყურებდეს და სხვის იმედზე არ იყოს დამოკიდებული, მერე იმისთანა იმედზე, რომლის გამართლება ყოველთვის მოსალოდნელი არ არის სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო.

სკოლის სრულ გიმნაზიამდე გამატება და ერთობ ამა თუ იმ სახით არსებობა სკოლისა, სახსარზეა დამოკიდებული. ყოველი ჩვენი კეთილი სურვილი, რაც გინდ ძალიან სანატრელიც იყოს, წავა, მოვა და ზედ მიაწყდება ხოლმე იმ „წყეულს საგანს“, რომელსაც ფული ჰქვიან. თუ მარტო ცარიელ სურვილზე მიდგება საქმე, ვინ იქნება ჩვენში, რომ ათასი კეთილი სურვილი არ გადაგიშალოთ წინ ერთი მეორეზე უკეთესი და ყველა ერთად და ერთნაირად სანატრელი. არა გვგონია, კეთილის სურვილების ჩამოთვლაში ვინმემ სხვამ გვაჯობოს ქართველებსა. ამაში ჩვენ წინ ვერავინ წაგვივა და ვერც ხალისს დაგვიწუნებს. ხოლო ჭირი ეს არის,

* ასე მოკლედ ვასახელებთ გამგე კომიტეტს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საზოგადოებისას, რომელსაც საგნად აქვს შემწეობა გაუწიოს ღარიბთ მოსწავლეთა ჩვენში.

რომ ყოველი სურვილი აღსრულების შეძლებასაც ჰთხოულობს, ესე იგი ფულს, ამ ერთადერთ ღონისძიებას, ურომლისოდაც სურვილი უქმი ბერვაა ტიკებისა.

მართალია, კარგად ფესვმოკიდებული ადამიანის გულში სურვილიც დიდი რომ არის და ხშირად იგი მთასაც გაარღვევს და თავს გაიტანს, გზასაც იპოვის, სახსარსაც თითქმის არარისაგან რასმეს შეჰქმნის ხოლმე, ხოლო მარტო მაშინ კი, როცა ადგილიდამვე საფუძვლიანად დაიძვრება სამოქმედოდ და სურვილით გამსჭვალული ადამიანი თვით თავის საკუთარს ძალღონეზე დაამყარებს იმედს გამარჯვებისას, სულ თუ არა, ბევრ წილში მაინცა. თორემ ვითხოვოთ, აცა იქნება სხვამ რამ მოგვაწოდოსო, ვერაფერი თამასუქია. ეს არის მიზეზი, რომ ხშირად ფრიად სანატრელი სურვილიც მკვდრად დაბადებულია ხოლმე, ჩალასავით აპრიალდება და ჩალასავით ჰქრება.

ჩვენ ყოველს ამას ვამბობთ იმის გამო, რომ თვით ხსენებული „საზოგადოება ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის“ ყურსაც არ იბღერტავს, საიდამ რას გახდეს, რომ მისმა მართლა და კეთილმა სურვილმა სიტყვა საქმედ აქციოს. ბანკი ფულს მოგვცემსო და ყველა ბანკისაკენ თვალსა და ხელს იწვდის. მართალია, ბანკი არასფერს არ დაჰზოგავს, რომ, თუ რამ შეძლება აქვს, არ მოეშველოს ამ საზოგადოებას, ხოლო ბანკის შეძლებასაც საზღვარი უდევს; — ეს ერთი, მეორე ისა, ბანკის საქმე და მისის შემოსავლის მეტნაკლებობა ბევრს იმისთანა მოულოდნელ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელიც ცალკე ადამიანის ხელთ არ არის და რომელთ წინად დანახვა აღემატება ადამიანისათვის მინიჭებულ უნარს და ღონესა. ეს გარემოებანი, რომელთაც აქ ჩამოთვლა საჭირო არ არის, რადგანაც ყველასათვის ადვილად მისაწდომია, დღეს ერთს დონეზე აყენებს ბანკს და ხვალ მეორეზე, და აქედამ ბანკის შემოსავალიც დღეს ერთია, ხვალ სხვა. ამისთანა ცვალებადს ბედზე არ შეიძლება მკვიდრად დასდგეს იმისთანა მუდამი საქმე, როგორიც სკოლაა. მესამე ისა, რომ ბანკს ამ ბოლოს ხანებში ბევრი იმისთანა დარდი და საზრუნავი გაუჩნდა, რომლის გაძღოლისათვის დაყოვნება და დახანება შეუძლებელია. ეს

დარდი და საზრუნავი ბევრს ფულს ითხოვს, მერე ეხლავ და დაუყოვნებლივ, და ამისთანა შემთხვევაში არა ერთი და ორი კიდევ წინ აეტუზება მერმისშიაც. ძნელია ჩვენმა ბანკმა ყოველს ამისთანა გაჭირებას ბოლო მოუღოს და მასთან იმოდენა ხარჯი გასწიოს, რასაც სკოლა სამართლიანად ჰთხოულობს.

რა გამოდის ყოველ აქედამ? ისა, რომ დიდი და პატარა მივდგომივართ ბანკს და ბღარტებსავით პირი დაგვიღია: პური არსებისა მოგვეციო. იმას კი აღარ ვფიქრობთ, რომ ბანკი ზღვა არ არის, და თუნდ ზღვაც იყოს, ზღვა კოვზითაც დაილევა. მაშ რა უნდა ვქნათ, იტყვიან, რომ სხვა გზა არ არისო. არის ერთი-ორი გზა, თუ სხვა არავისათვის, სკოლისათვის მაინც, მაგრამ იმოდენა მამულიშვილური ვაჟკაცობა არა გვაქვს, რომ გამოვიდეთ და ვთქვათ. რატომ არ იკითხავთ: სად არის იგი ჩვენი თავადაზნაურობისათვის სასახელო და სადიდებელი განაჩენი, რომლითაც მათ თითქმის ერთხმად გაიწერეს სკოლისათვის ფონდის დასაარსებლად ფული? „საზოგადოება ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის“ რატომ უყრუებს ყურს ამისთანა საქმეს, რომელიც ჩვენს საქმეს განათლებისას ასეთს უშრეტს წყაროს არსებისას გაუჩენს? რატომ არ შუამდგომლობს ვისთანაც და სადაც ჯერ არს, რომ ამ საქმეს თავისი გზა მიეცეს, მთავრობისაგან შეწყნარებულ იქმნას და მერე განხორციელებულ რამოდენადაც შესაძლოა?

რად დავანებეთ ამისთანა სასახელოს და სასარგებლო საქმეს თავი და რატომ არავინ არა ვკითხულობთ: სად არის იგი განაჩენი დღეს? ვინ და რომელს ზანდუკში დამარხა იგი თაგვების საჭმელად? ნუთუ ამისთანა პატივის ღირსია იგი განაჩენი მთელის საგუბერნიო თავადაზნაურობისა? ჩვენ არა გვგონია, ამ მეცხრამეტე საუკუნეში სხვა იმისთანა სადიდებელი განაჩენი შეედგინოს თავადაზნაურობას ჩვენში თავის სასახელოდ და თავისის მამულიშვილობის სასიქადულოდ, და რას ვხედავთ დღეს? ეს რვა თუ ცხრა წელიწადია მას აქედ და ჩვენდა სამარცხვინოდ შევუშინდით იმ საქებურს საქმეს და ეხლა დავდივართ და

ვიძახით „ვითხოვოთ და ვითხოვოთო“ და თვითონ საქმე კი თაგვების საღრღნელად გავუშვით.

ნუთუ მაშინ, როცა სკოლის ფონდის დასაარსებლად ასე გამოიდო თავი თავადაზნაურობამ, იმოდენა ვაი-ვაგლახი გამოიარა, დავაარსოთ ეგ ფონდი თუ არაო, იმოდენა შრომა და ჯაფა გასწია სიების შედგენისათ-ვის, ვის რამდენი ფული შევახვედროთო, შესძრა ამისათვის დიდი და პატარა და ბოლოს თავისს სასახ-ელოდ ერთხმად აღიარა ამ ფონდის შედგენა და სიები დაამტკიცა საცა ჯერ არს წარსადგენად — ნუთუ ყოველივე ეს ტყუილ-უბრალო ფართი-ფურთობა იყო, ჩალა იყო, აპრიალდა და ჩაქრა? ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ეგ ფართი-ფურთობა შევწამოთ იმისთანა პატივსაცემ კრებულს. როგორიც მთელის გუ-ბერნიის თავადა-ზნაურობაა. ეს ამისთანა საქმე ბურთი ხომ არ არის ხელში გაითამაშ-გამოათამაშოს კაცმა და მერე კუთხეში მიაგდოს. არც ჩვენი თავადაზნაურობაა ისე დამცირებული, რომ ამისთანა მძიმე საქმე სა-თამაშოდ წინ გაიგდოს. მაშ რა აბრკოლებს ამ საქმეს და დღეს აქამომდე რატომ არ ვიცით, რამ შეგვიყენა იგი და სად არის მიძინებული?

აი ეს ერთი გზა, რომელიც საქმეს სკოლისას კარგა მოზდილ სახსარს მისცემდა არსებობისას, მერე მუდამს სახსარს, თუკი წევრნი ხსენებულ საზოგადოე-ბისანი ჯეროვანად და უშიშრად მოიკითხავდნენ მიძი-ნებულს საქმეს.

მეორე გზა დღეს გამოუჩნდა ხსენებულ საზოგადოე-ბას. ეს ის არის, რომ თავადაზნაურობას ბანკმა მიჰყ-იდა არწრუნისეული ქარვასლა: ეგ ქარვასლა იმოდენა შემოსავალს იძლევა, რომ თითქმის მთელის გიმნაზიის ხარჯს გასწვდება. ხოლო ამ პირველ ხანებში თა-ვადაზნაურობას კარგა ხარჯი მოუვიდა ამის სასყიდ-ლად და გარდა ამისა დარჩენილი ქარვასლაზე ვალიც უნდა მოიშოროს. რომ ამ ქარვასლის წმინდა შემო-სავალი სულ სკოლაზე მიიქცეს უკლებლივ, საჭიროა ჯერ თავადაზნაურობამ მთელი ვალი, რაც დღეს ამ ქარვასლის გამო აუღია და რაც ზედ თვით ქარვასლას აწევს, რაც შეიძლება მალე გადიხადოს. ამიტომაც გო-ნიერება და წინდახედულობა ითხოვს, რომ მთელი

ძალ-ღონე ბანკისა ამ ვალის გადახდას მიეშველოს, რომ მერე მთელი წმინდა შემოსავალი ქარვასლისა სკოლას მოხმარდეს, ვიმეორებთ, ის შემოსავალი თითქმის უმეტნაკლებოდ გასწვდება მთელის გიმნაზიის ხარჯსაც კი.

აქედამ ის საჭიროება და უეჭველი საჭიროებაც გა-მოდის, რომ ყველამ, ვინც კი ხელს იწვდის დღეს ბანკისაკენ, სურვილი შევიმოკლოთ, დავჯერდეთ ჯერხ-ანად მარტო იმას, რაც აუცილებლად საჭიროა და ყოველი გადანარჩენი გროში თავადაზნაურობას მივაშ-ველოთ, რომ მალე გამოვიდეს ვალებისაგან და წმინდა შემოსავალი ქარვასლისა ჩვენის განათლების საქმეს მოახმაროს უკლებლივ. რა თქმა უნდა, გიმნაზია რომ ჩვენი გვქონდეს, კარგია, არც ის იქნება ცუდი, რომ ჩვენი უნივერსიტეტიც ვიქონიოთ, მაგრამ ამისთანა საქმეების ქვიშაზე აშენება უგუნურება იქნება. ნუ ავწეწავთ საქმეს, ნუ განვაბნევთ და გავფანტავთ სხვადასხვა საქმეზე ჩვენ დღევანდელ ფეხმოკლე შეძლებას, ნუ დავქსაქსავთ ჩვენს ძალ-ღონეს. ისა სჯობია, ერთად მოვკრიბოთ ჩვენი ავლა-დიდება და ყოველთ უწინარეს ქარვასლა მალე დავიხსნათ ვალებისაგან და მით ერთი დაუშრეტელი, მუდამი წყარო არსებობისა მივცეთ ჩვენს განათლების საქმეს და ასე ყინულზე არა ვწეროთ მისი იმედები, როგორც დღესა ვწერთ და გვიხარიან, რომ ასე ვჩადით. ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველი გროში არწასული ამ საქმეზე, დააგვიანებს, დააყოვნებს ქარვასლის ვალების-აგან დახსნასა.

ნუ დავივიწყებთ, რომ წინ კიდევ ერთი დიდი საქმე გვიდევს. ქალების განათლების საქმეც ჩვენი ვალია და ჩვენი თავსაცემელი. ამას შველა სჭირია. აქაც უნდა როგორმე გზა მივცეთ კმაყოფილებისა ჩვენს უსაჭ-იროესს მოთხოვნილებას. ქარვასლას რომ მალე დავიხსნით ვალებისაგან, იგი თითქმის გაისტუმრებს ყოველს ხარჯს სათავადაზნაურო სკოლისას, რა სახ-ისაც და სიდიდისაც გინდ იყოს, მაინც და მაინც დიდს შეღავათს მისცემს ბანკს, კარგა დიდ ლუკმას გადაგ-ვირჩენს ბანკის შემოსავლიდამ, რომ ქალთა განათლე-ბასაც სახსარი მიეცეს დაარსებისა და არსებობისა; და

თუ ქარვასლის შემოსავალს ზედ დაერთვის შემოსავალი იმ ფონდისა, რომლის დაარსება თავადაზნაურობამ დიდი ხანია მოიწადინა და რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, მაშინ ხომ ჩვენს ბედს მყეფარიც ვერ დაჰყეფავს.

ჩვენი უკანასკნელი დასკვნა ეს არის: ყოველს სურვილს, რაც გინდ სანატრელი იყოს, თუ ბანკის შემოსავლის განაწილებას ჰთხოულობს, თავი უნდა დავანებოთ დღეს ჯერ ხანად. ყოველივე, რაც დღევანდელ ხარჯს სკოლისას ისე, როგორც დღეს სკოლაა, გადარჩება, მივაქციოთ იმას, რომ ქარვასლა განვუთავისუფლოთ თავადაზნაურობას ვალებისაგან და მით გავუჩინოთ სკოლას მკვიდრი, შეურყეველი საფუძველი ცხოვრებისა. გარდა ამისა ვიშუამდგომლოთ ვისთანაც ჯერ არს, რომ ზემოხსენებულს განაჩენს თავადაზნაურობისას შესახებ სკოლის ფონდისა თავისი ჯეროვანი გზა მიეცეს. იქნება ღმერთმა გვიბრალოს და სახელოვან საქმეს ჩვენის თავადაზნაურობისას სასურველი ბოლო მიენიჭოს, თორემ ასე უკან მიგდება ამ საქმისა არ გვგონია საკადრისი იყოს თვითონ თავადაზნაურობისათვის.

[1895 წ.]

1896 წელი



<შინაური მიმოხილვა 1895 წლისა>

ტფილისი, 4 იანვარი

ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? ცხოვრება მარტო აღებმიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხელის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხქვეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაჭმელად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ კი — დამწევიც და გამქცევიც — ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან — ხელი მომიმართეო.

ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზანი არსებობისა არა აქვს, თუ არ ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული. ვამბობთ, ჯოჯოხეთი იქნებოდა, რომ ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში სხივფენილ მადლსაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსანი ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუგეშოდ და სასიქადულოდ. დიდბუნებოვანობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, მის მიერ გატანილ მადლის მეტნაკლებობაშია. ეგ მეტნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის თუ მთელის ერის კაცურკაცობისა, მისის შინაგან სიმაგრისა, ქვაკუთხედი მისის აღმატებულობისა. მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითვეულ ადამიანისას, ისეც მთელის ერისას, და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა.

ადამიანი და ნამეტნავად ერი არამარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, — გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი თუ მთელი ერი იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურკაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი.

„ვით მამა ზეცის იყავნ შენც სრული“— აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთასწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსების, ისეც მთელის ერისა.

ამ თვალით რომ მოვჩხრიკოთ წარსული წელიწადი, ბევრს ვერაფერს სანუგეშოს დავინახავთ. ეს ახალი ამბავი არ არის. ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ბევრს წინათ წარსულ წელიწადს ჰგავს და ვერაფერს დაგვამუნათებს. პირიქით, კარგად რომ მოვუჩხრიკოთ ავლა-დიდება, ავი და კარგი, იქნება შარშანდელი წელიწადი სხვა წლების წინაშე უფრო პირშავადაც გამოვიდეს. არც საკვირველია, წყარო ცხოვრებისა თავისად და თავისგნით არა სჩქეფს, არა ერთი და ორი ნახირი დღემუდამ შიგ ფეხს იბანს და რად უნდა გიკვირდეს, რომ იგი წყარო მღვრიეა. მბაძს მბაძი არ დაელევაო, ნათქვამია, და ჩვენც თვითონაც ჩვენს სა-

კუთარს ჭუჭყიანს სარეცხს შიგ ვალბობთ დიდის გულმოდგინებით და, მოდით, წყაროს მოჰკითხეთ, რატომ წმინდა არა ხარ-თქო.

ამიტომაც შარშანაც, როგორც წინა წლებშიაც, იგივ შური და მტრობა იყო გააფთრებული. ძმა ძმას ვეღარა ჰნდობია, მამა შვილსა, შვილი მამას, მეზობელი მეზობელს, მახლობელი მახლობელს, მეგობარი მეგობარს — განა ეს ცხოვრებაა და არა ჯოჯოხეთი!.. ჩვენ ეხლა ისე გაგვიხდა საქმე, რომ იმას კი აღარა ვჩივით — რაც გვაკლია, ის შევიძინოთ, არამედ იმას, რომ რა ნაგავმა და მტვერმაც აღგვავსო, ის გავგავოთ და შემოვიბერტყოთ. კიდევ ერთის ფეხის წინ წადგმა იქნებოდა, კიდევ ღვთის წყალობა იქნებოდა, რომ ამის დარდსა და ზრუნვას შევდგომოდით, ცოცხი აგვეღო ხელში ამ ვაი-ვაგლახის გასაგველად. ჩვენდა საუბედუროდ, ვერც ეს შევიძელით. მაშ რით უნდა ვინუგეშოთ დღეს, ან სახვალიოდ რა იმედი წავიმძღვაროთ ხალისის მოგვრისათვის? თვითვეული ჩვენგანი ჰკვნესის ზნედაცემულობისაგან, ჩვენის ზნეობითად წაწყმედისაგან და იმედგადაწყვეტილი, სასოებადაკარგული, ვაებით ვიძახით: ღმერთო, სად მივდივართ და რა ბოლო მოგველისო.

მართალია, ყოველივე ეს ვერაფერი საახალწლო გოზინაყია. ჩვენც იქნება მეტი მოგვივიდა, რომ ამისთანა დღესასწაულს ესეთი ულხენი და საგოდებელი ფიქრები ავუშალეთ ჩვენს მკითხველს. ამაზე სხვას აღარას ვიტყვით, თუმცა სათქმელი კიდევ ბევრია. ქართველს კაცს, ჩვენდა საუბედუროდ, საქმე ისე გაუხდა, რომ „კარგი რამ სჭირდეს, უნდა უკვირდეს, ავი კი რა საკვირველია“. ამ ყოფაში ჩავარდნილი ერი, თუ მთელი ძალ-ღონე არ მოიკრიბა და ამ საფლობიდამ არ ამოვიდა, ფონს ვეღარ გავა დღეს. ჩვენს დღევანდელს ჭირს ფესვი აქა აქვს გამდგარი, შიში მერმისისა აქედამ მოჰქრის. მოდით და პირში წყალი ჩაიყენეთ და ნურას იტყვით, აქაოდა ახალი წელიწადიაო! სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავის დროზე გაუგო. თვალებზე ხელის მიფარებას თავის დღეში არავისთვის ხეირი არ მოუტანია. ჭირი დანახული სჯობს დაფარულსა, თუმცა ორივ ჭირია და არც ერთი არ არის სანატრელი.

ამ მხრით წარსულმა წელმა არაფერი სანუგეშო არა მოგვცა რა არც სადღეისოდ, არც სახვალიოდ. მაგრამ ჩვენ მიერ უმადურობა იქნება, რომ მარტო წყევლით და ქოქვით გავისტუმროთ ეს წელიწადი და არავითარი კეთილი მისი მადლობით არ მოვიხსენიოთ. ამ წელიწადმა სხვაფრივ და სხვა ფარგალში ერთი იმისთანა მაგალითი გვაჩვენა, რომლის მზგავსს მისებრ უნუგეშო წინა წლებში ვერას ვიპოვით.

ერთი ეს არის, რომ 11-ს სექტემბერს ჩვენ გადავუხადეთ პანაშვიდი ჩვენს გმირებს, რომელთაც თავი დასდეს მამულისათვის კრწანისში ამ ასის წლის წინად. საქმე თვითონ პანაშვიდი კი არ არის, არამედ ის მიზეზი, რომელმაც იგი გამოიწვია. საქმე თვით იგი საგანია, რომელსაც ჩვენ ჩვენი თაყვანი ვეცით და რომელმაც გაგვახსენა ჩვენთა მამა-პაპათა თავგანწირული ღვაწლი. ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა იგი ივიწყებს თავისს ისტორიას. იმისთანა ამბავი, როგორც კრწანისის პანაშვიდია, უტყვი მთხრობელია ისტორიისა. მან მოგვაგონა, გაგვახსენა ერთი დიდებული, თუმცა უბედური ეპიზოდი ჩვენის წარსულისა, მაგისთანა ამბები თვალსაჩინო მასწავლებელია იმისი, თუ ვინა ვართ და საიდამ მოვდივართ, რა ვყოფილვართ, რანი ვართ და რა ვიქნებით. გინდათ თუ არა, ამისთანა ამბები ამაებზე ჩაგვაფიქრებენ, ამაებზე განაღვლებენ, ამაებზე მიიზიდავენ თქვენს ჭკუა-გონებას, თქვენს ძალ-ღონეს სულისას და ხორცისას და ეს ადამიანის აღმატებისათვის კაი დიდი საფეხურია.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“, უნებლიედ გაგვირბინა ელვასავით ტანში, როცა ჩვენმა უგემურმა ცოცხლად ყოფნამ გაგვითვალისწინა ის სახელოვანი სიკვდილი, რომელმაც გაუთხარა წმინდა საფლავი კრწანისის ვაჟკაცთა. ამ უმაღლესის გრძნობით გულთაძვრა, სულთაძვრა ერთი იმისთანა დიდებული წამია, რომელსაც კაცი ინატრებს ხოლმე: იყავ და ნუ მომშორდებიო. ეს ისეთი ყოვლთშემძლებელი წამია, როცა ჩვენისთანა დაქუცმაცებული ქონდრისკაციც კი ერთი ათად ტანს

იყრის, ერთი ათად დიდდება და აქამდე ქედწახრილი ეხლა თავმოწონებით ყელს იღერებს, ტანში იმართება, თავისს თავს გოლიათად ჰგრძნობს, ჯანი სულისა და ხორცისა ემატება და კაცი კაცად კეთდება.

ადვილად საფიქრებელია, რომ ბევრი სულ სხვა ახალს გუნებაზედ დაბრუნდა შინ კრწანისიდამ, თითქო მკვდარი იყო და გამოცოცხლდა, თითქო აქამდე არ იცოდა, ვინ არის და ეხლა თავისი ვინაობა შეიტყო, თითქო აქამდე ვერ გაეგო, რად გასტირიან წარსულს და რად ემდურიან აწმყოსა და ეხლა შეიგნო. არც ის არის დაუჯერებელი, რომ ყოველ ამისაგან გული მთლად გადმოუბრუნდებოდა. მართალია, ყოველივე ეს ბევრს დარდებს აუშლიდა, ბევრს ნაღველს აუჩენდა, მაგრამ იგრძნობდა კი, რომ ეს ნაღველი და ეს დარდები უფრო მაცოცხლებელნი და ადამიანის საკადრისნი არიან, ვიდრე მისი წინანდელი უდარდელობა და უნაღვლელობა.

განა ყოველივე ეს ცოტაა და რატომ მადლობით არ უნდა აღვნიშნოთ ამ მხრით მაინც იგი წელიწადი, რომლის განმავლობაშიც ერთი ამისთანა დიდებული წამი გამოვიარეთ. თუ ამ წამმა სამუდამოდ არ გამოგვაკეთა, მცირე ხანს მაინც კაცნი კაცურად გვაცოცხლა.

არა ნაკლებ ღირსშესანიშნავია, 22 ოქტომბერიცა წარსული წლისა. ამ დღეს ვიდღესასწაულეთ ორმოცდაათის წლის მშვიდობიანი მოღვაწეობა თ. რაფიელ ერისთავისა გატარებული სულ სხვა სარბიელზე, სხვა ასპარეზზე. თ. რაფიელი ჩვენი სასიქადულო პოეტია. პოეტის სიტყვა იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოებს ხოლმე თვისს უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თვისს უკეთესს სულთასწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას, თვისს თავმოსაწონებელ გულთაძვრას, თვისს ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერს საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს.

ამბობენ, თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არისო. მართალია, სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი, მაგრამ თ. რაფიელ ერისთავი ერთი იმისთანა იშვიათ კაცთაგანია, რომლის სიტყვა თავისთავად

საქმეა. ეს დიდი მადლი, რომელსაც ბუნება მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომელიც თქმას ქმნადა ჰხდის, თ. რაფიელ ერისთავმა მთლად ამსახურა თავის საყვარელს მამულსა, თავის საყვარელს ერსა. იგი ხელთუქმნელი საგანძური გაუხსნა და შიგ წყობილი მარგალიტი გულში ჩაულაგა, შენი შენვე მიიღეო. ჩვენი სანუგეშო და თავმოსაწონებელი აქ ის არის, რომ თვითონ ერმაც იცნო თავისი ერთგული შვილი და საქვეყნოდ დიდის ყოფით და ამბით მადლი გადაუხადა. ეს ცნობა და დაფასება იმისთანა მშვიდობიანის ღვაწლისა, რომელიც ბუკითა და ნაღარით არა ჰღაღადებს ქვეყნად და ზიზილ-პიპილებით არ იმოსება, იმისი ნიშანია, რომ ერი ცოტად თუ ბევრად გონებაშია ჩავარდნილი და იმ გაგებამდე მიხწეული, რომ ამისთანა სარბიელზე დადებული ღვაწლი უფრო მის მიერ საგრძნობელია, უფრო პატივსაცემელია, უფრო მადლობის გადასახდელია. ნიშანი ამისთანა აღმატებისა უნუგეშო არ არის.

ამიტომაც არც ამისთანა დღეობა ჩაუვლის ხოლმე ერს უიმისოდ, რომ თავისი თავი კაცურ კაცად არ იცნოს და ამ ცნობამ ჭკუა და გონება უფრო არ გაარჯევინოს, თვალი ცოტად თუ ბევრად უფრო არ აახილებინოს თავისს თავზე, თავისს გარეშემოზე და გრძნობა საკუთარის ღირსებისა თავისს ფარ-ხმალად არ ახმარებინოს. ამისთანა ამბებმაც იცის ატეხა ათასნაირ ფიქრებისა, ათასნაირ ნატვრისა და სურვილისა და საცა ყოველივე ეს დაძრული და ატეხილია, იქ არის ცხოვრებაცა.

გვეტყვიან ზოგიერთნი, სამართლიანადაც მეტის მდომნი: ეჰ, ყველა ეს წამი იყო და წავიდაო. იქნება, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მართალიც იყოს და ერთს წამს ძირიდამ თხემამდე კაცურად დაძრული ცხოვრება ისევ თავისს ადრინდელს უქმსა და უფერულს კვალში ჩადგა, მაგრამ ამ ცხოვრებით თუნდ წუთიც გვეცხოვრა, ეგეც ჩვენთვის დიდი ღვთის წყალობაა. ჩვენს მდგომარეობაში კაცურად ცხოვრების წუთსაც კი თავისი სწა და ფასი აქვს. მარტო შეიძლება ამ შემთხვევაში გულის ტკივილით ითქვას: „ჰე, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად რათ წარხვედი“, და თუ დანანებას ამის-

თანა შემთხვევაში ადგილი აქვს, ის უნდა გვენანებოდეს, რომ ყოველივე ეს წამი იყო და წავიდა.

ასეა თუ ისე, 22 ოქტომბერიც საკმაო საბუთს გვაძლევს მადლობით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული წელიწადი და ლოცვა-კურთხევით ცხონება ვუთხრათ, მით უფრო, რომ ამის თქმას ბაჟი არ ადევს. სხვას ნუღარას მოვკითხავთ, თორემ დანარჩენში ეს წელიწადიც ისეთი პირშავი გამოვა, როგორიც ბევრი სხვა წელიწადი ყოფილა და მით ახალწლის ტკბილ გოზინაყში ნუ გავურევთ სიმწარეს ბალღამისას. ის ბალღამი უიმისოდაც არ დაჰმალავს თავის თავსა და თავის გამოსაჩენად მუშადღეებიც ეყოფა: უქმესა და დღესასწაულს მაინც ნუ გაგვიმწარებს.

[1896 წ.]

ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)

(რუსეთის გავლენიანი გაზეთები ამხედრებულან ჩვენს წინააღმდეგ)

წარსული წლის 17 დეკემბრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოს თავადაზნაურობათა კრება მეტად შესანიშნავი რამ იყო. ერთსა და იმავე დროს ქართველთ ერის უმაღლესმა წოდებამ საქვეყნოდ განაცხადა დიდი ხნიდამ გულში ჩაკლული საყვედური. ეს საყვედური იყო მიმართული რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებისადმი. მთელი ჩვენი მხარე მოთმინებიდამ გამოიყვანა მან, რომ ზოგიერთი „ვითომ“ კი არა, მართლაც გავლენიანი გაზეთები „ამხედრებულან ჩვენს წინააღმდეგ და ეს მით უფრო შემაძრწუნებელია, რომ ასეთი ამხედრება, საზოგადო აზრით, ჩვენ სრულიადაც არაფრით გამოგვიწვევია, შემაძრწუნებელია სიცრუე მათ მიერ მოგონილის ამბებისა“.

ამერეთის თავადაზნაურობათა კრებაზედ ლაპარაკობდა კრების ერთ-ერთი წევრი (თ. დ. გურამიშვილი), ხოლო იმერეთისაზედ თვით თავადაზნაურთა წინამძღოლი,* სწორედ ამიტომაც სხვადასხვანაირად უნდა შევხედოთ მათ სიტყვებს. რასაკვირველია, ის, რაც შეეძლო ეთქვა წევრს კრებისას, როგორც არაოფი-

* წერეთელი სვიმონ — იმერეთის თავდ-აზნაურთა წინამძღოლი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი. უნდა შევნიშნოთ, რომ „ივერიის“ № 10-ში მოყვანილი სიტყვა თ. წერეთლისა 17-ს დეკემბერს იყო წარმოთქმული სწორედ იმავე დღეს, რა დღესაც თ. გურამიშვილის სიტყვა

ციალურს პირს, არ შეეძლო ეთქვა ოფიციალურს პირს, წარმომადგენელს თავადაზნაურობისას.

თ. გურამიშვილი სავსებით ვერ შეეხო საგანს. მარტო ჟურნალ-გაზეთები რომ იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულნი, მარტო იმათი კორესპონდენტები რომ იყვნენ „ცრუკატონნი“, რომელნიც (არარსებულის) კართაგენის დამხობას ჰლამიან, მაშინ ხომ ამას ადვილად მოვითმენდით და ყურადღებასაც არ მივაქცევდით.

„ეს გაზეთები მოურიდებლად ურჩევენ მთავრობას ჩვენს სამსახურიდამ განდევნას,

როგორც არასაიმედო ელემენტისას და თითქმის განძევებასაც კი იმ ქვეყნიდამ,

რომელშიაც, ნებითა უფლისათა, რამდენსამე ათასის წლის განმავლობაში ვცხოვრებთ“.

რომ ეს მათი რჩევა რჩებოდეს ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა, მაშინ ჯანდაბას მათი თავი და ტანი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ასე არ არის. რაც უნდა ოფიციალურად დამცირებული იყოს ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა, მას თავისი გავლენა მაინცა აქვს. რომ რუსეთის ბეჭდვით სიტყვასაც აქვს გავლენა, რომ მათ „ცრუკატონურ“ გოდებასაც ნაყოფი მოაქვს, ეს ყველამ კარგად იცის და კარგად იცის თვით თ. გურამიშვილმაც. სხვა რომ არაფერი, რა დღესაც კრება იყო, იმ დღის ნომერი აეღო ჩვენის გაზეთისა და იქ აი რას ნახავდა: „იურიდ. გაზეთ“-საც გაუგონია, რომ უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს, აღკრძალოს კავკასიის მკვიდრთა სახელმწიფო სამსახურში მიღება კავკასიაშივე“. ნუთუ არ ახსოვდა თ. გურამიშვილს, რომ „კვალის“ ერთ-ერთ ნომერში მოყვანილი იყო კავკასიის რკინისგზის ლიანდაგის მართებლობისაგან მიღებული ცირკულიარი, რომელშიაც კავკასიის მკვიდრთა სამსახურში მიღება აკრძალული იყო? ნუთუ არ უდევნებია თვალყური ზოგიერთ მოხელეთა მოგზაურობისათვის ჩვენში? დაბოლოს, ნუთუ არ იცის, რომ თითქმის ყოველთვის, ყოველ დაწესებულებიდამ ისტუმრებენ უკან ჩვენს უნივერსიტეტდამთავრებულ ახალგაზრდობას და სამსახურში არ იღებენ? ზოგიერთი მათგანი ისეთს გულწრფელობასაც

იჩენს, რომ გულახდილად ეუბნება მიზეზებს და ერთი მათგანი დაცინვით ეუბნება ხოლმე, თქვენი დაწესებულებანი გაქვთ, იქ მიბრძანდითო. განა არ იცის, რომ იმათ, რომელთაც სამსახურში იღებენ, ორ-სამ წელიწადს უჯამაგიროდ ამსახურებენ და მერმე ტომსკში ანუ პერმში აღმოუჩენენ ადგილს? განა ეს ყოველიფერი „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი „კავკაზეცის“ რჩევა-დარიგება არ არის განხორციელებული?!

თ. წერეთელს, რასაკვირველია, ასეთის საგნების შეხება არ შეეძლო. მისი წერილი დამშვიდებულია და ოპტიმისტური. მიუხედავად ამისა, მე მგონია, თ. წერეთლისა და თ. გურამიშვილის სიტყვას ერთი და იგივე აზრი აქვს. ერთის აღშფოთებული, აღელვებული სიტყვა იმასვე ამბობს, რასაც მეორესი დინჯი და დაწყნარებული. მართლაც, წარმოიდგინეთ, თქვენმა მეგობარმა გიღალატათ და ეს თქვენ ნამდვილად შეიტყვეთ. განა მაინც არ იტყვით: არა, ამას მე ვერ დავიჯერებ, ეს შეუძლებელია, ჩემი მეგობარი ვერ მიღალატებდაო?

რამდენი საყვედური, რა ძლიერი გულიდამ ამოსკვნილი ოხვრა ისმის ამავე სიტყვებში. მისი რწმუნება, რომ ასეთი საზიზღარი საქციელი მეგობართაგან შეუძლებელია, იქამდის მიდის, რომ ამასაც კი ამბობს:

„მე ნამდვილად ვიცი და ეჭვიც არა მაქვს, რომ თუ სატახტო ქალაქების გაზეთების მოთავეებმა იცოდნენ ამ კორესპონდენტთა ნაწერების ჭეშმარიტი აზრი, მაშინ ისინი თვითონვე ზიზღით შეაქცევდნენ მათ სამუდამოდ ზურგს“.

მაგრამ ის კი მართალი სთქვა თ. წერეთელმა, რომ „ის ხალხი, რომელიც ასეთს უსამართლობასა სწერს და ასე მტრულად გვეპყრობა, მხოლოდ თვალებს უხვევს დანარჩენს, ვითომ პატრიოტები არიან; მაინც მათ ვერ მოუხერხებიათ თავისს აზრს მიაღწიონ (მოხერხებით კი მოახერხეს, მაგრამ, ნუთუ მათი სამშობლოს სასარგებლოა ესა?) ბოლოს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ამერიმერთა მარშლების სიტყვებში. ერთი ამტკიცებდა, ჩვენნი ბრალმდებელნი იმიტომ გვდევნიან, რომ ქართველები კონსერვატორები ვართო. ხოლო მეორემ სთქვა,

რომ ისინი გვდევნიან, ვინც ცილს გვწამებს, რომ ვითომ ჩვენ სანდო ხალხი არა ვართ, რომ ჩვენ სახელმწიფო ცხოვრების მთავარ აზრთა ვმტრობთ და ამიტომ უნდა გვავიწროებდნენო.

[1896 წ. 15 იანვრამდე]



ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე

ლექცია პირველი

მ ო წ ყ ა ლ ე ნ ო ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ე ბ ო
დ ა მ ო წ ყ ა ლ ე ნ ო ბ ა ტ ო ნ ე ბ ო!

მე არ ვიცი როგორ აღმოვთქვა, რა სიხარული ჰდუღს და გადმოდის ეხლა ჩემს გულში, რომ გხედავთ ამდენს ბრწყინვალე გვამს, აქ მობრძანებულს ჩემდა სასმენლად. ბაგენი ჩემნი ნამეტნაობისაგან სიხარულისა ვერ შემძლებელ არიან აღმობეჭდონ ის, რაც აწ ჩემს გულშია. სწორედ მოგახსენოთ, არც სასურველია. ვშიშობ, რომ ეს გულიდამ აღმობეჭდვა ჩვეულებად არ გაგიხდეთ, აქაო და ასე ჰქმნაო ლექტორმა. ბაძი ხომ კარგია ზოგჯერ, ზოგჯერ კი ღმერთმა შეინახოს. გულიც არის და გულიც. ვისაც ფაქიზად გული შენახული არა აქვს, იქიდამ ამოსული არც ყოველთვის კეთილსასურნელია, არც ყოველთვის სასიამოვნოდ დასანახი, მაგალითებრ, ბოყინი, ზაფრა და სხვა ამისთანა. ბოყინი, ზაფრა კუჭის საქმეაო, მეტყვით, და არა გულისაო. მართალია, მაგრამ გული, გონება და კუჭი ერთმანეთზედა ჰკიდიან, ნამეტნავად ეხლანდელ დროში. ამას მერმეცა ვნახავთ. ეხლა კი უკაცრაოდა ვარ, ამისთანა ცუდგუნებიანი სიტყვა, როგორც ბოყინი და ზაფრაა, ვიხმარე. სიტყვამ მოიტანა, მაგრამ სიტყვამ ისეთი რამ უნდა მოიტანოს, რომ სასიამოვნო იყოს,

ბოყინი და ზაფრა ამისათვის რა გამოსადეგია. კიდევ მოგახსენებთ, უკაცრაოდა ვარ-მეთქი.

მე ვხედავ, ბატონებო, ჩემმა უკაცრაობამ თქვენ გაგაკვირვათ. ნუთუ ამ სიტყვას თქვენში ლილახანა წაუხდა და ხმარებისაგან განდევნილ იქმნა? არც საკვირველია. მე მგონია, ერთი დიდი საბუთი უნდა გქონდეთ, ეს უკაცრაობა ჯვარს აცვათ და საიქიოს გაისტუმროთ. თუ ბოყინი და ზაფრა საბოდიშოა, თუ ამისთანა უმანკო სიტყვებისათვის უკაცრაობას მოვითხოვთ, მაშინ ხომ ჩვენმა სასიქადულომ "კვალის" რედაქციამ თავისი დუქან-ბაზარი უნდა აალაგოს, რადგანაც წლითიწლობამდე, ყოველს საათს, წამდაუწუმ ამ უკაცრაობის თქმას მოუნდება. როდისღა მოიცლის იმ მშვენიერ და ტკბილ უშვერსიტყვაობისათვის, რომლითაც ასე სამართლიანად იტაცებს ჩვენს სულსა და გულსა და რომელიც ობოლ მარგალიტებსავით მოეყვანა ამას წინად „დავიწყებულ მწერალს" „ევერიაში".

მე მესმის ბატონებო, თქვენი საბუთიანი შიში, რომ ამ უკაცრაობას არ გადააყოლოს ბ-ნმა გ. წერეთელმა იგი ლაზათი, რომელიც ასე ამშვენებს „კვალსა" და მით არ მოგაკლდეთ სიამოვნება „კვალის" კითხვისა. მართლადაც, უკაცრაობის ცხრილში რომ გაატაროთ „კვალი", რაღა დარჩება ძირს, რომ ვიკითხოთ, ვისწავლოთ და ვისიამოვნოთ ისე, როგორც დღეს ვკითხულობთ და ვსწავლობთ და ვსიამოვნებთ. რაკი ეგრეა, მეტი რა გზაა, მეც მოვიხრი თავს ამ შიშის წინაშე და თქვენთან ერთად პანღურსა ვკრავ ამ დროგარდასრულს უკაცრაობას, ხომ ხედავთ, ბატონებო, რა დრო და ჟამის ამყოლი და მორჩილი კაცი ვარ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, დრონი მეფობენო. დიაღ, მე არა ვგევარ იმ ვიღაც "დავიწყებულ მწერალს", რომელმაც „ევერიაში" რაღაც ძველს ზრდილობასა და მართებულობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. იმიტომაც არის დავიწყებული, რომ ამისთანა ძველძულებზე, ხარახურაზე ჰლაპარაკობს. უკაცრაობა მკვდარი სიტყვაა და დეე მკვდარი მკვდარს ავკიდოთ — საფლავამდე წაიღოს. მე კი ახალი კაცი ვარ და არარა ახალი არ მეუცხოების.

ერთის სიტყვით, რა მეტი გზაა, დაგეთანხმებით და ამ მეტხორცს უკაცრაობას თავისს ძველ პატრონებს ჩავაბარებ. იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვაწონო გ. წერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა, მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო. თუ ღმერთი შემეწევა და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ბ-ნ გ. წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს — მეექვსე და წავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესსი ეს არის და ევროპისა კი რა მოგახსენოთ.

მეტყვით, რომ მეთაურობას ცოტა რამ სხვა ყუაითიანი საფანელიც უნდაო. არ ვიცი, რად უნდა გეგონოთ, რომ მე ამ საფანელს მოკლებული ვარ. მე. როგორც ვხედავ, მინამ ჩემს განზრახულს საგანზე დავიწყებდე ლაპარაკს, მომინდება მოგახსენოთ ჩემი ვინაობა: რა ვარ და რას უნდა მოელოდდეთ ჩემგან. მე. ბატონებო, ასეთ მჩვარში ნუ გამახვევთ. მე ბევრი რამ კარგი მჭირს. ვიღაცამ წამოროშა, რომ თავისის თავის ქება დამპალ კიტრადაც არა ჰღირსო. სტყუის, თქვენმა მზემ. მაშ რამ ააცოცა ჩვენი ბრძენი გ. წერეთელი და დაასკუპა მუმიასავით "მესამე დასის" თავზე? ამისთანა ცხადს მაგალითს მარტო ბრმა თუ ეურჩება და იმედი მაქვს, თქვენში ბრმა არავინ არის, ღვთისა და თქვენის წყალობითა.

ერთის სიტყვით, მე ბევრი რამ კარგი მჭირს. ჯერ ერთი, რომ ბრძენი ვარ, თუმცა თ. მ. მაჩაბლისავით მარტო მე ვიძახი ჩემს თავზე ამას და სხვისაგან ჯერ არავისაგან გამიგონია. რა ვუყოთ, რომ სხვას არ მივაჩნივარ ბრძნად? გალილეი ბრძენი კაცი იყო და კინაღამ ცეცხლში არ დასწვეს, როგორც სულელი. განა გალილეი ბრძენი არ იყო!.. თუ მაშინ ვერ იცნეს, ეხლა ხომ იციან!.. მე და თ. მ. მაჩაბელი ამითი ვნუგეშობთ.

მეორე, რომ თუ ლაპარაკი გავაბი, ცხრა უღელი ხარიც ვეღარ დამაყენებს, თუნდა ენაზე წისქვილის ქვაც დამკიდოთ. ნუ იტყვით, რომ ყბედი ვარ, ან ენის ქავილი მჭირდეს, დღეს ჩვენში ისე გახშირებული, როგორც ინფლუენცია. ნურას უკაცრაოდ, თუ თ. მ. მაჩაბელი ყბედია, მეც დეე ყბედი ვიყო. აბა თ. მ. მაჩაბელზე ვინ იტყვის ყბედიაო. ცოდვა არ არის იმაზე ეს თქვას? ენა ძირში არ უნდა მოეჭრას ამის მთქმელს!.. თუნდ ვთქვათ, ისიც ყბედი იყოს და მეც. მე ამისი არ მეფიქრება. ამისთანა კაცთან ჯოჯოხეთიც სამოთხეა, თუ ნამეტნავად ყურები დაცმული გაქვს. არ მეფიქრებამეთქი, იმიტომ რომ თქვენ ისე გაგაჩვიათ და დაგაჩვიათ თ. მ. მაჩაბელმა, რომ მის მერმე ძნელია ვინმე დაიწუნოთ, აქაო და ყბედიაო. ამ სახით თქვენისა და უფრო თ. მ. მაჩაბელის წყალობით, იმედი უნდა ვიქონიო, რომ მეც იმოდენა მოთმინებას შემაწევთ, რამოდენადაც შეაწევდით ხოლმე ჩემს წინამორბედს თ. მ. მაჩაბელსა, მით უფრო, სად მე და სად ის, რაკი ყბედობაზე მივარდება საქმე. სად კუის ცოცვა და სად გაჭენებული ცხენი. აწი-აწოც რომ ვიძახო, ვერ მივეწევი. ვერ ვიტყვი, რომ ყბედობა ჭირი იყოს და თუ ჭირია, შეჩვეული ჭირია, ნამეტნავად თქვენთვის.

მე ვამბობ თქვენთვის, იმიტომ რომ ქართველები ხართ და ქართველებს განა ერთი და ორი ბედნიერი შემთხვევა ჰქონიათ გეწვნიათ მთელი სიტკბოება ლაპარაკისა, როცა თ. მ. მაჩაბელი მოხსნის ხოლმე პირს თავის გუდას. ამიტომაც მოგახსენეთ, თქვენ ამ ჭირს შეჩვეული ხართ-მეთქი და შეჩვეული ჭირი ხომ შეუჩვეველს ლხინსაც სჯობია. აი, თუნდა ყბედადაც მიმიჩნიოთ, ჩემი ნუგეში რაშია. მართალია, ბევრჯელ მოუბეზრებია თქვენთვის თავი თ. მ. მაჩაბელს და გიკივლიათ: კაი, თუ ღმერთი გწამს, გეყოფა, გაგვეცალეო. მაგრამ შენც არ მამიკვდე. იმას წარბიც არ შეუხრია, მითამ აქ არაფერიაო. ფეხიც არ მოუცვლია, ისე მდგარა, როგორც გაუტეხელი ციხე. მეც თუ ასე მოგაბეზრეთ თავი და დამიკივლეთ, წადი, მოგვშორდიო, რა გგონიათ? განა მე იმაზე ნაკლები ვაჟკაცი ვარ, რომ კალთები ავიკრიბო და გავიქცე. მე თ. მ. მაჩაბლის დარიგებული ვარ: თუ უნდათ, თვითონ წავიდნენ და

სულ ერთიანად გალაგდნენ, შენ შენსას ნუ დაიშლი, თუნდაც მარტო დარჩეო. ეს უბრალო კაცის სიტყვა ხომ არ არის, რომ ერთს ყურში შეუშვა და მეორიდამ გაუშვა.

მესამე ჩემი კარგი ის არის, რომ როცა გული ფუღურო მაქვს და შიგ არა არის რა, გულში ცემა ვიცი, როგორც თ. მ. მაჩაბელმა, მითამ და იმის ნიშნად, რომ ვიწვი და ვიდაგვი ქვეყნისათვის. მე მირჩიეს, რომ სჯობს ხახვი იქონიო ჯიბეში და როცა მაგისთანა რამ დაგჭირდეს, თვალები ხახვით მოისრისო, ცრემლები მოგედინება და უფრო დაგიჯერებენო. მაგრამ შენც არ მამიკვდე; სად გულში ხელის ცემა და სად ხახვი!.. გულში ცემა ვაჟკაცური საქმეა. ხახვი რას მიქვიან. ეს ჩემი ჩვეულება გულში ხელის ცემისა, ეგრეთ კარგად შეთვისებული თ. მ. მაჩაბლისაგან, იმიტომ მოვიტანე აქ, რომ გაგაფთხილოთ და ხელის გაშლაზე შორს იყვნეთ ჩემგან. რა ვიცი? იქნება ხელის ქნევაში, როცა ძალიან გავფიცხდები, ვეღარა გავიგო რა და ვისმე ხელი მოგახვედროთ. გთხოვთ, თუ ეს მოხდა, მეტის-მეტს ჩემს გულისტკივილს მიაწეროთ და სხვას არაფერსა. რა ვქნა? გულში რომ ნაპერწკალიც არ იყოს, მაინც ხანდისხან დამჭირდება გაჩვენოთ, რომ შიგ გახურებული თორნეა. თორნე ხომ იცით: პურს არსებისას აცხობს.

ახლა იმას იკითხავთ: რაზე გააბი ლაპარაკი ასე ქსელსავით და აღარ ათავებო. მასზე, ჩემო მოწყალე ქალბატონნო და ბატონებო, რომ ხვნაში პირობის დადება სჯობს, თუ გინდა, რომ მკაში არ წამოგედავონო. ეხლა რაკი გამოგემცნაურეთ, მე აღარაფრის შიში არა მაქვს. უსათუოდ ჩემთან ერთად იტყვით, რომ მე, ესე იგი თქვენს ყურმოჭრილს მოსამსახურეს, ყოველივე ის სიკეთე მჭირს, რაც საჭიროა მეოთხე დასის მეთაურობისათვის. ხუმრობაა, ერთს კაცს წილად ჰრგებოდეს უშვერსიტყვაობა გ. წერეთლისა, ყბედსიტყვაობა თ. მ. მაჩაბლისა, ფუღურსიტყვაობა თ. ი. მაჩაბლისა! მართალია, ზოგიერთი სწავლული და მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს სამივ ერთად დომხალსავით რომ აურიო, კარგად დაზილო და ერთს კეცზე გამოაცხო, ის გამოვაო, რასაც რუსები „ნულს“

ეძახიან, ფრანგები „ზეროს“ და ქართველები ილია ხონელს. მაგრამ სცდებიან, ნუ გჯერათ. ამ სამის კაცის ღირსება მარტო მე მარგუნა ბედმა და სამება იგი, ზელით თუ გათქვეფით ერთ-არსებად ქცეული, მარტო მე ვარ!.. მე ვარ-მეთქი!.. ხომ ხედავთ, რაკი „მე“ ვთქვი, გულში ისე ვიკარ ხელი, რომ კინაღამ გადავიქეცი. ასე იცის თ. ი. მაჩაბელმაც, როცა თავისთავს ახსენებს და თავისს „მეს მიეყუდება ხოლმე, როგორც ბოძსა. ეხლა გკითხავთ თქვენ: აბა რა მიმიგავს რუსულს „ნულს“, ფრანგულს „ზეროს“ და ქართულს ილია ხონელს?

მე გავათავე, რაც სათქმელი მქონდა, მინამ შევუდგებოდი ჩემს განზრახულს საგანს. იქნება გიხარიანთ კიდეც, მადლობა ღმერთს, ძლივს გაათავაო. მერწმუნეთ, მე თუ აქ ვიღწვი, მარტო თქვენის გახარებისათვის. მარტო ერთი რამ მედარდება. მე — ჩემის თავის ამბავი რომ ვიცი — თუ ერთი აღვირი მივუშვი ჩემს ენას, ხშირად მოგინდებათ ნატვრა: უჰ, თქვენი ჭირიმე, როდის გაათავებსო. მაშასადამე, ხშირად მოგეცემათ მიზეზი გაიხაროთ, — მადლი უფალსა, ძლივს არ გაათავაო! ეს გახარების გახშირება და, მაშასადამე, გაიეფება ვერაფერი თამასუქია ჩემთვის. ვიცი, კარგად ვიცი, რომ ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად. მაგრამ გულს არ გავიტეხ. საცა თევზი არ არის, იქ კიბოს თევზად ჰხდიანო, იტყვიან რუსები. „დრო მოვა და გატკბილდების, ხილად სჭამენ პანტის ჩირსა“, ამბობენ ქართველები. მეც ვითომ კიბო ვარ უთევზურ ადგილას ან პანტის ჩირი უხილო ქვეყანაში. გთხოვთ, გამიტანოთ და დამჯერდეთ, რაცა ვარ.

ეხლა დროა შევუდგე ჩემის ლექციების საგანს. სმენა და გაგონება!.. საგანი ჩემის ლექციებისა არის ეხლანდელი ჩვენი სიბრძნე-სიცრუე.

იქნება ამ სათაურმა გაგაოცოთ. მე იმდენი თქვენი გაოცება არ მინდა, რამდენიც ის, რომ ამ უთავბოლო დრო-ჟამს, როცა ჩვენში დავთრები აირია, როცა ძაღლს, უკაცრაოდ არ ვიყო — პატრონი ვერ უცვნია და პატრონს ძაღლი, შესაფერი სახელი რამ დაერქვას. მე ვამტკიცებ, რომ ეხლანდელი დრო დროა სიბრძნე-სიცრუისა, მე ვამბობ ჩვენი, ესე იგი ქართველების დროა-მეთქი ასეთი. სხვებთან მე საქმე არა მაქვს.

ყველა ერს ეხლანდელს დროში იმდენი საკუთარი თავში საცემი აქვს, რომ ძნელია სხვისთვის მოიცალოს ვინმემ. მაინც და მაინც, დეე სხვამ თავისი იცოდეს, ჩვენ ჩვენი უნდა შევიტყოთ.

გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ამ საგანს პირველად მე მივეკარე, ეს საგანი პირველად მე აღმოვაჩინე, თორემ ბოლოს, როცა მე ამით სახელს ვიშოვი, ბ-ნი გ. წერეთელი წამომეცილება, სახელს პირველობისას ის დაიჩემებს და სადაოდ გამიხდის საქმეს. ესეთია მისი საქებური ზნე-ჩვეულება.

რას ჰნიშნავს ეს ორი სიტყვა — სიბრძნე-სიცრუე, ერთმანეთზე გადაბმული? ამისი პასუხი, ამისი ახსნა შორიდამ დაწყებას ნდომულობს. ვეცდები ჯერ ყველაზე უწინარეს მოგახსენოთ, რა აზრი უნდა ჰქონოდა ამ ორს ერთმანეთთან განუყოფელად ჩართულს სიტყვას უწინ. ეს ახსნა მოგვინდება, რომ წინანდელი სიბრძნე-სიცრუე ახლანდელს პირისპირ წავუყენოთ და მით გავიადვილოთ გაგება, ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე რით არის განსხვავებული. ჰხედავთ, ბატონებო, რა მეცნიერულ გზით მივდივარ? მაშ!.. განა ტყუილი გეგონათ, რომ ვთქვი, ბრძენი ვარ-მეთქი. ბრძენი ვარ, მაშ რა ჯანაბა ვარ!

საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთს? საბა ორბელიანი — ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელია სიცრუე?

მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არამართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელისავით და რომელიც ასე საზიზღარია

და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან. ის სიცრუე კი არა, რომელსაც ბუდე გაუკეთებია ჩვენს სასიქადულო „მესამე დასის“ ჟურნალში, ბ-ნი გ. წერეთლის თავმოსაწონებელ „კვალში“, და რომელშიაც ბ-ნი გ. წერეთელი კრუხადა ზის და სჩეკს ტყუილების წიწილებს და ყოველ კვირა გამოჰყავს იარმუკაზე გასასყიდად.

საბა ორბელიანის სიცრუე — უჰ, რა ცუდი სიტყვაა! ნეტავი ეს სამი სიტყვა ერთმანეთზე გადასაბმელი არ იყოს!.. საბა ორბელიანის სიცრუე-მეთქი სულ სხვაა. საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი იმისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. თუ საბა ორბელიანისებური ზღაპარი, არაკი ამას არა სჩადის, განზრახვად, საგნად კი სწორედ ეს უნდა ჰქონდეს, რომ ზღაპარი, არაკი, იგავი თავისს მიზეზს არსებობისას მოკლებულ იქნება. ამ მხრით ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თვითონ ამბავია, სიბრძნე — შიგ ჩასახული აზრია. ერთიც, მეორეც და მესამეც ხელოვნური ხორცთსხმაა, საჭკუო, საზნეო სწავლა-შთაგონებისა, განსახოვნებაა აზრისა, ისეთი განსახოვნება, რომელიც მარტო შემოქმედებითის ნიჭის საიდუმლოებას შეადგენს.

ჩვენი ზღაპარი ტყუილად კი არ იწყება „იყო და არა იყო რათი“. „იყო“ შიგ ჩასახული აზრია და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა კი იყო რა“ ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც არის. ამიტომაც არაკი, რომელშიაც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულისყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც კი მართალი გგონია და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სჩადის ხელოვნება.

მე მგონია, რომ თვით სიტყვა „არაკი“ წარმომდგარია „არა კი იყოდამ“, მხოლოდ შემოკლებულია.

აქაც გთხოვთ, მემოწმნეთ, თორემ ამასაც ხელიდან გამომგლეჯს ჩვენი გ. წერეთელი. ეგ სიტყვა, პირველად მე ავხსენიო და დავიღუპე ხომ კაკალი კაცი. მესამე დასი ხომ დაუჯერებს და დაუჯერებს და ერთს ადლზე კიდევ მაღლა აასკუპებს თავისს მეთაურს.

როცა მთქმელი ასე იწყებს ზღაპარს: „იყო და არა კი იყო რაო“, თითქო თავიდამვე ჰსურს გაუწყოთ, რომ არყოფილს, არარსებულს ამბავს გეუბნებიო, ხოლო სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო, აზრსა და არა ამბავსაო, რადგანაც ამბავი მარტო აზრის გამოსასახავად არის აქ ჩართული და მოგონილიო. ამიტომაც, თუ ზღაპარს, არაკს, იგავს აზრი არა აქვს, უგემურია, უმარილოა, როგორც ოხუნჯობა კევიღეჭია „გზა-კვალისა“, ამ „კვალის“ უქვითკირო და ბურბუშელა დედაბურჯისა.

ზღაპარი, არაკი, იგავი მხოლოდ მაშინ აიყოლიებს ხოლმე გატაცებით ადამიანის გულისყურს, როცა გამცნებთ რასმე საჭკუოს და საზნეოს მართალს, რომელიც ისე შიშვლად, ხორცშეუსხმელად. უსახოდ, უსურათოდ, უფერადოდ ყველასათვის ადვილად დასანახი არ არის. ვიმეორებთ: სწორედ ამიტომ ზღაპარი, არაკი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუეც, სიბრძნე სულით, სიცრუე ხორცით. აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა. ამიტომაც ესეთი სიცრუე არამცთუ ცოდვაა, ასე სამართლიანად საზიზღარი კაცთა ურთიერთობაში და ასე მოწონებული „კვალში“, არამედ მადლია, რომლითაც ასე გამოჩენილნი არიან ეზოპე, ლაფონტენი, გრიმმები — ძმანი, ანდერსენი, კრილოვი, საბა ორბელიანი და სხვანი, ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა. თვითონ საღმრთო წერილის იგავნი ამავე ორკეც თვისებისა და ღირსებისანი არიან.

მთელი ეგრედ-წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხადჰყოს მართალი. იგიც ამ სათავიდამ მოდის. ამიტომაც ამგვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია და ისეთის შემოქმედებით ხორცშესხმული,

სულთჩასახული, რომ კაცს კი არ ეჯავრება, დიდადაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესატან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისს დღეში ყოფილან და არც იქნებიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრებენ, მაგრამ აბა ნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულმოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკედ ვთქვათ, ქმნა არყოფილისა ყოფილად, მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალღონეს ქმნისას შემოქმედობას ეძახიან.

დიაღ, ესეთია იგი საიდუმლოება ერთგვარის მადლისა, რომელსაც ზეგარდამო შთაგონება ჰქვიან და რომელიც თვით ცოდვილს სიცრუესაც კი მადლს აქმნევინებს ხოლმე და ყურმოჭრილ მსახურად უხდის სიბრძნესა.

კიდევ სხვა მაგალითს მოვიყვანდი ამისთანა მადლიან შემოქმედობისას, ზეგარდამოშთაგონებისას, თუნდა „რუხ მგელს“ გ. წერეთლისას, მაგრამ ვწუხვარ, რომ არვის წაგიკითხავთ და თაგვებს დარჩათ შესაჭმელად. თაგვებმა უფრო იციან ამისთანა სანუკბარის ყადრი. რითი ჩამოუვარდება ეს „რუხი მგელი“ ვეფხვისტყაოსანს? მარტო იმით, რომ აიღებ ხელში თუ არა, გადააგდებ, სხვით ხომ არაფრით! აი ეხლაც გვპირდება გ. წერეთელი, ოღონდ „კვალზე„ ხელი მომიწერეთო და ჩემს ახალს ნაწერს „გულქანს“ მუქთად მოგართმევთო. მოდით და ამისთანა საჩუქარს ზურგი შეაქციეთ! თაგვებს ეხლავე სუნი აუღიათ, კბილებს თურმე ჰლესენ და სიხარულით იძახიან: რა გვეშველებოდა, რომ ბ-ნი გ. წერეთელი არა გვწყალობდესო.

მართალია, სიცრუეს ისე სამართლიანადა აქვს წამხდარი სახელი, ისეთი საზიზღარი რამ არის ადამიანის ყურისათვის, რომ სჯობდა ამისთანა საქმეში სულაც არ ხმარებულიყო. მე დიდის სიხარულით აქ არც კი ვახსენებდი. ღმერთმა სიცრუეც შეარცხვინოს და მისი მადლიც. ამ საქმის საკადრისი სხვა სიტყაა

საჭირო!.. ხოლო იმისთანა ბრძენი და სათნო კაცი, როგორიც საბა ორბელიანია, რაკი სიბრძნესთან სიცრუესაც ახსენებს და თავისს გონების ნაღვაწს სიბრძნე-სიცრუის წიგნს არქმევს, ჩვენ ამისთანა სიტყვისათვის ჭკუა უნდა მოგვენახა. უსათუოდ უნდა გვეკითხნა: ამით რის თქმა უნდოდა იმისთანა წინდახედულს, ჭკუიანს და სათნოებით სავსე კაცს, როგორიც საბა ორბელიანია. ამას მოითხოვს იგი სამართლიანი პატივისცემა, რომლითაც ჩვენ აღსავსენი ვართ საბა ორბელიანის მიმართ. საბა ორბელიანის სიცრუე და ერთობ სიტყვაკაზმულ ლიტერატურისა უცოდველია, უმწიკვლოა, უბოროტოა, უბრყვილოა. იგი ნამუსიანია, არც არავისა ჰმტრობს, არც არავისა ჰგმობს. ამაზე მეტსაც ვიტყვით, იგი მადლიანია იმ მხრით, რომ აზრის ამხსნელია, მაუწყებელია, გაგების გზა და ხიდია, ცოცხალი ხატია, ხელთქმნილი დიდის გრძნეულებით.

ამით ვათავებ ჩემს პირველს ლექციას. თუ ვერა გაგაგებინეთ რა, ნურას უკაცრაოდ. საქართველოში განა ვინა ჰლაპარაკობს იმისათვის, რომ გაგაგებინოთ რამ? მე რა წითელი კოჭი ვარ? ვისი მეტიჩარა? ამაზე ნუ ამიხირდებით, თორემ გავაბამ და აღარ გავათავებ ლაპარაკსა. ეხლაც მე თქვენგან მოწონების ტაშს ველოდი და ამის მაგიერ ვხედავ, რომ თავს აკანტურებთ თვლემისაგან და მინამ ხვრინვა არ ამოგიშვიათ, გეთხოვებით მეორე ლექციამდე.

ლექცია მეორე

მ ო წ ყ ა ლ ე ნ ო ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ე ბ ო
დ ა მ ო წ ყ ა ლ ე ნ ო ბ ა ტ ო ნ ე ბ ო!

წინა ლექციაში მოგახსენეთ, რომ საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანია. არც არავისა მტრობს და არც არავის ჰგმობს-მეთქი, არც არავის ჰყიდის და არც არავის ჰყიდულობს. იგი ერთგული მსახურია სიბრძნისა და ამიტომაც მადლიანიც არის.

სულ სხვაა ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. ეხლა სიცრუე, ვით გამოუქნელი ხარი, სიბრძნის უღ-

ლიდამ გამოეშვა და გაყალაღნებული დაიარება თავისად. თუ სადმე წააწყდება სიბრძნეს, მარტო იმისთვის, რომ თვითონ ბატონად გამოეჭიმოს და სიბრძნე მსახურად გაიხადოს. მაგალითებისთვის შორს არ მოგვინდება წასვლა.

ხომ გახსოვთ 23-ს დეკემბერს მომხდარი კრება სათავადაზნაურო სკოლის საქმეზე. ისიც გეხსომებათ, რომ ჩვენს საზოგადოებას ოდესღაც ამოურჩევია კამისია და მიუნდვია გამოარკვიოს, რა სახის სკოლაა უფრო საჭირო ჩვენთვის: ის, რაც ეხლა არის, თუ სხვაგვარი რამ სკოლა. კამისიას უმუშავნია კარგა ხანს, ბევრი რამ საბუთი და ცნობა შეუკრებია, რაც ძალი და ღონე ჰქონია არ დაუზოგავს, საქმეში ჩაუხედნია. აუღია, დაუღია და ეს დაუსკვნია: აწ არსებული სკოლა დარჩეს, როგორც დღეს არის და მის სისწორივ საჭიროა გაიმართოს სამეურნეო სკოლაცაო.

მე იმის განხილვაში არ შევალ, მართალია ამაში კამისია თუ არა. ასეა თუ ისე, ეს მისი აზრია, მისი დასკვნაა და როგორც თვით სიმძიმე საქმისა ითხოვს, ისე უნდა გამოჰკიდებოდნენ კამისიისაგან დასკვნილს აზრსა. რა თქმა უნდა, ამ საგანზე ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც და არავის აეკრძალება თავისი სთქვას. ხოლო ჭკუადამჯდარი, წინმოფიქრებული, წინდახედული, აზრიანი თქმა კი უნდა და არა ბორბოშელას სიტყვების რახუნი, აქაო და ენა მექავებაო, ანუ სხვის ნაღეჭის ხელახლად ღეჭვა, როგორც ბ-ნმა გ. წერეთელმა იცის და ახალ ამბად კი ასაღებს თავისის სახელით.

გადასწყვიტეს, რომ აწ არსებული სკოლა იმ სახისა და პროგრამმისავე იყოს, როგორც არის და ყოველწლივ თვითო კლასსი მიემატოს, ვიდრე სრულ გიმნაზიად გადაიქცეოდეს. კარგი და პატიოსანი. ამ სახით, გაიმარჯვა ბერძნულმა და ლათინურმა ჩვენში. ნეტავი ჩვენ!.. ყველაფრით სავსენი ვიყავით, ეს ბერძნული და ლათინურიღა გვაკლდა და ამასაც ხომ ვისწავლით!.. ერთმა იქ დამსწრემ კაი ნუგეში მოგვცა: რა ძალიან უფრთხით ამ ბერძნულს და ლათინურსაო. ერთიცა და მეორეც მკვდარი ენაა და შორს არ არის ის დრო, რომ დასამარხავი გაგვიხდებაო. დეე იყვნენ, მინამ დაიმარხებიანო. ყველამ სიხარულით პირები დავაღეთ, ეს ნუგეში რომ მოგვეცა.

იყვნენ, მაგრამ რომ ისე მოგვივიდეს — მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო? ან მინამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო! მაშინ რაღა ვქნათ? თუნდა ეგეც არ იყოს, ეგ მკვდრები ჩვენ რათ უნდა შეგვანახვინონ! იმიტომ ხომ არა, რომ ყვავმა თავისი მკვდარი ბახალა ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო. რა დამტირებელნი და ჭირისუფალნი ჩვენა ვართ ბერძნულისა და ლათინურისა? მკვდარი მკვდრის პატრონისათვის ჩაგვებარებინა უფრო უპრიანი არ იყო? სხვა ვეღარავინ იშოვეს ჩვენს მეტი?!.. მადლობა ღმერთს!.. ცხონებულმა მიხეილ ნიკიფორიჩმა კატკოვმა ბერძნულს და ლათინურს კაი მაგარი აკლდამები აუშენა და ბევრიც: ერთ-ერთგან მიგვესვენებინა!.. ჩვენი რა შესანახნი არიან! ან რა ძალა გვადგია, რომ მკვდრების სუნით გვინდა მოვშხამოთ საღი ჰაერი სკოლისა. ყოველივე ეს მერე მოგვივიდა ფიქრად, მაგრამ გვიანღა იყო. ნუგეშმა თავისი გაიტანა. მკვდრებმა გაიმარჯვეს ცოცხლებზე.

იქნება ეს ასეც უნდა. დეე მართლა იყვნენ ეს მკვდრები, მინამ აიღებს ვინმე და დასამარხავად გაიტანს. ასეა თუ ისე, ბ-მა გ. წერეთელმა სიხარულით მაშინვე დეპეშა გაუგზავნა საიქიოს ნეტარხსენებულს კატკოვს და მიულოცა, რომ „თუმც მოჰკვდი, შენის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობ მკვდარიო. ჩვენ, ქართველები, ძლივს მივწვდით შენს სიბრძნე-სიცრუესაო. გიხაროდენ, მიხეილ ნიკიფოროვიჩ, შენ მანდ, ვითარცა მიხარიან აქ მე, გიორგი ექვთიმეს ძესაო.“ არ ვიცით კი, ეს სასახელო დეპეშა მარტო თავისის სახელით გაუგზავნა ჩვენმა ღვთით ბედნიერად ბძანებულმა გ. წერეთლმა, თუ მესამე დასის სახელითაც. არა გვგონია. თუ სასახელო სადმე რამ არის, სხვას ძნელად უწილადებს ხოლმე ჩვენი ბ-ნი გ. წერეთელი, შინ რომ წვრილშვილი გიტიროდეს, გარედ ტაბლას რა უნდაო. ეს თუ აქამდე არ გაუგია მესამე დასს, მალე შეიტყობს, — მაინცდამაინც იმაზე ადრე, ვიდრე ბერძნულსა და ლათინურს დაასაფლავებენ ღვთისა და თქვენის წყალობით.

ერთის სიტყვით, მკვდრები ჩვენს სკოლაში დავაყუ-
დეთ. ვუცადოთ, მინამ დასამარხად გახდებიან. მაინც
სხვა საქმე არა გვაქვს რა. ავიღოთ ხელში საცეცხ-
ლურები და საკმეველი ვუკბიოთ, მინამ საქმე რამ გა-
მოგვიჩნდება. ცუდად ჯდომას ხომ ცუდად შრომა სჯო-
ბია. ამინ და კირიელეისონ. მორჩა და გათავდა. ჩვენ
სხვას აღარას ვიტყვით იმაზე, თუ — რამდენად ზედმი-
წევნილი პასუხია ეს განაჩენი იმისი, რაც ჩვენთვის
საჭიროა დღეს. დავდგით ტახტი და ზედ წამოვასკუ-
პეთ მკვდრები, ბერძნული და ლათინური. დრო გა-
მოაჩენს, ვაი ეკუთვნის გამარჯვებულთა თუ ვაშა.

ბოლოს ჩამოვარდა ლაპარაკი, საჭიროა თუ არა აწ
არსებული სკოლაც იყოს და ამასთან ერთად სამეურ-
ნოე სკოლაცა. აი აქ გატყდა ტაბიკი. აქ გამოეშო სი-
ცრუე სიბრძნის უღლიდამ. ეხლანდელმა სიბრძნე-
სიცრუემ აქ შემოიყარა თავმოსაწონებელი დოინჯი. თ.
მ. მაჩაბელი — ეს ყველასაგან ცნობილი მეთოფე თ. ი.
მაჩაბლის მეციხოვნეთა, ეს წყნარი და ტკბილი მოუ-
ბარი ყოველ აბდაუბდისა და გადასკუპდისა — წა-
მოდგა... განა ერთხელ და ორჯერ? მე თექვსმეტი
დავთვალე. ბევრი ილაპარაკა, როგორც მოგეხსენებათ
იმისი ამბავი, და იქამდე წაიტყუა თავისის საკუთარის
სიტყვის ლაზათმა, რომ კინაღამ დაგვაჯერა, ვითომ
ჩვენში საკმაოდ გაბრძნობილნი არიან სამეურნოე ცოდ-
ნითა და სწავლითა. სხვა რამ სთქვით, თორემ სამეურ-
ნოე ცოდნა ჩვენში საკმაოაო. წარმოიდგინეთ, სიცილიც
არავის მოსვლია, რომ ამ ბრძენთა უბრძენესმა ორა-
ტორმა ასე ადვილად ამოაჩინა ჩვენში ეს უცნაური
ამერიკა.

საკვირველი კაცი ბრძანდება ეს თ. მ. მაჩაბელი.
შეჯდება ხოლმე მეტყველების ჯაგლაგს მერანზე,
დაეშვება თავთავქვე და როცა საძუე შემოაწყდება,
ყირამალა გადადის, თავი ცალკე მიგორავს იქით, ენა
ცალკე ლაყლაყებს აქეთ, თავს ენა ვეღარ უპოვნია და
ენას თავი. მე როცა თ. მ. მაჩაბელსა ვხედავ მოლა-
პარაკეს, მამლაყინწა მაგონდება. თ. მ. მაჩაბელიც ისე
დახუჭავს ხოლმე თვალებს და ჰყივის უპრაგონოდ,
თითქო უნდა დაინახოს, რა არი მოსარიდებელი და რა
გვერდასაქცევი. იმისთვის სულ ერთია, მართალი და

ტყუილი, შესაძლებელი და შეუძლებელი, ოღონდ ნუ
დაუშლით კი, ქვეყნის დასასრულამდე გაბამს და აღარ
გაათავებს. ენა რომ გასატეხი იყოს, აქამდე ათას ალა-
გას გადუტყდებოდა. არც გასაცვეთია ეს
ოჯახდაქცეული, თორემ ეს მაინც გვექნებოდა ნუგეშად.

ამ თვალთა ხუჭვაშია მიზეზი იმისი, რომ ხშირად
თ. მ. მაჩაბელი თავისს ნათქვამს გადათქვამს ხოლმე, მე
ეგ არ მითქვამსო. მართალიც არის: თვითონ ყურს რომ
არ უგდებს თავისს ლაპარაკს, საიდამ დაახსომდება, რა
სთქვა და რა არა.

თ. მ. მაჩაბელმა ის არ გვაკმარა, რომ ჩვენ სამეურ-
ნოე სწავლა-ცოდნით საკმაოდ სავსენი ვართ. თავმო-
წონებით, როგორც მოგეხსენებათ "მერმე და მერმე"
მისი კეთილი ამბავი, წამოარახუნა: საჭიროა თუ არა
ჩვენთვის სამეურნოე სკოლა, მე ამაზე ვერას ვიტყვიო,
რადგანაც ეს საგანი ჯერ ნათლად არ გამიგდია თვალ-
წინა, ჯერ ნათლად ვერ გამომირკვევიაო და ამიტომ
გთხოვთ ამაზე საუბარი შემდეგისათვის გადასდოთო.
როგორ? უმაღლესს სამეურნოე სასწავლებელში ნა-
მყოფი კაცი გვეუბნება, საჭიროა თუ არა სამეურნოე
სკოლა, ჯერ ვერ გამიგიაო. მაშ რაღად მირბოდა
სამეურნოე სკოლაში, მერე უმაღლესში, თუ გაგებული
არა ჰქონდა სამეურნოე სწავლა-ცოდნის საჭიროება?
მაშ როდისღა გაიგებს და გამოარკვევს ამ საჭიროებას,
ან ვინღა გამოურკვევს, თუ უმაღლესმა სასწავლებელ-
მაც ვერ გააგებინა, ვერ გამოურკვია? შენი მტერი
იყოს, რომ რაკი უმაღლესს სამეურნოე სკოლაში ასე
მომცდარა და აქამდე ასე დარჩენილა, ეხლა ვეღარა
გამოარკვიოს რა, ვეღარა გაიგოს რა.

ან რა სიტყვის პასუხია, რომ ითხოვა, რადგანაც მე
ჯერ არ გამომირკვევია საჭიროება სამეურნოე სკო-
ლისა, სხვა დროსთვის გადასდეთ ამაზე საუბარიო.
აშკარაა, ამით ამის თქმა სდომებია: დამაცადეთ, ჯერ
მე გამოვარკვიო და მერე დავიწყოთ ლაპარაკიო, თორემ
თქვენ რა იციოთ. დიდი კადნიერებაა კაცისაგან სთქვას,
ამოდენა კრებული წადით, დაიშალენით და მიცადეთ იმ
დრომდე, ვიდრე მე სამეურნოე სკოლის საჭიროებას
გავიგებდეო. ხომ შეიძლება თავისს დღეშიაც ვერ გაი-
გოს, როდემდის ვუცადოთ? ერთი ჰკითხეთ, რა

წითელი კოჭი ბძანდება, რომ რაკი იმას არა გაეგება რა, სხვამაც ხმა გაიკმინდოს. მითამ რა? უიმისოდ სხვანი, თუნდაც გაგებულნი იყვნენ საქმეს ვერ მოუვლიან, თავისს გზას ვერ მისცემენ? შენი მტერი, თუ თ. მ. მაჩაბელს ავყევით და რაც იმას არ ესმის, იმ საქმეს ხელი აღარ მოვკიდეთ და იმას ვუცადეთ! აბა ბევრს საქმეს მაშინ გავარიგებთ აი, თუ თქვენც იტყვით!.. მაშ დაიღუპა საქართველო რაღა, რომ თუ თ. მ. მაჩაბელს არ გაეგება, სხვამ უიმისოდ ისაქმა რამე! აი გასიება, გაბერვა თავისის თავის მნიშვნელობისა ამასა ჰქვიან.

საწყალო საქართველოვ, ვაი შენს მტერს დაეყაროს, რაც შენ დაგეყრება, თუ საქმე ისე გაგიხდა, რომ თ. მ. მაჩაბლის გაგებას უცადო და ელოდინო. ბევრი წყალი ჩაივლის მინამდე, წყალს ჯანი გავარდეს, იეფია. შენ იმისთანა საქმე მაჩვენე, რომ ცდა და ლოდინი არ მოგვინდეს თ. მ. მაჩაბლის წყალობითა!..

წარმოიდგინეთ, ამ სასაცილო და ამასთანა კრების ღირსებისათვის საწყენო თხოვნამ თ. მ. მაჩაბელისამ იქამდე მიაღწია, რომ კენჭი ჩამოატარეს: ვუცადოთ თუ არ ვუცადოთ ამ ვაჟბატონის გაგებასაო. სასაცილო და ამასთან საწყენი არ არის ამისთანაებისათვის კრების მოცდენა!.. კიდევ კარგია მობეზრებულმა კრებამ აინუნშიაც არ გაიტარა — თ. მ. მაჩაბელს გაეგება თუ არა, ეგ მისი საქმეა და არა ჩვენიო, უიმისოდაც ჩვენ იოლად წავალთო. ნურას უკაცრაოდაო, უთხრა კრებამ კენჭითა. აკი ვამბობ, რომ კიდევ ღვთის წყალობაა, რომ კრებამ ამისთანა პასუხი უთხრა, თორემ ლოდინი მეორე მოსვლამდე მოგვინდებოდა, რადგანაც, როგორც ვიცი, თ. მ. მაჩაბელი გაგებაზე პატარა მწყრალად და უმზრახად ბრძანდება, თუმცა არც ერთს შემთხვევას არ გაუშვებს, რომ არ გვითხრას მისებურის თავმოწონებით და გულში ხელის ცემითა: რაცა ვარ, მე ვარო!

ვთქვათ, დაუჯერებელი არ არის რა, რომ თ. მ. მაჩაბელს სამეურნოე სკოლის საჭიროებისა არა გაეგება რა. კაცია და გუნება. ზოგი იმისთანაც არის, რომ თავის დღეში არა გაეგება რა არასფერში. ეს ერთი როგორ არ შეენდობა ჩვენს საყვარელს თ. მ. მაჩაბელს. მხოლოდ ღმერთსა ვთხოვოთ, რომ ეს ერთი იყოს და

სხვა ბევრი არა. ღვთით ასეც არის, თუ ვინმე კარგად იცნობს თ. მ. მაჩაბელს. სხვა ყველაფერი კევსავით დაუღეჭია, ყველაფერიო იცის, სხვა ყველაფერში დიდი ოსტატია. თუნდა თითონა ჰკითხეთ, თუ ჩვენი არა გჯერათ, ის გულახდილი კაცია, არაფერს დაგიმალავთ. ცოტა ამისთანაებში მორცხვია, როგორც მოგეხსენებათ იმისი ამბავი. მაგრამ არა უშავს რა, მაინც გამოგიტყდებათ. ყველაფერი ზნე-ჩვეულების საქმეა.

ერთის სიტყვით, ნუ ვაწყენინებთ თ. მ. მაჩაბელს და დავუჯეროთ, რომ მართლა არა გაეგება რა სამეურნოე სკოლის საჭიროებისა. ეს კი — უკაცრაოდ ვიყვნეთ — დასაჯერებელი არ არის, — კაცს უმაღლესი სასწავლებელი გამოევლოს და იქამდე გულისყურდაბნეული იყოს, რომ ვერ გაეგოს სამეურნოე სწავლა-ცოდნა საჭიროა თუ არა იმისთანა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის ავლა-დიდება სოფლის მეურნოებაა. ეხლა ვიკითხოთ: როდის იყო მართალი თ. მ. მაჩაბელი? მაშინ, როცა უმაღლესს სამეურნოე სასწავლებელში ეწაფებოდა სიბრძნეს, თუ ეხლა, როცა ამ სიბრძნეზე ასე აშკარად ჰაშა ჰკრა. ორში ერთი: ან სასწავლებელში ვერა გახდა რა და ამ სამეურნოე სწავლა-ცოდნის ალთაი-ბალთაის გონება ვერ მიაწვდინა, ან ამ სწავლა-ცოდნით აივსო, გაიტენა და ჰნახა, ყველა ესე ამაოა ამაოებათა და სხვა არაფერი.

მე უფრო პირველი მგონია. იგი უფრო დასაჯერებელია და აი რა მიზეზით. უმაღლესს სასწავლებელში ყოფილა და იმოდენადაც თვალი არ აუხილებია, რომ დაენახა რამოდენად წინ წასული დღეს სამეურნოე სწავლა-ცოდნა, თორემ როგორ გაკადნიერდა და სთქვა: ჩვენში ეს სწავლა-ცოდნა საკმაოაო. საკმაო კია? მაშ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენში ბევრი აღარა დარჩენია რა სათქმელი სამეურნოე მეცნიერებას, რომ თუ ჩვენ წინ არა ვართ ამ საქმეში, ფეხდაფეხ მივდევთ, ან მეცნიერება თუ იმაზე არ შემდგარა, რაც ჩვენ ვიცით, ბევრით წინ აღარ წასულა. განა მართლა ესეა? ესეა მარტო იმის თვალში, ვისაც ამ მეცნიერებისა სუნიც არ მისდენია. შორს გაიტანა და ძალიანაც შორს ამ მეცნიერებამ, ამ სამეურნოე სწავლა-ცოდნამ თავისი სამზღვარი და კაცს რომ უმაღლესს სასწავლებელშიც

კი ეს არ დაენახოს, რას უნდა მიეწეროს, — გულისყურის დაბნეულობას, გონების დახშულობას, ჭკუის უილაჯობას, თუ თვითონ სწავლა-ცოდნის ამაოებას?

მეტყვიან მტრობით მოგდის ეს, თორემ როგორ შეეწამება თ, მ. მაჩაბელს უგულისყურობა, ჭკუის უილაჯობა, გონების დახშულობაო. რატომ არ გჯერაო, რომ სამეურნოე სწავლა-ცოდნა იწვნია სავსებით, მხოლოდ დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს ფუჭია და უქმიო? იქნება ასეც იყოს, არ გაგიჭირვეულდებით. რომ არაფერში გამოსადეგია ეგ სწავლა-ცოდნა, თვითონ თ. მ. მაჩაბელზედაც აშკარად ვხედავთ. რით არის ამისთანა საქმეში სხვაზე წინ? რომელი ხოდაბუნები მოხნა-მოთესა? რომელი მინდორი აქცია ვენახად? სად უჭირავს გუთანი? მარტო რაღაც პორთფელი ამოუჩრია იღლიაში და დადის, ვითომ მეც ნახირ-ნახირო. განა ცხადი არ არის, რომ მისთვის სამეურნოე სწავლა-ცოდნა ფუჭია და ამაო!..

ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაპატიოს თ.მ. მაჩაბელმა, ისევ სწავლა-ცოდნის პატივი ვირჩიე და ამ ლილოელი ფილოსოფოსის გულისყური გავწირე. ხუმრობაა, გავკადნიერებულვიყავ და ერთობ სწავლა-ცოდნისათვის, თუნდ სამეურნოეც იყოს, უპატიურად წიხლი მეკრა, ფუჭი ხარ და ამაო-მეთქი. მაშინ რას მეტყოდა ჩვენი ავყია „გზა-კვალი“, თუ ბუზანკალი!.. არა, ისევ სჯობია, ყველა ეს თ. მ. მაჩაბლის გულისყურს დაჰბრალდეს, ვიდრე სწავლა-ცოდნის ამაოებას. ამას, მე მგონია, თვით თ. მ. მაჩაბელიც მომიწონებს. იგი ყოველთვის მზად არის ჭეშმარიტებისათვის თავი დასდოს, მაგრამ ისე კი, რომ ენა შერჩეს სალაპარაკოდ. ამას კი, სწორედ მოგახსენოთ, არავის დაუთმობს. ძნელიც არის. შეჩვეული ჭირია და შეუჩვევარს ლხინს ურჩევნია.

ეხლა ვიკითხოთ: თ. მ. მაჩაბლის მიერ თქმული, რომ აქამდე ვერ გამიგია, საჭიროა თუ არა ჩვენთვის სამეურნოე სკოლა და მომიცადეთ ვიდრე გავიგებდეო, უმაღლესის სასწავლებლის სიბრძნეს მივაწეროთ, თუ უმცირესის ადამიანის სიცრუეს? პასუხი ცხადია. ამიტომ ვამბობთ, რომ ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე სულ სხვაა. მშვიდობით, მესამე ლექციამდე.



ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ლექცია მესამე

მ ო წ ყ ა ლ ე ნ ო ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ე ბ ო
დ ა მ ო წ ყ ა ლ ე ნ ო ბ ა ტ ო ნ ე ბ ო !

ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ეხლანდელის სიბრძნე-სიცრუისა მე უკვე დაგისახელეთ წინა ლექციაზე. ამ ახალს მიმართულებას სიბრძნე-სიცრუისას სხვებიცა ჰყავს, არანაკლებ ბრწყინვალე წარმომადგენელნი. ჩემის ფიქრით, ისტორიას არ უნდა დაუკარგოს კაცმა იმისთანა სახელოვანის კაცის სახელები, რომელნიც ახლის მიმართულების პიონერები არიან. ნუ გგონიათ, ახალი მიმართულება ლილახანა იყოს, რომ მაშინვე გახშირდეს და ვინც გინდათ და არ გინდათ ხელი შიგ წაურიოს. ისტორიაში არც ერთი მაგალითი არ არის, რომ ახალი მიმართულება პირველ ხანშივე ადვილად იკაფავდეს გზას. მარტო „რჩეულნი ამა ქვეყნისანი“, მარტო ცით ერთგვარ მადლცხებულნი მიუხვდებიან ხოლმე ახალ მიმართულებას, — რის მომასწავებელია და რაშია გამოსადეგი ამ არსებობისათვის ბრძოლაში. ამიტომაც ცოდვაა ამისთანა კაცებს საუკუნო სახსენებელი არ აეგოს. მეც ამისათვის ვცდილობ, თორემ არც ისეთი მოცლილი კაცი ვარ, რომ ამისთანაებზე გამეწირა ძვირფასი დრო და ეს ქართველთათვის თავმოსაწონებელი კაცები იმავ ბნელეთში დამეტოვებინა, საიდამაც ეხლა მე გამომყავს სინათლეზე.

მეორე „რჩეული ამა ქვეყნისა“ და ბრწყინვალე წარმომადგენელი წამიგვისკუპდა იმავ 23-ს დეკემბერს სკოლის კრებაზე. ხომ მოგეხსენებათ, ვინა ბრძანდება

თ. ი. მაჩაბელი. იგი თავია იმისი, რის ფეხებიც თ. მ. მაჩაბელია თავისის პორთფელითურთ. ისე გადაბმულები კი არიან ერთმანეთზე, რომ ძნელი გამოსაცნობია, — სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

მინამ ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, — რა სახის და პროგრამმისა უნდა იყოს ჩვენი სკოლაო, ბ-ნმა როსტომაშვილმა წარმოსთქვა, რომ თქვენ დღეს სკოლა არა გაქვთო. ეგ თქვენი სკოლა თავისად კი არ არისო, მსახურია სხვისა სკოლისაო. თუ გნებავთ თქვენი საკუთარი სკოლა იქონიოთ, სხვის მოსაწონებლად კი არ უნდა იყოს, ჩვენი საკუთარი მოსაწონებელი უნდა იქმნესო, ჩვენ და მარტო ჩვენ უნდა გვახეიროს, მარტო ჩვენი გამოსადეგი, ჩვენის სვე-ბედის ამტანი და გამტანი უნდა იყოსო. თუ ასეთის თვალით დავუწყებთ ყურებას ჩვენს სკოლას, ადვილად დავინახავთ, — რა სახისა და პროგრამმის სკოლაა ჩვენთვის საჭიროო.

მართალია თუ არა ბ-ნი როსტომაშვილი, ამის გამოძიება ჩემის ლექციის საქმე არ არის. ხოლო იმისი თქმული იმისთანაა, რომ ვისაც თვალნი აქვს ხედვად და ყურნი სმენად, თვალიც უნდა აეხილნა და ყურებიდამაც ბამბა გამოეღო. ჩემის ფიქრით, ცოდვაა ასე თუ ისე თვალი და ყური არ ათხოვოს კაცმა ამ ბ-ნ როსტომაშვილის მიერ გამოთქმულს დედააზრსა და თავისს სასწორზე არ ასწონ-დასწონოს ან საჰოოდ, ან საარაოდ. ამისთანა ძარღვიანმა აზრმა განუკითხველად არ უნდა ჩაიაროს, თუ ჭკუა ჭკუობს და გული გულობს სადმე.

ამისთანავე ძარღვიანი აზრი, ხოლო სხვა თვალთახედვიდამ-კი მოვლინებული, წარმოადგინა ბ-ნმა ცხვედაძემ, რომელმაცა სთქვა, ჩვენც ვიცით, რა სახის და პროგრამმის სკოლაა ჩვენთვის სასურველიო, ხოლო დრო-ჟამი და ეხლანდელი ჩვენთვის უცხო გარემოებანი ითხოვენ, რომ ჩვენი სურვილი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერხანად მაინც დადუმდესო, თუ გვინდა, რომ ჩვენს სკოლაში კურსშესრულებულთ შემდეგისათვის გზა ჰქონდეთ სწავლის განგრძობისაო. ამიტომაც სახე და პროგრამმა ამ დრო-ჟამს და უცხო გარემოებას უნდა შეეუფეროთო.

ამ სახით ორტოტად დენა დაიწყო აზრმა კრებაში და ორსავე ისეთი მართლა და მძიმე საბუთი ჰქონდა, რომ ერთიც და მეორეც ღირს იყო განეკითხა კრებას გულდასმით და ჭკუადაჯდომით.

არანაკლებ საბუთიანი და ღირსგანსაკითხავი აზრი წარმოსთქვა ბ-ნმა გოგებაშვილმაც, გ. იოსელიანმა, თ. ვ. მიქელაძემ და დეკანოზიშვილმა. თუმცა იმათი აზრები ერთმანეთში განირჩეოდნენ, ზოგი აქედამ უვლიდა საქმეს, ზოგი იქიდამ, მაგრამ ყველამ გარკვეული აზრი სთქვა და მისცა კრებას საბუთი ან ჰო ეთქვა, ან არა. წამოდგა თ. ი. მაჩაბელიცა. ერთმა კუნჭულმა კრებისამ წინათვე მოამზადა ხელები ტაშისათვის.

ეს რომ დავინახე, ვთქვი: ცანგალას ხმაზე რომ აპირობს თ. ი. მაჩაბელი ლაპარაკსა-მეთქი. სწორედ ასე იციან ხელების გამოშვერა ტაშისათვის გლეხებმა, როცა ცანგალას აპირობენ. გამიკვირდა. მართალია, თ. ი. მაჩაბლის „დინასტიაში“ (ჩვენი სიტყვა არ არის) მგალობელიც არის, როგორც უკვე შენიშნული იყო ერთს დროს ერთს აქაურს გაზეთში, მაგრამ რომ თვითონ თ. ი. მაჩაბელს გალობის უნარი ჰქონოდა, არავის გაეგონა. მეც არ გამიგონია, თუმცა ბევრი სხვა რამ კი გაგონილი მაქვს. მოგახსენებთ, გამიკვირდა: ვინ თ. ი. მაჩაბელი და ვინ ცანგალა-მეთქი. შევხედე ხელახლად იმ კუნჭულს და ხელები ისევ ტაშისათვის გამოშვერილი ჰქონდათ. ყურები ვცქვიტე. ერთი ვნახოთ, ეს ახალი უნარი როგორ დაამშვენებს თ. ი. მაჩაბელსა და ან თ. ი. მაჩაბელი ამ ახალს უნარსა-მეთქი. ერთშიაც და მეორეშიაც მოვტყუვდი, იმიტომ რომ თ. ი. მაჩაბელმა თავისს თავს არ უმტყუვნა.

დიახ, თ. ი. მაჩაბელმა არც აქ უმტყუვნა თავისს თავსა. ერთის იოტის ოდენადაც არ დაუწევია ძირს იმ სიმაღლიდამ, საცა იგი ღვთის განგებას დაუყენებია ყელმოღერებული. ისევ ძველებურად, თავისებურად მოჰყვა სხაპასხუპს, თითქო თავზე წვიმა დასდის და სჩქარობს მალე დაროშოს დასაროშელი და სადმე ფანჩატურს შეეფაროსო. როგორც მოგეხსენებათ ამისი კეთილი ამბავი და ჩვეულება, გაუგორდა და გამოუგორდა ხელისგულზე კრებას, უკმია შესაფერი საკმეველი სკოლის მასწავლებელთაცა. ბევრი იყო „ჰაი,

საქართველოვ!.. ჰოი, ქართველობავ!.. ჰაი, ვინ გაბედავს და შესწამებს, რომ ქართული გული არ უცემთ ჩვენის სკოლის მასწავლებელთა!.. ვინ, აბა ვინ!.. სად არის ის საწყაო, რომ ასწყონ ამათი ღვაწლი!.. სად!.. ეს კრება!.. ოო, ეს კრება!.. ამ კრებამ კარგად იცის ვინ არის სკოლის მტერი და ვინ არის მოყვარე! (აქ თ. ი. მაჩაბელმა და ბ-მა გ. წერეთელმა ერთმანეთს თვალი უყვეს, თუმცა, მგონია, უმზრახად კი არიან)... მე!.. მე!.. მე, რომელიც (აქ ერთი ორჯერ გულში ხელი ჩაიკრა თ. ი. მაჩაბელმა ჩვეულებისამებრ და გ. წერეთელმა ტუჩები ზევით აიწია) მე!.. რა მე?!.. აქ, აი ამ კრებაში... ოღონდ კარგი რამ დაეწყოს, თორემ ეს კრება... მე... მე... დარწმუნებული ვარ, ან ვინ გაბედავს დარწმუნებული არ იყოს, რომ ეს კრება... არაფერს დაზოგავს სკოლისათვის, უხვად გასცემს, დიაღ, უხვად, უხვად გასცემს, არაფერს დაჰზოგავს სკოლისათვის!..“ და სხვანი და სხვანი.

იგრიალა იმ ერთს კუნჭულში წინადვე მომზადებულმა ტაშმა, თუმცა კი ძალიან თხლად, თითქო ქალების უძლური ტაშიაო. თ. ი. მაჩაბელსაც მარტო ეს უნდოდა, როგორც ეტყობოდა. იგი გამარჯვებული წავიდა და იმ კუნჭულში ყელმოღერებული გამოიჭიმა, ვითომდა ბურთი მოედნიდამ გაიტანა და გაიტანა. ბუხრის ქუდი რომ ჰხურებოდა, თავმოწონებით ჩაიკეცავდა, ყელს უფრო მოიღერებდა და იქნება დოინჯიც შემოეყარა.

რა თქმა უნდა, თ. ი. მაჩაბლის თქმულს სიტყვა-სიტყვით ვერ აღვადგენ. ხოლო ვინც იქ იყო, გულზე ხელი დაიდოს და მითხრას: იმის სიტყვაში იმ ჰაი-ჰოის მეტი ეყარა რამე?.. იმ პირფერობის, ლაქუცისა და კუდის ქნევის მეტი ვის რა დარჩა ხსოვნაში, ვინ რა გამოიტანა?

არა მგონია, იმის გაგორ-გამოგორებასაც კრებისა და სკოლის მასწავლებელთა წინაშე ბევრი რამ კეთილი შეეძინოს თ. ი. მაჩაბლისათვის. ლილახანა დიდი ხანია წაუხდა ჩვენში ამისთანა კუდის ქნევას, ამისთანა მალაყებსა, მით უფრო, რომ ეს ასეთი ამბავი თ. ი. მაჩაბლისაგან არ ახალია, ძველია. წავიდა ის დრო, როცა ამისთანა ბუჩოიან ხორბლის მარცვლითა

წაიტყუებდნენ ხოლმე ბელურა ჩიტებსა. სხვისა არ ვიცით და სკოლის მასწავლებელნი მაინც ისეთნი არ არიან, რომ თავისი საკუთარი თვალთახედვა არა ჰქონდეთ და თავისი საკუთარი ყურთასმენა. ამათ წინაშე ზიზილ-პიპილები და კუნტრუში ვერაფერი ლარი და ხაზია სვის გატანისათვის. ამათ კარგად იციან, — რა ფასისაა, რა ღირებულებისაა იგი მიწანარევი საკმეველი, რომელსაც თ. ი. მაჩაბელი „ვისაც ჯერ არს და სადაც ჯერ არს“ ასე უხვად უკმევს ხოლმე. კიდევ კარგია, რომ ამისთანა კმევას ჯერ ბაჟი არ ადევს, თორემ დიდი გადასახდელი დააწვებოდა თავზე თ. ი. მაჩაბელს.

პირში ქებას ჭკუადამჯდარ კაცის თვალში დამპალ კიტრის ფასიც არა აქვს, პირში მაქებარს თავისის თავის პატივმცემელი კაცი რას ეტყვის ხოლმე: ეგ ქება შენთვის შეინახე, სხვაგან გამოგადგება. მე კი, ვაი რა ბალღი გგონივარ, რომ ჰფიქრობ მაამო და მით მომატყუოო...

არა მგონია თვითონ კრებაც მოტყუებულიყოს, რომ უქო და უდიდა გულუხვობა და არდაზოგვა სკოლისათვის. კრებამ ძალიან კარგად იცის, — რა უკადრისი გუნდრუკთკმევაა ამისთანა ბალღური ლათაიები. კრებამ ძალიან კარგად იცის, რომ თვით არაფერს შუაშია ამ გულუხვობაში და არდაზოგვაში. რა დასამალია, რაც ყველასათვის ცხადია, რომ კრებას თავისი საკუთარი ერთი გროშიც არა აქვს. მაშ რა მოსატანი იყო აქ გულუხვობა და არ დაზოგვა კრებისა? რაც კაცს თვითონ არა აქვს, იმისი უხვად გაცემა და არდაზოგვა რა ისეთი ვაჟკაცობაა, რა ისეთი სასახელოა, რომ კაცმა კაცი ამისათვის აქოს და ადიდოს? მითამ რა ეწვის, რომ ეს წვა-დაგვა სამსახურად და ქველობად ჩაეთვალოს? აქ ან ის კაცია სასაცილოდ აგდებული, ვისაც ამ გზით და მიზეზით აქებენ, ან ის, ვინც ამ გზით და მიზეზით აქებს და უნდა ამით ლარი გაიტანოს. ჩვენში კი რომ ითქვას, არც ერთია მოსაწონებელი და არც მეორე. მაშ ტაში რაღა იყოო? — იკითხავთ. აი ნასკვი ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუისა სწორედ აქ არის და თქვენ გამოხსენით.

როგორც იყო გათავდა ეს ქება-დიდების ზარის რეკაც და თხლად ტყლაშუნი ტაშისა ჩაჰბარდა თავისს პატრონს. დაიწყეს ლაპარაკი იმაზე თუ, — საჭიროა თუ არა აწ არსებულ სკოლასთან გამართულ იქნას სამეურნოე სკოლაცა. გამარჯვებული და გამხნევებული თ. ი. მაჩაბელი, რა თქმა უნდა, აქაც წამოხტა თავისებურად. მეგონა, აბა ეხლა იქნება სეირი-მეთქი. ჩემს გაკვირვებას სამზღვარი არა ჰქონდა, როცა ბაგეთა მისთაგან წარმოდინდა შემდეგი: ჯერ რადგანაც მე არ გამომირკვევია ნათლად საჭიროება სამეურნოე სკოლისა და ამიტომაც აი აღვსდეგ და მივდივარ და კენჭის ჩამოტარებაში მონაწილეობას ვერ მივიღებო. გავოცდი, და რად გავოცდი — ბოლოს შეიტყობთ. ადგა ეს ვაჟბატონი და ვაჟკაცურად და ყელმოღერებით გავიდა კრებიდამ. აიშალა ის ერთი კუნჭულიც დედაბუდიანად და, როგორც კრუხს წიწილები, უკან გაედევნენ. კრებამ თუმცა არა სთქვა, ვაი უიმისოდ რა გვეშველებაო, მაგრამ თვითონ თ. ი. მაჩაბელი კი უსათუოდ იტყოდა: აბა, ეხლა დაიღუპნენო, აი!..

ღვთის მადლით, კრება მშვიდობით გადარჩა ამ ღვთისრისხვა უბედურობას, რომ თ. ი. მაჩაბელმა ასე უნუგეშოდ დასტოვა და კენჭის ჩამოტარებაში მონაწილეობა არ მიიღო. მეც მადლობა შევწირე ღმერთს, რომ თავზე ცა არ წამოგვექცა, თორემ შენი მტერი!.. წარმოიდგინეთ თ. ი. მაჩაბლის გულქვაობა, მოკითხვის კაციც არ გამოგზავნა, შეეტყო — უჩემოდ დაიხოცნენ თუ კიდევ სული უდგათო. რაც იყო, იყო, მორჩა და წავიდა.

ახლა საქმე რაშიაო? აქ სიბრძნე-სიცრუე რა შუაშიაო? — მკითხავთ. იმაშია, ბატონებო, რომ ამ სამოოთხი წლის წინად სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს დაუდგენია, — აწ არსებულ სკოლასთან საჭიროა გამართულ იქმნას სამეურნოე სკოლაცაო. ჩამოთვლილია, რა გარემოებანი ჰქონია ხსენებულს კომიტეტს საბუთად იმ დადგენილებისა, რომელიც ასე თავდება: „ამ გარემოების მიხედვით უნდა დაარსებულ იქმნას ქალაქის გარეშე სამეურნოე სასწავლებელი სამის წლის კურსით, სადაც შეეძლოთ შესვლა ყველა იმ მოსწავლე ყმაწვილებს, რომლებიც ათავებენ კურსს

სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში და სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლას“.*

სიტყვასიტყვით არის ეს დადგენილება ამოწერილი. როგორ გგონიათ, ვის უწერია ხელი ამ დადგენილებაზე სხვათა შორის? არამც და არამც თ. ი. მაჩაბელს, რადგანაც თვითონვე ამ 23-ს წარსულს დეკემბერს დაგვიფიცა, რომ სამეურნოე სკოლის საჭიროების თაობაზე ჯერ აზრი ნათლად არა მაქვს გამორკვეული და სამის და ოთხის წლის წინად სად ექნებოდა. ხომ!.. კარგი და პატიოსანი. წარმოიდგინეთ, რომ სწორედ თ. ი. მაჩაბელს ხსენებულ დადგენილებაზე ხელი უწერია, ვითარცა სათავადაზნაურო სკოლის კამიტეტის წევრსა!.. გესმით, ბატონებო, იმ თ. ი. მაჩაბელს, რომელიც 23-ს წარსულს დეკემბერს გვეფიცებოდა, ამ სკოლის საჭიროების ჯერ ნათლად არა გამამირკვევია რა, აზრი არ შემიდგენიაო! გესმით, ბატონებო, ეხლა ჩემი გაოცება, როცა თ. ი. მაჩაბელის ბედნიერების ბაგისაგან გავიგე, მე ეს არ „გამომირკვევიაო“.

ვიფიქრე: იქნება ეს თ. ი. მაჩაბელი ერთია და ის თ. ი. მაჩაბელი, რომელსაც დადგენილებაზე ხელი უწერია, მეორე-მეთქი. ვკითხე ერთს ჩემს გვერდით მდგომარეს: ერთი მიბრძანეთ, სხვა თ. ი. მაჩაბელი ხომ არსად არის საქართველოში-მეთქი? იმან ისე შემომხედა, თითქო გამიწყრა: „როგორ არა გცხვენიან და მაგას კითხულობო? განა თ. ი. მაჩაბელი პანტაა, რომ ეგრე წყვილ-წყვილად ცვიოდეს ციდამაო“. პასუხიც არ მაღირსა, მიბრუნდა და ზურგი შემომაქცია. ვიფიქრე: უსათუოდ ბ-ნი ალექ. მირზაშვილი იქნება ეს ვაჟბატონი-მეთქი. ნამდვილად კი არ ვიცი დღესაც, ვინ იყო.

ამას გძლად განმარტება არა სჭირია. ეს ორთავიანობა, ეს ორპირიანობა, ეს ორგულიანობა ერთსა და იმავე საქმეში, ეს ასეთი აშკარად ჰაშას კვრა იმაზე, რაც გუშინ უთქვამს და რაზედაც ხელი უწერია, თავისთავად გვეუბნება, რას ჰნიშნავს და რას მოასწავებს. „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“, სწორედ

* იხილე მეთექვსმეტე გვერდი სკოლის საქმეზე ამორჩეულ კამისიის მოხსენებისა.

ამასა ჰქვიან. აღარ იკითხავთ: თუ დღემდე არ გამოურკვევია საჭიროება სამეურნოე სკოლისა, ამ სამის-ოთხის წლის წინად სადღა ექნებოდა გამორკვეული? ან თუ მაშინ გამორკვეული ჰქონდა, ეხლა რა ალალმა დაჰქროლა იმისთანამ, რომ რაც სიმღერები იცოდა, სულ დაავიწყა? განა დასაჯერებელია გულმართლობა ამისთანა ადამიანისა, ან როცა „ჰოს“ ამბობს და ან როცა „არას“? ადამიანი ბუმბული ხომ არ არის, რომ ქარი ხან აქედ ატრიალებდეს და ხან იქით!

აღარ იკითხავთ: როდის იყო გულმართალი თ. ი. მაჩაბელი? მაშინ, როცა სამის-ოთხის წლის წინათ ამტკიცებდა, რომ საჭიროა ჩვენთვის სამეურნოე სკოლაო, თუ 23-ს წარსულს დეკემბერს, როცა გვეფიცებოდა, ამ საჭიროებისა ჯერ არა გამომირკვევია რაო და აზრი არ შემიდგენიაო? ამბობენ, 1884 წ. ბანკის გამგეობას ამ საგანზევე სჯა ჰქონია და ერთხმად, თ. ი. მაჩაბელთან ერთად, გამოურკვევია და ცხადად და ნათლად მოუხსენებია ზედამხედველ კომიტეტისათვის საბანკო კრებაში წარსადგენად, რომ მეტისმეტად და აუცილებლად საჭიროა სამეურნოე სკოლა ჩვენთვის, პირდაპირი სარგებლობა მისი ჩვენთა მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთათვის ცხადია და ყოველ ეჭვგარეშეაო, და ამ არსებითს საჭიროებას იმისთანა მიწათმოქმედ გუბერნიისათვის, როგორც ჩვენი გუბერნიაა, უნდა უსათუოდ ეშველოს რამეო და ეხლა კი გვეუბნება იგივ თ. ი. მაჩაბელი, ჯერ ამ სამეურნოე სკოლის საჭიროებისა ნათლად არა გამომირკვევია რაო! რომელი ერთი დავუჯეროთ? თუ მაშინ გონება მისი ამ საჭიროებას ნათლად ჰხედავდა, ეხლა რა ჯანაბამ დაუბნელა? აქ ქარის ძლიერება უფროა საკვირველი, თუ ბუმბულის სისუბუქე და სიმჩატე? ეს თქვენ გამოიცანით, ბატონებო, და მე კი ამის დავიდარაბისა არა ვიცი რა.

მე ასე ვფიქრობ: იქნება მას მერმედ ამანაც, ესე იგი თ. ი. მაჩაბელმაც, იგი ბოღაზი სამეურნოე ცოდნისა იპოვა ჩვენში, რომელიც ტელესკოპით დაუნახავს ლილოელს ვარსკვლავთმრიცხველს თ. ი. მაჩაბელსა და რომელიც 23-ს დეკემბერს ჩვენ გვაუწყა.

ეხლა მაინც გვიბძანეთ: რასა ჰგავს ამისთანა საქციელი იმისთანა მძიმე საქმეში, როგორც სკოლის და, მაშასადამე, ჩვენი მოზარდის თაობის განათლების საქმეა! ეს არის განა სიყვარული საქმისა? ეს არის განა გულისა და თავის დადება საქმისათვის? ეს არის განა იგი გულმართლობა, რომლის ნიშნადაც ასე ხშირად გულში ხელს იცემს ხოლმე ეს მართლა და „თამარაშნელი ბულანჟე“! ვინ რას იტყვის, თუ რომ ერთს კაცს ერთის სახის სკოლა მოსწონდეს, მეორეს – მეორის სახისა. ეს სხვადასხვაობა აზრისა კაცთა შორის მარტო ბ-ნ გ. წერეთლს მიაჩნია ცოდვად და სხვას არავის ქვეყნიერობაზედ. ხოლო ეს „ჰო“ და „არა“ ერთსა და იმავე საგანზე ერთსა და იმავე კაცისაგან ხომ ან ერთია სიცრუე, ან მეორე. აქ სიცრუე ხომ აშკარაა ერთ-ერთში და აშკარა. სიბრძნე სადღაა? ეგ თვითონ თ. ი. მაჩაბელსა ჰკითხეთ. აი ამიტომ მოგახსენეთ, რომ ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე სულ სხვაამეთქი.

მშვიდობით, ბატონებო, მეოთხე ლექციამდე.

[1896 წ. 27 იანვრამდე]

<გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მობოდიშების თაობაზე>

ტფილისი, 28 იანვარი

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ (№20) თავისს მეთაურ წერილში ერთს ფრიად დიდმნიშვნელოვანს საგანს შეეხო. თვით სათაური ამ წერილისა გვანიშნებს, რა საგულისხმოა იგი საგანი ჩვენთვის, ქართველებისათვის. ამ წერილს სათაურად აქვს: „სანაციონალო საქმე და ქართველები“.

წერილი იგი გამოწვეულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის სიტყვისაგან, რომელიც წარმოთქმულ იქმნა ამას წინათ იმის თაობაზე, რომ ზოგიერთმა რუსეთის სატახტო ქალაქების გაზეთებმა გამოილაშქრეს ქართველობაზე და შესწამეს ვინ იცის რა. “მოსკოვსკიე ვედომოსტი” ამბობს, რომ ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ იმ მხურვალე ერთგულობას, რომელიც ბ-ნ მარშლის სიტყვაშია გამოცხადებული ჩვენის „საერთო მამულის“ მიმართო. მეორეს მხრით ისიც კი უნდა შევნიშნოთ, ამჯერად კი მწუხარებით, რომ ზოგიერთა გაზეთის მეტსიტყვაობამ მართლა აუმღვრია მამულიშვილური გრძნობა ქართველ ერის წარმომადგენელთა თავადაზნაურობასაო. როგორცა სჩანს, ამ მეტსიტყვაობაში ზოგიერთი გაზეთები მართლა დანაშაულები არიანო.

მეთაური წერილი ამით ამართლებს ამ მეტსიტყვაობას და გამოურკვევლობას ზოგიერთ გაზეთებისას, რომ იგინი ჰლაპარაკობდნენ სომხებზე და არა ქართველებზე და რადგანაც საერთო „ტუზემცებს“ ახსენებდნენო განურჩევლად — ქართველია თუ სხვა მილეთის კაცი,

— ამიტომაც ქართველებმაც იწყინესო ის, რაც სხვაზე იყო ნათქვამიო. ბევრი წერილები იყო სომეხთა შესახებ და არა შესახებ ქართველებისაო. „ნოვოე ვრემია“-ს ფელეტონები მართლა მიზეზს მისცემდნენ, რომ ეგრე ეფიქრათო, რადგანაც აქ, ჩვენდა სამწუხაროდო, ერთისა და იმავე საერთო სახელით “ტუზემეც” იგულისხმება ყველა ერი კავკასიისაო. ჩვენ ძალიან დიდი შეცდომა გვგონია ასე ერთის სახელით ხსენება ყოველის ერისა კავკასიაშიო და თუ ასე მოუხდა „ნოვოე ვრემიას“, წინდაუხედავობით მოუვიდაო და ეს გაზეთი თავის დღეში არ უყურებს ქართველებს და სომხებს, როგორც ერთარსების ერსაო.

ასეა თუ ისე, ჩვენ ბ-ნ მარშლის თ. წერეთლის თანახმად დარწმუნებულნი ვართო, რომ არც მთავრობა და არც საზოგადოება რუსეთისა ერთმანეთში არ ურევს ქართველებსა და სხვა რომელსამე ერს კავკასიაშიო. რაც ჩვენში თქმულა „ტუზემცებზე“, ის ქართველებს არ შეეხებაო. თუ სადმე ვინმე განურჩევლად უყურებს კავკასიის ერთა, ჩვენა ვნატრობთ, რომ რაც შეიძლება მალე გაგებულ იქმნას ჩვენში აუცილებელი საჭიროება გარჩევისა და მაგ სამწუხარო განურჩევლობას რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლოო.

არაერთხელ გამოგვიქვეყნებიაო დაწვრილებით ჩვენი აზრი, რომ რუსეთის „სანაციონალო იდეია“ სულაც არ მდგომარეობს იმაში, რომ თავისებური სახე წაუშალოს, თავისებურობა ჩამოართვას, დაუკარგოს იმ მრავალ სხვადასხვა ერსა, რომელიც შესულია რუსეთის იმპერიაშიო. კუთვნილება იმ დიდის ოჯახისა, რომელსაც წარმოადგენს რუსეთის ეროვნება, იმაში უნდა იჩენდეს თავსა, რომ სულიერი ნათესაობა გვქონდეს ერთმანეთისა, ერთად ვიღვწოდეთ ერთიანის მამულის სიკეთისათვისაო. ამ მხრით სახელოვანი თავადი ბაგრატიონი ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო რუსეთისაო და ამასთანავე ქართველიცაო. იმისთანა კაცებს კი, როგორც დრაგომანოვი არის, ჯიშით წმინდა რუსი, არაფერი საერთო არა აქვს რუსეთის ერთანაო.

ყოველ ამის შემდეგ მეთაური იხსენიებს, რომ ქართველობა ერთადერთი ერია, რომელსაც უნდა დაემყაროს რუსეთი კავკასიაში. ქართველების დიდი

მნიშვნელობა რუსეთისათვის სწორედ ამაშიაო. ჩვენ დავიწყებული არა გვაქვს საქართველოს ისტორიაო. ჩვენ ვიცითო, რომ საქართველო კავკასიაში იმავ ისტორიულ მისიის გამომეტყველია, როგორისაც რუსეთიო. თუ ჩვენ ძმურად ვექცევით სხვა ჯიშის ერსა, მით უფრო ძმურად არ უნდა მოვეპყრათ ქართველებსა, რომელნიც ნებით შემოგვიერთდნენ რუსებსაო და რომელნიც იმავე საქმისათვის იღწვიან, რისათვისაც რუსებიო? თუ რუსეთმა დაიხსნა საქართველო, ამით დაიხსნა საკუთარი – ქართველებთან ერთად გაერთებული – საქმეო; კავკასიაში ქართველებისა და ჩვენი საქმე ერთმანეთისაგან განუშორებელია და ერთი და იგივეაო.

ამიტომაც დიდი უსამართლობაა, შეუწყნარებელი წინააღმდეგობაა მამულისშვილობისა, უსიყვარულობაა რუსეთისა, გმობაა ჩვენის ეროვნებისა, რომ ქართველებზე ცუდი რამ გავიტაროთ გულში, ქართველებს ვაწყენინოთ და მათზე ეჭვი რამ ვიქონიოთო, მაშინ როცა ამისი მიზეზი არ მოუციათო.

ჩვენ რა გვეთქმის ყოველ ამაზე გარდა იმისა, რომ თქვენს პირს შაქარი-თქო. მხოლოდ აქ ერთი ამბავი გვაგონდება. ერთმა კაცმა, სულის დალევის ჟამს, მოიწვია მოძღვარი, თავისი ნათესავები, მახლობელნი და ასეთი ანდერძი გამოუცხადა: შენთვის, ჩემო მოძღვარო, მიანდერძებია ასი თუმანი, ამისათვის ორასი, იმისათვის სამასი და ამრიგად ყველასათვის გაუნაწილებია. გაჰხარებიათ ყველას ამისთანა გულუხვობა მომაკვდავისა. ბოლოს, პირველ სიხარულს რომ გადაუვლია, უკითხავთ: მადლობელნი ვართ ამ შენის მოწყალებისათვისა, ხოლო გვიბძანე საიდამ მივიღოთ ეგ შენი ნაანდერძებიო, ან ვის მოვკითხოთო. იმას არც უციებია და არც უცხელებია და უპასუხნია: ახლა მაგისათვისაც დარდი და ნაღველი მე უნდა გამაწევინოთო!..

[1896 წ.]



<სამეურნეო–საკრედიტო საზოგადოების უსაფუძვლო კრიტიკის თაობაზე>

ტფილისი, 6 თებერვალი

გაზეთი „კავკაზი“ არა სცხრება. არ იქნა, ჩვენი ქართველური ვერა მოვაწონეთ რა. მოწონებას ვინა ჰფიქრობს. შესაძლოა, ბევრი წუნი გვქონდეს და რად უნდა აეკრძალოს გაზეთს, რომ გამოგვიმჟღავნოს ის წუნი. ოღონდ ყველაფერს, ქება იქნება თუ კიცხვა, სამართლიანი და საბუთიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ მაშინა აქვს ფასი ქებასაც და კიცხვასაც, როცა ერთიცა და მეორეცა აგებულია საბუთზე და გულმართლობაზე. ჩვენ ვამბობთ, მაშინა აქვს ფასი. ფასი კი არა, მხოლოდ მაშინ არის დასტამბული სიტყვა ღირსი თავისის წმინდა დანიშნულებისა, უიმისოდ კი ყველა სხვა სიტყვებზე უფრო საძაგელია, საგმობელი და საზიზღარი.

ჩვენ გვიკვირს, რომ იმისთანა ოფიციალური გაზეთი, როგორც „კავკაზია“, ღირსებას დასტამბულის სიტყვისას არაფრად ჰხადის. მოგვდგომია, ბატონებო, ჩვენ, ქართველებს და ილია ხონელის პირით იღრინება ყოველს იმაზე, რაც, ჩვენის შეძლებისამებრ, ასე თუ ისე დაგვიწყვია და რასაც, ჩვენის შეძლებისამებრვე, ასე თუ ისე ვაწარმოვებთ, რომ როგორმე და რითიმე ჩვენის თავის საჭიროებას და ვაგლახს გავუძღვეთ. არც ერთი ჩვენი მიერ დაწყებული და წარმართული საქმე არ გადარჩენია „კავკაზს“, რომ ილია ხონელის წარამარა კალმის წვერით არ ააგდოს ქვა და არ შეუშვიროს თავი. ჩვენი დრამატიული საზოგადოება გნებავთ, ჩვენი სათავადაზნაურო ბანკი თუ ეს ახალი

საზოგადოება სამეურნოე ურთიერთობის კრედიტისა ყველგან და ყოვლისფერში, თუ ჩვენი მოხუცი „კავკაზი“ იტყვის რასმე, უსათუოდ იმისთანას, რომ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც სახელი გაუტეხოს, თავზე ლაფი დაასხას, მიწასათან გაასწოროს, გაჩენისვე უმალ მოაკვდინოს, თითქო ყოველივე ქართული თვალში ეკლადა აქვს გაყრილიო. ესეც მომხდარა, რომ „კავაკზში“ ერთსა და იმავე ნომერში ერთს გვერდზე ერთს ამბობდეს და მეორეზე ილია ხონელის მოწყალებით თავისსავე ნათქვამს მთლად და სრულიად უარჰყოფდეს. თუ „კავკაზს“ ჰნებავს, ამის არა ერთსა და ორს მაგალითს ვაჩვენებთ.

არ ვიცით, რას მივაწეროთ ყოველივე ეს? რა დაუშავა ქართველებმა „კავკაზს“, რომ ასე გვექცევა და ამ სახით გვითხრის იმას, რასაც ჩვენ ჩვენის მოკლე ღონით ვაშენებთ? ეს მით უფრო საკვირველია, რომ „კავკაზი“ ოფიციალური გაზეთია და პატივი სიტყვისა ამისათვის უფრო სავალდებულოა და მართებული. ეს უფრო ფრთხილი და წინდახედული უნდა იყოს, როცა რასმე ამბობს და უნდა ერიდებოდეს ყოველს წარამარა და უწმაწურს ლათაიებს იმისთანა მწერლისას, რომლისათვისაც გრძნობა სიმართლისა, მიუდგომლობისა, — ეს აუცილებელი ღირსება კაცურკაცობისა ღმერთს არ მიუნიჭებია. თორემ აქაოდა „კავკაზი“ ოფიციალური გაზეთია, ბევრი ისე მიიჩნევს, ვითომც აქაური ოფიციალური წრეც „კავკაზის“ ნათქვამის თანამოაზრეა, მისის სიტყვის თანახმაა, მისის აზრისა.

მართალია, „კავკაზის“ წერილებს, რომელნიც ჩვენს საქმეებს ასე სთხრის და თავზე ლაფს ასხამს, ქვეშ ილია ხონელის სახელი აწერია და ილია ხონელი ყველამ კარგად იცის, რა არის და ვინ არის, მაგრამ მაინც კიდევ „კავკაზი“ პასუხსგებისაგან ვერ გამოვა და ვერ იმართლებს თავს იმითი, რომ ილია ხონელი ხომ იციან, რა კაცია და ყურს ვინ ათხოვებსო. თუ ასე ჰფიქრობს „კავკაზი“, მაშინ რაღადა ჰბეჭდავს იმისთანა წერილებს, რომელსაც ყურს არ ათხოვებენ? აშკარაა, აქ სულ სხვა ამბავია, თორემ ამითი როგორ აიხსნება ესეთი დაჟინებული და დაუცხრომელი დევნა ჩვენის

საქმეებისა, მათი ავადხსენება უსამართლოდ, უსაბუთოდ მოთხრა, უსაბუთოდ სახელის გატეხა.

აკი ვამბობთ, მადლობელნიც ვიქნებით, თუ რომ „კავკაზი“ ჩვენს ავსა და ცუდს გაგვიმჟავნებს, დაგვანახვებს, კარგს რასმე გვირჩევს, კარგს რასმე დაგვარიგებს. ვინ სულელი იტყვის, რომ ჩვენ, ქართველები, ყველაფრით სრულნი და სავსენი ვიყვნეთ. ჩვენ ადამიანები ვართ და ადამიანი უნაკლულოდ არსად გაუჩენია ღმერთს. ამ ნაკლულობისავე არიან საქმენიც ადამიანისა. სრულყოფილად საქმე არავის გაუჩენია. დროსა და გამოცდილებას ყოველთვის უსწორებია პირველში არდანახული ავკარგიანობა ახლად გაჩენილის საქმისა. რომელი კაციც უფრო შორს გააწვდენს თვალს, უფრო დიდს მანძილზე გაუსინჯავს და მოუჩხრეკს გზას ახლად გაჩენილს საქმეს, მით უფრო სასურველია და მადლობის ღირსი, როცა იგი კაცი თავისს დანახულს და გასინჯულს გვაუწყებს. ხოლო ყოველს ამას ჭკუა უნდა, ცოდნა უნდა, თვალის სინათლის ქონება უნდა. ვინ ილია ხონელი და ვინ ჭკუა, ვინ ცოდნა, ვინ თვალის სინათლე!..

ჩვენ სირცხვილად მიგვაჩნია, ჩვენი ქვეყანა ისე გაუკაცურებულად იცნას ვინმემ, რომ ილია ხონელი დამრიგებლად და გზის მასწავლებლად გაგვიხადოს!..

გული წრფელი მაინც ჰქონდეს მაგ დალოცვილსა, სხვას ყველაფერს დავჯერდებოდით, სხვას ყველაფერს, როგორც იქნება, ავიტანდით, შევიწყნარებდით. ჩვენდა სამწუხაროდ, ესეც არ გამოუმეტნია მისთვის ღმერთსა. აუღია, ბატონებო, კალამი და აქაოდა რედაქცია „კავკაზისა“ კბილს არ მიჩხრეკსო, გულწრფელობას და სიმართლეს მჩვარში ახვევს და ტყუილების გუდას პირს მოხსნის ხოლმე. ალბად იმისი იმედი აქვს, რომ რედაქციას „კავკაზისას“ ჩვეულებად დასჩემებია განუკითხველად ჰბეჭდოს ის, რაც ილია ხონელს თავისის ანგარიშებისათვის ენაზე მოადგება.

ამის დასამტკიცებლად შორს სიარული არ მოგვინდება. საკმაოა მოვიყვანო საბუთი იმ ფელეტონიდამ, რომელიც „კავკაზში“ (№26) დაბეჭდილი ილია ხონელისაგან. „კავკაზის“ რედაქციას ცხვირწინ ჰქონდა საბუთები და მარტო ნახევარი საათი გარჯა მოუნდე-

ბოდა, რომ შეეტყო რამოდენად მართალია ყოველივე ის, რაც ილია ხონელმა ჩვეულებისამებრ იკადრა და არ ითაკილა, ოღონდ კი სახელი გაუტეხოს ახლად გაჩენილს საზოგადოებას სამეურნოე კრედიტისას და თავზე ლაფი დაასხას მისთა გამგებელთა და წარმართველთა. ეს საბუთები იგი ბალანსებია, რომელიც თვით „კავკაზშივე“ იბეჭდებოდა სამეურნოე კრედიტის გამგეობისაგან. რა დიდი რამ იყო, „კავკაზის“ რედაქციისათვის მოეკითხნა თავისს გაზეთშივე დაბეჭდილი ბალანსები და შეემოწმებინა რამოდენად ჰგავს მართალსა უკადრისი და ყოველ სიმართლეს მოკლებული ლაპარაკი იმ წარამარა მწერლისა, რომელსაც ილია ხონელი ჰქვიან.

რედაქცია „კავკაზისა“ მოვალე იყო ესე მოქცეულიყო. სამეურნოე კრედიტის საქმე ახალი საქმეა და ამას პირველშივე ტყუილებით და თავდაუჭერელ ცილებით კი არ უნდა კაცმა წაუხდინოს სახელი, არამედ უნდა შეეწიოს, უშველოს ჭკვიანურის და გულმართალის დარიგებითა და რჩევითა. ეს სალაღობო ფელეტონის საქმე ხომ არ არის, რომ მარტო მასხარაობა მოეთხოვებოდეს. საზოგადო და საპატივო. სხვა არა იყოს რა, დღეს ოთხასზე მეტი კაცი ჰყავს წევრად და ამათ ხუთი ათას თუმანზე მეტი ფული აქვთ თავისის ჯიბიდამ გადადებული ამ საზოგადო საქმისათვის. ამ ოთხასის კაცის პატივი მაინც უნდა შეენახა „კავკაზს“ და არ ეკადრნა ტყუილებით ამათს წინაშე წინ წამოდგომა ასე მოურიდებლად.

„კავკაზმა“, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მართებული გზა არ ირჩია. რაღაც გაუგებარის მიზეზისა გამო, უმჯობესად დაინახა ეს ოთხასი კაცის საქმე ილია ხონელის ყბადასაღებად გაეხადნა და მისის ცილებით მოესვარა. თვითონ „კავკაზმა“ განსაჯოს, რამოდენად მართებულია ასე გაუპატიურება ამოდენა ხალხის საქმისა, ასე უმართლოდ, უკადრისად გაწირვა ამ ოთხასი კაცის ინტერესებისა — მერე რა გზით? მარტო ტყუილების და ცილების მოწყალებითა.

აი „კავკაზშივე“ დაბეჭდილი ბალანსები რას ამბობენ და მერე ჰნახეთ, იმავე საგნებზე რას ამბობს ფელეტონი „კავკაზისა“.

საპირველაგვისტოდ წევრთა ფული ასულა 37, 735 მანეთამდე, წევრად შესულა 191 კაცი, ვექსილებით გაუსესხებიათ 16,000 მანეთი.

საპირველსეკტემბროდ წევრთა ფულს უმატნია და ასულა 41,125 მანეთამდე, წევრთა რიცხვი ასულა 246-მდე, ვექსილებით გაუსესხებიათ 30,725 მან.

საპირველოკტომბროდ ასულა: წევრთა ფული 44,200 მანეთამდე, წევრთა რიცხვი 302, ვექსილებით გაუსესხებიათ 45,755 მან.

საპირველნოემბროდ ასულა: წევრთა ფული 47,410 მან., წევრთა რიცხვი — 340; ვექსილებით გასესხებული 51,495 მან.

საპირველდეკემბროდ ასულა: წევრთა ფული 48,105 მან., წევრთა რიცხვი 395, ვექსილებით გასესხებული 66,445 მან.

ხომ აშკარაა, რომ თვე და თვე წევრთა ფულსაც უმატნია, წევრთა რიცხვსაც და ვექსილებით გასესხების ოპერაციასაც. მაშასადამე, უმატნია თვით ნდობასაც, იმიტომ, რომ სხვა რაში გამოისახება ნდობა, თუ არა იმაში, რომ ფულიც შეაქვთ და წევრადაც შედიან. ახლა ყური დაუგდეთ ილია ხონელის და მასთან ერთად "კავკაზის" თავგასულს ლაპარაკსა და კადნიერად წაშლას და შეგინებას ყოველ იმისას, რასაც სიმართლე და მართალი ჰქვიან. „წევრნი არკი მოდიან, მიდიანო /!/ ოპერაციები არ მატულობს კი, კლებულობსო /!/, საზოგადოების მიმართ ნდობა არკი მტკიცდება და მაგრდება, ჰქრებაო /!/ და სხვანი და სხვანიო“.

გაგიგონიათ სადმე ასეთი აშკარა, ასეთი კადნიერი, ასეთი უსირცხვილო ტყუილი!.. რომ ილია ხონელს ვერ გაერჩიოს, რომელია მატება და რომელი კლება, — ეგ საკვირველი არ არის, იქნება მაგის უნარიც არ აღირსა ღმერთმა. „კავკაზის“ რედაქციისაგან კი ფრიად და ფრიად საკვირველია. ან იქნება „კავკაზმა“ სთქვას, რომ მე ილია ხონელის თქმული უფრო მჯერა, ვიდრე რაღაც ბალანსების სიტყვაო. ღმერთმა მშვიდობა მისცეს, თუ ესეა. ხოლო ჩვენმა მკითხველებმა კი უნდა იცოდნენ, რომ იმ ბალანსებს ხელს აწერს სამი კაცი გამგეობისა, რომელნიც კანონის წინაშე პასუხისმგე-

ბელნი არიან, თუ მცირედი ტყუილი რამ გამოერიოს ბალანსში. ილია ხონელს კი რა დარდი შეაწუხებს, თუნდ ერთის მაგიერად ათასი ტყუილი სთქვას. ღმერთმანი, სიყვარული მართლისა ხელს დაუჭერს ან ტყუილის უკადრისობას შეუშინდება!

მართალია, ილია ხონელი ეს ორი წელიწადია, რაც ჩვენდა სამარცხვინოდ, გაგვიხდა Хозяйном положения, როგორც რუსები იტყვიან და ეხლა იქნება ოფიციალური დანიშნულებაც რამ მიიღო, რომ ჩვენი ოფიციალური გაზეთი ასე განუკითხველად მის ფეხის ხმას აჰყოლია და მისს უნარს მწერლობისას კბილს არ უსინჯავს.

[1896 წ.]



<ქართული სამონასტრო მამულები ბერძენი ბერების სამსახურში>

ტფილისი, 8 თებერვალი

გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომა ბესსარაბიის თავადაზნაურობას საგუბერნიო კრებაში სიტყვა ჩამოუგდია იქაურ სამონასტრო მამულებზე. ყველამ იცის, რომ ბესსარაბიაში დიდძალი მამულები ეკუთვნის მონასტრებსა, რომელნიც აღმოსავლეთში არსებობენ. წინდაუხედავ და ყოვლად ურიგო ბატონობამ ბერძნის ბერებისამ ამ მამულებშიო, ამბობენ გაზეთები, ამ ოცდახუთის წლის წინადვე მიიქცია ყურადღება იქაურ ერობისა, რომელმაც დაადგინა თურმე, როგორმე უშველოს და ამისთანა ურიგობა მოსპოს. მაშინ ერობას შუამდგომლობა გაუწევია, რომ იგი მამულები ბერძნის ბერებს ჩამოერთვას და ერობას მიეცეს. ეს საქმე იქ იმით გათავდა, რომ ხაზინამ დაიკუთვნა ის მამულები, მისის შემოსავლით დაჰმართა სკოლები და სხვა სამადლო საქმესაც უძღვებოდა. პატრონობა და ხმარება მამულებისა რიგში და წესში ჩავარდა, სკოლები გამრავლდა, ბევრი ეკკლესია აშენდა და შეკეთდა. რაც ყოველს ამას ჰრჩება, იმას დღესაც უგზავნიან ბერძნის ბერებს აღმოსავლეთში.

ეხლა, როგორც ეტყობა, ამ მონასტრის მამულების საქმესვე შესდგომია თავადაზნაურობა. საიდღამაც შეუტყვიათ, რომ ბერძნის ბერები ძალიან ირჯებიან, ეგება ეს მამულები ხელახლად დაიბრუნონ და ერთს ბესსარაბიის აზნაურთაგანს - კრისტის უთქვამს, ეხლა საქმე ამ გზაზედა სდგასო და საჭიროა თავადაზნაურობამ ხმა ამოიღოს და არამც და არამც ბერძნის ბერებს

ხელში ეს მამულები აღარ ჩაუგდოსო. კრებაში გამოაცხადეს, რომ სხვა ქვეყნის სამღვდელოების უფლება ამ მამულებზე უსაბუთოა: თავისს დღეში იმათ საკუთრების უფლებით არა სჭერიათ ჩვენში მამულები და თუ არხივებში მოვნახავთ, ბევრს საბუთს ვიპოვით ამის დასამტკიცებლადაო. ბოლოს კრებას დაუდგენია, ვიშუამდგომლოთ, რომ უარი ეთქვათ ხსენებულ მამულებზე ბერძნის სამღვდელოებასაო.

გაზეთები ჰკვირობენ: იმისთანას რას ჰხედვენ ამ დროში ბერძნის ბერები, რომ იმედი მისცემიათ მამულების დაბრუნებისა და დაძინებული საქმე ხელახლად გაუღვიძებიათო?

ჩვენშიაც არის ამისთანა მამულები და თუმცა იგინი, თუ არა ვცდებით, ხაზინის განკარგულებაშია, მაგრამ შემოსავალს კი სულ ბერძნის ბერებს უგზავნიან ათონის მთაზე. ესეთი წყალობა მით არის საოცარი, რომ მონასტერი, რომელიც ძველისძველიდანვე ქართველებისა იყო და რომელსაც შესწირეს ქართველებმავე აქაური მამულები, ეხლა ბერძნის ბერებმა დაისაკუთრეს და ქართველი ბერები კი გამოჰყარეს. რამდენსა ჰსცდილობენ საწყალი ქართველთა ბერები, რომ ესე კადნიერად გალახული ბერძნის ბერებისაგან სამართალი კვლავ აღედგინათ და ქართველთა მონასტერი და მისთვის შეწირული მამულები ქართველთ ბერებსვე ჰქონოდათ, მაგრამ ბევრს არას გახდნენ.

განა ცოდვა იქნება და არა დიდი მადლი, დიდი ღვაწლი, რომ ჩვენებურმა თავადაზნაურობამ ამ საეროვნო საქმეს უპატრონოს და ეცადოს, ჩვენივე ჩვენებს დაუბრუნოს! დიდი შემოსავალი აქვს ბერძნის ბერებს ჩვენგან თუ ცოტა, განა არა სჯობია, იგი შემოსავალი ან აქვე მოხმარდეს სკოლებს და ეკლესიებს, ან სხვა სამადლო საქმეს, როგორც ბესსარაბიაში არის თურმე, ან ისევ ჩვენს ბერებს მიეცეთ, ათონის მთაზედ მცხოვრებთა და არა უცხო თესლის ბერებს, როგორც ჩვენთვის ბერძნები არიან. ჯერ ამას ითხოვს სამართალი და მერე იგი სახსოვარი ჩვენთა მამა-პაპათა. რომელთაც ათონის მთაზე ქართველთა და საქართველოს ხსენებისათვის ამოდენა ღვაწლი დასდეს და ამოდენა მამულები შესწირეს და გაიმეტეს. იმის მაგიერად, რომ

აქ დღეს თავადაზნაურობის სახელით ერთმანეთს თავში ვცემთ, ერთმანეთს ვრისხავთ და ვგმობთ, ის არა ჯობია, ეგ სახელი თავადაზნაურობისა ამისთანა საქვეყნო საქმეს მივაშველოთ და თუ რამ ვისმე შეუძლიან, ამისთანა საქმეში გაუწიოს ჩვენს ქვეყანას სამსახური... აქ საქმეც საკადრისია თავადაზნაურობისათვის და ღვაწლიც, თუ გული მართლა ჰგულობს და სახელი ჰსახელობს.

[1896 წ.]

<გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო>

ტფილისი, 11 თებერვალი

სტირის და გლოობს მთელი საქართველო. მართლადაც უნდა იტიროს და იგლოვოს. დაკარგვაც არის და დაკარგვაც. დღეს საქართველომ დაჰკარგა ერთი იმისთანა დიდებული კაცი, რომელიც არამც თუ ჩვენში, საცა ასე იშვიათია კაცური კაცობა, სხვაგან ყველგანაც, საცა დიდბუნებოვანება ადამიანისა ხშირია, იქაც კი ამისთანა კაცი სასახელოა და თავმოსაწონებელი მთელის ერისათვის.

აღარა გვყავს ჩვენი სასიქადულო, ჩვენი გათქმული და სამართლიანად სადიდებელი მღვდელმთავარი, ყოვლად ბრწყინვალე და პატიოსანი ეპისკოპოსი გაბრიელ. როცა რომელისამე ერის სიკეთე გნებავთ დაანახვოთ ვისმე, ერის აღმატებულობა დააჯეროთ, სწორედ ამისთანა კაცებს დაასახელებენ ხოლმე, აი ამ ერს ამისთანა კაცები ჰყავსო. ამისთანა კაცების ჩამოთვლით ერის კაცობას ზომავენ. დღეს ჩვენ ამისთანა კაცი დავკარგეთ და მოდით, ნუ იტირებთ, ნუ იგლოვთ!..

ვაი, რომ ჯერ, როცა ამისთანა კაცი საფლავში არ ჩაგვისვენებია, როცა მისი წმინდა გვამი თითქმის არც კი გაციებულა, როცა მისი კუბო ჯერ კიდევ თვალწინ გვისვენია და ველით, საუკუნოდ სახსენებელი ვუთხრათ ცრემლითა და გოდებითა, — ჩვენი რუსული გაზეთი „კავკაზი“ გვიგინებს მიცვალებულსა, მთელის საქართველოს წმინდა ცრემლში ურევს უწმინდურს ღორბლს ილია ხონელისას და ზედ აყრის ჯერ არგაციებულს გვამსა.

ჩვენ ვიცით, საიდამა სტკივა ჭიანი კბილი ილია ხონელს და ის ჭიანი კბილი რისთვის გამოჰკრა ამ პატიოსანს გვამსა, რომელსაც არც კი დააცალა მიჰბარებოდა მიწას. მაგრამ ის კი არ ვიცით, ჩვენი „კავკაზი“ რას გადაგვკიდებია და არ გვაცლის იმოდენას მაინც, რომ ჩვენი სასიქადულო მიცვალებული დავმარხოთ შხამდაუსხმელად ილია ხონელის ცილისწამებისაგან.

რა უნდოდა ეთქვა „კავკაზს“ იმით, რომ ჯერ ამბობს, განსვენებული იყო „უნიჭიერესი და სახელოვანი მღვდელმთავარი საქართველოს ეკკლესიისაო“ და მერე უმატებს — როგორც ადმინისტრატორი კი არ ვარგოდაო. მითამ უკეთესი ქართველიც კი უარესი ადმინისტრატორიაო, განა? თუ მართლა ნიჭიერი და ყველაზე მეტად გათქმული ქართველი მღვდელმთავარი ადმინისტრატორად არ ვარგა, ცხადია ამაზე ნაკლები რა ადმინისტრატორი იქნება. ამისი თქმა უნდოდა განა? გვესმის...

შესაძლოა უნიჭიერესი და სახელოვანი მღვდელმთავარი მართლა კარგი ადმინისტრატორი არ იყოს, ამაზე, რა თქმა უნდა, გძელი ქსელი გაიბმის ლაპარაკისა, მაგრამ ამ შემთხვევაში, რაკი იმისთანა მართლა სახელოვანს და უნიჭიერეს მღვდელმთავარზე, როგორიც განსვენებული ბძანდებოდა, სიტყვა ჩამოაგდო „კავკაზმა“, უბრალო წესი მართებულობისა ითხოვდა, საბუთიც ეჩვენებინა, ერთი რამ საბუთი და არ აჰყოლოდა ამისთანაებში ყოვლად ცნობილს ავყიობას და ენაჭარტალობას იმისთანა კაცისას, როგორიც ილია ხონელია.

თუნდ ცოტა ხანს დავუჯეროთ „კავკაზს“, რომ განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსი ცუდი ადმინისტრატორი ყოფილა და რამოდენადაც ეს მართალია, „კავკაზის“ ნამუსზე მივაგდოთ. საქმე ის არის ვიკითხოთ: განა მარტო ეს გვაკმარა!.. ჩვენი მშვიდობიანი გულმართალი, ჩვეულებრივ წყნარი, ყოველის გაჭირებულის გამკითხველი და შემწყნარებელი, სათნოებით და მადლით სავსე განათლებული მღვდელმთავარი, „კავკაზის“ სიტყვით, ერთი ახირებული, რაღაც გულღვარძლიანი კაცი გამოდის. იგი მისთანა მძიმე

ხასიათისა ყოფილა, რომ კაცი თურმე ვერ მიეკარებოდა. ეს ცოტაა: იგი დესპოტურის ბუნებისაც ყოფილა და ამის გამო ისეთი რაღაცეები ჩაუდენია, რომ სამართლიანად დაერქვაო „მაჩხუბარი თუ მეომარი ბერმონაზონიო“. არც ეს აკმარა „კავკაზმა“: ყველას ეჭვის თვალით უყურებდა, ყველას ზედ მიესევოდა თუ გამოეკიდებოდაო, ყველასთან საომარ ფეხზე იდგაო, ესე იგი ყველას ეჩხუბებოდაო და სხვანი და სხვანი.

საბუთი, საბუთი!.. ბ-ნო რედაქტორო!.. ყოველ ამაზე საბუთი გვიჩვენეთ, საბუთი! უსაბუთოდ ვერ გაგაქელვინებთ ამისთანა კაცს, ვერ გაგაუპატიურებინებთ გრძნობას საკუთარის ღირსებისას მთელის საქართველოსას. ეგ კაცი ჩვენი სახელი იყო და არის, ჩვენი ღირსება იყო, არის და იქნება კიდეც, ვიდრე ქვეყანაზე სიტყვა "სამართალი" არ გაუქმდება ისე, როგორც გაუუქმებია იგი თქვენს საყვარელ ილია ხონელს, რომლის პირითაც მოგვდგომიხართ და საყვარელს მკვდარსაც არ გვამარხვინებთ შაუგინებლად. აქ ან საბუთი, ან ბოდიში!.. სხვა არარა დააწყნარებს აღშფოთებულს გულს პატიოსანის კაცისას.

რაცგინდ იფიქროს „კავკაზმა“, ჩვენ კი არავის არ შევაგინებინებთ იმისთანა კაცს, როგორიც ჩვენდა სასახელოდ და სასიქადულოდ მოგვივლინა ღმერთმა და აწ წაგვართვა და რომელიც მიჩნეულია უკეთესს მღვდელმთავრად არამც თუ ჩვენში, არამედ ბევრგან სხვაგან. არავის შევაბღალვინებთ ჩვენს ძვირფასს მკვდარს, ჩვენს წმინდა მცხედარს, რომლის კუბოსაც დღეს მუხლმოდრეკით პატივსა სცემს დიდი და პატარა. ამისთანა უსაბუთოდ ავად ხსენებას ყოვლად ღირსეულის კაცისას, რომლის სახელსაც ყოველი ქართველი ილია ხონელის გარდა, დიდი პატივით და სასოებით იხსენებს, რომლის წმინდა გვამსაც მთელი საქართველო თავისს ცრემლს ადენს, უიმისოდ ვერ შევარჩენთ ვერავის, რომ ჩვენი სრული ზიზღი, ჩვენი სამართლიანი წყევლა-კრულვა არ შევუთვალოთ.

ამისთანა ამბებმა განუკითხველად არ უნდა ჩაიაროს. თუ „კავკაზს“ ცალკე ადამიანის ღირსების გრძნობა არაფრად მიაჩნია და არ ერიდება უსაბუთოდ მის გათელვას და შებღალვას, ამ შემთხვევაში პატივი

მაინც უნდა შეენახა, სხვა არა იყოს რა, მთელის საქართველოს ერისა, რომელსაც სამართლიანად მიაჩნია ლოცვა-კურთხევით გამოეთხოვოს სამუდამოდ თავისს სასიქადულო და დიდებულს კაცსა და ილია ხონელის უწმინდურ დორბლით არ ცდილიყო შეებილწა ჯერ თითქმის არგაციებული მცხედარი.

ნუთუ „კავკაზს“ ჰგონია, რომ გრძნობა ღირსებისა საქართველოს ერს იმოდენად გაღვიძებული არა აქვს, რომ გაუპატიურებად არ მიიღოს ესეთი უგვანო, უმართებულო, უწმინდური, უშვერი თელვა და გინება მისი, რასაც იგი დღეს თავისს სიქადულად და სახელად სთვლის და საუკუნოდ ესალმება გლოვითა და ტირილითა.

[1896 წ.]



სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს

არ ვიცი, ამდენს მშვენივრად თქმულ სიტყვებ შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს რა ღირსი თქმისა, და ზოგი იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან უღონოდ ვგრძნობ თავსა — მისს თვალგადაუწვდენელს კიდეებს ერთბამად თვალი გადავაწვდინოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდამ დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველმხრიდამ დიდებული სანახავია. ამისთანაა იგი, რომელსაც დღეს დავტირით.

დიაღ, ბატონებო, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება. „ნეტავი იმასაო, — ამბობს ერთი ძველადძველი ბრძენი, — ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“. აი ჩვენს წინაშე მდებარეა იგი მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი.

თვითვეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავს თავისის სამართლიანის განკითხვითა.

მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — საერო, თუ სამღვდელო, — რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობისყოფით, მომეტებულის დაძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმადმიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმადმორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალთახილულია და გონებაგაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთაძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელს ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის

შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრნი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.

იგი ერთს თავისს ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულგაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვანად ვემსახურო ეკკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითვეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკკლესია ღვთისა ჰქვიანო. ეს მისთვის ლიტონი სიტყვა არ იყო, სამღვთო წერილიდამ ამოკითხული და გაზეპირებული. ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება, ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარედ მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვაწლი — ღვაწლად, მადლი — მადლად, საქმე — საქმედ. არ არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტნოს ამ რწმენისათვის, პირიქით, თვისი ხანგრძლივი სამსახური მარტო ამ რწმენას შესწირა და შეალია. კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, — ამას მარტო ღრმადმეცნიერული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს.

რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღაღადა ერთს თავის დაუვიწყარ ქადაგებაში, და სხვა არარა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ. "მე თვითონ არ მინახავსო, — ამბობს იგი, — ხოლო გამიგონია სარწმუნო კაცთაგან,

რომელ ერთს ძველადძველს ეკკლესიაში კედელზედ არის დახატული ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახაო!"— ჰნატრულობს ამ საუცხოო ხატით აღტაცებული მღვდელმთავარი: — „მაშინ მე გავიცნობდიო მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემიო! რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი, ყოვლადწმიდისა, რომ ერთსკერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა ღვთაებრივსა გამოყვანილი იყოს ის ღვთაებრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსაო. ესრედი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისაო!"

ასე ათავებს სიტყვას ზეგარდმოშთაგონებით მღაღადებელი მღვდელმთავარი. განაღა შეიძლება ამაზე მეტად გაპატიოსნება, ზეაღწევა შრომისა და გამრჯელობისა, რომელიც ბევრსა გვგონია, ვითომ წილადხვდომილია მარტო მდაბიოსიო.

საკმაოა ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი სიტყვა, მღვდელმთავრის ბაგეთაგან წარმოთქმული, რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულიერი ახოვანება და სიბრძნე მისი, რომლის ბაგენი დღეს ჩვენთვის სამუდამოდ დადუმდნენ ჩვენდა საუბედუროდ. ბევრი რამ არის ნათქვამი შრომისა და გარჯის გაპატიოსნებისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბაგითაც თვითონ ღმერთი მეტყველებს.

დიაღ, ბატონებო, მისის ბაგით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდისღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა. რომ მისმა კაცთათვის თავდადებულ მსახურებამ, მისმა საქმეებმა

უქმად არ ჩაიარა, რომ წრთვნა მისი, მისი ზნემაღალი მოძღვრება არ დარჩა ხმად მღაღადებლად უდაბნოში, — ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოჰხვევია ძვირფასს კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა ბაგეთა, რომლითაც იგი გვლოცავდა და გვწურთნიდა, იმ მადლიან მარჯვენას, რომლითაც იგი გვაკურთხებდა და რომელიც მუდამ გაწვდილი იყო დავრდომილთა შემწეობისათვის და დაცემულის აღდგენისათვის.

დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინისცემითა და მადლის ფენითა. რით იყო ასე ძლიერ სახელოვანი ჩვენი მღვდელმთავარი, რომ გამოიწვია ასეთი დიდი გლოვა ერისა? ნუთუ მარტო სიბრძნითა? არა, სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა, რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე. ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისაო, — ამბობდა განსვენებული და ამიტომაც იგი ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად.

დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად. ყოველივე ეს დიდხანს კიდევ ისაქმებს ჩვენში. დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო დიდბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო.

მე რომ მისნი მადლით სავსე საქმენი და სიტყვანი მაგონდებიან, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე შარავანდედით მოსილი ახლად დაბადებული გაბრიელ და მგონია, რომ თავს წამოსდგომია ახლად შობილს ყრმას

ფრთებგაშლილი მთავარანგელოზი, სიყვარულით დასცქერის და ლოცვა-კურთხევით ეუბნება ამ ბრძენთაგან თქმულს:

„პატარავ, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარეშემო კი ყოველს სიხარულს ღიმილი მოსდის; ჰქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგდიოდეს“... და აჰა, ჰქმნა ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოება საუკუნოდ, ყველანი მის გარშემო სტირიან. დიდება სახელსა მისსა! თუ დიდება სანატრელია, აჰა, ისწავეთ გზანი დიდების შოვნისანი! ამ-ისი მართალი გზა და ცხადი მაგალითი მთელი ცხოვრებაა ამ დიდებულ და მადლიან კაცისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდიაო, და აჰა იგი დიდი კაცი, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ, დღეს კუბოშია ჩვენ წინ მდებარე.

[1896 წ. თებერვალი]



პოლიტიკური მიმოხილვა

შარშანდელი წელიწადი იმითაა შესანიშნავი, რომ გერმანიამ, რომელიც აქამომდე ჰბატონობდა ევროპაში, ცოტა არ იყოს, აბრუ გაიტეხა და პოლიტიკის მოედნიდამ ერთი ნაბიჯი უკან დაიწია. წინ წამოდგა რუსეთი და ეხლა თითქმის ყველანი პეტერბურგს შესცქერიან, აბა პეტერბუგი რას იტყვისო. ბერლინი დღეს ისე ხშირი სახსენებელი აღარ არის, როგორც ამის წინად იყო. ეს იმას უნდა მიეწეროს, რომ ცალკე ეგრეთ წოდებული სამთა კავშირი მოლხვა და მეორეს მხრით გაძლიერდა ორთა კავშირი საფრანგეთისა და რუსეთისა მით, რომ უფრო მაგრა შეიკრა და განმტკიცდა საქვეყნოდ.

ხელმწიფე იმპერატორის და ხელმწიფე იმპერატრიცის პარიზში მიბრძანება, საფრანგეთის მიერ დიდებული მიღება მათის იმპერატორებითის დიდებულებისა — ეს ისეთი ამბავი იყო, რომ მთელმა ევროპამ ყური აცქვიტა და ცოტა არ იყოს აილურსა კიდეც. შეიქმნა დიდი მითქმა-მოთქმა. ნამეტნავად გერმანია ჩააფიქრა ამ თითქმის მოულოდნელმა მაგალითმა ამ ორთა ძლიერთა სახელმწიფოთა ახლოდ დამეგობრებისამ და ერთმანეთში მტკიცედ განწყობილებისამ. აქამდინაც გერმანიას ვერ ეჭაშნიკებოდა საფრანგეთისა და რუსეთის ერთად ყოფნა და ერთმანეთთან მოთავსება, კრონშტატისა და ტულონის ამბების შემდეგ, საცა რუსეთმა და საფრანგეთმა ერთმანეთს მეგობრულად ხელი გაუწოდეს და აშკარად დაანახვეს ქვეყანას, რომ სამტროდ თუ სამოყვროდ ერთი მეორეს მხარს მისცემს, გერმანია დიდს საგონებელში ჩავარდა. მით უფო გული აუჩოჩქოლდა, რომ ჰხედავდა მისნი მოკავშირენი იტალია და ავსტრია გულით აღარ ეკიდებიან სამთა კავშირობას, როგორც პირველში. იტალიაში დაეცა სამინისტო კრისპისა, რომელიც თავდადებით ეტანებოდა სამთა კავშირს და მინისტრობა ჩაუვარდა ხელში რუდინის, რომელსაც გული იმოდენად არ ერჩის სამთა კავშირისათვის, როგორც კრისპის და თუ ჯერ კიდევ არ გამოუყვანია თავისი ქვეყანა სამთა კავშირისაგან, ეგ იმიტომ, რომ შეკრულია გერმანიასთან ჯერ კიდევ კრისპის მიერ შედგენილ ტრაქტატითა და თვითონ იტალიის კოროლიც მომხრეა ამ სამთა კავშირისა.

ავსტრია-უნგრეთიც არ იყო კმაყოფილი გერმანიისა. მას აქეთ, რაც ავსტრია გამოდევნილ იქმნა პრუსიის წყალობით გერმანიიდამ, მთელი მისი პოლიტიკა ბალკანეთისაკენ მიიმართა. აქ რუსეთსაც დიდი ინტერესები აქვს და მრავალი ღვაწლი მიუძღვის და საკვირველი არ არის, რომ აქ რუსეთი და ავსტრია ერთმანეთს მეტოქედ და მოდავედ უნდა აღჩენოდნენ. აი ამ მეტოქეობაში გერმანიამ სიტყვაც არ დასძრა, რომ ავსტრიისათვის რამ შემწეობა აღმოეჩინა. გერმანია ერიდებოდა ავსტრიის დახმარებას, რადგანაც ეფიქრებოდა რუსეთისა, პირისპირ მტრობაში ჩამომართმევსო და უამისოდაც ბისმარკისაგან დათესილი ჩვენ შორის უკმაყოფილება უფრო გამწვავდება რუსეთშიო. ეს გულგრილობა ავსტრიის მიმართ, ცოტა არ იყოს გულს გაუტეხდა ავსტრიას და ეგრეც მოხდა. ორწყალშუა დგომა გერმანიისა, რომელიც ერთი მხრით მომხრეობას ავსტრიისას თხოულობდა და მეორეს მხრით რუსეთის არწყენას, სანდო არ იყო რუსეთის მიერ, რადგანაც გარემოებათა ცვლილება აშკარაა გერმანიას ავსტრიისაკენ მოუბრუნებდა გულს და ამიტომაც რუსეთს ღონე რამ უნდა ეღონა ყოველ შემთხვევისათვის, სახსარიც ამისათვის შორს არ იყო.

საფრანგეთი, რომელსაც დღეს-აქამომდე გული გულის ადგილას არა აქვს გერმანიის მიერ დამარცხებისაგან, მზად იყო და არის რუსეთს დაახლოვებოდა. დიდი ხერხი არ დასჭირდათ ამ ორ ძლიერ სახელმწიფოთა დიპლომატებს, რომ ერთმანეთისათვის დაეახლოვებინათ ეს ორი სახელმწიფო. ამ დაახლოვების

ნიშნად კრონშტატისა და ტულონის ამბები იყო და ბოლოს დროს მათთა დიდებულებათა მიბძანება საფრანგეთში. ამ მართლა საისტორიო ამბებმა მეტად ჩააფიქრა გერმანია, როგორც ზევითა ვთქვით, გერმანიამ იგრძნო, რას მოასწავებდა ეს ამბები და აქ თითქო მიხვდა, რომ პოლიტიკა გერმანიისა, რომელმაც იძულებულჰყო რუსეთი და საფრანგეთი ესე ერთმანეთს დაახლოვებულიყვნენ, დიდად შემცდარი პოლიტიკა იყო. რა თქმა უნდა, ყველაფერი ბისმარკს დაბრალდა: იმან ისე წაიყვანა პოლიტიკა, რომ ეს ამბავი თავზე მოგვახვიაო.

ბისმარკმა, ანუ უკედ ვთქვათ, მისმა მომხრეებმა ყველაფერი კაპრივის გადააბრალეს, იმის უნიჭობას მიაწერეს. თუმცა კაპრივი, რომელიც ბისმარკის შემდეგ კანცლერად იყო გერმანიისა, დიდი დიპლომატი არ იყო, მაგრამ ამასაც თავის გასამარლებლად ისა აქვს, რომ იგი იძულებული იყო ის ემკო, რაც ბისმარკს დაეთესნა და თუ თავი რამეში იჩინა, მარტო იმის ცდაში, რომ როგორმე სხვა ქვეყნებთან საქმე გაესწორებინა, ბისმარკის მიერ აწეწილი. კაპრივის მომხრეებმა ასე გაუთვალწინეს ეს ბრალი ბისმარკის მომხრეებს. მაშინ გამბურგის გაზეთმა, რომელიც ბისმარკის შთაგონებით იბეჭდება თურმე, გაამხილა ერთი ასეთი ამბავი, რომ ყველა გააოცა და ავსტრიას ხომ სწორედ თავზარი დასცა.

ეს გაზეთი ამტკიცებს, რომ 1890 წ., ესე იგი, იმ დრომდე, როცა ბისმარკი დათხოვილ იქმნა კანცლერობისაგან, რუსეთსა და გერმანიას შორის პირობა იყო შეკრულიო. ამ პირობის ძალით, თუ ვინმე დაეცემოდა გერმანიის, რუსეთი არ უნდა მიშველებოდა გერმანიის მტერს და არც გერმანიას, ხოლო გერმანიისათვის კი კეთილმსურველად უნდა ყოფილიყო. გერმანიასაც ამისთანა სამსახური უნდა გაეწია, თუ ვინიცობაა რუსეთს დაეცემოდა ვინმეო. ამ პირობას ვადა გაუვიდა კაპრივის დროსაო და კაპრივიმ აღარ განაახლაო.

ამ გამხილებამ მთელის ქვეყნის დიპლომატები გააოცა და დიდის გულისტკენით ამოაკვნესა ავსტრია, ამბობს ერთი გაზეთი. 1879 წლიდამ ძმური კავშირი

აქვთ შეკრული გერმანიასა და ავსტრიას. ამათ მას აქედ პირობა აქვთ დადებული, რომ თუ ვინიცობა ან ერთს, ან მეორეს რუსეთისაგან რაიმე შიში აუტყდათ, ამ ორსავ სახელმწიფოს ჯარები ერთად უნდა დაუხვდნენ რუსეთსა. თურმე ნუ იტყვით, მთელი თერთმეტი წელიწადი გერმანიას თავისს მომხრეს ზურგს უკან სხვა პირობა ჰქონია იმ სახელმწიფოსთან, რომლის წინააღმდეგ შველა ჰქონდა აღთქმული და დაპირებული ავსტრიასა. ერთი გაზეთი ამბობს: ამის გამგონე ავსტრიელთა ამისთანა ორგულობაზე რა ეთქმისო. ეს რა ამბავიაო, იტყვიანო: აქამომდე ყურმოჭრილ ყმასავით რას გვატარებდნენ? ვის ვუშლიდით ფიანდაზებსა და სიყვარულით შევხაროდითო. ჩვენ უნდა მივშველებოდით ჩვენის ჯარით გერმანიას, თუ რუსეთი დაეცემოდა და კი არ მოგვეშველებოდა, თუ ჩვენზე მოიცლიდა რუსეთიო და სხვანი.

მთავრობა გერმანიისა სცდილობდა და დღესაც იმის ცდაშია, რომ სიმწვავე ამ გამხილებისა როგორმე დაუამოს ავსტრიას, რომელსაც ჯავრი ყელთ მოსდგომია. მთავრობა გერმანიისა უარჰყოფს ამ გამხილებულს ამბავს. საცა გინდათ და არ გინდათ, არწმუნებს ქვეყანას, რომ ეგ სულ მოგონილი ამბავია და ბისმარკი მაგას არ იტყოდა, რადგანაც მაგისთანა არაფერი რუსეთსა და გერმანიის შორის არა ყოფილა რაო. მაგრამ ავსტრიის ერს გული მეტად აემღვრა და რისხვას მისას საზღვარი არა აქვს. ერთი ავსტრიული გაზეთი იმასაც კი ამბობს, რომ ეხლა ცხადია, რომ ფრიდრიხსრუეში, საცა ჰბინადრობს ბისმარკი, არც ბერლინში საჭიროდ აღარ ჰხედვენ ავსტრიის მეგობრობასაო. ასეა თუ ისე, დღეს დიდად გულნაკლული არის გერმანიაზე ავსტრია და თუ გერმანიამ ამ სატკივარს არა უშველა რა, იქნება ავსტრიაც იძულებულჰყოს საითმე სხვა სახსარი რამ იღონოს.

ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით ამ ბოლოს ხანებში იტალიამაც სურვილი გამოიჩინა საფრანგეთს კრისპისაგან აჯანყებული გული როგორმე დაუმშვიდოს. ერთი იტალიური გაზეთი ამ ბოლოს დროს ამბობს, რომ ზოგიერთი ნიშნებია, რომ იტალიასა და სა-

ფრანგეთს შორის უფრო ჰმატულობს სურვილი დაახ-
ლოვებისაო.

ყოველივე ეს გარემოება იმისთანა თვისებისა არ
არის, რომ გერმანია გაუთამამდეს ქვეყანას დღეს მაინც.
ეს ამისთანა ამბები „სამთა კავშირის“ დაუძლურებას
უფრო მოასწავებს, ვიდრე სხვას რასმე. მართალია,
გერმანია თავით თვისითაც ძლიერია ჯარისა და
იარაღის განწყობილობით, მაგრამ დღეს ევროპა იმის-
თანა მდგომარეობაშია, რომ ცალკე და განმარტოებით
არავის არავისთან არ აომებს. ეს ყველამ კარგად იცის
და ამიტომაც არც ერთი იმისთანა ქვეყანა არ არის
დღეს ევროპაში, რომ მარტო თავისს თავს დაენდოს და
მომხრეობას არ საჭიროებდეს. ყველაზე საშიშარ ყო-
ფაში ამ შემთხვევაში გერმანიაა, რომელსაც სა-
ფრანგეთი დღესაც გულჩახვეული უყურებს და ჯავრის
ამოყრის და სამაგიეროს გადახდის სურვილი და წყურ-
ვილი ჯერ არ გაჰნელებია.

თუ სახეში მივიღებთ, რომ „სამთა კავშირის“
დაუძლურების და შესუსტების სისწვრივ, ხელმწიფე
იმპერატორის მიბძანებამ საფრანგეთში სტუმრად, ქვეყ-
ანას აშკარად დაანახვა სიმტკიცე და სიმაგრე კეთილ-
მყოფელობისა საფრანგეთსა და რუსეთს შორის, ად-
ვილად წარმოსადგენია, ამ ერთის მხრით დასუსტებულ
ბანაკს და მეორეს მხრით უფრო გამაგრებულს ერთო-
ბას რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ამნაირის გარემოე-
ბისა გამო რუსეთმა და საფრანგეთმა უღელი ევროპიის
პოლიტიკის სასწორისა თავისაკენ გადიხარეს და გერ-
მანიამ კი თითქმის უკან დაიწია, თითქო აბრუ გაუტყ-
დაო. არ ვიცით, მერმისი რას იტყვის და დღეს კი
ორივ წვერი პოლიტიკის საბლისა ხელთ უპყრია
თითქმის რუსეთსა და საფრანგეთსა, უნამეტნავესად
რუსეთსა.

ესეთი გაძლიერება რუსეთისა ვერაფრად მოსდის
ჭკუაში ინგლისსაც.

ინგლისი მას აქედ, რაც საფრანგეთისა და გერ-
მანიის შორის ომი გათავდა, ცალკე გავიდა და თავი
ისე უჭირავს, თითქო არც არავის მომხრეობას ჰსაჭი-
როებდეს, არც არავის მტრობას უფრთხოდეს. შარშან
მარტოდმარტომ თავი გამოიდო ეგრედ წოდებულ

სომეხთა საქმისათვის. ჩვენ არა გვგონია, რომ აქ ინგ-
ლისმა მართლა თავი აიტკიოს საწყალ სომეხთათვის,
რომელთაც სული ეხუთებათ ოსმალოთა ხელში. ეგ
საქმე მარტო მიზეზია, რომ აღმოსავლეთის საქმემ
იფეთქოს მთელის თავისის შიშითა და ზარითა. ადრეც
გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ აღმოსავლეთის
საქმე ერთი ის დიდი კერაა, საცა საკმაოა ერთი ღერი
დაიძრას, რომ ღველფში დამალულმა ცეცხლმა
იფეთქოს თოფის წამალსავით და მთელი ევროპა
ფეხზე დააყენოს ხმალამოწვდილი ერთმანეთის საჟლე-
ტად. ინგლისმა კარგად იცის, რომ თუ ეს საქმე აიშ-
ალა და აიწეწა, დღევანდელი მეგობრები მტრებად
გადაიქცევიან და ისე აირევიან ერთმანეთში, რომ არ
ეცოდინებათ, ვინ ვისზე იშიშვლოს ხმალი.

ინგლისი დიდის ხნის მოწადინებულია, რომ ეს ასე
მოხდეს იმ აზრით, რომ იქნება ამ ერთმანეთში არევ-
დარევამ ზოგიერთი სახელმწიფო გამოანაპიროს და
ინგლისის თაოსნობით სხვა ახალი კავშირი შედგეს
ევროპიის საქმეთა წინ გასაძღოლად. სხვით რით უნდა
აიხსნას ის თავგამოდება ინგლისისა, რათა დარღვეულ
იქმნას და განაწილებულ ოსმალეთი, როცა თითქმის
ორმოცი წელიწადია, რაც ინგლისი თავსა სდებდა ოს-
მალეთის ხელშეუხებლობისათვის და არასფერს არ
ზოგავდა ამისათვის. დღეს კი მთავარმინისტრი ინგ-
ლისისა სალუსბერი ამბობს პარლამენტში, რომ აღმო-
სავლეთის პოლიტიკა ინგლისისა მთელი ორმოცი
წელიწადი შეცდომით მოქმედებდაო. უდიდესი შეცდომა
ის იყოვო, რომ ლიბერალების სამინისტრომ უარჰყო
სარჩიელი იმპერატორის ნიკოლოზ პირველისა, რომ
ოსმალეთი განაწილებულ იქმნასო. მაშინ ინგლისმა არ
იჯერა რუსეთის იმპერატორის სარჩიელი და აი ის
შეცდომა თავში გვცემსო.

მაშინ სულ სხვა ამბავი იყო და გარემოება. მაშინ
რუსეთი განცალკევებული იყო და ევროპაში თითქმის
მომხრე არა ჰყავდა და რაში ეჭირვებოდა ინგლისს ეს
რთული საქმე ოსმალეთის განაწილებისა ფეხზე წამო-
ეყენებინა. დღეს სულ სხვა ამბავია და სხვა გარემოება.
ამ სხვა ამბავმა და გარემოებამ ისე შესცვალა ყვე-
ლაფერი, რომ დღეს რუსეთი ესარჩლება ოსმალეთის

ხელშეუხებლობას და ინგლისი კი ეტანება მის განაწილებას და დარღვევასა, თუმცა როგორღაც ვერ უხერხდება, რადგანაც რუსეთი უარზეა. ასე შეიცვალა დრო და მიმართულება პოლიტიკისა ინგლისსა და რუსეთში აღმოსავლეთის საქმის შესახებ.

მაინცდამაინც ინგლისმა ძალიან გაუჭირა საქმე ოსმალეთსა, რომელსაც შემოწყრა ამ ბოლოს ხანებში იმის გამო, რომ ეგვიპტეს საქმეში ოსმალეთმა აშკარად მხარე დაიჭირა საფრანგეთისა და გული საფრანგეთისა და რუსეთის მხრივ მიიბრუნა. ინგლისის შეწყრომა იეფად არ უჯდება ოსმალეთსა. კრიტის კუნძულის ამბავი, სომხების საქმე და სხვა შინაური ალიაქოთი ოსმალეთში სულ ინგლისის უნარიაო, ამბობენ. აგრეთვე წყრომამ ინგლისისამ დიდ სასოწარკვეთაში ჩააგდო ოსმალეთი. ასე რომ, ეხლა სულთანი თურმე ზოგიერთს სახელმწიფო ელჩებს ემუდარება, როგორმე შამარიგეთ ინგლისთანაო, თუ დავუჯერებთ ზოგიერთს გაზეთებს, რომელნიც ბოლო ხანებში ამ ამბავს იუწყებიან.

ამას წინად, ესე იგი 29 დეკემბერს, ეხლანდელ ინგლისის სამინისტროს წევრს ბალფურს, რომელიც კონსერვატორების მოთავეც არის ქვედა პალატაში, სიტყვა წარმოუთქვამს მანჩესტერში. 1896 წლის დასაწყისში, უთქვამს თურმე, ინგლისის საპოლიტიკო ცას ჯანღი გადეფარაო ვენეცუელის და ტრანსვალის საქმეთაგანაო და ეხლა ეგ ჯანღი გადაიწმინდაო. დარჩა მარტო აღმოსავლეთის საქმე იმის წყალობით, რომ ოსმალეთში რეფორმების შემოღება გვიანდებაო. ამ დაგვიანების ბრალსა სდებს ბალფური რუსეთს. ევროპამ საერთო თანხმობით წინამძღოლობა ამ საქმეში გადასცა რუსეთსა და რუსეთი აგვიანებს, იმოდენად გაბედულად მოსთხოვოს ეს რეფორმები ოსმალეთს, როგორც საჭიროდ ცნობილია ყველა სახელმწიფოებისაგან და მათ შორის თვით საფრანგეთისაგანაცაო. ინგლისის პალატის წევრმა სტენლიმ პარიზის გაზეთში „Éclair“ დაჰბეჭდა ვრცელი წერილი და ამტკიცებს, რომ ინგლისი მზად არის ეგვიპტეს თავი დაანებოს და ჯარები გამოიყვანოსო მაშინვე, რაკი ხართუმს წაართმევს მაღდისაო და გულს დააჯერებს, რომ ეგვიპტეში წესი და რიგი

მტკიცედ დამყარდებაო. ინგლისისათვის სუეზის არხი სტრატეგიის მხრით არაფერი გამოსადეგია და ამ არხის გულისათვის ინგლისი ევროპას არ მოიმდურებს და ნამეტნავად საფრანგეთსაო. მაშ რა საჭიროა საფრანგეთისათვის დამეგობრება რუსეთთან ეგვიპტის გამოო.

რომ მიუხვდეთ შინაგანს აზრს, ბალფურის და სტენლის მიერ გამოთქმულ სიტყვისას, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამ ბოლოს ხანებში სამდურავი რუსეთის მიმართ, თუმცა კანტიკუნტად კი, გაისმოდა პარიზის გაზეთებშიაც. ყველაზე გაბედულად ხმა ამოიღო ამ საგანზე გაზეთმა "ფიგარომ". ეს გაზეთი არაერთხელ ამბობდა, რომ რუსეთის მეგობრობამ იმდენი ჩვენ არა გვარგო რა, რამოდენადაც თვითონ რუსეთმა ჩვენის მეგობრობით ირგოო. დაგვპირდნენ ეგვიპტის საქმეში ხელშეწყობას და სად არის ეგვიპტის საქმეო? ამისი ჩამიჩუმიც არ ისმისო. რუსეთი ამაზე ხმას არ იღებს და ვართ ისე პირში ჩალაგამოვლებული. რა თქმა უნდა, ამისთანა საუბარი გაზეთისა ბევრს არასა ჰნიშნავს, მაგრამ მაინცა და მაინც საყურადღებოა ამისთანა აზრი გაზეთისა იქ, სადაც მთავრობა საფრანგეთისა აგრე მაგრად რუსეთს კალთაზე ხელსა ჰკიდებს.

თუ „ფიგაროს" ხმას დიდი აბრუ არა აქვს საფრანგეთში, ნამეტნავად საფრანგეთის გარედ, ეს არ ითქმის იმისთანა გაზეთზე, როგორიცაა „Temps“. ეს გაზეთი თითქმის საფრანგეთის სამინისტროს გაზეთად არის ცნობილი და მაინც და მაინც წინდახედულ და ჭკუადამჯდარ გაზეთად მიაჩნია ყველას. ამას წინად ერთი ბერი იტალიისა სალვატორი მოჰკლეს ოსმალეთში და მკვლელად აღმოჩნდა პოლკოვნიკი მახსარ-ბეი. საფრანგეთი, როგორც მფარველი რომის კათოლიკეთა სამღვდელოებისა, გამოესარჩლა იტალიას და მოითხოვა მკვლელი სამართალში მიეცათ, ოსმალეთი როგორღაც თავიდამ იცილებდა ამ საქმეს და სცდილობდა ჰოარაობით საქმე ჩაეფუჩეჩნა. ამის გამო ხსენებული გაზეთი „Temps“ ამბობს, ამ საქმის ჩაფუჩეჩება შეჰლახავს საფრანგეთის ღირსებასაო, საჭიროა, რომ სულთანს რიხიანად გამოელაპარაკონ და შეურყეველი სიმტკიცე დაანახვონო. საჭიროა, რომ

ყველა სახელმწიფოებმა გამოიჩინონ ერთნაირი მხნეობა და ერთნაირი უკან დაუხევლობაო, თორემ ევროპას აბრუ გაუტყდებაო და საქმე აუცილებლად ძალის ხმარებაზე მიდგებაო.

ინგლისელები ამ სიტყვებშიაც იმისთანავე სამდურავსა ჰპოულობენ, თუმცა უფრო ფრთხილად გამოთქმულს, როგორიც "ფიგარომ" გამოსთქვა. ყოველივე ეს რომ პირისპირ დავუყენოთ ზემოდმოყვანილ სიტყვებს ინგლისის სახელმწიფოთა საქმეთა კაცებისას, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ ინგლისსა ჰსურს ნავთი დაასხას საფრანგეთის გაზეთებში აბჟუტებულს ცეცხლსა, როგორც ამბობს ერთი რუსეთის გაზეთი. ცხადია, ეხლანდელი მეცადინეობა ინგლისისა იმაზეა მიქცეული, რომ საფრანგეთს გული აუცრუოს რუსეთზე. აი რისთვის არის საჭირო ინგლისისათვის ოსმალეთის საქმის აშლა, აწეწა და ევროპის წინაშე ფეხზე წამოყენება.

რუსეთს არ უნდა გამწვავება ამ საქმისა და იგი ჰრჩეობს მშვიდობით და სისხლდაუღვრელად დაუმორჩილოს ევროპას ოსმალეთი. იძახის, რომ, თუ ევროპა არ შეიშვნებს სამშვიდობო პოლიტიკას რუსეთისას და ოსმალეთი რჩევას ევროპისას არ მიიღებს, აუცილებელი იქნება ევროპიის სახელმწიფოთა ესკადრების შესვლა ბოსფორშიო. მაშინ რუსეთი იძულებულ იქნება, ამბობენ გაზეთები, შავი ზღვის ნავთსადგურებისა და ფლოტის უშიშრად ყოფნისათვის მოითხოვოს დარდანელში შესვლა-გამოსვლის თავისუფლებაო. ამასაც უმატებენ, რომ იმ დრომდე რუსეთს ხელს არ მისცემს, ეს საქმე ასტეხოსო, რადგანაც საფიქრებელია ამით ევროპის თანხმობა დაირღვას, სახელმწიფოთა შორის არეულობა და განხეთქილება რამ ჩამოვარდესო. ასე ჰლაპარაკობს გაზეთი:

ოსმალეთი, ყოველ ამის მაყურებელი და მხედველი, მართალია, ძალიან გაჭირვებულია დღეს, მაგრამ მაინც ეურჩება ევროპის სარჩიელს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ევროპა ძალას არ იხმარებს და სიტყვას საქმედ არ აქცევს. ევროპა ომის შიშით ვერ გაბედავს ოსმალოს ხელის ხლებას, იმიტომ რომ საერთოდ ცეცხლის წაკიდება მოჰყვება ამასა. ეს კარგად იციან ოსმალებმა და ჯერხანად ამით ჰნუგეშობენ და

იოლადაც მიდიან. ამ სახით ქვაკუთხედად ეხლანდელის პოლიტიკისა აღმოსავლეთის საქმის შესახებ ჯერ უსისხლოდ დამორჩილებაა ოსმალეთისა და მერე მისი ხელშეუხებლობა. შარშანდელმა წელიწადმა ამ სახით გადმოსცა აღმოსავლეთის საქმე ამ ახალს წელიწადს და დრო გამოაჩენს, ეს ახალი წელიწადი როგორ გაუძღვება.

[1897 წ. 16 იანვრამდე]

1897 წელი

<არწრუნისეული ქარვასლის ბედი>

ტფილისი, 17 იანვარი

საკვირველ ბედზეა დაბადებული ქართველი კაცი. თითქო ჭკუაცა აქვს, მიხვედრილობაც, ცოტაოდენი ცოდნაც, ცოტაოდენი საქმიანობაც, მაგრამ თავი ბოლოსათვის ვერ გამოუბამს, საქმეს ბოლომდე ვერ გასძღოლია, აქვს რამე — სატირალი უხდება, რადგანაც ვერ მოუვლია, არა აქვს და — თავში საცემელი. ორგზითვე შუაში იჭყლიტება ჩვენი ქვეყანა, რომლის სიყვარულით ვითომ ვიღწვით და ერთმანეთს ვძულდებით. ყიჟინა და ყვირილი ბევრია ხოლმე, აი ამას ვიქთ, აი იმასა, ოღონდ კი ეს მოხდეს, ან ისა, და როცა საქმე საქმეზე მივარდება, მეც შორსა და შენც შორსაო, გავურბივართ საქმეს, თითქო რაკი საქმე ფეხზე წამოდგა, თვითონ თავისთავად დანიშნულ სვეს გადაიტანდეს და მიშველება, მოკითხვა და განკითხვა ჩვენ მიერ აღარ ეჭირებოდეს. ბოლოს ის გამოდის, რომ საქმეს თავი და ბოლო არ ებმის, საქმე ყოვნდება, ბრკოლდება და ისღა რჩება ნუგეშად მის იმედისა დიდისა, რომ იმედები გვიცრუვდება და დიდის საქმიდამ პატარა ხეირსაც ვერ ვრჩებით.

რად მოგვდის ესე? რად არის, რომ ყოველი საქმე, სურვილით და სიხარულით დაწყებული, ბოლოს არ გაიტანს ხოლმე ჩვენში და ჩვენვე სავალალოდ გვიხდება? ამის მიზეზს ჩვენ იმაში ვხედავთ, რომ ავიჩენთ რომელსამე საკეთილო საქმეს, აჩენისვე უმალ ცის ანაბრად ვტოვებთ, აღარც მივხედავთ, აღარც ვკითხულობთ, ვის აბარია, როგორ აბარია, მიბარებულს როგორ უვლიან. აღარ ვკითხულობთ კეთდება რამე,

საქმე ჰხერხდება, მიდის თუ არა იმ გზაზე, რომელიც ჩვენთვის სახეირო და სასურველია, წინ მიდის, თუ უკან იხევს და სხვა ამისთანა.

დღეს სწორედ ამისთანა ნაბრალი, ამისთანა თავდაუდებლობა, ამისთანა უგულობა კისრად ედება თავადაზნაურობას, რამოდენა კიჟინა და ყვირილი იყო, რამოდენა დავიდარაბა, რომ თავადაზნაურობის კუთვნილებად შეიქმნას არწრუნისეული ქარვასლა. როგორც იყო ეს სურვილი თავადაზნაურობასა აუსრულდა და ეს მილლიონის ფასის ქონება, რომელსაც რამდენიმე ათასი თუმანი შემოსავალი აქვს, ეს უკეთესი თვალი მთელის ტფილისისა, დღეს შეძინებული აქვს თავადაზნაურობას, მერე ისე, რომ ერთი ცალი ფულიც ამაზე არ დაჰხარჯვია თავისის ჯიბიდამ და რა გამოდის? ისა, რომ თავადაზნაურობამ მიანდო ბ-ნს გუბერნიის მარშალს—შეადგინე წესი და რიგი იმისი, თუ როგორ უნდა ვუპატრონოთ, მოვუაროთ და განვაგოთ მაგ შეძინებულ ქონების საქმე და მინამ ეს მოხდებოდეს, გამგებელი კომისია უნდა ამოერჩია ბ-ნს მარშალს და დროებით მისთვის ჩაებარებინა შეძინებული ქონების საქმე და გამგებლობა. კომისია ამორჩეულ იქმნა ბ-ნ მარშალისაგან და დღესაქამომდე იგი განაგებდა.

ამ წინა დღეებში ხმა გავარდა და მერე ხომ გამართლდა კიდეც, რომ წინად არჩეულმა კამისიამ თითქმის მთლად დაანება თავი თავის თანამდებობასა და ბ-ნმა მარშალმა სხვა წევრნი დანიშნაო. მთელის კამისიის სამსახურიდამ გამოსვლა იშვიათი ამბავია და იმოდენად დიდმნიშვნელობიანი, რომ თუ არ დიდი მიზეზი, სხვა არა აიძულებდა რა. ყველა ჰკითხულობს: რა მიზეზი უნდა იყოს იმისთანა, რომ ეს ასე მოხდაო? დღესაქამომდე არავინ არ იცის რა, გარდა ჭორებისა, რომელიც ქუჩა-ქუჩა დადის და ყურადღების ღირსიც არ არის. ნუთუ ამოდენა ძვირფას ქონების საქმე ღირსი არ არის, რომ საჭიროდ დანახულ იყოს, ვიცოდეთ — რა მიზეზმა აიძულა წევრნი კამისიისანი, რომ თავი დაანებეს მიბარებულ საქმეს? რა მოხდა ისეთი? რატომ თავადაზნაურობას არ ატყობინებენ საქმის გარემოებას და გზას უხსნიან ათასნაირ ჭორებს, რომელთაც უკვე

ენები გაილესეს და გულს უთუთქვენ ყოველ იმას, ვისაც საზოგადო საქმე ხელში მჭვრად არ გახდომია, ან როდემდის უნდა უცადოს თავადაზნაურობამ, რომ რაიმე ინსტრუქცია დაიწეროს, როგორ და რა გზით ეპატრონოს შეძინებულ საკუთრებას, რომლის შემოსავალზე დამყარებულია ამდენი იმედი თავადაზნაურობისა თავისის ჭირ-ბოროტის გასაძღოლად? აი ეს ერთი წელიწადი მეტია, რაც ეგ ქარვასლა თავად-აზნაურთა ხელშია და რაც თავადაზნაურობამ დაადგინა, რომ მაგისთანა ინსტრუქცია მომზადდეს და წარედგინოს თავად-აზნაურთა კრებას დასამტკიცებლად. ამის შემდეგ რამდენიმე საგანგებო კრება ყოფილა თავადაზნაურობისა და აბა თუნდ ერთი კაცი გვიჩვენეთ, რომ ამ ინსტრუქციის გამო ხმა ამოეღოს და მოეკითხოს.

ეგრე დაგდება საქმისა შეუძლებელია. თავადაზნაურობამ უნდა რამ იღონოს, რომ ქარვასლის საქმე კარგად გარკვეულ წესსა და რიგს დაუმორჩილოს. აკი ვამბობ, შევიძინეთ ქარვასლა და ამით გავათავეთ ჩვენი ზრუნვა და გულ თხელი დავიკრიბეთ: არაფერსა ვკითხულობთ, არაფერს გამოძიებაში ვართ, თითქო საქმე მარტო შეძენა იყო და არა შეძენილის მოვლა და პატრონობა. 23 ამ თთვეს საგანგებო კრებაა დანიშნული თავადაზნაურობისა და მეტი არ იქნება, რომ ამ საგანზე ორიოდე საქმიანი სიტყვა დაჰხარჯონ და საქმისა გაიგონ და გამოიკითხონ რამე.

[1897 წ.]



<სულიერი გაღატაკება და საზოგადოების გულგრილობა>

ტფილისი, 18 იანვარი

ამას წინად ერთს სახლში ერთს საუბარს შევესწარით. ერთი ჭაღარამოსილი კაცი, გულზედ მოსული, ეხლანდელს დროებას უჩიოდა და სხვათა შორის ამბობდა: ეს რა ღმერთი გაგვიწყრა ქართველობას! ყველგან, საცა კი ადამიანი სცხოვრობს, ყველაფერი წინ მიდის, წარმატებაშია. სიმდიდრე გინდათ — ჰმატულობს, ცოდნა გნებავთ — ძლიერდება, ზნეობას და მართებულობას, პატიოსნებას და ნამუსს იკითხავთ, ყველა ესენი აღორძინებასა და მატებაშია და ჩვენში კი რაღაც ღვთის წყრომაა. დღე არ გავა, გლახამათხოვარა კარს არ მოგვადგეს და ღმეჭით და ღრეჭით ლუკმა პურს არ გვემუდარებოდეს. დღეს რომ ერთი იყოს, ხვალ ათი და თხუთმეტი პირდაღებული შემოგცქერის, აცა იქნება გადმოგვედოს რამეო. ასეთს ხალხს აუღია თავი და გლახაობს, რომ ცალკე სირცხვილი გწვავს, ცალკე ჯავრი ბოღმასავით ყელში მოგდგომია და სჩივით, რომ სხვა არა შეგიძლიანთ რა, და იძახით: ესეთი რა შევცოდეთ ღმერთსა, რომ ამ დღეში ჩავცვივდითო. ამ შიმშილს და წყურვილს ვინა სჩივის? ხორცის გაღარიბებასთან სულითაც დავღატაკდით. საქმე ის არის, რომ ნამუსიც აღარ არის, სირცხვილი დავკარგეთ, უკადრისებსა ვკადრულობთ და ხმის ამომღებიც არ არის, რომ ჩვენს თავზე მოგვახედოს, სამარცხვინო შეარცხვინოს, უნამუსობა გაჰკიცხოსო. პირიქით, აღარც სირცხვილი გვწვავს, აღარც ნამუსი გვამხელს, აღარც სინიდისიღა ჰლაპარაკობს. დაეცა ზნეობა, მართებულობა, ნამუსის ქუდი

მოვიხადეთ და ლაფში გადავაგდეთ, გრძნობა საკუთარის ღირსებისა დავკარგეთ და აღარაფრად მიგვაჩნია. უკადრისობა ჩვენს თვალწინ მალაყებს გადადის, საჭიროდაც არა ჰხადის, თავი მაინც დაიმალოს, გამოდის საქვეყნოდ და ჩვენც პირში შევცინით, ვითომდა აქ ძირი არ ულპებოდეს ჩვენს კეთილდღეობას, ჩვენს კაცურკაცობას. ამ ზნედაცემულობისაგან ლამის ისე წავწყმდეთ, რომ ყოველ ამაების მოქმედს ბარაქალა ვუძახოთ. აბა გაგონილა სადმე იმისთანა ამბავი, რაც აქაურმა გაზეთებმა ამ დღეებში ქვეყანას მოჰფინესო. აბა რატომ დედამიწა არ უნდა გაირღვეს და შიგ არ უნდა ჩაგვიტანოსო! მთელს თავადაზნაურობას თავზე ლაფი გვესხმის. ნუთუ მართლა ასე დავეცენით სულით და ხორცით, რომ „სამტრედეს“ სასტუმროში ცხვრებსავით გვერეკებიან, გვაჭმევენ, გვასმევენ მარტო იმისათვის, რომ მივიდეთ ბანკში არჩევანების დროს და კენჭი, ეგ გამომეტყველი ჩვენის სინიდისიანის ხმისა და განაჩენისა, ავიღოთ და საცა სხვამ გვანიშნოს, იქ ჩავუძახოთ და ამით ვგმოთ სული და ხორციცაო. გესმით, რაებს ამხელს ბ-ნი არუთინოვის საჩივარი, „სამტრედეს“ სასტუმროს ამბავი. რაო? ეს ჩვენი ქვეყანა ბაზარია, საცა სინიდისი გამყიდავსაც ჰშოულობს და მსყიდველსაცა, თუ რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავზე!.. ეს რა მოგვდისო? ეს რა გვემართებაო? ვინღა ვართ და რანიღა ვართო? რა პირითღა ვეჩვენოთ ქვეყანასაო? აი აქ არის ის ჭია, რომელიც ძირს გამოუღრღნის ჩვენს ცხოვრებას და დედამიწის ზურგიდამ აგვგვისო. ქვეყანა სიღარიბეს გაუძლებს, ხოლო საცა ზნეობა აღარ არის, იქ არც ქვეყანაა, არც ერია. ხომ თავი მოგვეჭრაო ყველას მთელის ქვეყნის წინაშე მით, რასაც გვაუწყებენ გაზეთები ამ ბ-ნ არუთინოვის საჩივრის თაობაზე: იმასაც ვინც ეს საქმე იკადრა, იმასაც, ვისაც აკადრეს და ჩვენც ყველას, ვისაც ჩვენის ქვეყნის შვილს ეძახიანო. ყბად აიღეს აქაურმა გაზეთებმა ეს ამბავი და ვინც წაიკითხავს ამას, რა უნდა იფიქროს ჩვენზე საერთოდ და ჩვენს აზნაურობაზე საკუთრივაო?

მართლა და რა უნდა იფიქროს!..

[1897 წ.]



<ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე>

ტფილისი, 20 იანვარი

23-ს იანვარს დანიშნულია საგანგებო კრება თავადაზნაურობისა მოსალაპარაკებლად იმის თაობაზე, რომ თ. ზაქარია ერისთავს ჰსურს უძღვნას თავადაზნაურობას თავისი ოძისის მამული იმ პირობით, რომ თავადაზნაურობამ თავისის მხრითაც შრომა მიიღოს, სამეურნოე სასწავლებელი გამართოს და სასწავლებელს საგზალი და სახსარი აღმოუჩინოს. ეს თითქმის პირველი და სასახელო მაგალითი უხვის შეწირულობისა საზოგადო საქმის საოხად და საშველად დიდმნიშვნელობიანია და ცოდვა იქნება, რომ თავადაზნაურობა ისე ხელდახელ და გაკვრით მოეკიდოს ამ საქმეს და მის გაჩხრეკას და გადაწყვეტას მოუმზადებლად შეჰბედოს. აქ მცირედი რამ წინდაუხედულობა, არასაკმაოდ გამორკვევა ყოველის ვითარებისა და გარემოებისა, არასაბუთიანად გამოკვლევა ყოველ იმისი, რაც საფუძვლად უნდა დაედვას ჩვენს ამ საგანზე განაჩენსა, მეტისმეტი უგულობა, უთავბოლობა იქნება ჩვენის მხრით.

რომ ეს ასე არ მოხდეს ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, საჭიროა ვიცოდეთ მოკლე ისტორია მაინც ამ საქმისა, როგორ იქმნა დაწყებულ, რაზედ აშენდა, რაზედ შესდგა, და რა გარემოება შეხვდა გზაზე და რამ მოიყვანა იგი დღევანდელ დღემდე. ამ საგანზე არსებობს პროტოკოლი თავად-აზნაურთა საგანგებო კრებისა. პროტოკოლი დადგენილია 7 მაისს 1895 წელსა. ამ პროტოკოლიდამა სჩანს, რომ ჯერ კიდევ 1893 წელს მაშინდელ გუბერნიის მარშლისათვის

მიუწერია თ. ზაქარია ერისთავს და გამოუცხადებია შესწიროს თავადაზნაურობას თავისი ოძისის მამული იმ პირობით, რომ იქ გაიმართოს სამეურნოე სასწავლებელი, შესაფერი თავადაზნაურთა საჭიროებისა. მაშინდელს მარშალს სწორედ ასე მოუხსენებია ეს სურვილი თ. ზაქარია ერისთავისა თავადაზნაურთათვის, რომელნიც მოწვეულ ყოფილან საგანგებო კრებაზე 2 მაისს 1893 წ. ამ კრებაზე თავადაზნაურობას დაუდგენია: 1) გამოეცხადოს მთელის თავადაზნაურობის სახელით. ზაქარია ერისთავს მადლობა; 2) მიენდოს გუბერნიის მარშალს კანონიერის გზით დაემტკიცოს თავადაზნაურობას ეს შეწირული მამული, როგორც კუთვნილება და საკუთრება; 3) მასვე გუბერნიის მარშალს მიენდოს, თუ საჭიროდ დანახულ იქმნება, იშუამდგომლოს, რომ უმაღლესად ნებადართულ იქმნას ამ შემოწირულ მამულის დამტკიცება თავადაზნაურთა სახელობაზე; 4) მიენდოს გუბერნიის მარშალს მიიღოს იგი პირობანი, რომელსაც თ. ზაქ. ერისთავი დაადგენს კუთვნილების ქაღალდის შედგენის დროსა.*)

9-ს დეკემბერს 1894 წ. უმაღლესად ბრძანება გამოვიდა, რომ ნებადართულ იქმნა შემოწირული თ. ერისთავისაგან მამული 1.000 დესეტინა, რომელიც შეადგენს მამა-პაპეულს მის კუთვნილებას, მიიღოს საქართველოს თავადაზნაურობამ იმ აზრით, რაც ნაჩვენებია თვით შემწირველისაგანაო (იხ. ბ-ნ გუბერნატორის ქაღალდი 12 იანვრის 1896 წ. № 197).

ამის შემდეგ თ. ზაქ. ერისთავს მიუწერია გუბერნიის მარშლისათვის ორი წერილი, ერთი 24 აპრილს და მეორე 3-ს მაისს. ამ წერილებში თ. ზაქ. ერისთავი ამ პირობას თხოულობს თავადაზნაურობისაგან: 1) წელსვე შემოდგომიდამ გამართოს სასოფლო მეურნოების სკოლა დაბალის ხარისხისა; ათს წელიწადს შემდეგ, როცა იმ დროისათვის შეძლება სკოლისა

*) აქ საჭიროა მოვიყვანოთ თვითონ ტექსტი ამ მეოთხე მუხლისა: 4. уполномочить губернского предводителя дворянства на принятие тех органичений, какие будут устоновлены князем Захарием Георгиевичем Еристовым, при составлении акта о переходе имения.

დროისათვის შეძლება სკოლისა მოიმატებს მამულის რიგიანად კეთების გამო, და თვით თ. ზაქარია ერისთავიც, თავისის მხრით იმ სკოლის ღონისძიებას განაძლიერებს, იგი სკოლა უნდა გადაკეთებულ იქმნას სასოფლო-მეურნოების სასწავლებლად. ამასთან თ. ზაქარია ერისთავი სთხოვს გუბერნიის მარშალს ეს კატეგორიულად დადგენილნი პირობანი აუწყოს თავადაზნაურობას და აცოდინოს, რომ თუ თვითონ თავადაზნაურობაც თავისის მხრით არაფერს შემოსწირავს და თავისის მხრითაც არასფერს გაიმეტებს, ეს საქმე არც ეხლა და არც ბოლოს არ განხორციელდებაო. მოისმინა რა ყოველივე ეს თავადაზნაურობამ 7-ს მაისს 1895 წ. დაადგინა: ამორჩეულ იქმნას კამისია თ. ზაქ. ერისთავის თავმჯდომარეობით და წევრებათ კამისიისა დანიშნულ იქმნან თ. ივ. სულხ. ჭავჭავაძე, ალ. იოს. კობიაშვილი, დ. ი. მუსხელოვი, თ. ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილი, იოს. ივ. წინამძღვრიშვილი და თ. რევ. ქაიხ. ვაჩნაძე. ამით თავადაზნაურობამ დაავალა დაწვრილებით გამოარკვიონ საქმე და გამორკვეული და მომზადებული მოხსენება წარუდგინონ ამ საგანგებო კრებას თავადაზნაურობისას, ან მორიგს, როგორც საჭიროდ დაინახავენ.

კამისია შეუდგა თუ არა ამ მისთვის მინდობილ საქმეს, თავისი ყურადღება მიაქცია ოთხს საგანს და ეს ოთხი საგანი გამოარკვია ამ სახით: პირველი საგანი იყო ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასოფლო სამეურნოების ცოდნას თავადაზნაურობისათვის. ეს საგანი მეტად თვალნათლივ დასანახია და ამაზე დიდი ლაპარაკი და საუბარი არ დასჭირებიათ: ყველას ერთხმობით გარდაუწყვეტია, რომ იმისთანა სასწავლებელი, საცა ჩვენ ყმაწვილკაცობას შეეძლება მიიღოს ხსენებული ცოდნა, უცილობელს საჭიროებას შეადგენს მთელის თავადაზნაურობისათვის. "მარტო ის გარემოებაო, ამბობს მოხსენება კამისიისა, რომ სასოფლო მეურნოების სასწავლებელი საჭირო ცოდნას მისცემს იმ ნაწილს ყმაწვილკაცობისას, რომელიც ვერ შესძლებს თავისი სწავლა-განათლება განაგრძოს აწ არსებულ საშუალო სასწავლებლებში, და თავის ოჯახს დაუბრუნდება განსაზღვრულად მომზადებული, ისეთის

დიდის მნიშვნელობისააო, რომ სასოფლო მეურნოების სასწავლებლის სარგებლობა ეჭვს გარეშეაო."

მეორე საგნად ის აღნიშნეს, თუ რა სახის სასოფლო-მეურნოების სასწავლებელი უფრო სასურველია და შესაფერი. კამისია იმ აზრზე დადგა, რომ თუ გვინდა სასწავლებელი გაუძღვეს აწ არსებულ საჭიროებას თავადაზნაურობისას, მთელი თვისი ღონე იმაზე უნდა მიჰმართოს, რომ საკმაო სწავლა-ცოდნა მიანიჭოს შუათანა და წვრილი მამულების მეურნოებისათვის თეორიულად და პრაქტიკულად და ამიტომ განზრახული სასწავლებელი უნდა იქმნას საშუალო სასწავლებლის კურსითაო.

მესამე საგანი ის იყო, თუ, — ოძისის მამული, მისი ადგილმდებარეობა და გარემოება შეეფერება თუ არა ხსენებულ სახის სასოფლო მეურნოების სასწავლებლის მოთხოვნილებასო. მცოდნე კაცებს გაუსინჯავთ ამ მხრით შემოსაწირავად დანიშნული თავ. ზ. ერისთავისაგან მამული და უცვნიათ, რომ ოძისის მამული თავისის ადგილმდებარეობით, სივრცით და სიდიდით სხვადასხვა ნაწილებისა, მიწისა და ჰავის მხრით, აგრეთვე მით, რომ ადვილი სარწყავები აქვს, მთლად შეეფერება მას, რაც საჭიროა სასოფლო მეურნოების სასწავლებლისათვის. ნაკლად მარტო ის უცვნიათ, რომ რკინისგზას მოშორებულიაო, მაგრამ გზები უკვე კეთდება და ამ სიკარგით მისვლა-მოსვლა გაადვილებულ იქმნებაო.

ყველაზე მძიმე და ძნელად გადასაწყვეტი მეოთხე საგანია. ეს საგანი შეეხება მას, თუ რა ეღირება სკოლის გამართვა და მისი შენახვა. ეს რადგანაც რთული და ვრცელი საგანია, ამაზე საუბარს ხვალისათვის გადავდებთ.

ტფილისი, 21 იანვარი

მეოთხე საგანი, რომელიც კამისიას გამოურკვევია, ის არის, — თუ რა დასჭირდება, რომ ოძისის სკოლა გაიმართოს, მოეწყოს, და რა ხარჯი მოუნდება მას შემდეგ ყოველწლივ. ამის შესახებ კომისიას შეუდგენია სრული და დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უნდა წარედგინოს თავად-აზნაურთა კრებას. ამ ხარ-

ჯთაღრიცხვიდამა სჩანს, რომ თუ სახეში მივიღებთ 80 შეგირდს და იმათგან მარტო 40-ს, რომელთაც თვით სკოლა შეინახავს თავისის ხარჯით, სკოლას მოუნდებაო მოწყობისა და მომართვისათვის 43,300 მანეთი ერთხანად და ყოველწლივ 21,270 მანეთი – იმ 4000 მანეთის გარდა, რომელსაც თვითონ შემოწირული მამული შემოიტანს. კამისია ამასთანავე იმედოვნებს, რომ თვითონ შემოწირულ მამულის შემოსავალი თანდათან იმატებს და საკმაოდაც, რადგანაც უფრო უკედ მოუვლის და უპატრონებს სკოლა.

კამისია აცხადებს, რომ რადგანაც ოძისის მამულში უკვე სადგურის შენობებია და სხვა საოჯახო მომართულობა, და რადგანაც პირველ ხანებში კლასები საჭირო არ იქნება ერთბამად ყველა ერთად გაიმართოს, ამისათვის შესაძლოა, რომ ზემოხსენებული ხარჯი პირველ სამს წელიწადს ამნაირად განაწილდესო: პირველს წელიწადს გაწყობისა და მომართვისათვის საჭირო იქნება მარტო 19,400 მანეთი, მეორე წელიწადს – 16,500, მესამე წელიწადს – 11.400 და ყოველ წლიურ ხარჯად პირველს წელიწადს – 16.000 მანეთი, მეორე წელიწადს – 18.500 და მესამე წელიწადს – 22.000.

ამ სახით გამოდის, რომ პირველ წლისათვის ერთობილი ხარჯი შეადგენს 35.000 მანეთს, მეორე წელიწადს – 35.000 და მესამე წელიწადს – 33.500. ამ ხარჯებს უნდა გამოეკლოს ოთხასი თუმანი, რომელიც ოძისის მამულიდამ ყოველწლივ უნდა შემოვიდეს, კამისიის აზრით.

კამისიას უგრძვნია, რომ იმოდენა ფულის გამოღება, რაც ზემომოყვანილ ანგარიშით დანახულია საჭიროდ მის მიერ, დაუმძიმდება თავადაზნაურობას და მოუწადინებია შემდეგის სახით გაუადვილოს. იგი ამბობს, რომ 47.300 მანეთი ან ცოტა ამაზე ნაკლები შესაძლოა ისესხოთო საადგილმამულო ბანკებიდამ იმ პირობით, რომ თავნი და სარგებელი იხადოს საერთო საჭიროებისათვის გადადებულმა ფულმაო. თუ ეს მოხდა, მაშინ საქმე იმაზე მისდგება, რომ თავადაზნაურობამ ინაღვლოს მარტო 21.270 მანეთი ყოველწლივ ხარჯისათვის, თუ 40 შეგირდს სკოლა თავისის ხარჯით შეინახავსო, და

თუ ეს თავისის ხარჯით შესანახი არ მოუნდება, მარტო 17.270 მანეთის შოვნაღა დასჭირდებაო. ამ სახით პირველ წელიწადს დასჭირდება, თუ 40 შეგირდს თავისის ხარჯით შეინახავს 12.000 მანეთი, მეორე წელიწადს 14.540 და მესამე წელიწადს 18.100; და თუ შეგირდებს არ შეინახავს თავისის ხარჯით, – პირველს წელიწადს 11.000 მანეთი, მეორეს – 12.520 და მესამეს – 15.000. ხოლო მეოთხე წელიწადს სრულს ხარჯში შევა სკოლა და ყოველ წლივ დასჭირდება, 40-ს შეგირდს თავისის ხარჯით შეინახავს, 21.270, და თუ არა – 17.200 მანეთიო.

თუ ვინიცობაა ბანკიდამ აღებული სესხად ფული არ აუდგება 47.300 მანეთს, მაშინ ეს აღრიცხვა ამისდა მიხედვით შეიცვლებაო.

ჩვენ არ შევალთ იმის გარჩევაში, თუ რამოდენად ზედმიწევნილია ეს რაოდენობა ხარჯისა. მცოდნე და ამ საგანზე დაახლოვებულ კაცებს გამოურკვევიათ ეს რაოდენობა და ჯერხანად მაინც საბუთი არა გვაქვს მათი გამონარკვევი არ დავიჯეროთ. ხოლო საკითხავი ეს არის: საიდან და როგორ უნდა შესძლოს თავადაზნაურობამ ამ ხარჯის გაძღოლა? ამ საკითხავზედაც პასუხს იძლევა თვითონ კამისია. იგი ამბობს, რომ ჩვენ აღვნიშნეთ შემდეგი წყარონიო: 1) ის სამეურნოე თავნი-ფული, რომელიც წესდების ძალით უნდა გადიდოს ხოლმე თავად-აზნაურთა ბანკის მოგებიდან ყოველწლივ; 2) ზოგი იგი შემოსავალი, რაც თავად-აზნაურთა ქარვასლას აქვს და ექნება: 3) ზოგი საერთო საჭიროების თავნი-ფული, რომელიც სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მოგებიდან შესდგება ხოლმე და 4) იგი ფული, რომელიც შესაძლოა ისესხოს ბანკიდან თავადაზნაურობამ და გირაოდ მისცეს თვით ოძისის მამული, იმ პირობით, რომ თავნი და სარგებელი მოშორებულ იქნას იმავე საერთო საჭიროებისათვის გადადებულ ფულიდამ, რომელიც წინა მუხლშია მოხსენებული.

ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ნაჩვენებ წყაროთაგან საიმედოა ერთი. ეგ ის წყაროა, თუ თავადაზნაურობა დააგირავებს საადგილმამულო ბანკში ოძისის მამულს და იქიდან ნასესხის ფულით

ხელს მოინაცვლის. სხვა წყაროები დიდად საეჭვოა. საერთო საჭიროებისათვის ბანკის მოგებიდან გადადებულ ფულს ისეთი მძიმე ტვირთი აწევს აწ არსებულის სათავადაზნაურო სკოლის შენახვისა, რომ ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, თუ ამას უნაკლოდ გაუძღვა. ჩვენის ფიქრით ამ ფულს არამც თუ სხვა უფრო მეტი რამ ტვირთი მოუმატონ, არამედ თავადაზნაურობამ უნდა წინადვე იფიქროს სხვა რამ წყარო მოაშველოს, რომ ბანკმა შესძლოს ყოველწლივ ეს სამსახური გაუწიოს აწ არსებულს სკოლას თავადაზნაურებისას. ჯერ თვითონ ბანკი იმისთანა ბუნების და თვისების საქმეა, რომ იმედს ყოველთვის მოგებისას ვერ მოგცემთ და, მაშასადამე, ჯერ სათავად-აზნაურო სკოლაც ამ მხრით დიდს განსაცდელშია. მერე ჩვენს ბანკს ამ უკანასკნელ წლებში ისეთი დავიდარაბა და თავში საცემი ამბები დაატყდა ჩვენგანვე, რომ სავინიცობაოდ გახდა მისი ბედი და უბედობა და ღმერთმა იცის რამოდენად კლებაში შევა მისი მოგება. აი წელს, მაგალითად, არა გვგონია იმოდენა იყოს, რომ დაჰფაროს მთლად აუცილებელი საჭიროება აწ არსებულის სკოლისა. თავადაზნაურობას დასჭირდება მოფიქრება წელსვე საიდამ და როგორ გასწვდეს ამ სკოლის ხარჯსა. ქარვასლის შემოსავლიდამ თუ არ მოეშველა თავადაზნაურობა ამ სკოლას, სკოლის საქმე მეტისმეტად გაჭირდება წელსავე. ამიტომაც მეტი და ტყუილი იმედი იქნება, რომ ბანკის მოგებისაგან გადადებული ფული და ქარვასლის შემოსავალი სხვა რასმე მოხმარდეს თუ არ აწ არსებულ სკოლას თავადაზნაურობისას. ამიტომაც ამ ორს წყაროზე დაფუძნებული ანგარიში ქვიშაზე აშენებული შენობა იქნება და არა იგი ულეველი წყარო, რომელიც საჭიროა იმისთანა სამუდამო და მძიმე საქმის გასაძღოლად, როგორც სკოლაა.

[1897 წ.]

<თავად-აზნაურთა კრებების უფლება-მოვალეობა>

ტფილისი, 1 თებერვალი

გუშინწინ „ნოვოე ობოზრენიე“-ში დაბეჭდილი იყო ქუთაისიდამ კორესპონდენცია და გუშინ ჩვენს გაზეთშიაც მოვიხსენიეთ იგი მოკლედ. კორესპონდენტი იუწყება, რომ 28 იანვარს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურნი გუბერნიის მარშლის თანდასწრებით შეყრილან კერძოდ ერთმანეთში მოსალაპარაკებლად იმაზე, თუ რა სარჩიელი წარუდგინონ საერთო გუბერნიის მორიგს კრებას, რომელიც დანიშნულია ამ მომავალს მაისში.

ამ კერძო კრებას მოუსმენია სხვადასხვა საგანი, ზოგი მოუწონია, ზოგი დაუწუნია და გადაუწყვეტია, რომ თუ მათი მოწონებული საერთო კრებამაც მოიწონა, საჭირო და სათანადო შუამდგომლობა გასწიონ, საცა და ვისთანაც ჯერ არს. დასაბუთება მოწონებულის საგნებისა დაუვალებია თვითვეულ ცალკე კამისიისათვის. ჩვენ არ ჩამოვთვლით აქ, რა და რა საგანზე ჰქონიათ საუბარი, რა მოუწონიათ, რა საბუთით და რა საბუთითვე რა დაუწუნიათ.

აქ ჩვენ სულ სხვა სიხარული გვალაპარაკებს და ამავე დროს სხვა დარდი და ნაღველიცა.

ვიდრე ამ უცნაურს ნასკვს გამოვხსნიდეთ და ამ მზიან-ჩრდილში გზას გავიგნებდეთ, ჯერ ეს ვიკითხოთ: რა აზრი უნდა ჰქონოდა კანონმდებელს, რომ თავადაზნაურობას მიანიჭა ძვირფასი უფლება სამს წელიწადში ერთხელ მაინც ერთად მოიყარონ თავი? კრება გუბერნიის თავადაზნაურობისა რის მომასწავე-

ბელი უნდა იყოს, კანონმდებელის აზრით? ამ აზრის გამორკვევა ძნელი არ არის, ჩვენის ფიქრით, თუ კაცი საქმეში ჩახედულია.

ძლიერი და გავლენიანი ნაწილი ერისა ერთს დროს თავადაზნაურობა იყო და არც დღეს ითქმის, რომ ეს მნიშვნელობა დაჰკარგოდეს თავადაზნაურობას მთავრობის წინაშე მაინც. ამიტომაც საჭიროდ დანახულ იქმნა კანონმდებელის მიერ, რომ ამ ძლიერს და გავლენიანს ნაწილს ერისას გზა და ღონისძიება ჰქონდეს, თავისი საკუთარი საჭიროება თვითონ გამოარკვიოს, თავისს ჭირსა და ლხინს თვითონ მოუაროს, თვითონ უპატრონოს და ყოველივე თავისი დარდი, ნაღველი და საჭიროება აცოდინოს მთავრობას და მთავრობის წადილ-სურვილი — თავადაზნაურობას.

სხვას რას უნდა შესძლებოდა ეს ორნაირი სამსახური გაეწია, თუ არა იმისთანა ორგანოს, რომელიც წარმოადგენს მთელს თავადაზნაურობას ამა თუ იმ გუბერნიისას ცალკე? ამისთანა ორგანოა კრებული თავადაზნაურობისა, რომელიც კანონის ძალით სამს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს, თუმცა ნება აქვს დართული სხვა დროსაც შეკრებისა საჭიროებისამებრ. რადგანაც ეს ორგანო, ვითარცა მრავალკაციანი კრებული, ვერ შესძლებს ყოველ დღეს იმოქმედოს თავისის დანიშნულებისამებრ, ამიტომაც საჭიროდ დანახულია კანონმდებელის მიერ ყოველ სამის წლის განმავლობაში თვისი წარმომადგენელი იყოლიოს თვისთა შორის ამორჩევითა. ამისთანა წარმომადგენელნი არიან გუბერნიის და მაზრის მარშლები და ზოგიერთი სხვა მოხელენი, რომელნიც კანონებში დასახელებული არიან, ყველა ესენი სხვა არა არიან რა, გარდა იმისა, რომ თავადაზნაურობის მხრით კრებულის კანონიერს ნებას და განაჩენს უნდა ასრულებდნენ ამ წესით და რიგით, რაც დაწვრილებით ნაჩვენებია კანონებში და თავად-აზნაურთა სახელობით არა უნდა გაჰბედონ რა თავადაზნაურთა კრებულის დაუკითხავად.

ამ სახით, დედააზრი საგუბერნიო კრებისა იგია, რომ ყოველსავე კანონის მიერ შესაწყნარებელს დარდსა, ნაღველს და საჭიროებას თავადაზნაურობისას, კანონმდებელმა გზა გაუხსნა გამორკვევისა მთავრობამდე მისაღწევად და სატკივარის წამლის მოსაწოდებლად, რამოდენადაც ეს შესაძლებელია მთავრობისაგან. აი რით არის ეს უფლება კრებისა ძვირფასი თავადაზნაურობისათვის: იგი მისდა საჭიროების კანონიერი გამომთქმელია, ხმამაღლა მეტყველი და მღაღადებელი. მართლადაც, სხვამ ვინ იცის უკეთესად დანახვა საჭიროებისა, თუ არ თვით გაჭირებულმა და, ამ შემთხვევაში, თუ არ კრებულმა მთელის თავადაზნაურობისამ?

აი ეს ძვირფასი მხარე თავად-აზნაურთა საზოგადო კრებისა, ჩვენდა სამწუხაროდ, დავიწყებული გვაქვს.. თავად-აზნაურთა კრება ჩვენ ეხლა მარტო მარშლების ამოსარჩევ ორგანოდ მიგვაჩნია და ის კი აღარ გვახსოვს, რომ თუ სათქმელი არა გვაქვს რა, თუ საჭიროება არა გვცემს თავში, თუ არც დარდი, არც ნაღველი რამ არ გვაწუხებს, თუ არა გვტკივა რა, არც მარშალია საჭირო, არც სხვა ვინმე მოხელე. რა უნდა გვიკეთონ ან ერთმა, ან მეორემ? რისთვისღა ვიცხელებთ თავს? რაკი კანონი ნებას გვაძლევს ყოველ ამაზე ჩვენვე ვინაღვლოთ, სათხოვნელია რამ, ვითხოვოთ, გასაკეთებელია — ჩვენვე გავაკეთოთ — ნუთუ, ვამბობთ, ყოველივე ეს იმათ არა ღირს, რომ წინადვე აღვნუსხოთ, წინადვე მოვისაზროთ, წინადვე სიგრძე-სიგანე გავუზომოთ, ავწონ-დავწონოთ და მომზადებული საბუთიანი სარჩიელი შევიტანოთ კრებაში და ჩვენთა მოძმეთა კრებულს დავეკითხოთ, — საიდ რას გავხდეთ და რა გზითა!

კრებას რომ დედააზრი გავუქარწყლეთ, ის, რისთვისაც იგი ძვირფასია, ჩამოვათალეთ, რისთვისაც განსაკუთრებით დანიშნულია, ის დავივიწყეთ და რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ თვით მოხელეთა ამორჩევაშიაც ბრმად და წინდაუხედველად ვიქცევით. რაკი საქმე აღარ არის, რასღა უნდა შეურჩიოთ ძალ-ღონე ამოსარჩევ კაცისა? ვინც გინდა იყოს, განა სულ ერთი არ არის, რაკი უქმად ყოფნა ასე დაკვებებული გვაქვს? აბა კრებამ თავისდა დანიშნულებისამებრ საქმიანობა გასწიოს, ამოსარჩევ კაცს ვალად დასდოს და თავისს დროზე ყველაფერი მოჰკითხოს, რაც დავალებული და მოსაკითხია, და მაშინ ჰნახავთ ბევრი გაბედავს თუ არა

კენჭის ჩამოტარებას და იმ სასახელო ტვირთის ზიდ-
ვას, რომელსაც საზოგადო საქმე ჰქვიან და რომელიც
ჭეშმარიტ მზიდველისათვის მარტო წვალებაა, პასუხ-
ისგებაა, ჯაფაა და არა მოედანი მუნდერში გამოჭიმვისა
და პტყელ-პტყელ სასაცილო ბაქიობისა: რაცა ვარ, მე
ვარო. რომ კრება თავისს დანიშნულებისამებრ არა
საქმობს, რად გვინდა საქმიანი კაცი უსაქმობაზე
მოვაცდინოთ. ამიტომაც დიდს არჩევანში არ შევდი-
ვართ, როცა მარშლებს და სხვა მოხელეებს თაროზე
წამოვასკუპებთ ხოლმე და გვგონია საქმე გავაკეთეთ და
ქვეყნის წინაშე ვალი ავიხადეთო.

ჩვენში დედააზრი კრებისა დღეს დავიწყებულია,
მკვდარია. ამ დედააზრის მკვდრეთით აღდგენა აუცილე-
ბელ საჭიროებად უცვნია ქუთაისის თავადაზნაურობას
და ამისათვის მზადებას შესდგომია თავისდა სასახ-
ელოდ და ჩვენდა სამაგალითოდ. აქედამ აშკარაა, რომ
ქუთაისის თავად-აზნაურთა მიუგნიათ კრების უმ-
თავრესს და ერთადერთ სანატრელ ძარღვისათვის და
ცოდვად ჩაუთვლიათ მარტო კენჭობისათვის თავის
მოყრა მორიგ კრებაზე. კანონი ნებას გვაძლევს ჩვენის
თავისათვის ვინაღვლოთ რამ, რაც წარსადგენია, წარ-
ვუდგინოთ მთავრობას, რაც ჩვენგან გასაკეთებელია,
გავაკეთოთ და რა საკადრისია, რომ ამ საზოგადო
მოვალეობას ვღალატობდეთო.

ასეთი ამბავი ქუთათურებისა გონების აღმატებას
მოასწავებს. ეგ იმის ნიშანია, რომ იქ გულსა და გონე-
ბას მუშაობა დაუწყვია, თვალს ხედვა მოჰმატებია და
ყურს სმენა. ღმერთმა ჰქნას ყოველ ამისი უფრო მეტად
გაძლიერება!

აი სასიხარულო რა არის იმ ამბავში, რომლის
მოთხრობითაც დავიწყეთ ჩვენი წერილი. სანაღვლელი
და სადარდელი რაღა არისო, იკითხავთ? ის, ჩვენო
ბატონებო, რომ ჩვენც, ტფილისის თავადაზნაურობას,
ბევრი რამ გვიჭირს და ხმის ამომღები არ არის. ვართ
ისე მიყუჩებულნი და გაბრუებულნი, თითქო მოსაკითხი,
განსაკითხი არა გვქონდეს რა, თითქო არაფერი
გვტკიოდეს, არაფერი გვენაღვლებოდეს. ჩვენც
ველოდებით 28 მაისს თავადაზნაურთა კრებას და ყურ-
საც არ ვიბერტყავთ, მივალთ ცხვრებსავით და ცხვრებ-

სავით ყურებჩამოყრილები გამოვალთ. ჩვენ დღეს იმით
ვაღამებთ და ღამეს იმით ვათენებთ, ერთი იძახის
სამასხარო ქადილითა Я имь задамь-ო და მეორენი სი-
ცილით ეუბნებიან: ბალი აღაო, იყავნ ნება თქვენიო.
ამაში მიდის დრო, ესე იგი მთქნარება ჩვენი. ღმერთიც
მწყალობელია და კაციც.

ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა, რომ ვთქვათ: ნეტავი
ქუთათურებს! შურიანობაში ნურავინ ჩამოგვართმევთ.
ჩვენ იმათი უკან დახევა კი არ გვინდა: ჩვენი ძმები
არიან, ჩვენ იმათამდე მიღწევა გვენატრება: ჩვენც იმათი
ძმები ვართ.

[1897 წ.]



<სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საჭიროება>

ტფილისი, 8 თებერვალი

ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავრობას ერთი ჩვენთვის ფრიად გასახარებელი და საბედნიერო აზრი მოსვლია და ამ ამბის მომტანს სწორედ სამახარობლო ერგება ჩვენგან. აწ განსვენებულს მთავარმართებელს ბ-ნს შერემეტიევს თვისს უუქვეშევრდომესს მოხსენებაში აღუნიშნავს სხვათა შორის განწირული ყოფა-ცხოვრება ჩვენის თავადაზნაურობისა. მართლადაც, სიღარიბე და შეუძლებლობა ამ წოდებისა იმოდენად ძლიერია, რომ თავადაზნაურობას ღონე არა აქვს თავისის ადგილ-მამულის შემოსავალი განადიდოს და მით სული მოიდგას. ამის მიზეზი ყველაზე უწინარეს ის არის, რომ ცოდნა არ არის, რა გზით და როგორ მოუარონ მამულს, რაგვარად შეუწყონ ხელი, რომ მამულის უკეთესად მოვლით და შემუშავებით უფრო მეტი ღონე მოიცენ. სიღარიბე ვერ აზრდევინებს, ვერ ამზადებინებს შვილებს, რომ შვილი სჯობდეს მამასა და ეს წოდება უკან და უკან მიდის ქონებითაც და გონებითაც. ეხლა უცოდინარი მშრომელი უხორთუმო სპილოა, უბრჭყალო ლომია არსებობისათვის ბრძოლაში, უფარხმალო მეომარია და რაც გინდ ვაჟკაცი იყოს, დამარცხებულია და ძლეული.

ამის გამო განსვენებულს მთავარმართებელს დაუსახავს, რომ ერთი უმაღლესი სამეურნოე სასწავლებელი საქართველოში დიდ შემწეობას მისცემს აქაურ თავადაზნაურობასა, რომელსაც ეგრე ენატრება ერთობ სწავლა-ცოდნა და სამეურნოე განსაკუთრებითაო. მინისტრთა კომიტეტში მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხელ ნიკოლოოზის ძეს, როცა ამ საგანზე ლაპარაკი და მსჯელობა ჰქონიათ, მეტად გულმტკივნეული სიტყვა უბრძანებია ჩვენდა სასარგებლოდ და ამით გაუთავებია, რომ სასურველია, რომ მთავრობამ ამ მხრივ შემწეობა რამ აღმოუჩინოს იქაურობასაო.

ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვიტტე თანაგრძნობით მიჰგებებია დიდის მთავრის მიერ ნაბრძანებს და თავისის მხრივ დაუძენია, რომ იგი მოიპოებს ფულის ღონისძიებას საქართველოს თავად-აზნაურთა შვილების სწავლა-განათლებისათვის. მინისტრთა კომიტეტს დაუდგენია, რომ აქაურს მთავრობას ეცნობოს ყოველივე ეს და ეკითხოს: რაოდენად საჭიროა აქ გაძლიერდეს თავად-აზნაურთა შვილებისათვის სწავლა-ცოდნის ღონისძიებანი და ეს საჭიროება რამოდენა ხარჯს მოითხოვს. მთავარმართებლის კანცელარიას ეს კომიტეტის განაჩენი გარდაუცია გუბერნატორისათვის და უთხოვნია, თქვენი აზრი გვაცნობეთ ამ საგანზეო. გუბერნატორს თავისის მხრით მოუკითხნია აზრი ჩვენი გუბერნიის მარშლისაგან.

მერე? იკითხავთ. მერე ისა, რომ გუბერნიის მარშალს არც უციებია, არც უცხელებია და პასუხი უკვე მიუწერიაო, გვიამბო ამ ამბის მომტანმა.

„როგორ?“ უეცრად შემობღავლა ერთმა იქ მყოფმა დარბაისელმა ქართველმა. „უმაღლესმა მთავრობამ მოწყალეს თვალით გადმოგვხედა, მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა გულმტკივნეულად მოიწადინა ჩვენი ხსნა, ფინანსთა მინისტრმა არ დაიშურა ჩვენს ხსნას ხელი შეუწყოს და სახსარს იძლევა ჩვენის შვილების განათლების და სწავლა-ცოდნისათვის და რომ ჩვენს სატკივარს, ჩვენს ჭირს და ვაგლახს სიგრძე-სიგანე ჭეშმარიტად გაეზომოს და ზედ გამოიჭრას მართალი და უებარი წამალი, — ჩვენვე გვეკითხებიან, ჩვენ კი ამაებისა არც არავინ რა შეგვატყობინა, არც არავინ არ დაგვეკითხა და აიღეს და ჩვენ მაგიერ პასუხიც კი გაჰგზავნეს! ეს დიდად სასურველი და დიდად სანატრელი საქმე განა იმისთანა რამ არის, რომ კანცელიარულად წავიდ-წამოვიდეს?! თუ მთავრო-

ბას არა სურვებოდა ჩვენის თავადაზნაურობის აზრის შეტყობა ამ დიდი საქმის შესახებ, ბ-ნს გუბერნიის მარშალს რად დაეკითხებოდნენ. და თუ ესეა, ჩვენ მაგიერ ვინ მისცა პასუხი, ან ვის შეეძლო მიეცა ჩვენდა დაუკითხავადაო! გამიგონია, რომ ერთს დროს, რომელიც წავიდა და ღვთის წყალობით აღარ მოვა, ბატონი ყმის მაგიერ იძლევოდა პასუხს და ჩვენ ვინ გადაგვაქცია ხმაამოუღებელ ყმებადაო!..“

„ამისთანა, ღრმად მოსაზრისი, მრავალმნიშვნელობიანი საქმე ამ საუკუნეში, არა მგონია, სხვა ბევრი გაგვჩენოდეს და ესეც კანცელიარულად ჩავაფუჩეჩოთო! განა ეს იმისთანა საქმე არ არის, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი წინ წაწევა, წარმატება ქონებით თუ გონებით, ჩვენი აღმატება, ჩვენი გაძლიერება, ჩვენი შვილების სვე-ბედი და, მაშასადამე, მთელი ჩვენი მერმისი, მთელი ჩვენი სასოება ხვალინდელ დღისა, მთელი ჩვენი ავი და კარგი, მთელი ჩვენი ცხოვრება და სულდგმულობაო! აიღეს ეს დიდი საქმე და თავადაზნაურთა დაუკითხავად, მის მიერ გაურჩევლად და განუსჯელად გადასწყვიტეს და პასუხიც გაჰგზავნესო! არც კი გვატყობინებენ, რა პასუხი მისცეს ჩვენ მაგიერაო! ეს რა ამბავი მოდის ჩვენს თავსაო! ცხვრები ვართ, თუ რა ჯანაბაა, რომ ასე გვექცევიან ჩვენებივეო! აღარაფრად მივაჩნივართო! ვყრივართ სადმე თუ არა, აღარავის ვაგონდებითო! სადაურია? გაგონილაო?“ იძახდა გულგახეთქილი, გამწარებული დარბაისელი კეთილშობილი.

სადაურიაო? აქაურია, ჩვენებური, ქართველური! გაგონილაო? გაგონილზედაც მეტია. ჯერ მოიცადეთ, ღმერთი მოწყალეა, ბევრს კიდევ სხვას გაიგონებთ.

[1897 წ.]



<კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი>

ტფილისი, 10 თებერვალი

ნუთუ თვალწინ დაგვიდგა დასაწყისი ოსმალეთის დასასრულისა? ასეთი საკითხი ყოველს კაცს მოსდის ფიქრად, როცა ამბად მოდის კრიტის კუნძულის გამო ატეხილი ალიაქოთი. რა ჰქმნა ისეთი საბერძნეთმა, რომ ევროპა მუქარით და საყვედურით ხელს უქნევს. იჟლიტება ტყუილ-უბრალოდ ქრისტიანი ხალხი, ლამის სულის ამოხდამდე მივიდეს კუნძული კრიტისა, ლამის ერთმანეთი შესჭამონ იქ დატყვევებულმა ბერძნებმა და დამპყრობელმა ოსმალომ, ევროპა კი არამცთუ ხელს არ სძრავს, თავისს რიხიან ხმას არ იღებს, არამედ გამოსულა და მუქარით ეუბნება პატარა საბერძნეთს: შენც სუ და მეც სუო.

დიპლომატიისა არ ვიცით, — რა უძევს წინ, რომ ასე იქცევა. საბერძნეთის მოქმედება კი ადვილად ასახსნელია, საიდამ მოდის და სად მიდის. ქვეყნის გული თანაგრძნობით უნდა უყურებდეს ამ პაწია საბერძნეთის თავგამოდებას და გაბედულებას. კრიტელნი ბერძნების სისხლხორცნი არიან, მათი ერთმორწმუნენი და ოსმალოთაგან მოწყვეტილნი თავისს მოძმეთაგან, მისგან დევნულნი და ჩაგრულნი. ბევრს კრიტელს ვაჟკაცს დაუდვია თავი საბერძნეთისათვის, როგორც თავის სამშობლო ქვეყნისათვის, ბევრს დაუღვრია თავისი სისხლი, მტლად დაუდვია თავისი სიცოცხლე საბერძნეთის განთავისუფლებისათვის, ბევრს სულის დალევის დროს ომში უძახნია: გაუმარჯოს საბერძნეთსაო და ამის ნატვრით დაულევია სული! ნუთუ სა-

ბერძნეთს საყვედური უნდა შეეთვალოს ვისგანმე, რომ იგი დღეს თვისთა მოძმეთა სიყვარულით აღფრთოვანებულა, გამოუდვია თავი იმათის ხსნისათვის, გამოსულა და იძახის: პატარა ვარ, მაგრამ გული დიდი მაქვს ძმათა საშველად, ჩემი იარაღი, ჩემი თოფი და ზარბაზანი ჩემი სიმართლეა, სიმართლე ერთის სისიხლხორცობისა, ერთსარწმუნოებისა სიმართლე ჩაგრულთა და წვალებულთა ძმათათვის გულმტკივნეულობისა და თავდადებისაო.

მართლადა, რა იმისთანა დანაშაულობაა, რომ კაცმა თავისი ძმა, ტყვედქმნილი, ძალით წართმეული, მოტაცებული, გულის ამოხდომამდე მიღწეული, — იძიოს, რომ ისევ თავისთან იყოლიოს, შეივრდომოს, შეიერთოს, ძმას ძმურად მიეშველოს, შეეწიოს. გრძნობა ადამიანობისა, ქრისტიანობისა, მაღალზნეობისა — სხვა რა არის, თუ არ გულისტკივილი ყველასათვის საერთოდ და ძმათათვის განსაკუთრებით, აი ეს, სწორედ ეს გრძნობაა ის ღონე უღონოსი, ის შემძლებელობა შეუძლებელისა, რომელიც სასწაულს აქმნევინებს ხოლმე ადამიანს და რომლის საოცარი მაგალითები ძლევამოსილობისა არა ერთი და ორია ისტორიაში.

ჩვენის ფიქრით, პირველი მიზეზი და საბუთი იმ თავგამოდებისა, რომელიც დღეს საბერძნეთმა გამოიჩინა, ამაშია და ამაშივეა მისი იმედი და სასოება. ეს იმედი და სასოება უნდა გაორკეცდეს და გაძლიერდეს იმ საზრისით, რომ ქვეყანა ამ შემთხვევაში საბერძნეთისაკენ უნდა იყოს, თუ მარტო მუცლისათვის არ მოუკლავს უმაღლესნი სულთასწრაფვანი ადამიანობისა, კაცთმოყვარეობისა, ქრისტიანობისა.

დიპლომატია, რასაკვირველია, სულ სხვა თვალით უყურებს საბერძნეთის, ამ პაწია და უღონო სამეფოის, გაბედულობას. უკვირს, საბერძნეთი როგორ ჰბედავს და ჯიუტობს და არ ემორჩილება ევროპასაო. დავიჯეროთო, იძახიან დიპლომატები, აქ არავინ იყოს იმისთანა, რომ საბერძნეთს ერთს აწვეთებდეს ყურში და პირად-კი სულ სხვას გაიძახოდესო? თუ ესეა, აშკარაა — ის, ვინც არის, ღონეც უნდა შესწევდეს, ზურგი მეტად მაგარი უნდა ჰქონდეს, თორემ საბერძნეთი არც ისეთი უპატრონოა და წინდაუხედავი, რომ თვით უღონო — უღონოსავე სიტყვას და ქადილს აჰყვეს და თავისი სვე-ბედი დიდს განსაცდელში ჩააგდოს. აშკარაა, აქ ისეთი წამქეზებელი უნდა ჰყვანდეს, რომ მისის იმედით და უეჭველის დაპირებით საბერძნეთმა გაბედოს ის, რაც უკვე ეგრე თამამად გაბედა.

თქმა არ უნდა, ეხლანდელი სულთაძვრა საბერძნეთის ერისა, მისი ზნემაღალი მოვალეობა თავის სამშობლოსა და მოძმეთა წინაშე — შეექმნებოდა ზოგიერთს სახელმწიფოს იმედად, რომ, იქნება, ამით აღმოსავლეთის საქმემ მთელ თავისს სიგრძე-სიგანეზე იფეთქოს და ევროპა აირ-დაირიოს, გამეგობრებულნი ერთმანეთს გადაამტეროს, მტერნი დაამოყვროს და ამ სახით, საცა წვრილია, იქ გაწყდეს ძაფი ეხლანდელის კავშირობისა. ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, აღმოსავლეთის საქმე იმისთანა საბძელია, — თუ ცეცხლი წაეკიდა, ყველა თავისის საკუთარის ხელების თბობას დაიწყებს, ყველა ეცდება თავისაკენ მოითალოს, რაც მოსათლელია. რაკი სახელმწიფოთა „მე“ გაიღვიძებს, ოსმალთაგან დატოვებულს სამკვიდროს განაწილების მადაც თავისს გაუმაძღარს პირს დააღებს, და მოდით, ყველა პირდაღებული გააძღეთ ისე, რომ მეტი არავინ ინდომოს და ამ ნდომით ხელი ხმალს არ იკრას სიხარბითა, იმისდა მიუხედავად, ბედი და შემთხვევა ხელს შეუწყობს თუ არა.

აი, დიპლომატიის შიში რაში მდგომარეობს. იგი ფრთხილობს, რომ პაწია საბერძნეთმა არ ააფეთქოს აღმოსავლეთის საქმე და თოფ-ზარბაზანმა არ გაიხმაუროს თავისის საშინელის ხმით იქ, საცა დღეს მარტო დიპლომატების ენა ტყუილ-უბრალოდ ჰლაქლაქებს.

ამ სახით, უეჭველია, რომ დღეს ევროპაში ერთის მხრით აღმოსავლეთის საქმის ატეხა ჰსურთ და, მეორეს მხრით, — მისი ჩაფუჩეჩება. აშკარაა, თვითოეული მხარე ისე იქცევა, როგორც უჯობს, და საკვირველი არ არის, რომ საბერძნეთს მოიმედე წამქეზებელი ჰყვანდეს და ზურგთ უკან მაგრად ჰქონდეს დაჭერილი საქმე. ეს, რასაკვირველია, საბერძნეთის ტრფიალებით

კი არ მოსდის წამქეზებელს, თუ იგი სადმეა: იმას თავისის პოლიტიკის ნასკვის გამოხსნა სწადიან, გაჭირებისაგან გამოსვლა, ერთის სიტყვით თავისი ინ-ტერესები ამოქმედებს და, როგორც ეტყობა, ჯერ ხანად ალჩუ უჯდება. არც მეორე მხარეა ოსმალოს ტრფიალებით გატაცებული. ყველამ კარგად იცის, რომ დღენი ოსმალოს ხელმწიფობისა ევროპაში დათვლილია, დღეს არა, ხვალე იგი დადნება, ვითარცა შარშანდელი თოვლი. ხოლო სამკვიდროს გასანაწილებლად და გასაყოფად მზად არიან და სცდილობენ ეს საქმე გასჭიმონ იქამდე, ვიდრე შესაძლო იქნება, რიხით და ზარით მივიდნენ და თავისი ნაწილი უკლებლივ მოიჭრან ოსმალოთაგან დაშთენილ სამკვიდროსაგან.

ამასთან „ჰო“ და „არა“ ერთსა და იმავე დროს ევ-როპის სახელმწიფოთა შორის საბერძნეთს, ჩვენის ფიქრით, ხელს უნდა უმართავდეს. დიპლომატია, როგორც, კარგად გაწურთვნილი მეძებარი, ამ „ჰოსა“ და „არას“ კვალსა, უეჭველია, უნდა აჰყვეს და ამის უკან დევნას მოახმაროს თავისი დრო და ჭკუა. მოუ-ლოდნელი არ არის, მინამ დიპლომატია ამაებით გარ-თული იქნება, საბერძნეთმა აიღოს და კრიტის კუნძ-ული დაიჭიროს და ამით გათავდეს საქმე ჯერხანად. ამისთანა წაჯექ-უკუჯექობა იყო, როცა ინგლისმა არც აცხელა და არც აცივა, აიღო და ეგვიპტეში დასკუპდა მთელის ევროპის წინააღმდეგ; ევროპამ პროტესტი გა-მოუცხადა და დაჩუმდა. ავსტრო-ვენგრიამ დაიჭირა ჰერცოგოვინა და ბოსნია, კიდევ წინააღმდეგ მთელის ევროპის განაჩენისა; ეს შერჩა ავსტრო-ვენგრიას და ევროპამ პროტესტი გამოუცხადა და დაჩუმდა. ბოლგა-რეთსაც ბევრი თითი უქნიეს, მაგრამ აიღო და რუ-მელია დაიჭირა, აქაც ევროპამ პროტესტი გამოუცხადა და დაჩუმდა. რასაკვირველიღაა, რომ საბერძნეთმაც დაიჭიროს კრიტი და ევროპამ კიდევ თავისი პრო-ტესტი გამოაცხადოს და დაჩუმდეს.

ესე გათავდება კრიტისა და საბერძნეთის საქმე, ანუ თუ კრიტს სრულ ავტონომიას მისცემენ, — ამით მაინც იგი იარა, რომელიც ევროპის ტანს აჩნეული აქვს აღ-მოსავლეთის საქმის სახით, არ გამთელდება. მოსურნე

აღმოსავლეთის საქმის აწეწვისა არ მოისვენებს, თუ კრიტს და საბერძნეთს დააჩუმებენ, ახლა მაკედონიაში წაუკიდებენ ცეცხლსა და ასე ივლიან, ვიდრე მოლოდინი ოსმალეთის განაწილებისა და გაყოფისა ერთმანეთს არ წაჰკიდებს აწ დამეგობრებულს სახელმ-წიფოებს და სხვა ზავ-კავშირობას არ ჩამოაგდებს ევ-როპაში ამის მეცადინეთა სასარგებლოდ. დასაწყისი ნამდვილის დასასრულისა ოსმალეთისათვის მაშინ იქნება.

[1897 წ.]

ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)

(სამეურნეო საზოგადოების პროექტის თაობაზე)

რუსულ ჟურნალში ,,Неделя“ –ში დაბეჭდილია ტფილისიდამ წერილი სახელად ,,Кавказская утопия“. იგი წერილი შეეხება ეგრედ წოდებულ ,,გლეხთა სამეურნო ფულს ტფილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათათვის“, განზრახულს ტფილისის გუბერნატორის მიერ შედგენილ პროექტითა.

სამწუხაროდ ჩვენდა უნდა ვსთქვათ, რომ ავტორი ამ წერილისა მეტად მძიმე საქმეს სუბუქად მოჰკიდებია და, რამოდენადაც ჩვენ მივწვდით მის წერილს, მთლად უცოდინრადაც. ჯერ პირველი ის, რომ ავტორს იმ დედააზრისათვისაც ვერ მიუგნია, რომელიც ქვაკუთხედად დადებული აქვს პროექტს და თავიდამ ბოლომდე გატარებული მთელის თავისის სიგძესიგანითა. ეს კიდევ არაფერი, რომ ზოგადი აზრი, არსებითი საგანი ამ პროექტისა სრულიად ვერ უცვნია: თვითეული ცალკე მუხლიც წესდებისა ვერ გაუთვალისწინებია, ვერ გაუგია რიგიანად. ჩვენ, როცა შემთხვევა გვექნება, იქნება ამ საგანს კიდევ მივუბრუნდეთ და თვალსაჩინო საბუთები წარმოვადგინოთ ჩვენის სიტყვისა. ეხლა მარტო საკმაოა თუნდ ერთი საბუთი მოვიყვანოთ იმისი, რომ ავტორი ტყუილად მომცდარა დაცინვისათვის. მაგალითებრ: პროექტს სხვათა შორის საგნათა აქვს, რომ გლეხთა საზოგადოებამ მისდა კუთვნილ სამეურნო ფულიდამ იყიდოს მიწები, ტყეები, გაატაროს არხები სარწყავად, აიშენოს საჭირო შენობანი საზოგადო სახმარად და სხვანი. სხვათა შორის ნაჩვენებია პროექტში ჯიშიან საქონლის სყიდვაც, რომ

განიკარგოს პირუტყვის ჯიში სოფლებში. რა გზით შეუძლიან საზოგადოებას ამისთანა საჭიროება დააკმაყოფილოს? § 34 და შემდეგი მუხლები წესდებისა ამის გამო ამბობს: რანაირიც გინდ იყოს საზოგადო საჭიროება, იმის საჩვენებლად უნდა სასოფლო განაჩენი შესდგეს სოფლის ყრილობისაგან ორის მესამედის ხმის უპირატესობით. განაჩენში ნათლად და ნამდვილად უნდა იყოს აღნიშნული საგანი საზოგადო საჭიროებისა და რაოდენობა ფულისა, რომელიც უნდა მოუნდეს მაგ საჭიროებას. ეს განაჩენი მაზრის უფროსს უნდა წარუდგეს და ამან თავისის აზრით წარუდგინოს გუბერნატორს. გუბერნატორიც კი თავისით არა სწყვეტს ამ განაჩენში მოხსენებულს სურვილს სოფლის საზოგადოებისას. მან უნდა მოიწვიოს შეერთებული კრებული ტფილისის გუბერნიის მართველობისა და გლეხთა საქმეთა გამგეობისა. მარტო ამ კრებულსა აქვს უფლება ან უარი უთხრას განაჩენზე სოფლის საზოგადოებას, ან ნება დართოს გაიტანოს ფული, რომ განაჩენში მოხსენებულ საჭიროებისათვის მოიხმაროს. ყოველივე ეს მოხსენებულია წესდების §§ 34, 35, 36 და 40.

ამის შემდეგ რას ამბობს ახლა ავტორი, ცოტა არ იყოს, დაცინვით და წყრომითაც: ვინ უნდა უყიდოს საზოგადოებას მიწები და სხვა ამისთანა? ან უჩასტკის პოლიციამ, ან ეს უნდა იქმნას იმის აუცილებელ და ძალიან დაახლოვებულ მონაწილეობითაო. ვინ უნდა გაატაროს არხები, აშენოს წისქვილები და სხვა საზოგადო შენობები? უჩასტკის პოლიციამო. ვინ უნდა დაიბაროს და იყიდოს ჯიშიანი საქონელი, სამეურნეო იარაღი და სხვანი და ვისის წარდგენითა და შემწეობით? უჩასტკის პოლიციამ და უჩასტკის პოლიციის წარდგენითა და შემწეობითაო.

ავტორი თვითონვე ჰხევს და თვითონვე ჰკერავს, როგორც ეტყობა. ვთქვათ, შეეძლო თავისის თავისათვის ყოველივე ეს ეკითხნა, ხოლო პასუხი კი წესდებაში უნდა მოენახა და იქ ამოეკითხნა და არა თავისით მოეგონა. ნუთუ ზემოხსენებულ მუხლებში სადმე ან ერთი სიტყვა ამხელს უჩასტკის პოლიციის მონაწილეობას ამ საქმეში? ნუთუ ცხადი არ არის,

რომ ამისთანა საქმეებში წესდება სრულს თაოსნობას აძლევს თითონ სოფლის საზოგადოებას? ვისი წარდგენით უნდა იყოსო, ჰკითხავს თავის თავს უცნაური ავტორი. ნუთუ ცხადი არ არის ზემოხსენებულ § 34 მუხლში ვისის წარდგენით უნდა მოხდეს ყოველივე ის, რაზედაც ასე ოხუნჯობს ავტორი ნუთუ აქ საკითხავია, ვინ უნდა გააკეთოს არხები, წისქვილები, ვინ უნდა იყიდოს მიწები და სხვა ამისთანა? ამას კითხვაღა უნდა, თუ კაცი მეტად მოცლილი და უსაქმური არ არის. ვინ? ვინ და იმან, ვისაც თვითონ საზოგადოება დაავალებს, მოანდომებს, ვისაც მოურიგდება. ამის გამოცნობას დიდი ხაზი და ლარი უნდა განა? საიდამ ჩამოურევია ავტორს აქ უჩასტკის პოლიცია? ეგ თვითონ ავტორსა ჰკითხეთ, და ჩვენ კი ამას ვიტყვით: მინამ კაცი საქმეს ხელს მოჰკიდებს, სახტომი უნდა გასინჯოს და იცოდინოს!

[1897 წ. 10 თებერვლამდე]



<ერობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო>

ტფილისი, 15 თებერვალი

არაერთხელ გულდახეთქებით გვიჩივლია, რომ ქალაქებგარეთ მცხოვრებ მკვიდრთა, სახელდობრ სოფლობას, რიგიანი პატრონი და მომვლელი არა ჰყავს. ვის არ გაუგონია სამართლიანი საჩივარი, რომ არც გზები გვაქვს, არც საკმაო სკოლები, არც სამკურნალო, არც მკურნალი გვყავს, რომ კაცს გაუჭირდეს და მოიწვიოს. ეს კიდევ ცოტაა: გაუჭირდება რამ სოფლობას, ვთქვათ — პური შემოაკლდა, შიმშილი ჩამოვარდა, ვთქვათ — ჭირი გაჩნდა საქონლისა, თუნდ ადამიანისაც, ვთქვათ — წყლები გვაფუჭებს, ცეცხლი გვწვავს და ამისთანა სხვა რამ უბედურება, მაგალითებრ კალია, თაგვი, ხელიდამ გვართმევს წლის ნაშრომ-ნადაგს, ყოველ ამისთანაში ულონონი ვართ თავს როგორმე ვუშველოთ.

ქალაქებს კიდევ ყოველ ამაებში პატრონი ჰყავთ და ეგ პატრონები თითონ მკვიდრნი არიან, რადგანაც თვითმართველობა აქვთ, და ყოველს ამას მათივე კაცები უძღვებიან, ყოველს ამისათვის ჰზრუნავენ და მეცადინეობენ. შიდარუსეთშიაც მთავრობამ ამისთანა საქმეების გაძღოლა და მართვა თვით სოფლობასაც მიანიჭა და ეგ მძიმე ტვირთი შორიდამ მაგისთანა საქმეების გამგებლობისა და მართვისა თვით აიხსნა და თითონ ადგილობრივს მკვიდრს მიანდო, რადგანაც ადგილის მკვიდრმა უფრო ზედმიწევნით იცის თავისი ჭირ-ბოროტი, და რადგანაც სატკივარი იცის, წამალსაც უფრო ადვილად მოახერხებსო. ესეთი დაწყო-

ბილობა მთავრობის მიერ მით უფრო სამართლიანია, რომ სოფლობა იხდის ეგრედ წოდებულ „ზემსკი პოვინნოსტებს“, რომელთაც საგნად გაძღოლა აქვთ ყოველ იმ საჭიროებისა, რაც ზევით მოკლედ მოვიხსენიეთ.

ჩვენშიაც მაგისთანა ფული იკრიბება, მაგრამ როგორც წინანდელ რუსეთში, ისეც ეხლა, ჩვენში სოფლობის საქმეებს შორიდამ განაგებს მთავრობა, რომელიც, რაკი სხვა ათასი უფრო საჭირო საქმეები აქვს, ვერ იცლის სოფლობისათვის იმოდენად, რამოდენადაც სასურველია, და ფული ფულად მიდის და შესანიშნავს შეღავათს და შვებას კი ვერა ვხედავთ. სოფლობას არც რიგიანი გზა აქვს მისვლა-მოსვლისათვის, არც სამკურნალო აქვს, არც მკურნალი ჰყავს, არც სკოლა აქვს, შიმშილია — პატრონი არა ჰყავს, განსაცდელია რამ საერთო — საშველი არსად არის სწრაფი და საკმაო, და სხვანი და სხვანი.

ეს ნაკლულოვანება იგრძნო ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ, ბევრჯელ ჩამოაგდო ამაზე ლაპარაკი, ბევრჯელ აიღო, დაიღო და ბოლოს 1894 წლის 30 მაისში მთელის კრებულის ერთიანის ხმით დაადგინა: საქმე ტფილისის გუბერნიაში სოფლობის დაწესებულებათა **(Земские учреждения)** გადაეცეს კამისიას, შედგენილს გუბერნიის და სამაზრო მარშლებისაგან. რადგანაც 30 მაისს 1894 წ. სათავადაზნაურო კრებაზე ამ საგანზე სიტყვა ჩამოაგდო თ. გ. მ. თუმანიშვილმა, ამასვე მიანდო კრებამ ამ საქმის შესახები პროექტი მოამზადოს. კარგა ხანს გასტანა ამ პროექტის შედგენამ, რადგანაც სხვადასხვა ადგილებიდამ საჭიროდ დანახულ იქმნა შეგროვება ცნობებისა. ბოლოს პროექტი შემზადდა და 28 თებერვალს 1896 წლისას თ. გ. მ. თუმანიშვილმა წარუდგინა ბ-ნს გუბერნიის მარშალს და სთხოვა მოიწვიოს ხსენებული ზემოთ კამისია და თავად-აზნაურთა კრების განაჩენისამებრ — გაასინჯოს.

საჭირო და სასურველი ჩვენში შემოღება მაგ სოფლობის დაწესებულებისა, ან რამოდენად ზედგამოჭრილია და შესაფერი ჩვენთვის თ. გ. მ. თუმანიშვილის მიერ შედგენილი პროექტი, — ჩვენ ამის გამორკვევას არ შევუდგებით. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, და ვგონებ ბევრნიც სხვანი დაგვეთანხმებიან, რომ საგანი დიდის ყურადღების ღირსია. სხვა არა იყოს რა, ჩვენი შინაური საქმე ჩვენვე გვქონდეს ხელში წარსამართავად და საპატრონებლად, ჩვენვე გვქონდეს ხელში ღონე ჩვენისავე თავის შველისა და ათასნაირ საერთო განსაცდელისაგან ხსნისა, ჩვენვე გვებაროს სოფლობის ფული და ჩვენვე გვეკითხებოდეს — სად რას მოვახმაროთ, — ეს ისეთი საგანია, რომ ღირს კაცმა მთელი თავისი დრო და მოცალეობა ზედ შეალიოს, თუნდ თავად-აზნაურთა კრებისაგან დავალებულიც არ იყოს, ეს ისეთი საგანია, რომ ანბანის უცოდინარსაც კი უნდა ესმოდეს მისი სიდიდე და სიმძიმე.

სად არის ეხლა იგი კამისია, რომელსაც ამისთანა დიდის საქმის შესახები პროექტი უნდა გაესინჯა და თავისი დასკვნა წარედგინა თავად-აზნაურთა კრებისათვის? შარშან თებერვლიდგან დღეს-აქამომდე სამი თუ ოთხი კრება ჰქონია თავადაზნაურობას და ერთხელაც არავის ფიქრადაც არ მოსვლია ეუწყებინა თავადაზნაურობისათვის, რომ მომზადებულია პროექტი და უკვე წარდგენილი შარშან თებერვლიდამვე. ეხლაც 28 მაისს დანიშნულია მორიგი კრება თავადაზნაურობისა და არც კი დაუნახავთ საჭიროდ. რომ სხვათა საგანთა შორის ეს დიდი საგანიც აღენიშნათ კრების განსახილველად. კრებაში წარდგენას ვინა სჩივის, კამისიაც კი ამ მთელის ერთის წლის განმავლობაში არავის უფიქრია მოიწვიოს, რომ პროექტი, თავად-აზნაურთა განაჩენისამებრ, გაესინჯათ. განა ასეთის პატივის ღირსია მთელი კრებული მთელის გუბერნიის თავადაზნაურობისა, რომ ასე თვითნებობით ექცევიან მის განაჩენს და აინუნშიაც არავის მოსდის არც მისი სურვილი, არც მისი განაჩენი თითქოს ბაზრის ბიჭების ნაყბედი რამ იყოს, ქარის მოტანილი და ქარის წასაღები. რად უყურებენ მთელს თავადაზნაურობას ამისთანა აბრუ გასატეხ თვალით? როდის აქედ გაუტყდა ეს აბრუ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, როდის აქედ ჩამოერთო საზოგადოებრივი ღირსება, რომ მის განაჩენს კანონიერ და საპატიო გზას არ უხსნიან,

მის სიტყვას ყურს არ ათხოვებენ და აგრე აუსრულებლად და, მაშასადამე, უპატიურად სტოვებენ, თითქო ბაშვის ტიტინი იყოს და არა ჭკუადამჯდარის კრებულისა, რომელმაც იცის რას მოქმედობს, რას შეუწყოს ხელი და რას არა.

აქ ვის რა ხმა ამოეღება, ვის რა ხელი გაუწვდება, რომ კანონიერი სვლა ამ საქმისა თავისის ნებით აბრკოლოს? ამისთანა ყოვლადშემძლეობა ვის აუღია თავის თავზე? ვის აქვს იმის უფლება და ნება, რომ თავად-აზნაურთა კრების განაჩენისამებრ შესრულებული საქმე ასე მჩვრად გახადოს და გამხილების შიშს მაინც არ შეუშინდეს? ესეთი ქცევა სასაცილოდ, სამარცხვინოდ და აბუჩად აგდებაა მთელის თავად-აზნაურობისა, რომლის განაჩენსაც ასე მჩვრად ჰხდიან.

ნუთუ არ იციან, რომ თავად-აზნაურთაგან ამორჩეული კაცი, ვინც გინდ იყოს, სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ რასაც თავად-აზნაურობა და მარტო თავად-აზნაურობა ჩასძახებს, ის უნდა ამოიძახოს, და არა თვითნებობდეს და თავისის ჭკუით იწუნებდეს ან ერთს, ან მეორე განაჩენსა, ამომრჩეველთაგან დადგენილს. ყველას შეუძლიან რასაკვირველია, თავისი აზრი იქონიოს, როგორც ყოველს კერძო კაცს, მაგრამ თავად-აზნაურთა საქმეებში მარტო თავად-აზნაურობაა მბრძანებელი და სხვა არა ვინმე. მართალია, ბევრი მისთანა კაცია ქვეყანაზე, რომელთათვისაც კანონი ჯერ არ დაწერილა, მაგრამ აქედამ სულაც არ გამოდის ის, რომ სხვები ყურმოჭრილ და ხმაამოუღებელ ყმად გაიხადონ. ყველას თავისი კუთვნილი ღირსება აქვს და ნამეტნავად მთელს თავად-აზნაურობას, როგორც მთელს კრებულს, და ნუთუ ღირსების დამცირება, ღირსების შელახვა არ არის, რომ, მაგალითად, ჩვენმა მოხელემ ჩვენს მოსაზრებულს სიტყვას, ჩვენს მოფიქრებულს განაჩენს ზედ არ შეხედოს, ხალიჩას ქვეშ ამოდოს სადმე და გულში იძახოდეს: ბევრი იმისთანა სულელობა გვინახავს, ეგეც იმათშიო.

სად არი ეხლა იგი პროექტი, იგი კამისია? რატომ თავისი გზა და სვლა არ მისცემია ან ერთს, ან მეორეს? ჩვენ ამის პასუხად ორი რამ ვიცით: ერთი ის, რომ ბ-ნ გუბერნიის მარშლისათვის 28 თებერვალს

1896 წელს წარუდგენიათ მომზადებული პროექტი და ის დღეა და ეს დღე, არც კამისია, არც ჩლავი და არც ფლავი. უთუოდ წნილად ჩაუდვიათ და ელიან, როცა დამჟავდება.

პატრონობა საქმისა, თუ გნებავთ, ეს არის, და რადგანაც სიჩქარით სოფელი არავის მოუჭამია, ჩვენც ვითმინოთ, ეგებ მოთმინებითა ჩვენითა სული ჩვენი მოვიპოვოთ ოდესმე. ესეც კაი ნუგეშია, თუ თქვენ იტყვით.

ყველაფერი ახია ჩვენზე. რაც მოგვდის, ჩვენივე ბრალია, სხვას ნურავის ვუსაყვედურებთ. ტყუილად კი არ დაიცინებიან, ნამეტნავად ამ ბოლოს ხანებში, და იძახიან: რა თავად-აზნაურობა, ვინ თავად-აზნაურობა, განა თავად-აზნაურობას თავი აქვს, რამ ისაქმოს და გააკეთოსო, ან არისღა თავად-აზნაურობაო!..

მოდით და, თუ არ დაგიშლიათ, სიტყვა მოუჭერით, სიტყვა შეუბრუნეთ ამის მთქმელს.

[1897 წ.]



<სწავლა-განათლება და საზოგადო მოღვაწის მოვალეობა>

ტფილისი, 19 თებერვალი

ჩვენ, ქართველები, რაღაც უბედურ ბედზედა ვართ გაჩენილნი. საცა მიიხედავთ, ყველგან სწავლა-განათლებას ქვეყანაში ჭკუა შეაქვს, ზნეობის სიმაღლე და სიფაქიზე ჰმატულობს, გრძნობა ურთიერთობისა ძლიერდება, საზოგადოს, საერთოს საქმეს მოღვაწენი უჩნდებიან, გულშემატკივარნი მისნი უფრო და უფრო გულმხურვალედ ეკიდებიან ყოველ მას, რაც ავლა-დიდებას ქვეყნისას საერთოდ და საზოგადოებისას ცალკე შეადგენს ზნეობითად თუ ქონებითად და ჩვენში კი ყველა ეს ჰნელდება, ყველა ეს უკან და უკან მიდის. მტერს, რასაკვირველია, ყოველივე ეს უხარიან და მოყვარეს კი გული უკვდება.

რად არის ესე? რატომ ეგრე უკუღმართად ტრიალებს ჩვენი ბედი? განა ცოტანი არიან ჩვენში სწავლა-განათლებით მირონცხებულნი? შედარებით მთელის ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა, იქნება, ცოტანიც იყვნენ, მაგრამ ეს კი უეჭველია, რომ სწავლა-განათლებულნი ეხლა უფრო ბევრნი გვყვანან, ვიდრე წინად. მაშ რად დაგვემართა ესე? ეს მით უფრო საოცარია, რომ გონებადახშულობა, აზრის უზნეობა, საზოგადო საქმის ძარღვის და წესის გაუგებლობა, ყოველივე ეს უფრო ეგრედ წოდებულ სწავლა-განათლებულს ემჩნევა ჩვენში. ყველაზე, რასაკვირველია, ეს არ ითქმის, მაგრამ ვისზედაც ითქმის, განა საკვირველი და საოცარი არ არის?

გაუნათლებელს კაცს, რომელსაც არც კი მიჰკარებია სწავლა-განათლება, ყოველივე ეს ასე თუ ისე შეენდობა და იმაზე კი რა უნდა ვსთქვათ, რომელსაც თავი მოაქვს და სწავლა-განათლებით თავი მოსწონს. დღეს ბულვარზედ რომ გაიაროთ, მთელი ჯგუფი შეგხვდებათ ამისთანა თავმომწონე განათლებულებისა და ერთი ყური დაუგდეთ, რა საანბანო საგანზე აქვთ ერთი გაცხარებული ბაასი, ერთი გაკაპასებული საუბარი, თითქო წინ ერთი დიდი რამ ჭეშმარიტება აქვთ აღმოსაჩენიო, რა თქმა უნდა, ჯერ ადგილი, საცა ამისთანა აზრთა ჭიდილს ჰმართავენ ხოლმე ის ვაჟბატონები, ამხილებს იმათს ქარაფშუტობას, თავცარიელობას და მერე თვით ის საანბანო საგანი, რაზედაც აგრე ცხარედ სჯიან და ჰლაპარაკობენ, ჰმოწმობს იმათს გონებაუწვრთნელობას, გონებადაცემულობას და უქმად ყოფნას.

აბა ღვთის წყრომას არ უნდა მიაწეროთ, რომ კაცმა, რომელსაც თვალადად მაინც ფერი ადევს სწავლა-განათლებისა, არ იცოდეს რა მოეთხოვება საზოგადო საქმეში ჩაბმულს მოღვაწეს, რომელსაც უკისრნია საზოგადოებისაგან დავალებული და ჩაბარებული საქმე. ერთი ამისთანა სწავლა-განათლების ფერუმარილით წაცხებული ყმაწვილი კაცი ამას წინად ბულვარზედ ჰქადაგობდა, რომ დიდი გაუპატიურება არისო, რომ საზოგადო საქმის მოღვაწეს მოჰკითხო ანგარიში, რა ჰქმენ და რა იმოქმედეო. აქამდე გონების დაბრმავება გაგონილა!

ნუთუ ცოტად მაინც გონებაახილებულმა კაცმა არ უნდა იცოდეს, რომ არამც თუ თვითოეულს წევრს საზოგადოებისას ნება აქვს თავისს ამორჩეულ კაცს ანგარიში მოჰკითხოს, არამედ ყოველი რიგიანი ამორჩეული კაცი, ვითარცა საზოგადო საქმის მოღვაწე, თვითონ, სხვის მოუკითხავად, მოვალეა ანგარიში მისცეს საქმის პატრონს თავისს დროზე. ნუთუ არ უნდა იცოდეს, რომ მის მიერ ანგარიშის მიუცემლობა, არაფრად ჩაგდებაა საქმის პატრონისა, საქმის პატრონის მჩვრად ქცევაა ამორჩეულ კაცის მხრით, თელვაა და შეგინება, ერთის სიტყვით, გაუპატიურებაა საქმის პატრონისა, სრული უკადრისობა და ურიგობაა

თვით ამორჩეულისა. ნუთუ არ უნდა იცოდეს, რომ ანგარიშის აღებ-მიცემა ყოველს შემთხვევაში და ნამეტნავად საზოგადო საქმეში, ეს ისეთის რიგიანობის და მართებულობის ნიშან-წყალია, ურომლისოდაც ადამიანი არამც თუ პატივის ღირსია, არამედ სახსენებელიც არ არის. არც ერთი რიგიანი კაცი არ იკადრებს ანგარიში არ მისცეს საქმის პატრონსა, თუკი საქმეში ჩაყენებულია საქმის პატრონისაგან და გრძნობა თავისის თავის ღირსებისა დაკარგული არა აქვს. მაშ საზოგადოებამ როგორ ადევნოს თვალი თავისს საქმეს, თუ ანგარიში არ იქმნება, ან თვით მოღვაწე რით უნდა გამოვიდეს პირნათლად, საზოგადოების წინაშე თუ არა, თავისის თავის წინაშე მაინც.

ანგარიშსა გთხოვო, რომ იტყვიან, განა ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ავი რამ შეგწამე და მინდა დაგიჭირო ავკაცობაში. ანგარიში საქმის სასწორზე დადებაა და სასწორს ვინ უნდა გაექცეს, თუ არ უბირი და გონებადახშული კაცი? განა შენი მოვალეობა არ არის, ვისაც საქმე ჩაგბარებია, თავის დროზე პატრონს საქმისას შეატყობინო, რა მდგომარეობაშია მისი საქმე, როგორ გიტარებია, როგორ წაგიმართავს, სად რა იქმნა და საიდამ რა გამოდნა. არც ერთი რიგიანი კაცი არ გაექცევა ამ მოვალეობას და არც ერთი რიგიანი კაცი არ ითაკილებს, როცა ანგარიშს მოთხოვენ. სათაკილო აქ მარტო ის არის, რომ მოთხოვნამდე პატრონს ანგარიში არ მიეცი, შენ არ დაასწარ ის, რაც შენი წმინდა მოვალეობაა და იძულებულ გახადე, შენი მოვალეობა გაგახსენოს. თუ საკუთარის ღირსების პატრონი კაცი ხარ, აი რა უნდა გეთაკილებოდეს, თორემ გამოხვიდე და იბღავლო ანგარიშის თხოვნა გაუპატიურებაა ჩემიო, — ეს ისეთი გონების საპყარობაა, რომ ამისი მთქმელი უფრო შესაბრალისია და შესაწყალებელი, ვიდრე შესარისხველი.

შესაბრალისი და შესაწყალებელი ის საზოგადოებაც არის, საცა ამისთანა საანბანო საგანიც კი ასახსნელია და განსამარტებელი და საცა ყურისმგდებელს ჰშოულობენ იმისთანა ვაჟბატონები, რომელთზედაც დღეს ეს საუბარი ჩამოვაგდეთ და რომელთაც ვერ შერგებიათ

მიღებული სწავლა-განათლება, კუსავით ფეხი კი გამოუყვიათ და იძახიან: მეც ნახირ-ნახირო.

[1897 წ.]

<საზოგადო საქმისდმი პასუხისმგებლობის თაობაზე>

ტფილისი, 22 თებერვალი

ღმერთო, გვიხსენ უარესისაგან! ამით, ამ ამონაკვნესით იძულებულნი ვართ დავიწყოთ ჩვენი მეთაური. ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ასეთის სამძიმარის სიტყვების ლაპარაკს ვბედავთ. ქართველი კაცი არც ისე განებივრებულია სვე-ბედისაგან, რომ ბევრი რამ სასიხარულო ესმოდეს ან შინ, ან გარედ და საკვირველი არ იქნება გვისაყვედურონ, — რაღა შენი გულის გახეთქვა გვინდაო, რაღა შენი გახსენება, რომ უბედურნი ვართო! ჩვენ ვგრძნობთ მთელს საბუთიანობას ამისთანა საყვედურისას, მაგრამ რას იზამთ? ჩვენი ჭირი ჩვენ რომ დავმალოთ, თვითონ ჭირი არ ჰმალავს თავის თავსა და დღეყოველ თავში გვცემს, დღეყოველ სულსა გვხუთავს, დღეყოველ გულს გვიწყლულებს, დამალვას ისევ გამჟღავნება სჯობია, — აგება ღონე ხსნისა ვიძიოთ და ვიპოვოთ.

სვე-ბედი ჩვენი, ესე იგი ქართველობისა, იმისთანა გარემოებით შეიმოსა საერთოდ და ამ უკანასკნელს ხანებში ნამეტნავად, რომ კაცმა აღარ იცის, სად იწყება და თავდება თხრა იმ ორმოსი, რომელშიაც ჩასაცვივნელად ერთმანეთს ვერეკებით, როგორც ცხვრის ფარას? არ არის არც ერთი საზოგადოებრივი საქმე, რომ ვინმე ჩვენგანივე მტრად არ გაუჩნდეს და მიწასთან არ ასწორებდეს მარტო იმ მწიკვლმოკიდებულ გულის ძგერით, ერთი მეც მაწირვინონო, ესე იგი მეც ფეხი გამომაყოფინონ, რომ ვთქვა, მეც ნახირნახირო. ბატონებო, თუ რამ შეგიძლიანთ, აი ბურთი და

მოედანი, ჯერ იმოდენა შესძელით, რომ გაკურთხონ, მერე ჩაიცვით ანაფორა, აიღეთ საცეცხლური და სწირეთ, თუ რისამე უნარი გაქვთ. ვინ გიშლით, წინ ვინ აგეფარათ? და თუ ღმერთს ეს უნარი თქვენთვის არ მოუცია, სასესხი ხომ არ არის, ისესხოთ, მოწყალება ხომ არ არის, გიწყალობონ ის, რაც ღმერთს თქვენთვის არ უღირსებია. განა არ იცით, რომ მინა არ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მაღლა თაროზე დასდოთ?! ამისი მთქმელიც კი აღარ ჰყავს საქართველოს. ამ ხმაამოუღებლობით წაქეზებული კაცი ამისთანა საპამპულო პრეტენზიით გაბერილი და გასიებული, დოინჯშემოყრილი დადის და აბრიყვებს თვალაუხელველს ადამიანსა, რომელთა შორის არა ერთი და ორია იმისთანა, რომ ტაშსაც უკრავს და იძახის: რა უბედურება გვწვევია, თურმე ამასა და ამას არ აწირვინებენო და დავიღუპენით კიდეცაო.

იქნება ეს უკანასკნელნი გულმართლადაც ჰგლოვობენ, ვინ იცის? არცოდნა არცოდვაო. რა ქნან, თუკი ჭკუა არ უჭრით, გამოიცნონ, რომ აბრუ კაცისა, მისის სიტყვისა, აზრისა და რჩევისა თვითონ კაცის შინაგან ღირსების საქმეა და არც სესხით, არც ვისიმე მოწყალებით არ მოიპოვება. იმის მაგიერ, რომ უთხრან, იღვაწე და შენის ღვაწლით ეგ აბრუ მოიპოვეო, მაწირვინეს მთქმელთან ერთად იგინებიან, რომ ამ აბრუს არ აწვდიან მზამზარეულად, როგორც გოზინაყს ტაბაკზე და თანაც არ ეუბნებიან, ეგრედ ტკბილად დაგვიბერდიო.

რა თქმა უნდა, ამისთანა დაუჯერებელ პრეტენზიით აღსავსე კაცნი სხვისაგან არიან გაბრიყვებულნი, თორემ ძნელად დასაჯერია, კაცმა თითონ გაიხადოს თავისი თავი ესოდენ სასაცილოდ, რომ იმდურებოდეს საქვეყნოდ, — ჭკუა არა მაქვს და რატომ არ მაძლევთო. ეს პრეტენზია, საკუთარი თვალახვეული ჟინია თუ სხვისაგან ჩაგონებული, ორივ ღმერთმა შეინახოს, ამას კიდევ კაცი როგორმე გაუძლებს. განა ცოტა დადის აღვირაშვებული უჭკუობა ქვეყანაზე? ეგეც იმათში. გონიერი კაცი გზას აუქცევს და სულელი კი კალთაში ჩაავლებს ხელსა და ამ სახით მკვდარი მკვდარს აეკიდება, სამარემდე წამიღეო. გზაც ის არის.

ხოლო რას იტყვით, რომ ამისთანა ხალხს სხვასაც ბევრს რასმე უჯერებენ. დაიცადეთ, იძახიან თურმე: ერთი ორიოდ დღე და მე გიჩვენებთ, ვინა ვარ. დღეს არა, ხვალე ქაღალდი მომივა და ყველას ჩვენს საქმეს მე გავუბატონდებიო და მაშინ მიყურეთ, ქვასაც კი რძესა და თაფლს ვადენო. არიან თურმე ჩვენში იმისთანა მსმენელნი, რომელნიც თაფლის ხსენებაზე ეხლავ ტუჩებს ილოკავენ და აცმაცუნებენ. ბევრს, ვისაც გონება არ უჭრის ამისთანა აბდაუბდების და ცრუპენტელაობის განსაკითხად, აუღიათ თავი, ხელები გულზე დაუკრებიათ, აღარაფრისათვის დარდობენ. ელიან ამ მანანას ციდამ და ბარაქალას ეძახიან თავიანთ თავისვე გამბრიყვებელთ: კაციც შენა ხარ და ქუდიც შენა გხურავსო. ამასაც კაცი როგორც იქნებოდა გაუძლებდა, ნათქვამია: „დე, ბაშვებმა ითამაშონ, ოღონდ კი ნუ იტირებენო“, რომ ამ უცნაურს დაჯერებას სხვა ბოლო არა ჰქონდეს.

ნუთუ არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ამისთანა სასაცილო ქადილს უჯერებენო, იკითხავთ? არიან თურმე, ჩვენდა საუბედუროდ. ეს ერთის მხრით უნდა მიეწეროს ადამიანის გონების ზარმაცობას, რადგანაც ზოგს ჩვენში ტვინის დაძვრა სიკვდილსავით ეზარება, თორემ აქ რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, ცრუპენტელობას მიუხვდეს ჭკუათამყოფელი კაცი. მეორეს მხრით, ან თვით მოქადილე გონებაცარიელი უნდა იყოს, ვითარცა სახლი, რომელსაც რუსულად შუბლზე აწერია ხოლმე „свободен от постоя“, ან თავისნი მსმენელნი უნდა ეგულებოდეს იმოდენად გამოყრუებულნი სულელობითა, რომ გაუბედოს ამისთანა ტყუილი ქადილი და შიში და რიდი არ ჰქონდეს, ცრუპენტელობას გამიგებენ და შემარცხვენენო. შერცხვენა ჭირსაც წაუღია, ჩვენი უბედურობა იმაშია, რომ ქადილს უჯერებენ კიდეც და, რაკი ამისთანა დაქადული იმედები ეგულებათ, ხელს არაფრისათვის აღარა სძრავენ, აინუნში აღარა მოსდით რა. აცა ქაღალდი მოუვა და პირში ქადები ჩაგვიცვივაო, იძახიან.

ყოველივე ეს რომ მარტო ამ ჯურის ხალხმა წამოიყრანტალოს, კაცი კიდევ ასე თუ ისე გვერდს აუქცევდა, შეიწყნარებდა. უფრო დიდი უბედურება ის

არის, რომ ეგრედწოდებულნი ინტელიგენტებიც კვერსა სცემენ და გულში კი მოქადილესაც დასცინიან და მის დამჯერსაც. ორივეს გასულელება და გაბრიყვება კი ამ ინტელიგენტებისათვის ფრიად საჭიროა: იციან, რომ კვერის ცემა მარტო წყალს აამღვრევს და მღვრიე წყალში სასურველ თევზს ადვილად დავიჭერთო. რადგანაც სხვა პირდაპირი პატიოსანი გზა ჩვენს ბედისწერას ჩვენთვის შუბლზე არ დაუწერიაო. ან როგორ გაბედვენ პირდაპირ ამისთანა ქადილს კვერი დაუკრან? განა არ იციან, თვითონვე, რომ ამისთანა ტყუილი ქადილი აშკარა ტყუილია და თავს რად შეირცხვენენ? ისინი თხუნელასავით სოროში იმალვენ თავსა და იქიდან სხვისის ხელით უთხრიან თავისს მომმეს ორმოსა ტყუილითა, ჭორებითა. იგინი სხვას აბრიყვებენ და სხვით გადიან ფონსა. როცა სულელობა ქადილისა გამომჟღავნდება, ეს ბატონები პირველნი დაიწყებენ ყვირილს: აკი წინადვე გეუბნებოდით, ნუ გჯერათ, ტყუილიაო და რად მოისულელეთ თავიო.

დღეს ბევრი რამა გვაქვს თავში საცემი: აქ ბანკის საქმე, რომელიც ერთმანეთის მტრობამ ისე აწეწა, რომ კაცმა აღარ იცის, რა ბედი მოელის, იქ სათავადაზნაურო სკოლაა, რომლის ბედი ასე უგულოდ უპატრონოდ დაგდებულია ყოველგვარ შემთხვევის და განსაცდელის ანაბრად, აქ მარშლების არჩევნები, იქ ხმოსნებისა, ოძისის საქმე, რკინისგზა კახეთისა, სოფლის თვითმართველობა (Земское самоуправление) და ბევრი სხვა ჭირი და ბოროტი. ყოველივე ეს შეაყენა რაღაც ქაღალდის მოლოდინმა, რომელიც დაუხვევიათ ხელზე და საზოგადო საქმეებისათვის მზრუნველს გულს უცრუებენ ამისთანა ტყუილის მოლოდინებითა, გზა და კვალს ურევენ. თავისს დროზე საზოგადოება მოიკითხავს ყოველს ამის პასუხს და ვაი, თუ გვიანღა იყოს. გვეყო, ბატონებო, ამოდენა თავსაცელი (?!), დროა ჭკუას და გონებას მოვიდეთ.

მოგახსენებთ, ათასი სატკივარი გვაქვს, უღონობამ და უილაჯობამ ლამის თან გადაგვიტანოს და ჩვენ კი ვნუგეშობთ, აცა ქაღალდი მოუვა და ყველა ჭრილობა გამთელდებაო. ჩვენ ვურჩევთ ამ ტყუილის იმედებით გაჭედილს ქართველ კაცს, — ქარის მოტანილი ქარსვე

წააღებინოს და თავისს დღევანდელ საქმეს თვალი და გული ადევნოს, მათთვის იფიქროს და იზრუნოს რამ, თორემ ზღაპრები და ბაქიაობა ბევრი გაგვიგონია, მაგრამ ანწლს თავის დღეში ყურძნობა არ უქმნია.

[1897 წ.]



<შინაური საჭირბოროტო საქმეები და თავად-აზნაურთა უფლება-მოვალეობა>

ტფილისი, 1 მარტი

არ არის არც ერთი გუბერნია შიდა რუსეთში, რომ თავისს საერთო სატკივარზე დღეს ხმამაღლა არა ჰლაპარაკობდეს. სწავლა-განათლების საქმეა, მამულ-დედულების განკარგვა, ხვნა-თესვის და ერთობ მეურნეობის გაძლიერება, გზების კეთება, ხიდების და ბოგირების შენება, ხალხის ჯამრთელობისათვის მკურნალების, სამკურნალოების და აფთიაქების გამრავლება, წყლისა და ცეცხლისაგან, ადამიანის და საქონლის ჭირისაგან ხსნა და სხვა ბევრი ამისთანა, რომლის ერთიანი კრებული წარმოადგენს მეტნაკლებობას ერის ცხოვრებისას სოფლად. ყოველივე ეს საღაღადებელ საგანს შეადგენს შიდა რუსეთისათვის და მკვიდრნი მისნი ამ საჭირბოროტო საგნებს იძიებენ, არკვევენ, ასე თუ ისე ხსნიან, მიზეზს უჩხრეკენ, სცდილობენ წამალი რამ ასე თუ ისე დასდონ და ამით სატკივარი ან მოსპონ, ან ტკივილი ცოტად თუ ბევრად დაინელონ მაინც.

იქ, რუსეთში, რასაკვირველია, ყველა ამაზე სჯა და საუბარი უფრო ვრცლად შესაძლებელია, უფრო ხშირად, ვიდრე ჩვენში. ამისათვის რუსეთის გუბერნიებს იგივე სოფლობის წყობილება აქვთ მინიჭებული უმაღლესის მთავრობისაგან, რომელსაც „Земство“-ს ეძახიან. ჩვენში ეს ჯერ არ არის შემოღებული. გუბერნიის სოფლობას თავისი წარმომადგენელი ორგანო ჩვენში არა ჰყავს თვით მკვიდრთაგან, როგორც რუსეთშია. ამის გამო შესაძლოა ჩვენში ხმის ამოუღე-

ბლობა ჩვენს შინაურ სასოფლო საჭირბოროტო საქმეებზე ამ მიზეზს მივაწეროთ, თუ მაინცა და მაინც მიზეზის პოვნა გვინდა.

ხოლო ერთადერთი კანონიერი ორგანოა ჩვენშიც, რომელსაც თუ ყველაფერში არა, ზოგიერთში მაინც ხმა ამოეღება და თუ აქა ვკოჭლობთ, აქ კი ჩვენი ბრალია. ამისთანა ორგანო, ჩვენის ფიქრით, გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებულია. მართალია, კანონში განსაზღვრულია იგი საგნები, რომელიც ექვემდებარება სჯად და განკითხვად თავად-აზნაურთა კრებულს და ზოგიერთი კაცი, რომელსაც ჭკუის მიძვრა-მოძვრა ჭირივით ეზარება და ემძიმება, ყოველს საზრისს და სარჩიელს ზემოხსენებულ საგნების შესახებ წინ დაუყენებს ხოლმე ამ კანონით განსაზღვრულს საგნებსა იმ აზრით, რომ უთხრას კრებულს: ეგ ჩვენი საქმე არ არის, კანონში არ გვიწერიაო და მაგაზე ხმას ნუ ამოვიღებთო, ჩვენ მარტო თავად-აზნაურთა საჭიროებაზე გვაქვს ნება ვილაპარაკოთ, მარტო ამნაირ საჭიროებისათვის ვიშუამდგომლოთო და სხვა ამისთანა.

თვით კანონმდებელმა კარგად იცოდა და თვით ცხოვრებამაც კარგად დაანახვა, რომ არ არის არც ერთი იმისთანა საჭიროება თავად-აზნაურობისა, რომ ასე თუ ისე სხვა წოდების მკვიდრთაც არ შეეხებოდეს. ჯანმრთელობა მკვიდრთა, რომელთა შორისაც სცხოვრობს თავადი ან აზნაური, განა მისი საკუთარი ჯანმრთელობა არ არის? ჭირი და სნეულება ერთნაირად არ შეიწირავს ხოლმე გლეხსა და თავადსაც, თუ ახლომახლო არც მკურნალია საშოვარი და არც წამალი? გზები, ხიდები და ბოგირები თუ არ ვარგა, განა ერთნაირად არა წვალობს თავადიც, აზნაურიც და გლეხიც, ერთნაირად არა ჰზარალობენ? თუ სწავლა-განათლება არ არის გარშემო, თუ უმეცრება, უვიცობა სულთა ჰხუთავს ყველას, ვინც კი გარს გვახვევია, ამისაგან თვით თავადსა და აზნაურსაც განა სული არ ეხუთება, განა არა ჰბრკოლდება ყოველ ბიჯის გადადგმაზე, თვითონ თუნდაც ძალიან განათლებული იყოს? რა უნდა მოგითვალოთ ისეთი, რომლის ძალმომრეობით და დანაკლისით არ იჩაგრებოდეს გლეხთან ერთად თავადიც და აზნაურიც, დიდიც და პატარაც, რაკი ბედმან

ერთად დაუდვა ბინა ერთსაც და მეორესაც და რაკი უურთიერთოდ ცხოვრება ადამიანისა, ვინც უნდა იყოს, — თავადი თუ გლეხი — ბუნებითად შეუძლებელია. ვინ არ იცის დღეს, რომ თუ გარეშემო ყველა ჰკვნესის, მეც საკვნესელი გამიხდება საქმე; თუ ყველანი გაღატაკდებიან სულით თუ ხორცით, მეც თან ჩამიყოლებენ, ბევრიც რომ ცალკე ვიფორთხალო და გავიჭიმო. ასეთია უძლეველი კანონი საზოგადოებურის ცხოვრებისა და ამ კანონს ვერ გარდასცვლის ადამიანი, როგორც კანონს ბუნებურსა: ამიტომაც ვიწრო ფარგალში მოქცევა თავად-აზნაურთა უფლება-მოვალეობისა განგებ თვალებზე ხელის აფარებაა, რომ არა დავინახო რაო. საზოგადოებური ცხოვრება ისე გადაბმულ-გადმობმულია ერთმანეთზე, რომ ერთი კაცი, თუნდ წოდება, ისე ვერ გაიწევს, რომ მეორეს არ შეეხოს. ამიტომაც სამზღვრების დადება — აქ მე ამ ფარგალში უნდა ვიყო და შენ იქ იმ ფარგალშიო, — ძველი მოძღვრებაა, რომელსაც ეხლა ყურს არავინ ათხოვებს. თავისად, კარჩაკეტილად ცალკე ცხოვრება ნადირის საქმეა და არა ადამიანისა, რომელიც დანიშნულია მგზავსთა თანა ცხოვრებისათვის და თუ არ — "მე თქვენით და თქვენ ჩემით", არავითარი ღონე არა აქვს არც ცხოვრებისა და არც რჩენისა.

პროგრესს რომ ეძახიან, — ეგ არ მოასწავებს მარტო ერთის წოდების წინ წაწევას, გამოკეთებას, წარმატებას სულიერად და ხორციელად, არამედ მთელ იმ კრებულისას, რომელსაც ერი ჰქვიან განურჩევლად დიდისა და პატარისა. აი ამისთანა საერთო წარმატებისათვის გარჯა და თავის გამოდება უუწმინდაესი მოვალეობაა თავადაზნაურობისა, ნამეტნავად ჩვენში, რადგანაც გუბერნიის სახელით ხმის ამოღება და შუამდგომლობა ჩვენში მარტო მაგ წოდებასა აქვს მინიჭებული კანონის მიერ. ამ მოვალეობას უნდა კარგად ჩავუფიქრდეთ, თუ გვინდა თავადაზნაურობამ ჩვენში კვლავ აღიდგინოს აწ გატეხილი აბრუ და სახელი წინ წამდგარ წოდებისა და ერის მოჭირნესი. უამისოდ ცარიელი ძახილი, — მე თავადი ვარ და აზნაური, უქმი და ფუჭი ქადილია. კაცს ერი პატივსა

სდებს, როცა მის საეროდ დადებულ ღვაწლს დაინახავს.

ყოველივე ეს იმიტომა ვთქვით, რომ ამ 28 მაისს დანიშნულია საგუბერნიო კრება თავად-აზნაურთა. ათასი საჭიროება გვაქვს, ზოგი ჩვენითვე გასაძღოლი, ზოგი მთავრობის შემწეობით. ერთსაცა და მეორესაც წინადვე მოფიქრება და მომზადება უნდა. მართალია, წინადვე მოფიქრება სათქმელისა და სარჩიელისა შარშან ჩვენში სასაცილოდ აგდებულ იქმნა, როგორც ერთი რამ უგუნურება. ერთმა ყოვლად ცნობილმა არამკითხე ორატორმა, რომელსაც ჩვეულებად აქვს თვალის დახუჭვით რახუნი, რაც ენაზე მოადგება, ეს წინადვე მომზადება და მოფიქრება იმოდენად იუცხოვა, თითქო ქვეყანაზე ახალი ამბავი იყო მისთვის, რომ მოფიქრება და მომზადება წინადვე უნდა ყოველსა სათქმელსა და სარჩიელსა და აუცილებელი საჭიროებაა ყოველ რიგიან კაცისათვის, თუ კაცს პატივისცემა აქვს იმ კრებულისა, საცა ჰლაპარაკობს და გული მართლა უცემს იმ საქმისათვის, რაზედაც ენასა ჰძრავს. რაც გინდა იუცხოვოს და იოცოს ხსენებულმა ორატორმა ეს ასეთი ამბავი და მოუფიქრებლობა და მოუმზადებლობა საკუთარ ღირსებად მიიჩნიოს, ჩვენ არ შევეცილებით. ჩვენ მარტო ამას ვიტყვით, ჭკუათამყოფელი და გონებიანი კაცი ვიდრე ერთხელ მოსჭრიდეს, ჯერ ათასჯერ წინად გაზომავს ნამეტნავად იქ, საცა საზოგადო საქმეა. სულელმა და უგუნურმა კი ჯერა სჭრას და მერე ჰზომოს, რაკი ესე უწერია ბედისწერის დავთარში.

გვგონია, რომ ჩვენში ბევრი არ იყოს იმისთანა, რომ ჩვენი რჩევა წინადვე მოფიქრებისა და მომზადებისა კრებისათვის ცოდვად ჩაგვითვალოს ხსენებულ სასაცილო ორატორსავით და ადამიანისაგან რაღაც ახალ ამბად მიიჩნიოს მისებრ. მოფიქრებას და მომზადებას აზრისას ითხოვს ჯერ კაცური კაცობა მთქმელისა და მრჩეველისა და მერე ღირსება თვითონ კრებისა, საცა მარტო საბუთიანი სიტყვა, კარგად აწონილი სარჩიელი უნდა მოციქულობდეს. მოუფიქრებელი ლაპარაკი და სიტყვა-პასუხი ბუზების ბზუილია და სხვა არაფერი. ამაზე მოცდენა თავად-აზნაურთა

კრებულისა მეტისმეტი უწრთვნელი ლაღობაა, შეუნდობელი და საბრიყვო კადნიერება.

მაშ რატომ არ ვემზადებით? რატომ არავინ თავს არ იდებს, რომ საჭიროება ჩვენი გამოირკვას წინადვე, ყოველი გარემოება მისი წინადვე მოიჩხრიკოს, საბუთიანი სახსარი რამ მოეპოვოს ან ჩვენგნითვე, ან მთავრობის ნებართვითა და შემწეობით. ერთის სიტყვით, სატკივარი დავიამოთ, გაჭირებიდამ თავი დავიხსნათ, დღევანდელს ჭორ-ბოროტს პასუხი გავცეთ და მით ჩვენი მოვალეობა რიგიანად და ადამიანურად ავასრულოთ. ნუთუ სათქმელი და სარჩევი არა გვაქვს რა? სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და შორს არ წავიდეთ აი, მაგალითად, თუნდა არწრუნისეული ქარვასლა ავიღოთ. განა მეტი იქნებოდა, რომ წინადვე შევყრილვიყავით და მოგვესაზრა რა წესსა და რიგზე დავაყენოთ მისი მოვლა და პატრონობა, როგორ გამოვიყენოთ ეს თითქმის მილლიონის ღირებულების ქონება, რას, როგორ და რა მოვახმაროთ? აი თუნდ სათავადაზნაურო სკოლა ავიღოთ. მეტი იქნება განა ერთად მოვიფიქროთ, საიდამ რა სახსარი აქვს ამ სკოლასა, ამ სკოლის ჭეშმარიტი სვე-ბედი გავითვალისწინოთ, შევიტყოთ, დღეს რით არსებობს, ხვალ რით იარსებებს, ყოველივე შიში და განსაცდელი მოვაშოროთ და სხვა ამისთანა. აი თუნდა ავიღოთ სოფლობის საქმე. პროექტი უკვე შედგენილია. განა მეტი იქნება, წინადვე ჩახედული ვიქმნეთ ამ პროექტში, წინადვე ვიცოდეთ, რა არის და რას მოასწავებს, სად რა აკლია, სად რა მეტია, სად რა არის ჩვენი მოსახდენი და სად არა. ამ პროექტის ჩაფუჩეჩება ხომ შეუძლებელია, რადგანაც მოწონებულია გუბერნიის თავადაზნაურობისაგან და ამისი განაჩენიც არის. აი თუნდა ბანკის საქმე ავიღოთ. ბ-ნი გუბერნიის მარშალს ერთი პროექტი წარუდგენია ცვლილებისა, ბანკს მეორე პროექტი აქვს, ფინანსთა სამინისტროს მესამე გამოუგზავნია, რომ აქაურმა მთავრობამ თავისი აზრი გამოსთქვას. არავინ იცის, სად როგორ მიდის საქმე ამ სამის სხვადასხვა პროექტისა და თვით საქმე კი ძალიან ღრმად მოსაფიქრებელია, ღრმად გასასინჯი, იმიტომ რომ სვე-ბედი ჩვენის ბანკის იმაზეა დამოკიდებული, თუ რა

გზას დაადგება ფინანსთა სამინისტრო, რაკი საჭიროდ დაუნახავს, ბანკის საზოგადო კრებას აწ არსებული წესი და რიგი შეუცვალოს. რაც გინდ ბევრი მომდურავი ჰყვანდეს ჩვენს ბანკს, მაინც ყველამ უნდა აღიაროს, რომ იგია ჯერხანად ერთადერთი წყარო ჩვენის საჭიროების გასაძღოლად. ცოტაა თუ ბევრი — ჯერ სხვა წყარო არა გვაქვს.

გარდა ყოველ ამისა, უმაღლესმა მთავრობამ მოიწადინა ჩვენი სწავლა-განათლების საქმე წინ წასწიოს, ჩვენს შვილებს და მოზარდს თაობას სასწავლებლის კარი უფრო ფართოდ გაუღოს, უფრო დიდი გზა მისცეს, რომ თვითონაც იხეირონ და ქვეყანაც ახეირონ. განა მეტი იქნება შევიყარნეთ, მოვიკითხოთ ამ დიდს საქმეზე ვის რა აზრი აქვს, ვის რა სათქმელი, ვინ რას გვირჩევს და სად რა წამალი დაედება? განა ცოტაა ყოველივე ეს? განა ყოველსავე ამას მომზადება და მოფიქრება არ უნდა? განა ყოველივე ეს არა ღირს იმად, რომ პატარა ხელი გავძრათ, პატარა დავუკვირდეთ, გული და გონება გავსარჯოთ და საქმეს საბუთიანად და რიგიანად გავუძღვეთ?

ნუთუ ფიქრადა აქვს ვისმეს, ყოველივე ესე არ აუწყოს მოწვეულს მორიგ კრებას გუბერნიის თავადაზნაურობისას და არ აცოდინოს ყოველივე წვლილი ამ ჩამოთვლილ საქმეებისა? არა გვგონია ეგ სასურველი იყოს ვისთვისმე და თუ ესეა, რატომ არავინ არ ჰთაოსნობს, რომ ერთი ათიოდე კაცი მაინც შეჰყაროს ერთად, თვითოეულ საქმის ვითარება აუწყოს, წინადვე მოასაზრებინოს და მოაფიქრებინოს. ჩვენა გვგონია, რომ ეს თაოსნობა ბ-ნი გუბერნიის მარშლის მოვალეობაა.

[1897 წ.]



პატარა საუბარი

— მართალია, კაცო, რასაც ჰლაპარაკობენ? — ჰკითხავდა ერთი ქართველი მეორეს.

— რისა რა მართალია? — უპასუხა მეორემ.

— მინამ მაგას გეტყოდე, ერთი ამიხსენ: რა წესით აფასებს ჩვენი სათავადაზნაურო ბანკი ან სოფლის მამულებს, ან ქალაქებისას?

— მინამ ეს რაღაც ჭია-ჭუები გაჩნდებოდნენ . . . .

— რა ჭია-ჭუები?

— აი ეს რაღაც ჯანაბა ოპოზიციაა, მინამ ეს გაჩნდებოდა ასე იყო: სოფლის მამულს ჯერ შეუტყობდნენ წმინდა, ესე იგი ხარჯთგარეთს შემოსავალს. ვთქვათ, ამისთანა წმინდა შემოსავალი დადგა ერთი თუმანი. ამ ერთს თუმანს თექვსმეტ და ორ მესამედჯერ აიღებდნენ და ის იყო ფასი მამულისა. არითმეტიკულად ეს ვითარება ასე გამოისახება: $10x16^2/_3=166$ მანეთი 66 კ.

— მაშ მამულს რომ ერთი თუმანი წმინდა შემოსავალი ჰქონებოდა, უნდა დაფასებულიყო თექვსმეტ თუმნად, ექვს მანეთად და 66 კაპ. მესმის. ქალაქის მამულისა როგორღა იყო?

— ქალაქის მამულის მთელს შემოსავალს გამოარკვევდნენ. აქედგან უნდა გამოსულიყვნენ ოცს ასის თავზედ, თუ შენობა ქვიტკირისაა, და თუ ხისაა — ოცდაათს, და რაც ძირს დარჩებოდა, ის იყო წმინდა შემოსავალი. ეს წმინდა შემოსავალი თორმეტ ნახევარჯერ უნდა აეღოთ და ის იქნებოდა ფასი ქალაქის მამულისა.

— ეგ ცოტა ვერ მესმის და კარგად გამაგებინე.

— ვთქვათ, ხარჯთგამოუთვლელი შემოსავალი ქალაქის მამულისა ერთი თუმანია. თუ შენობა ქვითკირია, ამ ერთ თუმნიდამ ორი მანეთი და თუ ხისა — სამი მანეთი ხარჯად უნდა გადადებულიყო. ძირს დარჩება პირველ შემთხვევაში რვა მანეთი და მეორე შემთხვევაში შვიდი მანეთი. ეს უნდა აგელო თორმეტ ნახევარჯერ და ასე გამოგეყვანა ფასი ქალაქის მამულისა. არითმეტიკულად ასე გამოდის $8 \times 12^1/_2 = 100$ ქვითკირის შენობისათვის და ხისათვის: $7 \times 12^1/_2 = 87^1/_2$ მანეთი.

— რაც ბ-ნ მინისტრისაგან შარშან ქაღალდი მოუვიდათ, სოფლის მამულის წმინდა შემოსავალი უნდა აიღონ $14^2/_7$ — ჯერ და არა $16^2/_3$ — ჯერ როგორც აქამდე იყო.

— მაშ ასე გამოდის ბ-ნ მინისტრის ბძანებით, რომ, ვთქვათ, სოფლის წმინდა შემოსავალი ერთი თუმანია, მამული უნდა დაფასდეს თექვსმეტ თუმნად, ექვს მანეთად, 66 კაპეიკად კი არა, არამედ თოთხმეტ თუმნად და ექვს შაურზე ცოტა ნაკლებ.

— ეგრეა.

— ქალაქისა?

— ქალაქის მამულის შემოსავლიდამ ეხლა უნდა გამოვიდეთ ბ-ნ მინისტრის ბძანებით ასზე ოცს და ოცდაათს კი არა, არამედ ოცდა-ათს და ორმოცს, იმისდა მიხედვით, ქვითკირის შენობაა თუ ხისა და გარდა ამისა ყოველ სახელმწიფო და საქალაქო ხარჯსა და რაც ძირს დარჩება, ის უნდა ავიღოთ თორმეტნახევარჯერ.

— ერიჰა!... ძირს რაღა დარჩება, მაგდენი წილი რომ ხარჯად გადასდო შემოსავლიდამ? ეგ ხომ შემოსავლის თუმანზე ოთხი და ხუთი მანეთი ხარჯი მოვა. ამოდენა ხარჯი რომ უნდებოდეს ქალაქის მამულს, ვინღა ააშენებდა ქალაქში სახლებს? რას ამბობ? თითქმის ნახევარი, თუ ცოტა ამაზე ნაკლები შემოსავალი, რომ ხარჯს მიჰქონდეს, სად წავა? ვინღა ოხერი იქნება, ინდომოს ქალაქის მამული და შენობა. ეგ ხომ განგებ დაფოლება გამოდის სოფლის მამულისაც და ქალაქებისაც.

— ესეთი ბძანება კია და შენ რაც გინდა სთქვი.

— მერე ამას არა ეშველება რა? ხმას არვინ იღებს ამაზე? პატრონი აღარავინა გვყავს?

— პატრონისა კი რა მოგახსენო და ჩვენის ბანკის გამგეობა კი, თავის ფიქრით, მითამ გაუძალიანდა. ეგ ახალი ბძანება ბ-ნ მინისტრისა მიერ დაფასების წესისა და რიგის შეცვლააო. უმაღლესად დამტკიცებულ წესდების ძალით კი დაფასების წესრიგის შეცვლა ეკუთვნის მარტო ბანკის საზოგადო კრებასაო. მართალიც არის: ეგრე გვიწერია წესდებაში. და მინამ ამ წესსა და რიგს კრება არ შესცვლის, გამგეობა ორ წყალს შუა ჰრჩებაო: თუ უწინდელ წესრიგზე დადგება, — ეს ხომ ურჩობა იქნება და თუ ბ-ნი მინისტრისაგან ნაბრძანებს დაემორჩილება, — ეს ხომ წესდების დარღვევა და გაუქმება გამოვაო.

— მახსოვს, ასე აგვიხსნა ეს გარემოება გამგეობამ შარშან კრებაშივე და გვირჩია, ამ უმაღლესად დამტკიცებულ წესდებით მონიჭებულს უფლებას ნუ დასთმობთ, ნუ დაჰკარგავთო. დაფასების წესრიგის დადგინება თქვენი საქმეა და არავის სხვისაო. თუ კანონი ჩვენკენ არის, შიში და ფიქრი ვისი უნდა გვქონდეს?

— ეგ ხომ ეგრეა და ეგრეც უნდა იყოს, მაგრამ გაიხსენე, რა დღე დავაყენეთ ჩვენ თვითონ გამგეობას მაგაების თქმისათვის, ჩვენის უფლების გამოსარჩლებისათვის.

— მერე ვინ დააყენა? აი პირი არ უნდა გამხმობოდა რომ ეგ მექმნა? კაცი ჩემკენ ლაპარაკობდეს, ჩემს უფლებას ესარჩლებოდეს და მევე პირში ბურთი ჩავჩარო!... აი გაქრეს!...

— მაშ არ გახსოვს, ეგრედ წოდებული ჩვენი მხსნელი ოპოზიცია რა ამბებში იყო? არ გახსოვს, რეები არ შესწამეს მაგისათვის გამგეობას? თქვენ ეურჩებით ბ-ნი მინისტრის ბძანებასაო. თქენ უმალიანდებით უმაღლესს მთავრობასაო! როგორა ჰბედავთ და ბ-ნ მინისტრის ბძანებას არ ასრულებთო და სხვანი და სხვანი. გეხსომება, რა თავმოწონებით, დოინჯის შემოყრით და რა ყელმოღერებით ამაებს იძახოდნენ. ძახილს კიდევ ჯანი გავარდეს, ჩვენშივე იყო და ჩვენშივე დარჩებოდა. საჩივარიც კი შეიტანეს ბ-ნ მინისტრთან და ეს

ნათქვამი გამგეობისა ამ საგანზე ურჩობად დაანახვეს, აი ამისთანები არიანო.

— მახსოვს, მახსოვს ეგ ყველაფერი ჩვენდა სასახელოდ. ღმერთმა ყველას მშვიდობა მისცეს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერიც ვერ უზამსო, დრო მოვა და ცოდვა და მადლი გაირჩევა ყველასი ერთად და თვითვეულისა ცალკე. სულ ესე ბრმანი ხომ არ ვიქმნებით? ეხლა კი ერთი ეს მინდა ვიკითხო: რა დღე მოელის ჩვენს ბანკს, რომ ბ-ნმა მინისტრმა ინებოს და ძალა დაატანოს ბანკს, ჩემი ბძანება აასრულეთ, უმაგისობა არ იქნებაო?

— შენც კარგად იცი, რომ აქ სოფლის მამულებისათვის სახელმწიფო ბანკიც მოქმედებს. იქ წესდება დაფასებისა ნებას აძლევს მამულები ჩვენზე მეტად აფასოს. ამას გარდა, მამულის ფასისას იქ მანეთში სამს აბაზს და ზოგჯერ ხუთმეტ შაურსაც იძლევიან სესხად მაშინ, როდესაც ჩვენს ბანკს მანეთში ათის შაურის მეტის მიცემის ნება არა აქვს. ყოველ ამასთან იქ სესხი უფრო იეფია, ვიდრე ჩვენს ბანკში. აბა სახელმწიფოს ბევრი რამ შეუძლიან და ჩვენი ბანკი იმასთან ფეხს სად გაიწვდენს. აიღე ეს სამივ გარემოება ერთად და შენვე იფიქრე: ჩვენს ბანკს რა ძლიერი მოცილე ჰყვანდა მაშინაც, როცა ნება ჰქონდა უწინდელებ ეფასებინა მამულები, და ეხლა ხომ, როცა უწინდელზე კიდევ ნაკლებ უნდა ვაფასოთ, ვიღა ოხერი მივა ჩვენს ბანკში მამულის დასაგირავებლად?

— მაშასადამე, აქედამ თუ სრულად არ მოსწყდება წყარო ჩვენის ბანკის შემოსავლისა, ძალიან დაიწრიტება მაინც.

— ეგ უეჭველია. ქალაქის მამულებშიაც მოცილე ჰყავს ჩვენს ბანკსა. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაა ამისთანა მოცილე. ამ საზოგადოებას არსებული წესი ნებას აძლევს ჩვენზე მეტად აფასოს მამულები და ჩვენ კიდევ უფრო ქვევით დაგვწია დაფასების საქმეში ბ-ნი მინისტრის ბძანებამ. თუ სახეში მივიღებთ, რომ უდიდესი შემოსავალი ჩვენის ბანკისა ტფილისის მამულების გირაობისაგან მოდის,

შენ თითონ მიხვდები, რა კლებაში უნდა შევიდეს ჩვენი ბანკი, როცა ასეა საქმე.

— მართალია, გადამეტებულად დაფასებული მამული — სოფლისაა თუ ქალაქისა — საშიშარია და საზარალოც. ზარალი ბანკისა ამან იცის. მაგრამ არც ის არის სახეირო ბანკისათვის, რომ უმიზეზოდ და უსაბუთოდ ფასი აკლოს მამულებსა. თუ ყველა არა, ბევრი ამღებელი სესხისა სცდილობს იმდენი აიღოს, რამოდენასაც მამულები უთავდებებს. თუ აქ განგებ უკლებ ფასს მამულსა, შენთან ვიღა მოვა, როცა გვერდით იმისთანა ბანკია, საცა მამული თავისს სწორე ფასად ჰფასდება, რაოდენადაც შესაძლებელია. სიფრთხილე ყველგან კარგია, მაგრამ სახელმწიფო ბანკი და საკრედიტო საზოგადოება რა არი და ჩვენი ბანკი რა? აქ განსხვავება რად უნდა იყოს დაფასებაში? თუ პირველებისათვის უშიშარია ერთგვარი წესი დაფასებისა, ჩვენის ბანკისათვის რადღა უნდა იყოს საშიშარი იგივეგვარი წესი? ეს მით უფრო გაუგებარია ჩემთვის, რომ ბ-ნს რევიზორს ჩვენი წესდება დაფასებისა არ დაუწუნებია, პირიქით, სთქვა, რომ იგი წესდება თავისის დანიშნულების შესაფერიაო და ასეც მოახსენა ბ-ნს მინისტრს.

— საქმეც მანდ არის. საბუთი ჩვენის მამულების ასე განგებ დაფოლებისა და ამის გამო ჩვენის ბანკის შეხუთვისა არც სარევიზიო მოხსენებაშია და არც ეხლანდელ გარემოებათა ვითარებაში და მაინც გვიბძანებენ, ნაკლებ უნდა აფასოთ ამის შემდეგაო. თუ ჩვენებური მამულები იმოდენად არა ღირან, რამოდენადაც აქამომდე ვაფასებდით, ხომ სახელმწიფო ბანკისათვისაც და საკრედიტო საზოგადოებისათვისაც არ უნდა ღირდნენ. ამაებს რად დარჩათ წინანდელი წესი დაფასებისა და ჩვენ რად შეგვიცვალეს? თუ მამულების ფასმა დაიწია, ეს მარტო ჩვენთვის მოხდა და სხვისათვის კი - არა?! თორემ ხომ ცხადია, რომ ჩვენში ფასი მამულებისა დღე და დღე ჰმატულობს და არა ჰკლებულობს. ამას თვით რევიზორიც ჰმოწმობს. ფულიც ხომ საერთოდ გაიეფდა და იმოდენა სარგებელს არ იძლევა ბანკებში და ბანკის ქაღალდებით, რამოდენადაც უძრავი ქონება. ამის გამო ეხლანდელ დროში ფული უფრო

ძლიერ ეტანება უძრავს ქონებას, ვიდრე წინად და, მაშასადამე, ამგვარს ქონებას მუშტარი დღეს უფრო ემატება და არკი აკლდება. მამულის მუშტარის მატებას მოსდევს ფასის მატებაც მამულებისა და არა კლება. ყოველივე ეს სახეში მქონდა, რომ ვთქვი: არც გარემოება და ვითარება იძლევა საბუთს მეთქი, რომ დღეს ნაკლებ ვაფასოთ მამულები, ვიდრე წინად ვაფასებდით.

— მაშ საიდამ გვეწვია ეს წყრომა ღვთისა?

— ვიღაცამა სთქვა: ჩვენს ქართველებში რომ ძმა ძმის მტერი არ იყოს, ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდაო.

— ეგ რაზე სთქვი? არ მესმის.

— იმაზე, ჩემო საყვარელო, რომ აქ ჩვენ თვითონვე ვუმტრეთ ჩვენს თავსა.

— ეხლა ეგ სთქვი!...

— მოდი და ნუ იტყვი. შენ იცი თუ არა, — ჩვენის ბანკის გამგეობამ ქაღალდით მოახსენა ბ-ნს მინისტრს, რომ თქვენის ბძანების ასრულება და ბანკის უკან დაწევა ერთი იქნებაო: ჩვენს ბანკს სესხის ამღები ან სულ აღარ ეყოლება, ან ძალიან შემოელევაო. გარდა ამისა საბუთები წარუდგინა, რომ ეგეთი დაფოლება მამულებისა უმიზეზოა და უსაბუთო და სთხოვა, ნუ ინებებთ ეგრეთს შევიწროებასა და უწინდელს წესზე ნება მოგვეცით მამულები ვაფასოთო.

— ბარაქალა, თუ ეგრეა.

— ეგ ბარაქალა სხვისთვის დაგვჭირდება, ჯერ მოიცადე.

— კაცო, მე კი სული გადამელია და! რა ღობე-ყორეს ედები! ერთი მალე გამაგებინე, რა ამბავია.

— აბა ძაღლის კუდიც აქა მარხია. ეგ ქაღალდი წავიდა თუ არა ჩვენის ბანკიდამ, ზედ მეორეც მივაყოლეთ ისეთი, რომ შენი მოწონებული.

— ეე! მესმის! ის, მე და შენ რომ ვიცით, უსათუოდ ის გამოიდებდა ჩვენთვის თავს და მხარს მისცემდა გამგეობის თხოვნას.

— გამოცანა გერგება. ამისთანა ბიჭბუჭების თხოვნას და მერე ამისთანა წვრილმანისათვის ის რად იკადრებდა ან

მოცლას, ან გარჯას. განა არა ჰხედავ ხოლმე, რარიგად იბღვირება და ილურსება ბანკის ხსენებაზე...

— მაშ ვინ მოაყოლებდა სხვა ქაღალდს, ვის რა თავი სტკივა ჩვენთვის?

— არც მართლა ისე უნუგეშონი ვართ, როგორც შენა გგონია. ავირჩიეთ კაცი, მივეცით ვექილობის ქაღალდი და გზა დავულოცეთ. იმან არც აცივა, არც აცხელა და თავისის და ჩვენის სახელით ერთი კაი ლაზათიანი საჩივარი გამოაცხო და მიართვა სამინისტროს....

— ბარაქალა!... მართლა-და უნუგეშონი არა ვყოფილვართ. ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო. კიდევ კარგია, თუ ეგრე მოგვივლია საქმისათვის.

— აკი გითხარ, სხვისთვის შეინახე ეგ ბარაქალა-მეთქი. აკი გამოგადგა კიდეც.

— მერე ?

— მერე ისა, რომ საჩივარში სხვათა მრავალთა შორის შესჩივლა, რომ ბანკის გამგეობა თქვენს ბძანებას მამულების დაფასების შესახებ ეურჩება და არ ასრულებს და ხელახლად უბძანეთ ბძანება ბ-ნ მინისტრისა აღსრულებაში მოიყვანონო.

— როგორ? უბძანე, ჩვენი მამულები უმიზეზოდ და უსაბუთოდ აფოლოს ჩვენმა ბანკმავეო?!

— ეგრე გამოდის, როგორც ჰხედავ.

— ბიჭო-და, მე მეგონა, ბანკს გამოესარჩლებოდა, — მაშ დედამიწა არ უნდა გასკდეს და თან არ უნდა ჩაგვიტანოს ყველანი დედაბუდიანად! ჩვენის ხელით ჩვენვე ვიჭრით ყელებს. ვინ იქნება ჩვენში იმისთანა, რომ ამისთანა ვექილობაზე ხელი მოუწერა? რას ამბობ, ადამიანო, გაგიჟდი თუ რა ჯანაბაა!

— იმას ვამბობ, რაც გითხარი.

— ჩვენვე ვთხოვთ, ჩვენი მამულები იმათ არა ღირან, რაც აქამომდეო? მაგას კიდევ ჯანდაბამდე გზა ჰქონდეს: ჩვენვე ვთხოვთ, ჩვენს ბანკს ისე გაუხადეთ საქმე, რომ წინ ფეხი ვეღარ წასდგას სულ უკან-უკან იწიოსო! ჩვენვე ვთხოვთ, მოუწყვიტეთ ჩვენს ბანკს წყარო შემოსავლისაო? მაშ რითღა შევინახოთ სკოლა? რითღა მივეშველნეთ ერთმანეთს გაჭირებაში?

— ეგ წადი და ჯერ ჩვენს თავმოწონებულს ოპოზიციას ჰკითხე და მერე მის მიერ გაბრიყვებულ

ქართველს, რომელმაც ხელი მოუწერა ვექილობაზე და რომელიც ამის მომქმედს შენსავით ბარაქალას ეუბნება და გამგეობას კი ნიშნს უგებს დღესაც „ჰიო“!

— კაცო და ეგ „ჰი“! გამგეობას კი არა, ჩვენვე გვცემს თავსა და პირში. მაშ ეხლა სამინისტროში ორი ქაღალდია: ერთი გამგეობისა, რომელიცა სთხოვს, უწინდელს წესს ნუ ჩამოგვართმევთო, ნუ შეჰხუთავთ ჩვენს ბანკსა, ბორკილს ნუ უყრითო, და მეორე ჩვენი — საცა ჩვენვე ვჩივით ჩვენის ვექილის პირით, გამგეობა გეურჩებათ, გიძალიანდებათ, არ გემორჩილებათ, და ჩვენვე ვეხვეწებით, — უბძანეთ ბანკს ყელი გამოჭრან, მაგრა წაუჭირეთ ყელში თოკი, რომ არაქათი აღარა ჰქონდეს შემოსავლისაო. სამინისტრომ რომელს ერთს გაუგონოს ხვეწნა და მუდარება? ეგ ხომ ის გამოვიდა — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

— მაგისი კი რა მოგახსენოთ.

— ბევრს უწერია ვექილობაზე ხელი?

— არ ვიცი, ამბობენ, კარგა ბლომა ხალხიაო.

— ახლა, რა პირითღა უნდა დაგვენახვნენ ის ხელმომწერნი?

— ბულვარზე გადი და შეიტყობ : დღეს ჩვენი სალაყბო, აი ევროპაში რომ პარლამენტს ეძახიან, იქ არის.

— მოდი და იხეირე, ქართველო კაცო! რაკი აქამდე მივედით, ჩვენი საქმე წასულია. ჩვენივე რომ ჩვენვე გვცემდეს, სხვებს რა ვუთხრათ, რას ვემდუროთ!

— აბა ბარაქალას თქმა თუ გინდა, ეხლა სთქვი.

— მართლა-და ბარაქალა მეცა და შენც. ორივ ღმერთმა შეგვინახოს. ფუ, ჩვენს კაცობას და ადამიანობას! პირში თევზსავით წყალი ჩაგვიყენებია და ხმის ამოღებას ვერა ვბედავთ. ეს ამბავი არამც თუ სასაცილოდ აგდებაა ჩვენის თავისა, თავზე ლაფის სხმაა. ეს უხარიანთ სალაყბოზედ? ღმერთმა ამისთანა სიხარული ჩვენს მტერს მისცეს და ჩვენს მოყვარეს ხომ ჭირად ეყოფა და ეყოფა. შაბაშ, ქართველო!.. ტყუილად კი არ დაგვცინიან: ქართველებს მარტო ერთი რაღაც ბანკი აქვთ და ლამის ისიც პირქვე დაამხონო.

— მაგას იცი კიდევ რას უმატებენ? „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“. ვინ ქართველი

და ვინ საქმე ! რის უნარიც ღმერთს არ მოუცია, — არ მოუცია. ისიც საკვირველია, რომ ჩვენს ბანკს აქამდე გავაძლებინეთ.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობ. ვაი ჩვენი ბრალი!.. რამ წაგვწყმიდა ესე?

[1897 წ. 1 მარტამდე]



თავადი ნ. ზ. ჭავჭავაძე

ნეკროლოგი

გუშინწინ გარდაიცვალა თ. ნ. ჭავჭავაძე. ერთი გულშემატკივარი კაცი კიდევ მოაკლდა ჩვენს ქვეყანასა, კაცი ჭკუიანი, თავისის საკუთარი მხნეობით და ნიჭით დიდ ხარისხამდე მიღწეული, თავისის საკუთარის ბეჯითობით და ღვაწლით გონებაგახსნილი და თვალახილებული, კარგი მცოდნე ჩვენის ყოფა-ცხოვრებისა, კარგად ჩახედული ჩვენს ავკარგიანობაში. პატარაობითვე ჩვენს შორის გაზრდილა, ჩვენთან ერთად ჭირსა და ლხინში ყოფილა, ჩვენთან ერთად უგრძვნია საგრძნობელი, ჩვენთან ერთად უგლოვია საგლოვებელი და ჩვენთან ერთად ულხენია სიხარული. არა ყოფილა ერთი იმისთანა ამბავი, ავი თუ კარგი, რომ იმის გულს არ დასჭდეოდა ღრმად, რაკი ჩვენს ქვეყანას შეეხებოდა რამ. იცოდა, რა სთქვას რა დროს, სად რა წარმართოს, ვის რა უთხრას და ამისთანაებში თამამი და კადნიერი იყო და არა რაიმე ანგარიში არ დაახევინებდა უკან. მისის მახვილის ენისა, მისის პირდაპირობისა, როცა კი საქმე ატკენდა გულს და საცა ჯერ არს აალაპარაკებდა, ბევრს ეშინოდა, ბევრს ეფიქრებოდა. საცა იგი იყო, აღვირაშვებული წყურვილი ქართველთა გაუპატიურებისა ენას მოიკვნეტდა ხოლმე; ხელაღებით ავად ხსენება ქართველისა, რომელიც ბევრს ენაზე აკერია დღესაც, ვითარცა ერთადერთი ღონე მოედნიდამ ბურთის გატანისა და წინ ფეხის წადგმისა, მის წინაშე სოროში იმალავდა თავს დამფრთხალ თხუნელასავით.

აწ თვით დადუმდა და საუკუნოდ გამოესალმა თავისს საყვარელს საქართველოს, რომლის სარჩლისა

და გამოქომაგებისათვის მას არასდროს არ დაუზოგავს თავი არც დიდისა და არც პატარის წინაშე. მას აქედ, რაც თავის ბრწყინვალე სამსახურს თავი დაანება, იგი მთლად მიეცა ჩვენის ქვეყნის ჭირსა და ბოროტს. არ იყო არც ერთი საერთო საქმე, რომ მთელის გულის მხურვალებით არ მოჰკიდებოდა და სხვებთან ერთად არ ეზრუნა, არ ეფიქრნა, საიდამ რა ეშველოს, საიდამ რა მოევლოს. სასურველია კაცმა ხელთ იგდოს იგი წერილები, რომელიც მას მიუწერია საქართველოს შესახებ პეტერბუგში დიდკაცებისათვის, რომელთაც თითქმის ყველას იცნობდა და ბევრს მათგანს ისე ემეგობრებოდა, რომ „შენაობით“ ესაუბრებოდა.

აწ იგი მდუმარეა კუბოში, ხოლო კუბოდამაც დაგვანხვა თავისი სიყვარული ქვეყნისა, რომელიც უკანასკნელ ჟამსაც თვალწინ სდგომია. არ იყო მდიდარი კაცი, ხოლო მაინც შეუნახავს საქართველოსთვის თავისი წვლილი შესაწირავად. ორი ათასი თუმანი სტიპენდიად დაუდვია, რომ ერთი ქართველი გაიზარდოს სამთო ინსტიტუტში და ერთიც უნივერსიტეტში, ხუთასი თუმანი უანდერძებია ყვარლის (ყვარელი მისი სამშობლო სოფელია კახეთში) გლეხთა შვილების სტიპენდიად ან სამეურნოე სკოლაში, ან სემინარიაში.

სხვა რომ სიკეთე არა მიუძღოდეს რა განსვენებულს, ეს შედარებით უხვად ნაანდერძევი შესაწირავიც დიდი საქმეა ქართველის კაცისაგან, როგორც თუ არ ერთადერთი მაგალითი, — ძალიან იშვიათი მაინც. სიცოცხლის დროს რომ აღარავის ახსოვს საქართველო, სიკვდილის ჟამს ვისღა მოაგონდება და აკი ისე მივდივართ ხოლმე ამ ქვეყნიდამ, ისე უგულოდ ვტოვებთ ხოლმე ჩვენს სამშობლოს, რომ გროში რა არის, გროშსაც არ გავიმეტებთ მამულისშვილობის და მადლობის ნიშნად. განა სამშობლო სამადლობელი არ არის, თუნდ მამულიშვილობაც არ იყოს, რომ დაგვბადა, გაგვზარდა, შეგვივრდომა, გვიპატრონა, გვაცოცხლა და გვაცხოვრა!

ამ ანდერძიდამ იგივე გონებაგახსნილობა განსვენებულისა სჩანს, რაც სიციცხლეშივე შენიშნული ჰქონდათ მის მახლობელთა. იგი გულმტკივნეული იყო ქართველისათვის, განურჩევლად წოდებისა. თავად-

აზნაურია თუ გლეხი, ბედნიერება ორივესი ერთნაირად სწყუროდა. ანდერძითაც დაამტკიცა, რომ უკანასკნელ ჟამამდე ეს წმინდა მცნება გულს შერჩენია ჩვენდა სამოძღვრებლად და სამაგალითოდ. ხშირად უთქვამს: უერთმანეთოდ ცხოვრება ტყუილი სიზმარიაო, უქმი იმედია უქმის გონებისაო.

მოგვაკლდა კიდევ ერთი კაცი! ჩვენ ამას იმ აზრით კი არ ვამბობთ, რომ სათვალავში დაგვაკლდაო. საერთო კაცთა სათვალავში ერთი მეტი თუ ნაკლები, დიდი თაბაუთი არ არის, ხოლო აქ სხვა დაკლებაა. ხმის ამომღები კაცი მოგვიკვდა, ჭკუიანი მოსარჩლე და გაბედული ქომაგი გამოგვეცალა ხელიდამ. აქ დაკლება დიდი უბედურებაა, ქვეყნისათვის დიდად საგრძნობელი დანაკლისია, მით უფრო, რომ მთელს ჩვენს სამშობლოში ორი-სამი ხმის ამომღები კაციღა გვეგულებოდა და ამათში ერთი აწ განსვენებული თ. ნ. ზ. ჭავჭავაძე იყო. გვეცლებიან, ჩვენდა საუბედუროდ, ხელიდამ ესენი და, ჩვენდა საუბედუროდვე, მომდევართ ვეღარა ვხედავთ. მიდიან და აღარავინ მოდის მათდა სამაგიეროდ. აი რაშია უბედურება!..

ბევრმა არ იცის, რა გულუხვად გაუსტუმრებია აწ მიცვალებულს ღარიბნი და უნუგეშონი, როცა მისთვის გაუწვდიათ ხელი, — და როდის არ გაუწვდიათ? ბევრმა არ იცის, რამდენისათვის შემწეობა აღმოუჩენია არამცთუ მარტო ფულით, რომელსაც ერთობ არა ჰზოგავდა გაჭირვებულთათვის, არამედ სიტყვით, დახმარებით, შუამდგომლობით, საცა ჯერ არს. ბევრნი მის მიერ ნუგეშცემულნი, ტირილით და გლოვით გააცილებენ მისს კუბოს და უანგარო ცრემლს დაღვრიან მისს საფლავზე. ბევრნი აწ უნუგეშოდ შთენილნი იტყვიან: ღმერთო, წაგვართვი ჩვენი პატრონი და ნუგეშმცემელი და სამაგიეროდღა ვის გვაძლევო!..

[1897 წ. 10 მარტამდე]

<კრიტის კუნძულის ნავსადგურების ბლოკადა>

ტფილისი, 13 მარტი

მუქარა აღსრულდა. ეგრედ წოდებული ბლოკადა განხორციელდა, ესე იგი, დიდთა სახელმწიფოთა შეჰკრეს კრიტის კუნძულის ნავთსადგურები და აღარ უშვებენ საბერძნეთის გემ-ხომალდებს აღარც იქით და აღარც აქედ. დიდი ვაჟკაცობა არ უნდოდა, რომ თითქმის მთელს ევროპას ასე დაეჩაგრა პაწია საბარძნეთი, და არცა გვგონია, რომ ეს ამბავი დიდი თავმოსაწონებელი და სასახელო იყოს იმ დიდ კრებულისათვის, რომლის თვითოეულს წევრს ცალკე საბერძნეთი ყლაპადაც არ ეყოფა, როგორც ვეშაპს ბუზი.

ეხლა საკითხავი ეს არის: გათავდა ამით ის საშიშარი და განსაცდელიანი საქმე, რომელსაც აღმოსავლეთის საქმე ჰქვიან, თუ ეს უბრალო „ბლოკადა“ კუ და ეტლის თამაშია საპოლიტიკო ჭანდრაკის ფიცარზე? შახია, თუ შამათი? ჩვენა გვგონია, რომ არც ერთია და არც მეორე. ეს მარტო დიპლომატიის ჩვეული ოსტატობაა: ნახეს, ირღვევა კედელი და ხელდახელ შელესეს სხვისა და თავისის თავის მოსატყუებლად. დღევანდელი შიში და განსაცდელი ხვალისათვის გადასდეს და ეგ ხვალე, თვითონაც კარგად იციან, შორს არ არის, ძალიან და ძალიან ახლოა. პაემანი ქარცეცხლის ატეხისა გადაიდვა, მაგრამ ცეცხლი მაინც არ დაიშრიტა, ისევ იმ თივაშია დამალული, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან, მხოლოდ ახალი ის არის ყოველ ამაში, რომ თუ სადმე გაჩნდა ცეცხლი, ეგრე ადვილად ვეღარავინ გააქრობს. მშვიდობისმოყვარე დი-

პლომატიამ მარტო ეს შესძინა ქვეყანას, რომ თუ ამას იქით ატყდა რამე ოსმალეთის თაობაზე, უფრო მძვინვარე და უფრო საშინელი რამ მოხდება ევროპისათვის. და რომ ატყდება, ამაზე ეჭვი არავისა აქვს, და სხვათა შორის, თვით დღევანდელ დიპლომატიასაც, რომელიც იმის ცდაშია, ოღონდ დღეს კი ნუო და ხვალემ თავისი იცოდესო, ოღონდ დღეს ჩვენს ხელში ნურა მოხდება რაო.

ჩააფუჩეჩეს საბერძნეთის საქმე, რომელიც სხვას არასფერს არა თხოულობს გარდა იმისა, რომ ჰკითხეთ თვით კრიტელებს, უნდათ თუ არა ჩემთან შემოერთებაო, და რასაც იტყვიან, ისე მოიქეცითო. რასაკვირველია, ძალა აღმართსა ჰხნავს და საბერძნეთსაც უთხრეს: ენა გრძელი გაქვს და მოიკვნიტეო. ჯერ ხანად იქნება ჩააჩუმონ კიდეც, მაგრამ როდემდის? ვთქვათ, მართლა ხმა გააკმენდინონ საბერძნეთსა, თუმცა ძნელად საფიქრებელი კია. მითამ ამით გათავდეს საქმე? მაკედონია? აქ კი ცოტა ასაფეთქი წამალია? ვინ უთავდებებს განცხრომილს დიპლომატიას, რომ კრიტის კუნძულზე ჩამქრალი ცეცხლი აქ, მაკედონიაში, არ იფეთქებს და მთელს ბალკანეთის კუნძულს ძირიდამ თხემამდე არ შესძრავს. სერბია, ბულგარია, რუმინია, ჩერნოგორია და თვით საბერძნეთიც, რომელნიც მემკვიდრეობას ოსმალეთისას სჩემობენ, ხომ დაერივნენ ერთმანეთში და ერთი ხათაბალა ასტეხეს. ახლა დიდნი სახელმწიფონი აიღეთ, რომელთაც თავისი საკუთარი ჭირბოროტი აქვთ აღმოსავლეთის საქმეში და ყველა კაი ლუკმის გამოთლას მოელის, და ადვილად წარმოსადგენია, რა ალიაქოთი და ვაი-ვაგლახი ასტყდება, თუ კრიტის კუნძულზე შემჭვარტლულმა საქმემ მაკედონიაში ნაპერწკალი გადისროლა.

კრიტის კუნძულის და საბერძნეთის თავგამოდებულმა საქმემ ცხადად დაანახვა ქვეყანას, რომ თუმცა დიდნი სახელმწიფონი, რომელთაც პირში კაპი ამოსდეს საბერძნეთს, პირად ერთმანეთის სურვილით აღტკინებულნი არიან, მაგრამ გულშიკი ზოგიერთნი მათგანი ამ თანხმობის ფარდას იქით რაღაცას სცუღლუტობენ და ცეცხლის ჩაქრობა არ უნდათ. თუ ეხლა საბერძნეთის გამო ერთმანეთს დაჰყვნენ და მოურიგდნენ, ეგ ჯერ

კიდევ ბევრს არა ჰნიშნავს, აქ დათმობილი, სხვაგან იპოვის იმედს და მიზეზს მონასტრის არევ-დარევისას და, ჩვენა გვგონია, არ არის შორს ის დრო-ჟამი, როცა ერთგან დაძინებული საქმე სხვაგან გაიღვიძებს უფრო საშინელის სახითა. ეს „სხვაგანი“ მაკედონიაა. მაშინ ვნახოთ, დიპლომატიას რა თავბრუ დაესხმის და როგორ დაიძვრენს თავს საშინელის თოფ-ზარბაზნის ჭექა-ქუხილისაგან.

აღარ გვახსოვს, ვინა სთქვა, რომ აღმოსავლეთის საქმე იმისთანა საქმეა, რომელსაც გაცვეთილი კბილი დიპლომატიისა ვერ დაღეჭავსო. მართალიც არის. მხოლოდ წვრილმანი საქმენი შესაძლოა კანცელარიების გზით ასე თუ ისე გადასწყდესო და ისტორია მხოლოდ ამისთანა საქმეს აძლევს ხოლმე საცოხნავად დიპლომატიასაო. ხოლო იქ, საცა საქმე შეეხება სამსოფლიო ვითარებას, თითონ ისტორია სდებს თავისს სამსოფლიოს განაჩენსავეო და ამ განაჩენს თითონვე წარმოსთქვამსო, სხვათა დაუხმარებლად, გარემოცული ჭექა-ქუხილითა, ვითარცა საბაოთ მამა სინაის მთიდამაო. აღმოსავლეთის საქმე ერთი ამისთანა სამსოფლიო საქმეა და დიპლომატიას სად შეუძლიან იგი გადასწყვიტოს!

[1897 წ.]



<მობრძანდა ახალი მთავარმართებელი კავკასიისა>

ტფილისი, 14 მარტი

გუშინ მობრძანდა ახალი მთავარმართებელი კავკასიისა, თავადი გრიგოლ სერგეის ძე გალიცინი. მისს ბრწყინვალებას წინ მოუძღვა უმაღლესი სახელდობრივი ბრძანება სენატის მიმართ. მისს იმპერატორებითს დიდებულებას ხელმწიფე იმპერატორს კეთილუნებებია დროებით მიენიჭებინა ახალ მმართველისათვის იმისთანა დიდნი უფლებანი, რომელნიც "ნამესტნიკობის" გაუქმების შემდეგ არა მთავარმართებელს არა ჰქონია. ეს ამისთანა ნიშანი უმაღლესის ნდობისა დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ამისთანა დიდნი უფლებანი ცხადად ჰღაღადებენ, რომ კავკასია სამართველოდ ებოძა უმაღლესად რჩეულს, რომლის ხელშიაც იგი უფლებანი მარტო კეთილის მომასწავებელნი არიან. ყოველივე უფლება კეთილსაიმედოა სამართლიანის, წინდახედულის, განათლებულის, გულგამთბარის და გულმტკივნეულის კაცის ხელში. სჩანს, ყოველ ამისთანა ღირსების მექონეა იგი რჩეული, რომელსაც ჩვენმა მოწყალემ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიანდო დიდნი უფლებანი. ჩვენც დიდის ნდობით და სასოებით ვეგებებით მისს ბრწყინვალებას ახალ მთავარმართებელს და შევხარით მისს მშვიდობით მობრძანებას ჩვენდა საკეთილოდ!..

ქართველნი იტყვიან, სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო. ამ სიტყვაში დიდი და ღრმა აზრია. არანაკლები, თუ არ მეტი, აზრია შემდეგშიაც: ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად. საქმე სამართლიანად მოქცევაა. სხვა ყოველი, რაც გინდ მწვავი რამ შეემთხვას ადამიანს სამართლის პირდაპირობითა და სახელითა, ჭკვათ მისაღებია, ვითარცა აუცილებელი ქვაკუთხედი კაცთა კრებულის აგებულებისათვის. უამისოდ ქვეყანა ვერა ჰხეირობს, ვერა უფლება თავისს კეთილს ნაყოფს ვერ გამოიღებს და თვით უფლება სხვა რა არის, თუ არ ღონე დათრგუნვილ სამართლის აღდგენისა და სამართლისათვის გზის გაკაფვისა და გახსნისა. სხვა უაღრესი მიზეზი და საბუთი არსებობისა უფლებას არა აქვს რა.

სამართალი და სიყვარული, ერთმანეთთან ხელჩართული, — აი ის უშრეტი წყარო, საიდამაც წარმოდინდება მადლი მართველობისა და კეთილი ქვეყნისათვის. რაც სითბო-სინათლეა ბუნების სიცოცხლისათვის, ის სამართალ-სიყვარულია კაცთა კრებულის ცხოვრებისათვის.

უმაღლესის ბრძანებით ბოძებულნი უფლებანი ცხადად გვასწავლიან, რომ მისი ბრწყინვალება ახალი მთავარმართებელი თავისს დიდს და პასუხისმგებელს სამსახურს სამართლით და სიყვარულით გაუწევს ერთის მხრით სახელმწიფოს და მეორეს მხრით მისდამი რწმუნებულს ქვეყანას და ამ ორს უდიდესს ღონეზე დაამყარებს ყოველს თვისს განათლებულს მზრუნველობას. სამართალი და სიყვარული ჰქმნის იმ ერთსულობას, ერთგულობას, რომელიც ასე საჭიროა სახელმწიფოს მაგრად და მკვიდრად დგომისათვის, ერთადერთი ზღუდეა, რომელსაც ყოველივე ავი და ბოროტი ზედ შეასკდება ხოლმე, როგორც სალსა კლდესა და ერთადერთი საწყაოა მართველის ღვაწლისა.

კავკასიის მართვა, სადაც ამდენი სხვადასხვა ერი მკვიდრობს და სასოებით შეჰყურებს დიდს რუსეთს, მეტად ძნელია. თვითვეულის ერის ზნე-თვისება, რჯული, ჩვეულება, აწმყო და წარსული იმისთანა რთულს საგანს შეადგენს მართვისათვის, რომ ძნელია კაცმა ადვილად გაიგნოს გზა. თუ აქ კაცი, ვიღრე თავისს განაჩენს დასდებდეს, ყოველ ავსა და კარგს ჯერ წინად არ გამოიძიებს, არ გამოარკვევს, გულს არ გადუხსნის გეშის მიტანით კი არა, ცარიელის გუმანით კი არა, რომელიც ყოველთვის მაცდუნებელია და არ-

მისანდობი, არამედ მართალის აღმოჩენითა და თვალწინ დაყენებითა, ერის გულისტკენის მეტს ვერას მოიპოვებს...

სხვადასხვა ენის, რჯულის და ზნე-თვისების ერთა სიმრავლე კავკასიაში, ვიმეორებთ, აძნელებს საქმეს მართვისას და რომ აქ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური, გამორკვევა უნდა სახელმძღვანელო აზრს. ჯერ ყოველთა უწინარეს უნდა გაიმიჯნოს, სად იწყება და თავდება ჭეშმარიტი მოთხოვნილება სახელმწიფოსი, რომელსაც ყველა უნდა ექვემდებარებოდეს უცილობლად, და სად — სხვადასხვა ერთა ბუნებური სურვილი თავისის თავის შენახვისა და პატრონობისა, რომელსაც ყველა უნდა გულისტკივილით და პატივისცემით ეპყრობოდეს. როგორც ცალკე ადამიანს არ ეკიჟინება, რომ თავისი სულიერი და ხორციელი სახე იქონიოს კრებულში, ისეც ცალკე ერს — სახელმწიფოში.

სახელმწიფოს ერთობას, როგორც პოლიტიკურს და საზოგადოებურს ერთარსებას, სულ არ უშლის ეთნოგრაფიული სხვადასხვაობა. ერთსახობა, გარეგანი იგივეობა კი არ არის საჭირო სახელმწიფოს სიმტკიცე — სიმაგრისთვის, არამედ ერთსულობა, ერთგულობა, რომელიც ერთადერთი ქვითკირია სახელმწიფოს მკვიდრ აგებულებისათვის. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, არ შეუძლიან თავისი ინტერესები დაუთმოს ვისმე. ამიტომაც საბუთი აქვს თვალყური ეჭიროს და ადევნოს, რომ სურვილმან ცალკე ერისამ მართლად დადებული მიჯნა სახელმწიფო ინტერესებისა არ გადალახოს. ხოლო ამ მიჯნის გარედ მოქმედება ერისა სასურველიც უნდა იყოს სახელმწიფოსათვის და წასახალისებელიც, იმიტომ რომ აქ თვითმოქმედება ერისა ღონეა სახელმწიფოსივე, როგორც საერო სახსარი თავისით ცხოვრებისა, სხვის დაუხმარებლად და, მაშასადამე, სახელმწიფოს შეუწუხებლად.

ყოველივე კაცი თავისს რჯულზე ცხონდებაო, — იტყვიან ხოლმე ჩვენში და დაე, ყოველი თავის რჯულზე სცხონდეს ხორციელად სააქაოს და სულიერად საიქიოს. რა ხელსაყრელია სახელმწიფოსათვის, რომ ეს სასოება გაუფთხოს ცალკე ადამიანს თუ ცალკე ერსა და მით განუქარვოს და გაუქარწყლოს იგი დიდი გულმოდგინება, ამ სასოებისაგან წამომდგარი, რომელიც სძრავს და ამოქმედებს ადამიანსა თუ ერსა მისდა სულიერ და ხორციელ თავისებურ კეთილდღეობისათვის...

[1897 წ.]



<ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმართველობა>

ტფილისი, 19 მარტი

კარგა ხანია, რაც აქაურმა რუსულმა გაზეთებმა გამართეს ცხარე საუბარი სომხების თაობაზე ჩვენში. საგნად ერთმანეთთან დაჯახებისა ის გულახდილად კადნიერი მოქმედება სომხებისა შეიქმნა ჩვენში, რომ ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმართველობა და აღარავის სხვა თესლის კაცს, რომელთა საერთო რიცხვიც 53% მკვიდრთა შეადგენს, არ იკარებენ და, როგორც ჰსურთ, ისე ჰბატონობენ და ჰპატრონობენ სრულად სხვისს დედაქალაქსაო. ვინც იცის ყოვლად ცნობილი თვისება და თვითება აქაურ სომხობისა, რომელიც ეჩოს უფრო ჰგავს, სულ თავისაკენ მთლელს, და არა ხერხსა, რომელსაც თავისაკენაც გამოაქვს და სხვისაკენაც გააქვს, ის ადვილად მიხვდება, რა გულთბილი და გულტკბილი პატრონი ეყოლება სხვებსა, სომხებთან ერთად მცხოვრებელსა, თუ მართლა სომხებმა დაიჩემეს სხვისი პატრონობა ტფილისში.

რომ დაიჩემეს და მორჩნენ და ამას გულახდილად იქადიან კიდეც, — ეს აღარავისათვის დამალული არ არის. ისე ხელის გულიც ადვილად დასანახავი არ არის, როგორც ეს ამბავი. ეს ყველასათვის ცხადია და თვითონ აქაური სომხობაც ამას არამც თუ უარს არა ჰყოფს, პირიქით, იქადის კიდეც „ტფილისის ლისტოკის“ პირით, — ასეც უნდა იყოსო: ქალაქი ტფილისი ჩვენი საკუთრებაა და მისი სვე-ბედი ჩვენს ხელთ უნდა იყოსო. ამისთანა ქადილს და ბევრს კიდევ სხვას გულღვიძლს თავისს ადგილას გავუსინჯავთ და მაშინ დავინახავთ, შიგ რა ჰყრია.

ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ გაზეთმა „კავკაზმა“ ამისთანა მდგომარეობა ტფილისის საქმეებისა მეტისმეტ უსამართლობად იცნა და გამოესარჩლა სხვა თესლის მკვიდრთა, რომელიც ტფილისში სცხოვრებს და რომელსაც სომხების წყალობით პირში ჩალა აქვთ გამოვლებული. რა თქმა უნდა, ამისთანა სარჩელს „კავკასისას“ ყური არ მოუყრუეს აქაურმა სხვა რუსულმა გაზეთებმა და ასტყდა ერთი დავიდარაბა და წეწვა-გლეჯა. უღონოთა ღონე ხომ მოგეხსენებათ, რა არის? ხავსია, რომელსაც წყალწაღებული ხელსა სჭიდებს ხოლმე, როცა სხვა ყოველს ღონეს მოკლებულია. რომ მოპირდაპირენი ვერას გახდნენ, ერთს ლიბერალურს ფრაზას ჩაჰკიდეს ხელი და დღევანდლამდე ამასა ჰხედნიან. ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონებაგახსნილ კაცისაგან.

აი სწორედ ამ გზით მოუარეს „კავკასსა“ და შესწამეს, შენ დევნა და ძულება ეროვნული გინდა ჩამოაგდო ჩვენში, გინდა სომხები და ქართველები ერთმანეთს სამტროდ გადაჰკიდო და ესეთი საქციელი რა საკადრისია ეხლანდელ დროშიო. საკადრისი არ არის, მართალია, ხოლო ერთი ჩავუფიქრდეთ ამ „კავკასის“ მიერ ატეხილს ამბავსა და ჩვენს თავსავე ვკითხოთ: ეროვნულის დევნისა და ძულების ატეხა აქ რა შუაშია?

სხვა არა იყოს რა, მარტო ამ გარემოებას დავუკვირდეთ: სომეხი კადნიერად და მოურიდებლად იჩემებს ქართველის დედაქალაქს, სადაც სომეხი, სწორედ რომ ვსთქვათ, ხიზანია და ქართველი — ბინადარი, ადგილის კაცი. რა ჰგონიათ დევნა-ძულების მოძულეთა, ეს ამბავი დიდის სიყვარულის დამთესავია? აი, თუ სადმე დევნა-ძულებაა, მიზეზი სად არის, თუ სამართლით განსჯა სასურველია. შემოხიზნული კაცი პატრონს

ეუბნებოდეს: მე ვარ, რაცა ვარ, შენ ვინა გდიხარო, — ეს კი დევნა-ძულების ამტეხი არ არის და ის კი ამ-ტეხია, რომ დაჩაგრულმა და უმადურობით გაოცებულმა პატრონმა ხმა ამოიღოს, ეს კაცი მადლობის მაგიერ, უყურეთ, რა ოინს მიშვრებაო: სახლიდამ, საცა მე შევიხიზნე, ჩემის სისხლით შევინახე მტრისაგან და ჩემის ოფლით ვკვებე და გავაძღეო, ეხლა მე მითხოვსო, თითონ უნდა ჩემს სახლში მარტო ყოფნა და მე კი გარედ მაგდებსო.

დაუფიქრდით ამ ორს გარემოებას და გულზე ხელის დადებით გვითხარით: ამ ორს შემთხვევაში ვინ არის ამტეხი დევნა-ძულებისა? ის, რომელიც ასე ექცევა სახლის პატრონს, თუ სახლის პატრონი, რო-მელსაც სხვა დანაშაული არა მიუძღვის რა, გარდა იმისა, რომ არ უნდა თავისი სახლიდამ გამოგდებულ იქმნას, თავისს სახლში ხმაამოუღებელი იყოს და ამას საქვეყნოდ ჰღაღადებს და სჩივის. ჩაგრულია მიზეზი დევნა-ძულების ატეხისა თუ მჩაგვრელი? ამას განა დიდი ხაზი და ლარი უნდა, თუ ჭკუა ჭკუისა და გული გულის ადგილას აქვს ადამიანს და თვალებზე ხელს არ იფარებს განგებ, რომ მართალი არ დაინახოს?!

როგორ არის ეს? მტაცებელი კი სიყვარულის დამ-თესია და ამისი გამმხილებელი კი — დევნა-ძულებისა?! ეს რომელ ტიბიკონში სწერია? მაშ გავუჩუმდეთ, ვსთქვათ, მტაცებელს იმის შიშით, რომ დევნა-ძულება ჩამოვარდება და ამის ატეხა საკადრისი არ არის? თუკი მტაცებელია სადმე, — იქ მარტო მტაცებელი არის დევნა-ძულების მიზეზი და ამის დევნა-ძულებას თხოულობს ღვთისა და კაცის კანონი და თვით ბუნება ადამიანისა. მაშ ის უფრო საკადრისია, რომ მტაცე-ბელმა ითარეშოს და სხვამ ყველამ პირი წყლით ავივსოთ, ან ბარაქალა ვეძახოთ? აქ საქმე მარტო იმა-შია, ტყუილ-უბრალოდ ხომ არავინ არის შეწამებული, უსაბუთოდ გამოყვანილი მტაცებლად. აქ რიდი კი არ უნდა იმისი, რომ ან მტაცებელი შეგვიძულებს ჩვენ, ან ჩვენ იმას და ამიტომ უნდა ხმა გავიკმინდოთ. პირიქით, მთელის რისხვით და წყრომით უნდა მივესიოთ მტაცე-ბელს — სულ ერთია, — ცალკე კაცი იქნება, თუ

რაზმად დაწყობილი კრებული, და თუ კრებულია, მით უფრო უარესი. მტაცებელს ჯერ იმითი ვძულვართ, რომ გვტაცებს, თორემ სიყვარულით ტაცება არავის გაუგონია, მერე ჩვენც იმიტომ ვდევნით და გვძულს, რომ არ გვინდობს და გვძარცვავს, თორემ სიყვარულით და ლოცვა-კურთხევით არავინ დახვედრია მტაცებელსა და არავის გაუსტუმრებია სახლიდამ დალოცვითა — ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცესო. თავში კაცი თუ კრებული გვცემს — ეგ სიყვარულის რგვაა, თუ არ დაგიშლიათ, და გვემული ან სხვა ვინმე, ამ საქციელის მნახველი, ხმას იღებს: „კაცო, რას იცემები!“ — ეს კი ძულების, დევნის ამტეხია. ეს ასეთი ლოღიკა იმისთანა აქლემია, რომ შეიძლება სომხების წინაც დაიჩოქოს და მაშინ რაღას იტყვიან სომხები?

იქნება ამით მოისურვონ სიტყვა მოგვიჭრან: „კავკასს“ ყოველ ამაში რა საქმე აქვს, რად ესარჩლება ჩაგრულთა და დევნულთაო? ის საქმე აქვს, რაც ყოველ პატიოსანს კაცს, რომელიც ვერ შეიფერებს, ვერ შეიწყნარებს, რომ ერთმა სთელოს და სჩაგროს მეორე, ცალკე კაცი იქნება თუ მთელი კრებული, ან მთელი ერი. ეს ასე რომ არ იყოს, ჩაგრულთა სარჩლი და ქომაგობა რომ უუწმიდაესს მოვალეობად არ იყოს აღიარებული ყოველ პატიოსან და გულმართალ კაცის-აგან, მაშინ ხომ ეგრედ წოდებული სომეხთა საქმე ოს-მალეთში არ გამოიწვევდა იმ სამართლიანს და პა-ტივსადებს თანაგრძნობას, რომელმაც ქვეყანას, თავისს სასახელოდ, ხმა ამოაღებინა და ამ ხმის სამართლიან რიხისაგან ბევრად ძლიერი ოსმალეთი ყოვლად უძლურ სომეხს შეუშინდა, შეუფრთხა. ეს ხმა რომ არ ყო-ფილიყო, ოსმალეთი ისე მალე მოუღებდა ბოლოს სომხობას, როგორც სვავი კურდღელსა: ყლაპად არ ეყოფოდა.

განათლებულმა და გულწმინდა სომხობამ კარგად იცოდა, რომ პატიოსანი კაცი, რომელსაც გულში უღ-ვივის მუდამ სურვილი ჩაგრულთათვის შველისა და შეწევნისა, ბევრია ქვეყანაზე და ამ უტყუარ იმედით გაჰბედა ხსნა სომეხმა თავისის თავისა მჩაგვრელთა ხელისაგან. უამისოდ ბრძოლის ატეხა ოსმალეთში მათ მიერ უგუნურება იქნებოდა. და თუ ამ პატიოსან კაცთა

სარჩლსა თვისდა მოქმედების ქვაკუთხედად ჰგიებს სომხობა ჩვენს გარედ, ჩვენში რად უნდა უკვირდეს და იკიცხებოდეს მათ მიერვე, როცა პატიოსანი კაცი, თუნდა უცხოც, ჰხედავს მათგან სხვის ჩაგვრას და ამას გულახდილად ამხელს?

გამხილება კი არ არის დევნა-ძულების ამტეხი მიზეზი, არამედ გამხილებულის ჩადენა და ქმნა არის. აქ არის სათავე დევნა-ძულებისა და მარტო საბუთიანი გამხილება არის ამ სათავის მოწყვეტის წამალი. აქ ეროვნება და სხვა ამისთანა მაღალ ფარდის სიტყვა მოსატანი არ არის. ქურდს, ვსთქვათ, ქართველსა, რომ სომეხმა მსაჯულმა უთხრას, ქურდი ხარო, — ესეც ხომ შეიძლება განგებ გაფიცხებულმა წინდაუხედაობამ ეროვნულ ფეხზე დააყენოს და შესწამოს ეროვნულ დევნა-ძულების ატეხა. ამ გზით, ვინ იქნება იმისთანა ჭკუით გლახა, გააფრთხილოს სომეხი მსაჯული: ჰა, ქურდს ქურდად ნუ იცნობ, თორემ ეროვნულ დევნა-ძულებას ასტეხავ და მტრობას ჩამოაგდებ სომეხთა და ქართველებს შორისო. ამით, რასაკვირველია, ქურდი სიხარულით თავს დაიხსნის ხელახლად საქურდავად, მაგრამ გაქურდულს და ერთობ გაქურდვას რა პასუხს მისცემთ? ნუთუ ეს თვალწინ დასაყენებელი საგანი არ არის? და თუ არის, აქ საძიებელი მარტო ის უნდა იყოს, საბუთიანად იცნა მსაჯულმა ქურდი ქურდად თუ არა. სხვა არაფერი აქ მოსატანი არ არის და შესაწყნარებელი.

გვეტყვიან, რომ აქ მთელს სომხობაზე არის ლაპარაკი და არა ცალკე კაცზე, როგორც თქვენს მაგალითშიო. მართალია, სომხობაზე არის, მაგრამ არა მთელს სომხობაზე. სხვა სომეხთან, რომელნიც ვინ იცის სად არ არიან დასახლებულნი, ჩვენ რა ხელი გვაქვს! ღმერთმა იმათს კაცურკაცობას და ადამიანურს სულთა სწრაფვას ხელი მოუმართოს ყველგან. ჩვენ პირველნი გულითადის სიხარულით მივეგებებით ამ მართლა-და სასიხარულო ამბავს. აქაურ სომხობაზე თუ ვილაპარაკებთ ან სხვანი ჰლაპარაკობენ, ეგ სულ სხვა საქმეა. აქ მთელს ერთან საქმე არავის არა აქვს რა. ყველამ კარგად იცის, რომ არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელ შორისაც კარგიც არ იყოს და ავიც.

უეჭველია, სომხებსაც ეყოლებათ იმისთანა კაცნი, რომლის წინაშე ჩვენც ქუდს მოვიხდით პატივისცემის ნიშნად. აქ ჩვენ ვლაპარაკობთ მარტო ჩვენს სომხობაზე, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, რაღაც ცალკე რაზმად დაეწყო და იმისთანა მოძღვრებას ადგია, რომ თვით გონებაგახსნილ სომეხსაც კი უნდა ეთაკილებოდეს, არ მოსწონდეს.

ჩვენც გვსურს ჩვენებურ სომხების ბედნიერად ცხოვრება ჩვენშიაც, მაგრამ ისე კი, რომ სხვისი ბედნიერებაც იწამოს. იწამოს ის, რის მეოხებითაც თვითონვე ჰსურს ყოფნა ქვეყანაზე და ქვეყანაში ცხოვრება და, რაც თავისის თავისათვის ჰსურს, ის ისურვოს სხვებისათვისაც. განა ესე კია საქმე ჩვენში, ესე იგი იქ, სადაც სომხები შემოხიზნულნი არიან, ჩვენის სისხლით დაცულნი მტრისაგან და ჩვენის ოფლით მაძღარნი? აი საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა დინჯად მოფიქრებული, საბუთიანი და არა ღობე-ყორეს მოდება და ლიბერალურ ფრაზების ტყუილ-უბრალოდ პრანჭვა და ფანტვა. აქ რა ეროვნებაა მოსატანი? რა დევნა, რა ძულებაა, როცა ერთი მეორეს ამხელს — შენ ცუდსა ჰშვრებიო?

თუნდ ეგეც არ იყოს, ეროვნების საქმე კავკასიაში არც სომხების ხელშია, არც ქართველისაში იმ მხრით, რომ ერთიცა და მეორეც ღონემოკლებულია, ერთმა მეორე სჩაგროს ეროვნების ფეხზე წამოყენებით. მაგის ნებას ან ერთს, ან მეორეს ვინ მისცემს? განა სომხებს შეუძლიანთ ქართველს ნება არ მისცენ თავისი რჯული, თავისი ენა, თავისი სარწმუნოება, თავისი ისტორიული სულთასწრაფვა იქონიოს, ან ქართველს შეუძლიან განა ყოველივე ეს ჩამოართვას სომხებსა?

აქ თუ სამდურავი ისმის სომხების მიმართ, მარტო იმის თაობაზე, რომ აქაურ კრებულს სომხებისას მეტად კადნიერად დაუდვია თავისის ცხოვრების სახსრად და საგზლად ერთი მეტისმეტად შეუწყნარებელი მოძღვრება: ჩვენ და არავინ სხვაო. ამას ეხლა აღარა ჰმალვენ, პირიქით, საქვეყნოდ ჰყვირიან კიდეც. რა თქმა უნდა, ზოგი სომეხი აქაც მოიპოვება იმოდენად განათლებული ჭკუითა და გულით, რომ ამისთანა თავგასული მოძღვრება სწყინს და ეთაკილება. მაგრამ ჯერ

ამათ იმოდენა გავლენა არა აქვთ აქაურს სომხობაში, რომ თვალი აახილებინონ და თავისიანი დააჯერონ, რომ „სულ მე და მარტო მე“ იმისთანა საბოლოოდ მკვიდრი ნიადაგი არ არის, რომ ამაზე ფეხი მაგრად მოიკიდოს კაცმა, ერთხელაც იქნება ფეხს მოასხლეტინებენ, თუ არ მოატეხინებენ, იმიტომ რომ სხვასაც ცხოვრება და სიცოცხლე უნდა და ეს სურვილი სხვისა, სომხობისაგან თუ სხვა ვისგანმე შეგინებული და უარყოფილი, მეტისმეტად ძლიერია, რადგანაც ბუნებითვე თანდაყოლილი აქვს ყოველს სულიერს და ნურავინ იფიქრებს, რომ იგი სურვილი ოდესმე ხმას არ ამოიღებს და თავისს დროზე სულთამხუთავსავით კარზე არ მიადგება შემგინებელს თავისის მკაცრის და სამართლიანის განაჩენითა.

განა ვერავინ ჰხედავს, რა გზას ადგია აქაური სომხობა? რა თვალად აშკარად დასანახავი ერთიანი ძარღვი სჩანს იმის მოქმედებაში იმისდა მიუხედავად, რომ მათ შორის არიან იმისთანანიც, რომელთაც ძლიერ აწუხებს ამისთანა მდგომარეობა საქმეთა და ვერა გაუწყვიათ რა, რომ საქმე იმ კაცთმოყვარულ მცნებაზე დააყენონ, რომელიც ერთადერთი მოძღვრებაა კაცთა კრებულის საბედნიეროდ და რომელიც გვასწავლის: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრეო. ეს მცნება, ურომლისოდაც ვერა კრებული, ვერა საზოგადოება, ვერა ერი ვერ ჰხეირობს, შესაძლოა კაცმა დროთა ხელშეწყობით გასთელოს, მოშუშოს, მაგრამ ძირი მაგარი აქვს, როცა იქნება ამოხეთქავს და თავისას მოითხოვს უნაკლულოდ. თუ ადამიანი თავისს თავს კაცად ჰხადის, სხვაც უნდა კაცად იგულოს, თორემ თვითვე გაიჭყლიტება და გაითელება თავისისავე მოძღვრებისაგან. დრო და ჟამი არავის შეარჩენს უსამართლობას, სხვის ჩაგვრას და თელვას.

ჩვენებურ სომხობას ეს დავიწყებული აქვს და ჩვენს გარეთ თუმცა სხვის ადამიანობას მთელის თავისის სამართლიანობის უფლებით წინ აყენებენ და თხოულობენ: მეც კაცი ვარ და კაცად მიცანიო, — შინ კი, ესე იგი ჩვენში, სულ სხვას ჰქადაგობენ, — მე ვარ კაცი და სხვა არავინ მინდა ვიცნო კაცად და ადამიანადაო. ეს მხარე აქაურ სომხობისა, თითქმის საერთო მხარე, ყველას თვალწინ გვიდგა და აი აქ არის ის დამალული მშვილდი, რომელიც დაშხამულს ისარს ისვრის ძულებისას და დევნისას.

აქაურ სომხებს, თუ ყოველს ამას აქამომდე უთმობდნენ, ეხლა აღარავინ დაუთმობს. სომხობას, როგორც ერს, აქ არავინ სძულობს, არავინ სდევნის. აქ ეროვნულს მტრობას და ძულებას ადგილი არა აქვს. აქ ჰღაღადებს დათრგუნვილი უფლება ადამიანისა, რომლის მიზეზი რაზმად დაწყობილი ჩვენებური სომხობაა. ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანურს უფლებას, თუ რაზმად დაწყობილი კრებული. ორგანვე სამართლიანია მდურვა და ყვედრება, თუკი დათრგუნვილ უფლების აღსადგენად იღვწიან და იბრძვიან. საკვირველი ეს ღვაწება და ბრძოლა კი არ არის ჭკუათამყოფელ კაცისათვის, არამედ უამისობა იქნებოდა, იმიტომ რომ ლახვა სხვის უფლებისა, მერე იმისთანისა, რომელიც ბუნებითად მინიჭებული აქვს ყოველს ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყველასგან. შენც იყავ და მეც მამყოფე — განა ბუნებური და სამართლიანი სურვილი არ არის?

დავანებოთ ამას თავი და ერთი ვიკითხოთ: თუ აქ ვინმე ეროვნულ ნიადაგზე გამართულს ძულებასა და დევნას ჰხედავს, ვინ არის ამისი ერთადერთი მიზეზი? — აქაური სომხები და სხვა არავინ. ვინ გაიცალკევა თავი და შეიკეტა კარი, რომ სხვა არავინ გააჭაჭანოს? მარტო სომხებმა და სხვა არავინ. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ, მაგალითად, თუნდ სომხების მოქმედება ტფილისში. განა სომხობის სახელით არ მოიმწყვდიეს თავი ტფილისის თვითმართველობაში და სხვას კარი გამოუგულეს, აქ თქვენ ადგილი არა გაქვთო?! აბა ერთი მთელი საბჭო ჩამოთვალეთ, ვინა სხედან? თითო-ოროლას გარდა, სულ მთლად სომხები არიან. თუ აქ პროგრამმა მოქმედებისა ტფილისის ავკარგიანობაა, და უნდა იყოს კიდეც, ნუთუ სხვა თესლის კაცნი ამ საქმისა და პროგრამისათვის ხელაღებით უვარგისნი არიან, რომ არ ეღირსნენ სომხებთან ერთად ყოფნას საბჭოში. განა ცხადი არ

არის, რომ აქ არ მოქმედებდა პროგრამმა და საქმე, ქალაქის კეთილდღეობის შესახები? ეს რომ ასე ყოფილიყო, მეტისმეტი თავგასულობა იქნებოდა სომხებისაგან, რომ ტფილისში სომეხს სომხის მეტი სხვა არავინ ეცნო ხეირიან კაცად ქალაქის მოვლა-პატრონობისათვის. ამ ოთხის წლის წინად მოხდენილმა არჩევანებმა ცხადად დაგვანახვეს, რომ მარტო ერთადერთი ღირსება იყო საჭირო, რომ ხმოსნად ამორჩეული ყოფილიყო კაცი. იმას კი არ კითხულობდნენ, რა უნარის კაცი ხარ, არამედ იმას, — სომეხი ხარ, თუ არაო.

თუ სადმე ეჭვმისატანია ეროვნული ძულება და დევნა, ვინ გადაიტანა და ვის გადააქვს დღესაც ამ ნიადაგზე საქმე? ამისთანა ცხადი მაგალითი ეროვნულ დევნისა და ძულებისა სხვისაგან ვის გინახავთ? ვის გამოუვლია ასე თვალსაჩინოდ და მოურიდებლად პირში ჩალა სხვა ერის წარმომადგენლებისათვის ტფილისში, საცა სცხოვრებს სომეხთან ერთად 53% უწინდელ ანგარიშით და დღევანდელით უფრო ბევრად მეტი სხვა ერის მკვიდრი? ვინ შეიკეტა თავი ცალკე, ვინ გავიდა ცალკე, ვინ შემოივლო გარს ზღუდე ცალკე ეროვნებისა და სხვას არავის არც ეკარება და არც იკარებს ტფილისში? — სომხებმა და სხვამ არავინ. აი, საცა სამართალია, სად არის ეროვნული დევნა და ძულება და არა იქ, საცა მარტო მხილებაა ამგვარის საქციელისა.

გაგვიბატონდნენ ტფილისის თვითმართველობაში, ქალაქი ხელთ იგდეს და თითქო სიცილით გვეუბნებიან: თუ ცხონებაა, ჩვენ, სომხებიც კარგად გაცხონებთო. ვინც იცის, რამდენად გულუხვია და ხელგაშლილი აქაური სომეხი სხვის ცხონებისათვის, იმას, რასაკვირველია, არა დაუშლის რა ამ იმედით იცხოვროს. ხოლო ძალად, თუნდ ცხონებაც იყოს, კაცს ვერაფრად ეჭაშნიკება და იმ ცხონებაზე ხომ აღარა ითქმის რა, რასაც აქაური სომხობა ჩვენდა უნებურად გვიქადის.

[1897 წ.]



<სად სომხეთი და სად ტფილისის ქალაქი?>

ტფილისი, 22 მარტი

ჩვენს მეთაურში*) ამას წინად ვთქვით, რომ სომხობამ შეიკეტა თავი მარტოკამ ქალაქის თვითმართველობაში და თითქმის სხვა აღარავინ მიიკარაო. ამას ისიც დავუმატეთ, რომ ასე ცალკედ გასვლა სომხებისა არ არის გამოწვეული ქალაქის საჭიროებისათვის მოწყობილ პროგრამისაგან. თუ ვცდებით, აბა ერთი გვაჩვენონ, რა პროგრამამ ქალაქის მოვლა-პატრონობისამ შეჰკრა და შეჰბოჭა აქაური სომხობა ერთად? ეს ამბავი რომ პროგრამისაგან იყოს, გასვლა-გამოსვლა ქალაქის მკვიდრთა და დას-რაზმობად დაწყობა პროგრამის ნიადაგზე მოხდებოდა და მაშინ ესა თუ ის პროგრამა, ქალაქის მოვლა-პატრონობის შესახები, უეჭველად კარს გაუღებდა ბევრს სხვა თესლის მკვიდრთაც ქალაქის თვითმართველობისას.

პროგრამა არსად არის. ის ამბავი კი, რომ სომხობა მარტო გავიდა ცალკე და სხვა აღარავინ შეუშვა ქალაქის საბჭოში. ყველას თვალწინ გვიდგა. ნუთუ ამ გარემოებათა მნახველს საბუთი არა აქვს სთქვას, რომ არჩევანებში, რომელმაც ასე ცალკე თავი მოუყარა მარტო სომხობას ქალაქის მოვლა-პატრონობის საქმეში, მოქმედებდა მარტო ის, რომ მე სომეხი ვარ, შენ არა და შორს ჩემგანაო?

ამ სახით თვითონ სომხობამ ააფრიალა ჩვენში დროშა სომეხის სახელითა, დროშა თავისის ეროვნებისა, და სხვამ არავინ. რომ ეს ასეა, ამას კიდევ

*) იხილეთ „ივერია" №85.

ბევრი სხვა საბუთი აქვს, რომელსაც ხელთ გვაძლევენ თვითონ სომხები აქაურ რუსულ გაზეთების პირითა. ეს გაზეთები პირდაპირ გვეუბნებიან: ქალაქი ტფილისი ჩვენიაო. ეს რა თქმაა? ეს ის არის, რომ რაკი ქალაქი ჩვენია, აქ სხვას არავის ხმა არ ამოელება ჩვენს მეტსაო. თუ ესე არ არის, — „ქალაქი ჩვენია“-ო, რის მაქნისი საბუთიღაა? ტყუილად დაცლილი ყუმბარა იქნება. სომეხი, — ხომ მოგეხსენებათ, — ტყუილ ყუმბარისათვის ტყუილად ხარჯს არ გასწევს, ყაირათიანი კაცია. მართალია, თანაც გვეფიცებიან, ჩვენ აქ ეროვნების ფეხზე არ ვაყენებთ საქმესაო, მაგრამ რაკი ამასთან იძახიან, ქალაქი ჩვენიაო, სომხებს ისე მოსდით, როგორც ურიას, რომელსაც ეუბნებიან: ურიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავო, და არა, ღმერთმან იცისო.

დავანებოთ თავი ამ ბაშვის მოსატყუებელს კრიმანჭულს ფიცსა და ერთი ეს ვიკითხოთ: ქალაქი ტფილისი მართლა იმათი კია? ვინ მოახსენათ? სტყუიან, ტყუილად იქადიან, ტყუილად ჰჩემულობენ. ტფილისში მარტო სახლებია იმათი, თუ რამ არის, ქალაქი კი, ნურას უკაცრაოდ, ვერ მივართვით.

ქალაქი ტფილისი ჯერ რუსეთისაა და მერე საქართველოსი. პოლიტიკური და გეოგრაფიული კუთვნილება ერთია და კერძო საკუთრება - სულ სხვა. ამათ შუა დიდი მანძილია და ეს ცხვირზედ კარგად უნდა დაიჭდიონ მადაგაღვიძებულმა სომხებმა. მაშ ნახჩევანიც სომხების ქალაქი იქნება და არა რუსებისა და, თუ არ დაუშლიათ, ზოგი რუსეთსაცა ჰკითხონ. ბერდიჩევში 10,777 რუსია და 62,000 და კიდევ მეტიც ებრაელია, მაშ ეს ქალაქიც ებრაელებისა ყოფილა და არა რუსისა და რუსეთის იმპერიისა. თითონ სიცილად არ ეყოფოდათ, რომ ბერდიჩველმა ებრაელმა თავისის ერის დროშა გაშალოს ბერდიჩევში და როგორც აქ, ტფილისში, სომხებმა, იძახონ: ბერდიჩევი ებრაელთა ქალაქიაო. აი ტფილისსა და ავჭალას შუა გერმანელთა ახალშენია, რომელსაც Дальная Колония — ს ეძახიან, სულ გერმანელნი არიან, მაშ გერმანიას ეკუთვნება, მაშ გერმანია იქნება?

ტფილისი რომელი სომხეთია ან საზღვარმდებარეობით ან ხელმწიფებით, რომ ასე კადნიერად ჩემულობენ

სომხები, — ჩვენიაო? საიდამ სადა? სად სომეხი და სომხეთი და სად ტფილისის ქალაქი? საიდამ სად იწვდიან ხელსა! კიდევ ვიტყვით, აქ მარტო სახლებია სომხებისა, ისიც, ვინ იცის, რამდენად, და არა ქალაქი, რომელიც საქართველოს მიწა-წყალზეა და საქართველოსთან ერთად ეკუთვნის რუსეთსა. აქ სომეხს, როგორც ეროვნებას სომხობისას, კრინტიც არ შეუძლიან დასძრას, სომხის სახელით აქ დროშას ვერ გაშლის და სომხობით ვერ იბატონებს. აქ სომხისა არა არის რა, აქ ყველანი ტფილისის თანასწორი მკვიდრნი არიან, განურჩევლად ქართველისა, სომეხისა, რუსისა და სხვისა და სხვისა. აქ ლაპარაკი ქალაქის მკვიდრის სახელით არის მარტო შესაწყნარებელი და არა სომეხისით, და ნამეტნავად სომეხისით, რომელიც აქ ხიზანია და სხვა არარა.

აი სად არის იგი სატკივარი, რომელმაც ასე გაამწარა და გააკაპასა დღევანდელი მითქმა-მოთქმა სომხების გამო და რომელმაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჭკუიანად ცნობილ სომხებს დავთრები აურია და აღარ გაეგებათ, სად რა სთქვან და როგორა სთქვან. რომ მადა დიდი აქვთ აქაურ სომხებს, ეს არავისათვის არ არის ახალი ამბავი, მაგრამ არც ესე ძლიერ უნდა კაცმა პირი დააღოს, აქაო და მადა დიდი მაქვსო. ქალაქი ჩვენიაო. ვინ მოგახსენათ? როცა თქვენ ვინმე წამოგედავებათ ამ ქალაქში თქვენდა კუთვნილ სახლებს, მაშინ ამოყაჭეთ ჯიბიდამ თქვენი ნასყიდობის სიგელები, გამოგადგებათ. ხოლო როცა ლაპარაკია, — ქალაქი ვისიაო, — მაშინ ეგ სიგელები აბგაში მაგრა შეინახეთ. აქ ის სიგელები უქმი ფარატინაა, იმიტომ, რომ სულ სხვა საბუთი უნდა, რომ ქალაქი ტფილისი თქვენი იყოს, ქალაქი დაიჭიროთ, დაიჩემოთ. აქ პოლიტიკური და გეოგრაფიული საბუთი უნდა და არა სიგელი სახლის ნასყიდობისა. ეს იმისთანა საბუთებია, რომ მარტო ოქროთი გატენილი ტომარაც კი ულონოა ხელთ იგდოს.

ვწუხვართ, რომ სომხების დაუჭერელმა საუბარმა იძულებულ გაგვხადა ყოველივე ეს გვეთქვა და არა გვგონია, რომ ყოველი გონებამიხვედრილი სომეხიც ამასვე არ სწუხდეს.

[1897 წ.]

პატარა საუბარი

ჩვენმა დარბაისელმა „Новое Обозрение“-მაც მითამდა ოხუნჯობა დაიწყო. რატომ? მხიარულება კარგი საქონელია, მაგრამ ღმეჭა და ღრეჭა ოხუნჯობაა თუ არა, – ეს ღმერთმა იცის. განა ყველა, რაც ადამიანს სიცილს მოჰგვრის, ოხუნჯობაა? თქვლეფაც ხომ ჭამაა და ჭამაც ჭამა, მაგრამ შუა დიდი ზღვარი უზით. ეგრეც ღმეჭაა და ოხუნჯობა. ჩვენა გვგონია, რომ ამ ხანად პირველი დებიუტი „Новое Обозрение“-სი ცოტა არ იყოს ღმეჭასა ჰგავს და, თუ ვიცინით, ღმეჭაზე გვეცინება, ანუ უფრო ტკბილად რომ ვთქვათ, მასხარაობაზე. ეს დარბაისელი გაზეთი ჩვენა გვწამებს, რომ ჩვენ ბ-ნს გუნიას შეგირდად მივებარენით და იმისაგან ჭკუასა ვსწავლობთ. ეს დიდი ოხუნჯობა ჰგონია პატივცემულს გაზეთს. მითამ აქ სასაცილი რა არის, თუნდაც რომ მართლა ეგრე იყოს?

თუ დარბაისელი „Новое Обозрение“ ჭკუასა და ამასთან ზრდილობას და თავაზიანს საუბარს ბ-ნ ვართანიანცისაგან სწავლობს და ამაზე არავის ეცინება, ის რაღა სასაცილოა, რომ ჩვენ ბ-ნს გუნიასაგან ვსწავლობდეთ. ვთქვათ, ბატონი გუნია ციდამ ჩამოსული კაცი არ არის, ხომ არც ბ-ნი ვართანიანცია ციდამ ჩამოსული. მაშ განსხვავება რაშია? ჭკუათა მასწავლებლობაში არა გვგონია ბ-ნს ვართანიანცს დიდი სახელი მოეპოვოს სადმე. არც ბ-ნი გუნია თავსა სდებს ამისთანა სახელისათვის. მაშ ოხუნჯობა რაშია, რომ ბ-ნი გუნია ჩვენი მასწავლებელია? რით არის ბ-ნი გუნია ბ-ნ ვართანიანცზე ნაკლები? ბევრიც რომ თავი იტკივოთ, ასწონ-დასწონოთ, ამისი პასუხი ერთია და სხვა არა.

ბ-ნი გუნია ქართველია და ბ-ნი ვართანიანცი კი სომეხი.

ეს წვერი ხომ ვიპოვეთ ნასკვისა, ახლა გამოვხსნათ თვით ნასკვიც. რა გამოდის იქიდამ, რომ ბ-ნი გუნია ქართველია და ბ-ნი ვართანიანცი სომეხი? ისა, რომ ბ-ნი გუნია ქართველია და აბა ქართველს რა ჭკუა აქვს, რომ მისგან სხვა კაცმა და ისიც ქართველმა ჭკუა ისწავლოს. აი მარილი იმ ოხუნჯობისა, რომელსაც ჩვენ ღმეჭა დავარქვით. ბ-ნ ვართანიანცი კი სომეხია და ღმერთმა ჭკუა ხომ მარტო სომეხს მისცა და თუნდაც არ მიეცა, იმოდენა ფული აქვს, რომ ჭკუის პრივილეგიას იყიდდა, ან არა და “კონტრაბანდა” ხომ აქ არის, უბაჟოდაც შემოაპარებდა და აიჩემებდა. მაშასადამე, ჭკუა მარტო სომეხისაგან ისწავლება და აი “ივერიას” რომ ჭკუის მასწავლებლად ბ-ნი ვართანიანცი აეყვანა, როგორც „Новое Обозрение“-მა ჰქმნა, მაშინ სულ სხვა იქნებოდა: არავინ არ დასცინებდა, თვითონ დარბაისელი თ. გ. თუმანიანციც ბარაქალას ეტყოდა.

თუ „Новое Обозрение“-ს ამისი თქმა უნდოდა, რატომ ბოლომდე არ გაიტანა ეს ლარი თავისის აზრისა? მართალია, ამ დარბაისელ გაზეთს აქამდე უყვარდა ორ სკამშუა ჯდომა და ეხლა ხომ ნიღაბი აიხადა და ყველანი ვხედავთ, საით უფრინავს გული და გონება. გვიანღაა ეხლა ორჭობად ლაპარაკი და ნამეტნავად ღმეჭითა და პრანჭვითა.

მეორე ოხუნჯობა იმავ „Новое Обозрение“-სი პირ და პირ გვეუბნება, რომ ან ბ-ნი ვართანიანცი, თუმცა სომეხია, ვერა ყოფილა კარგი ჭკუის მასწავლებელი, ან „Новое Обозрение“-ს მასხარა ვერა ყოფილა ჭკუის სწავლების მიმღები. საქმე იმაშია, რომ “ივერიას” მოუვიდა სურათი თ. ნ. ბარათაშვილისა და სურათზე გამოსახული მართლა თ. ნ. ბარათაშვილია თუ არა, ამისი შემოწმება მოიწადინა. ამის გამო „Новое Обозрение“ ასე ოხუნჯობს: ჩვენ ვიცით, რომ “ივერიის” რედაქტორს უწინ ერთი სხვა სურათი ჰქონია თ. ნ. ბარათაშვილისა და ვიღას იწვევდა შესამოწმებლადაო? სასაცილოა განა! „Новое Обозрение“-ს რომ მის მიერ ყბადაღებული ბ-ნი გუნია მაინც ჰყოლოდა ჭკუის მას-

წავლებლად, ისიც კი ჭკუას ასწავლიდა ამ შემთხვევაში და გვიკვირს სახელგანთქმულს ბ-ნს ვარ-თანიანცს აქ ცოტად მაინც ყური არ აუწევია თავისის შეგირდისათვის. რატომ არ უთქვამს: აქ საოხუნჯო რა არის, შენის სიბრძავის მეტიო. განა წინანდელი სურათი ბარათაშვილისა კი შესამოწმებელი არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო? განა ის კი ნამდვილი სურათი იყო მისი და არა სხვისა? ამას ხომ დიდი ჭკუა არ უნდოდა. აქ კი, სწორედ მოგახსენოთ, თ. გ. თუმანიანცი, თუმცა სომეხია, მაგრამ სომეხის ჭკუისათვის ვერაფერი მაგალითი მოუცია, ვერაფერი სამსახური გაუწევია. მე რომ სომეხი ვიყო, არ შევარჩენდი აგრე მოურიდებლად სომხის ჭკუის დაფოლებას და გატეხასა.*)

X X X

გუშინ, „Новое Обозрение“-ში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი. წერილის ავტორი, მოგვითხრობს რა სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების კრების ამბავს ზოგადად, ცალკე იხსენიებს იმ 15 კაცის თხოვნასაც, რომლის გამოც კრებამ თავისი განაჩენი დაადგინა და ძაგებით უარჰყო იგი თხოვნა. ამის გამო ავტორი ისაყვედურება, ეგრე სასტიკად არ უნდა მოჰქცევოდა იმ 15 კაცს კრება და ნამეტნავად ერთი ორატორი კრებისაო, იმიტომ რომ ყოველს აზრს, თუნდაც უმცირესმა ნაწილმა წარმოსთქვას, შეწყნარება უნდაო. „Новое Обозрение“-ც თავისით ამბობს, რომ ჩვენ მთლად ვეთანხმებით წერილის ავტორსაო. ჩვენც, ივერიელნიც, თანახმანი ვართ, რომ ყოველი აზრი, ბევრისაა თუ ცოტასი, შესაწყნარებელია და არა სადევნელი, ხოლო როგორც ავტორს წერილისას, ისეც „Новое Обозрение“-ს ავიწყდება აქ ერთი რამ, სახელდობრ ისა, რომ აზრია შესაწყნარებელი და არა უთავბოლო კიცხვა-კილვა ადამიანისა. გამოსულან და საქვეყნოდ კრებაში იძახიან: ესა და ეს თქვენი ამორჩეული კაცები

*) ეს საუბარი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დაგვიანდა და ახლა იბეჭდება.

არ ვარგანანო და გამოლალეთ სირცხვილეულნიო. ამის საბუთად ერთი ამბობს: ჩემს სტამბაში არა ჰბეჭდვენ ბლანკებსაო და იმიტომ არ ვარგანანო; მეორე კადნიერად გვეუბნება, მე იმოდენა ფული არ მომცეს, რამდენიც მინდოდაო და იმიტომ არ ვარგანანო. მესამე ყოვლად უადგილო ოხუნჯობით გვეუბნება, საკუთრივ ერთს კაცს უჩივიან და სხვებიც ზედ მიაყოლეს „გარნირადაო“. ეს განა აზრია და არა სასაცილოდ აგდება მთელის კრებისა, საცა ამისთანა სამარცხვინო საქციელს ადგილი აქვს! ეს განა აზრია, რომლის შეწყნარებასაც ითხოვს წერილის ავტორი და მასთან ერთად „Новое Обозрение“-ც! ამისთანა აზრის შეწყნარებას გვასწავლიან ან ერთი, ან მეორე? მაშ ერთსაც ბარაქალა და მეორესაც. კიდევ ვიტყვით: ეგ აზრი კი არ არის, თავაღებული და აღვირამოდებული შეგინებაა ადამიანის ღირსებისა ცალკე და მთელის კრებისა საერთოდ და რომელს ზნეობის დავთარში სწერია, რომ გინება ადამიანისა, ადამიანის კილვა, შებღალვა სადმე შესაწყნარებელი იყოს?! ყოველს აზრს შეწყნარება უნდაო. გაუგონიათ ეს და აღარა კითხულობენ; — აქ აზრზეა ლაპარაკი თუ კილვა-გინებაზე? ამათ შუა დიდი მანძილია და ეს უშველებელი მანძილი თვალწინ გამოჰპარვია როგორც წერილის ავტორს, ისეც დარბაისელს „Новое Обозрение“-ს. გამოდის, რომ იგი ზნეობური კანონი, რომლისათვისაც ამ შემთხვევაში ხელი ჩაუჭიდნია წერილის ავტორს და „Новое Обозрение“-ს, ზეპირად დასწავლული ჰქონიათ და სად არის იგი კანონი წამოსაყენებელი და სად არა, ამაზე კი უკაცრაოდ ბძანებულან. ამას განა დიდი ლარი და ხაზი უნდა, რომ ჯერ აზრი უნდა იყოს და მერე მისი შეწყნარება. აბა ერთი აზრი გვიპოვონ იმ 15 კაცის თხოვნაში და მერე შეწყნარება იმ აზრისა მოითხოვონ. ან იქნება, რაც კაცს ენაზე მოადგება და წამოიყრანტალებს, აზრი ჰგონია წერილის ავტორს და ამასთან ერთად მისს მობანეს „Новое Обозрение“-ს? ეგ იმათი საქმეა და სხვას კი რომ ამისთანა სასაცილო ბარგი არ აჰკიდონ, მეტი არ იქნება.

[1897 წ. 27 მარტამდე]



<მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო>

ტფილისი, 29 მარტი

გარდა იმისა, რომ ჩვენს ქალაქში გაბატონების საბუთად, აქაურმა სომხობამ, წამოაყენა, ქალაქი ჩვენიაო*), ორიოდე სხვა საბუთიც დაგვისახელეს საკუთრივ ჩვენ, ქართველებს, და თავმოწონებით პირში მოგვახალეს. თქვენ, ქართველები, რა კაცები ხართო? მარტო ჩრდილქვეშ წამოწოლილხართ ყანწით ხელში და ამთქნარებთ ძილმორეულნიო. ჩვენ, სომხები, უფრო მხნენი ვართ, უფრო გამრჯელნიო. ჩვენ თქვენზე მეტნი ვართ სწავლით, ცოდნით, თქვენზე მეტი ფული გვაქვს და რად გიკვირთ, რომ თავზე წამოგასხედითო. ეს წინდაუხედავი და მართლა საწყენი ლაპარაკი იქამდე გასჭიმეს, რომ ესეც კი სთქვეს აუწითლებლად: — ეხლანდელ დროში „ჰუმანობა“, კაცთმოყვარეობა და სხვა ამისთანა ტკბილ-ტკბილი და ადამიანის სასახელო მადლი ზღაპარია და ტყუილ-უბრალო ლაქლაქი მოცლილ და უსაქმო კაცისაო. ესეც არ იკმარეს და იქამდე თავს გავიდნენ, რომ გვეუბნებიან: კულტურის წარმომადგენელნი კავკასიაში ჩვენა ვართო და ჩვენი მადლობელნი იყავით, რომ კულტურა ჩვენ შემოგვაქვს საქართველოშიო. სასაცილო კია, მაგრამ მაინც მაგალითად მოჰყავთ ერთი სომეხი, რომელსაც მუხათგვერდში მამული უყიდნია და ეს მამული ვითომ ისე წაუწევია წინ, რომ ლამის ჩვენთვის ჭკუის მასწავლებლად შეიქმნეს.

*) იხილეთ „ივერია“ №56.

ყოველ ამას გვიქადაგებს ერთი აქაური რუსული გაზეთი სომხის რედაქტორობით და დოინჯშემოყრილი სასაცილოდ გვიგდებს ჩვენ, ქართველებს, მიწასთან გვასწორებს. თუ სასაცილოდ აგდება და მიწასთან გასწორება აქ მეტი თქმაა, საწყენი ხომ უსათუოდ არის, რომ ეგრე კადნიერად მჩვარში გვხვევენ ჩვენ, ქართველებს. მერე ვინ? სომხები. ერთის კაცის წინდაუხედავ ლაპარაკს მთელს აქაურს სომხობას რად აბრალებთო, გვეტყვიან. მართალია: ერთმა რომ არ იცოდეს, სად რა სთქვას და როგორა სთქვას, მთელი აქაური სომხობა რა შუაშია, მთელის სომხობისა რა ბრალია? ის ბრალია, ბატონებო, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ერთმა სომეხმა საჭიროდ არ დაინახა აქ სიტყვა შეებრუნებინა იმ უცნაურ რუსულ სომხის გაზეთისათვის და ეთქვა: მაგას რაებსა ჰბოდავო.

მართალია, ვისა აქვს იმოდენა დრო და მოცალება, რომ თვითვეულის ცალკე რახუნს პასუხი აძლიოს კაცმა, მაგრამ აქ ამნაირი გამართლება თავს არ დაიჭერს. თუ ბ-ნმა ვართანიანცმა საჭიროდ დაინახა დავი დარაბა აეტეხნა იმაზე, რომ ორი კაცი — ქართველი — გამოაგდო სამსახურიდამ, თუ ერთი, თუდინჯმა „Новое Обозрение“-მ აქედ-იქით უკბილო კბენა დაიწყო სომხობის და ქართველობის თაობაზე და ამისათვის ერთმაც და მეორემაც დრო და მოცალეობა ხელთ იგდეს, ნუთუ კადნიერი თარეში ხსენებულ რუსულ-სომხის გაზეთისა ღირსი არ იყო სიტყვა დაეხარჯათ ან ავად, ან კარგად. ყველა გაუჩუმდა, ხმა არავინ ამოიღო. გაჩუმება, ხმის ამოუღებლობა შესაძლოა და საბუთიანი იქ, საცა წინდაუხედავობა შეეხება საგანს, რომელსაც საზოგადოებური მნიშვნელობა არა აქვს და ჭკუადამჯდარ კაცისათვის არაფერს ღირებულს არ წარმოადგენს, ხოლო იქ, საცა ერთი ერი მეორეს სასაცილოდ იგდებს, როგორც მეტს ბარგს ქვეყნისას და ეუბნება: შენ სულელი ხარ და მე — ჭკვიანი, შენ ბრიყვი და უსწავლელი ხარ და მე — განათლებული და ნასწავლი, შენ ღატაკი ხარ, მე — მდიდარი, შენ თვლემის მეტს არას აკეთებ, მე კი ვირჯები, „ჰუმანობა“ და სხვა ამისთანა რამ ჩემთვის ზღაპარია, — და შენ კი მაგ ზღაპრით გინდა ფონს გახვიდე, —

ნუთუ ყოველივე ეს ღირსი არ იყო და არ არის, რომ აქაურს სომეხს ვისმე ხმა ამოეღო? ვთქვათ, მჩვარში გახვევა ქართველებისა და ბაქიობა სომხობისა არაფრად მიიჩნიეს, ეს „კაცთმოყვარეობა“ და სხვა ამისთანა მადლიერი საფუძველი კაცთა ცხოვრებისა, კაცურკაცობისა, ადამიანობისა, სომეხის სახელით საკაცილოდ რომ აიგდეს, უარჰყვეს, ვითარცა მეტი რამ ნაგავი, — ნუთუ არც ერთმა სომეხმა არ ითაკილა, არ იუკადრისა და რისხვა-წყრომით არ შეუტია ვისაც ჯერ არს, — ამას რას როშავთო! განა სომეხი კი ადამიანი არ არის, პირუტყვი მხეცია, რომ უარჰყოფდეს „კაცთმოყვარეობას“ და სხვას ამისთანას. „ჰუმანობა ეხლანდელ დროში ანახრონიზმიაო“, აი ამაზეა ნათქვამი: სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ. სხვას კი არასფერს არა სწამობენ სომხობას, გარდა იმისა, რომ სომხობისათვის „ჰუმანობა“, კაცთმოყვარეობა ფუჭი სიტყვააო.

ამას ბეჭვდით საქვეყნოდ სომეხის რედაქტორობით და, მაშასადამე, თვითონვე იძახიან და სხვას კი ემდურებიან, ცილსა გვწამებთო, მაგეთები არა ვართო, ჩვენც ადამიანები ვართ და არა რა ადამიანური არ გვეუცხოებაო. რა თქმა უნდა, სომეხიც ადამიანია და არარა ადამიანური არ უნდა ეუცხოებოდეს, მაგრამ განა კაცთმოყვარეობა ადამიანური მადლი არ არის? რად იუცხოვა სომეხმა რედაქტორმა ასე გაბედვით და არავინ სომეხმა არ უთხრა: კაცო, თუ შენ გეუცხოება, ჩვენ რაღას გვემართლები დანარჩენ სომხებსა-თქო, ჩვენი ავად მხსენებელნი ამაზე უარესს სხვას რას გვეუბნებიან-თქო!

უამისოდ რა გამოდის? ისა, რომ სომეხი სომეხს ცხოვრების დედაბოძად ამისთანა მოძღვრებას უდებს, კაცთმოყვარეობა ეხლანდელ დროში სულელობაა, და ერთმა აქაურმა განათლებულმა სომეხმაც კი საჭიროდ არ დაინახა ამის მთქმელისათვის პირში ბურთი ჩაედო. რა უნდა ვიფიქროთ ამის მნახველებმა და მოწამეებმა? ნუთუ აქაური სომხობა თანამგრძნობელია ამ უადამიანო, ამ უმერთო მოძღვრებისა. ქართველების მიწასთან გასწორებაზედაც რომ არა ვთქვათ რა, თავისის თავისათვის მაინც უნდა ეპატრონათ, სომხის ადამიანობას მაინც უნდა წამოჰქომაგებოდნენ, სხვა არა იყოს რა.

თუ არა და ასეთი წარამარა ლაპარაკი რატომ თვითონ სომხებმა არ იწყინეს და თავისის დუმილით თითქო შეამოწმეს კიდეც, ასეაო. აქ დუმილს, ხმის ამოუღებლობას განა ადგილი აქვს! აქ ხმის ამოუღებლობა წაქეზებაა, ბარაქალის თქმა უთქმელად. თუ ამირანისათვის გულში მღერა შესაძლებელია, განა გულში ბანის თქმა კი შეუძლებელია? აი აქ ხმის ამოუღებლობას რა ბოლო მოსდევს, არა სასახელოდ სომეხთა. ვინც იტყვის: კაცთმოყვარეობას ჩემს გულში ადგილი არა აქვსო, — იმას ერთი ფეხი სამარისაკენ გაუშვერია, იმას ამითი თავისი ანდერძი აუგია, იმას თავისი ყელის გამოსაჭრელი დანა თვითონვე გაულესია. ერი, ამისთანა მოძღვრებაზე ამგებელი თავისის ცხოვრებისა, დღესა თუ ხვალ აიგვება დედამიწის ზურგიდამ, ვითარცა მტვერი ქარისაგან, და ხანგრძლივად ცხოვრების იმედს ტყუილად ებღაუჭება.

ნუთუ მართლა კაცთმოყვარეობა სომეხთა თვალში სულელობაა! ასე ამბობს გაზეთი, რომელსაც სომეხი ჰყავს რედაქტორად, დანარჩენი სომხობაც, უნდა ვიფიქროთ, მისი თანახმაა, რადგანაც დუმილი ნიშანია თანხმობისა. თუ არა და, რატომ ამისთანა მოძღვრებას თავისი შესაფერი სიტყვა არავინ უთხრა? იქ, საცა ვისმე ჩარჩს-სომეხს გამოეკიდებიან და მოედანზე გამოიგდებენ, დიდი და პატარა ყალხზე შესდგება ხოლმე და აქ კი ხმის ამოღება მეტი ჰგონიათ. სჩანს, ამ მოძღვრების წინ ქედს იხრიან, სჩანს ამ სათაკილო მოძღვრებას ჰკისრულობენ. ამათმა ხმის ამოუღებლობამ სხვა რა უნდა აფიქრებინოს ქვეყანას?

კიდევ ვიტყვით: ეს იმისთანა ამბავი არ არის, რომ სომეხი გასჩუმებოდა. ეს იმისთანა ამბავი არ არის, რომ წამლად ეს ანდაზა ეხმარათ: ყბედს რა დააჩუმებს და მუნჯიო. ეს იმისთანა ამბავი არ არის, რომ თავი იმართლონ. — ამისთანების მოძღვარი ღირსი არ არის, კაცმა თავი გაუყადროს და პასუხი მისცესო. ჭეშმარიტი და გულწმინდა სომეხი, რომელიც, სომეხთა სასახელოდ და ჩვენდა სასიამოვნოდ, არა ერთი და ორია ჩვენში, მოვალე იყო და არის ამ უკადრისს და

სათაკილო მოძღვრებას მაინც გაჰმკლავებოდა და მიჰსეოდა მთელის თავისის სამართლიანის გულიწყრომითა და რისხვითა. ქართველობის ავად ხსენება და სომხების მაღლა თაროზე შესკუპება, თუნდა შერჩენოდა მთქმელსა, ის მაინც არ უნდა შეერჩინათ, რომ სომეხისათვის კაცთმოყვარეობა სულელობააო. ამას სასიკვდილოდ გადამტერებული მტერიც არ იტყოდა სომხებზე და რადგანაც ეს სომეხმავე სთქვა თუ სხვას ათქმევინა და ამასთან აქაურმა სომხობამ ყური მოუყრუა, ისე გამოდის, თითქო ეს სათაკილო ნათქვამი იკისრესო.

რაც შეეხება ქართველობის ავად ხსენებას და სომხების მაღლა თაროზე დასმას, ამაზე მერე მოვილაპარაკებთ დაწვრილებით და ეხლა კი ესეც ვიკმაროთ, რომ საქართველოში კულტურის შემომტანი სომეხი ჭკუას ასე გვასწავლის: კაცთმოყვარეობა სულელობააო.

თუ კულტურა მართლა იმაშია, რომ კაცთმოყვარეობა სულელობაა და განდევნილ უნდა იყოს კაცთა საცხოვრებელიდამ, ღმერთმა ის კულტურაც შეარცხვინოს და მისი მომგონიცა. რამდენი სიკეთე წარმოსდგება ამისთანა კულტურულ მოძღვრებისაგან, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ და ჩვენ, ქართველებს კი სხვა არა დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ვთქვათ: მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო. თუ ამისი თქმა არ უნდოდათ, თვითონ სომხობას უნდა გამოედვა აქ თავი და უარეყო ესეთი კულტურული მოძღვრება და ქადაგება იმავ გზით, რა გზითაც გამოქვეყნდა. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და ამიტომ იძულებულ გავხდით, ჩვენ გვეთქვა ის, რაც იმათი სათქმელია.

[1897 წ.]



პატარა საუბარი

უმაღლესად დამტკიცებულია სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალითაც საქართველოს საექსარხოსოში ქართულ სამრევლო სკოლებში სლავიანურის ენის მაგიერ ქართული საეკკლესიო ენა უნდა ასწავლონ. რადგანაც საკმაო სახელმძღვანელო წიგნები საღმრთო წერილის სასწავლებლად არა ჰქონდათ აქაურ ქართულს სამრევლო სკოლებს, ამიტომაც ქართველმა საეპარხიო სასწავლებელთა საბჭომ ორჯერ მიჰმართა სამოსწავლო კომიტეტს სინოდისას და სთხოვა სამრევლო სკოლებისათვის სხვათა შორის ქართული სახარება, ფსალმუნები და სხვა გვიბოძეთო. ეს კარგა ხნის ამბავია. 1892 წელს უწმინდესს სინოდს გამოუგზავნია რამდენიმე ასი ცალი სახარება, ხოლო ქართული კი არა, სომხური! რა თქმა უნდა, ეს საოცარი ამბავი შეცდომით არის მომხდარი, ხოლო უფრო საოცარი ის არის, რომ ეს ამბავი არავის ოფიციალურად არ მოუხსენებია საეპარხიო საბჭოსათვის 1894 წლამდე, და მას შემდეგ კი არ ვიცით, ამ ამბავს რა დაემართა: დაურიგეს ქართულს სამრევლო სკოლებს სომხური სახარება, თუ ეს სახარებანი ოზმა-ოზმად უწყვიათ, საცა ჯერ არს; ეს კი ვიცით, რომ 1894 წლის დამლევამდე ქართულ სამრევლო სკოლებისათვის უუწმინდაესის სინოდისაგან არ იყო ბოძებული ქართული სახარება და არც არავისაგან არ იყო განმეორებული თხოვნა, რომ საჭიროა ქართველთათვის ქართული სახარება და არა სომხური.

ეს ამბავი თუმცა არ ახალია, ძველია, მაგრამ მაინც ამბავია და ჩვენ ღონისძიება გვაქვს უტყუარის საბუთით დავამტკიცოთ. ჩვენთა კეთილისმყოფელთ რომ ეს

შეიტყონ, ბუკსა და ნაღარას დაჰკვრენ: აი, ქართველებს სახარებაც კი თავისი არა ჰქონიათ და სომხურს ენაზედ ჰლოცულობენო, და მაგალითად ამ ამბავს მოიყვანენ. განა ცოტა უცხოელნი მოსულან ჩვენში და ამისთანა მაგალითებით აუბამთ თვალი!.. ეს ამბავიც წავა და მოივლის ქვეყანას, ვინ არის პატრონი? სიტყვას ხომ ბაჟი არ ადევს ღვთისა და თქვენის წყალობითა! რა ხარჯი გაუვათ!

[1897 წ. 29 მარტამდე]

<ქართველებისა და სომხების განსხვავებული ხასიათი და ინტერესი>

ტფილისი, 5 აპრილი

ჩვენ წინა მეთაურში*) ვთქვით, რომ საბუთად ტფილისში და ერთობ ჩვენში გაბატონებისა და თავიანთის „კულტურულ“ საქციელისა სომხებს, სხვათა შორის, ისიც მოჰყავთ, რომ ჩვენ ქართველებზე მეტი მცოდნე და განათლებული კაცები გვყავსო, ჩვენ კულტურით უფრო დაწინაურებულნი ვართო, კულტურის მთესავი ამიერკავკასიაში სომეხი არისო, ჩვენ ქართველებზე მეტი ფული გვაქვს და რად უკვირთ, რომ ქართველები, რომელნიც ძილისა და „მრავალ ჟამიერის“ ძახილის მეტს არას აკეთებენ და არაფერში არ ვარგანან, პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილან და ცარიელზე სხედანო.

დასამტკიცებლად იმისა, რომ მეტი მცოდნე და განათლებული კაცები ჰყავთ, ვიდრე ქართველებს, თვლით გვეუბნებიან: აი ტფილისში ამდენი ინჟენერია სომეხი, ამდენი მკურნალი, ამდენი ადვოკატიო და გამოდის, რომ ყველა ესენი სომხებს გაცილებით მეტი ჰყოლიათ, ვიდრე ქართველებსა. კარგი და პატიოსანი! ქება და დიდება სომხებს, რომ თავისს შვილებს უსწავლელად არა სტოვებენ. ამისათვის, სწორედ უნდა ვთქვათ, სომეხი დედ-მამა არაფერსა ჰზოგავს შვილისათვის და წელებზე ფეხს იდგამს, შვილს ცოდნა რისამე მისცეს, სასწავლებელში ფეხი შეადგმევინოს.

*) იხილეთ „ივერია“ №61.

ყველაფერში ხელმოჭერილი და ყაირათიანი სომეხი აქ თავისის შვილის სიკეთისათვის ხელგაშლილია და მეტი არ იქნება ვთქვათ, რომ თითქმის გულუხვიცა. თვითონ იქნება ხმელი პურიც იკმაროს და ერთი დღეც სიხარულისა და სიამოვნებისა არ გამოიაროს და შვილის სწავლისათვის არაფერი ჰშურს: გროშს გროშზე აკოწიწებს, მარცვალს მარცვალზე სდებს, რომ შვილს სწავლისა და ცოდნის შეძენის გზა მისცეს.

სასახელოდ სომეხისა ესეც უნდა ითქვას, რომ არც შვილები ჰყავთ უმადურნი. ესენიც თავისს მხრით დედ-მამას სამაგიეროს იმით უხდიან, რომ რაც შეიძლება ბეჯითობენ, თავგამოდებით ბოლომდე გულგაუტეხელად და გულაუცრუებლად ებრძვიან სიძნელეს სწავლა-ცოდნისას, დაწყებული ბოლომდე გააქვთ. ესე ყოველი ჩვენ, ქართველებს, კი არა გვშურს, გვენატრება და სანატრელიც არის, ღვთის წინაშე. ცალკე სომხის დედ-მამის ასეთი თავდადება შვილთათვის და ცალკე სომხის შვილების ასეთი საქებური ბეჯითობა, ასეთი უკანდაუხეველი და მედგარი სვლა სწავლა-ცოდნის გზაზე საოჯახო წურთვნისა და დისციპლინის საქმეა. ამაში სომხობას და ნამეტნავად ჩვენებურ სომხობას ჩვენ, ქართველები, ჩვენდა სამწუხაროდ, წინ ვერ წაუვალთ, აქ სომხობას უნდა ვაკუთვნოთ გვირგვინი პირველობისა და უპირატესობისა. რაც მართალია, მართალია. ღმერთმა ნურავის ნუ მოუშალოს ასეთი ოჯახობა, ასეთი საოჯახო ანდერძი, ასეთი წურთვნა შვილისა სახლშივე, ოჯახშივე და ასეთი გულმოდგინე დედ-მამა, — ეს პირველდამწყები და უებრო მწურთვნელი, რომლის მაგიერობას ძნელად თუ გაუწევს ვინმე შემდეგში, რაც გინდ კარგ სასწავლებელში იყოს მიბარებული.

ქართველებს ეს უნარი არა გვაქვს. ჩვენი ოჯახი ამ დარგზე არ არის დაყენებული, ჩვენდა საუბედუროდ. ქართველი დედ-მამა ჯერ ყველაზე უწინარეს ბედოვლათია. რა მიზეზია ასეთის ხასიათის გაჩენისა ქართველებში, ამის გამორკვევა შორს წაგვიყვანს. არ იქნება საკვირველი და ვთქვათ, რომ იქნება აქ ჩვენი ისტორიაც იყოს მიზეზი. ისტორიულმა ბედმა ასეთს მდგომარეობაში დააყენა ქართველი, რომ დღეს არ

იცოდა, ხვალე მისი იქნება თუ არა. იგერიებდა ყოველდღე მტერს, ყოველ წუთს მოელოდა, რომ აი ან ეხლა ამიკლებს მტერი ან ეხლაო, სარჩო-ქონებას გადამიბუგავს, წამგლეჯს, წაიღებს და ეხლა რომ ცოცხალი ვარ, არ ვიცი, წუთის შემდეგაც ვიქნებიღა ცოცხალი თუ არაო. საკვირველიც არ არის, რომ დღითი დღიდამ, წლითი-წლობით და საუკუნიდამ საუკუნემდე ამისთანა ყოფამ ხვალის უიმედობისამ ვერ შეუჩვია ფიქრი — დღევანდელი დღე იგულვოს ხვალისათვის, დღევანდელი დაჰზოგოს მერმე გამოყენებისათვის, რადგანაც იგი „მერმე", არ იცოდა, მის ხელთ იქმნება თუ არა. ამიტომაც რაც დღეს ჰქონდა, დღესვე თავის თავს ახმარებდა, სჯობია ჩემი მევე ვირგო, ვიდრე ჩემს მტერს დარჩესო. ერს, რომელიც იმისთანა ყოფაშია, რომ ყოველ დღე და ყოველს წუთს მოელის განსაცდელი ან გაძარცულ იქმნას მტრისაგან, ან სულამოხდილი და სადმე მოკლული, და რომელსაც ეს ლოდინი განსაცდელისა მთელი საუკუნოები გამოუკლებლივ გულს უცრუებდა ყველაფერზე, საკვირველი არ არის, რომ დასჩემდა ხასიათი დღევანდელის დაუზოგველობისა, დღევანდელის დაკლებით და ხელმოჭერით ცხოვრებისა. ვისთვის და რისთვისო? ჩემით გავამდიდრო ჩემი მტერიო? მე დღეს დავიკლო, დავზოგო იმისათვის, რომ ხვალ გამარჯვებულმა მტერმა დაავლოს ხელი და სულ გახვეტოსო.

ჩვენებური სომხებიც ხომ ამ დღეში იყვნენ და რატომ იმათზე კი არ იმოქმედა ამისთანა ისტორიულმა გარემოებამაო? იკითხავენ. რაც სომხის სახელმწიფო დაეცა, სომეხი ხმლით აღარავის დასდგომია წინ, სასიკვდილოდ თავი აღარ გამოუმეტნია, ასაკლებად აღარავინ მისევია. ისინი ზოგი სად შეიხიზნენ და ზოგი სად და ყველგან იმისთანა ხელობას მოჰკიდეს ხელი, რომელიც ოდესღაც სათაკილოდ მიაჩნდათ მეომართ ერთა და როგორც უკადრისს, დაბალს, მაშინდელის აზრით, ხელობას არავინ შეეცილნენ. ეხლაა ვაჭრობა, აღებმიცემობა დიდს პატივში, თორემ მაშინ რა იყო და ვინ შეეცილებოდა. საცა ცილობა არ არის, იქ არც შიშია, არც ლოდინი თავდასხმისა, მოსევისა და სისხლის ღვრისა. გარდა ამისა, თვით იგი ხელობა, რო-

მელსაც ვაჭრობას, აღებმიცემობას ეძახიან, იმისთანა ბუნებისაა, იმისთანა თვისებისა, რომ დაუზოგველად ერთს დღესაც ვერ იჭაჭანებს ქვეყანაზე. ხელობა, რომელიც იმაზეა მარტო დამყარებული, რომ დღეს იყიდე ხვალე გასასყიდად, ხვალეზეა დამოკიდებული და ამიტომ დღეისას ზოგვა უნდა, რომ ხვალე საგზალი ჰქონდეს. აქ ხვალის იმედი რომ არ იყოს, არც დღეისი იქნება, აქ ხვალე გვირგვინია დღეისა, ვითარცა დასაწყისი დასასრულისა, ესე იგი ნაყიდის გაყიდვისა. სულ სხვაფრივ მოქმედობს იგი ხელობა, თუ ასე ითქმის, როცა კაცს დღე-მუდამ თავს ესხმიან მოსაკლავად და იძულებულია უკანასკნელ განწირულებამდე მტერი იგერიოს და თავისის ძვლებით იშენოს ზღუდე, ციხე-სიმაგრე, თავისის ცხოვრებისა კი არა, სიცოცხლისა. აქ ქონების ზოგვას, გაფრთხილებას, გროვას და ხვეჭას არც მიზეზი აქვს გაჩენისა, არც საფუძველი და სათავე, არც დრო და არც მოცალეობა.

ასეა თუ ისე, ამას, რა თქმა უნდა, ორიდე სიტყვით ძირამდე ვერავინ ამოსწურავს და საქმე კი იმაშია, რომ დღეს სომხები დაზოგვისათვის უფრო მტკიცე ხასიათისანი არიან, ვიდრე ქართველნი. სომხის ერთი დიდი თვისება ის არის, რომ იგი ბატონი და მბძანებელია გულთა-თქმისა, თვალწინ გამორკვეული საგანი აქვს ცხოვრებისა. უნდა გავმდირდეო, იძახის და ამის მისაღწევად არაფერს ერიდება, ყოველს დაბრკოლებას ებრძვის, ყოველისფერს ითმენს: შიმშილს, წყურვილს, წვიმას, თოვლს, სიცხეს, სიცივეს, ყბადაღებას, დაცინებას, ოღონდ ნათქვამი კი შეისრულოს. რაკი ერთხელ დასდო, დღეში ერთი გროში ხვალისათვის გადასდოს, დღეს მშიერი დარჩება, თუ გაუჭირდა, და მაინც გადასდებს. ესეთის მტკიცე და დადგრომილის ხასიათის კაცია და ვიღაცამა სთქვა, ისტორიას მარტო ხასიათი ჰქმნისო. იგია ბატონი თავისის წადილებისა და სურვილებისა. განა იმან კი არ იცის სიტკბოება ლხინისა, სიამოვნებისა, შექცევისა, მაგრამ მინამ ყოველს ამას მიეცემა, გაეტაცინება, ვალად ჰრაცხს ჯერ საჭირო იქონიოს, ჯერ მამასახლისობა გაუწიოს ოჯახს, ცოლ-შვილს, ჯერ სახლი, ოჯახი კარგად დააბინავოს,

შვილებს გზა მისცეს და ლხინი და სიამოვნება არსად წაუვა.

ქართველი კი ჯერ ყველაზე უწინარესს ბედოვლათობას ემსახურება. იგი ქეიფისათვის, შექცევისა და ლხინისათვის, ერთის მხოლოდ ბარაქალაობისათვის საჭიროსაც ანაცვალებს ხოლმე და ზედ წააკლავს. წადილი, სურვილი, გულთათქმანი არიან მისი ბატონები და ბძანებელნი და თვითონ იმათი ყმაა ყურმოჭრილი. ქართველს იმოდენა ხასიათი არა აქვს, რომ ლხინისა და შექცევის მაცდურობას არ დაეძლევინოს. ვაჟკაცი თავის გულთათქმას ხელში მჩვრად უხდება და ეთელვინება. ტაბლა გარედ გააქვს მაშინ, როდესაც შინ ცოლ-შვილნი უტირიან. უკაცრაოდ, ცოლ-შვილნი კი არა, მარტო შვილნი, იმიტომ რომ ბედოვლათობაში ქართველის ცოლი თუ არა სჭარბობს, არა ჰმეტობს, შველით ხომ ჰშველის და ჰშველის. ჭირს დამალვა არ უნდა. ამ უწესრიგოდ ქცევამ ოჯახშივე, ამ ფანტვა-ფლანგვამ, ამ უხასიათობამ მოგვიღო ბოლო და ამ ჭირს თვალში თვალის გაყრა უნდა და არა თვალთა ხუჭვა. მინამ დროა, გონს უნდა მოვიდეთ, ჩვენს ჭირს ჩვენვე უნდა ვუწამლოთ. ჩვენი ჭირი ჩვენს ოჯახშივეა და აქედამ უნდა დავიწყოთ ჩვენი წურთვნა, ჩვენი განკურნება იმ ბოროტისაგან, რომლის არა ერთი და ორი მაგალითი ჰშხამავს და წამლავს ჩვენს შვილს, ჩვენს მთელს მოზარდს მოდგმას: შინ, ოჯახშივე დედ-მამის დაუდევნელობა, სახლ-კარის უპატრონობა, ოჯახისათვის უზრუნველობა, ბინის გაძლიერებისათვის გაურჯელობა და მარტო საბარაქალაოდ ცხოვრება — რა კეთილს დააყრის ყოველს ამის ყოველდღე მნახველს შვილსა.

დედ-მამისაგან ოჯახშივე უნდა ჩაენერგოს შვილს სიყვარული ბეჯითობისა, გარჯისა, შრომისა კაცად გახდომის გზაზე. გულთათქმის, სურვილების დამორჩილება, მათზე გაბატონება აქავ, ოჯახში უნდა ისწავლოს შვილმა, აქავ უნდა ჰნახოს, რომ გულში ჩაინერგოს, ჩაითესლოს. შილერმა სადღაცა სთქვა, რომ გენიოსობა ადამიანისა იქნება იმაზედაც იყოს დამოკიდებულიო, როგორ იმოქმედა ბაშვზე გარე-მოწყობილობამ, როცა პირველ თვალი აახილაო. რამოდენად უფრო

ძლიერ უნდა მოქმედობდეს ბაშვზე, როცა მთელი შვიდი-რვა წელიწადი დედ-მამას შეჰყურებს და იმათს მაგალითს ჰხედავს. ჩვენი შვილი ოჯახიდამვე გატანებულ საუნჯით უნდა შევიდეს სასწავლებელში და იქ გაიფურჩქნოს, იქ გაიშალოს, იქ აყვავდეს კაცად, ჩვენდა საბედნიეროდ.

ვინ იტყვის, რომ ქართველ დედ-მამას სომეხსავით არა ჰსურდეს სწავლა-განათლება მისცეს შვილსა. გვსურს ყველას, ყველა მოწადინებულია, ყველას კარგად ესმის, რომ ეხლანდელ დროში უცოდინარი, უსწავლელი კაცი სხვის ლუკმაა, თუნდაც სპილოც იყოს, უხორთუმო სპილოა, თუნდ ლომიც იყოს, უბრჭყალო ლომია. თუ აქ განსხვავებაა რაშიმე ქართველთა და სომეხთა შორის, მარტო ის, რომ სომეხი დედ-მამა შვილის სწავლა-ცოდნისათვის თვითონ იღწვის, თვითონ იკლებს და შვილს კი უგროვებს სწავლის სახსარს, სხვის იმედზე, სხვის ანაბარად შვილს არა სტოვებს. მუქთად გაზდას მისას არავისაგან არ მოელის და სულ იმის ცდაშია, რომ ერთი გროში აქვს თუ ორი გროში, აქედამ შვილის სწავლისათვის და გადასდოს რამ, თუნდ ამით თვითონ ცარიელს პურზედ დარჩეს. ეს სიკეთე, მართალია, ზოგიერთს სომეხსაც გულიდამ ამოღებული აქვს, მაგრამ საერთოდ, დიდად მეტ ნაწილს კი თითქმის საოჯახო ანდერძად მიუჩნევია. ამის გამო, შეიძლება ითქვას, რომ საქებური სიკეთე, ეს დიდი მადლი ოჯახისა, საერთო კუთვნილებაა სომხობისა, მათდა სასახელოდ. დავცინით სომხებს, ძუნწები არიანო. ძუნწები არიან ტყუილ-უბრალო ფანტვა-ფლანგვისათვის, ძუნწები არიან ბედოვლათობისათვის. რა არის აქ ცუდი? აბა ახლა ჰნახეთ, რაკი სომეხი ქონს მოიცხობს, გამდიდრდება, რამოდენად გულუხვია თავისის ერისათვის, თავისის ერის სწავლა-განათლებისათვის. ისე არ მოკვდება, რომ კარგა ზორბად ფული ან ქონება რამე არ შესწიროს თავისის ერის საზოგადო საჭიროებისათვის, სომეხთა შვილთა სწავლა-ცოდნისათვის საერთოდ. აქ არამც თუ მზრუნველობა და ნაღველი სჩანს თავისის საკუთარის შვილისათვის, სჩანს სხვათა შვილთათვისაც ფიქრი და ნაღველი გულიდამ, ცოცხალია თუ მკვდარი, მოშორებული არა ჰქონია, სხვა სომხის შვილისათვისაც ის წყურვილი ჰქონია, რაც თავისის საკუთარისათვის და თავისის ნაჭირნახულევის ნამეტანობისაგან ხელს უმართავს. რას იტყვით? განა ცოდვაა, რომ კაცმა ამისთანა მადლისათვის იძუნწოს, თვითონ იკლოს და თავისის ერისათვის ასე სასახელოდ იმეტოს!

ქართველი და ქართვლის დედ-მამა სულ სხვაა. აქაც, რასაკვირველია, ყველაზე არ ვლაპარაკობთ, აქაც არიან შვილებისათვის ერთგულნი მომჭირნენი, ხოლო გაცილებით ბევრი კი ისე თავდაუჭერელია, ისე უწესურიგოა, რომ არც გარჯა და შრომა მიაჩნია ერთადერთ სათავედ ქონების შეძინებისა, არც ბედოვლათობისათვის გადაურჩენია რა, რომ საკუთარს შვილს მოახმაროს, თვითონ მოუმზადოს სახსარი სწავლა-განათლებისათვის და სხვას არ მიაყენოს კარზე, — გამიზარდეო, ან უილაჯობით გაუზრდელი არ დაურჩეს.

რა თქმა უნდა, ჩვენებურს სომეხს უადვილდება შვილის გაზდა და კარგა ნაკლებადაც უნდა უჯდებოდეს, რადგანაც სომეხი უფრო ქალაქად სცხოვრებს, საცა სასწავლებელიც ბევრი იშოვება, მასწავლებელიც და საცა სომხის შვილს ბინა თვისის დედ-მამის სახლშივე აქვს. ქართველი კი უფრო სოფლად არის, საცა არც სასწავლებელია, არც მასწავლებელია და იმისათვის ქალაქში გამოგზავნა შვილისა, აქ მიბარება და შენახვა დიდს ხარჯსა ჰთხოულობს. ეს ხომ ესეა, მაგრამ უფრო დიდი მიზეზი ჩვენი დაუდევრობაა, ჩვენი ბედოვლათობაა, უხასიათობა. საერთოდ ისე გამოდის, თითქო სიყვარული ბედოვლათობისა ჩვენში სძლევს სიყვარულს შვილისას და დღევანდელი კვერცხი გვირჩევნია ხვალინდელ ქათამსა.

რა გამოდის ამ განსხვავებისაგან და ბოლოს ძირს რა ჰრჩება ან ქართველისათვის, ან სომხისათვის, ამაზე მერე მოვილაპარაკებთ.

[1897 წ.]



<ბ-ნ გ. წერეთლის წერილის გამო>

ტფილისი, 16 აპრილი

ჩვენ მოგვივიდა თითო-ოროლა წერილი ლანძღვისა და გინებისა იმის გამო, რომ ქართველ-სომხის საქმეზე ჩვენი აზრი გამოვთქვით. სიტყვა-პასუხი ამ წერილებისა ისეთი უშვერი და უწმაწურია, რომ დაბახანა დაგავიწყდებათ. ეს უწმაწურობა ცხადად გვანიშნებს, საიდამ მოჰქრის ეს საზიზღარი ქარი და ვისი უნარია. ეს ორიოდე წერილი, რა თქმა უნდა, ხელმოუწერელია და უსახელო. თითქო თვითონვე დამწერთ უგრძვნიათ მთელი ურცხვობა თავისის სიტყვა-პასუხისა და სირცხვილით თავი ვერ გამოუჩენიათ, სახელისა და გვარის გამომჟღავნება უთაკილნიათ. ესეც დიდი საქმეა დაბახანის აკადემიაში გაზრდილთათვის, სჩანს, გრძნობა სირცხვილისა ცოტაოდნად მაინც კიდევ შერჩენიათ და ყელთამდე არ ჩაფლულან იმ ლაფში, საიდამაც იწევენ და ვერ ამოსულან.

ხოლო არ ვიცით, რა ვთქვათ იმისთანა კაცზე, რომელსაც ეს მცირეოდენი თავაზაც არა ჰქონია თავისის თავისა და პირდაპირ საქვეყნოდ ლანძღვა-თრევით აპირობს მოედნიდამ ბურთის გატანას და ამასთან თავისს სახელს არა ჰმალავს. მართალია, სახელის არმალვა ამ შემთხვევაში ვაჟკაცობასაც მიეწერება, მაგრამ ვაჟკაცობას ურცხვობისას, უწმაწურობისას, სიტყვამრუშობისას, ისევ სირცხვილეული ლაჩრობა სჯობია ამისთანა ვაჟკაცობასა.

ამ უსახელო წერილთა შორის, რომლის ავტორებს თავისი საქციელი თვითვე შერცხვენიათ და ამიტომ სახელები დაუმალავთ, მარტო ერთი წერილია ხელმოწერილი და ამასთან „კვალში“ დაბეჭდილი, თუმცა სხვა უსახელო წერილებზე არა ნაკლებ სამარცხვინოა ყოველ ავტორისათვის, ვისაც კი გემო მართებულობისა და ზრდილობისა დაკარგული არა აქვს. ეს წერილი გახლავთ ბ-ნ გ. წერეთლისა, ზნემაღალ „კვალის“ ბაირაღტარისა. ყოველი მზგავსი მზგავსა ჰშობსო, ნათქვამია. მოგვილოცნია ბ-ნ გ. წერეთლისათვის, რომ შემდეგ ამდენის ტოკვისა, აქედ-იქით ტრიალისა და ოთხზე ცოცვისა ძლივს მიაგნო სამშვიდობო ნავთსადგურს დაბახანაში და იქ დააბა თავისი წაჯექ-უკუჯექობის ნავ-ხომალდი. ყოველი მზგავსი მზგავსისაკენ მიიზიდება და საკვირველი არ არის, რომ ბ-ნ გ. წერეთელი ზურგის ქარმა აქ მიიტანა და თავისის ჯურის და გუნების თანამოღვაწენი აქ აპოვნინა, რაკი სხვაგან და სხვებთან საძუე შემოაწყდა. ეხლა, უეჭველია, ეს მესამე დასის შემქმნელი ჯამბაზი მეოთხე დასს შეადგენს და ახალ „კულტურის“ დროშას წინ გაუძღვება ჩვენდა სასახელოდ. დიდი ხანი არ გაივლის, რომ დოინჯსაც შემოიყრის, ქუდსაც ჩაიკეცავს, ჩითმერდინსაც ყელზე დოშლუღად გადიგდებს და დაფაზურნით შუა ბაზარში ჩაივლის, ღმერთანი, ცოტანი მისძახებენ სიხარულით: „აღა ბაღში მიბძანდება, მიხედ-მოხედვის ჭირიმე!“, მითამ არ მოუხდება თუ?

ჩვენ არ გვიკვირს, რომ ბ-ნი გ. წერეთელი შიგ ჩარევია სახელიანად ხსენებულ უსახელო ავტორებს. ერთი დიდი ღირსება ბ-ნ წერეთლისა ის არის, რომ თავის დღეში არ უღალატნია თავისის ზნე-ჩვეულებისათვის: ვისიც ერდო მაღალია, ის იმისი მაყარია. ეხლანდელ დროში, როცა „ჰუმანობა“ და ერთობ კაცური კაცობა სულელობაა, ამისთანაების ალღოს აღება დიდი უნარია მეძებარისათვის და რა კურდღელს დაიჭერს, ამას ხომ დრო გამოაჩენს.

ჩვენ ყოველს ამას თავს არ გავუყადრებდით და ყურსაც არ ვათხოვებდით არც უსახელო ავტორებს და არც სახელოვანს ბაირაღტარს „კვალისას“, რომ ძმობისა და სიყვარულის სახელით ეს ჩვენი ბრძენთა-ბრძენი ბ-ნ წერეთელი არ გამოდიოდეს მოედანზე. ჩვენც ვიცით, რომ ძმობა სჯობია მტრობასა, სიყვარული სიძულვილსა. ბ-ნ გ. წერეთელს ეს ჩვენზე უკედ

სცოდნია, ხოლო ერთი რამ გამოჰპარვია გონებიდამ, სახელდობრ ისა, რომ ძმობა, სიყვარული, როგორც ყოველივე სხვა მადლი, სესხი და ვალიც არის ერთსა და იმავე დროს, თუ შენი ძმობა მე მმართებს, ჩემიც უნდა შენ გემართოს, თორემ ძმობა და სიყვარული მარტო ჩემი ვალი იყოს შენი კი — სესხი, ეგ სადაური სამართალი იქნება.

სწორედ ამისთანა სამართალით მოგვდგომია ჩვენი ბ-ნი გ. წერეთელი ჩვენ ქართველებს და და ლამის რისხვამან მისმან გაგვიტანოს ჩვენ და ამ ტყუილ რისხვის ბუკმა და ნაღარამ ლამის ყური გამოგვიყრუოს. ისე გამოდის ბ-ნ გ. წერეთლის სიტყვით, რომ ძმად ყოფნა მარტო ჩვენი ვალია და სხვისა სესხი. მართალია, ქართველისათვის ვალი ახალი ამბავი არ არის, შეჩვეული ჭირია და არც სომხისათვის სესხია ახალი ამბავი და შეჩვეული ლხინია, მაგრამ ჭირი შენ და ლხინი მეო — ეს ხომ შორს არის ძმობაზე. თუ ძმობა გინდა, შენცა ჰზიდე ტვირთი ძმობისა ჩვენდა საკეთილოდ და მარტო მე ნუ მკიდებ შენდა სასარგებლოდ. გვეტყვიან, ეგ რაღა ქრისტიანობაა, სამაგიეროს თხოულობო. სამაგიეროს კი არ ვთხოულობთ, გვინდა, რომ შენც ქრისტიანე იყო, რაკი ქრისტიანობა ძმობაა და ურთიერთის სიყვარული.

იქნება ბ-ნი გ. წერეთელი, ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანე, გვასწავლის, რომ ერთს ყბაში რომ ლაწანი გაგაყრევინონ, მეორეც მიუშვირეო. მაგრამ აქედამ ის სულაც არ გამოდის, რომ ქვეყანაზე ერთი სცემდეს ძმურად და მეორე ყბებს უშვერდეს ყმურად, ანუ ვინც დაასწროს, სილა გაუშალოს და ვინც არა, ყბა მიუშვიროს ძმობითა და სიყვარულით. ნურავის ნუ ავიწყდება, რომ ქრისტე-ღმერთი სდევნიდა მცემელს და ამხნევებდა ცემულს. აი ნამდვილი ქრისტიანული ძმობა და სიყვარული ადამიანისა სად არის! ყველა რომ ისე მშვიდი იყოს გულითა და მზად იყოს ყბის მისაშვერად, მცემელიც აღარ იქნება. აი ღრმა აზრი იგავად თქმულ მოძღვრებისა რაშია! მშვიდ იყავით გულითა ყოველნიო, აი რას გვასწავლის ქრისტე და არა იმას, რომ ორად გაიყოს ქვეყანა, ერთნი სცემდნენ და მეორენი ითმენდნენ და მცემელნივე ჰყვიროდნენ: ძმობა უნდა და სიყვარულიო, და ამ ყვირილს მოძახილს ეუბნებოდეს ჩვენი ბ-ნ გ. წერეთელი თავისის სირინოზის ხმითა.

დასასრულ, ერთი რამ გვინდა ვკითხოთ ბრძენთა ბრძენს ბ-ნს გ. წერეთელს: თუ მართლა ძმობითა და სიყვარულით აღტკინებულია, თუ ღაღადი ძმობა-სიყვარულისა მართლის გულითა არის და არა ქარისაგან მობერილი აქვს, და როგორც ქარის შემოტანილს თავისს დროზე ქარსვე არ გაატანს, ეს როგორ მოხდა, რომ მეგრელები საიდღამაც მოთრეულად გვიხსენია და ვიღაც „ხეჩა-გოგიებთან“ ერთად ერთს მოსახრაკავ ტაფაში მოგვიმწყვდია. თუ ძმობა და სიყვარულია, მეგრელები უფრო ჩვენი სისხლ-ხორცნი ძმები არ არიან, ჩვენთან ერთად ყოფილნი ჭირსა და ლხინში, ჩვენთან ერთად წამებულნი და სისხლის მღვრელნი, ჩვენთან ერთად ძლეულნი და გამარჯვებულნი! ამათ ეუბნება: თქვენ ქართველებთან რა ხელი გაქვთ, წადით, გაგვეცალენითო, საიდამაც მოთრეულხართო, და აქ კი ძმობას და სიყვარულს გვიქადაგებს!.. შინ რომ ცოლშვილი გიტიროდეს, გარედ ტაბლას რა ხელი აქვსო, სწორედ ეს არის. შინ ძმებსა გვყრის ერთმანეთისაგან, ძმას ძმად არა ჰხადის, ერთს სისხლ-ხორცს ძმათ იძულებს და გვაძულებს, აქ კი ძმობასა და სიყვარულს ჰქადაგებს! მოდით და დაიჯერეთ გულწრფელობა ამისთანა მქადაგებელისა! ვისთვისაც ჰფენს ამისთანა ტყუილს ვარდებს, ისინი არც ისეთი სულელები არიან, რომ ბ-ნ გ. წერეთლის მახეში აგრე ადვილად გაებნენ.

[1897 წ.]



პატარა საუბარი

წაიკითხავდით „კავკასში“ ერთს ამბავს, რომელიც ერთსა და იმავე დროს სასაცილოც არის, როგორც ფეხმოკლე ოსტატობა, და სამწუხაროც, როგორც მაგალითი დღევანდელის დღის გულის ცემისა. ერთს მანდილოსანს უყიდნია ბაყლისაგან სატაცური. ბაყალს, ნასყიდ სატაცურის მაგიერ, სხვა მდარე სატაცური ჩაუპარებია ქაღალდის პარკში. ქალს ეს დაუნახავს და საყვედური უთქვამს. ბაყალს რაღაც აურზაური დაუწყია და უმართებულად მოჰყოლია როტვას. ქალსა სწყენია და სახელი და გვარი უკითხავს. ბაყალს სახელისა და გვარის მაგიერ უთქვამს, ეს დუქანი თ. მუხრანსკისა არისო. ბაყალი და თ. მუხრანსკი, რა თქმა უნდა, ვერაფრად დასაჯერია და ქალი, რაკი ვერაფერს გამხდარა, იქავ გვერდით დუქანში შესულა და უკითხავს სახელი და გვარი ბაყლისა. აბა ძმა ძმის ძვალს რად გასტეხდა, და იმასაც აუღია და უთქვამს რაღაც გძელი გვარი, რომლის ბოლოც "ძე" ყოფილა. ბოლოს ქალს უხმია პოლიციელი და მხოლოდ იმის შემწეობით შეუტყვია, რომ სატაცურის გამყიდავი ბაყალი „ხითაროვი“ ყოფილა და არა ვიღაცა „ძე“.

რომ მედუქნეს სდომებია მუშტრის მოტყუება — ეს ახალი ამბავი არ არის არავისათვის, მაშ რის მედუქნეა, თუ არ მოატყუებს! იქნება ვაჭრობა და მოტყუება და-ძმანი არიან, ეხლანდელს „კულტურას“ თუ დავეკითხებით, თუ „ჰუმანობა“ და სხვა ამისთანა ლათაიები სულელობაა, როგორც აქაურნი კულტურის მოძღვარნი გვიქადაგებენ, ნამუსი რაღა წითელი კოჭი ბძანდება, რომ ზემო თაროზე დავაბძანოთ.

არც ის არის საკვირველი, რომ ძმამ ძმის ძვალი არ გატეხა. ესეც ახალმოდურ კულტურის უნარია, რომელიც ჰღაღადებს, ძმა-ძმასთვისა და ავკაცობის დღისთვისაო. ყველაფერი ეს სესხი და ვალია, დღეს ამას უჭირს, ხვალ იმას გაუჭირდება და ხელი ხელს დაჰბანს და ორნივე კარგად იქნებიან. ამისთანა „კულტურა“ თავისებური ქვითკირია, ერთს მეორეზე მაგრად გადააბამს ხოლმე.

არც ის არის ახალი ამბავი, რომ ჭკვიანმა „ხითაროვმა“ სახელგასატეხი საქმე ჩაიდინა და ქართველის სახელი კი დაირქვა, ან მოძმემ დაარქვა, როცა ავკაცობაზე დაიჭირეს. მართალია, ფეხმოკლე ჭკვიანობა კი მოუვიდათ, რადგანაც თაღლითობა იქავ გამომჟღავნდა, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია და ხომ შეეცადნენ. საქმე ცდა არის, რომელიც, სწორედ უნდა მოგახსენოთ, მხნეობის ნიშანია. არა ჰგვანებია უხეირო ქართველს, რომელიც მოჰყოლია და იძახის: ვინც ორ კურდღელს გამოუდგება, ერთსაც ვერ დაიჭერსო.

მერე აქ სატაცურის ამბავში ორი კურდღელი სად იყოვო, იკითხავთ. სატაცურის ამბავში მარტო სატაცურია, ხოლო სახელისა და გვარის თაღლითობაში სწორედ ორი კურდღელია, ერთი ისა, რომ ამისთანა თაღლითობით თვითონ თავს დაიძვრენს პასუხისგებისაგან და მეორე ისა, რომ საყვარელს ძმა-ქართველს სახელს გაუტეხს. პირველი საკუთარის თავის ანგარიშია და მეორე პოლიტიკის საქმეა. დიღ, პოლიტიკისა და, თუ გნებავთ, პოლიტიკა აი სწორედ ეს არის. მოდით და ამას იქით სთქვით, რომ პროპაგანდა „კულტურისა“ ჩვენში არა ჰდუღს და არ გადმოდისო!. ბაყლებამდინაც კი ჩაუწვეთნია და მეტი რაღა გნებავთ!..

X X X

ამ სატაცურის ამბავმა ერთი ძველი ამბავიც გაგვახსენა სხვათა მრავალთა შორის. უკანასკნელ რუსთ-ოსმალთა ომების დროს აქ, ჩვენში, ერთი კორრესპონდენტი საფრანგეთის გაზეთის „Temps“-ის მოვიდა. იგი ბევრს რასმეს მოგვითხრობს თავისს კორრესპონდენ-

ციებში და, რა თქმა უნდა, სომხებს აქებ-ადიდებს და ქართველებს მჩვარში ჰხვევს. მერმისი კავკასიაში სომხობისა არისო, ქართველების საქმე კი წასულია ხელაღებითაო. ქართველი ანდერძაგებული ერია, მარტო ჩარვადრობა და მეურმეობაღა შერჩენიათო და სხვანი და სხვანი. ორიოდე დღე ყოფილა იგი ტფილისში და ასე ღრმად გაუცვნია აქაურობა. არც საკვირველია. იგი გულახდილად სწერს ხსენებულ გაზეთში, სად და როგორ დახვდნენ სომხები და სად როგორ აქეიფებდნენ. კაი დრო გაუტარებინებიათ, სხვათა შორის გვიამბობს, რომ შინდისში რაღაც დღეობა ყოფილა და იქ მიუწვევიათ სომხებს. რა თქმა უნდა, ქალი და ვაჟი დღეობაში ბევრი იქნებოდა. ხოლო ერთს რასმეს ძლიერ გაუკვირვებია კორრესპონდენტი: ვინც კი ქალი შეხვედრია, სულ უშველებელ ცხვირიანები ყოფილან, უკითხავს, ეს რა მილეთის ქალებიაო, და უთქვამთ, სულ ქართველები არიან ეგ დიდცხვირიანებიო. აქედამ ცნობისმოყვარე ფრანგს დაუსკვნია, რომ ქებული სილამაზე ქართველებისა ტყუილი ზღაპარიაო.

ბევრი კიდევ ამისთანა „კულტურული“ მაგალითებია და იქნება ოდესმე მზეზე გამოვფინოთ. ეხლა კი ეს სატაცურისა და შინდისის ამბავიც საკმაოა გვანიშნოს, სადამდე აღვირაშვებულია კადნიერება და სითამამე არარაობისა, რომელიც თავისი რომ არა გააჩნია რა, ჰცდილობს ამისთანა სასაცილო და სამასხარაო ოინებით ფონს გავიდეს. მეტი სიყვარული და ძმობაღა გინდათ: განა ჩვენი გეურქა-აღა ბ-ნი წერეთელი ალალბედად ჰროტავს, რომ „ხითაროვი“ და ყველა ამისთანა კეთილის მდგომი ქართველებისა უნდა ვიძმოთო! მართლა და, უკეთესს ძმას იშოვიღა სადმე! ღმერთმანი სახელს არ შეგინახავენ შეუმწიკვლელად და პატივს! ღმერთმანი, არ დაგზოგავთ, არ გაგიფრთხილდებათ თქვენს ქვეყანაში ჩარვადრობა და მეურმეობა თქენთვის დაუთმიათ, თქვენთვის ურგენიათ უცილობლად სართდაუდებლად და მეტი სულგრძელობაღა გინდათ! დიდი ცხვირები ხომ მათი კეთილშეძინებულია და საძმო არ არის, ესეც კი აუღიათ და სულ მთლად თქვენთვის უწყალობებიათ და მეტი ძმური გულუხვობაღა გინდათ! ძმობა არ არის, მაშ რა ციებ-ცხელებაა! უმადურობაც

ამასა ჰქვიან, თუ თქვენ იტყვით ბ-ნო გ. წერეთელო! ან რა ჭკუა დაგიშლით, რომ ეს არა სთქვათ: აქ ერდო მაღალია!

[1897 წ. 16 აპრილამდე]

<სწავლა-ცოდნა, როგორც მხოლოდ ფულის ხვეჭის საგანი>

ტფილისი, 19 აპრილი

ჩვენ ამას წინად მეთაურს წერილში*) ვთქვით, რომ სომეხი შვილისათვის თავდადებულია და ცდილობს იმის სწავლა-ცოდნას, შვილიც მცდელი და ბეჯითი ჰყავს, ქართველი კი იმდენად არა ჰზრუნავს შვილისათვის, შვილიც თავდაუდებელია და არა ბეჯითობს. ყოველივე ეს მივაწერეთ სომხის ოჯახის წესრიგიანობას და ქართველის ოჯახურ ურიგობას, უწესოებას. რა გამოდის ან სომხის ამისთანა სიკეთისაგან, ან ქართველის ამისთანა ბოროტისაგან? აი საკითხი, რომლის განსჯა და გამორკვევა დღეს საგნად აგვიღია.

როცა გვეუბნებიან, სომხებს ქართველებზე უფრო მეტი ინჟენერები ჰყავთ, უფრო მეტი მკურნალები და ადვოკატებიო, პასუხი ჩვენის საკითხისა აქ უნდა ვეძიოთ, ნასკვი აქედამ უნდა გამოვხსნათ. აშკარაა, ნაყოფი სომხის სიკეთისა ამ ინჟენერების, მკურნალების და ადვოკატების მეტობაშია. მერე რა გამოდის აქედამ? ნუთუ კაცური კაცობა, განათლება და ერთობ ადამიანობა მარტო ამ სამს ხელობაშია და სხვაში არსად? ამისთანა უმეცრებას ვერ შევწამებთ "კულტურის" თავმოწონებულ მოძღვრებს კავკასიაში, ნამეტნავად დღეს, როცა გრძნობა საკუთარის ეროვნების ღირსებისა იმოდენად გაუსიებიათ, გაუზვიადებიათ, რომ ჩვენზე ან კარგი სთქვით, ან სულ ნურას იტყვითო. დრონი მეფობენო, ნათქვამია. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, — ეს რა დრო გაგვიმეფდა ასე ძლევამოსილად, რომ სხვას კი ქმნაც შეეძლოს და ჩვენ ქართველებს კი თქმაც არა.

ასეა თუ ისე, უფროს ერთი სომხის საოჯახო სიკეთეს სჩანს მარტო ის ნაყოფი გამოუღია, რომ ინჟენერები, მკურნალები და ადვოკატები ჰყოლიათ. ინჟენერობასა, მკურნალობასა და ადვოკატობაში რომ მეტი სომეხი იყოს, საკვირველიც არ არის: ყველა ეს სამი ხელობა ერთად და თვითეული ცალკე ფულის საშოვი ხელობაა და ადვილად მისახვედრია, აქ სომხები სხვაზე მეტნი რად არიან. ისიც ადვილად ასახსნელია, რომ თავმოსაწონებლად მარტო ამისთანა თავისუფალ ხელობის კაცებს გვიგდებენ ანგარიშში, თითქო სათვალავში სხვა არავინ ჩასაგდები არ არის და თავმოსაწონებელი ადამიანობა მარტო ინჟენერობასა, მკურნალობასა და ადვოკატობაში იყოს. რაკი ესეა, ჩვენც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბევრი წილი სომეხი სწავლა-ცოდნაშიაც მარტო იმას ეძიებს, რაც მის განსაკუთრებულს ძარღვს ცხოვრებისას შეადგენს და რითაც — არავისათვის დაფარული არ არის — უფროს ერთი სომეხი ყველასაგან ცნობილია და გათქმული. რაკი მარტო ამ სამის ხელობით მოაქვთ თავი და უპირატესობას ამით ჰჩემულობენ, სჩანს სწავლა-ცოდნასაც მარტო აღებმიცემობის თვალით უყურებენ, აღებმიცემობის სახსრად ჰხადიან, მარტო მაგნაირ ცოდნისათვის ბეჯითობენ და აბეჯითებენ შვილსა და ამას იქით აღარ მიდიან.

შესცდათ თუ არა, რომ მარტო ამისთანა ხელობის კაცებით თავს იწონებენ აქაური სომეხთ რუსული გაზეთები, ეგ არ ვიცით, ხოლო შეცდომაც კი აქ საგულისხმიეროა, როგორც უნებლიეთი გამომეტყველი გულისნადებისა. სხვაგვარ სწავლა-ცოდნისათვისაც რომ გული უთქმიდეთ, სხვაგვარი სწავლა-ცოდნაც თავმოსაწონებლად, სასიქადულოდ და სანატრელად მიაჩნდეთ, სხვა ჯურის მცოდნეთაც ჩამოგვითვლიდნენ. სჩანს, ან სხვაგვარი სწავლა-ცოდნა არაფრის მაქნისად მიაჩნიათ, ან ამისთანაებში ცოტაოდნად ფეხმოკლენი არიან, თორემ აქამდე კვეხნით გაგვათავებდნენ.

*) იხილეთ „ივერია" №67.

ნურავინ გვიწყენს და თუნდაც გვიწყინონ კიდეც, დიდი არაფერია, — და ჩვენ კი ვიტყვით, რომ თუმცა მაგ სამგვარ ხელობაშიაც არიან პატიოსანი და რიგიანი კაცები, მაგრამ თუ, მაგალითებრ, სადმე თავზეხელაღებული კაცია და ცხოვრების საგნად მარტო ხვეჭა ფულისა გაუხდია, ის — ქართველი იქნება თუ სომეხი — ისე ადვილად, უტკივარად, უხნავ-უთესველად არაფრით მოჰხვეჭს ფულსა, როგორც ინჟენერობითა, მკურნალობითა და ადვოკატობითა. ისე უშიშრად, პასუხუგებლად ყინულზე ვერავინ გააცურებს ადამიანს, როგორც ინჟენერი, მკურნალი და ადვოკატი, — რა მილეთისაც გინდ იყოს, — თუკი ერთად ნამუსს დააძინებს მკვდრისა ძილითა და თავისის ცხოვრების ანდერძად ამას დაიდებს: „ოფლითა მოყვასისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა“.

მართალია ინჟენერობა, მკურნალობა, ადვოკატობა ცოდნას მოასწავებს, მაგრამ ბევრს არას გვეუბნება იმ ადამიანურ ძალ-ღონისას, რომელსაც განათლება ჰქვიან და ურომლისოდ ყოველივე ცოდნა ქვეყნისათვის ბევრი არაფერია. ცოდნა ცოდვა-მადლიანი საქმეა, ორპირი მახვილია. ჯოჯოხეთის მანქანის მომგონიც მცოდნე კაცი იყო. მარტო ზნეწამხდარს მცოდნეს შეუძლიან დინამიტი, — კაცთა საშველად აღმოჩენილი, — კაცთა საჟლეტად მოიხმაროს. რის უნარია, რომ ღვინო, — ეს კაცთა მარგებელი სასმელი, თუ ზომიერად ხმარებულია, — თითქმის საწამლავად გადაექცა ქვეყანას და ზოგიერთი ხორაგი — შხამად სხვადასხვა ქიმიურ შეზავებით, — თუ არ ფულის სახვეჭად მიმართულ ცოდნისა?.. ყალბის ფულის კეთება ქაღალდისა თუ ოქრო-ვერცხლისა — მარტო მცოდნე კაცს შეუძლიან. ბევრი ქიმიკოსი ყოფილა ქვეყანაზე, რომ თავისი სწვალა-ცოდნა საწამლავების კეთებაში დაულევია ფულის ხვეჭის სიხარბითა. განა სისხლის სამართალი ევროპისა ცოტა მაგალითებს გვიჩვენებს, რომ მცოდნე მკურნალს განგებ გაუსტუმრებია ჭკვათაყოფილი საგიჟეთში ან სნეული — საიქიოს, რადგანაც მემკვიდრეთაგან დახარბებული ყოფილა ფულითა. რამდენი რამ ჩამოვთვალოთ იმის დასამტკიცებლად, რომ ცოდნას

დიდ მადლთან დიდი ცოდვაც შეუძლიან, ოღონდ კაცმა ნამუსზე ხელი აიღოს.

ცოდნა რომ ბოროტადაც გამოსაყენებელი არ იყოს, ჩვენა გვგონია, კარგა დიდი წილი ავაკცობისა აღარ ააშფოთებდა მშვიდობას ქვეყნისას და კაცთა ცხოვრებისას.

ხარბი და სახვეჭი ცოდნა ხარბს და სახვეჭ ფულზე უფრო უწყალოა, უფრო დაუნდობელი, უფრო მოსარიდებელი, იმიტომ რომ სავნებელად უფრო გაწურთნულია, უფრო ძლიერი და ხერხიანია. ცოდნა არანაკლებ ხარბს ფულზე თავისს ღალას იღებს ქვეყნისაგან, თავისს ბეგარას ახდევინებს, თუ წინ არ უძღვის განათლებული გული, რომელიც მარტოა შემძლებელი ცოდნა მადლად აქციოს. ეხლა ქვეყნის უბედურებას მარტო ხარბ ფულის ძალმომრეობას აბრალებენ, ფული ყველგან მარტო თავისის თავისაკენ ითლისო და მოჭირნახულეს მარტო იმდენს უწილადებს, რომ შიმშილით არ მოკვდეს, სიცოცხლის ილაჯი ჰქონდესო. დრო მოვა და ყოვლადშემძლებელ ცოდნასაც ამ თვალით შეხედვენ, როცა საეკონომიო მოედანზე მარტო ფულის სახვეჭად ფეხს მოიკიდებს დღევანდელ ფულისამებრ, და ამასთან თუ „ჰუმანობა“, კაცთმოყვარეობა, ადამიანობა მართლა სულელობად გადაექცევა კაცობრიობას, როგორც აქაური მოძღვრები „კულტურისა“ გვიქადიან თავმოწონებით.

ჩვენ ყოველ ამითი იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ცოდნა მეტი ბარგი იყოს ვისთვისმე და ამიტომ ქვას ვესროდეთ. მთელი დიდება კაცობრიობისა ცოდნის საქმეა, მთელი იგი სიკეთე, რომლითაც სამართლიანად თავი მოსწონს კაცობრიობას, ნაღვაწევია ცოდნისა, რომელიც ადამიანსა ჰშველის მთელი უტყვი ბუნება თვისდა საბედნიეროდ დაიმორჩილოს და იმსახუროს ხორცისათვის და იძიოს და გამოსახოს სხივოსანი სახე ჭეშმარიტებისა, მშვენიერებისა და სათნოებისა სულისათვის, ესე იგი სრულჰქმნას ადამიანი სულითა და ხორცითა. აი იდეალი განათლებულ ცოდნისა და მთელის ეგრედწოდებულ პროგრესისა.

ყოველივე ის სიკეთე და სიდიადე ცოდნისა გვწამს და ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ გულგაუნათლე-

ბელი, მარტო სახვეჭავად მიმართული ცოდნა უფრო მოსარიდებელია, ვიდრე სანატრელი, თუ თავში გაიწია, პირიდამ ლაგამი ნამუსისა წამოიყარა და განათლებულმა გულმა სადავე არ აუკრიბა. ცოდნა დაუფასებელი მადლია მხოლოდ მართლა განათლებულ კაცის ხელში. მართალია, განათლება უცოდნელად ძნელად საგულვებელია, მაგრამ მარტო ცოდნა განათლება არ არის. ცოდნა მარტო ჭკუა-გონების თვალის ახილებაა და განათლება კი მასთან ერთად გულისაც, რომელიც სათნოების სადგურია. ცოდნა თუ ცხოვრების გზას გვინათებს, სათნოება გვითბობს. განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბოს და ისე არ ათბოს, რომ არ ანათოს.

აბა ამ საწყაოთი მივიწყოთ აქაური ინჟენერობა, მკურნალობა და ადვოკატობა — ქართველისა იქნება თუ სომხებისა და მაშინ გამოჩნდება, რა დიდი ხვავი დადგება. ეს შემდეგისათვის იყოს.

[1897 წ.]



<უსიცოცხლო ცოდნა ხვედრია უნიჭობისა>

ტფილისი, 24 აპრილი

ცარიელი ინჟენერობა, მკურნალობა და ადვოკატობა*) იმას არ მოასწავებს, რომ კაცი განათლებულია, კაცური კაცია, ერის სულიერ ძალ-ღონის მანიშნებელია და ერთობ ბურჯია, რომელზედაც შესაძლოა ერმა თავისი ნატვრა პირველობისა და უპირატესობისა დაამყაროს. აქ, გარდა დიპლომისა, სხვა საფანელიც უნდა, და ვისაც ეს საფანელი ან არა აქვს, ან არაფრად მიაჩნია, იმან რაც გინდ კუისავით ფეხი გამოჰყოს და ხმამაღლა დღე ყოველ იყვიროს „მეც ნახირ-ნახირო“, სასაცილოდ აგდების მეტს ვერას მოიხვეჭს რა სხვათა ერთა შორის. ერი, რომელიც პირველობას და უპირატესობას სჩემობს ათიოდ, ისიც ჩვენებურ, ინჟენერებით, მკურნალებით და ადვოკატებით, მარტო თავისს თავს ატყუებს და სხვას არავის. სხვას ამისთანა ამბავი სიცილადაც არა ჰყოფნის. ამისთანა ამბავი უფრო ფუქსავატობის ნიშანია, ვიდრე ჭკუა დაჯდომილობისა.

გვეტყვიან: ინჟინერობა, მკურნალობა და ზოგჯერ ადვოკატობაც იმას ხომ მოასწავებს, რომ კაცს უმაღლესი სასწავლებელი გამოუვლია და ცოდნა მიუღია. ეს მართალია. ამის წინააღმდეგ ვერას ვიტყვით. უმაღლესს სასწავლებელში ყოფილს და იქ ცოდნამიღებულს თავისი ფასი აქვს და უარარაობას მაინც ესა სჯობია. მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც. ერთნაირი ცოდნაა,

*) იხილეთ „ივერია“ №75.

რომლის სამზღვრები от селе до селе —ა და კაცი მარტო ამ სამზღვრებში მოიმწყვდევს ხოლმე თავსა და ამას იქით არ მიდის. ვინც მარტო ამისთანა ცოდნას ჰკმარობს, — უმაღლესი სასწავლებელი გამოუვლია თუ უმდაბლესი, — დიდი თაბაუთი არ არის. ორგანვე ამისთანა ცოდნა მკვდარი ცოდნაა და მკვდარი, დიდი იყოს თუ პატარა, ორივ ერთნაირად დასამარხია, ერთნაირად ანდერძ ასაგებელი.

ამისთანა უსიცოცხლო ცოდნა ხვედრია მარტო უნიჭობისა და უნიჭო ბეჯითობას უფრო ეადვილება, ვიდრე ნიჭიერს და ცოცხალს გამჭრიახობასა. ამიტომაც არც საკვირველია, რომ ამისთანა ცოდნის გზაზე მკვდარი ბეჯითობა სძლევს ხოლმე სიცოცხლით სავსე ნიჭსა, რომელიც არ იშვნევს, არ იტანს, რაც კი უსულადოა, უსიცოცხლოა. დარვინები და ლიბიხები ზარმაცებად ცნობილ იყვნენ და სასწავლებლებიდამ დათხოვნილ უვარგისობისა გამო, რადგანაც მკვდარ ბეჯითობას ეურჩებოდნენ და ერიდებოდნენ. მკვდარი ბეჯითობა შემძლებელია ცოდნის დიპლომამდინაც მიცოცდეს, ხოლო რის მაქნისია ამისთანა დიპლომმოსილი ცოდნა?

ამ შემთხვევაში დიპლომი მარტო ნიშანია, მოწმობაა იმ ეგრედწოდებულ ოფიციალურ ცოდნა-მეცნიერებისა, რომელიც ჰკმარობს от селе до селе —ს ცოდნას. ესეთი მეცნიერება ძალიან შორს არის ნამდვილ სწავლა-ცოდნაზე. კიდევ ვიტყვით: ამ ოფიციალურს მეცნიერებას კაცი დასძლევს დალაბრებულ ბეჯითობითაც, თვალებდახუჭვილ გაზეპირებითაც. ბევრი-ბევრი ამისთანა ცოდნა-მეცნიერებას ეთქმის, რომ უმაღლესი ცოდნაა წერა-კითხვისა. მართალია, სულ არარაობას წერა-კითხვაც კარგი საქონელია. ხოლო საქმე მარტო ამისთანა დიპლომიანი ცოდნა არ არის, როცა მართლა სწავლა-ცოდნაზე ვლაპარაკობთ და ამით თავის მოწონება და პირველობა გვინდა. აქ რაკი ბეჯითი დიპლომს ეღირსება, ხშირად საქმე ამითი თავდება. ამიტომაც ხშირად დიპლომი უფრო მოწმობაა ბეჯითობისა, გაზეპირებისა, ვიდრე ჭეშმარიტის სწავლა-ცოდნისა, რომლის უტყუარი ნიშანი ცხოველმყოფელობაა, ქმნაა და შემოქმედობა და რომელიც ძლევით ჰმოსავს სულთასწრაფვას ადამიანისას პროგრესის გზაზე.

ნათქვამია, ხე ხილისაგან, ხილი ხისაგან იცნობებაო. აბა ერთი ვიკითხოთ ჩვენებიანთ ინჟენერები, მკურნალები და ადვოკატები რა ხილის ხენი არიან? თუ ინჟენერები ასე თავმოსაწონებლად ბევრი ჰყოლიათ, ცოდნა ინჟენერობისა სადღა არის? ან რა ცოდნის ხილი მოუსხამთ? წყალის გამოყვანა ტფილისში გვინდა და უცხოეთიდამ ვიბარებთ კაცებს, მოდით, გვასწავლეთ სად მოვნახოთ წყლები, საიდამ როგორ წამოვიყვანოთ, თარაზო გაგვიტარეთ, ხარჯი აგვინუსხეთ, გეგმა დაგვიხატეთ და სხვა ამისთანა. აბა ჩვენში დაბადებული, ტფილისის არემარეში მცხოვრებელი აქაური ინჟენერი რომ იძულებულ გვყოფდეს უცხო ქვეყნელს დავეკითხოთ, ამა ტფილისის ახლომახლოები მოგვიჩხრიკე და გვაჩვენე, სად რა წყლებია, რომ მილით გავიყვანოთო, — და ამაზე მეტი სირცხვილიღა გინდათ? ჩვენში ჩვენებურმა კაცმა კი არ უნდა იცოდეს ტფილისის ახლომახლოები და ან გერმანიიდამ ან საფრანგეთიდამ ახლად დაბარებულ კაცს უნდა ვეკითხებოდეთ? რა ჭკუაღა აძლევს ნებას ვისმეს, რომ ამის შემდეგ აქაური ინჟენერი ინჟენერად ახსენოს და მერე ამით თავიც მოიწონოს.

მოვინდომეთ და საჭიროდაც დანახულია უწმინდურების სადენად დახურული არხები გაიჭრას ტფილისში და ამით სიმყრალე და ათასგვარი მიზეზი სხვადასხვა სნეულებისა მოსპონ, — და რა გგონიათ? იმ ბევრს ინჟენერთა შორის, რომლითაც თავი მოაქვთ, ერთიც იმისთანა არ გამოჩნდა, რომ ამ საქმეში ან ასე, ან ისე გამოსდგომოდა ტფილისს და ამისათვისაც კაცები უცხოეთიდამ დავიბარეთ. ცოდნა თუ არის, რაღა ეშმაკებისათვის ინახვენ და იზოგვენ?

ეს ოცი წელიწადია საჭიროდ დანახულია ტფილისში რიგიანი საყასბო ააშენონ და დღესაქამომდე იმ ბევრ ჩვენებიანთ ინჟენერებს ერთი რიგიანი გეგმაც ვერ შეუდგენიათ და ამ მხრით თუ წინ ფეხი წაუდგამს საქმეს, ისიც უცხოელის შველით და შემწეობით და თავს იწონებენ კი, ინჟენერები გვყავსო. ამაებს ვიღა სჩივის? ქუჩების ქვით დაგება, ქუჩების

მოკირცხვლა აბა რა დიდი საქმეა, ისიც კი ვერ მოუხერხებიათ ჩვენებიანთ ინჟენრებს და ამისათვისაც სხვაგან ვეძებთ კაცებს, სხვაგნიდამ ვიბარებთ და ყოველ ამაებში ვფანტავთ სისხლით და ოფლით მონაგარს ფულებს ტფილისის მკვიდრისას და მერე რამდენს? განა ერთი და ორი ასი თუმანი ფული გადაუყლაპებიათ უცხოეთიდამ დაბარებულ კაცებისათვის, იმათის მისვლა-მოსვლისათვის, საგამრჯელოსათვის, ქუჩების მოკირცხვლამ ხომ, სომხები რომ იტყვიან, „ზაჰლა“ წაიღო, რადგანაც ახლადდაგებულმა ქუჩამ ერთი-ორი კვირა რომ გასძლოს, მესამე და მეოთხე კვირას თითქმის ხელახლავ დაგება უნდება და იღუპება ამოდენა ფული. ნამეტანი ამით შიში ფეხისა და კისერის მოტეხისა აქაურ ქუჩებში მაინც მოშორებიყო ტფილისელს, კიდევ კაცი არას იტყოდა, ხარჯს ჯანი გავარდნოდა.

ყოველ ამას, ჩვენში რომ ვთქვათ, ის от селе до селе —ს ცოდნაც გაუძღვებოდა, რომ იყოს სადმე, მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ეგეთი ცოდნაც არსად არის, როგორც ეტყობა, იმ ბევრ ინჟენერთა შორის, რომელიც თითით საჩვენებლად გაგვიხადეს და თავიანთ სასიქადულოდ მიაჩნიათ. ქუჩის დაგების უნარიც რომ არა ჰქონდეთ, ინჟენერები, — ქართველნი იქნებიან, თუ სომხები, — რაღა თითით საჩვენებელია და თავმოსაწონებელი! ეს კიდევ არაფერი. აქ ცოტა რისამე დიპლომიანი ცოდნა უნდა. ჩვენ იმის მაგალითებიც ვიცით, რომ მარტო საღი ჭკუა და გამოცდილი თვალი საკმაოა გზა გაიგნოს და აქაური ინჟენერები აქაც, ამაშიაც კი უკაცრაოდ ბრძანებულან. ტფილისში საყასბოს ერთხანად გასუფთავებისათვის აქაურმა ინჟენერობამ თითქმის ხუთასი თუმანი ხარჯი აუნუსხა ქალაქის გამგეობას და ერთი უბრალო უდიპლომო უსწავლელი კაცი გამოვიდა და ას ათს თუმნად საგანგებოდ გასწმინდა და მოაფაქიზა საყასბო. საყასბოს ფაქიზად შენახვისათვის აქაურმა ინჟენერობამ სამასი თუმანი ხარჯი ანუსხა ყოველ წლივ და ას ოცდაათს თუმნად კი უსწავლელმა უდიპლომო კაცმა იკისრა. აქ ხომ დიდი ცოდნა, და მერე დიპლომიანი, არ იყო საჭირო, რომ ესე სასაცილოდ ნახტომი შეშლოდათ.

აბა ყოველ ამაებს დააკვირდით და იკითხეთ: სად არის აქ ცოდნა? განა მარტო ცარიელი ბეჯითობა და от селе до селе —ს გაზეპირებით მოპოებული დიპლომი ჯერ კიდევ არ არის ნიშანი ცოდნისა, განათლებას ნულარ ვიტყვით.

მკურნალობაც ჩვენში ესეთივე განძია. ამაზე საუბარს სამერმისოდ გადავდებთ.

[1897 წ.]



პატარა საუბარი

სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ, — ნათქვამია. მთესველნი ეგრედ წოდებულ „კულტურისა“ კავკასიაში სიტყვამან მათმან გამოაჩინა და, თუ ცოტას კიდევ დავიცდით, ღმერთი მოწყალეა, სულ გადაგვიშლიან, გულში რა მოძღვრება სდებიათ და რა განძი გამოაქვთ „კულტურისა“, თავიანთ „კულტურულ“ ძალ-ღონის ნიშნად. ამას წინად ხომ გვიღაღადეს, ჩვენს დავთარში გვიწერიაო, რომ „ჰუმანობა“, კაცთმოყვარეობა და სხვა ამისთანა „ფლასტი-ფლუსტები“ სულელობააო. რა ვქნათ, რაკი დავთარში ასე სწერებიათ, ამინ და კირილეისონ.

ეხლა სხვა ფურცელი იმავე დავთრისა გადაგვიშალეს და გვეუბნებიან: ვისმე რომ რაიმე წუნი დასდო და თუნდ შერისხო, იმას რაც გინდ ბევრი სიკეთე სჭირდეს, სიკეთე არ უხსენოო, თორემ ორთავიანი იანუსი გამოხვალო. რა თქმა უნდა, ისევ ორთავიანი იანუსი სჯობია ორგულსა და ორპირსა, თუნდაც იმიტომ, რომ ძველ საბერძნეთში იანუსი, თუმცა ორთავიანი იყო, მაინც ღირსებით იყო მოსილი, და ორპირი და ორგული კი არ გვგონია ამისთანა პატივში ყოფილიყოს სადმე და ვისგანმე ოდესმე.

საქმე ამაში არ არის. სხვას რომ ავი რამ შეჰნიშნო, თუნდ შერისხო, რაც გინდ სხვა სიკეთე ჰქონდეს, არ უხსენოო, ამას "აბრუნდის" ეძახიანო. ვის რა ლექსიკონი აქვს, არ ვიცით და აქ კი აზრი ის არის, რომ მართალმოყვარეობაც სულელობა ყოფილა. რაკი კაცს ცხვირი დაუწუნე, თვალებიც უნდა დაუწუნოო, რაც გინდ კაი თვალები ჰქონდესო. „კულტურაა“, მაშ რა ჯანაბაა ამისთანა წესების ღადება, ამისთანა ზნემაღლობა მოძღვრობისა. რაკი ამისთანაებზე მიდგა საქმე, იმის მაგიერ, რომ კაცმა გამოიძიოს, ცხვირი მართლა დასაწუნებელი აქვს ამასა და ამას და თვალები მოსაწონებელი თუ არა, ცოდვად მარტო იმასა ჰხადიან, რომ ერთსავე და იმავეს დასაწუნებელი დაუწუნე და მოსაწონებელი მოუწონე. სიბრიყვე სიბრიყვეა, ხოლო შეიძლება ადამიანი ამისთანა სიბრიყვემდე ჩამოქვეითდეს! მაშ მართლმსაჯულებას თქვენში ადგილი არა ჰქონია რაღა? თუ ესეა, მაგრად შეინახონ თავიანთი „კულტურა“ და, თუ ესე არ არის, უნდა იცოდნენ, რომ პატიოსანთ მტერთა შორისაც კი მოციქული ნამუსია და ეს ნამუსი თხოულობს ყველას თავისი მიუწყო: რაც კარგია, კარგი სთქვა, რაც ავია, ავი. შეიძლება ავკარგიანობის თქმასა და აღნუსხვაში კაცი შესცდეს და აქ გამხილებაა შეცდომისა საჭირო და არა განკიცხვა, — ავთან კარგსაც რად უხსენებო.

ოქროს ასოებით ჩაიწეროს, ვისაც ეხარბება იმისთანა „კულტურა“, რომელიც ჭკუათამყოფელს კაცს ნებას აძლევს „ჰუმანობა“, კაცთმოყვარეობა სულელობად აღიაროს, ზედ წააკლას მის მიერ უარყოფილი მართლმსაჯულებაცა და ყოველივე ეს აქადაგებინოს, არამც თუ დასტამბულ სიტყვითა, ზეპირსიტყვებითაც კი.

ზნემაღალი მოძღვრება ამისთანა ყოველ ადამიანურ სიკეთის უარმყოფელ „კულტურისა“ ამაზე არ შედგა. იგი გვიქადაგებს, რომ შენიანების ცუდი, რაც გინდ მართლად იყოს, არ უნდა სთქვაო, თვალები უნდა დაიბრმავოო, ნურც შენ აიხელ ამაზე თვალსა და ნურც შენიანებს აუხელო. მაშ ჩვენი ცუდი, რაკი ჩვენია, დაზღვეულია მხილებისა და განკითხვით განკიცხვისაგან! ეგ რომელს დავთარში სწერია? თუ თქვენს დავთარში, თქვენი დავთარი ჩვენი სახარება ხომ არ არის? და თუ გინდათ თქვენი სახარება ჩვენ თავზე მოგვახვიოთ, შორს ჩვენგან! ჩვენ ჩვენი სახარება გვაქვს, რომელიც ჰკიცხავს იმას, ვინც თავისს თვალში ძელს ვერა ჰხედავს. ჩვენი „კულტურა“ სულ სხვაა. იგი გვასწავლის, რომ „დიდი სიბრძნეა კაცისა, ცნობა თავისა თვისისა“. ჩვენის ჭირისა და ავის ცოდნაც

ერთი დიდი დარგია თავის თვისის ცნობისა და ვინც თავისი ჭირი იცის, იგი საკურნებელ წამლის პოვნის გზაზედა სდგას და ვაი იმას, ვისაც ანდერძად დაუდვია თავისი ჭირი ან ჰმალოს, ან არ იცოდეს!

აქაურ „კულტურის“ მოძღვარნი „ივერიას“ ცოდვად უთვლიან, ქართველებს წუნი დაუნახესო. ამასაც „აბრუნდი“ დაარქვეს. ნამუსი მწერლობისა რას ითხოვდა, რაკი ამაზე ლაპარაკი საჭიროდ დანახული იქმნა? მართლა დაუნახეს წუნი თუ მოიგონეს? აი საკითხი და საძიებელი რა იყო. ამის მაგიერ რას გვეუბნებიან? ავზნეობააო ქართველის მიერ ქართველს წუნი რამ შეამჩნიოსო. ეს, რასაკვირველია, ქართველის სიყვარულით კი არ მოსდით, არამედ შემჩნეველის შესაჩვენებლად. მაშ მთელი სახელმოსილობა შჩედრინისა, გოგოლისა, ბარბიესი, სფივტებისა და ათასის ამისთანაების, რომელნიც თვით თავიანთ ერის ავსა და ცუდს ამხელდნენ, საცა და რაშიაც კი მოასწრობდნენ, ავზნეობა და ერის ღალატი ყოფილა და სხვა არაფერი. გამოდის, რომ ქართველმა ქართველს ყველაფერი უნდა უქოს. აბა, ამაში აზრია რამე გაუთლელ სიბრიყვის მეტი?! სომეხმა რომ სომეხს ყველაფერი უქოს, ჩვენ რა დავა გვაქვს: ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია. ჩვენ ქართველებს კი დაგვეხსნან და მოწყალება მოიღონ, თუ მაგისთანა „კულტურულ“ ანდერძებს არ შევიფერებთ და არც მივიღებთ.

გვეტყვიან და გვითხრეს კიდეც: ის რა ჩვენის “კულტურის” წარმომადგენელია, რომელიც მაგისთანაებს ჰქადაგებსო. „Новое Обозрение“ რაღაა, რომ კინაღამ ბ-ნი ველიჩკო ნემსის ყუნწში არ გააძვრინა, რუსთა საზოგადოებას ცუდი რად შენიშნე, როცა პუშკინის გამო საუბარი დაიწყეო. თუ მართლა ცუდია, რატომ არ უნდა შეენიშნა, და თუ მართალი არ არის, რატომ შეცდომა არ გაუსწორა? განა აქაც იგივე ქადაგება არ არის, შენიანებს განკითხვის თვალით არ უნდა შეხედოო და განა ეს ამბავი ცოდვად არ ჩაუთვალა ამ დარბაისელმა გაზეთმაც?

არა, ბატონებო, ჩვენ ცოტაოდნად გვესმის, რომ ამაების ქადაგება „კულტურა“ კი არ არის, ღვარძლია და:

„ღვარძლის მთესველი ვერ მომკის
იფქლსა ბასრისა ცელითა“

და სწორედ მოგახსენოთ არც „ანწლი მოგცემთ ყურძენსა“.

[1897 წ. 24 აპრილამდე]

<ჩვენში დიპლომია ნიშანი მკურნალის ცოდნისა და არა თვით ცოდნა>

ტფილისი, 26 აპრილი

ჩვენებიანთ მკურნალები ჩვენებიანთ ინჟენერებს შორს ვერ წაუვლენ ცოდნითა.* რაც ჩვენებიანთ ინჟენერები არიან ინჟენერობაში, იმისთანავე არიან ჩვენებური მკურნალნი მკურნალობაში. აქაც მარტო დიპლომია ნიშანი იმათის ცოდნისა და არა თვით ცოდნა. მარტო უილაჯობით თუ მიეზიდებიან ჩვენში დიპლომიან მკურნალთან, რადგანაც სხვა გზა არ არის და კაცი გაჭირების დროს ხავსსაც ეჭიდება და ამასთან როგორღაც ეთაკილება კიდეც, სინდისი უმძიმდება, რომ მახლობელი ხელიდამ წაუვიდეს საიქიოს მკურნალის მოუშველებლად, თორემ ვისა სწამს ჩვენში ჩვენებურ დიპლომიან მკურნალთა მკურნალობა, ანუ, უკედ ვთქვათ, მათი ჭეშმარიტი და ზედმიწევნილი ცოდნა? ამ მხრივ თავი არავის გამოუჩენია, ნდობა არავის მოუპოვებია, სახელი არავის მოუხვეჭია. ცოდნა და მცოდნე კაცი რომ იყოს, არ დაიმალებოდა, გამოჩნდებოდა, და თუ ამ მხრით სახელი აქვს ჩვენში ვისმე, ისევ ან რუსს, ან სხვა თესლის მკურნალს.

ჭეშმარიტი ცოდნა მეტად სხივოსანია, მეტად ძლიერი შინაგანის ცხოველმყოფელობითა, რომ ასე თუ ისე არ გამოხეთქოს, არ გამომზევდეს და შემჩნეულ არ იქმნეს გონებაახილებულ კაცის მიერ მაინცა, თუ სხვისათვის ძნელია ამისი დანახვა. აბა ერთი აქაური მკურნალი გვიჩვენეთ, ქართველი ან სომეხი, რომ კაცს

* იხილეთ „ივერია № 75.

ალალმართლად თქმა შეეძლოს: აი ცოდნის კაცი, აი მსწავლული მკურნალი, აი მეცნიერებაში დანახული კაცი. ქართველებს რომ ამისთანა მკურნალი არა ჰყავდეთ, ცოტად თუ ბევრად მიეტევებათ, რადგანაც ცოტა მკურნალები ჰყავთ და ცოტას იმოდენა როგორ მოვთხოვოთ, რაც ბევრსა. ხოლო ბევრში კი რომ ერთი მაინც არ იყოს ამისთანა მკურნალი, ეს ვერაფერი თავმოსაწონებელი ნიშანია, თუ „კულტურონსნები“ არ გვიწყენენ. მართალია, აქ არც ერთს შემთხვევაში არც ერთისათვის არაფერი ნუგეშია, ხოლო რაკი პირისპირ წაყენებაზე მიდგა საქმე, ბევრი უფრო უნდა ჰთაკილობდეს ამისთანა უკაცურობას, ვიდრე ცოტა. ამისდა მიუხედავად, ჩვენებურ „კულტურონსნებსავით“ რომ ჩვეულებად გვქონდეს ბუზი აქლემად ვაქციოთ, იქნება ჩვენში, ქართველებში, ერთი ამისთანა ცოდნის პატრონი და მკვლევარი მაინც დაგვესახელებინა, რომელსაც სამკურნალო მეცნიერებაში საპატიო სახელი მოუპოვებია არამცთუ რუსეთში, ევროპაშიაც, საცა იქაურთა მეცნიერთა ზოგიერთ დასკვნისათვის საბუთად მოჰყავთ იმ ქართვლის ძიება და კვლევა. მაგრამ ვიცით, რომ ერთი და ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, როგორც 50 ინჟენერი, თუნდ ამდენივე მკურნალი და ამდენივე ადვოკატი, ნამეტნავად ჩვენებურ „კულტურონსნებისა“, მეწამულ ზღვას მოსე წინასწარმეტყველისავით ვერ გააპობს, რომ ერი ხუდაბაშოვებისაგან აღთქმულ ქვეყანაში მიიყვანოს და იქ გააბატონოს.

შესაძლოა ჩვენში ერთი მკურნალი მეორესა სჯობდეს და ერთობ თითით საჩვენებელი კი ჯერ არავის უნახავს. ცოდნას ვინა სჩივის? ცნობისმოყვარეობაც კი არავის გამოუჩენია. ცოდნას რომ ცნობისმოყვარეობაც არ აღეძრას კაცში, — გინდ მაღალ სასწავლებლის დიპლომი ჰქონდეს, გინდ დაბალისა, — ის ცოდნა განა ცოდნაა? ამიერკავკასიაში მცოდნე მკურნალისათვის ცოტა საქმეა საკვლევი და საძიებელი, თუ გული მართალის ცოდნით გულობს? ამ მხრით ხომ თითქმის ხელუხლებელია ეს ქვეყანა. მთელი ეს მხარე მოდებულია სამკურნალო წყლებითა, მცენარეობითა და აბა ერთი ვინმე გვიჩვენეთ, რომ ცნობისმოყვარეობით შეს-

ტოკებოდეს გული და ამ მხრით ეძიებიოთ და გამოერკვიათ რამ, თავიანთ გარემოში დაენახათ ის, რაც მართლადა მცოდნე მკურნალისათვის დასანახია. ამოდენა სხვადასხვა ჰავის, სხვადასხვა სითბო-სიცივის, მიწაწყლის ადგილებია სხვადასხვა სნეულებაში მარგებელი, ან მავნებელი და მოუჩხრეკია ვისმე, უძიებია ვისმე, ან აუწონ-დაუწონია მეცნიერების სასწორზე? ან იციან კი, სად რა მონახონ, სად რა ეძიონ, ან როგორ იძიონ?

დავანებოთ ყოველს ამას თავი, იმიტომ რომ ყოველს ამას მომქმედი ცოდნა უნდა და არა მკვდარი, და მომქმედს ცოდნასთან საჭიროა ჭკუის გამჭრიახობაც, ცოდნის მოხმარების ხერხიც. „კულტუროსანთა“ მკურნალებს რომ ყოველი ეს მოვთხოვოთ, ბედოვლათობაში ჩამოგვართმევენ.

ქართველს ერს აიღებთ თუ სომხისას, ათასის წლების ისტორია აქვთ. ერთსაც და მეორესაც უცხოვრია, უფიქრია, თავისის ჯანმრთელობისათვის უზრუნვია ამოდენა ხნის მანძილზე, კარგი თუ ავი მკურნალობა ამათაც სცოდნიათ და ჰქონიათ. ნუთუ ესეც მისაწვდენი არ არის აქაურ მკურნალთა ცოდნისათვის? ნუთუ ყოველ ამისი გამოჩხრეკა, ძიება, აღმოჩენა და გამორკვევა საკადრისი არ არის დიპლომიან ცოდნის პატრონებისათვის! განკითხვას ყოველ ამაებისას, კრიტიკის თვალით გაჩხრეკას არ ვიტყვით, იმიტომ, რომ ამისთანაებში დიპლომით შემოწმებულ ცოდნის გარდა სხვა საკუთარი უნარიც უნდა ჰქონდეს კაცსა და სად ეს უნარი და სად ის მკურნალთა დასტა, რომლის სიმრავლით თვალებს გვიხვევენ აქაურნი მოძღვარნი უცნაურ „კულტურისა“. ჩვენ მარტო ხორციელ თვალით დასანახავს საგნებსა ვჩივით და თითქმის ხელით მოსაგროვებელს ამბებსა და აქაც კი ყოვლად უქმნი არიან, ყოვლად უღონონი, ყოვლად გამოუსადეგნი, ყოვლად უცოდინარნი.

გვეტყვიან, რა ბევრს ჭკუას ვისწავლიდით, რომ მაგეების გზაზე მომცდარვიყავითო. იქნება ესწავლათ კიდეც, აქ საკვირველი არა არის რა. თუნდ არ ესწავლათ კიდეც, განა ამით რაო? განა ყელში ძვალსავით გაეჩხირებოდათ, რომ თავისის, თუ სხვისა ერის კარგად თუ ავად ნაცადი შეეტყოთ, გაეცნოთ და აენუსხათ!

საქმიანი მკურნალობა, ესე იგი სნეულობის წამლობა უფრო ცდაზე არის აგებული და ნაცადში ჰპოულობს საბუთს ზედმიწევნისას და უებარობის მეტნაკლებობისას. ერთი იმისთანა ახლად ამოჩენილი წამალი არ ვიცით, რომ აღმომჩენელს საჭიროდ არ დაენახოს ჩამოთვლა ნაცადის მაგალითებისა უებარობის საბუთად. გამოცდილება ისეთი სკოლაა, საცა ყოველი ცალკე გაკვეთილი ძვირად უჯდება ადამიანს, მაგრამ მაინც ერთადერთი სკოლაა, საცა უჭკუონიც კი ჭკუასა სწავლობენ, ამბობს ერთგან ფრანკლინი. თუ ესეა, ნუთუ ათასის წლების მანძილზე ნაცადი მთელის ერისა არასფერს სახარბიელოს არ წარმოადგენს ჭეშმარიტ მცოდნესათვის ან საარაოდ, ან საჰოოდ!

თუ ვისმეს ყური უთხოებია ცოდნის სიყვარულითა ამიერ და იმიერ კავკასიისთვის, ერთობ ავი და კარგი მკურნალობის თვალით უსინჯავს და მოუჩხრეკია, ისიც მარტო ან რუსი ყოფილა, ან უცხოელი და იმათი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ.

გვეტყვიან, ჩვენ მეცნიერების მკვლევარნი კი არა ვართ, ჩვენი საქმე სნეულების რჩენაა, საქმიანი მეცნიერება სხვა არის და თეორიული სხვაო. შარკოები და თუნდ ბოტკინები, ზახარინები და ბევრნი სხვანი უფრო ბევრს სნეულებას უვლიდნენ და არჩევდნენ, მაგრამ ცოდნისათვის და მეცნიერებისათვის სამსახურს ეწეოდნენ და არა ერთი და ორი ღვაწლია მათდა სასახელო სახსოვრად. „სწავლა არის სიცოცხლე სწავლულისა, სათნოება — სიცოცხლე ბრძნისა“, ვიღაცამა სთქვა და მართალიც არის. თქვენ ჭეშმარიტი მსწავლულობა სთქვით, თქვენ ნიჭი სთქვით, იგი მადლი სთქვით, იგი ცოდნა სთქვით, რომელნიც კაცს ღვთიურ ცეცხლს უკიდებენ ბუნების და ადამიანის საიდუმლოების ძიებისას და იგი ცეცხლი თვით არ მოასვენებს ადამიანს და მარტო რეცეპტების წერაზე არ შეაჩერებს. თუ მკურნალნი მრავალნი ჰყავთ, როგორც ქადულობენ, და მრავალში ერთი მაინც ამისთანა უნარის კაცი არ აღმოჩნდა, — ეს საგლოვ-სამწუხაროა და არა თავმოსაწონებელი.

რაკი ამით დაიწყებენ თავის მართლებას, რომ ჩვენი საქმე მკვიდრთა ჯანმრთელობის მოვლაა და სნეულთა

რჩენა, დავუჯეროთ და ვაპატიოთ, რომ იმ სფერაში, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ჩვენებიანთ „კულტუროსანთა“ მკურნალნი სრულად ურგებნი, უქმნი და უღონონი გამოჩნდნენ. გავუსინჯოთ ეხლა საქმენი შესახებ თუნდ მკვიდრთა ჯანმრთელობის მოვლისა და პატრონობისა. ეს უკეთესი საბუთი იქნება იმისი, თუ — „სწავლა რამოდენად არის სიცოცხლე იმათის მსწავლულისა და სათნოება — იმათის ბრძნისა“. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენო. შორს რომ არ წავიდეთ, ცოდნას და არცოდნას ჩვენებიანთ „კულტუროსნების“ მკურნალებისას აღარ გამოვეკიდნეთ, საკმაოა დავასახელოთ მარტო ბ-ნ შაუმოვის „სელდები“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიანი“ ღორები. აქ დავინახავთ, ჯანმრთელობა მთელის ტფილისის მკვიდრთა, ესე იგი ასორმოც ათას ადამიანის სულის სიკვდილ-სიცოცხლე რა დიპლომიან კაცების ხელშია. ამ საზარელის ამბის ყოვლად უტყუარი საბუთები ხელთ გვიპყრია და, რადგანაც გრძლად საუბარი მოგვინდება, შემდეგისათვის გადავდოთ. ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ ეს ჩვენი აღთქმა ამაების გამომჟღავნებისა არა ერთსა და ორს აცვლევინებს ფერს და მეორეს მხრით — არა ერთსა და ორს დააკივლებს: ღმერთო, ეს რა დღეში ვყოფილვართ, ეს ვის ხელში ჩავცვივნილვართო!..

[1897 წ.]



<ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ლორების საქმე>

ტფილისი, 28 აპრილი

ბ-ნ შაუმოვის*) „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ლორების საქმე ისეთი თავზარდასაცემი ამბებია, რომ მარტო ამ ამბის თხრობა საკმაოა კაცმა იცოდეს და თავზე თმა ყალხზე აუდგეს. ეს ამბები უკვე გამომჟავნებული იყო აქაურ რუსულ გაზეთებში, იქნება არა იმოდენა სისრულით და სავსებით, როგორც ღირსიყო და როგორც საჭიროა მართლმსჯელობისათვის.

როცა თ. ალ. ზაალ ჩოლოყაშვილი და თ. ვ. ს. მიქელაძე ტფილისის საქალაქო გამგეობაში ხმოსნად იყვნენ, პირველმა სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის დაწესება წარუდგინა ქალაქის საბჭოს აუცილებელ საჭიროებად და მეორემ — საყასბოზე თვალის ჭერისა, რომ საღი და უსნეულო საქონელი იკვლებოდეს და ნამეტნავად ღორი, რადგანაც „ტრიხინის“ შიში ძალიან დიდია და ეს საშიშარი საწამლავი მარტო ღორისაგან წარმოსდგება. ტფილისის მკვიდრთა ჯანმრთელობისათვის და ამოდენა ხალხის სიკვდილ-სიცოცხლისათვის, რა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც დიდი საქმე იყო, და საბჭომ ერთიცა და მეორეც დააწესა და ჩააბარა, რასაკვირველია, თავიანთ დიპლომიან მკურნალებსა. ხოლო ეს მართლა-და სამადლო საქმე რა ცოდვად გა-

*) „ივერია“ №86.

დიქცა „კულტუროსანთა“ მკურნალთა ხელში, ამას ქვევით დავინახავთ.

1894 წლის შემოდგომაზე მეხუთე ნაწილის პოლიციის ბოქაულს ბ-ნ სიტოვსკის შეუტყვია, რომ სამს ტფილისელს ვაჭარს მოსვლია ასტრახანიდამ ბოჭკებით ერთგვარი წამხდარი თევზი, რომელსაც რუსულად „სელდი“ ჰქვიან. ამ სამ ვაჭართა შორის ერთი ყოფილა პირველ გილდიისა — არტემ ლაზარეს ძე შაუმოვი, რომელსაც დუქანი დახურულ ბაზარში საკუთარ სახლში ჰქონია და სხვა ორს ვაჭარს — სარაჯოვის ქარვასლაში. რადგანაც ქალაქის მთავრობის ხელქვეითი, მკურნალი ბ-ნი რუდკოვსკი*/ ბ-ნს ბოქაულს შინ არ დახვედრია, ქალაქის გამგეობის წევრისათვის უთხოვნია ერთი სასანიტარო ნაწილის მკურნალი გამოგზავნეთო, შეამოწმოს ჩემთან ერთად ასტრახანიდამ მოტანილი თევზიო. წევრს გამგეობისას დაენიშნა სასანიტარო მკურნალი, რომელსაც იმავე წევრის პირით შეუთვლია, — პოლიციის მეხუთე ნაწილის გამგეობაში მომიცადე და მეც მოვალო.

მეორე საათის ნახევარზე ბ-ნი გონიანცი მისულა ხსენებულ პოლიციის გამგეობაში და უთქვამს, მე სარაჯოვის ქარვასლაში კიდეც ვიყავიო და იქ შევიტყე, რომ თევზი ამ დღეებში მოუტანიათო შეკრულ და თავგაუხსნელ ბოჭკებით და იგი თევზი ტფილისში გასასაღებლად არ არის მოსული, ტფილისის გარედ ქალაქებისათვის დანიშნულიაო და ერთობ მე არ მინდა პასუხისგებაში /!/ მივეცე, თუ ვინიცობაა ბოჭკები დავხსენი და თევზი კარგი გამოდგაო.

ასე ასურათებს ბ-ნი გონიანცის საქციელს ბ-ნი ბოქაული თავისს მოხსენებაში, რომელიც მიურთმევია ბ-ნ პოლიცმეისტერისათვის და ამაებში პასუხისგებას ჩვენ არა ვკისრულობთ. ეგ ბ-ნ ბოქაულის საქმეა.

როგორ მოგწონთ ყოველივე ეს დიპლომიან მკურნალისაგან, თუ ყოველს ამას დავიჯერებთ და ჯერ საბუთი არა გვაქვს, არ დავუჯეროთ ამ ოფიციალურს მოხსენებას. ჯერ ერთი ეს, რომ უბოქაულოდ მისულა

*/ ქალაქის მკურნალი მთავრობისაგან არი დაყენებული და ქალაქის გამგეობის მკურნალებში არ უნდა გარიოთ.

გასასინჯავად, მაშინ, როდესაც ბოქაულთან ერთად უნდა წასულიყო ბოქაულის თხოვნისამებრ; მეორე ისა, რომ შაუმოვის დუქანი საჭიროდ არ დაუნახავს მოეჩხრიკა, თუმცა ესეც გასასინჯავად იყო დასახელებული ბოქაულისაგან, მესამე, — შეშინებია, ვაი თუ კარგი თევზი გამოდგესო და როგორ დავხსნა ბოჭკებიო და მეოთხე — ტფილისისათვის ხომ არ არის მოტანილი, სხვა ქალაქებში არის გასაგზავნიო.

დააკვირდით, რა გამოდის ბ-ნ გონიანცის საქციელისაგან? ვთქვათ, ეპატიოს, რომ უბოქაულოდ წასულა გასასინჯავად, ისიც ეპატიოს, რომ შაუმოვის დუქანში გაჩხრეკა თევზებისა საჭიროდ არ დაუნახავს. ეს შიში პასუხისგებისა საიდამღა გამტყვრალა! რაკი ეჭვია მიტანილი, რომ თევზი წამხდარია მოსული გასასყიდად და, მაშასადამე, ხალხის მოსაწამლავად, აქ შიში ხალხის მოწამვლისა და წახდენისა უნდა ასჩენოდა კაცს და არა ბოჭკების გახსნისა, თუ კაცთმოყვარეობა მართლა სულელობად არ არის მიჩნეული „კულტუროსანთა“ მოძღვრებისამებრ. მაშ ვინც ავკაცობას კარდაკეტილში ჩაიდენს, გამოსაძიებლად კაცმა აღარ უნდა გააღოს კარი და არ მოსჩხრიკოს იქაურობა იმის შიშით, რომ ვაი თუ ავკაცობა არ აღმოჩნდესო? მაშ გაუხსნელ ბოჭკით რომ საწამლავი შემოიტანოს ვინმემ, ბოჭკა არ უნდა გაისინჯოს იმის შიშით, ვაი თუ საწამლავი არ აღმოჩნდესო! მაგრამ საიდამ შევიტყოთ მართალი, რაკი გეში და ეჭვია მიტანილი?

რა აღმოჩნდებოდა და რა არა, ბ-ნ გონიანცის პასუხისგება აქ რა შუაში იქნებოდა? თუ პასუხისგების შიში რამ უნდა ჰქონოდა და, ისევ თავგამოდებულს ბოქაულსა და სხვას არავის, რადგანაც ეჭვი მის მიერ იყო მიტანილი და იგი იყო მიზეზი გაჩხრეკისა და გასინჯვისა. როგორ მოგწონთ: დიპლომიანს მკურნალს ხალხის წახდენის შიში კი არაფრად მიუჩნევია და ტყუილ პასუხისგების შიშს კი აუცახცახებია. ეს დიდი ცოდვა, რომელიც, შესაძლოა წამხდარის თევზის წყალობით დატრიალდეს ხალხში, კი არაფერია, საფიქრებელი და საზრუნველი არ არის და რაღაც ტყუილი შიში, ყოვლად უსაბუთო და უმიზეზო შიში კი იმოდენად პატივსადებია და ძლიერი, რომ კაცს ხელს აღე-

ბინებს წამხდარის თევზის ბოჭკების გახსნაზე და ამით მართლის აღმოჩენაზე.

ეს კიდევ არაფერი: ის საზარელი საბუთი არ-გაჩხრეკისა რაღაა, რომ ტფილისისათვის ხომ არ არის მოტანილი დამპალი თევზი, სხვა ქალაქებისათვის არისო! მაშ ქუთაისი, გორი, თელავი, სიღნაღი და სხვანი თაგვებით არიან დასახლებულნი, რომ ისინი გაწყდებიან თუ არა, ტფილისელ დიპლომიან მკურნალისათვის ანგარიშში მოსატანი არ იყვნენ! მოდით და შიშით და ზარით ნუ იღაღადებთ: ეს რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეს რა კაცების ხელში ჩავცვივნულვართ, ეს რა „კულტუროსნები“ გვეწვივნენ და ეს რა „კულტურა“ ითესება ჩვენში „კულტუროსანთა“ დიპლომიან მკურნალთაგან!

კიდევ ვიტყვით: ჩვენ ყოველივე პასუხისგება აგვიხდია, თუ ბოქაულის მოხსენებაში რამ აღმოჩნდა უმართლო შესახებ ბ-ნ გონიანცის საქციელისა. ჩვენ ვემყარებით ოფიციალურს დოკუმენტს, რომელიც ჯერ არავისაგან გამტყუნებული არ არის. ყოველ ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ დღესაც ბ-ნი გონიევი, ანუ გონიანცი, ბედნიერად ასრულებს ისევ იმ თანამდებობას „კულტუროსანთა“ გამგეობის მოწყალებით და გულკეთილობით.

რაკი ბ-ნი გონიანცი ასე გულგრილად მოჰკიდებია საქმეს და თავიდამ მოუშორებია, ბოქაულს მოუხსენებია პოლიცმეისტერისათვის და ამას უბძანებია, — მთავრობის ქალაქის მკურნალი ბ-ნი რუდკოვსკი წაიყვანე და იმას გაასინჯეო. ბ-ნ რუდკოვსკის გაუსინჯავს და აღმოუჩენია, რომ სამს ვაჭართა მიერ მოტანილ თევზთა შორის შაუმოვის მთელი 66 ბოჭკა თევზი დამპალი და საჭმელად უვარგისია. შეუყენებიათ ამაზე ოქმი. ამ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ დასწრებულნი მოწმეები, თვითონ ბოქაული და მკურნალი რუდკოვსკი, სწერია, რომ გასინჯულ იქმნა სამოცი პატარა ბოჭკა და ხუთი დიდი შაუმოვის თევზისა და აღმოჩნდა, რომ როგორც მარილწყალი, ისეც თვითონ თევზი წამხდარია, მყრალი სუნი ასდის, ლაყუჩები თევზისა ჩაშავებულია და ლორწოიანი და სილიანი, თვითონ ხორცი თევზისა დამპალია, ასე, რომ თითებ-

შუა იშლება და ყარს (острый гнилостный запах) აყროლებულის სუნითაო. ამ ოქმის ბოლოს თვითონ ბ-ნ რუდკოვსკის თავისის ხელით ჩაუმატებია: ამ ოქმში აღწერილი თევზი შაუმოვისა არამც თუ საჭმელად არ ვარგა, პირდაპირ მავნებელია მჭამელთა ჯანმრთელობისათვის და ამიტომ სულ ერთიანად გადასაყრელიაო. ეს ოქმი წაუკითხავთ თვითონ შაუმოვისათვის და ამას არ უნებებია ხელი მოეწერა.

ხოლო ცოტა შემდეგ კი ამავე დღეს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებელს ბ-ნს სტეფანიანცსაც გაუსინჯავს იმავ შაუმოვის თევზი და შედეგი გასინჯვისა ქაღალდით მოუხსენებია ქალაქის მოურავისათვის. იგი აუწყებს ბ-ნს მოურავს, რომ შაუმოვის თევზის შესამოწმებლადაო მიმიწვია ბოქაულმა სიტოვსკიმაო, რომელსაც 66 ბოჭკა ასტრახანიდამ მოტანილ თევზისა დაუჭერია გადასაყრელადაო. ბ-ნ სიტოვსკის თხოვნით მე ხუთი ბოჭკა გავსინჯეო, სამი ჩემამდე გახსნილი და ორი მე გავხსენიო, გაუხსნელი დარჩა 61 ბოჭკაო. იმ გახსნილ ხუთს ბოჭკაში მარტო ერთში ვიპოვე წამხდარი თევზი, რომელსაც სუნი უდიოდა, მაგრამ სიდამპლისა კი არაფერი ნიშანი იყო, სხვა ყველა ჩემ მიერ გასინჯული თევზი წამხდარი არ არისო. ამიტომაც იმ ხუთის ბოჭკიდამ გადასაყრელია მარტო ერთი ბოჭკა, რომელშიაც მარტო რამდენიმე ცალი თევზი ცუდი აღმოჩნდაო. ეს საქმე ამით გაუთავებია „კულტუროსანთა“ მკურნალს, ხოლო ამას არ დასჯერებია ბ-ნი ბოქაული და მოუთხოვნია კამისსია.

ქალაქის მოურავს, სახელგანთქმულს იზმაილოვს, მოუსმენია რა მოხსენება ბ-ნ სტეფანიანცისა, მიუწერია ბ-ნ პოლიცმეისტერისათვის, რომ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეფანიანცმა ის ბოჭკები გასინჯა, რაც ბ-ნ რუდკოვსკის გაესინჯა და ორიც სხვაცაო და ამ ხუთში მარტო ერთში გამოჩენილა წამხდარი თევზი და სხვა ყველა „доброкачественный“ /?/ გამოდგაო. ამ სახით ბ-ნ იზმაილოვს ბ-ნ სტეფანიანცის ფრთხილი სიტყვა „неиспорченный“ გადაუქცევია „доброкачественн“-ად და ერთი ხარისხით მაინც, თუ არ მეტით, მოსაწონე-

ბელიც გაუხდია ბ-ნ სტეფანიანცის „არწამხდარი“ თევზი. არწამხდარი თევზი „не злокачественн“-ად არის მისაღები და არა „доброкачественн“-ად. რუსი იტყოდა, отсутствие зла не есть еще присутствие добра, მაგრამ ბ-ნ იზმაილოვს აგრე უნებებია.

ასეა თუ ისე, ქალაქის მოურავს უთხოვნია ბ-ნ პოლიცმეისტერისათვის კამმისსია შეადგინეო, ხელმეორედ გადასინჯონო, მით უფრო, რომ ბ-ნ სტეფანიანცის სიტყვითაო, თვითონ შაუმოვიც თანახმა არისო. ეს მიკერებული ბოლო ბ-ნ გონიევის საქციელს მოგვაგონებს. მითამ რაო? შაუმოვი რომ თანახმა არ ყოფილიყო, საბუთი კამმისიის შედგენისა დაუძლურდებოდა, რაკი საქმე ამისთანა ჰო და არაზედ მიდგა, საქმე ქალაქის მკვიდრთა ჯანმრთელობისა და იქნება სიკვდილ-სიცოცხლისაცა!.. საკვირველია: ჩვენ, ქართველებს, ეს რაღაც ეშმაკი ახალი მოდის „კულტურა“ ისე როგორ გაგვპარვია თვალწინ, რომ ყოველ ამისთანაებში ჯერ შაუმიანცების ნებისრთვა და თანხმობა სჭირებია თურმე და ჩვენ კი გვგონია, საცა ხალხის ჯანმრთელობის სვე-ბედზეა ლაპარაკი, იქ შაუმიანცების და სხვა “იანცების” ნებართვის და თანხმობის ძებნა და წყურვილი არც მოსაკითხია და არც ანგარიშში ჩასაგდები. მართლა რომ „კულტურა“ და „კულტუროსანნი“ ძალიან დაწინაურებულან და ბევრიც აწი-ოწო ვიძახოთ, ძნელად თუ დავეწევით.

1894 წლის ოქტომბრის 13-სა დღესა შემდგარა ეს კამმისია. წევრად მოწვეულ ყოფილან მთავრობის საქალაქო მკურნალნი: მრევლიშვილი, პროზოროვსკი, რუდკოვსკი, სასანიტარო-სამკურნალოს მკურნალნი გამგეობისანი: ინსპექტორი სტეფანიანცი, ხსენებული გონიევი და თარხანიანცი, ქალაქის ლაბორატორიის გამგებელი ალიბეგოვი. ამ კამმისიას თანადასწრებია გუბერნიის მკურნალიც ბ-ნი ქიქოძე. ამ კამმისიას გაუსინჯავს შაუმოვის თევზისა ჯერ ის ხუთი ბოჭკა, რომელიც წინად გაეხსნათ ბ-ნ რუდკოვსკის და მერე ბ-ნ სტეფანიანცს, და ამ ხუთ ბოჭკაში მარტო ერთი უცვნიათ (годными) საჭმელად ვარგისი, ოთხი — ყოვლად უცილობლად წამხდარიო, აყროლებული და გადასაყრელი. დანარჩენი სამოცდაერთი ბოჭკაც, რომელთა შორის ხუთი გაეტანა დუქნიდამ შაუმოვს და სხვა ბოქაულისაგან ბეჭდის ქვეშ ყოფილა, მარტო სამი დიდი ბოჭკა და ექვსი პატარა ვარგისად უცვნიათ და სხვა ორმოცდათექვსმეტ ბოჭკაში თევზი უპოვნიათ ცოტად თუ ბევრად აყროლებული და, მკურნალთა აზრით, გადასაყრელი გამომდგარა. დაუდგენიათ: დაუყოვნებლივ მოისპოს საჭმელად უვარგისი მავნებელი 61 ბოჭკა თევზი და დამნაშავეს მოეპყრან არსებული კანონისამებრ. იმავე დღეს ბოქაულს სიტოვსკის დაუწვავს ამ დადგინების ძალით სამოცდაერთი ბოჭკა წამხდარი თევზი შაუმოვისა.

როგორ მოგწონთ ეს ამბავი? სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სტეფანიანცი უმტკიცებს ქალაქის მოურავს, რომ ხუთში, ჩემ მიერ გასინჯულ ბოჭკაში, მარტო ერთი ბოჭკა გამოჩნდა, საცა მარტო სულ ორიოდე თევზი იყო წამხდარიო და კამმისია კი ამბობს: ამ ხუთში მარტო ერთი აღმოჩნდა ვარგისი და ოთხი წამხდარიო. რა იქმნა ის მაშინდელი ქალაქის მოურავის იზმაილოვსკის „доброкачественными“, ამას ნუღარ ვიკითხავთ. ბ-ნ სტეფანიანცმა დაინახა საჭიროდ დაწვა მარტო ერთის ბოჭკისა და კამმისიამ მთელის სამოცდაერთისა. რა ამბავია ეს?

დააკვირდით, ბატონებო, ამ ამბავსა! დააკვირდით, რა ძვირად ჰღირებიათ ამოდენა ხალხის ჯანმრთელობა და იქნება სიკვდილ-სიცოცხლეც „კულტუროსანთა“ დიპლომიან მკურნალებს. ჩვენ უამისოდაც ვიცოდით ჭეშმარიტი ფასი ცალიერ დიპლომისა და ეს კი, სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცოდით, რომ დიპლომიან ცოდნის უკან დევნაში შესაძლოა ადამიანს დახშოდეს ხორციელ თვალის ხედვა და ცხვირის ყნოსვა. აბა გულზე ხელი დაიდევით და ისე გვითხარით: ცოდნაა ის ცოდნა, რომელიც ხორციელ თვალსაც აბრმავებს და ცხვირსაც კი ყნოსვას უკარგავს. თევზი დამპალი და აყროლებულია თუ არა, ამისი შეტყობაც თუ არ შეუძლიან დიპლომიან ცოდნასა, სხვა რაღა უნდა მოეკითხოს. რომ პოლიციას ასე თავი არ გამოედო თვისდა სასახელოდ და სასანიტარო-სამკურნალო მკურნალებს თავისის სურვილისამებრ ჩაეფუჩეჩებინათ

ეს საქმე თავისდა სამარცხვინოდ, ეს 61 ბოჭკა დამპალი და აყროლებული თევზი რამდენს ცოდვას დაატრიალებდა ხალხში და, ვინ იცის, რამდენს ადამიანის სულს გამოასალმებდა ამ წუთისსოფელს.

ნურავინ ნუ გვიწყენს, რომ ამისთანა ამბით გულაღშფოთებულმა ვთქვათ: აბა, თუ არა იუდის კერძისაგან, შესაძლებელია ამ შემთხვევაში პირიდამ ამოუშვას: „ეს ხომ ტფილისისათვის არ არის დანიშნული, სხვა ქალაქებისათვისაო“. აქედამ ის გამოდის, სხვებისათვის თავს რად ავიტკიებო. გაგონილა!

რაცა ვთქვით, აქ ერთი იმისთანა სიტყვაც არ არის, რომ ოფიციალურ დოკუმენტებით არ დავამტკიცოთ, აქ ნაჩვენები საქციელი თვითონვე ჰოაღადებს თავისის თავისას და განმარტება საჭირო აღარ არის.

მარტო ეს გვაკვირვებს, რომ ეს დიდად საკეთილოდ განზრახული წესრიგობა, წესრიგობა დიდის სათნოებისა, ეს სასანიტარო-სამკურნალო დაწესებულება, რომელმაც მთელის ტფილისის ჯანმრთელობა, მისთა მკვიდრთა დღეგრძელობა და სიცოცხლე უშიშარ უნდა ჰყოს, რაც შეიძლება, ყოველგვარ განსაცდელისაგან, — სწორედ ეგ დაწესებულება ლამის შაუმოვებისთანა საქმე არ გამოჰფინოს კი, არ აღმოაჩინოს კი, არამედ უკვე გამოფენილი, უკვე აღმოჩენილი როგორმე ჩაფუჩეჩოს და კალთა გადააფაროს.

ყოველ ამას იმას დავუმატებთ, რომ ბ-ნი გონიევი თუ გონიანცი დღესაც ბედნიერია გამგეობის მიერ მინიჭებულ სამსახურით და დროებით აღმასრულებელი სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობისა ბ-ნი სტეფანიანცი უფრო მაღლა დაასკუპეს, ესე იგი ეხლა დროებით აღმასრულებელი კი აღარ არის, თვით ინსპექტორია. როგორ მოგწონთ „კულტუროსანთა“ ბრწყინვალე გამგეობა, რომელმაც ბ-ნ სტეფანიანცს ღვაწლი არ დაუკარგა და ასე დააჯილდოვა. ტფილისელებს ნუღარ გეშინიანთ ეხლა ნურაფრისა. გულმოდგინე კაცს აბარია სვე-ბედი თქვენის ჯანმრთელობისა და აქამდე თუ თვალთა ხედვა და ცხვირთა ყნოსვა არა ჰქონდა, ეგ იმიტომ, რომ დღემდე აღმასრულებელი იყო და за такое ограниченное жалование ან ერთს რად გამოიჩენდა, ან მეორეს. ეხლა სხვაა, ეხლა

თითონ არის ინსპექტორი. ნუღარც „ტრიხინიან“ ღორებისა გეშინებათ. უმთავრესი ზედამხედაობა ამაებშიაც იმავ ბ-ნს ინსპექტორს სტეფანიანცს აბარია და „კულტუროსანთა“ დიპლომიან მკურნალთა, რიღას შიშია?

ამისი პასუხი შემდეგ იყოს, როცა ბ-ნ არუთინოვის და „კულტუროსანთა“ მკურნალ ისპანდარიანცის ამბებს მოგითხრობთ.



პატარა საუბარი

შაუმოვის „ელდების“ სულის საცხონებელი ისტორია უკვე წაკითხული და მოსმენილი გექნებათ. ამ ისტორიიდამ დაინახავდით, რარიგი ომი გადაუხდია თავისს სასახელოდ ტფილისის პოლიციას, რომ ცუდკაცობა და ბოროტმოქმედება არ დამალულიყო და არ ჩაეფუჩეჩებინათ და მით ხალხი გადაერჩინა მოწამვლისა და მოშხამვისაგან. ისიც ვიცით, ვინ დაუდგა წინ პოლიციას ამ საქმეში და ვინ სცდილობდა მართალი პოლიცია გაემტყუნებინა და მტყუანი წამხდარი, დამპალი და აყროლებული თევზი გაემართლებინა. ეს წინააღმდეგი მართლისა და მოსარჩლე მტყუანისა გახლდათ, იცით, ვინ? იგი მთელის ქალაქის განსაცდელისაგან სახსნელად დაწესებულება, რომელსაც სასანიტარო-სამკურნალო ჰქვიან და რომლის პირველი და პირდაპირი მოვალეობაა სდევნიდეს ყოველს ბოროტმომქმედს ამისთანაებში და თვითონ პოლიციაც კი აფხიზლოს, რომ არავინ შემოაპაროს და სყიდოს ხალხის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მავნებელი ხორაგი და საჭმელ-სასმელი. პოლიცია ამჟღავნებს და აჩენს ამისთანა ბოროტმოქმედებას და სასანიტარო-სამკურნალოს მკურნალნი კი „კულტურისან“ გამგეობისა კალთას აფარებენ და ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობენ დამპალი და აყროლებული თევზი გაასაღებინონ შაუმოვსა.

დამარცხებული და აშკარად შერცხვენილი სასანიტარო-სამკურნალო „კულტურისნებისა“ გულს მაინც არ იტეხს: ამ სამარცხვინო ომში დამარცხებულ წინამძღოლებს ბ-ნებს გონიევს და სტეფანოვს ჯილდოებსაც აძლევს. აქ პირველისათვის ჯილდო ის არის, რომ თავის თანამდებობაზედვე დაარჩინეს, იქნება იმიტომაც, რომ ტფილისს ხათრი შეუნახა, რადგანაც აქ ბევრი „კულტურისანია“ და სხვა ქალაქელები მოიშხამებოდა თუ არა, იმისი ნაღველი სულაც არა ჰქონია, და მეორეს კი პიდაპირი ჯილდო მისცეს, დაამტკიცეს ინსპექტორად, იქნება იმიტომაც, რომ ამას არც ტფილისის ხათრი ჰქონია, არც არავის სხვისა, თავისიანებთან ერთად თანასწორად გულიდამ ამოუღია არათავისიანიც, ოღონდ კი შაუმიანცებმა მყრალი თევზი გაასაღონ და ყველა ერთნაირად წაახდინონ სომეხი და ქართველიცა. ამას უფრო დიდი ფარგალი დაუჭერია ხელში ამ შემთხვევაში და, რასაკვირველია, რომ დიდს ღვაწლს დიდი ჯილდოც მოეწყო და ეს ღვაწლი არ დაუკარგა ბრწყინვალე გამგეობამ „კულტურისნებისამ“. ბ-ნი სტეფანიანცი მიდგომით მაინც არ მოქცეულა ბ-ნ გონიევისამებრ. ბ-ნი გონიევი, რაკი დარწმუნებულა, რომ მყრალი და დამპალი თევზი ტფილისისათვის არ არის მოტანილი და სხვა ქალაქებისათვისაა, მარტო თავისიანები ტფილისისა შეჰბრალებია, და ბ-ნ სტეფანიანცს კი ერთნაირად გამოუმეტნია სომეხი და ქართველიცა, ოღონდ შაუმიანცებს ხელი წარემართოთ და ქონება შეიძინონ: ქონება ხომ კულტურის ნიშანია.

ეჰ, რაც არის, არის და კვლავაც იქნება კიდევ, თუ ღმერთი გაუწყრა ტფილისს და თავისს მკვიდრთა სვე-ბედი, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, სვე-ბედი თავისის მკვიდრთა სიკვდილ-სიცოცხლისა ხელახლად ამ „კულტურისანთა“ დასტას ჩააბარა. დიაღ, ეს სწორედ ჩვენის ცოდვის კითხვა იქნება, ჩვენზე ღვთის წყრომა და ღვთის რისხვა. დავანებოთ ამას თავი და მივენდნეთ ღმერთსა, სხვა გზა არ არის, რადგანაც დიდი ნიშნებია, რომ ტფილისელები თავის მოწამლვას დამპალისა და მყრალის თევზისაგან უფრო ადვილად ჰკისრულობენ, ვიდრე „კულტურისანთა“ დასტის გამგეობიდამ განდევნასა. შავი ჭირი მოდისო და ვშიშობთ, — და ამაზე მეტი სხვა ჭირიღა იქნება!

ჩვენ ყოველივე ეს გვათქმევინა აუცილებელმა შიშმა, ყელში მობჯენილმა ნაღველმა, რომ ჩვენ, ჩვენი ცოლ-შვილნი, ჩვენი მახლობელნი ხელახლად ჩავცვივით ამა სახელოვან დასტის ხელში და მათის წყალობით ვინ მოიწამლება აყროლებულის, დამპალის

თევზით და ამნაირივე ხორაგით — ეგ მარტო საიქიოს მოიკითხება. ჩვენ აქ ერთი სასაცილო ამბავი უნდა გვეამბნა და ამ შიშმა სიტყვა შორს წაგვაღებინა.

საქმე ის არის, რომ შაუმოვის „სელდების“ ისტორიაში ერთი რამ საოცარი ამბავი მოხდა. როცა კამმისიამ გასინჯა შაუმოვის თევზი და აღმოაჩინა 61 ბოჭკა წამხდარი, ამ აღმოჩენილს ზოგიერთი „კულტუროსანთა“ კაცი ეურჩა და არ იჯერებდა თურმე. აღმომჩენელთ, რომ სხვა გზა არ იყო, უჯერონი დაეჯერებინათ, მოიწვიეს გამვლელ-გამომვლელთაგან ორიოდე უცხო მუშა და იმათაც გაასინჯეს. მუშებმა დაამოწმეს თურმე, რომ თევზი წამხდარია. არც ამას დასჯერდნენ უჯერონი და ერთმა მათგანმა სთქვა თურმე: შორს რად მივდივართ, მეცნიერება გვეუბნება, რომ ეგრედ წოდებული ლაკმუსის ქაღალდი თევზის წვენში ამა და ამ ფრად შეიღებება, თუ წამხდარი არ არისო, — და დავეკითხოთ ამ უტყუარს მოწამესაო. მიიტანეს იგი ქაღალდი და ამოავლეს ერთს იმ ბოჭკის თევზის წვენში, რომელსაც ზოგი წამხდარად სცნობდა და ზოგი არა. ქაღალდი იმ ფრად შეიღება თურმე, რომელიც ნიშანია მითამ მარტო სიკარგისა.

წარმომიდგენია უჯეროთა სიხარული, რა ამბავში იქნებოდა! მაგრამ ბოლოს რა გამოვიდა ამ მეცნიერების მოწმად მოწვევისაგან, ამ მართლა-და უტყუარს მოწამეს რა ბუქნა ჩააბუქნებინეს, რომ შავი თეთრად ეჩვენებინა, — ჯერ ამას ვერ გამოვამჟღავნებთ და არც იმ „მეცნიერის“ სახელს დავასახელებთ, რომელმაც ასე გაბედვით მოიწვია მოწმად მეცნიერება და რაც ოინი მოახდენინა.

რა თქმა უნდა, ეს ამბავი კამმისიის ოქმში არ არის მოხსენებული და მინამ უტყუარს საბუთებს არ მოვაგროვებთ, იმ დრომდე ეს ამბავიც ჩვენში დარჩეს. და თუ ჩვენ აქ ეს ამბავი ჯერ მარტო ისე გაკვრით მოვიხსენიეთ, მხოლოდ იმისათვის, რომ იქნება ხსენებულმა „მეცნიერმა“ იმოდენა მოქალაქური ვაჟკაცობა იქონიოს, თვითონვე მოგვითხრას, — რა იყო და რა მოხდა და ჩვენ იძულებულ აღარ გვყოს ამისთანა სამწუხარო ამბებისათვის საბუთები მოგვეგროვებინა.

ისტორია არუთინოვის „ტრიხინებისა“ არანაკლებ საოცარია შაუმოვის “სელდების” ისტორიაზე. აქაც ყოვლად ბრწყინვალე გამგეობამ „კულტუროსნებისამ“ ინება და თვალი მაშინ გაახილა, როცა სხვამ და არა სასანიტარო-სამკურნალომ ღვთით ცხონებულ ტფილისისამ ამოაფრთხო ეს საქმე თავისს განსასვენებელ საბუდარიდამ. ამ საქმის მელაძუობას გამგეობამ ჯერ პირველში კუდში ხელის წავლება კარგა ღონიერად მოასწრო. ბოლოს კი რაღაც განგებით და სასწაულით ეს მელაძუობა ხელიდამ გაუსხლტა და თუმცა იქავ სოროში შეუძვრა, მაგრამ ნაწყვეტი კუდისა კი ხელთ შერჩათ ღვთისა და თქვენის წყალობითა.

ისტორია არუთინოვის „ტრიხინებისა“ გრძელია და ვრცელი. ჩვენ ვეცდებით მოკლედ ვთქვათ, ხოლო იმოდენად სავსებით კი, რომ ყველამ აშკარად დავინახოთ: — ხელში შერჩენილი ნაწყვეტი კუდისა რამსიგრძეა და დღესაც როგორ იქნევს ბოლოსა „საკულტუროდ“.

დავიწყოთ ისტორია იქიდამ, რომ სავეტერინარო ზედამხედველობა საყასბოსი და ერთობ სასანიტარო-სამკურნალო დადგენილ იქმნა 1892 წლის დეკემბერში. ყოველივე ეს იმიტომ დანახული იყო აუცილებელ საჭიროებად, რომ ამ სამინისტრო სამკურნალომ და მასთან ერთად სავეტერინარო ზედამხედველობამ უშიშარჰყო ტფილისელნი სხვათა შორის ავადმყოფ საკლავის ხორცისა და წამხდარ ხორაგისაგან და იმისთანა ღორის ხორცისა და ლორისაგან, რომელთაც „ტრიხინი“ აქვთ. „ტრიხინიანი“ ხორცი, ხომ მოგეხსენებათ, იმისთანა საშიშარია ადამიანისათვის, რომ ათში თურმე ორი ძლივა ჰრჩება სიკვდილისაგან, ისიც თუ დროზე უშველა თავს. 1893 წელსა „ტრიხინიან“ ღორების ხორცის, თუ ლორის, აღმოსაჩენად დასახულ იქმნა საყასბოსთან გაემართათ სამიკროსკოპო სადგური, რომ მიკროსკოპის შემწეობით ესინჯათ ხორცი, რადგანაც „ტრიხინი“ იმისთანა პაწიაა, რომ თვალით ვერ დაინახება.

დაარსდა ეს სამიკროსკოპო სადგურიცა. მთელი ეს მოწყობილება სასანიტარო-სამკურნალო და სავეტერინარო ზედამხედველობა მთელის თავისის მოსამსახურებით კარგა მოზრდილს ხარჯს მოითხოვდა, რასაკვირველია. 1893 წ. იმის სახარჯოდ გამგეობის მიერ გადადებულ და დახარჯულ იქმნა 13.364 მანეთი, 1894 წ. – 16.018, 1895 წ. – 18.658, 1896 წ. –21.760, აქედამ აშკარად სჩანს, რომ ხარჯი ყოველწლივ ჰმატულობს. ასე, რომ პირვანდელ 13.364 მანეთიდამ ავიდა 21.760 მანეთამდე. აშკარაა ამ ხარჯის მატებას უნდა მოჰყოლოდა მატება უშიშრყოფისა, რომ აი თანდათან შიში ხალხის ჯანმრთელობის წახდენისა და, – იქნება, – შიში ხალხის ხოცვისაც წამხდარ ხორაგისაგან, განელდება, კლებაში შევა, თუ სულ არ მოისპობაო.

ჩვენი საგანი რადგანაც დღეს მარტო ტრიხინების საქმეა, ჩვენ ვეცდებით უტყუარის საბუთებით დავასურათოთ ხსენებულ ხარჯის მატებამ რა ხეირი დააყარა ტფილისის მცხოვრებელთა და რამოდენად სძლია ტრიხინებსა. რომ ეს ნამდვილად შევიტყოთ, საჭიროა გამოირკვეს იმ დღემდე, როცა ეს სასანიტარო-სავეტერინარო ზედამხედველობა დაწესდა, რამდენად დიდი იყო ტფილისში შიში ტრიხინისა და ამ შიშმა რამდენად იმატა თუ იკლო მას შემდეგ.

ჩვენ ხელთა გვაქვს, საბუთი მარტო შესახებ 1890 წლისა და სხვა წინა წლებისა, სამწუხაროდ ჩვენდა, არ ვიცით. ამ წლიდამ კი 1892 წლის დეკემბრამდე, როცა ხსენებული ზედამხედაობა დაწესდა და დაიწყო თვისი მოქმედება ტფილისში, არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა ღორის ხორცში ან ლორში ტრიხინი აღმოჩენილიყო. მაგალითებრ, 1890 წელს 100 ლორი გაუჩხრეკიათ და იმათში სულ არ აღმოჩენილა ტრიხინი[1)/] მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და კიდევ 1891 და 1892 წლებშიაც უსინჯავთ და უჩხრეკიათ და, სასანიტარო მკურნალის ბ-ნი ვართანიანცის სიტყვით,

[1)/] იხ. Доклад управы об организации исследования свинных туш №747ш года 1893-го.

ჩვენებურ ღორის ლორებში უპოვიათ არამცთუ ф-ინი[1)/] /ქართულად „გვარი“ ჰქვიან/, არამედ ტრიხინიცა. თუმცა ბ-ნ ვართანიანცს ასე დაურწმუნებია „ტფილისის“ „კულტურისანთა“ საბჭო, მაგრამ 1891-1892 წლებში ტრიხინის ხსენებაც კი არ არის ამ წლების სიებში, რომელსაც ყოველ წლივ წარუდგენს ხოლმე სასანიტარო მკურნალი ტფილისის გამგეობას, ф-ინს კი იხსენიებს.[2)/]

პირველი ტრიხინიანი ღორი აღმოჩენილა მხოლოდ 1893 წლის დეკემბერში, ისიც მარტო ერთი შემთხვევა ყოფილა 6615 ღორში.

ამ სახით, გამოდის, რომ მინამ სასანიტარო-სამკურნალო და სავეტერინარო ზედამხედველობა დაწესდებოდა, ტრიხინისა თითქმის ხსენებაც არ ყოფილა ტფილისში, მართალია, 1890 წინა წლების ცნობანი არა გვაქვს, მაგრამ ამ წლიდამ თითქმის 1894 წლამდე ხომ უსინჯავთ, უჩხრეკიათ და არა აღმოჩენილა რა. თუ უწინაც ყოფილიყო, არ შეიძლება ამ სამოთხ წელიწადშიაც ტრიხინას თავი არ ეჩინა ერთხელ მაინც. თავი იჩინა მხოლოდ 1893 წლის დეკემბერში, ისიც მარტო ერთს შემთხვევაში 6615-ისაგან. ეს დავიხსომოთ: 1893 წ. ერთი ტრიხინიანი აღმოჩნდა 6615 ღორში ტფილისის საყასბოში.

1894 წელის იანვარში, ესე იგი, ერთი წლის შემდეგ, როცა ჩვენის ჯანმრთელობის პატრონი სასანიტარო-სავეტერინარო ზედამხედველობა დაწესდა, ანაზდად გატყვრა ტფილისის საყასბოში ათი ტრიხინიანი ღორი, თებერვალში – 15, მარტში – 3, აპრილში – 1,[3)/] სეკტემბერში – 1, ოკტომბერში – 4, ნოემბერში – 10, დეკემბერში – 12. ამ სახით, გამოდის რომ 1894

[1)/] „ф-ინი“ ანუ ქართულად „გვარი“ ისე საშიში არ არის, როგორც ტრიხინი

[2)/] იხ.. ведомость досмотра скота по городской бойн в течение 1891 года.

[3)/] უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ მაისიდამ ოქტომბრამდე ტფილისის საყასბოში ღორი აღარ იხოცება, თვითნ „კულტურისანთა“ მკურნალნი ამბობენ, რომ ღორის ხოცვა სეკტემბრიდამ იწყება. დეკემბერს, იანვარს და თებერვალში ძლიერდება და მერე კლებაშია და მაისში კი, ხან აპრილშიაც თავდება სრულიად.

წელს – 56 ტრიხიანი ღორი ყოფილა დაკლული ტფილისის საყასბოში.

1895 წლის იანვარში 18 ტრიხიანი ღორი აღმოჩენილა საყასბოში დაკლული, თებერვალში – 10, მარტში – 2, სეკტემბერში – 5, ოკტომბერში – 8, ნოემბერში – 12, დეკემბერშიც – 12, სულ 67 ტრიხიანი ღორი.[1)/]

რომ ცხადად იყოს ყველაფერი და თვალწინ და შევიტყოთ რამოდენად უბარტყნია ჩვენში ტრიხიანს ღორს იმ დღიდამ, როცა სასანიტარო-სამკურნალო და სავეტერინარო ზედამხედველობა ჩვენდა საკეთილ-დღეოდ დაუწესებიათ, საჭიროდ ვხედავთ შემდეგი სქემა აღვნიშნოთ, საცა ვაჩვენებთ რა წელიწადში რამდენი ღორი დაკლულა და იმათში რამდენი ტრიხიანი ღორი ყოფილა.

წელიწადი	დაკლული ღორი	ტრიხინიანი
1893	15410	1
1894	16637	56
1895	15475	67
1896	17558	54[2)/]

ამ სახით, გამოდის, რომ მატებას ზედამხედველობის ხარჯისას ამაოდ არ ჩაუვლია. თუ გასავალს უმატნია, შემოსავალიც არ ჩამორჩენილა უკან: სულ ერთი ღორი ჰყოლიათ 1893 წელს ტრიხინიანი და ეს ერთადერთი ტრიხინიანი ღორი 1894 56-ად და 1895

[1)/] ეს ცნობა სულ თვითონ „კულტუროსანთა“ გამგეობის სიგელებიდამა გვაქვს ამოღებული. იხ. Ведомость досмотра скота на городской бойн за 1894 и 1895 г.г. და სხვა სარწმუნო წყაროებიდამ.

[2)/] ნუ გაგიკვირდებათ, რომ ეგრე მატებით სვლამ ტრიხინიანის ღორებისამ უცბად 1896 წელს ეგრე ძირს დაიწია, თუმცა დაკლულის ღორის რიცხვმა ამ წელს იმატა სხვა წინა წლებზე, ამას თავის მიზეზი აქვს და თავისს ადგილას და თავისს დროზე დავინახავთ და აი ძაღლის კუდიც აქ არის დამარხული სხვათა შორის.

წელს 67-ად უქცევიათ. მეტი გაძლიერებაღა იქმნება შემოსავლისა ერთი ორმოცდათექვსმეტად და სამოცდაშვიდად აქციოს კაცმა! აი „კულტურაც“ ამასა ჰქვიან.

რის „კულტურაო“? იკითხავთ. „კულტურა“ ტრიხინისა. დიახ, ტრიხინის გამრავლებასაც „კულტურა“ ჰქვიან, ანუ როგორც რუსები იტყვიან: „Культивирование трихины“.

საიდამ დაიწყო ამ „კულტივიროვანიემ“ და როგორ შეიმოსა ძლევით, ამას მერმედ მოგახსენებთ. ამას კი გთხოვთ, იცოდეთ, რომ ყოველ იმისი, რაცა ვსთქვით, უტყუარი საბუთებით დამტკიცება შეგვიძლიან.

ტფილისი, 3 მაისი

ჩვენ წინა წერილში[*)] ვაჩვენეთ, რამოდენად ჰბარტყობდა ჩვენში ტრიხინა იმ დღიდამ, რა დღიდამაც დაიწყო თვისი მოქმედება სასანიტარო-სავეტერინარო ზედამხედველობამ "კულტუროსანთა" მკურნალთა ხელში. დაკლულის ღორის ანგარიშის კვალობაზე რომ ავიღოთ რიცხვი ტრიხინიანებისა, გამოდის:

1893 წ. – 0,006 %
1894 წ. – 0,3 % ცოტა მეტიც,
1895 წ. – 0.4 % ცოტა მეტიც,
1896 წ. – 0,3 % ცოტა მეტიც.[1/]

მატება ტრიხინიანის ღორისა აშკარაა და დაუჯერებელი, თუმცა ეს ციფრები ჭეშმარიტია. 1893 წელს საყასბოში დაკლულ ასი ათასს ღორში მოდის ექვსი ტრიხინიანი, 1894 წ. ათასზედ – სამზე მეტი, 1895 წელს ათასზე ოთხზე მეტი და 1896 წელს ათასზე – სამზე მეტი.

ასეთმა მატებამ მიიქცია ყურადღება მთავრობისა და არც შესაძლოა არ მიექცია, მით უფრო, რომ ტფილისის სამკურნალო ნაწილს გუბერნიის გამგეობისას ყოველ წლივ მისდის სია, საცა ნაჩვენებია

[*)] „ივერია“ № 85

[1/] ეს მეტები აღარ მოგვყავს, მეტად წვრილი ნაწილებია და ციფრების აჭრელებას ვერიდებით, თუმცა მათი დამატება უფრო აძლიერებს საბუთს ჩვენის დასკვნისას.

სხვათა საკლავთა შორის რამდენი ღორი დაკლულა საყასბოში და და იმათში რამდენი ღორი აღმოჩენილა ტრიხინიანი. ამ მიზეზით, თუ თავისის საკუთარის თაოსნობით, გუბერნიის მკურნალი ბ-ნი ქიქოძე, როგორც მთავრობის კაცი, ერთს მშვენიერს დღეს 1896 წლის მარტში წასულა საყასბოს დასათვალიერებლად და უნახავს, რომ იქავ საყასბოს ახლოს დგანან ზოგიერთი ყასბები, რომელნიც ღორსა ჰხოცვენ და ლორებს ამზადებენ და ჰყიდიან. ყველაზე ახლო მდგარი კევორქა, თუ გეურქა არუთინოვი, რომელსაც თურმე საკუთარი სახლი ჰქონია და ბ-ნ ქიქოძეს მოუსურვებია ყველაზე უწინ აქ გამოეკითხა, აქვთ თუ არა ღორის ხორცი და ლორები.

თვითონ არუთინოვი შინ არ დახვედრია და ცოლი და მამა გამოსულან. ბ-ნ ქიქოძეს უკითხავს: ხომ არა გაქვთ სადმე ღორის ხორცი ან ლორებიო? უპასუხნიათ – არაო. აბა საკუჭნაო გააღეთო, უბძანებია და არუთინოვის ცოლი და მამა ჯერ უარზე დამდგარან, რადგანაც თვითონ პატრონი შინ არ არის და გასაღებიც არა გვაქვსო. მერე კი, როცა ბ-ნ ქიქოძესთან ყოფილს პოლიციის ბოქაულს უთქვამს, კლიტეს გავტეხ, თუ თქვენის ნებით არ გააღებთო, უკადრიათ და გაუღიათ საკუჭნავო.[1] საკუჭნაოში აღმოჩენილა სამი ბოჭკა მარილში ჩადებული ღორის ხორცი. ამოუღიათ ხორცი და უნახავთ სხვადასხვა ნაჭერი ღორის ფეშხვისა და სხვათა შორის 32 ლორი /Окорок/, რომელსაც არა ჰქონია დამღა ქალაქის საყასბოსი, და ექვსი კი დამღიანი ყოფილა. ბ-ნ ქიქოძეს ერთი უდამღო ლორი გაუსინჯავს საცდელად და იგი ტრიხინიანი აღმოჩენილა. ბ-ნ ქიქოძეს დაუბეჭდია ეს ტრიხინიანი ლორი და რადგანაც გვიან ყოფილა და სხვების გასინჯვა ვეღარ მოუსწრიათ, სულ, რაც ლორები უპოვიათ არუთინოვის საკუჭნაოში, ბ-ნ ქიქოძეს ჩაუბარებია პოლიციის ბოქაულისათვის, შეუკვეთნია გადიტანოს იქავ საყასბოს სამიკროსკოპო სადგურში და იქ შეინახოს

[1] არ ვიცით, ეს ამბავი სადმე მოხსენებულია თუ არა და ნამდვილი კია და ყოველ ეჭვგარეშე.

ხელუხლებლად, ვიდრე ახალს განკარგულებას მიიღებდეს.[1]

მეორე დღეს, თუ ცოტა მერმედ, ეს 32 ლორი, ნაპოვნი არუთინოვის საკუჭნაოში, გასინჯული იქმნა მიკროსკოპის შემწეობით და 32 ლორში აღმოჩნდა 22 ტრიხინიანი, რომელიც შეადგენს 68 $^3/_4$ %

$$\frac{22 \times 100}{32} = 68^3/_4\ \%$$

, თუმცა ოქმებში კი ნაჩვენებია 65%, ისევე ამ რიცხვებიდამ გამოყვანილი.

ადმინისტრაციამ, რაკი შეიტყო ბ-ნ ქიქოძესაგან ეს ამბები, მაშინვე აცნობა ტფილისის მოურავსა და, რა უჩვენა ნაკლულევანება ტფილისის საყასბოსი და სავეტერინარო ზედამხედველობისა, აღნიშნა, ტფილისის საყასბო აღმოჩნდა ტრიხინების გამრავლების ბუდედაო. ამასთანავე დაავალა მიეღო ზოგიერთი ზომა წესისა და რიგის ჩამოგდებისათვის. აქ ფრიად შესანიშნავია ერთი გარემოება და ვთხოვოთ მკითხველებს, ყურადღება მიაქციონ და კარგად დაიხსომონ. საქმე ის არის, ადმინისტრაციას მიუწერია ზემოხსენებულ ამბებთან ერთად, რომ, თუ ვინიცობაა, სავეტერინარო ზედამხედველობისათვის კაცები ნაკლები გყავთ და ვერ ასდიან თავისს საქმეს, ადმინისტრაცია მზად არის თავისი ვეტერინარები მოგაშველოთო. იქნება გეგონოთ, რომ ბრწყინვალე გამგეობას „კულტურისანებისას“ ამისთანა გულმოდგინებისათვის მადლობა შეუთვლია და სიხარულით მიუღია ასეთი შველა და შემწეობა ადმინისტრაციისა? ნურას უკაცრაოდ. გამგეობას დაუდგენია: ცნობილ იქმნას, რომ საჭირო არ არის შევაწუხოთ მთავრობის ვეტერინარებიო, ჩვენებიც საკმაონი არიანო.[2]

გამგეობამ მოსთხოვა ცნობანი სავეტერინარო ზედამხედველობის უფროსს ისპანდარიანცსა და მიიღო რა ეს ცნობანი, დაწვრილებით გამოკვლევა გეურქა არუთინოვის ტრიხინებისა დაავალა გამგეობის წევრს

[1] ეს უტყუარი საბუთით შეგვიძლიან დავამტკიცოთ.

[2] როგორც ეს ამბავი, ისეც დანარჩენი სხვები, რაც ქვევით იქმნება, უტყუარ საბუთებზეა დამყარებული.

ბ-ნს ხოსროევს. ბ-ნმა ხოსროევმა უარი სთქვა და იცით, — რა საბუთით? მე სავაჭრო-სამეურნეო /торгово-хозяйственная/ პოლიცია მაბარიაო და რადგანაც არუთინოვს სხვათა შორის ბრალი ედება, რომ ჩუმად უხოცნია ღორი და ეს საგანი საკუთრივ მე მექვემდებარებაო, ამიტომაც შეუსაბამოდ /неудобным/ მიმაჩნია ჩემს ხელქვეითებს მოხელეებზე გამოძიება მევე მოვახდინოო და ვთხოვ გამგეობასა დადგენილება თავისი გააუქმოს და სხვა წევრს გამგეობისას დაავალოსო. ეს საბუთი შეუწყნარებია გამგეობას, გაუუქმებია პირვანდელი განაჩენი თვისი და ახალის განაჩენით, გამოძიება დაუვალებია ბ-ნ ივანენკოსათვის.

ჩვენ არ ვიცით, იქნებ მართლა შეუსაბამო იყოს, უფროსმა მოხელემ უმცროსს საქმეები და მოქმედება გაუსინჯოს, ანგარიში მოქმედებისა მოჰკითხოს, ავკარგიანობა გამოუძიოს. ჩვენ ამაზე ვერას ვიტყვით, იმიტომ, რომ „უკულტუროთა“ თესლის კაცნი ვართ, ჩვენ „კულტურა“ ძილში გაგვეპარა იქნება ამ ახალმოდურმა „კულტურამ“ ეს პირდაპირი ვალდებულება უფროსის მოხელისა გარდასცვალა, ან გააუქმა და ჩვენ სად დავინახავდით? ხოლო ეს კი უეჭველია, რომ „კულტუროსანთა“ გამგეობა იმ მართლა და შეუსაბამო მოძღვრების მიმდევარი და მორწმუნე ყოფილა, რომ უფროსის მოხელისათვის შეუსაბამობაა სინჯვა და ძიება უმცროსის მოქმედებისა.

ჩვენ კი ამ „კულტურა“ მოკლებულებს, დღესაც გვგონია, რომ უფროსს მოხელეს არავინ დაემდურება, რომ სხვისაგან დაუვალებლადაც მოქმედება თვისის ხელქვეითისა განიკითხოს. უკან ჩამორჩენა იქნება და ასეთი. მართალნი არიან „კულტუროსანთა“ გაზეთები: ძალიან ჩამოვრჩენილვართ ჩვენ, ქართველნი, „კულტუროსანთა“ მიერ ქადებულს და მოტანილს „კულტურას“!.

ბ-ნი ივანენკო რუსია და ნეტა რუსი რომ არ ჰყოლოდათ, გამოძიებას „კულტუროსან“ არუთინოვის საქმისას, საცა „კულტუროსანთავე“ მკურნალნი ჰფუსფუსებენ, ვინ იკისრებდა დანარჩენ გამგეობის „კულტუროსან“ წევრთა შორის? რა თქმა უნდა, და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ ამისთანა წევრნიც

აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ ეს წყეული საკითხი, გინდა თუ არ გინდა, ენის წვერზე დაეკიდება კაცს, ყოველ ამის გამგონსა, აშკარაა, უმიზეზოდ და უსაბუთოდ კი.

ბ-ნმა ივანენკომ იკისრა და შეუდგა გამოძიებას. გამოძიება, რომელიც ბ-ნმა ივანენკომ წარუდგინა გამგეობას და მერე გამგეობამ საბჭოს, საკმაოდ საფუძვლიანი გამოძიებაა, იმოდენად საფუძვლიანი, რომ ნასკვი საქმისა დასანახავ იქმნა და საბჭოში, როცა იგი გამოძიება მოახსენეს პირველად, არა ერთმა და ორმა ხმოსანმა საკმაოდ დაინახა საქმე პროკურორს გადაეცეს. გამოძიება ბ-ნის ივანენკოსი ჩვენ ხელთა გვაქვს. ჩვენ იგი საკმაოდ საფუძვლიანად ვიცანით, რადგანაც „მართალი“ ბოროტმოქმედებისა, როგორც „ფაქტი“, უეჭველად დადგენილია. დადგინდა ადმინისტრაციის დასკვნა, რომ ბუდე ტრიხინების ბღარტობისა სწორედ ტფილისის საყასბო ყოფილა. ამ გამოძიებას მხოლოდ ერთი ნაკლულევანება შევნიშნეთ: ბოროტმომქმედი ვერ გამოაჩინა. ბოროტმომქმედი დაიკარგა ოთხ სულიერთა შორის: ერთი ბ-ნი ისპანდარიანცია, უფროსი სავეტერინარო ზედამხედველობისა, მეორე ტერ-სიმონიანცი, მესამე გეურქ თუ კევორკ არუთინოვი და მეოთხე იცით ვინ? სასაცილოა სათქმელად: თაგვები! დიახ თაგვები, საყასბოს თაგვები, რომელთ ხსენებაც არ არის ბ-ნ ივანენკოს გამოძიებაში. თაგვები აქ რა სახსენებელიაო, იკითხავთ? მერე ჰნახავთ რა სახსენებელიც არის. ეხლა კი ამას ვიტყვით: ეგ თაგვების მონაწილეობა რომ სცოდნოდა ტფილისის „კულტუროსანთა“ საბჭოს მთელი ერთი წელიწადი არ გააჭიანურებდა ამ საქმეს და იმ მოძღვრობით, რომ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, ამ თაგვებს გადააბრალებდა ყველაფერს და სახელოვანს ტრიხინის საქმეს არუთინოვისას პირველჯერვე, ესე იგი, შარშანვე ჩაილურის წყალს გაატანდა და აღარ მოუნდებოდა წელს, ამ ერთის კვირის წინ, დაედგინა: დავიწყებას მივცეთო. ჩვენ ვირჯებით ვითარცა პირუთვნელი და მიუდგომელი მკვლევარი საქმისა და ეხლახნის დადგინებას საბჭოსას ხელჩასაჭიდებელი და გასამართლებელი საბუთი მოვუნახეთ და ვუპოვეთ კიდეც. თუ რომი, დიდი რომი, ბატებმა დაიხსნეს, ტფილისის საბჭო რომ თაგვებმა დაიხსნან —

რასაკვირველია, ან სათაკილო და სასაცილო რად უნდა იყოს!

ბოდიშს ვიხდით, რომ ამ საოცარს საქმეს ტრიხინებისას ესე წვეთ-წვეთად ვაწვდით მკითხველს. ჯერ ისტორიის დასასრული კარგა შორს არის და ვეცდებით ამ ერთს კვირაში გავათავოთ.

ტფილისი, 7 მაისი

ჯერ მინამ ბ-ნ ივანენკოს ნაძიებს გამოვაქვეყნებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ ყოველთ უწინარეს ზოგიერთი რამ, ურომლისოდაც ძნელია კაცმა აზრი რამ შეადგინოს სავსებით შესახებ არუთინოვის ტრიხინების საქმისა. ამ მიზეზით ნუ დაგვემდურებიან, რომ ჩვენს დღევანდელს წერილს ცოტა შორიდამ დავიწყებთ.

ტფილისის საბჭოს დადგენილი აქვს — ვინ და რა წესით უნდა განაგებდეს სავეტერინარო ზედამხედველობას ტფილისის საყასბოისას. ამ დადგენილებიდამ სჩანს, რომ ქალაქის საყასბოს ზედამხედაობა აბარია სავეტერინარო მკურნალს ისპანდარიანცსა და მას ახლავან: ა/ თანაშემწე მისი სავეტერინაროვე მკურნალი, ბ/ ორი საყასბოს შემოსავლის ამკრები, გ/ ფერშალი, დ/ ყარაული საყასბოსი.

მეოთხე მუხლი ამ დადგენილებისა ამბობს, რომ როცა თვალად ისინჯება მორეკილი საკლავად საქონელი ფეხზე, ან დაკვლის დროს, ანუ, როცა ისინჯება უკვე დახოცილიცა თანადასწრება ორის სავეტერინარო მკურნალისა და ყველა სხვათა საყასბოსთვის დანიშნულ მოხელეთა სავალდებულოა. ამ სინჯვის დროს საყასბოს გამგებელი /ამ შემთხვევაში ბ-ნი ისპანდარიანცი/ ანაწილებს მოხელეთა შორის საქმესა, რომელიც უნდა სწარმოებდეს მაინც მისდა პირდაპირ ზედამხედაობის ქვეშ.*

* თავისის სიტყვით ნაამბობი ყოველთვის მიზეზიანი რამ არის. რომ არავინ შეგვწამოს გადასხვაფერება ამ მეოთხე მუხლისა, იგი სიტყვა-სიტყვით მოგვყავს რუსულად:

„Во время наружного осмотра скота, убоя, осмотра туш и проч. присутствие (не исключая и праздничных дней) двух ветеринарных врачей и прочих служащих при боине о б я з а т е

მეშვიდე მუხლი ამბობს, რომ უვარგისი ხორცი, ან ნაჭრები, მთელი დაკლული უნდა მოსპობილ იქმნას. რა გზით? ამის პასუხს იძლევა სხვა განაჩენი საბჭოსივე, რომელსაც ჰქვიან: სავალდებულო დადგენილებანი შესახებ ღორის ხორცის გასყიდვისა: სნეულიანი /Зараженныя туш/ ხორცი ცეცხლში უნდა დაიწვასო.

ქალაქის ხარჯთაღრიცხვაში ცეცხლში დაწვის ხარჯად ყოველწლივ დანიშნულიყო ორმოცი თუმანი.

მაშ დავიხსომოთ: ბ-ნს ისპანდარიანცს ნება არ ჰქონია მარტოდ მოეხდინა სინჯვა საკლავისა, თუ დაკლულისა, ღორი იქნებოდა, ძროხა, თუ სხვა საკლავი რამ. თანადასწრება სხვა მოხელეთა სავალდებულო ყოფილა, რაც როცა სინჯვაა. ეს ერთი.

მეორე ისა, რომ თუმცა ბ-ნს ისპანდარიანცს ნება ჰქონია საქმე გაენაწილებინა მოხელეთა შორის, მაგრამ თითონ სინჯვა კი არა, არამედ ყოველივე ის, რაც სინჯვისათვის საჭიროა, მაგალითებრ, წესი, რიგი და ჯერი საკლავის სასინჯავად მორეკისა, რომ ერთი მეორეს არ შერევოდა, აღნუსხვა მორეკილის საკლავისა, გასინჯულისა, უვარგისად, ანუ ვარგისად ცნობილისა და სხვა ამგვარი, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც სინჯვისათვის სათანადო და საკუთნოა და რაც მისს ვითარებას და გარემოცულობას, მზადებას შეეხება. თვითონ სინჯვა კი საერთო თანდასწრებით უნდა მომხდარიყო უსათუოდ.

მესამე ის, რომ უვრგისი ხორცი, ან სნეულის პირუტყვისა უსათუოდ უნდა ეწვათ ცეცხლში და ამის სახარჯოთ ორმოცი თუმანი იყო დანიშნული ყოველწლივ.

ბ-ნ ივანენკოს გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ღორის ხორცის და ფეშხოების სინჯვა ერთხელ და სამუდამოდ დაუჩემებია საკუთრად ბ-ნს ისპანდარიანცსა და ამ სინჯვისაგან დაუთხოვნია ყველა სხვა მოხელენი. ამასვე ამტკიცებს თვითონ ისპანდარიანცი თავისს პასუხებში, რომელიც მიუცია, ვგონებთ, ბ-ნ ივანენკო-

л ь н о . При чем работа распределяется между всеми служащими заведивающим бойнями и производится под непосредственным его надзором “.

სათვის. ვამბობთ, „ვგონებთო“ — იმიტომ, რომ ამ პასუხს ზედ აწერია: Об’яснение, და არა სწერია კი ვის აძლევს „Об’яснение“-ს და არც თარიღია აღნიშნული, რა დროს მიუცია, თუმცა აშკარაა, რომ არუთინოვის ტრიხინების გამოა იგი დაწერილი.

ბ-ნი ისპანდარიანცი ამ „Об’яснение“-ში ასე მართლულობს თავსა: საქმე სავეტერინარო ზედამხედველობისა მეტად რთულია და ბევრიო და ამიტომ მე მივინდე საკუთრივ საკლავისა და დაკლულის ღორის სინჯვაო და სხვა ნაწილში ზედამხედაობისაო, სხვა საკლავების და დაკლულების სინჯვა სხვა მოხელეებ შორის განვანაწილეო. ჩვენ კი ვიტყვით, სინჯვა ღორისა იქნებოდა თუ სხვა საკლავისა, საბჭოს დადგინების მეოთხე მუხლის ძალით, ცალკ-ცალკე არავის უნდა მიჰნდობოდა და დაეჩემნა: სინჯვა უსათუოდ ერთმანეთის თანდასწრებით უნდა ყოფილიყო და არა ერთს ღორის სინჯვა დაეჩემებინა და მეორეს სხვა პირუტყვისა.

ესე მართლულობს თავს ბ-ნი ისპანდარიანცი 1896 წელს, როცა არუთინოვის ტრიხინების საქმემ გამოჰყო თავი, ხოლო 1894 წლის ანგარიშში კი, რომელიც საცა ჯერ არს წარუდგენია, ირწმუნება, რომ თუმცა საყასბოს გამგებელისაგან /ესე იგი, თვითონ ისპანდარიანცისაგან/ საქმე განაწილებულ იყო მოხელეთა შორის, მაგრამ დაკვლასა და სინჯვას კი ყველა მოხელენი უნდა დასწრებოდნენ ყოველ დღეს, თუნდ უქმე ყოფილიყოო. აშკარაა, ბ-ნ ისპანდარიანცს პირველში მეოთხე მუხლის ძალა საბჭოს დადგენილებისა ზედმიწევნით გაგებული ჰქონია 1896 წლამდე და მერე კი ეგ ზედმიწევნით გაგება სადღაც გაფრენილა, საბჭოს დადგენილება გაუუქმებია და თავისი საკუთარი წესი შემოუღია საბჭოს ნებადაურთველად.

ხორცი უვარგისად ცნობილი და მათ შორის ტრიხინიანი და ფინიანი ღორები იშვიათად უწვავთ /ჩვენება გოროდოვოისა/, ტრიხინიანი და ფინიანი დაკლული ღორი უძლევიათ საპნის მხდელებისათვის და იმათ ხარშვით უნდა გამოეცვლევინათ თურმე ქონი. ამას თვითონ ბ-ნი ისპანდარიანციც ამტკიცებს, ხოლო ხსენებულს 1894 წლის ანგარიშში კი ირწმუნება, რომ

„Зараженныя туш“ და. მაშასადამე, ტრიხინიან და ფინიანს ხორცს ღორისას სულ მთლად ვწვავდიო. ბოლოს, როცა არუთინოვის საქმის გამო კითხულ იყო, იგივე ისპანდარიანცი ამბობს, რომ დაწვას ვერ ვახერხებდიო, ხან წვიმა-ავდარი გვიშლიდა და მერე იმიტომ, რომ ამისათვის ჯეროვანი მოწყობილება, მაგალითებრ, საწვავი „ფეჩი“ არა გვქონდა და არც დახურული ადგილიო. ამიტომ უფრო სახერხოდ დავინახეო, ამბობს ბ-ნი ისპანდარიანცი, ტრიხინიანი და ფინიანი ხორცი ღორისა საპნის ქარხნებში მეძლია ქონის სახდელად. ეს ქარხანაში ძლევა ღორის ჭირიან ხორცისა გამოძიებითაც დამტკიცდა.

ხოლო საკითხავი ეს არის: რა უფლებით შესცვალა ისპანდარიანცმა იგი წესი ჭირიანის ხორცის სპობისა, რომელიც პირდაპირ ავალებდა ცეცხლით დაწვასა? ეს ერთი. მეორე ის, რომ თუ არა სწვავდა, 1894 წლის ანგარიშში რად არწმუნებდა თვისთა უფროსთა, რომ ვწვავო? მესამე ის, რომ თუ სწვავდა, რატომ მაშინ არ უშლიდა წვიმა და ავდარი, ანუ ის გარემოება, რომ დახურული ადგილი, ან „ფეჩი“ არა ჰქონდა?

„კულტუროსანთა“ ბრწყინვალე გამგეობამ მოჰკითხა პასუხი ამ „იყო და არა იყო“-სი სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს ბ-ნს სტეფანიანცს, რომელსაც უმაღლესი ზედამხედაობა ამაებისა აბარია, სხვათა შორის, — ეს როგორი ამბავია, ისპანდარიანცი თავისს ანგარიშში და თქვენსაში გვარწმუნებთ, რომ ტრიხინიანი და ფინიანი ღორების ხორცს ვწვავდითო და ბოლოს კი გამოჩნდა, რომ არ უწვავთ და საპნის ქარხნებში უძლევიათ ქონის გამოსაცლელადაო.

ბ-ნი სტეფანიანცი ამაზე ძალიან მოკლე პასუხს იძლევა, როგორც მოგეხსენებათ კანცელიარულ მიწერ-მოწერის ამბავი, ოღონდ ქაღალდი თავიდამ მოვიშოროო. მეო, ბძანებს ბ-ნი სტეფანიანცი, ჩემი ანგარიში დავამყარე ბ-ნ ისპანდარიანცის 1894 წლის ანგარიშზედაო და არავითარი საბუთი არა მქონდა ეს მისი ანგარიში არ დამეჯერაო. ბ-ნი ისპანდარიანცი არა ერთხელ მარწმუნებდა სიტყვით და ხან, თუ საყასბოში ვიქნებოდი და ჩემს იქ ყოფნის დროს სწვავდნენ უვარგისად ცნობილ ხორცსა, მეც თვითონ ჩემის

თვალით მინახავს ეს წვაო. ამასთან ისპანდარიანცის ანგარიშში საუბარი 1894 წლის ამბებისა არისო და ეს ამბები კი, რომ არ უწვავთ, 1895/6 წლებს ეკუთვნისო. ამითი გაათავა ბ-ნმა სტეფანიანცმა თავისი საუცხოვო პასუხი.

რა თქმა უნდა, არავინ უთხრა ბ-ნს სტეფანიანცს: ვთქვათ ეგრეც იყოს, როგორც ბძანებთ, ხოლო რომ გვარწმუნებთ დავდიოდი საყასბოში, ერთხელ მაინც როგორ არ შეჰნიშნეთ ეს უცნაური „იყო და არა იყო რა“ და არ შეგვატყობინეთ, რომ ბ-ნი ისპანდარიანცი გადასულა ჩვენს დადგენილებას და სხვა თავისი წესი შემოუღია წამხდარის ხორცის მოსპობისათვის ცეცხლით დაწვის მაგიერ? თუ ბ-ნმა ქიქოძემ და მერე ბ-ნმა ივანენკომ პირველ მისვლაზევე შეიტყეს იმოდენა ამბები, თქვენ ხომ რამდენჯერმე ჰყოფილხართ საყასბოში და რას აკეთებდით, როცა დადიოდით, თუ არაფერი გითვალიერებიათ, არაფერი მოგიკითხავთ, არაფერი გინახავთ, არაფერი გაგიგონიათ და არაფერი გიძიებიათ? და თუ გიძიებიათ, ის მაინც როგორ არ შეჰნიშნეთ, რომ გაფუჭებული, უვარგისი ხორცი, დადგენილებისამებრ, არ უწვავთ და სადღაც საპნის ქარხანაში უძლევიათ და თუ შეჰნიშნეთ, რატომ ერთხელ მაინც არ გვაცნობეთ ჩვენმიერ დადგენილის წესის შეშლა? პირიქით, ეხლაც გვეუბნებით, როცა კი საყასბოში ჰყოფილხართ და იმ დროს წვა ყოფილა, ე“ წვა ჩემის თვალით მინახავსო.

მართალია ეს „როცა” და „იმ დროს“ იმისთანა სახედარია, რომ „ჰოსაც“ აჰკიდებს კაცი და „არასაც“ იმისდა მიხედვით — რა დროს რაა საჭირო, მაგრამ მაინც სანატრელია ვიცოდეთ: რამდენჯერ ყოფილა საყასბოში ბ-ნი სტეფანიანცი, რა უძიებია და რამდენჯერ დასწრებია ჭია-კოკონას? ეს გამოძიებული არ არის და, როგორ გგონიათ, არა ღირდა გამოსაძიებლად, რომ შეგვეტყო სავეტერინარო ზედამხედველობას ვინ ადევნებდა თვალს და როგორ?

ეჰ, რაც არის, ამას ნუღარ გამოვეკიდებით: წარსული საქმეა და ერთის კვირის წინად დავიწყებას მიცემული „კულტუროსანთა“ გულტკბილ საბჭოსაგან. ხოლო მეტი არ იქნება ვიკითხოთ: თუ როგორც ისპანდარიანცი და ამასთან გამოძიებაც ამბობს, ტრიხინიანი და ფინიანი ღორი საპნის ქარხანაში მიდიოდა და დაუწვავად ისპობოდა თუნდა მარტო იმ 1895/6 წლებში, რომელთაც ბ-ნი სტეფანიანცი გვანიშნებს, ჰრჩებოდა რამ ეკონომიაში იმ ორმოცის თუმნიდამ, რაც დასაწვავ ხარჯად გადადებულ იყო ყოველ წლივ და თუ ჰრჩებოდა, რა იქნა ასეთი გულმოდგინებული ეკონომია?

მართალია, ეს ფული დიდი არაფერია, მით უფრო, რომ ცალკე კაცის ჯიბიდამ, ხომ არ გადის და ვინ გაედევნებოდა უკან, სად მიდის და სად იკეთებს ბინას? ეს ფული ქალაქისაა და ქალაქის ფული აქეთ-იქით ორმოც-ორმოც თუმნობით ფანტვა რა სათქმელია და მერე მისი მოკითხვა რა საკადრისია „კულტუროსანთა“ საბჭოსა და გამგეობისათვის! მაგრამ მაინც სასურველია ვიცოდეთ: რა ჭკუასა სწავლობდა ეს ორმოცი თუმანი, ან მისი მეტ-ნაკლები, თუ რისთვისაც იყო უმთავრესად გადადებული, იმას არა ჰხმარდებოდა და მუქთად კეთდებოდა მესაპნეთაგან?

ეხლა დავუბრუნდეთ ბ-ნ ივანენკოს გამოძიებას. ჩვენა ვნახეთ, რომ გუბერნიის მკურნალის ბ-ნ ქიქოძის მიერ მიკროსკოპით გასინჯულმა ღორის ხორცმა არუთინოვის საკუჭნაოში აღმოაჩინა 32 ფეხ-ღორში 22 ტრიხინიანი, ესე იგი, 68 $^{3}/_{4}$% და არა 65%, როგორც შეცდომით ნაჩვენებია ამის შესახებ სიგელში. ბ-ნს ივანენკოს თავისი გამოძიება აქედამ დაუწყვია და ამბობს, რომ თვითონ საყასბოს ცნობებიდამ კი აღმოაჩნდაო, რომ გარედ მორეკილ ღორებისაგან ტრიხინიანი ღორი 0,23%-ია და იმ ღორებისაგან კი, რომელიც იქავ საყასბოსთან უსუქებიათ და მერე უხოცნიათ 15%. ამ ციფრების მიხედვითაც მატება და ვრცელება ტრიხინისა უნდა მიეწეროს ტფილისის საყასბოსა, რადგანაც სხვაგნიდამ მორეკილ ღორში თითქმის ხუთასზე მარტო ერთი ტრიხინიანი ღორი მოდის და საყასბოსთან გასუქებულ და მერე დახოცილებში — ასზე ხუთმეტი.

თუ მართლა საყასბოშივე გასუქებულ და მერე დახოცილ ღორში ტრიხინიანები არ აღემატებოდა 15%, მაშ საიდამ აღმოჩნდა 68 $^{3}/_{4}$% არუთინოვის საკუჭნაოში? გამოძიება გვაუწყებს, რომ 31 იანვარს 1896 წ.

არუთინოვის მიერ ხუთმეტ დაკლულ ღორში რვა ტრიხინიანი აღმოჩნდაო. ბ-ნი ივანენკო ამას ამბობს, რომ ეს რაიმე განსაკუთრებულს შემთხვევას შესაძლოა მიეწეროსო, მაგრამ თვით ამ შემთხვევის განსაკუთრებულებამ საჭიროდ დამანახვა გამომერკვია, რა წესი და რიგი ზედამხედაობისა არსებულა საყასბოში შესახებ ტრიხინიანი ღორის ხოცვისა, სინჯვისა და სპობისაო.

ბ-ნ ივანენკოს უკითხავს არუთინოვის მოჯამაგირეებისათვის და იმათ ჩვენებიდამ სჩანს, რომ არუთინოვს ჩუმად უხოცნია ღორი სავეტერინარო ზედამხედაობის შეუმჩნევლად. თვითონ არუთინოვიც მაგრად /стойко/ ამტკიცებდა ამასვეო, ამბობს გამოძიება. არუთინოვისა და მოჯამაგირეების ნაჩვენებთა შორის ამის შესახებ ცოტა განსხვავებაა და „კულტურაოსანთა“ მკურნალის ბ-ნ გონიევის ტენდეციას მოგვაგონებს ცოტად თუ ბევრად. მოჯამაგირეებს უთქვამთ, რომ ჩუმად დახოცილის ღორის ხორცსა ტფილისიდამ გარედ ჰგზავნიდა არუთინოვიო: იმ ხორცს არუთინოვი თურმე უგზავნიდა თავის მუშებს სადღაც ტყეში, საცა შეშას თურმე უჭრიდნენ.

თუ ერთს შემთხვევაში, როგორც ზევით ვნახეთ, ხუთმეტმა ჩუმად დაკლულმა ღორმა რვა ტრიხინიანი მოგვცა, აქედამ ადვილად საფიქრებელია, რომ მას წინადაც სხვა ჩუმად დაკლულ ღორებშიაც არა ერთი და ორი ტრიხინიანი ღორი გამორეოდა და თუ სულ ეს ტრიხინიანი ღორის ხორცი მუშებს ეგზავნებოდათ ტყეში, კარგად შეექცეოდნენ საწყალი მუშები. მუშებს ხომ ღონიერი სტომაქი აქვთ, მოინელებდნენ ტრიხინიანსაც!... ნუგეში ის არის, რომ არუთინოვს დაუზოგავს აზიზი კუჭი ტფილისელებისა, თავისიანები არ გაუწირავს და ტფილისის გარედ მცხოვრებს, — მუშები იქნებოდნენ თუ არამუშები, — თუნდ ჯანი გავარდნოდათ, ვინ დაეძებს? მუშა მაიწამლება, მოკვდება თუ დარჩება, რა ანგარიშშია მოსატანი, მით უფრო, რომ „კულტურაოსანთა“ თვალში ჰუმანობა, კაცთმოყვარეობა ეხლანდელ დროში ანახრონიზმია, სულელობაა, „კულტურაოსანთვე“ სიტყვით.

აქ ერთი რამ არის საოცარი პირველშეხედვით: ასე მაგრად /стойко/ რად დამდგარა არუთინოვი იმაზე, რომ

მე ჩუმად ვხოცდი ღორებსაო? ასე ამბობენ, იმიტომაო, რომ ჩუმად ხოცვისათვის უფრო ნაკლები სასჯელია, ვიდრე ტრიხინიან ღორის გასაღებისათვის. რაკი ჩუმად ჰხოცდა, ტრიხინიანი ღორების გასაღებაში იმით გაიმართლებდა თავს, რა ვიცოდიო, რომ ღორი ტრიხინიანი გამოდგებოდა. რაკი არ იცოდა, არც დამნაშავედ იცნობდნენ ტრიხინიან ღორის გასაღებაში, თუნდა ამაში დაეჭირათ კიდეც. არ ცოდნა, ხომ არ ცოდვაა!

გარდა ამისა, რაკი არუთინოვს უკისრნია ჩუმად ხოცვა ღორისა და ამაზე მაგრად /стойко/ დამდგარა, აქ, ჩვენის ფიქრით, ისიც საგულებელია, რომ ჰცდილა გამოძიებისათვის გზა-კვალი აერია და იგი ბეწვის ხიდი მიემალა, რომელიც რაღაც განგებით გადებული ყოფილა არუთინოვის საკუჭნაოდამ სავეტერინარო საკუჭნაომდე. ამ სავეტერინარო საკუჭნაოში ინახებოდა ფინიანი და ტრიხინიანი ღორის ხორცი, მინამ დასწვავდნენ, და გამოძიებამ ერთი უეჭველი შემთხვევა აღმოაჩინა იმისი, რომ არუთინოვისათვის აქედამ უძლევიათ ცხიმიანი დაკლული ღორები მთლიანად.

არუთინოვს ვერ დასჯდომია, როგორც ეტყობა, ალჩუდ ადვოკატურად აგდებული კოჭი. გამომძიებელი მაინც აჰყოლია თვის მიერ ალღოდ აღებულ გზას და ზედ წასწყდომია შემდეგს: არუთინოვს წაუღია სავეტერინარო საკუჭნაოდამ რვა ტრიხინიანი მთელი ღორი, დაკლული 31 იანვარს და დასაწვავად უკვე ცნობილი. ვის მიუცია, როგორ წაუღია და რა ხიდი დებულა არუთინოვისა და სავეტერინარო საკუჭნაოს შორის, ამას შემდეგ მოგახსენებთ.

ტფილისი, 8 მაისი

ბ-ნ ივანენკოს გამოძიებიდამ სჩანს, რომ რაკი ისპანდარიანცს მარტოკას დაუჩემებია ზედამხედაობა და სინჯვა საკლავისა და დახოცილ ღორისა და სხვა მოხელენი ამ საქმისაგან დაუთხოვნია /устранил /, სხვათა შორის, ეს წესი უხმარია: ფინიანი და ტრიხინიანი ღორი იქავ საყასბოში უტყავებია და იქავ საყასბოშივე უცლია ქონი. ფინიან ღორის ტყავზე ქონით მისით დამღა უდვია და ტყავი და ქონი უძლევია ღო-

რის პატრონთათვის. ქონი ტრიხინიან ღორისა კი უხარშვინებიათ პატრონებისათვის იქავ საყასბოშივე, რომ ხარშვით ტრიხინა უვნებელ ექმნა / в целях обезвреживания / . ამისათვის იქავ საყასბოს კანტორის კედელთან მდგარა ქვაბი, რომელშიაც უხარშავთ ტრიხინიანი ღორი. ამგვარად ქონი უღიათ ან იქავ კანტორასთან, ან ფარდულებში, საცა დაკლული ღორი ინახებოდა ან სხვის ფარდულებში, საცა ყასბები ღორსა ჰხოცდნენ. საქონედ ხარშვა კი ტაროსის მიხედვით, ხან კანტორასთან ყოფილა და ხან ღორის სახოც ფარდულებში, ხოლო ამ უკანასკნელებში, განსაკუთრებულ / исключительно / შემთხვევით მოხდებოდა ხოლმეო, ესე იგი, მაშინ, როცა ავდრის გამო შეუძლებელი იყო გარედ ეხარშათ კანტორასთან ახლო, ცის ქვეშ. ასე უჩვენებია ბ-ნ ისპანდარიანცს. ისპანდარიანცს ამასთანავე უთქვამს, საქონედ ხარშვა არამც თუ მარტო არუთინოვის ფარდულში იყო ხოლმეო, არამედ სხვებსაშიაცა, მაგალითებრ, ბეჟან ქობულოვის და ავეტიქ ბატიევისაშიო. ქონის პირდაპირ აღება და გატყავება, თუ კარგი დღე იყო, იქავ კანტორის კედელთან მოხდებოდა ხოლმე, საცა ქვაბი იდგა, თუ ავი დარი — თვით საკუთარ ფარდულში. როცა საკუთარ ფარდულში ბევრი დაკლული ღორი გროვდებოდა და ალაგი არ იყო, არუთინოვის ფარდულში უცლიათ ქონი და უტყავებიათ. ქონაცლილი და გატყავებული ტრიხინიანი ღორი უნდა უკანვე მოეტანათ და იმ ფარდულში დაეწყოთ, რომელიც ამისთანაებისათვის იყო დანიშნული. გამოძიება ამბობს, რომ იგი დაკლული ღორი, რომელსაც ქონს აცლიდნენ იქავ კანტორის კედელთან, უკლებლივ მოჰქონდათ უკანვე ფარდულში დასაწყობად. აქ ქონის აცლას ყველა ჰხედავდა კანტორაში შემსვლელი და გამომსვლელი და თვალყური გარადავოისაც სჭერია და ამიტომ აქედამ უკან დაბრუნება ტრიხინიან ხორცისა მთლად საიმედო იყოვო (в полне обезпечен), ამბობს გამომძიებელი.

სულ სხვა გარემოებაში ყოფილა იგი ხორცი, რომელიც არუთინოვისათვისაო, დასძენს ბ-ნი ივანენკო.

ვინც ამ საგანზე კითხული ყოფილა ბ-ნ ივანენკოსაგან, მაგალითებრ, თანაშემწე ბ-ნ ისპანდარიანცისა ბ-ნი დედაბრიშვილი და გარადოვოი, რომელსაც, ბ-ნ ისპანდარიანცის ბძანებით, თვალყური ეჭირა ამ ფინიან და ტრიხინიან ღორების წაღებ-წამოღებასა და საქონედ ხარშვაზე, ამბობენ, რომ არუთინოვის ფარდულში საქონედ ხარშვა ტრიხინიან ღორისა პირველად გვესმისო. მაშ რიღასათვის უძლევიათ არუთინოვისათვის ტრიხინიანი ღორები? თვითონ ბ-ნი ისპანდარიანცი ამის გამო ამბობს, რომ ბ-ნ დედაბრიშვილს შესაძლოა არ სცოდნოდეს, რადგანაც ეს მარტო ჩემის ზედამხედაობის ქვეშ იყოვო, მაგრამ გარადოვოის უნდა სცოდნოდაო და თუ ამბობს პირველად ეხლა მესმისო, იქნება იმ რვა ტრიხინიან ღორზე ამბობს, რომელიც 31 იანვარს დაიკლა და რომელიც ტერ-სტეფანიანცს /ყარაულს/ მიუცია არუთინოვისათვის დილა ადრიანად, ვიდრე გარადოვოი მოვიდოდაო.

როგორ? ბ-ნ დედაბრიშვილს, რომელსაც, ვითარცა თანაშემწეს ბ-ნ ისპანდარიანცისას, ვალად სდებია თავისის უფროსის მაგიერობა, როცა საჭიროება მოითხოვდა, არ უნდა სცოდნოდა არუთინოვის ფარდულში საქონედ იხარშება თუ არა ტრიხინიანი ღორი? ეს რა დასამალავი იყო, რომ არ უცოდინებია ბ-ნ ისპანდარიანცს, ან სხვას ვინმე! გარადოვოი, რომელსაც ბ-ნ ისპანდარიანცისაგან დავალებული ჰქონია ამისთანაებში თვალყურის ჭერა, იძახის, რომ პირველად მესმის, რომ არუთინოვს ეხარშოს საქონედ ტრიხინიანი ღორიო და რა გამტყუნებაა მისი "იქნება გარადავოი სხვას ამბობდესო" და არა იმას, რაც ესე გადაჭრილად უთქვამს, „პირველად მესმისო"?

მოდით და ამის შემდეგ ნუ იტყვით, რომ აქაც უცნაური „იყო და არა იყო რაა". აშკარადა სჩანს, რომ არუთინოვისათვის მითამდა საქონედ ძლევა ტრიხინიან ღორისა რაღაც უცნაურ ყინულზეა დაწერილი და ჯანღით და ბურუსით მოცული. ეს დავიხსომოთ და ამასთან ისიც, რომ თვით ბ-ნ ისპანდარიანცის სიტყვით დადგენილია და ბ-ნ ივანენკოს გამოძიებითაც დამტკიცებული, რომ არუთინოვისათვის თვით ბ-ნ ისპანდარიანცსაც უძლევია ტრიხინიანი ღორი.

გარდა ამისა, გამოძიება იმასაც გვარწმუნებს, რომ არუთინოვს ბ-ნ ისპანდარიანცის დაუკითხავადაც უზიდ-

ნია ტრიხინიანი ღორი თვით სავეტერინარო საკუჭნაოდამ. ავი ენა იტყვის, ეს რა შინაური კაცი ყოფილა არუთინოვი, რომ ამისთანაები უხერხებიაო? ეგრე ზოგადად თქმა უსამართლო იქნება, ხოლო ეს კი უეჭველია და თვით ბ-ნი ისპანდარიანციც ამტკიცებს, რომ 31 იანვარს არუთინოვს 15 ღორი დაუკლავს და იმათში, რვა ტრიხინიანი გამოჩენილა. რა თქმა უნდა, ჩამოურთმევიათ, სავეტერინარო საკუჭნაოში დაუკეტნიათ და მეორე დღეს დილა ადრიანად ეს რვა დაკლული ღორი ისევ არუთინოვის საკუჭნაოში მისულა და დილა მშვიდობისა მოუხსენებიათ. როგორ უნდა მომხდარიყო ეს?

ჯერ არუთინოვს ეს ამბავი უარუყვია და მერე კი გამოძიებას გაუმტყუნებია. აი როგორ ყოფილა ყველა ეს: ბ-ნ ისპანდარიანცს, როცა „в целях разделения труда“ ღორის ხორცის ზედამხედაობა თვით დაუჩემებია და ამ საქმიდამ დაუთხოვნია თვისი თანაშემწე დედაბრიშვილი, ფერშალი და სხვა მოხელენი, ყარაული / сторож / საყასბოსი ტერ-სტეფანიანცი იმოდენად სანდო კაცად უცვნია, რომ თვის მიერ დაჩემებული ნაწილი ზედამხედაობისა მარტო იმისთვის გაუმეტნია. როგორაო? იკითხავთ, ისე, რომ ტრიხინიან და ფინიან ღორის საკუჭნაო თვითონ ისპანდარიანცს კლიტით უკეტნია და ყარაულს ტერ-სტეფანიანცს კი უღია. Разделения труда, თუ გნებავთ, ამასა ჰქვიან. გაღება კიდევ არაფერი, უღია და თავისის ნებით უძლევია ტრიხინიანი ღორი არუთინოვისათვის და სხვებისათვისაც. გამოძიება მარტო ორს მაგალითს გვიჩვენებს, რომელთაც ბ-ნ ისპანდარიანციც ამტკიცებს: ერთხელ რვა ტრიხინიანი ღორი არუთინოვისათვის მიუცია 31 იანვარში დაკლულებისა და ოთხიც სხვებისათვის 15 თებერვალში დაკლულებისა. ამ ოთხიდამ ერთი კიდევ მაინც არუთინოვს ჰრგებია.

აქ ჩვენთვის საყურადღებოა მარტო პირველი მაგალითი იმ მხრით, რომ აქ სჩანს ნასკვის წვერი იმისი, თუ საიდამ და როგორ აბარტყებდა ტფილისის საყასბო ტრიხინასა.

აქ ამ მაგალითის გამო ბ-ნი ისპანდარიანცი ამბობს, რადგანაც ერთადერთი საკუჭნაო მქონდა, იძულებულ

ვიყავ აქ, ამ ერთს საკუჭნაოში მეთავსებინა დაკლული ღორი, ტრიხინიანი, ფინიანი, ქონაცლილი, ქონაუცლელი, უკვე გასინჯული, გასასინჯავი და სხვა ამისთანა. ამიტომაც საჭიროდ დავინახე გასაღები საკუჭნაოსი მებარებინა ტერ-სიმონიანცისათვის, რადგანაც ყასბებს ღამით დაკლული ღორი დილა ადრიანად უნდა შეეტანად გასაჩხრეკად და რომ იგინი არ შემეფერხებინა, ტერ-სიმონიანცს მივანდე საკუჭნაოს გაღებაო. როცა 1-ს თებერვალს მივედი საყასბოშიო, ტერ-სიმონიანცისაგან შევიტყე, რომ ჩემს მისვლამდე მას მიუცია რვა ტრიხინიანი ღორი არუთინოვისათვის და მაშინვე წავედი არუთინოვის ფარდულში და ვნახე, რომ სამის ღორისაგან უკვე ქონი აუღია და ქონაცლილი ხორცი იმის მაგიერ, რომ უკან მოეტანა ჩვენს საკუჭნაოში, იქავ საყასბოს ფერდობზე გადაუყრია და სხვა ხუთი ღორი კი იქავ ეწყოო და იქავ განკარგულება მოვახდინეო, რომ ეს ხუთი ღორი ჩვენს საკუჭნაოში მიეტანათ და ტერ-სიმონიანცისათვის ჩაებარებინათ მას შემდეგ, რაკი გაატყავებდნენ და ქონს აცლიდნენო. ეხლა აღარ მახსოვსო, მიიტანეს და ჩააბარეს ეს ხუთი ღორი თუ არაო, რადგანაც იმ დღეს ბევრი საქმე მქონდა და ვერ მოვიცალეო.

გამოდის, რომ არუთინოვს ტრიხინიან ღორის ხორცის ნარჩენი იქავ საყასბოს ფერდობზე უყრია და რადგანაც საყასბოში და საყასბოს ფერდობზე ყასბების ღორს ერეკებოდნენ გასასუქებლად ნაყარის ჭმევითა, ადვილად წარმოსადგენია, საიდამ გამრავლდა ტრიხინა: ღორი ნაყარსა სჭამდა და ტრიხინას შეიყრიდა. მართალია, სამის ღორის ხორცი ბევრს ღორს არ გადასდებდა ტრიხინას, მაგრამ ვინ გვითავდებებს, რომ არუთინოვი ან სხვები ტრიხინიან ღორის ხორცის ნარჩენებსაც ესე არ ექცეოდნენ.

გამოძიება ამის შესახებ აი რას გვეუბნება. როცა საკუჭნაოში ჰგროვდებოდა რამდენიმე ტრიხინიანი და ძალიან ფინიანი ღორი, უქონო და გატყავებული, იშვიათი იყო, რომ ყოველი ეს ეწვათ, ამაებს უფრო ხშირად ჰგზავნიდნენ ტერ-მინასოვის საპნის ქარხანაში, სადაც გარადავოის თანადასწრებით, ხარშვით უნდა მოესპოთო. არც იმის განსაზღვრული ანგარიშია —

რამდენი ტრიხინიანი და ფინიანი ღორი უძლევიათ ქონის ასაცლელად და ამათგანი რამდენი დაუბრუნებიათ უკან, არც იმისი – რამდენი უწვავთ და რამდენი მოუსპიათ საპნის ქარხნებში ხარშვითაო, ამბობს გამოძიება, და თვით ისპანდარიანციც ამტკიცებს, ცალ-ცალკე ამისი ანგარიში არ გვიწერიაო.

ტერ-მინასოვის სიტყვით კი აღმოჩნდა, რომ ღვინობისთვიდამ მარტამდე სულ 50 ღორი მიუტანიათ მის ქარხანაში. სავეტერინარო ზედამხედველობის დავთრებიდამ კი სჩანს, რომ ოქტომბროდამ მარტამდე 66 ტრიხინიანი ღორი ყოფილა და 60 ფინიანი. ვთქვათ ორმოცდაათი სნეული ღორი ტერ-მინასოვს მოუსპია ხარშვითა, დანარჩენი რა ქნილა? გამოძიება და გარადოვი ამტკიცებს, რომ იშვიათად უწვათ სენიანი ღორი. თვითონ ბ-ნი ისპანდარიანციც გვარწმუნებს, რომ უფრო ბევრი და მომეტებულადაც ბევრი ტერ-მინასოვის საპნის ქარხანაში იგზავნებოდა და იქ ჰხარშავდნენ და ამით სპობდნენო. ბ-ნი ივანენკო ანგარიშობს, რომ ასს ფინიან ღორში ათი მაინც იქნებოდა ძლიერ ფინიანი /усилено зараженныя/. მაშასადამე, მოსასპობელი ღორი ყოფილა ტრიხინიანი 66 და ფინიანი 60 მაინც – სულ 126. ორმოცდაათი ტერ-მინასოვს მოუსპია და დანარჩენი 76 არა სჩანს, სად და როგორ გამქრალა. უნდა ვიფიქროთ, როგორც ბ-ნი ივანენკოც ამბობს, რომ საყასბოს ფერდობზე გადაყრას იშვიათი ადგილი არ უნდა ჰქონებოდა მთელს ამ ისტორიაში. რაკი ესეა და რაკი უკვე ვიცით, რომ არუთინოვს და სხვა ყასბებს ამ ფერდობზედ ურეკიათ ღორი გასასუქებლად გადაყრილ ხორცის ჭმევითა, რაღა ეჭვია, რომ აქა ყოფილა საბუდარი ტრიხინისა, რომ აქ ჭმეულს და გასუქებულს ღორს ასში ხუთმეტს, თუ მეტს შესჩნევია ტრიხინა მაშინ, როდესაც თითქმის ხუთასს გარედამ მორეკილს ღორში მარტო ერთი ძლივს უნახავთ ტრიხინიანი.

ეს ცოტაოდნად იმითაც მტკიცდება, რომ 1895 წ. სულ 15.475 ღორი დახოცილა ტფილისის საყასბოში და ტრიხინიანი 67 ყოფილა, 1896 წელს კი 17.558 და ტრიხინიანი 54-ზე ჩამომხტარა. ეს დიდი განსხვავებაა შედარებით და იმითი თუ აიხსნება, რომ რაკი ბ-ნმა

ქიქოძემ 1896 წლის მარტში ეს არუთინოვის ტრიხინის ამბავი შეიტყო, სასტიკი ყურადღება იყო მიქცეული, რომ სენიანის ღორის ხორცი არ ეყარათ საყასბოს ფერდობზედ და ამით არ ემრავლებინათ ტრიხინა. იმიტომ ვთქვით წინად, რომ ძაღლის კუდი, სხვათა შორის, ამ 1896 წლის ციფრებში მარხია. 1896 წელს ორი ათასზე მეტი უფრო ბევრი ღორი დაიკლა, ვიდრე 1895 წ., და ნაკლები ტრიხინიანი აღმოჩნდა, განა ეს გარემოება არაფერს გვანიშნებს?

ისიც საკითხავია, არუთინოვს სულ ფერდობზედ უყრია სავეტერინარო საკუჭნაოდამ ზიდული ტრიხინიანი ხორცი, თუ სხვაფრივადაც მოუხმარებია? ამაზედ გადაწყვეტილს ვერას ვიტყვით, მხოლოდ ერთი რამ არის საოცარი. ბ-ნ ქიქოძეს არუთინოვის საკუჭნაოში 32 ფეხი უპოვნია სალორედ მარილში ჩადებული, აქედამ 22 ტრიხინიანი აღმოჩენილა. ეს იყო შარშან მარტის პირველ რიცხვებში. გამოძიებაში მოხსენებულია, რომ არუთინოვმა ყველიერებში დაიწყო სალორედ ჩადება ღორისა მარილშიო. შარშან ყველიერები იყო 29 იანვრიდამ დაწყებული 5-ს თებერვლამდე. 31 იანვარს რვა ტრიხინიანი ღორი წაუღია არუთინოვს სავეტერინარო საკუჭნაოდამ, რვა ღორს სწორედ 32 ფეხი აქვს და 32 ფეხი სალორედ ჩადებული უპოვნია ბ-ნ ქიქოძეს და ამათში 22 ტრიხინიანი. იქნება ეს შემთხვევის საქმეც იყოს, მაგრამ საოცარი კია ასეთი ტოლ-ამხანაგობა ამ ხმაამოუღრებელ ციფრებისა!

არა ნაკლებ საოცარია, რომ 7 აპრილს 1894 წლისას გეურქ არუთინოვს ქალაქის მოურავისათვის მიურთმევია თხოვნა, რომ 18 ჩემ მიერ დაკლული ღორი ტრიხინიანი გამოდგა და დამიწვესო და გთხოვთ თითო ღორში 19 მანეთი და 20 კაპ. მიბოძოთო და სულ 345 მანეთი და 60 კაპ. თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, რომ ტრიხინიანს ღორს იმისთანა ნიშნები არა აქვს, რომ უტრიხინიან ღორისაგან შემძლებოდა გამერჩია და არ მეყიდნაო საკლავად. გამგეობას უარი უთქვამს, მაისის 31-ს ხელახლად უთხოვნია და აქ ზედმიწევნითი ცოდნა გამოუჩენია კანონების მე-XIII ტომისა და იმისი თუ, – რა მოწყობილობა უნდა, რომ კაცმა შეატყოს ღორი ტრიხინიანია, თუ არა. ყასაბი არუთი-

ნოვი დიდი „სპეციალისტი“ ყოფილა ამისთანაებში. როგორც მის თხოვნას ეტყობა პირდაპირ.

აქედამ აშკარად ცხადია, რომ არუთინოვს არა ერთხელ და ორჯერ დაუჭერია საქმე ტრიხინიან ღორებთან 1894 წელსა და ამ წლიდამ 1896 წლამდე ვინ შეუშლიდა ხელს, რომ ეს დაეშალა და აქედ-იქით ამისათვის არ მიმდგარ-მომდგარიყო, როგორც "კულტუროსანს" ვაჭარს შეშვენის. მერე კანონებიც კარგად სცოდნია და ტრიხინიანების მოჩხეკის საქმეც!

ასე გამოდის, რომ რაკი არუთინოვს უარი მიუღია, თითქო სხვა გზას შესდგომია, რომ ტრიხინიანი ღორები ისევ იმასთან დახოცილნი მისულიყვნენ და ზარალს ამ გზით გადარჩენოდა. თუ ისეა, ბედიც შესწევნია, რადგანაც ტერ-სიმონიანცი შეხვედრია ტრიხინიან ღორის საკუჭნაოს მცველად და თითქმის გამგებელადაც: ეს თხოვნა ხომ 31 მაისს მიურთმევია არუთინოვს. არ ვიცით კი ამასთან რა კავშირში აქვს, ხოლო უნდა კი ვსთქვათ საქმის სავსებისათვის, რომ არუთინოვს 16 ივნისს 1894 წელს ქალაქის სავეტერინარო მკურნალის მხიტარ ოჰანჯანის ძის ისპანდიაროვისათვის ვექსილი მიუცია ორმოცდაათის თუმნისა, ვექსილი დამტკიცებულია იმავ თარიღს ნოტარიუსისაგან № 5067. პირველს მკათათვეს 1895 წელს. მეორე ვექსილიც მიუცია იმავე ისპანდიაროვისათვის სამოცის თუმნისა. ნოტარიუსისაგან დამტკიცებული № 5770.

ვინ იტყვის აქ ცუდს რასმეს? განა შესაძლო არ არის, რომ ბ-ნ ისპანდიაროვს თავისი ალალი ფული ესესხებინოს? ძალიან შესაძლოა, მით უფრო, რომ ყველა "კულტურროსანი" მცდელი და გამრჯელია და ამის გამო ფულიანიცა. მაგრამ აქ ყურს როგორღაც ეხამუშება ერთის მხრით არუთინოვის ხსენება, რომელსაც ტრიხინიან ღორებთან რაღაც დამოკიდებულება ჰქონია, და მეორეს მხრით სავეტერინარო მკურნალის სახელი და მერე საყასბოს ზედამხედავისა, რომელმაც საკუთრივ დაიჩემა ტრიხინიან ღორების თვალყურის დევნა და სხვა მოხელენი კი სხვა საქმეებზე დააყენა „в целях разделения труда“.

მერე რაო? იკითხავთ, მერე ისა, რასაც შემდეგ მოგახსენებთ და მით გავათავებთ ამ ტრიხინის ისტორიას.

ტფილისი, 10 მაისი

დღეს საჭიროდ დავინახეთ ავნუსხოთ ის, რაც ჯერ ბ-ნ ქიქოძეს აღმოუჩენია და მერე ბ-ნ ივანენკოს გამოძიებას ტფილისის საყასბოში არსებულ ავკარგიანობისა საზოგადოდ და ტრიხინების ჩეკისა საკუთრივ.

ბ-ნ ქიქოძეს უნახავს:

1/. არუთინოვის საკუჭნაოში 32 ფეხი ღორი, რომელთ შორისაც 22 ტრიხიანი ყოფილა. აქ შესანიშნავია, რომ ჯერ დაუმალავთ აქ ღორის ხორცი არ არისო და მერე საკუჭნაოს გაღებაზე უარზე დამდგარან, ვიდრე პოლიცია არ დამუქრებია, კლიტეს გავტეხთ, თუ არ გააღებთო.

2/. სავეტერინარო ზედამხედაობის საკუჭნაოში ჭუჭყიან და უწმინდურ დაზგაზე სამი დაკლული ტრიხინიანი ღორი, უკვე გახრწნილებაში შესული, და დაზგის ქვეშ გამოღრღნილი ძვლებამდე თაგვებისაგან ტრიხინიანივე ღორები.

3/. მთელი საყასბო და მისი არემარე ისე მოკლებულია სანიტარულ უბრალო რიგსა და წესსა, ისე უწმინდური, რომ სუნი აყროლებულის სისხლისა, ნაყარის ნაჭრებისა, შიგნეულობისა საყასბოდამ ერთს ვერსტზე ისმოდა.

4/. საყასბოში დაკლული პირუტყვი უჭრიათ ფეშხოებად და უტყავებიათ პირდაპირ ჭუჭყიან და უწმინდურ იატაკზე, რომელიც გაჟენთილი ყოფილა დამპალის ნაყარისაგან და ამის გამო ხორცი, მინამ საყასბოდამ გავა გასასყიდად, იქავ საყასბოშივე იმ თვისებისად ჰხდება, რომელიც ხელს უწყობს ხორცის გადაქცევას კაცის მავნებელადაო.

5/. განავალი ფაშვებისა და ნაწლავებისა სისხლთან ერთად უღვრიათ იქავ საყასბოს ფერდობზე და ამ მოსქო მყრალ აუარებელ თხლეში დადიან და იკვებე-

ბიან ფარა ღორისა, რომელიც მერე საკლავად მიდის საყასბოში, და მშიერ ძაღლების ხროვა.

ბ-ნ ივანენკოს გამოძიება გვეუბნება:

1/. ბ-ნ ისპანდიარიანცმა მარტომ დაიჩემა და ისიც მხოლოდ საკლავ ღორებისა სინჯვა და ზედამხედაობა როგორც დაკვლამდე, ისეც დაკვლის შემდეგ და, რაც ღორების საქმეს შეეხებოდა, იგი სულ მთლად მისს საკუთარ განკარგულების ქვეშ ყოფილა და სხვა მოხელენი ამ საქმიდამ გამოუწირავს.

2/. არუთინოვისათვის სავეტერინარო საკუჭნაოდამ უძლევიათ ტრიხინიანი ღორი, როგორც თვით ისპანდიარიანცს, ისე საყასბოს ყარაულს ტერ-სიმონიანცს ისპანდიარიანცის დაუკითხავად. აქ შესანიშნავია, რომ არუთინოვს უარი უთქვამს არც საყასბოდამ, არც სავეტერინარო საკუჭნაოდამ მე ერთადერთი ტრიხინიანი ღორიც არ წამიღიაო.

3/. არუთინოვს ჩუმადაც უხოცნია ღორი ზედამხედაობის დაუკითხავად და ნებადაურთველად.

4/. ისპანდიარიანცის სიტყვით, არუთინოვისათვის უძლევიათ ტრიხინიანი ღორი მითამ მარტო ქონის გამოსახდელად ხარშვით და მით უვნებელ საქმელად და ამისი ზედამხედაობა დაუვალებია გოროდოვოისათვის, ხოლო გოროდოვოი გადაჭრილად ამბობს, არუთინოვის ფარდულში ტრიხინიანი ღორის ხარშვა საქონედ პირველად დღეს მესმისო და თანაშემწეც ისპანდიარიანცისა ბ-ნი დედაბრიშვილი ამბობს გადაჭრილადვე, რომ მე არუთინოვის ფარდულში ხარშვა არ გამიგიაო.

5/. რვა ტრიხინიანი ღორი, რომელიც დაუკლავთ 29 იანვარს, სწორედ წაუღია არუთინოვს სავეტერინარო საკუჭნაოდამ და მარტის პირველ რიცხვებში კი უპოვიათ მარილში ჩადებული სალორედ 32 ფეხი, სწორედ იმდენი რაც რვა ღორს ბუნებითად აქვს. მართალია ამ 32-ში მარტო 22 აღმოჩენილა ტრიხინიანი, მაგრამ დანარჩენისა არ ვიცით თვით ბ-ნ ქიქოძესაგან იყო გასინჯული, თუ სხვისაგან ისე ალალბედად, როგორც შაუმოვის სელდები ბ-ნ სტეფანიანცისაგან. გამოძიება ამისას არას გვეუბნება. ასე, რომ ეს ტოლამხანაგობა ციფირებისა თუ ხელ მოსაჭიდებელი

საბუთი არ არის, გეში მაინც არის და, ჩვენის ფიქრით, უნდა გამოძიებულიყო.

6/. ტრიხინიანი ღორის ნარჩენი უყრიათ იქავ საყასბოსთან ფერდობზე და ამ ფერდობზე საკლავი ღორი დადენილა საჭმელად და ამ გზით უსუქებიათ.

7/. ტრიხინიანი და ფინიანი ღორი ან სულ არა, ან იმდენი არ უწვავთ სავეტერინარო ზედამხედაობის მოხელეთა, რამდენიც დასაწვავად გადადებული ყოფილა. საქონედ ხარშვით მითამ ტრიხინიანი ხორცი უსპიათ და როგორ ყოფილა ეს სპობა, ხორცი ხომ მაინც დარჩებოდა და ეს ხორცი ხარშვის მერე რა ქმნილა, ეს გამორკვეული არ არის. შესაძლოა, სულ ფერდობზე უყრიათ ღორის სასუქად.

8/. საქონედ ხარშვა იქავ საყასბოსთან კი არ ყოფილა, საცა ამისათვის საკუთარი ქვაბი სდგომიათ, არამედ სხვებისათვისაც უძლევიათ, რომ თავის ქარხანაში წაეღოთ და იქ ეხარშნათ. ბ-ნ ისპანდიარიანცის სიტყვით, უფრო ბევრი და შესანიშნავად ბევრიც ასე უშორებიათ თავიდამ და ეს წაღებ-წამოღების და ხარშვის ავი და კარგი დავალებული ჰქონია გარადავოის.

9/. ტერ-მინასოვს ოკტომბრიდან 1895 წ. მარტამდე 1896 წ. სულ 50 ღორი წაუღია საქონედ და რა ქნილა ანგარიშით გამოყვანილი დანარჩენი 76 ღორი, ამისი საბუთიანი პასუხი ვერ მიუღია გამომძიებელს ვისგანაც ჯერ არს.

10/. სია არა ჰქონიათ იმისი თუ რამდენი ხორცი უყრიათ ფერდობზე, რამდენი უგზავნიათ საპნის ქარხანაში და რამდენი უწვავთ თვითონ საყასბოში. ამაებისათვის მარტო ერთი საზოგადო სია ჰქონიათ ერთობ ამ გზით, თუ იმ გზით სპობისა. არც ზედმიწევნილი სია ჰქონიათ რამდენი ქონაცლილი ხორცი უკანვე მოუტანიათ ზედამხედაობას საკუჭნაოში.

საჭიროდ ვრაცხთ, ყოველ ამას ჩვენის მხრით დავუმატოთ, რომ სპობას წამხდარ ხორცისას, — ღორისა იქნება, თუ სხვა რისამე, — ბ-ნ შიდასაქმეთა მინისტრის 29-ს ივლისისა 1895 წ. № 464 ცირკულიარის მოთხოვნილებითა, უნდა მოჰყვეს ოქმის შედგენა და ხელმოწერილ იქმნას სავეტერინარო მკურნალის მიერ

და, გარდა ამისა, საბჭოს წარმომადგენელისა და პოლიციის მიერ.

ბ-ნ ივანენკოს გამოძიება არას გვეუბნება სავეტერინარო ზედამხედაობის საკუჭნაოსას, რომ იქ იმდენს ხანს ჰქონიათ შენახული ტრიხინიანი დაკლული ღორები, რომ გახრწნილებამდე მისულან კიდეც და ზოგიც ძვლებამდე უხრავთ თაგვებსა.

ჩვენა გვგონია, რომ ეს გარემოება ჰღირდა გამოსაძიებლად, იმიტომ რომ ეგ ცხადი გეშია, რომ ტრიხინიანი ღორი ან სულ არ უწვავთ, ან ძალიან უგვიანებიათ. გარდა ამისა თაგვების საღრღნელად დაგდება ტრიხინიანის ღორისა იქნება ახალი ხერხი იყოს სპობისა და რადგანაც უხარჯოა, ერთის მხრით მოსაწონიც არის. თუნდ ეგეც არ იყოს, ეგ ღრღნა ტრიხინიან ღორისა დიდი საბუთია, რომ არც არუთინოვს, არც ისპანდიარიანცს, არც საყასბოს, არც საბჭოს და არც არავის სხვას ბრალი არ დასდებოდა ტრიხინების ჩეკისა და ბღარტობისა სავეტერინარო-ზედამხედაობის წყალობითა და შეწევნითა.

„კულტურისანთა“ საბჭომ ეს ტრიხინების საქმე ხომ ეხლახან „დავიწყებას მიეცა“, და, სწორედ მოგახსენოთ, ამ დავიწყებას არავითარი ჭკვადმისაღებელი საბუთი არა უდევს რა, მაშინ, როდესაც ჩაფუჩეჩების სურვილი დიდი ჰქონიათ.

საბუთი კი ცხვირწინ სდებიათ და ბ-ნს ივანენკოს ეს არ დაუნახვებია საბჭოსათვის. აი როგორ: თაგვებს უჭამიათ ტრიხინიანი ღორები და, რასაკვირველია, გასუქდებოდნენ. ღორი, ხომ მოგეხსენებათ, მსუნაგობით გათქმულია და ცხვირზევით არ იცილებს მჭლე თაგვსაც. თორემ აზიზად გასუქებულს საკუჭნაოში ვიღა იტყვის, თუკი სადმე მოასწრო. ტრიხინიანით გასუქებული თაგვი, რა თქმა უნდა, ნავარდზე წავიდოდა, და, იმედია, საყასბოს ფერდობზედაც გაისეირნებდა სხვათა შორის. აქ მთელი ფარა ღორებისა ტრიალებულა, როგორც ვიცით. ტრიხინიანი ღორი ხომ თაგვს უჭამია, ახლა ტრიხინიან თაგვს ღორი შესჭამდა, მერე ღორს ისევ თაგვი, თაგვსა ისეც ღორი და ბოლოს გამოვიდოდა ბავშურ სიმღერის მსგავსი "თხამ ვენახი შესჭამაო" და ნასკვიც ტრიხინების ბღარტობისა და გამრავლებისა ხელთ ექნებოდათ. აღარც არუთინოვი, აღარც ისპანდიარიანცი, აღარც სავეტერინარო ზედამხედაობა, აღარც საყასბო, აღარც ფერდობი, მიზეზი ის იქნებოდა რომ თაგვმა ღორი, ღორმა თაგვი, თაგვმა ღორი შესჭამაო, სულ თაგვების ბრალი იქნებოდა და მოდით და ამის შემდეგ დავიწყებას ნუ მისცემდით! აბა თაგვებს ვინ რას გადაახდევინებდა, რომ ტრიხინიან ღორს არ ერიდება, ან ღორს, რომ ტრიხინიან თაგვს მიირთმევს, თითქო ბარიბარში გამოსვლა უნდათო.

ასეა თუ ისე, ეხლა ხელთა გვაქვს ანუსხული თითქმის ყველა ის ამბავი და გარემოება, რაც ამ საქმის ვითარებას შეადგენს. ეხლა მარტო ისღა დაგვრჩა გამოვარკვიოთ, შესაძლო იყო თუ არა ამისთანა ამბებით და გარემოებით აკიდებული საქმე დავიწყებას მიეცეს, და ამით გათავდეს ეს დიდი აყალმაყალი პატარა ტრიხინიანებისა!

ტფილისი, 15 მაისი.

ჩვენ წინა წერილში* მოკლედ ავნუსხეთ ყოველივე ის, რაც აღმოაჩინა ბ-ნმა ქიქოძემ და რაც მერე მისის მიზეზით გამოარკვია ბ-ნ ივანენკოს გამოძიებამ. კაცი რომ ჩაუკვირდეს და კარგად ჩაუფიქრდეს ყოველს გარემოებას არუთინოვის ტრიხინების საქმისა, არ შეიძლება არ გამოენასკვოს ის უეჭველი აზრი, რომ ტფილისის საყასბოში უსათუოდ უნდა არსებულიყო რაღაც ბოროტმოქმედება, განგებ თუ დაუდევრობით და უგულობით ხელშეწყობილი სავეტერინარო ზედამხედაობის მიერ ცალკე და სასანიტარო-სამკურნალოს მიერ საერთოდ. ვამბობთ „ხელშეწყობილი“, იმიტომ, რომ შეუძლებელია აქ ან ერთი, ან მეორე, ან ორი ერთად ასე თუ ისე, ამა თუ იმა მიზეზით თვალდახუჭული არ ყოფილიყო, თორემ ერთხელ მაინც როგორ არ უნდა დაენახათ, რაც ასე აშკარად ბოროტმოქმედებდა, რომ პირველ მისწრო-

* იხ. "ივერია" № 90

ბაზევე აღმოჩნდა სხვათაგან და არა სასანიტარო და სავეტერინარო ზედამხედაობისაგან.

რაკი ბოროტმოქმედება უეჭველად დადგენილ იქმნა, აქ რაღა ჭრა და ხევა უნდოდა „კულტუროსანთა“ გამგეობას და საბჭოს? ჩვენის ფიქრით, ბოროტმოქმედების ამ ცხადად დადგენის შემდეგ, ერთისა და მეორის საქმე ისღა იყო, რომ გამოძიება და ყოველივე, რაც გამოირკვა, სულ ერთიანად უნდა აეღოთ და წარედგინათ ადმინისტრაციისათვის, ან სამსაჯულოსათვის და იმათ იცოდნენ რა გზასა და სვლას მისცემდნენ.

ასე არ მოიქცა არც გამგეობა, არც საბჭო და ერთმაც და მეორემაც მიიჩემა იგი უფლება, რაც მას არაგზით არ ეკუთვნოდა. მოსპობა საქმისა და დავიწყებას მიცემა, რაკი ბოროტმოქმედებაა, სამსაჯულოს საქმეა და არა „კულტუროსანთა“ საბჭოსი. ბოროტმოქმედება მთელის თავისის საზარო სახით თვალწინ დაუყენეს და ისინი კი კევის ღეჭვას მოჰყვნენ, თითქო ამითი უნდათ როგორმე გააქარწყლონ საქმე, რომელიც ამდენს უბედურებას უქადის ჯანმრთელობას და სიკვდილ-სიცოცხლეს ადამიანისას ტფილისში და თუნდა მარტო ტფილისის გარედ. ხომ აშკარაა, რომ მთელი ეს ტრაღიკომედია ტრიხინებისა გამართული იყო იმისათვის, რომ იეფად, ან მუქთად ჩაგდებული ტერ-სიმონიანცისაგან, თუ სხვებისაგან ტრიხინიანი ხორცი ან ხორცად ან ლორად ჰყიდონ და ასაღონ ტფილისში, თუ ტფილისის გარედ. თუ ეს არა, სხვა რა აზრი და განზრახვა უნდა ჰქონოდათ? სასაცილო არ იქნება განა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ეს მარტო ტრიხინების პლატონურ სიყვარულით მოსდიოდათ და ამიტომ მარტო მისს გამრავლებას და პატივით შენახვას სცდილობდნენ? ტრიხინა რა იმისთანა სასურველი განძია, რომ ასე მოქცეულიყვნენ? აშკარაა, ტრიხინა უმრავლებიათ და ტრიხინიანი ხორცი უსაღებიათ სარფისათვის.

არც გამგეობამ, არც საბჭომ არ მოისურვა ბოროტმოქმედებას ბოროტმოქმედების კარამდე მიჰყოლოდნენ. ამისი ბრალი, ცოტა არ იყოს, ბ-ნ ივანენკოს ედება. მან არამც თუ მეტისმეტად მოარბილა შედეგი თავისის გამოძიებისა, არამედ თვალი აუქცია თვით ბოროტმოქმედებას და მარტო იმაზედ მიახედა თავისს დასკვნაში გამგეობა და საბჭო, რომ ისპანდარიანცს არ უნდა დაეთხოვნა სხვა მოხელენი ღორის ხორცის ზედამხედაობისაგან და თუ დაითხოვა, თითონ უნდა ჰქონოდა ზედამხედაობა და შესაფერისად მოეწყოო; ანგარიში უნდა ჰქონოდა, რამდენი ღორია ტრიხინიანი, უტრიხინო, რამდენი სხვისთვის უძლევიათ, რამდენი უკან დაუბრუნებიათ და ეს ანგარიში არ ჰქონდაო; უნდა ყოველთვის თავის ანგარიშებში გამოეცხადებინა, რა გზით და ღონისძიებით ჰსპობდა ტრიხიან ღორის ხორცსაო; მისს თანაშემწეს დედაბრიშვილს უნდა სცოდნოდა წესი ზედამხედაობისა, როგორ ინახავდნენ სენიან საკლავის ხორცსა, როგორ სპობდნენო: ყარაულ ტერ-სიმონიანცისათვის უნდა ეცოდინებიათ, რა ბოლო მოსდევს, თუ მუყაითად, ან კეთილსინდისიერად არ მოიქცევა ტრიხინიან ღორის ხორცის ყარაულობაშიო. ის ბოროტი კი, რომელიც აშკარად სჩანს ამ საზარელ საქმეში, რა იქნა, სადღაა? ამაზე ბ-ნი ივანენკო თავის დასკვნაში არას ამბობს, თითქო აქ საქმე მარტო იმაზედ იყო მიყენებული, რომ კანცელიარული ფორმები უსრულებია თუ არა სავეტერინარო ზედამხედაობას და სხვა არასფერზე?

12 აპრილს 1896 წ. ეს გამოძიება ბ-ნ ივანენკოსი მოხსენდა „კულტუროსანთა“ გამგეობას, რომელმაც დაადგინა, მთლად ვეთანხმებითო დასკვნას ბ-ნ ივანენკოსას და რადგანაც აქ ბოროტმოქმედებას საყასბოს ადმინისტრაციისას არა ვხედავთ, წინადადება მივცეთ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელ დოქტორს სტეფანოვს „ფაქტიური“ ზედამხედაობა იქონიოს მასზე, თუ როგორ ინახვენ და სპობენ ტრიხინიან ღორის ხორცსა, გამგეს ქალაქის საყასბოისას სავეტერინარო მკურნალს ისპანდიაროვს ცხარე საყვედური ეთქვას, „За выяснившуюся небрежность его по надзору за хранением и уничтожением трихинозных туш“, და ამასთანავე ეუწყოს, თუ კიდევ შეემჩნევა ამისთანეები, შესაძლოა დათხოვნილ იქმნას თანამდებობისაგანო, შენიშვნა მიეცეს ისპანდიარიანცის თანაშემწეს დედაბრიშვილს, რადგანაც საკმაო ყურადღებით არ მოჰქცევია თავისის

სამსახურის მოვალეობას და ყარაული ტერ-სიმონიანცი დათხოვნილ იქმნას, რადგანაც ტრიხინიანი ღორის ხორცი უძლევია საყასბოს ადმინისტრაციის დაუკითხავადაო.

სხვაო? იკითხავთ. სხვა არაფერი. ხალხის ჯანმრთელობა ხალხის სიკვდილ-სიცოცხლე?! აბა ესენი რა საკითხი და რა სათქმელია!

ეს განაჩენი „კულტუროსანთა“ გამგეობისა და მთელი გამოძიება ბ-ნ ივანენკოსი 10 მაისს 1896 წელს მოხსენდა "კულტუროსანთავე" საბჭოს. საბჭოში, რა მოისმინეს ყველაფერი, სამნაირი აზრი დაიძრა. ერთი წყობა ხმოსანთა იმას ამბობდა, რომ აქ თვითონ გამგეობაა დამნაშავეო, რადგანაც ბ-ნს ისპანდიარიანცს არაერთხელ უთხოვნია გამგეობისათვის ეს საყასბოს ყოფა-მდგომარეობა ასე თუ ისე განაკარგეთო, თვითონ გამგეობაც ამბობს, საყასბო იმისთანა გვაქვსო, რომ შეუძლებელია ზედამხედაობის საქმე რიგიანად მოეწყოსო და აქამდის კი არა უზრუნვია რა ახალის საყასბოს აშენებისათვისაო. ყოველ ამის გამო იგი წყობა ასკვნის, რომ გამგეობის ასე სასტიკი განაჩენი ზედამხედაობის მოხელეთა შესახებ საბუთიანი იქნებოდა, თუ თვით გამგეობას კარგი საყასბო ჰქონებოდაო.

სამართალი ითხოვს ვთქვათ, რომ ამისთანა ლათაიამ ყველაზე არ გასჭრა და აქ საბჭოში ხუთიექვსი კაცი აღმოჩნდა, რომ შეეზარათ ეს ტრიხინების ამბავი. ამისთანანი იყვნენ ხმოსნები: ბ-ნები ავთანდილოვი, კუჩარიანცი, ვართანოვი, თამამშოვი, ევანგულოვი და ყველაზე უფრო გულამღვრეული და სასტიკი ბ-ნი ოპოჩინინი აღმოჩნდა. პირველნი ხუთნი, რომელთაც აღიარეს, ცოტად თუ ბევრად აშკარა ბოროტმოქმედება, იმ აზრზე დადგნენ, რომ ამოვირჩიოთ კამისია და იმას მივანდოთ დაწვრილებით გამოიძიონ ეს საქმე და მერე ვნახოთ რა გზა მივცეთო მთელს საქმესაო. ამათი საუბარი არ მოგვყავს, რადგანაც უამითოდაც მეტად გაგვიგძელდა ამ საგანზე ლაპარაკი. ხოლო არ შეგვიძლიან ბ-ნ ოპოჩინინის მაშინდელი წყრომარისხვა სიტყვასიტყვით არ მოვიყვანოთ, რომ დავინახოთ ერთმა და იმავე საქმემ რა ათქმევინა შარშან 10 მაისს ბ-ნ ოპოჩინინს და მერე 28 მაისს წელს როგორ

გადაათქმევინა ნათქვამი. 10 მაისს 1896 წელს ბ-ნი ოპოჩინინი ამბობდა:

„გარემოებანი, აღმოჩენილნი გამოძიებითა, არ შეეფერება სასჯელს, რომელიც გამგეობას დაუდგენია. ეს გარემოებანი წარმოადგენენ მთლად დამთავრებულს მასალას, რომელიც აღარ საჭიროებს ახალ გამოძიებას განსაკუთრებულ კამისიისას და გვაძლევს ხელთ საბუთს, ვიფიქროთ, ცოტა თუ ბევრის გულდაჯერებით, რომ ამ საქმეში ბოროტმოქმედება ყოფილა. ჯერ ესა, რომ გამგეობის აზრით, არსებობა არუთინოვის საკუჭნაოსი რაღაც შემთხვევის საქმეა ვითომ, მაშინ როდესაც გამოძიებამ აღმოაჩინა რაღაცა კავშირი ამ საკუჭნაოსა და ქალაქის საყასბოს შორის. თუ ეს არა, უნდა ვიფიქროთ, ამ საკუჭნაოში მიდიოდნენ ტრიხინიანი დაკლული ღორები რაღაც განსაკუთრებულ მიმზიდველობის ძალითა.

„მეორე ისა, რომ რადგანაც არუთინოვი მედგრად დამდგარა იმაზე, ვითომ ჩუმად უხოცნია ღორი, საბუთს გვაძლევს ვიგულვოთ, რომ მისს საკუჭნაოს პირდაპირი კავშირი ჰქონია საყასბოსთან. აშკარაა ამით არუთინოვს სდომებია ამ კავშირის გეში მოესპო, რადგანაც სცოდნია, რომ ჩუმად დახოცვისათვის უფრო ნაკლები სასჯელია, ვიდრე ტრიხინიანი ხორცის გასყიდვისათვის. ყველა ეს გარემოება მიზეზს გვაძლევს შემდეგიც გამოძიებულ იქმნას, ხოლო ჩვენის კამისიის მიერ კი არა, არამედ სათანადო /компетентная власть/ მთავრობისაგან. ვიცით რა, რომ მთელი ეს საქმე უნდა წარედგინოს ბ-ნს გუბერნატორს, მე მგონია საბჭომ თავისის მხრით არავითარი განაჩენი არ უნდა დაადგინოს. და იცადოს რას იტყვის გუბერნიის მთავრობა“.

მერე, როცა პირველის წყობის ხმოსნები მაინც თავისას არ იშლიდნენ, ყველაფერს საყასბოს უკეთურებას აბრალებდნენ და ამბობდნენ, არ გვესმის ან ახალი კამისია რა საჭიროა, ან გუბერნატორის, თუ პროკურორის ხელში საქმის გადაცემა, ბ-ნმა ოპოჩინინმა ასეთი პასუხი მისცა:

„ჩემის აზრით, საბუთები, გამოძიებით აღმოჩენილი, საკმაოა, რომ სავეტერინარო მკურნალი

სამართალში მიეცეს და თუ გირჩევთ საქმე მთავრობას გადაეცით-მეთქი, იმიტომ რომ გამგეობას უამისოდაც ბევრი საქმე აქვს და სადა აქვს დრო გამოსაძიებელ საქმეების უკან დევნისაო“.

ბოლოს ოპოჩინინიც მიუდგა იმ აზრს, კამისია აღმორჩეულ იქმნას. საბჭომაც აიღო და კამისიას გადასცა ეს გამონაძიები ბ-ნი ივანენკოსი და დაავალა უფრო მტკიცედ შეამოწმოს აღმოჩენილი და აღინიშნოს, რა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს თვით საქმესა. ეს მოხდა შარშან 10 მაისს.

მას აქედ ამ წლის 28 მაისამდე კამისიას დამში ედო ეს საქმე. მთელი ერთი წელიწადი კარგა დიდი მანძილია. ბოროტი ენა იტყვის: ამ ხნის განმავლობაში ის გეშები და ნიშნები ბოროტმოქმედებისა, რომელიც ბ-ნთ ქიქოძის და ივანენკოს გამოძიებით აღმოჩენილ იქმნა, თავისს კვალსა და ნავალს წაიშლიდა, ახალი გეშნი და ნიშნებიც ხელიდამ გაუსხლტებოდათ და საქმე თუ იმ საბუთიანობასაც არ დაჰკარგავდა, რაც უკვე ხელთა ჰქონდათ, სხვას არას შეიძენდა. სწორედ ისეც მოხდა. შარშან 26 სექტემბერს თავმა და თავმა მომქმედმა ამ საქმისამ ისპანდიარიანცმა თავი მოიკლა და ბევრი საიდუმლოება თან გაიყოლია, მერე კამისიამ ეს საქმე სჭიმა და სჭიმა და ძლივს წელს 28 მაისს წარუდგინა გასასინჯად საბჭოსა. რა აღმოაჩინა ამ კამისიამ? ახალი, რასაკვირველია, სულ არაფერი, ძველიც კი უგემურად ჰლეჭა და გაანელა კი თუმცა, ერთი სიტყვაც ძველის აღმონაჩენისა არ შეუშლია, არ უარუყვია, ყველაფერი მართალი გამომდგარა. „კულტურისანთა“ საბჭოსაც თითქო მარტო ესა სდომებია, როგორც ბოლოს აღმოჩნდა. აიღო საბჭომ და ერთხმად გადასწყვიტა: ეს საქმე დავიწყებას მიეცესო. და იცით ვინ იყო თავდაპირველი მიზეზი ამნაირის გადაწყვეტისა? იგივ ბ-ნი ოპოჩინინი, რომელსაც შარშან 10 მაისს ისე აუშფოთა გული ამ საქმემ და რომელსაც წელს 28 მაისს იგი გული ასე დაუამა და მოუტკბილა იმავე საქმემ, რომელსაც შარშანდელს აქედ არც არა მოემატა რა. აკი ერთისა და იმავე მიზეზისაგან შესაძლოა მარტო ერთი და იგივე შედეგიო. სტყუის, ვისაც ეს უთქვამს და ვსცდებოდით,

ვინც დღეს აქამომდე ამას ვიჯერებდით. სჩანს, ახალს „კულტურას“ ეს აზრიც გაუმტყუვნებია და „კულტურისანთა“ გარდა სხვაც ბევრი უზიარებია თავისის „კულტურის“ ზიარებითა.

ვთქვათ ბ-ნი ოპოჩინინი ასე გარდაჰქმნა ამ ახალის მოდის „კულტურამ“ და საკვირველიც არ არის. „კულტურის“ ძალმომრეობას ძნელია კაცმა გაუძლოს, ნამეტნავად მაშინ, როცა ჰუმანობა, კაცური კაცობა ანახრონიზმად მიღებულია. ის სხვანი ხმოსნები რაღა იქმნენ, რომ ერთობილად მიემხრენ „დავიწყების“ განაჩენს, მაშინ, როდესაც შარშან ისეთის პატიოსანის გულისწყრომით მოეკიდნენ ამ საქმეს? კამისიის მიერ ახლად გამონაძიებში რა ჰნახეს იმისთანა, რომ შარშანვე დანახული აშკარა ბოროტმოქმედება, რომელსაც უსათუოდ თანმოჰყვებოდა მოწამვლა, მოშხამვა და სიკვდილიც ხალხისა, ეგრე დაივიწყეს წელს და გულიდამ ამოიღეს, თითქო აქ თაგვებზეა ლაპარაკი და არა ადამიანებზე.

დავანებოთ ყოველ ამას თავი და ვთქვათ ისპანდიარიანცი დღეს აღარ არის, განა სხვანი სულ მართალნი არიან? ერთი ვიკითხოთ: რა და ვინ დაივიწყეს?

1/. დაივიწყეს, რომ ტფილისის საყასბო ტრიხინების საბუდარია სავეტერინარო და სასანიტარო-მკურნალთა წყალობითა და უვარგისობითა.

2/. დაივიწყეს, რომ არუთინოვი და სხვა ამისთანები თითქო განგებ აშენებდნენ ტრიხინას, ტრიხინიან ღორის ხორცს მუქთად ეზიდებოდნენ სავეტერინარო საკუჭნაოდამ, ხან ხორცად, ხან ღორად ჰყიდნენ და, ვინ იცის, რამდენი ადამიანის სული გაისტუმრეს საიქიოს, რამდენი ღარიბი ოჯახი გააუბედურეს, რამდენი კაცი მოწამლეს. ნუ დაივიწყებთ, რომ მკურნალის ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, ოცს ღორს შეუძლიან ორი ათასი კაცი მოსწამლოს და მოშხამოს სასიკვდილოდ და ერთს უეცარს მისვლაზე ისიც ბ-ნმა ქიქოძემ მოასწრო და იპოვა მარტო არუთინოვის საკუჭნაოში 22 ტრიხინიანი ღორი და მაშასადამე მარტო არუთინოვს შეეძლო ორი ათას ორასი კაცი მოეწამლა და მოეშხამა სასიკვდილოდ.

3/. ვსთქვათ, ბ-ნი ისპანდიარიანცი და სხვანი მოხელენი ყურს არ უგდებდნენ ამ საქმეს, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი სადღა იყო? ესეც დავიწყებას მისცეს.

4/. დავიწყებას მისცეს, რომ სასანიტარო-სამკურნალოს ინსპექტორი თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სტეფანიანცი დადიოდა საყასბოში, როგორც თვითონ არწმუნებს გამგეობას, და ერთხელაც არ გამოუკითხავს, ერთხელაც არავისათვის არ გაუსინჯავს საკუჭნაო, საყასბოს გარეშემოც კი არ დაუთვალიერებია, რომ შეენიშნა იგი, რაც პირველ მისვლაზევე შეჰნიშნა ბ-ნმა ქიქოძემ და აღმოაჩინა. ან თვალი სადა ჰქონდა, ან ყური სადა ჰქონდა, ან გულმოდგინება საქმისა, რომ ყოველივე ეს არ დაუნახავს, არ გაუგონია, არ უძიებია? მაშ რისთვისღა დადიოდა და თუ არ დადიოდა, რის ინსპექტორიღაა, რომ ამისთანა მძიმე საქმე ასე უყურადღებოდ უტოვებია?

5/. დავიწყებას მისცეს, რომ, სავალდებულო წესი-სამებრ, 1895/6 წლებში ან სულ არ უწვავთ სენიანის საკლავის ხორცი, ან ძალიან ცოტა და ამ გზით ხელი შეუწყვიათ ტრიხინებით ხალხის წახდენისათვის.

6/. დავიწყებას მისცეს, რომ ბ-ნი სტეფანიანცი ერთის მხრით არწმუნებს გამგეობას და საბჭოს, რომ რადგანაც „განსაკუთრებული კარგად მოწყობილი ფეჩი“ არა ჰქონდა სავეტერინარო ზედამხედაობას, დაწვა სენიანის საკლავის ხორცისა შეუძლებელი იყოვო და იგივ ბ-ნი სტეფანიანცი უმტკიცებს იმავე გამგეობას, ისპანდიარიანცის სიტყვით, რომ 1894 წელს სულა სწვავდნენ სენიან ხორცსაო. ხომ არც 1894 წ. ჰქონიათ ხსენებული „ფეჩი“ და მაშინ შესაძლებელ როგორ ყოფილა წვა უფეჩოდ იმისი, რაც შეუძლებლად გარდიქმნა 1895/6 წლებში? ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ 1894 წელს დაუწვავთ, როგორც ანგარიშიდგანა ჰსჩანს, 441 მთელი ტანი სენიან საკლავის და 46. 909 სხვადასხვა ნაჭერი და შიგნეულობა. რომელი ერთი დაუჯერეს ბ-ნ სტეფანიანცს? 1894 წლის ამბავი თუ 1895/6 წლებისა? ხომ ამ ერთ-ერთში ერთი უეჭველად ზღაპარია? მე ვუჯერებდი და საბუთი არა მქონდა არ დამეჯერა ისპანდიარიანცის 1894 წლის

ანგარიშიო და საბუთადაც ის მოჰყავს, ზოგჯერ ჩემის თვალითაც მინახავს, რომ სწვავდნენო. თუ ესეა, მაშინ თავისს ჭკუას რაღად უჯერებდა, რომ წვით სპობა სენიან ხორცისა შეუძლებელიაო და თუ თავისს ჭკუას უჯერებდა, განა საბუთი არ იყო, შეუძლებელი არ დაეჯერებინა? აქ აშკარაა, რაღაც უცნაურ „იყო და არა იყოს“-თანა გვაქვს საქმე.

7/. დავიწყებას მისცეს, რომ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა ერთხელ არ მოჰკითხა ზედამხედაობას დავთარი, საცა უნდა წერებულიყო რამდენი სენიანი საკლავია, რამდენი მოსპობილია, რამდენი დაუწვავი, რამდენი სად უძლევიათ და რამდენი უკანვე მოუტანიათ.

8/. დავიწყებას მისცეს, რომ შიდა საქმეთა მინისტრის ცირკულიარით ყოველთვის უნდა ყოფილიყო შემდგარი ოქმი — რამდენი სენიანი ხორცი ისპობა, რამდენი არა და ამ ოქმზე ხელი უნდა ეწეროს სავეტერინარო მკურნალს, პოლიციის და გამგეობის წარმომადგენელს და მოუკითხავს ერთხელ მაინც ბ-ნ სტეფანიანცს ეს ოქმი, ან შემდგარა ამისთანა ოქმი როდესმე?

9/. დავიწყებას მისცეს, რომ სავალდებულო წესნი საბჭოსი უბძანებდნენ სავეტერინარო ზედამხედაობას, უსათუოდ სწვითო სენიანი ხორცი და ისპანდიარიანცმა ეს დავიწყებას მისცა და ვიღაცეებს აძლევდა სახარშავად აშკარად, ცხადად და ბ-ნი ინსპექტორი სტეფანიანცი ამ წესის გარდაცვლას არა ჰხედავდა, თუმცა ირწმუნება საყასბოში დავდიოდიო.

10/. თუ არა სწვავდნენ, ინსპექტორმა სტეფანიანცმა რატომ ერთხელ მაინც არ მოიკითხა, სად მიდიოდა ის ორმოცი თუმანი, რომელიც წვისათვის დანიშნული იყო ყოველწლივ.

11/. დავიწყებას მისცეს, რომ ხალხის ოფლით მონაგარი ფული 22000 მანეთამდე ხალხისავე ჯანმრთელობის უშიშარყოფისათვის იხარჯება და ამის მაგიერ გამოდის, რომ აქამდე თითქმის არყოფილი ჩვენში ტრიხინა გააჩინეს, გაამრავლეს, გააძლიერეს და, მაშასადამე, ჯანმრთელობას ტფილისის მცხოვრებთა უფრო მეტი მტერი აუჩინეს და მშვიდობა და დღეგრძელობა

მკვიდრთა სახლობისა, ცოლშვილისა უფრო მეტს განსაცდელში ჩააგდეს.

12/. დავიწყებას მისცეს, რომ სავეტერინარო ერთობ სასანიტარო-სამკურნალო და სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედაობა, ანუ უკედ ვთქვათ, არამხედაობა იმოდენად გულმოდგინედ ყოფილა, რომ არამც თუ მარტო ტრიხინიანი ღორის შიში უნდა გვქონოდა, არამედ სხვა საღის საკლავის ხორცისაც, რადგანაც საკლავი იგი უტყავებიათ, უჭრიათ იმისთანა უწმინდურ და აყროლებულის სისხლით გაჟღენთილ ადგილზე, რომ, გუბერნიის მკურნალის ბ-ნ ქიქოძის სიტყვით, საყასბოდამვე გაიყოლებდა ხალხის ჯანმრთელობისათვის მავნებელ თვისებასა და ამ სახით, ქალაქს იმედი არც იმისი უნდა ჰქონოდა, რომ ქალაქის ბაზარში საღის საკლავის ხორცი მაინც უვნებელი იქნება.

13/. დავიწყებას მისცეს, რომ უფრო ამ არამხედაობას, ვიდრე ზედამხედაობას კანონით противозаконное бездействие власти ჰქვიან, რომელიც არამც თუ граничит с преступлением, არამედ თვით „პრესტუპლენიაა“, რადგანაც ადვილად შესაძლოა ამ „бездействие“-ს დიდი უბედურება მოჰყოლოდა, თუ უკვე არ მოჰყოლია, ტფილისის მცხოვრებთათვის განურჩევლად დიდისა და პატარისა.

ბევრი კიდევ სხვაა ამისი მაგვარი, მაგრამ ვინ ჩამოსთვლის. ესეც საკმაოა, რომ ჩვენი აზრი შევადგინოთ მასზე თუ — ვის ხელშია ჩვენის თავის, ჩვენის ცოლშვილის, ჩვენის სახლობის ჯანმრთელობის და სიკვდილ-სიცოცხლის საქმე. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ ხორცისაგან უვნებლად ყოფისათვის, ყოველწლივ ვიხდით თითქმის 54,000 მან. ხარჯს. აქედგან 22,000 მანეთამდე იხარჯება ამ სასანიტარო-სამკურნალო ზედამხედაობის მოწყობასა და მოხელეობაზე და რას ვხედავთ? ინსპეკტორიდამ დაწყებული სავეტერინარო საკუჭნაოს ყარაულამდე სულ ყველას თვალებზე ხელები უფარებიათ, რომ არ დაენახათ, ვინ როგორ ცდილა ხალხის მოწამვლისა და წახდენისათვის. დამნაშავე არავინ აღმოჩნდაო? ვთქვათ ამ განსვენებულს ისპანდიარიანცს შენდობის მეტი აღარა ეთქმის რა. ხოლო იგი противузаконное бездействие ანუ თუნდ „небрежность“-ის რომელიც ერთის ხმოსანის სიტყვით, граничит с преступлением, და რომელიც ასე აშკარად ემჩნევათ ყველას ინსპეკტორიდამ დაწყებული საკუჭნაოს ყარაულამდე, არაფერია და დავიწყებას უნდა მიეცეს?

* 339 стр. улож. о наказ.

რაღას ეუბნებით ხალხის ჯანმრთელობას, სიკვდილ-სიცოცხლეს! ამოდენა თავისის ოფლის მონაგარს ფულს იხდის ხარჯად მარტო იმისთვის, რომ უშიშარმყავ მავნებელ ხორცისაგან და ამის მაგიერ დღე და დღე უფრო მეტს ტრიხინიან ღორსა ვხოცთ, ჩვენს საყასბოშივე ტრიხინით ჭმეულს საკლავისას, უფრო მეტს განსაცდელში ვაგდებთ თვითვეულს სახლობას ტფილისში, თუ ტფილისის გარედ, მოსაწამლავად და სასიკვდილოდ შემთხვევას ვუძლიერებთ, ვუმატებთ და ყოველ ამის შემწყობს, განგებ არის, თუ „по небрежности“ მოხელეა, თუ ვაჭარი ხელს უნდა აბაინებდეს, მერე ვინ? საბჭო, ჩვენგანვე ამორჩეული და ჩვენგანვე ჩვენს პატრონად და მზრუნველად დაყენებული ამისთანაებში? მეტი „კულტურა“ღა გინდათ! „დავიწყებას მივცეთო“! მეტი სასაცილოდ აგდებაღა გინდათ ყველაფრისა, რაც კი კაცს მოუგონია თავისის თავის საფარად, სახსნელად და სამშვიდობოდ. თ-დ ჩოლოყაშვილს და მიქელაძეს თუ სცოდნიათ, რომ ეს სასანიტარო სავეტერინარო ზედამხედაობა, რომელიც მათ ხალხის საკეთილდღეოდ პირველ განიზრახეს, ხალხის საწამლავად გადაიქცეოდა, უწინ წყალში ჩაცვიოდნენ, ვიდრე ამას მოინდომებდნენ.

„დავიწყებას მივცეთო“! არა, ბატონებო, თქვენ ყველაფერი დავიწყებისათვის არ მიგიციათ. კარგად დაგხსომებიათ დასაჯილდოებლად ღვაწლი ზოგიერთისა. მაგალითებრ, სასანიტარო-სამკურნალოს ინსპეკტორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ სტეფანიანცს ჯილდოც მიეცით, რადგანაც ინსპეკტორად დაამტკიცეთ. დავიწყებას მარტო ტფილისის მკვიდრნი მიეცით, იმათი ჯანმრთელობის უშიშარობა, იმათის სიკვდილ-სიცოცხლის განსაცდელი, ქვეყნის წახდენა, ქვეყნის მოწამვლა. თქვენ ის დავიწყებული გქონდათ პირველ

დღიდამვე, როცა შემოიღეთ ეს სასანიტარო-სამკურნალო ზედამხედაობა, ზედამხედაობა კი არა, ეს ავკაცური, სწორედ ავკაცური /преступное/ არამხედაობა. ბ-ნი ქიქოძე რომ არ ყოფილიყო ელდა უნდა ეცეს კაცს და ელდაცემული უნდა ჰკითხულობდეს: რა გვეშველებოდა?

მართლა და რა გვეშველებოდა, რომ ბ-ნ ქიქოძეს, ჩვენს „კულტუროსანთა“ საბჭოსა და მკურნალთაებრ, ამ საქმისათვის ყური არ ეთხოვებინა და ეს საქმე არ წამოეყენებინა მთელის თავისის საზარო სახითა! ვინ იცის, რამდენი ადამიანის სული დაიღუპა, რამდენი სახლი დაობლდა და რამდენი კვლავ დაიღუპებოდა!

რა თქმა უნდა, თვითონ ხმოსნები და ერთობ მდიდარი ხალხი ტფილისისა ამისთანა განსაცდელისაგან უშიშარია. აბა იმათ ვინ გაუბედავდა ტრიხინიან ხორცის მიჩეჩებას! ვაი საცოდავს დაბალ ხალხსა, რომელიც ყოველ ამისთანაებში მარტო იწვის ხოლმე ტაფაში. საცოდავი ორიოდე გროშს ჩაიგდებს თუ არა, სიხარულით მირბის არუთინოვთან, იქნება ორი გირვანქა ღორის ხორცი შინ შეუტანო სახლობასა და წვრილშვილი გავახაროო და, ვინ იცის, იქნება შინ საწამლავიც შეაქვს საზრდოების მაგიერ. ვის რა დაემართა ამ ტრიხინიან ხორცისაგან, ვინ მოკვდა, ვინ გადურჩა, ვინ რას შეიტყობს, ვინ რას გაიგებს! სასანიტარო-სამკურნალოს „კულტუროსანთა“ მკურნალი, ღმერთმანი, მოწმობას არ დასწერს — თავისის წერისაგან ჩაბარდა პატრონსაო და გათავდა საქმე, წავა საწყალი და საფლავში ჩაიტანს საიდუმლოებას არუთინოვის და სხვა ამისთანაების ტრიხინებისას.

დიაღ, ამისთანა საქმე დავიწყებას მისცა „კულტუროსანთა“ საბჭომ და ამისი უმთავრესი ზედამხედავი ბ-ნი სტეფანიანცი ერთის ხარისხით მაღლა აასკუპა უქმად ყოფნის ბარაქალაობისათვის. კარგი იქნებოდა, რომ თვითონ არუთინოვსაც ჯილდო რამ მიეღო! განა ღირსი არ იყო? იქნება კაცს ხუთის გროშის ტრიხინიან ღორის ხორცს აძლევს და ამ ხუთი გროშისათვის იმეტებს სასიკვდილოდ მთელს მისს სახლობასა. ეს ისეთი ვაჟკაცობაა „კულტუროსანთა“ ვაჭრისაგან, რომ ყოველის ჯილდოს

ღირსია, თუ თქვენც იტყვით. ეჰ, მართლა რომ კაცთმოყვარეობა სულელობა ყოფილა, თორემ არც ესე თავს გავიდოდნენ და დაწინაურდებოდნენ „კულტუროსანნი“. მდიდრები ვართო, მაშ რა იქნებით? თუ ტრიხინითა ადამიანის სიცოცხლე ითრგუნება და საფლავების შინათა ფული იხვეჭების.

ვთქვათ „კულტუროსანთ“ ამისთანა ამბები, როგორც დავიწყებაა ამ ტრიხინების საქმისა, არაფრად მიაჩნიათ, ოღონდ ჩვენ ვიყვნეთ და ქვა ქვაზედაც ნუ დარჩებაო. ეს ადმინისტრაცია რაღას მდუმარებს დღეს აქამომდე? მართალია, „კულტუროსანთა“ სუტლიბერალური გაზეთი „Новое обозрение“ რეტროგრადობას შეგვწამებს, აგე „ივერია“ მთავრობასა სთხოვს შველასაო. დიაღ, ბატონები, მთავრობასა ვსთხოვთ, რომ ეგრე უღმერთოდ ჩაფუჩეჩებული ბოროტმოქმედება, რომელიც მომასწავებელია მთელის ტფილისის მოწამვლისა და ტფილისის გარეთისაც, თქვენის სუტლიბერალობისამებრ დავიწყებას არ იქმნას მიცემული. აქ ხალხის საცოდავობა ჰღაღადებს, ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა და ლიბერალობა იმაში არ არის, რომ ამისთანა ბოროტმოქმედება, თქვენის საბჭოს მოწყალებით, დავიწყებას მიცემულ იქმნას ქვეყნის სავალალოდ.

ეს ღაღადი დაწვრილებით გამოძიებას თხოულობს და არა ტყუილ-ლიბერალობის ღრეჭასა და ღმეჭასა.

ჩვენ ადმინისტრაციის მდუმარებას ამ საქმეში იმითი ვხსნით, რომ უთუოდ ელოდდა, რას იტყოდა საბჭოს კამისია და მერე თვითონ საბჭოც. ეხლა ერთიცა და მეორეც ცნობილია უკვე და ადმინისტრაციამ თვითონ იცის, რას იზამს.

[1897 წ.]

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე>

ტფილისი, 16 მაისი/

ხვალ, 18 მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღეა იმისი თუ, — ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

აქამდე თუ ხმოსნების ამორჩევას საბჭოსათვის ყურს არ ვათხოვებდით და გულგრილად ვეკიდებოდით, დიდი შეცოდება იყო ჩვენ მიერ ტფილისისა და მისთა მკვიდრთა წინაშე. ეხლა სულ სხვა დროა. ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, — რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი, — მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, გამოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯამრთელდეს. ღმერთმა არა დაიშურა რა ჩვენის დედაქალაქისათვის. ჰაერი, წყალი, ადგილი — ყველაფერი, რითაც ბუნება მოსაწონებლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს, იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოგვნატრის. თუ რამ ცუდია აქ, და ბევრი რამაც არის ცუდი, სულ იმისი ბრალია, რომ დედაქალაქს შვილობას არ ვუწევთ, გულდადებით არ ვექცევით, სიყვარულით, სიყვარულით არ ვპატრონობთ.

კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელს ქალაქსა.

ყველამ ერთად, რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო. და აი ხვალ ამისი განკითხვაა. რომ ჩაუფიქრდეთ, თქვენვე იტყვით ჩვენთან ერთად, რომ ეს სახუმარი საქმე არ არის. ერთი გულმრუდობით აქედ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეს, — ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო? იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ — ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია.

თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენის ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლეს, ღარიბს არ ახდევინონ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტყლაპოებისაგან არა ჰყარდეს და

მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზ-ითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი, ქალაქის ბაზარში კარგი და საღი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არა ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც, რაც შეიძლება იეფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იქსაქსებოდეს გულდაუდებლობით და უთავდარიგობითა.

ერთის სიტყვით, ბევრი სხვაც არის, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ესეც საკმაოა, თუ ღმერთმა გვაგონა, და ამაებს მაინც ხვალ შესაფერი კაცები ამოვურჩიეთ.

ამიტომა ვთქვით ზევით, რომ ხვალინდელი დღე სახუმარი დღე არ არის. სიმძიმე და სიდიდე იმ მოვალეობისა, რომელსაც ხვალ კისრად ვღებულობთ და ასე თუ ისე ავასრულებთ, წინ უნდა წაიმძღვაროს ყველამ და ისე მივიდეს კენჭის მისაცემად. აქ ვინც უმტყუვნებს და უღალატებს იმას, რასაც სინიდისი, ნამუსი, კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი უღალატებს თავისს თავს, თავისის ცოლ-შვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ.

[1897 წ.]



<საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები>

ტფილისი, 12 სექტემბერი

წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებით შესანიშნავია მით, რომ მეტად გახშირდა ჩვენში ავაზაკობა ძარცვა-მტაცებლობისათვის, არამცთუ დიდს შარაგზებზე, არამედ შიგ სოფლებშიაც, ქურდობას და ქურდბაცაცობას ხომ ნუღარ იტყვით. ავაზაკობამ, ზოგჯერ კაცისკვლამაც, შეერთებულმა ძარცვა-მტაცებლობასთან, ისე გაბედვით გამოიდო თავი ჩვენში, რომ არც ერთი კუთხე არ დარჩა ამიერ კავკასიაში, — ავაზაკთა სარბიელად არ გამხდარიყოს. ძნელად გადის ისე დღე, ან იქიდამ, ან აქედამ ამბავი არ მოდიოდეს, რომ ავაზაკები დახვდნენ, გაძარცვეს მგზავრად მოდენილები შარაგზაზე, ან ამასა და ამას შეუცვივდნენ სოფლად სახლში, წაიღეს რაც შეეძლოთ და ზოგჯერ დახოცეს კიდეც, ვინც კი გაბედა და დააპირა თავს როგორმე უშველოსო. ესეთს თამამს და კადნიერს ავაზაკობას, ძარცვა-გლეჯას, როგორც ეხლაა, ესე ყველგან მოდებულს და თავაღებულს, ძნელად თუ ვინმე მოსწრებია უწინ.

ამნაირმა შეუწყნარებელმა და აუტანელმა მდგომარეობამ მიიქცია ყურადღება მთავრობისა და შეაძრწუნა თვით საზოგადოება და მკვიდრნი. აქაური ჟურნალ-გაზეთები ჰცდილობენ უპოვონ თავი და ბოლო ამ მწვავს და შემაძრწუნებელს ვითარებას და წამალი რამ დასდონ, მაგრამ, რადგან ხელთ არა აქვთ არავითარი გამონაძიები და გამონარკვევი ამ მხრით, არავითარი ცნობა მისი, თუ სად და როგორ მოწყობილნი

არიან მკვიდრნი საშინაოდ და საგარეოდ, რა აიძულებთ საავაზაკოდ და რა არა, რა აქეზებს და ხელს უწყობს ავაზაკობის თარეშობასა, რომელი ადგილი და თესლი ერისა იძლევა ავაზაკსა და მძარცვავ-მტაცებელს, — ყოველივე მეცადინეობა უქმად იხარჯება და როგორც მიზეზი, ისეც წამალი ავაზაკობისა გამოურკვეველი ჰრჩება სამწუხაროდ, თვითვეული, რომელიც მოწადინებულია ამ საქმეს რითიმე უშველოს და შეეწიოს, რითიმე ახსნას, თავი და ბოლო გაუგოს, იძულებულია ვინიცობის ბარდებში გაებას და იქ ეძიოს პასუხი ამ მწვავის და აუტანელის ვითარებისა.

რა თქმა უნდა, ამისთანა ძიებისაც, ჰო-არაობით სვლას ამ ბინდბუნდში, რომელიც ჩვენებურ ავაზაკობას გარს ახვევია, თავისი ღირსება და ფასი აქვს, მაგრამ უებარ წამლობისათვის ამისთანა გამონაძიები, გამონარკვევი, ვერაფერს მასალას ვერ იძლევა. აქ საჭიროა ნამდვილი შინაგანი ავკარგიანობა საქმისა, რომ საზრისს თვისი ჭეშმარიტი და უეჭველი საბუთი ჰქონდეს, და რაკი ამ გზით მიზეზი აიხსნება, წამლის პოვნაც შესაძლო გახდება.

თვითონ საზოგადოებაშიც და მკვიდრთა შორის დიდი მითქმა-მოთქმაა მიმართული იმაზე, რომ გამოიცნონ მიზეზი ამისთანა მოვლენისა და ღონე რამ იღონონ მისის აცილებისათვის. არიან იმისთანა ბრძენნიც, რომელნიც არც აციებენ, არც აცხელებენ და ამ გაძლიერებას ავკაცობისას აბრალებენ აქაურ მკვიდრთა ბარბაროსობას, дикое население, дикая страна, და თითქო ამერიკა აღმოაჩინესო, კმაყოფილებით და თავმოწონებით ხელებს იფშვნეტენ. ესეთი ქვიშაზე აგება საბუთისა მეტად ადვილია და იმათ, ვისთვისაც ღმერთს არ უღირსებია უნარი ჭკუათა მოძრაობისა და საქმის ღრმად სინჯვისა, და საღერღელი კი თავის გამოჩენისა მოსვენებას არ აძლევს, სხვა რა უნდა ჰქმნან, თუ ფონს არ გავიდნენ ამისთანა გაცვეთილ ლათაიებითა.

მართალია, აქაური მკვიდრნი სხვებზე უკან ჩამორჩენილია ძალიან, ბევრი რამ აკლია, ბევრი რამე აქვს სანატრელი თვისის ნაკლის შესავსებლად, მაგრამ ბარბაროსობასა და ველურობაზე ძალიან შორს არიან წინ

წასულნი. სხვა რომ არა ვთქვათ რა, მარტო ის ამბავი, რომ აქაურმა ერმა პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის კარგად თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად გონებითად და აქედამ ზნეობითადაც. ვაზი, ვენახი, ვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მიწათ მოქმედებისა, და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება, უფრო მეტს გონების გარჯას და მოხერხების ძალას ჰთხოულობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქერისა. ამ გონებას, საზრიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქედამ გახსნისა და წარმატებისაც.

გარდა ამისა, ვენახი ხომ ერთის დღისა და წლის საქმე არ არის. იგია ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავნი, ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრითა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვაწისა. აქაური გლეხკაცი შეჰხარის ვენახს ჯერ როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვაწის სახსოვარს და ნაშთსა. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზედმოქმედებდეს აქაურ გლეხკაცობის ავკარგიანობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე. ამიტომაც გრძნობა საკუთრების დანდობისა და პატივდებისა აქ უფრო მეტს საზრდოებას უნდა ჰპოულობდეს, ვიდრე იქ, საცა უძრავი ქონება მოკლებულია ამ ორნაირ, ადამიანთა მიერ სამართლიანად პატივსაცემს, ღირსებას.

იმ ერს, რომლის შინაური მოწყობილება ამისთანა ვითარებას წარმოადგენს, ვერ შეეწამება ბარბაროსობა და ველურობა იმოდენად მაინც, რომ ამით გამოიხსნას ნასკვი იმისთანა ავზნეობისა, რომელიც კაცს ავაზაკადა ჰქმნის.

მიზეზი სხვაგან უნდა მოიძებნოს. ზოგიერთი აქაური გაზეთები მიზეზად ავაზაკობისას ასახელებენ მამულების ნაკლებობას და უქონლობას, რა თქმა უნდა, თავი და ბოლო ავკაცობისა, რომლის შედეგი ძარცვამტაცებლობაა, ეკონომიური ჭირბოროტი და გაჭირება

არის, საზოგადოდ რომ ვთქვათ. ხოლო ნაკლებობა და უქონლობა მამულისა ერთი დღის საქმე ხომ არ არის და არც იმისთანა რამ არის, რომ დღეს წავიდეს და ხვალ მოვიდეს. თუ მამულის უქონლობას, ან ნაკლებობას, აქ ადგილი აქვს, ის გარემოება როგორღა აიხსნება, რომ ერთს წელს უფრო ხშირდება ავაზაკობა და მეორე წელს ჰკლებულობს? მაგალითებრ, წელს უფრო გაძლიერდა და გახშირდა ავაზაკობა, ნუთუ მარტო წელს უცბად შეუცოტავდათ აქაურებს მამულები და უილაჯობით ხელი მიჰყვეს ძარცვამტაცებლობას! შეუძლებელია ასეთი უცბობა ვიგულისხმოთ და, მაშასადამე, შეუძლებელია მიზეზი ავაზაკობისა, და ნამეტნავად მისის გახშირებისა, მამულის ნაკლებობაში დავინახოთ.

მართალია, საზოგადოდ სხვის ქონების პარვამტაცებლობა შეიძლება მიეწეროს, სხვათა ეკონომიურთა გარემოებათა შორის მამულის უქონლობასაც, რომელიც მკვიდრს უილაჯოდ ჰქმნის ლუკმაპურის შოვნისათვის, მაგრამ ჯერ, მინამ ამ გარემოებას დავიჯერებთ, საჭიროა გამოძიებულ იქმნას — რა ადგილებიდამ გამოდიან ავაზაკნი, იმ ადგილებში რაგვარად არის მორიგებული მამულები მკვიდრთა შორის, რა მეტნაკლებობაა მამულებისა და რა ჯურის მკვიდრნი უფრო ეტანებიან ავკაცობას. ვიდრე ყოველივე ეს გამორკვეული არ იქნება, ძნელია კაცმა გულდაჯერებით მიიღოს მამულის ნაკლებობა მიზეზად ავაზაკობისა.

უფრო ჭკუას ახლოა პირველ შეხედვით სხვა აქაურ გაზეთებისაგან სხვათა შორის ნანიშნი მიზეზი. იგი გაზეთი ამბობს, რომ კატორღიდამ და ციმბირიდამ გამოქცეულნი, აქედამ ავკაცობისათვის სასჯელად გაგზავნილნი, მოდიან და აქ ავაზაკობენო. ადვილად დასაჯერებელია, რომ ამ გზით რაზმი ავაზაკობისა ჰმატულობდეს. ხოლო ერთი ეს ვიკითხოთ: მინამ იმათ კატორღაში თავს უკრავდნენ და მერე იქიდამ გამოიპარებოდნენ, მათი ავკაცობა ხომ აქვე უნდა გაჩენილიყო და არსებულიყო, უამისოდ კატორღაში რად ამოაყოფინებდნენ თავს. მაშასადამე მიზეზი ავკაცობისა აქ, ჩვენში, ფეხის ადგმისა, აქვე შინ უნდა მოიძებნოს, აქვე

უნდა ჰბუდობდეს ის სენი, რომელიც აჩენს ჩვენში ავაზაკობას.

ჩვენ ვეცდებით შემდეგს წერილში ეს მიზეზნი ავნუსხოთ და ჩამოვთვალოთ, რამოდენადაც იგინი ჩვენს თვალში იხატებიან მოსაზრებით და არა გამონაძიებით და გამონარკვევით, რადგანაც ნაძიები და გამონარკვევი სრულად არსად მოიპოვება ჩვენში.

ტფილისი, 13 სექტემბერი

ამიერკავკასია დასახლებულია მრავალგვარ თესლის მკვიდრთაგან. ერთის თესლის მკვიდრი განირჩევა მეორისაგან ყოველისფრით, რაც ადამიანის შინაგანს და გარეგანს კუთვნილებას შეადგენს, მისს ვინაობას სულიერად და ხორციელად. იგინი განირჩევიან ზნითა, ჩვეულებითა, ხასიათითა, მიდრეკილებითა, რჯულითა, საადამიანო და საოჯახი ანდერძითა, საეკონომიო, სამეურნოე აგებულებითა და იმ მრეწველობითაც, რომლითაც თავს ირჩენს აქაური მკვიდრი და რომელიც შედეგია ჰავისა და მიწის საოცარ სხვადასხვაობისა.

ამიტომაც ავაზაკობის მიზეზთა ახსნისათვის ბევრს რასმეს სახელმძღვანელოს შევიძენდით, რომ გამორკვეულ ყოფილიყოს ვინაობა ავაზაკისა იმ მხრით თუ, — რა თესლისა და რა ადგილის კაცია. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ყოველ ამისათვის უღონონი ვართ, რადგანაც ამ მხრით გამოძიებული და გამორკვეული არა არის რა ჩვენში და ჩვენ მარტო ისღა დაგვრჩენია, აზრით მივაგნოთ მიზეზსა, ისიც სავინიცობიოდ, იმ თითო-ოროლა ცნობების შემწეობით, რომელთაც აქა-იქ კაცი ყურს მოჰკრავს შემთხვევით.

იმ ავაზაკთა სახელწოდებას და გვარებს რომ დავაკვირდეთ, რომელნიც ასე თუ ისე საზოგადოების ყურამდე არიან მისულნი, დავინახავთ, რომ ჩვენში ავაზაკობენ ბევრწილად ოსები და თათრები. ეს ორის თესლის ხალხი მომეტებულს, თუ არ მთელს, ნაწილს ავაზაკებისას იძლევა. ძნელად შეხვდებით და ძალიან იშვიათად ყაჩაღად გავარდნილს ქართველს, ან სომეხს. რა აიძულებს ოსებს და თათრებს ამისთანა ავკაცურ ხელობისათვის, როგორც იარაღით ხელში დახვედრა

და ძარცვაა და ზოგჯერ ამისათვის კაცისკვლაც? ნუთუ იგი ზნეჩვეულება, რომელიც ტაცებას სხვის ქონებისას და თუნდ კაცის კვლასაც ცოდვად არა სთვლის? ნუ თუ იარაღით ხელში ტაცება სხვის ქონებისა და კაცისკვლა ან ოსს, ან თათარს სასახელო ვაჟკაცობად მიაჩნია და იმიტომ ხელსა ჰკიდებს ავაზაკობას?

მართალია, ბევრნი არიან იმისთანა ბრძენნიც, რომელნიც ამისთანა სასაცილო საბუთებით თავიდამ იშორებენ ამ მწვავის საქმის ვითარებას და ამ საბუთებზე ფეხმოკეცილნი სხედან, მაგრამ ეს ასე არ არის. ბუნება ადამიანისა არც ისეა წამხდარი, რომ ქურდობა, ძარცვა და ნამეტნავად კაცისკვლა ესიამოვნებოდეს, ეხალისებოდეს და ყოველივე ეს სამარცხვინოდ არ მიაჩნდეს, როგორც შინ, ისე გარედ. ეს კია შესაძლო, რომ ამისთანა სამარცხვინო საქმე ერთს უფრო ეადვილება, ვიდრე მეორეს, მაგრამ რომ ამას ტაში ქებისა დაჰკრას თვით იმ წრემ, საიდამაც ავაზაკი გამოდის, არა გვგონია, ჭკუათა მყოფელ კაცისაგან დასაჯერი იყოს. თუ ეს ასეა, მაშ რა ხელი უნდა ჰქონდეს ავაზაკობაში ვაჟკაცობის სახელის მოპოების სურვილსა? სახელი სხვა რა არის, თუ არ ქების ხმა ერისა, და ავაზაკმა, სხვის ქონების მტაცებელმა, სად და ვისგან უნდა მოიპოვოს სახელი და ან რად უნდა ეგ სახელი, რომლის წყალობითც მელა-ტურასავით ტყეში უნდა ემალებოდეს ყოველს კაცსა და მეზობელს? ან სად და რა ზნეჩვეულებაში უნდა იბადებოდეს და ინასკვებოდეს ეგ წყურვილი ვაჟკაცობისა? ვის რად უნდა, რის მაქნისია თავის თავად?

ავკაცობა, მიმართული სხვის ქონების მოსატაცებლად, ყოველგან და ყოვლისაგან ცოდვად და სამარცხვინოდ არის მიჩნეული. იმისთანა გარეულ და ველურ ხალხსაც კი ძნელად სადმე გვიჩვენებთ, რომ მაგ სამარცხვინო ხელობას ქება-დიდებით ახალისებდეს, და რაღა ოსები და თათრები არიან ამისთანანი? ვის რა საბუთი აქვს ამნაირ დასკვნისათვის?

თათრებზე ამბობენ, ვითომც რჯული და ფანატიკობა აქეზებდეს ავაზაკობისათვის. ეს ისეთი სასაცილო ზღაპარია, რომ სიტყვის შებრუნების ღირსიც არ არის. სხვა რომ არ ვთქათ რა, განა ერთი და ორი

მაგალითია, რომ თათარი ავაზაკი თვით თათარსვე ერ-ჩის, სძარცვავს და ზოგჯერ ჰკლავს კიდეც. აქ რჯული და ფანატიკობა რა შუაშია? თუ ქრისტიანს ემტერება თათარი თავისიანს რატომ აღარ ინდობს და რად იმეტებს?

ზოგი აქაურს ავაზაკობას აბრალებს იმას, რომ აქაურები ვითომ აზიის ხალხია და აზიელნი ხომ სისხლისმღვრელნი და სისხლისმსმელნი არიან, თითქო მართლა სისხლისღვრა და სისხლისსმა აზიელთა თან-დაყოლილი თვისება იყოს. ჩვენ არც ამ სასაცილო სი-ბრძნეს მივაქცევთ ყურადღებას და სიტყვაშეუბრუნე-ბლად ვტოვებთ. ამას კი ვიტყვით, რომ სხვის ქონების ტაცობა და ნამეტნავად კაცისკვლა იმოდენად წი-ნააღმდეგია ადამიანის ბუნებისა, ევროპიელი იქმნება, თუ აზიელი, რომ თუ არ უძლეველი ძალმომრეობა გა-რემოებისა, სხვა რამ ძნელად თუ გააბედვინებს კაცს ხელი მიჰყოს ავაზაკობის ხელობასა. აქ საქმე იმაშია, — რამოდენად ძლიერია ზედმომქმედი გარემოება და რამოდენად მაგარი ხასიათი შეხვდა, ამ გარემოების ძალმომრეობას გაუძლოს და არ წაეღებინოს.

ამ მხრით რომ გავსინჯოთ ოსებისა და თათრების ზნეობრივი და ქონებრივი ავკარგიანობა და თან შევუ-წონოთ გარემოებანი ბინადრობისა ცხოვრებისა და ეკო-ნომიურ მეტნაკლებობისა, ბევრს რასმე საყურადღებოს შევნიშნავთ. მაგალითებრ, ოსი ბეჯითი და გამრჯელია, თუ თავისის თავისათვის ირჯება და ადგილ-მამული ხელს უწყობს იმუშავოს, აკეთოს რამე და თავი ისე ირჩინოს. თუ ყოველ ამას მოკლებულია, ადვილად საშოვარს ადვილად ეძლევინება, რადგანაც ცუღლუტია, სუსტი ხასიათისაა და ძნელად უძლებს მაცდურებას, თუ სადმე ადვილად ასაღები და ჯიბეში ჩასადები რამ შეიგულა. იგი უფრო ქურდბაცაცობას მისდევს, ვიდრე დიდს შარაგზაზე ძარცვა ტაცებასა, რადგანაც ბუნები-თად მხდალია და გულდაგულ დახვედრას და შეტევით გაძარცვას ძნელად თუ გაჰბედავს. ქონების შესახები დანაშაულობა რომ გავუსინჯოთ ოსს, დავინახავთ, რომ იგი უფროს ერთში ხბოს, ძროხის და ერთობ საკლავის მოპარვით იწყება და თავდება.

ყოველ ამასთან ოსი წიწლაკიანია, მალე ჰფიცხდება და შეგულიანდება ხოლმე და თუ მთვრალია, მაშინ გამბედავიც არის თავის დავიწყებამდე. თუ ოსი სა-თარეშოდ წავიდა გულდაგულ ვისიმე დასახვედრად, არა გვგონია ისე წავიდეს, რომ არაყით ან ღვინით არ შეფიცხდეს, არ შეგულიანდეს. ვაჟკაცობა ოსისა ნამეტ-ნავად საქართველოს ოსისა, არსად ცნობილი არ არის, მაგრამ თუ ყაჩაღად გავარდა და პირდაპირ ავაზაკობა დაიწყო, მეტისმეტი გაბედულია, თავზეხელაღებული და მოურიდებლად კადნიერი. თითქო იცის, რომ იგი ან-დერძაგებულია, დღესა თუ ხვალე სადმე თავი უნდა შეაკლას, სადმე უნდა ტყვიამ მდევრისამ იპოვოს, ან დაიჭირონ, გადაჰკარგონ და ამიტომ თავისი სიცოცხლე თითქო წინადვე გულიდამ ამოღებული აქვს და მინამ პირში სული უდგას, არაფერს ერიდება, ოღონდ, მინამ ცოცხალია, თავი იკვებოს უშრომოდ და გაურჯელად, ილხინოს და თავისუფლობდეს.

საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიის ოსი, თუმცა სახელით მართლმადიდებელია, მაგრამ რჯულისა და სარწმუნოებისა არა იცის რა და არც არავითარი ღონისძიებაა მიღებული, რომ იცოდინოს რამ. თითქმის ერთი სოფელი არ არის ოსისა, ბარელისა თუ მთიელისა, რომ სკოლა ჰქონდეს. არა გვგონია, სოფლის მკვიდრთა შორის თუნდ ერთი ოსი მოიპოვებოდეს, რომ იცოდეს წერა-კითხვა. მიუხედავად ყოველ ამისა, გრძნობა საკუთარის ღირსებისა ოსს იმოდენად დახშული არა აქვს, რომ არ იწყინოს ქურ-დად და ავაზაკად ხსენება. ოსსაც ისე ეთაკილება ეს სამარცხვინო სახელები, როგორც სხვას, უფრო უკეთ-ესს მდგომარეობაში მყოფს. აგრე ავად ხსენება ოსსაც იმოდენად შეაგულიანებს ხოლმე, რომ ხშირად ხელსაც გამოაღებინებს შემგინებელის სამტროდ. ამისი მა-გალითი ბევრია.

აი მოკლედ ჩამოთვლილი ზნეობური ავლადიდება ოსისა, რომელიც წინ უნდა დაუდგეს ზედმოსეულს გარემოებას ცხოვრებისას და არსებობისას, ხშირად ცალკე ღონისათვის უძლეველს და სუსტს ზნეობის კაცის ავკაცად გარდამქნელსა. მართალია, ესეთი ზნეობური ავლა-დიდება დიდი ციხესიმაგრე არ არის,

რომ კაცმა გაუძლოს ძალმომრეობის განსაცდელისას და პატიოსანი უქონლობა ირჩიოს უპატიოსნო ქონებასა, მაგრამ არც ისეთი უღონოა, რომ თუ არ დიდმა რამ განსაცდელმა, სხვამ, მცირე რამე მიზეზმა ადვილად აიძულოს კაცი საავკაცოდ და საავაზაკოდ. ამაზე ამის შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ტფილისი, 18 სექტემბერი

პირაქეთელი ოსები ჰბინადრობენ გორის მაზრაში და დუშეთისაში და ეს ორი მაზრაა სარბიელი ოსთა ავაზაკობისა და ქურდობისათვის. ძნელად გაიგონებთ, რომ ოსი სხვა მაზრაში გავიდეს საავკაცოდ, ან უკედ ვთქვათ, სხვაგან სადმე ფეხი მოიკიდოს ძარცვასატაცებლად.

ოსი ფრთხილია, უნდოა და ერიდება ავაზაკთა ამხანაგობას. კრებულად ავკაცობა, ავაზაკობა, დიდ მორჩილებას, დიდს დისციპლინას ჰთხოულობს. იქნება დისციპლინა ისე საჭიროდ არსად იყოს, როგორც კრებულად ავაზაკობაში, საცა მარტო ხმაამოუღებელს მორჩილებას და ერთის უფროსის კაცის ნებას შეუძლიან თავი დააჭერინოს კრებულად ავაზაკობასა და სული ჩაუდგას. ოსი ამისთანა უღელს ვერ იშვნევს, იგი ხელაღებით [არ] ემორჩილება თავისავე თანასწორს კაცსა. დისციპლინა ოსისათვის უჩვეი ამბავია. ამიტომ იგი უფრო მარტო ჰთარეშობს და ძნელად თუ ამხანაგად გაიხდის ვისმე, და თუ გაიხდის — იმისთანას, რომელიც ძალიან გამოცდილი ჰყავს ერთგულობაში და ამასთან იმისთანა დანაშაული ჩაუდენია, რომ მთავრობას შემჩნეული ჰყავს და მთავრობისაგან დევნულია. გაცემა და ღალატი ამხანაგისა ოსს ძალიან ეადვილება, თუ მოხერხებული კაცი შეუჩინეს, პატიობა აღუთქვეს, ან ფულით დაახარბეს. თუნდ ესეც არ იყოს, ადვილად იცის ამხანაგთან ჩხუბის ატეხა დავლა-ნაძარცვის გაყოფაში, ჩხუბს წყენა მოსდევს და ზოგჯერ წყენას გაცემა და ღალატი. ოსი შურისმძიებელია და თუ კაცმა აწყენინა რამ, ძნელად ივიწყებს და როცა იქნება კლანჭს გამოჰკრავს, თუნდ თვითონაც ზედ გადაეგოს.

იქნება ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ ოსი-ავაზაკი ამხანაგობას ერიდება და მარტოობას ჰრჩეობს. ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ ოსს-ავაზაკს ხელშემწყობი და მეშველი არა ჰყავდეს და თავისიანებში არავინ აძლევდეს ბინას და საფარს ნაძარცვის სამალავად, ან არა ჰყვანდეს ვინმე, ამბის მიმტან-მომტანად. უამისოდ ვერც ერთი ავაზაკი, ოსია თუ სხვა ვინმე, გარედ თარეშობას და ავკაცობას ვერ გაჰბედავს. ბინის მიმცემი და საფარავისა ხშირად მახლობელი ნათესავია, ან საყვარელი ქალი და რასაც ავაზაკი ჰშოულობს, მარტო ამათთვის ემეტება და ამათთვის მოაქვს უანგარიშოდ. აქ ან ჩხუბს, ან სამდურავს ერთმანეთში თითქმის ადგილი არა აქვს და, მაშასადამე, ამისთანა რამ არ აიძულებს აქ კაცმა კაცი გასცეს, თუმცა აქაც კი თითო-ოროლა მაგალითია ღალატისა, მაგრამ ძალიან იშვიათად.

პირაქეთელ ოსთა შორის საავაზაკოდ გამოდიან თითქმის მარტო მთიელნი ოსნი. ცივი ჰავა მთისა, სიმწირე მამულ-დედულისა უილაჯოდ ჰქმნის მთიელს ოსს სარჩო-საბადებლის შესაძენად. მიწა და ჰავა არას იძლევა ქერის მეტსა და იქაური ოსი მარტო ქერის ხვნა-თესვაზეა მინაბრებული, მთიელის ოსის საჭმელი მარტო ქერის პურია და სასმელი ლუდი, რომელსაც ქერისაგან ჰხდის. ამითი უნდა გაუძღვეს იგი ცოცხალსა და მკვდარს, სახელმწიფოს და სოფლის ხარჯსა და გადასახადსა და ხშირად მამულის ღალასაც. კაცმა მარტო ის რომ წარმოიდგინოს, რა უჯდება ოსს მკვდრის სამღვთოს გაუთავებელი წესრიგი, რომელსაც უძლეველი მამა-პაპური ჩვეულება მისგან ჰთხოულობს და რომელსაც ოსი ვერ უღალატებს უიმისოდ, რომ სამარცხვინოდ თითით საჩვენებელი არ გახდეს სოფელში, — ვამბობთ, მარტო ეს მკვდრის სულის დაურვებისათვის ხარჯი კაცმა რომ წარმოიდგინოს, გაუკვირდება, რითღა ცოცხლობს ოსი და მისი სახლობა. ახლა ამას ზედ დაურთევით ხარჯი სახელმწიფო და სასოფლო და სხვა ამისთანა აუცილებელი გადასახადი და გასავალი, და ის გარემოებაც გაითვალისწინეთ, რომ ყოველი ეს უნდა გაისტუმროს თითქმის მარტო ქერის მოსავალმა, და მაშინ წარმოიდგენთ იმ

გაჭირებულ ყოფა-ცხოვრებას, რომელიც ბედს მთიელ ოსისათვის შეუხვედრებია.

მართალია მთიელს ოსს მოცადი პირუტყვიცა ჰყავს. ცხვარი, ძროხა, მხოლოდ იმოდენა არა, რომ სათქმელი იყოს და დიდს ანგარიშში ჩასაგდები: წველა, საკლავი საოჯახოდ ძლივა ჰყოფნის და გარედ გასატანად ბევრი არა ჰრჩება რა აქედამაც; გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ პირუტყვთშენებას დიდი და ფართო საძოვრები უნდა და ეხლა სადღაა იგი გაშლილობა და სიფართოე, რაც წინად იყო. ეხლა ხალხის გამრავლების გამო, საცა კი სახნის-საკვეთი მისწვდება, საძოვრები სახნავადა კეთდება და საბალახოც დღედადღე კლებაშია და პირუტყვთშენებაც შეცოტავდა უადგილობისა და სიძვირის გამო. ეხლა გლეხს სამუშაო საქონლის შენახვაც უჭირდება და სანაშენოდ ვიღა რასმეს გაჰბედავს ხელი გასძრას და თავი აიტკივოს.

ყოველ ამას ზედ დაუმატეთ უგზოუკვლობა, რომლის გამო გამოტანა რისამე მთიელ ოსს უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე გამოტანილი ჰღირს, და მაშინ სრული სურათი მთიელ ოსის უილაჯობისა თვალწინ წარმოგიდგებათ მთელის თავისის უძლეველის სახითა.

მინამ ფულის საჭიროება ჩვენში გაძლიერებული არ იყო, ვიდრე სახელმწიფოს და სხვა ამისთანა ხარჯს აქაური მკვიდრი მიწის მოსავლით უძღვებოდა, ქერით, პურით იხდიდა, მთიელი ოსები, როგორც იყო, სულს იბრუნებდნენ. ეხლა ყველაფერი ეს ფულსა თხოულობს. გარდასახადმა და ერთობ გასავალმა სახე იცვალა, ფულად იქცა, და შემოსავალი, მოსავალი კი არამც თუ უცვლელად დარჩა, უფრო უარეს დღეში ჩავარდა, ბაზრობა რომ გავუსინჯოთ. ბაზრობა ვამბობთ, იმიტომ რომ ერთადერთი წყარო ფულის შოვნისა ბაზარია.

რკინისგზამ შუა გასჭრა ქართლი, ესე იგი, გორის მაზრა, და ზღვიდამ ზღვამდე გაუადვილა სიარული, ნაშრომ-ნაღვაწის ზიდვა-გატანა, საქართველოს სამხედრო გზამ დუშეთის მაზრას თავიდამ ბოლომდე გაუარა, გზატკეცილმა ბორჯომიდამ აბასთუმნამდე ახალქალაქის და ახალციხის მაზრა მოუახლოვა ბაზარს; სხვა აქედ-იქითი გზები კი ასეთი არ არის, რომ მათზე სიარული ერთი ჭირი და ბოროტია, ნამეტნავად

გასასყიდად დანიშნულის საზიდავად და გადასატანგადმოსატანად. რკინისგზებსა და გზატკეცილებზე ახლომახლო მცხოვრებლთ, რა თქმა უნდა, ბედი გაეხსნათ: კარგი გზა ბაზარს თითქმის ხელში აძლევს. ამ გარემოებამ იმოდენად გაუადვილა ჭირნახულის გატანა ბაზარში, იმოდენად გაუიეფა ჭირნახულის საზიდი ხარჯი, იმოდენად შეუმოკლა დრო და გარჯა მისვლა-მოსვლისათვის და გადატან-გადმოტანისათვის, რომ ამ კაი გზებზე მოშორებით მცხოვრებლმა ვეღარ გაუწია ცილობა და ძალაუნებურად პირში ჩალაგამოვლებული დარჩა და ბაზარს და ბაზრობას გამოეთხოვა; როცა გზების უვარგისობა საყოველთავო იყო, ერთსა და იმავე ტაფაში იწვოდნენ ყველანი, ნაშრომ-ნაღვაწის გასასყიდად გატანაში თითქმის ერთსა და იმავე გარემოებაში იყვნენ და მარტო მანძილი და სიგრძე გზისა თაბაუთსა ჰშვრებოდა ისეთის მეტნაკლებობით, რომ ცილობა ფასის აწევ-დაწევაში მაინც კიდევ შესაძლებელი იყო და გაყიდვა ბაზარში მიტანილისა ცოტად თუ ბევრად სახეირო.

ეხლა სულ სხვაა. კაი გზებზე მახლობელთ ნამეტნავად გაუადვილდათ და გაუიეფდათ ბაზარში მიტანა საქონლისა, და შორებულებს კი, უგზოუკვლოობისა გამო, მეტისმეტად დაუმძიმდათ და გაუძვირდათ. უგზოუკვლოდ დაშთენილთაგან და კაი გზებზე დაშორებულთაგან ბაზარში გატანა საქონლისა ასეთს ხარჯსა ჰთხოულობს, ასეთს დროსა და ტანჯვა-წვალებასა, რომ ფასი გაყიდულისა ძლივს აყენებს ხოლმე მარტო ამაების ხარჯსა. პური, ქერი, სიმინდი და სხვა ამისთანა, რომელიც საზიდადაც დიდია, როგორც საპანე, და მძიმეც, ვეღარ იტანს გზისა და საზიდავის ხარჯსა და ამიტომაც ამაებისაგან ფულის გამორჩენა კარგს გზებზე დაშორებულ მკვიდრთათვის უზარალოდ შეუძლებელია.

გარდა ამისა, 1891 წელს რომ რუსეთში შიმშილი იყო და აქაურებს აუკრძალეს სიმინდისა და პურის სამზღვარ-გარედ გატანა, ამ გარემოებამ ისეთი ამბავი დააწია ჩვენს მხარეს, რომ მისი შედეგი დღესაც თავში გვცემს. საქმე ის არის, რომ პური და სიმინდი შინ შეგუბდა ამ აკრძალვის გამო, შინაურმა ბაზარმა ვერ

დაიტია და ამის გამო ფასი ისე დაფოლდა, რომ მას აქედ სულ კლებაშია და ვეღარ აიწია. ბევრმა ხელი აიღო ხვნა-თესვაზე, რადგანაც ხელს არ აძლევდა და თუ ხნავდა და სთესავდა, მარტო იმოდენას, რომ შინა ჰყოფნებოდა. გარდა სხვა გარემოებისა, მარტო ეს ფასების დაფოლება რომ სახეში მივიღოთ, საკმაოა წარმოვიდგინოთ, რა გაჭირვებაში უნდა ჩაცვივნულიყვნენ ის მკვიდრნი, რომელთ ავლა-დიდება და ერთადერთი სარჩო-საბადებელი მარტო ხვნა-თესვაა ამა თუ იმ მიზეზით. პურს ფასი არა აქვს, ქერსა და სიმინდსა, და რითღა უნდა გაუძღვეს ჭირსა და ბოროტს წუთისოფლისას მარტო ხვნასა და თესვაზე მიჩემებული მკვიდრი? თუნდ რომ ფასიც ჰქონდეს, რაკი გზა არა აქვს რომ გატანა ჭირნახულისა შესაძლებელი იყოს, რაში გამოიყენოს ნამეტანი თვისის ჭირნახულისა, რაც მისს შინაურს გაჭირვებას და ოჯახს გადარჩება? რისთვის იღვაწ-იშრომოს ნამეტანისათვის? ჯერ ხომ მის ჭირნახულს ფასი არა აქვს და მერე თუნდაც ფასი ჰქონდეს, ბაზრამდე ხელი არ მიუწვდება უგზოუკვლობის გამო. ამ ორ გარემოების გამო იგი კარგ გზებზე დაშორებულნი ადგილები, საცა მარტო ხვნა-თესვაა, იგი მკვიდრნი, რომელნიც მარტო ამ ხვნა-თესვას შეჰყურებენ, უნუგეშოდ და უიალაჯოდ დარჩენილნი არიან და ფულის შოვნის გზა და კვალი დახშული აქვთ, ფული კი საჭიროა, თუნდ მარტო იმისათვის, რომ სხვადასხვა ხარჯი და გადასახადი ყელში თოკს უჭირებს და სახლ-კარს უწიოკებს, თუ დროზე არ მოიხერხა. აი, ჩვენის ფიქრით, იგი გაჭირების თორნე, რომელიც აცხობს ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას, სხვის საკუთრებაზე მიმართულს. საზოგადოდ ქურდობის და ავკაცობის ძირეული და მუდამი ბუდე ეს გაჭირებაა, რომელიც კაიკაცობას ხელს უცრის და ავკაცობას აბედვინებს.

აი, ჩვენის ფიქრით, იგი უძლეველი გარემოება, რომლის ზემოქმედებას ვერ გამკლავებია უვიცი გონება და ვერ უძლებს სიმაგრე ხასიათისა ყოველ მხრით უნუგეშოდ დარჩენილ მთიელ ოსისა, იქნება ვცდებოდეთ, და ჩვენ კი ამ გარემოებაში ვხედავთ თავდაპირველს მიზეზს, რომ მთიელი ოსი ქურდობასა

და ავაზაკობას ხელსა ჰკიდებს. რასაკვირველია, გაზეთის წერილებით ვერ გამოირკვევა საკმაო სავსებით ეს რთული საქმე, დღეს სავინიცობოდ გამხდარი, რადგანაც გამოძიებული საბუთი რამ ხელთ არა გვაქვს, ხოლო კი ვიტყვით, რომ ამ ძირეულს და ზოგადს მიზეზს მიგვაგნებინა იმ გარემოებამ, რომ ჩვენში მარტო ხვნა-თესვის ადგილებიდამ გამოდის უფროს ერთი ავაზაკი და საცა სხვა ხელობაა გავრცელებული, მაგალითებრ, მევენახეობა და ამისთანა რამ, იქიდამ ავაზაკად კაცის გავარდნა ან სულ არ არის, ან ძალიან იშვიათია, თუ ეს ასეა, ცხადია, რომ მეტნაკლებობას გამორჩენისას ხვნა-თესვისაგან და ამ ხელობის ავკარგად მოწყობილებას საშინაოდ და საბაზროდ, თუ პირველი არა, დიდი ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენში ავაზაკობის მრავალგვარ მიზეზთა შორის. ამისი მაგალითი თვით ქუთაისის გუბერნიაშიც არის, საცა ავაზაკობამ თავი იჩინა უფრო მას მერმედ, რაკი ვაზის სნეულებამ, ბამბისა და აბრეშუმის ჭირმა და ვაგლახმა ხელი ააღებინა იქაურ მკვიდრთ ამაების მუშაობაზე და მიაჩემა მარტო იმას, რაც ხვნასა და თესვას მოაქვს და რაც ფულის გამორჩენისათვის და ერთობ ხეირისა და სარფისათვის პირველებზე მეტად შორს არის, ან სრულიად უილაჯოა. ამასვე გვანიშნებს ჩვენებურ თათრობის ეკონომიური მდგომარეობა. შემდეგ წერილში ამ მხრითაც გავსინჯავთ ამ საქმის ვითარებას თათრების შესახებ და ბოლოს სხვა მიზეზებსაც ჩამოვთვლით.

ტფილისი, 20 სექტემბერი

ჩვენებური თათარი უფრო ეული კაცია, ვიდრე ფეხმოკიდებული მკვიდრი ბინადარი. ყოველივე მისი ჩვეულება, მიდრეკილება, ავი და კარგი საზნეო, თუ საეკონომიო, სულ ამ ეულობაზეა აგებული და დამყარებული. სულ აქედამ არის წარმომდინარი. თათარს ტანტალი, ხშირად აქეთ-იქით უსაქმოდ სიარული, ადგილიდამ ადგილზე გადასვლა, ერთის ბინიდამ აყრა, მეორეზე ხელახლად დაბინავება არამც თუ ეადვილება, თითქმის ჩვეულებადა აქვს გამხდარი. ეს გაადვილებული აყრა-დაყრა ხშირად იქამდე მიდის, რომ

მთელი სოფელი დღეს რომ აქ არის, ხვალ იმ ადგილას სოფლის ნატამალიც არა სჩანს, აყრილა და სხვაგან გადასულა დედაბუდიანად. არა ერთხელ და ორჯერ შეუნიშნავს ეს ამბავი ადგილის პოლიციას და პოვნა აყრილ სოფლებისა გასჭირებია, როცა მთავრობას მოუკითხნია.

ეს ეულობა, ბინამოუკიდებლობა, ეს თითქმის ბოგანად სიარული, რა თქმა უნდა, ვერ გამოუნასკვავს ადამიანს იმისთანა ხასიათს, რომ დამჯდარი, დადგრომილი და მუდმივი მუშაკაცი გამოვიდეს. ამიტომაც თათარი უფრო მწყემსია, გარედ მოარული, ვიდრე შინ მჯდომი მუშაკაცი. თათარი მწყემსად გადის მთელის თავისის სახლობით, წვრილშვილით, დედაწულით. საცა სამწყსოს საძოვარია, იქ იმისი ბინაა, ოჯახისშვილობა, ეკონომიური წელმაგრობა, ბინის მკვიდრად ერთს ადგილას მოკიდება, რომელიც ქართველ გლეხკაცისათვის იდეალია ცხოვრებისა, თათარს გუნებაშიაც არ გაუვლის. იგი მძიმე საქმის მუშაკაცი არ არის. ხანგრძლივსა და გაუწყვეტელს გარჯას, შრომას გაურბის, არც უყვარს. მიწაში ოფლის ღვრას, მიწის ხანგრძლივს მუშაობას ბინისა და მიწის სიყვარული აქეზებს. თათარს არც ერთი მიაჩნია სამუდამოდ, არც მეორე და რამ უნდა შეაყვაროს დღეს ის, რასაც ხვალ ესე ადვილად თავს ანებებს უტკივარად, დაუნანებლად?

ბინისა და ადგილის უსიყვარულობა თათარს შინ ჯდომისათვის გულს უცრუებს, გული გარედ ეწევა. ამიტომაც თათრის თავმოსაწონებელი ცხენია და თოფ-იარაღი. რაკი თათარს ცხენი ჰყავს, თოფ-იარაღი აქვს, იგი კაცად იხსენება სოფელში, თუნდ შინ, ოჯახში, ნატისუსალიც ასდიოდეს. ეულკაცობა, აქედ-იქით გარედ სიარული თათარს უფრო მეომარ კაცადა ჰხდის, ვიდრე მშვიდობიან მუშად. იგი კარგი ცხენოსანია, პატარაობითვე იწვრთნება ცხენოსნობასა და თოფიარაღის ხმარებაში. გარედ სიარული მთელის ოჯახობით ამას ხელს უწყობს. თათარი ვაჟკაციც არის, გულადია. ამასთან ტკბილი მოუბარია და საბუთიანი, წინადაწონილი სიტყვა-პასუხი იცის, ადვილად წაიტყუებს და აიყოლიებს კაცს, თუნდ საავაზაკოდ. იგი ხერხიანიც

არის. სისხლის სამართლის ნაკლი საკმაოდ კარგადა აქვს შემჩნეული. იცის გზები, როგორ და რით დაიძვრინოს თავი, თუ ვინიცობაა დანაშაულობასა და ავკაცობაში როგორმე მოამწყვდია კანონმა. ფორმალური ფიცი სასამართლოს წინაშე თათარს არაფრად მიაჩნია. ამიტომაც უფროს ერთი საქმე, რომელიც მოწმეებზეა დამოკიდებული, გამოურკვევი რჩება და დამნაშავეც ხელიდამ უსხლტება მართლმსაჯულებას. ერთი სიტყვით, თუ კანონი, ბენტამისა არ იყოს, მართლა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდი ზედ გადააჰტება ხოლმე და პატარა ქვეშ გაუძვრება, თათარი კიდევ იგი პატარაა, რომელიც ზოგჯერ მოახერხებს ხოლმე ქვეშ გაუძვრეს. ამას ისიცა ჰშველის, რომ თათრებმა ერთმანეთის ხელის დაფარება ხშირად იციან. თათრებში ამისთანა ამბები სესხი და ვალია. წინადვე მომზადებული და გაფიცულნი მოწმები იშვიათი არ არის თითქმის ყოველ თათრის სასისხლო სამართლის საქმეში.

თათარმა თუ მიინდო ვინმე, ან თვით მიენდო, ძნელად თუ ღალატი და გაცემა მოუხდეთ ერთმანეთისა. თათარი ადვილად ემონება მას, ვინც მისს თვალში უფრო ჭკვიანია, გამოცდილი და ვაჟკაცი. თუ ბრძანებლად მიიჩნია ვინმე, თათარი მისი ხმაამოუღებელი, ყურმოჭრილი ყმაა. კრებულად მოქმედებისათვის ეგ ხმაამოუღებლობა და ყმობა დიდი ციხესიმაგრეა.

ამიტომაც კრებულად ავაზაკობა თათრისათვის ადვილად შესაძლებელია და ჩვეული ამბავიც არის. ძნელად შეჰხვდებით თათარს, რომ მარტოკა ჰთარეშობდეს. თვით წვრილმანი ქურდობაც კი სხვებთან ერთად იცის. ძნელად თუ მარტოკა გავა საქურდლად და საპარავად.

თათარი, როგორც ოსი და ერთობ უფროს ერთი სამხრეთის კაცი, გულფიცხია. ისე კაცთან შესაყრელად დინჯია, თავდაჭერილი და, თუ გნებავთ, თავაზიანიც. ხოლო თუ რამ აწყენინეთ, მალე აიმღვრევა და ხანჯალსა და თოფს მისწვდება. ჯავრის გულში ჩარჩენა იცის და ჯავრის ამოყრაცა. იგი ცოტად თუ ბევრად თავმომწონეა, მეზობელს, თანასწორს, არ დაეძლევინება, თუ ბედმა ერთმანეთს სადავიდარაბოდ

შეახვედრა. როგორ თუ იმან დამძლიაო, დამიბრიყვაო, ამის ჯავრსა და სირცხვილს ადვილად ვერ იტანს. წვა და გადაბუგვა ძნებისა, თივებისა და ზოგჯერ სახლ-კარისა ჩვეულებრივი საქმეა ჯავრის ამოყრისა და ნიშნ-მიგებისათვის. თუ გაჭირდა, არც კაცისკვლას მო-ერიდება გულზე მოსული და გაბრაზებული თათარი. ხშირად ამისთანა დანაშაული, სულ უბრალო საქმისა-გან გამოწვეული, იძულებულ ჰხდის თათარს ავაზაკად გავარდეს, რადგანაც კანონის დევნისა და შიშისაგან შინ აღარ ედგომინება და სხვა გზა არა აქვს, თუ არ იავაზაკოს და კანონს გარედ არ დასდგეს. ამ მიზეზით ყაჩაღად გავარდნა იშვიათი არ არის ჩვენში.

ჩვენა ვთქვით, ჩვენებური თათარი უფრო გარედ მოარული კაცია, ვიდრე შინ მჯდომი. ამიტომაც თათარს, რაც გინდ ღარიბი იყოს, კაი ჩაცმა-დახურვა უყვარს, კარგი იარაღი, კარგი ქამარ-ხანჯალი და ერ-თობ კარგი მორთულობა, რომ შნო და ლაზათი ჰქონ-დეს სხვის თვალში. ერთნაირის შეძლების კაცი რომ ავიღოთ სხვა თესლისა, ქართველისა, სომხისა, თუ ოსისა, მორთულობით, მოკაზმულობით თათარი ყველას აჯობებს. რასაც თათარი მოანდომებს მოკაზმვას და მორთულობას, იმის ნახევარსაც ძლივ გამოიმეტებს სხვა თესლის კაცი. ხშირად ჰნახავთ თათარს ვერცხლით შემოსილ იარაღში ჩამჯდარს, ვერცხლის ქამარ-ხანჯლით გაწყობილს. ამ მხრით თათარს უფრო მეტი საჭიროება აქვს, რომელიც უფრო მეტს ხარჯსა და გასავალს ჰთხოულობს, მეტს სარჩო-საბადებელს. ხოლო საკითხი ეს არის, — საიდამ რას ჰშოულობს თათარი, რომ სხვასთან ერთად ულელიც სწიოს წუთი-სოფლისა და ნამეტანისათვის სხვაზე მეტი ჰხარჯოს! ამისი პასუხი მერე იყოს.

ტფილისი, 25 სექტემბერი

ჩვენებურ თათრებს ზამთრის საცხოვრებელი ცხელ ადგილებში აქვთ. მართალია, ამ ადგილებში, თუ სარ-წყავად წყალი იშოვება, ყოველგვარი მეურნეობა შესაძლებელია. მიწა ცოტად თუ ბევრად მომცემია და ჰავაც რისამე მოსაყვანად ხელის შემწყობია. აქ ხვნა-თესვის გარდა, ვენახიც ხელს მისცემს, ბოსტანი და ბაღიც. მაგრამ ვენახის შენებას ღვინისათვის თათარს რჯული ნებას არ აძლევს. თუნდ ესეც არ იყოს. ვენახს თითქმის მთელს წელიწადს დღემუდამ შიგ ტრიალი უნდა მუშახელისა და თათარი, რომელიც თითქმის მთელი ნახევარი წელიწადი მთაშია, ამას ვერა იქმს, ზაფხულობით მთაში ყოფნა დედაბუდიანად შეუძლებლად ჰხდის ან ბოსტანს, ან ბაღს ხელი მოჰკიდოს თათარმა. დარჩა ხვნა-თესვა და პირუტყვთშენება.

თათარს ხვნა-თესვა, თუმცა ეულობს ზაფხულობით, მაინც ეხერხება. ანეულად შემოდგომაზე, საზაფხულოდ გაზაფხულზე ჰხნავს და სთესავს. ცხელ ადგილებში ადრე მოდის ნათესი, თათრის მთაში წასვლამდე მო-სავალი შემოდის. იგი მკის, ძნებსა სდგამს, და მერე მთაში მიდის. მთიდამ რომ ჩამოვა, შემოდგომის პირს, მაშინ ჰლეწავს და შემოაქვს სახლში მოსავალი. ჯერ ეს გარემოება, რომ უკეთესს დროს ლეწვისას თათარი მთაში ატარებს და მერე ის, რომ შემოდგომით დაწყება ლეწვისა, პირდაპირ გვანიშნებს, რომ თათარი დიდს ხვნასა და თესვას ვერ შეუდგება, რადგანაც დიდს ხვნასა და თესვას დიდი დროც უნდება სალეწად და შემოდგომიდამ მაგდენი დრო აღარ არის, — ეს გარე-მოება უტყუარად გვეუბნება, რომ ძნელად თუ თათარს ხორბლეულობა იმ ნამეტანობით მოჰყვანდეს, რომ ოჯახიც ჰკვებოს და ბაზარშიაც გაიტანოს გასასყიდად და ფულის შესაძენად.

თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენ ხომ წინა წერილებში მოვიხსენიეთ რას იძლევა ხვნა და თესვა ჩვენში სა-ზოგადოდ. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ხორბლეუ-ლობის ფასმა პურისამ, ქერისამ, სიმინდისამ, ზედიზედ ისე დაიწია, რომ მოსავალი თითქმის ხარჯს არ აყ-ენებს. უგზოუკვლობამ ხომ ბაზრის კარი სრულებით დაუხშო. ვლადიკავკასიდამ პურის მოტანა უფრო იაფად ჰჯდებოდა და ჯდება, ვიდრე ბორჩალოს თათრების ზოგიერთ ადგილებიდამ, რომელთაც არამცთუ ტფილი-სამდე, კარგს გზებამდე გამოტანის ილაჯიც არა აქვთ უგზოობის გამო. ხორბლეულობის ფასმა ძალიან უნდა აიწიოს, რომ მისმა მოტანამ ტფილისში მომტანს

ხარჯი გზისა აუყენოს. ძნელად საფიქრებელია ეხლანდელ დროში, რომ ეს ასე მოხდეს და ფასმა საკმაოდ აიწიოს. ოდესიდამ და შავი ზღვის ნავთსადგურებიდამ, საცა რუსეთის პური გამოდის, პურის მოტანა უფრო იეფად ჰჯდება, ვიდრე ჩვენის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებიდამ, და ეს გარემოება ყოველთვის წინ დაუდგება ხორბლის ფასის აწევას ჩვენში, თუ რუსეთსაც მეტისმეტად არ გაუჭირდა. გაჭირება რუსეთისა იმაზე დიდი ძნელადღა იქნება, რაც 1891 წელს შიმშილობის დროს შეემთხვა, როცა პური ამერიკამაც კი მოაშველა რუსეთს. მაშინაც კი აქაური მხვნელ-მთესველი ვერაფერს ვერ გამორჩა თავისს ნაშრომ-ნაღვაწსა. ვამბობთ ვერ გამორჩაო. ვერ გამორჩა კი არა, უფრო ცუდ დღეში ჩავარდა და შედეგი იმ დღისა დღესაც თავში სცემს. აკრძალეს მაშინ საზღვარგარეთ გატანა ხორბლეულისა იმის შიშით, რომ ვაი თუ შინ დაგვჭირდესო და ისე კი მოხდა, რომ აღარც შინ დასჭირდათ და აღარც გარედ გაატაინეს. დარჩა მხვნელ-მთესველი სახტად გაოცებული, — ეს რა დაგვემართა, ნურც შენ და ნურც მეო. შეგუბდა, როგორც წინადა ვთქვით, მოსავალი და მოაწყდა მარტო შინაურ ბაზრებს. სხვა რა მოჰყვებოდა ამისთანა ამბავს, თუ არ დაფოლება და დაწევა ფასებისა. ვიმეორებთ, ესეც მოხდა იმ დღიდამ დღემდე ფასი დაეცა და ვეღარ აიწია იქამდე, რომ კაცი თავისს ოფლს გამორჩეს რასმე. მართალია, ეს აკრძალვა მარტო დროებითი იყო და, მადლობა ღმერთს, მალე მოისპო, მაგრამ შედეგი მისი დღესაც მუშაობს და მოქმედობს ჩვენში იმ მხრით, რომ მხვნელ-მთესველი შეუშინდა ხვნა-თესვას, მას აქედ წელში ვეღარ გაიმართა და ხვნა-თესვაზედ გული წაუხდა: ნამეტანობა ხვნა-თესვისა საბაზროდ დღესაც ხელს არ აძლევს.

ასეა თუ ისე, ჩვენებური თათარიც იმავე დღეშია, რაშიაც მთიელი ოსი: ხვნა-თესვიდამ არავითარი გამორჩენა არა აქვს თითქმის, თუმცა სხვადასხვა ჰავასა და ადგილებში სცხოვრობენ და სხვადასხვა თესლისაგან არიან. მაშ თათარმა საიდამ რა იშოვოს, რომ ფულის ხარჯს გაუძღვეს და თავისის ცხოვრების მეტნაკლებობას კბილი მოსჭრას? გვეტყვიან, პირუტყვმოშენება ხომ ხელთა აქვთ და მწყემსობაც კარგად იციანო. ეს ყოველივე მართალია, ხოლო ამ მხრით თათარის ავლა-დიდება რომ გავსინჯოთ, არც აქ არის ბევრი რამ სახარბიელო. ამას მერე ვნახავთ, შემდეგს წერილში.

ტფილისი, 27 სექტემბერი

არიან თათრებ შორის იმისთანანი, რომელთაც იმოდენა მოცადი პირუტყვი ჰყავთ, რომ მისის შემოსავლით თავს ირჩენენ. ხოლო ამისთანანი ერთი-ორი თუ მოიპოვება მთელ ჩვენებურ თათრობაში. უფროს ერთი თითო-ოროლა ძროხისა და ცხვრის პატრონია, ისიც ათში რომ ხუთსა და ექვსსა ჰყვანდეს, დიდი საქმეა, სხვა დანარჩენნი თითქმის ხელაღებით უარაონი არიან, თუ უწინ მოცადის საქონლის ყოლა დიდი იყო, ეხლა ამასაც საძუე შემოაწყდა თათრებშიც, საძოვარი დაცოტავდა, დაძვირდა. პირუტყვის შენახვა ზამთარ-ზაფხულ გაჭირდა. ამ გარემოებამ ძალიან შეაცოტავა პირუტყვთმოშენება, სადღაა ეხლა ის ცხენის ჯოგები, რომლითაც ასე განთქმული იყო წინათ ყაზახ-ბორჩალო? დღეს ყაზახ-ბორჩალოში ცხენის ჯოგის ხსენებაც არ არის, თუ ჰყავს ვისმე, ისიც დიდს ვისმე მებატონეს, ვისაც თავისი საკუთარი საძოვრები აქვს და ამისთანანი ერთი და ორია, ისიც მაღალ წოდების კაცი. დაბალი კაცი წელებზე ფეხს იდგამს და თითო-ოროლა ცხვარსა და ძროხას ისე ინახავს. მერე როგორ? შემოდგომაზე, ელი ჩამოვა თუ არა მთიდამ, საქონლის პატრონი თათარი მთელს ტფილისის გუბერნიაში წინა და უკან დაძრწის, რომ საქონელს ბინა გაუჩინოს სადმე საზამთროდ. ამისათვის იგი ჰცდილობს საძოვრის პატრონს ან თავადს, ან აზნაურს ვისმე შეეკედლოს. ეძებენ უფრო იმისთანა გავლენიანს კაცს, რომლისაგან გამოელიან შველას, თუ ვინიცობაა დანაშაულში რაშიმე ფათერაკმა გაიბა, ან საკუთარმა სიხარბემ წაიტყუა სხვის საკუთრებაზე ხელის მოსათბობლად.

ოსსა და თათარს ჩვენში ქურდობის სახელი აქვთ გავარდნილი. ამიტომაც იმათი დაბინავება სადმე, თუნდ

დროებითაც, ყველას ეძნელება. მოვიდა ოსი, ან თათარი, და ქურდობაც გაჩნდებაო. ეს შიში ქურდობისა ძალიან უმძიმებს თათარს ბინის შოვნას, ყველა ერიდება, და თუ ბინას ვინმე მისცემს, ისეთის პირობითა, რომ კაცს უკვირს, — რითღა უნდა ირჩინოს თავი თათარმაო. თათრისათვის კი სხვა გზა არ არი, ყველა პირობას თითქმის უნდა დასთანხმდეს, ოღონდ უადგილობით პირუტყვი არ გაუწყდეს.

ამ დღეშია არამცთუ ერთი და ორი, არამედ უფროს ერთი თათარი. რაკი შემოდგომით ელი თათრისა მთიდამ დაიძვრის და ბარში ჩამოდის, მთელი ტფილისის გუბერნია მოდებულია მათგან. ამ ბარად ჩამოსვლის პირველ ხანებში გზებზე ისე არ გაივლით, რომ ხან აქ, ხან იქ, გზების შორიახლო, არა ჰნახოთ დაბარგებული თათარი მთელის თავისის ოჯახითა, საქონლითა, რომელიც საზამთროდ ბინას დაეძებს. ხან ერთს საძოვრის პატრონს მიადგება კარზე, ხან მეორეს, ხვეწნითა და მუდარითა. საქონელი დამაყენებინეო. საბინაო პირობა ხშირად ასეთია: თუ საძოვრის პატრონს მოცადი საქონელი ჰყავს, თათარი, რამდენიც თვითონა ჰყავს, იმდენს საძოვრის პატრონისას ჩაიბარებს სანაშენოდ, და რაც საქონლის პატრონს მეტი საქონელი ჰყავს, იმასაც უნდა მოუაროს და უმწყემსოს მუქთად და უჯამაგიროდ დედაწულიანად. პირობა ხშირად სამის წლის ვადითა აქვთ. სამის წლის შემდეგ მოგება სანაშენოსი შუაზე უნდა გაიყოს, საძოვრის პატრონის ნამეტან საქონლის მონაგები კი მთლად უნდა ჩააბაროს პატრონს. არც იმისთანა პირობაა იშვიათი, რომ თათარი პირდაპირ მწყემსად დაუდგეს მთელის თავისის ოჯახით და დედაწულით მუქთადვე და უჯამაგიროდ, ოღონდ საქონელი გამოაკვებინოს საძოვრის პატრონმა თავისს ადგილებში.

რა თქმა უნდა, ამ ორისავ სახის მორიგებას ზედ დაერთვის ხოლმე ზოგიერთი სხვა პირობებიც, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შეღავათიანები არიან, იმისდა მიხედვით, ორთაშუა ვის რა უფრო უჭირს. ხოლო არსებითი ძარღვი კი ყოველგვარ მორიგებისა ზემოხსენებული ორი გვარი პირობაა, რომელიც უტყუარად გვანიშნებს, რამოდენად გაჭირვებულია თათარი, თავისი

ორიოდე ძროხა თუ ცხვარი შეინახოს და ჰკვებოს. ხუმრობაა, მთელი ოჯახის ჯაფა და შრომა, ოჯახისა, რომელიც ხშირად ხუთისა და ექვსის სულისაგან არის შემდგარი, მარტო ორიოდე პირუტყვის საკვებავს მოახმაროს და ანაცვალოს! ამ გაჭირებაში ჩავარდნილი კაცი განა შესძლებს პირუტყვი იმოდენა გაიჩინოს, რომ საბაზროდ გამოიტანოს რამ სახარბიელო? ან თვითონ პირუტყვმოშენებას რა ხეირს დააყრის ამგვარი მდგომარეობა და ვითარება საქმისა? ამგვარ ყოფაში განა შესაძლებელია კაცმა იფიქროს, რომ პირუტყვმოშენეობა ჩვენებურ თათრის ხელში წინ წაიწევს იმოდენად, რომ სააღებმიცემოდ გამოელოდეს რასმე? ნეტავი ჭამა-სმად ეყოს, რასაც ამნაირი პირუტყვმოშენეობა იძლევა, და იმისიც მადლობელი იქნება თათარი, ისიც ათში ხუთი და ექვსი, როგორცა ვთქვით, დანარჩენნი კი ამასაც მოკლებულნი არიან.

ეს დანარჩენნი რითღა ირჩენენ თავსა, თუ საქონელიც არა ჰყავთო? — იკითხავთ. აი ჭაპანწყვეტა იმ საქმისა, რაზედაც ჩვენ დავიწყეთ საუბარი, იქნება აქაც იყოს. უფროს ერთი ამ ჯურის თათარნი საქონლის პატრონს აედევნებიან ხოლმე, ზოგჯერ ცოლშვილიანად, — ოღონდ გვასვით და გვაჭამეთ, მუქთად გემსახურებითო. თუ საქონლის პატრონს კაცი აკლია და მისი ოჯახი მწყემსობას ვერ ასდის, რა თქმა უნდა, სიხარულით ხელსა ჰკიდებს ამისთანა მოსამსახურეს. მუქთი ხელი, მუქთი მოსამსახურე მწყემსობაშიაც ისე სახარბიელოა, როგორც სხვა საქმეში საქმის პატრონისათვის. ხოლო საკითხავი ეს არის: განა ჭამა-სმის მეტი აღარა უნდა რა კაცს? ჩაცმა-დახურვა, სოფლისა და სახელმწიფო ხარჯი ხომ უსაქონლო კაცისათვის ისეთი ჭირი და ბოროტია, როგორც სხვისთვის?

ყოველ ამისი პასუხი ის არის, რომ საქონლის პატრონი ხშირად მიიკედლებს ხოლმე ამისთანა ქონებით უღონო კაცს, ასმევს, აჭმევს და სხვა კი შენ თვითონ იცი, როგორც გინდა იშოვეო. ისიც ჰშობს, რაკი სხვა გზა არ არის. თუ ამისთანა კაცს თვითონ მიმკედლებელი ამხანაგად არ გაუხდება, ხელის დამფარებელად კი — უეჭველია. უამისოდ მუქთა მსახურს ვერ იშოვის. აქედამა აქვთ თათრებს ქურდობის სახელი გა-

ვარდნილი ჩვენში. რაკი თათარი დადგა სადმე და ბინა გაიკეთა, ძნელად იქნება, რომ იქ ქურდობა არ გაჩნდეს. ყველა, რაც კი იმ არემარეში დაიკარგება, თათარს დაჰბრალდება ხოლმე. იქნება ბრალი თათარისაც არ იყოს, მაგრამ მაინც გუმანს იმაზე მიიტანენ. ხშირად მარტო ეს გუმანის მიტანა შეიქმნება ხოლმე მიზეზად, რომ ზოგიერთი უამისოდაც გარედ ტანტალს ჩვეული თამამი თათარი ფეხს დაჰკრავს და ყაჩაღად გავარდება, ცალკე იმის შიშით, რომ არ გამაბან და აქედ-იქით სასამართლოებში გაუთავებლად არ მათრიონო, ცალკე იმით, გაჭირებულ ცხოვრების სიმწვავე მუდამ გულში აქვს და ნაპერწკალიც საკმაოა გული აუფეთქოს თავის დასახწევად და გარედ გასავარდნად საშოვრისა და გაუჭირვებელ ცხოვრებისათვის, რომელსაც სამაცდურო თავისუფლება ავაზაკისა წარმოადგენს.

ჩვენ ამით ვათავებთ იმ მიზეზთა დასურათებას, რომელთ შორისაც, ჩვენის ფიქრით, უნდა მოინახოს სათავე აქაურ ავაზაკობისა საზოგადოდ და საკუთრივ მთიელ ოსისა და ელის თათრის შესახებ. მართალია, ზოგადი მიზეზი იმისთანა ავკაცობისა, რომელსაც სხვის ქონებაზე გული მიუდის, ყველგან და ყოველგან ეკონომიური უღონობა ყოფილა და იქნება კვლავაც. მაგრამ მაგ ეკონომიურ უღონობას ჩვენში აქაური, განსაკუთრებული გარემოება მკვიდრისა ჰქმნის და ამით არის შესანიშნავი. შემდეგს წერილში ყოველს იმას, რაც ზემოთ ვთქვით, ერთად თავს მოვუკრებთ და გძლად თქმულს მოკლედ გამოვნასკვავთ, რომ შესაძლებელ იყოს ნასკვი საქმისა უფრო ცხადად გავითვალისწინოთ.

ტფილისი, 15 ოქტომბერი

ჩვენ წინა წერილებში*) შევნიშნეთ იმ საბუთების ძალით, რაც გაგონილი გვაქვს, რომ ჩვენში ქურდობა და ავაზაკობა, უფრო ოსისა და თათრისაგან არის. სხვა თესლის კაცს ძალიან იშვიათად შეხვდებით ამისთანა ავკაცობის სარბიელზე. ამას რომ ვამბობთ, სახეში გვყავს მარტო ქალაქგარედ მოთარეშენი.

ჩვენ ისიც ვაჩვენეთ, — რა შინაგანი მიზეზი მოქმედებს, ჩვენის აზრით, რომ ოსი და თათარი გამოდის საქურდლად და საავაზაკოდ. ეს ის მიზეზია, რომ ოსს და თათარს შინ სამუშავო და გასამრჯელო იმისთანა არა აქვს, თავი ირჩინოს და დღევანდელ ცხოვრების ჭირბოროტს გაუძღვეს. მთიელი ოსი და ჩვენებური თათარი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, მარტო ხვნა-თესვაზეა მიმდგარი და აქედგან წარმოსდგება მისი ეკონომიური უღონობა, რომელიც გულს შინ არ უყენებს და თვალს გარედ აყურებინებს.

ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, ვითომც ხვნა-თესვა იმისთანა მოქმედება იყოს, რომელიც აქეზებდეს კაცს საქურდლად და საავაზაკოდ. პირიქით, მხვნელ-მთესველი ერი უფრო მშვიდობიანი, საკუთარების პატივისმცემელი, უფრო მორიდებულია და თავდაჭერილი, ხოლო ეგ იქ არის ესე, საცა ხვნა-თესვის ნაამაგევს ან შინა აქვს ბაზარი, ან გარედ, და გზაც იეფი და კარგი აქვს საპალნის საზიდავად. ჩვენში სულ სხვაა. ჩვენში მხვნელ-მთესველს არც შინა აქვს ბაზარი, არც გარედ, არც გზა აქვს, არც კვალი, რომ ნაამაგევმა გზის ხარჯს გაუძლოს. ჩვენში დღეს მარტო ხვნა-თესვა კაცს ვერ აცხოვრებს გაუჭირებლად. ხვნა-თესვის ნაამაგევს ფასი არა აქვს იმოდენა, რომ შრომის ხარჯი ამოაღებინოთ, და თუნდა ჰქონდეს, უგზოუკვლობით ბაზარში ვერ გაიტანთ უიმისოდ, რომ ზედ თავისი არ წააგლისოთ. ცხოვრება კი ჰთხოულობს ფულსა სახარჯოდ წუთისოფლის ჭირბოროტის გასაძღომად. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა თვალწინ ის დავიყენოთ, რომ დღეს რუსეთი პურს თითქმის უფრო იეფად იძლევა ჩვენში, ვიდრე ჩვენ შინ გვიჯდება, თითონ გზაც უფრო უკეთესი და იეფი აქვს შორიდამ შემოტანისათვის, ვიდრე ჩვენ ახლოდამ ბაზარში გასატანად, და საიდამ სად მისწვდება ჩვენებური მხვნელ-მთესველი, რომ ფასების მეტნაკლებობაში ცილობა რამ გაუწიოს. ჩვენში ხვნა-თესვის მოსავალს საოჯახო მნიშვნელობა თუ შერჩება, თორემ სააღებმიცემო საგნად

*) იხ. „ივერია“ № 201

ძნელადღა გახდება, იმოდენად მაინც, რომ ჩიტი ბდღვნად ღირდეს და დევნა მეტი არ იყოს.

არ ვიცით, იქნება ხვნა-თესვის მნიშვნელობას ჩვენში მეტს ბრალსა ვდებდეთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზებზედ ვლაპარაკობთ, მაგრამ საკვირველი ეს უეჭველი ამბავია: რატომ იმ არემარედამ არ გამოდის ასე ხშირად ქურდი და ავაზაკი, საცა მკვიდრნი, ხვნა-თესვის გარდა, სხვა მიწის მოქმედებასაც ეტანებიან, მაგალითებრ, მევენახეობას, მებაღეობას, აბრეშუმის მოყვანა იციან და სხვა ამისთანა. იქნება აქ სხვა რამ მიზეზი იყოს, მაგრამ თვალში საცემად დღეს მარტო ის გარემოებაა, რომ სარჩო-საბადებლის საშოვარი ერთგან მარტო ხვნა-თესვაა, რომელიც გამრჯელს ხელს არ აძლევს, და მეორედგან — ხვნა-თესვასთან ერთად სხვაგვარი მიწისმოქმედებაც, რომლის ნაამაგევს ბაზარიცა აქვს, ფასიცა და რომელიც პურზედ და სხვა ამისთანაზე უფრო სუბუქი და ადვილი საზიდია, ან ბაზარში ფასი იმოდენა აქვს, რომ ჩვენებურ გზების ვაი-ვაგლახის ხარჯს და წვალებას იტანს.

თუ ეს ეკონომიური უღონობა, რომელიც თანა სდევს ჩვენში მხვნელ-მთესველს, დავიჯერეთ იმის თავდათავ მიზეზად, რომ მთიელი ოსი და თათარი საქურდლად და საავაზაკოდ გამოდის, თვითონ ეს მიზეზი პირდაპირ გვანიშნებს, რა გზით და ღონისძიებით შესაძლოა ცოტად თუ ბევრად ამოიკვეთოს ჩვენში ხსენებული ბოროტმოქმედება და ავკაცობა. გამოუცვალეთ მთიელ ოსს და ელის თათარს იგი გარემოებანი, რომელიც დღეს ერთსაც და მეორესაც ჰხუთავს, მიეცით და ასწავლეთ ერთსაცა და მეორესაც იმისთანა გასამრჯელო, რომელიც კაცს დღეს ხელს აძლევს სარჩო-საბადებლის საშოვარად, ასწავლეთ და თვალი აუხილეთ ქვეყნიერობაზე ცოტად თუ ბევრად, გაუკეთეთ გზები, ხიდები, ხელი შეუწყეთ ყოველს ახალს ცდასა, ახლის რასმის შემოღებას და მოყვანას, და სხვა ამისთანას, — და ქურდობა და ავაზაკობა, სულ თუ არ ამოიკვეთა, დიდს კლებაში კი შევა. ხოლო ყოველს ამას დიდი სამზადისი უნდა, დიდი დრო და მოხერხება, დიდი თანდათანობა, რადგანაც აწ არსებულს ვითარებას ყოველივე ეს შიგ გულ-ღვიძლში

სწვდება და ძნელია კაცმა ერთის შეტევით და წინდაუხედავად შიგნეული გადმოუბრუნოს უკვე დამყარებულ ცხოვრების ავკარგიანობას. გარდა ამისა, ზოგიერთი ეს ღონისძიება ძალიან გვიან გამოიღებს თავისს ნაყოფს და მარტო შორეული მერმისი ჰნახავს მისს კეთილ შედეგსა. ეს იმას არა ჰნიშნავს, ვითომც ეხლავ არ შეუდგეს კაცი დასაწყისს იმის შიშით, რომ ჩვენ არ მოგვესწრებაო. გონიერი და წინდახედული დასაწყისი წამლობისა საჭიროა ყოველთვის და ყოველს ჟამს, რაკი სატკივარი შენიშნულია და ცნობილი.

მეტისმეტი იქნება ყოველივე ხსენებულ ეკონომიურ უღონობას დავაბრალოთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზს ვიკვლევთ. თუ ეკონომიური უღონობაა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომელნიც აქეზებენ და ასაზრდოებენ ამნაირ ავკაცობასა და რომელთა წყალობითაც გაჭირებული კაცი გაეტაცებინება ხოლმე მაცდურებას — რაც არ უთესნია, ის მოიმკოს. ერთი გარემოებათაგანი არის იმედი — არავინ გამომეკიდებაო. ქურდს და ავაზაკს ჩვენში შიში არა აქვს, რომ მდევარი, ან მკვლევარი მეყოლებაო. თუ სადმე ქურდობა, ან ავაზაკობა მოხდება ხოლმე, მარტო გაქურდული და ჭირისუფალი შეუდგება თავში ცემას, სხვა არავინ არ იტკივებს თავს, თითქო ამისთანა ბოროტმოქმედება, როგორც ქურდობა და ავაზაკობაა, საკუთარი ჭირი იყოს ცალკე კაცისა და არა მთელის საზოგადოებისა, მთელის ერისა. ადგილის მოხელენი ან იმოდენა საქმეებით არიან დატვირთულნი, რომ ამაებისათვის ვეღარ იცლიან, ან ისე გულგრილნი, რომ ამისთანაებს ყურს არ ათხოვებენ.

ასეთი გულგრილობა იქიდამ წარმოსდგება, არავინ მოჰკითხავს ხოლმე მოხელეს, — აბა რა ღონისძიება იხმარე, რომ გაისარჯე ამა და ამ ქურდობისა, თუ ავაზაკობის აღმოსაჩენად. მოხელე, რომელიც უფრო ფრთხილი და გაოსტატებულია, კანცელიარულად „პროტოკოლს“ შეადგენს, ამა და ამ დღეს ესა და ეს კაცი მოვიდა და გამომიცხადა, ხარი მომპარესო, და ქურდისა და ნაქურდალის აღმოსაჩენად კანონიერი ღონისძიებაა მიღებულიო. ასე დაწყებული საქმე ამით

თავდება. არც ღონისძიება, არც ხელის განძრევა, არც ადგილიდამ დაძვრა! საკმაოდ მიაჩნია „პროტოკოლის“ შედგენა, რომ თუ ვინიცობაა მოჰკითხონ, გასამართლებელი საბუთი ხელთა ჰქონდეს, საქმე მიწარმოებიაო. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, და ამაზე მეტი სიბნელე განა იქნებაღა?*

საზოგადო სენი ჩვენებურ მოხელეობისა ის არის, რომ ქურდობა, და ავაზაკობა მოხელეს დიდ დავალებულ საქმედ არ მიაჩნია. ბევრს უფრო მეტი შიში და რიდი აქვს უფროსისა, თუ თავის დროზე უწყებები არ ჩააბარა, ვიდრე იმისი, რომ ქურდობისა და ავაზაკობის კვალს არ გამოუდგა და ქურდი ხელიდამ წაუვიდა. ეს იმისათვის არის ესე, რომ უწყების არჩაბარებას მოიკითხვენ ხოლმე და ქურდისა და ავაზაკის კვალის კვლევას და არ დევნას არავინა ჰკითხულობს, თუ ერთი განსაკუთრებული, წრესგადასული ამბავი არ მოხდა, როგორც მაგალითებრ, თავ. თომა ციციშვილის სახლზედ დაცემა, ან რომელიმე დიდის კაცის გზაში ძარცვა, ფოსტის გატეხა და სხვა ამისთანა, იმაზე კი, რომ გლეხკაცს უკანასკნელი ძროხა მოჰპარეს, წაართვეს, ან დახანჯლეს, ან მოჰკლეს, — თავს არავინ იტკიებს. ამისთანაებში საკმაოდ მიჩნეულია, მოხელემ მოახსენოს ვისაც ჯერ არს, რომ ყოველი ღონისძიება ხმარებული იყო და ქურდი და ავაზაკი ვერ აღმოჩნდაო. მართლა იხმარა რამ ღონისძიება, ან რაგვარი ღონისძიება იხმარა, სად რა ჩაიდინა, სად რა მოახდინა, სად რა გზები შეჰკრა, სად რა კვალს დაადგა, ამაებს კი არავინ ჰკითხულობს.

* ამის დამწერმა ზოგიერთი მაგალითებიც იცის იმისი, რომ სოფლის პოლიციის ბოქაულს ამისთანა პასუხი ეთქვას გაქურდულისათვის: „მე ხომ შენი მეძროხე არა ვარ, შენს ხარ-კამეჩს ვუყარაულოვო, წადი, დამეკარგეო“. არ არის სულ ორი კვირა, რაც ერთს სოფელში ერთი უღელი კამეჩი მოჰპარეს გლეხკაცებს. მინდორში ვიღაცას დაეტოვებინა ცარიელი ურემი, შეაბეს თურმე მოპარული კამეჩები ქურდებმა ამ ურემში და გაუდგნენ გზას. კამეჩების პატრონები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და, რა თქმა უნდა, ვერას გახდნენ. — რატომ პოლიციის ბოქაულს არ გამოუცხადეთ? — ვუთხარით ჩვენ. — განა არაო, — გვიპასუხეს: — ორჯელ დავაპირეთ, მივედით კიდეც სახლში და ვეღარ შევბედეთ შიშით: ერთი ახირებული კაცია, ლანძღვა-თრევით გამოგვყრიდაო. მოდით და ამას იქით იკითხეთ: ქურდობა და ავაზაკობა რათ არის-თქო ჩვენში? მაშ რა იქნება, საცა პოლიციის ბოქაულამდე კაცს შიშით ვერ მიუღწევია.

ჩვენის ფიქრით კი თხაც რომ დაიკარგოს, პოლიციის ბოქაულმა თავი უნდა გამოიდოს, მთელი ის არემარე ფეხზე დააყენოს, დიდი და პატარა მისძრას-მოსძრას, წავიდ-წამოვიდეს საძებნელად, გეში და კვალი მოხაზოს და არ მოისვენოს, ვიდრე ყოველს საქმიან და არა კანცელიარულს ღონისძიებას და ხერხს ზედ არ შეალევს, რომ ქურდი და ნაქურდალი ხელთ იგდოს, ან საბუთიანად დარწმუნდეს, რომ საქმეს აღარა ეშველება რა. ამისთანაებში მარტო ერთი მდევრობა, ხმაურობა და განგაშიც დიდი რამ არის, რომ ქურდობას და ავაზაკობას მადა და ხალისი დაეკარგოს ცოტად თუ ბევრად და ცოტად თუ ბევრადვე კბილი მოეჭრას. ესეც ღვთის წყალობა იქნება, თუნდ მაგ ხმაურობისა და განგაშისაგან სხვა არა გამოვიდეს რა. ისე არაფერი არ ამხნევებს ქურდსა და ავაზაკსა, როგორც ყურის მოყრუება მოხელესი და დაუდევრობა. აქ, რასაკვირველია, ტყუილუბრალო ფაცაფუცს და ციებცხელებას ადგილი არა აქვს, რადგანაც სიცილის მეტს სხვას არრას გამოიწვევს. აქ საჭიროა მართალი, საქმიანი გამრჯელობა და მოხერხება და არა ტყუილუბრალო ალიანქოთი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხერხი და ძლიერება ადგილის მოხელეობისა ზედ შეელევა ქურდისა და ავაზაკის გზას, თუ რამ ბოროტი და ავაზაკობა მოხდა სადმე, და მაშინ მშვიდობით გადარჩენის იმედი ისე ადვილად ვერ აიყოლიებს ბოროტმომქმედს და არ წაიტყუებს, როგორც დღეს არის, ჩვენდა სამწუხაროდ.

ყველამ უნდა გული დააჯეროს საქმით და მაგალითებით, რომ ქურდობა და ავაზაკობა დიდ ბოროტად მიაჩნია მოხელეობას, რომ ქურდი და ავაზაკი უდევნელად, უძებნელად ვერ გადურჩება, რომ ამ დევნასა და ძებნაში უნდა გამოიჩინოს მოხელემ თავისი ღირსება და სიკეთე, და თვით უფროსის მოხელეობა ქურდის დევნასა და აღმოჩენაში უნდა ჰპოულობდეს ღირსებას თავისის ხელქვეითის გულმოდგინებისას და ხერხიან გარჯისას.

რომ ამისთანა გულმოდგინებამ ჩვენში ფეხი აიდგას ავკაცობის ასალაგმავად, პოლიციის მოხელე ყოველთვის უნდა იყოს „на чеку“, რუსები რომ იტყვიან, რო-

გორც საზოგადოების, ისეც უფროსების წინაშე. აი, ჩვენის ფიქრით, ამისათვის რა არის საჭირო: წესად დაიდოს, რომ მაზრის უფროსმა, თუ მის არემარეში ავაზაკობა ან ქურდობა რამ მოხდა, სულ ერთია თხა მოიპარეს, თუ დიდი რამ საუნჯე — მაშინვე დაუყონებლივ აუწყოს გუბერნატორს, სად და როდის რა მოხდა, რა ღონისძიება იქმნა მიღებული ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად, რაგვარ მოიქცნენ მაზრის უფროსნი და მისნი ხელქვეითნი ავკაცობის გამომჟღავნების პირველ ხანებში, სად რა გეშია და კვალი მიტანილი, ვისზედ არის გუმანი აღებული და სხვა ამგვარი, რაც ცხადად ჰყოფს საქმიანს მოქმედებას მოხელისას. ვიდრე საქმე ან ისე, ან ასე გათავდებოდეს, ყოველი ახალი ვითარება მისი უნდა ეუწყოს გუბერნატორს. ამ გზით უმაღლესს მოხელეობას თვალი ეჭირება, ზედამხედაობა ექმნება, ვინ და სად როგორ ირჯება, როგორ ასრულებს თავისს მოვალეობას, როგორ გულმოდგინებას და მოხერხებას იჩენს და ყოველ ამის შესაფერად მოექცევა მოხელეს. ყოველივე უქმობა, ყოველივე დაგვიანება, ყოველივე მოუხერხებლობა ამისთანა შემთხვევაში უნდა სასტიკად მოეკითხოს ხელქვეითსა და ეს შესაძლოა მარტო მაშინ, თუ ამნაირ მიწერ-მოწერას საქმიანად შიგ ჩამხედავი ეყოლება და არა კანცელიარული გამკითხავი.

ეს თვალყურისჭერა თვით ხელქვეითსაც არ დააძინებს, ყურებს ააცქვეტინებს და ბოროტმოქმედების აღმოჩენას დიდმნიშვნელობიანს საქმედ გახდის, როგორც მის საკუთარ თვალში, ისეც მკვიდრთა თვალშიაც. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დაუზარებელი, სწრაფი, წინდახედული და ფიცხელი დევნა ქურდისა და ავაზაკისა მოხელეთაგან თვით ხალხსაც გაამხნევებს ბოროტმომქმედთა სადევნებლად, რაკი ჰნახვენ, რომ თვით მოხელეობა ცეცხლმოკიდებული ირჯება, და გამხნევებულ ხალხში დიდს შველას და შემწეობას იპოვის მოხელეობა. იძახიან, ხალხი არა ჰშველის მოხელეობას, ხელს არა სძრავსო, ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს და სხვათა შორის ის, რომ ხელს არა სძრავს თვით მოხელეობა და ხალხს სხვა რა დარჩენია რა, გულხელი დაიკრიბოს და არ მიეცეს ქურდს და ავაზაკს ან

დასახანჯლავად, ან სასიკვდილოდ, ან ცეცხლწასაკიდებლად, იმიტომ რომ უქმობა მოხელეთა ყოველ ამისაგან არა უშიშარჰყოფს.

იტყვიან, — ეს მიწერ-მოწერაც რომ ზურგზედ ავკიდოთ სოფლის პოლიციასა, სხვა საქმისათვის როგორღა მოიცალოსო. ჩვენის ფიქრით, სხვა მიწერ-მოწერისაგან რომ შეღავათი მიეცეს პოლიციას და ამ საქმეზე მოაცალონ, ქვეყანას თუ არ მოემატება, არა დააკლდება რა. მკვიდრთა უშიშარყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ ერთი უდიდესი, თუ არ უპირველესი, მოვალეობაა სახელმწიფოსი. უამისოდ არც წინსვლა ერისა, არც წარმატება რაშიმე შესაძლებელი არ არის. ამიტომაც ბევრმა რამ სხვამ ამ უშიშარყოფას თავისი უპირატესობა და ადგილი უნდა დაუთმოს, თუ სხვა ღონე არ არის. თუ მაინცდამაინც პოლიციას სხვა უფრო დიდი და მძიმე საქმე აქვს, მაშინ მკვიდრთა უშიშარყოფას სხვა პატრონი, სხვა მოხელეობა უნდა გავუჩინოთ და არ უნდა დავტოვოთ ეს საქმე იმათ ხელში, ვისაც იმისათვის დრო და მოცალეობა არა აქვს. ეს აშკარაა.

სხვა ამგვარს მიზეზს შემდეგს წერილში ჩამოვთვლით.

ტფილისი, 17 ოქტომბერი

იმ მიზეზთა შორის, რომელნიც აქეზებს, ათამამებს და ამხნევებს ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას, უნდა ჩაირიცხოს დახანება საქმის გარჩევისა სამსაჯულოს მიერ. ქურდობისა და ავაზაკობის მოხდენის დღიდამ გარჩევის დღემდე იმოდენა ხანი გადის, რომ დაზიანებულსაც ლოდინით გულს უტეხს, მოწმესაც ავიწყდება ზოგიერთი წვრილმანი, არსებითი გარემოება ნახულისა, ხშირად გეში და კვალი დანაშაულისა იშლება და იკარგება და ამით სიცხადე და საბუთიანობა აკლდება საქმეს. ქურდობისა და ავაზაკობის საქმეში თვალად წვრილმანი რამ გეში და კვალი ხშირად უფრო აცხადებს საქმის ვითარებას, უფრო მართლად და უტყუარად ჰხსნის საქმის ნასკვსა, ვიდრე სხვა რამ. ამისთანა

საქმეში მინამ თორნე ცხელია — პური უნდა გამოცხვეს.

მართალია, ავაზაკობისა და დიდ ქურდობის საქმემ, ვიდრე გასარჩევად წარსდგება, ჯერ უნდა გამომძიებელის ხელში გამოიაროს, აქ უნდა შეიკრიბოს ყოველივე ჰო და არა საქმისა და ყოველ ამას დრო და ხანი უნდა ძალაუნებურად. მაგრამ აქაც ტყუილუბრალოდ ბევრი დრო იკარგება ან იმის გამო, რომ გამომძიებელს მოცლა არა აქვს, ან იმის გამო, რომ გულს არ უდებს, რადგანაც მომკითხავი არავინა ჰყავს. რაკი გამომძიებელმა შესაძლოდ დაინახა ბრალდებული ან თავდებობით, ან საზღაურით თავისუფალად დასტოვოს და ტუსაღად არ დაინარჩუნოს, იმას ბევრი აღარაფერი ატანს ძალას, რომ საქმეს სასურველად აუჩქარდეს. იგი მარტო ტუსაღის საქმეს აფიცხებს, რადგანაც, რაკი ტუსაღია, საქმეს უფრო ცხარედ ეკიდებიან, თვალყურს უფრო ფიცხად ადევნებენ და უფრო მალ-მალე მოიკითხვენ ხოლმე. სულ სხვა სიფიცხით მიდის საქმე, როცა ტუსაღი ზურგთ არა ჰკიდია გამომძიებელს, ან სამსაჯულოს, ხალხის თვალში კი ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი, ორივე ქურდია.

თუ მაინცდამაინც ავაზაკობისა და დიდ ქურდობის საქმეში დაგვიანება ეპატივება ვისმეს ამა თუ იმ მიზეზითა, წვრილმან პარვა-ქურდობაში კი ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენში და სხვაგანაც, თუ სოფლად მოპარვაა რისამე, უფრო პირუტყვისაა, ვიდრე სხვისა რისამე. ეს იმისთანა ბოროტმოქმედებაა, რომელიც ხშირად თვით ადგილზედვე სტოვებს გეშსა და კვალსა, მაგალითებრ, ნავალს ქურდისას და პირუტყვისას და სხვა ამისთანას. თუ მოსამართლემ დროზე არ მოასწრო და არ ინახულა ყოველივე ეს, შესაძლოა სამუდამოდ ხელიდამ წაუვიდეს ქურდიცა და ნაქურდალიც. აქ გამოძიება და სამართალი ერთსა და იმავე მოსწრებულ დროს უნდა მოხდეს. ეს აზრია კანონმდებლისა, რომელსაც საჭიროდ დაუნახავს მომრიგებელი მოსამართლე ერთსა და იმავე დროს გამომძიებელიც იყოს და მსჯავრის დამდებიცა. რომ გამოძიებამ მსჯავრის დადებამ არ დაახანოს და მსჯავრის დადებას არ დაუსუსტდეს ცხადმყოფელი საბუთი.

ჩვენში კანცელარიულმა მსვლელობამ საქმისამ მთლად დაიმორჩილა მომრიგებელი მოსამართლეობა, რომლის პირველი და უკანასკნელი ღირსება საცხოველმყოფელო მოქმედებაა, სწრაფი საქმიანობა, დაუხანებელი სარჩლი მართლისა და დაზიანებულისა. ჩვენში გაქურდული გლეხკაცი, თუ სხვა ვინმე, მიდის მომრიგებელ მოსამართლესთან და შესჩივის თავის გულის სატკივარს; მომრიგებელი მოსამართლე, იმის მაგიერ, რომ მაშინვე საჩივარს გამოუდგეს და ხელი ჩაჰკიდოს, თუნდა ამისათვის სხვა მორიგ საქმეების გადადება მოუნდეს, ვინ იცის, როდის ჰნიშნავს საქმეს გასარჩევად. კიდევ შესაწყნარებელი იქნებოდა ამ შემთხვევაში დაგვიანება, რომ დრო, საქმის გასარჩევად დასანიშნავი, შეეტოლოს მარტო იმ ხანს, რაც ბრალდებულის და მოწმეების მოწვევას მოუნდება. ხშირად მომრიგებელი მოსამართლე შეურჩევს ხოლმე დროს, როცა თითონ უკვე დანიშნულ მორიგ საქმეთაგან მოცლილია.

ბევრი მაგალითია იმისი, რომ მკვიდრი, ამ დაგვიანების მნახველი და ნაგემევი, სულაც აღარა სჩივის და გულჩათუთქვილი ემორჩილება თავისს უბედურებას. ამის გამო ბევრი ქურდობა სამართლამდენაც არ მიაღწევს ხოლმე და ქურდი უდევნელად და დაუსჯელად ჰრჩება, და ნუთუ ქურდობას ეს ამისთანა ამბავი გულს არ უკეთებს და უქეზებს. თუნდ ეგეც არ იყოს და სამართალს მიჰმართოს დაზიანებულმა, რა მდგომარეობაში სტოვებს ან მას, ან მოწმეს და მთხრობელსა, დაგვიანება საქმისა. რაკი საქმე გვიანდება, დროც ბევრია ხიფათისა და განსაცდელის შესამთხვევად. დაზიანებული და ბრალდებული, უიმისოდაც ერთმანეთზე გულშევარდნილნი უფრო გადაეკიდებიან ხოლმე, რაც მეტი დრო და ხანი გადის. კიდევ კარგია, თუ აღძრული მტრობა ამათ შუა დარჩა, თორემ ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ მთელი სახლობა და ნათესაობა ერთისა მეორეს გადაეკიდება, და თუ შეხვდნენ სადმე ერთმანეთს, იქნება სისხლის ღვრაც მოუხდეთ. როგორც დაზიანებული, ისეც მისი მოწმე ან მთხრობელი, მუდამ შიშსა და ფიქრშია, რომ დაგვიანებამ საქმისამ დრო და ხანი არ მისცეს ბრალეულს და მის მომხრეთ ჯავრი ამოიყარონ, არ დასწვან, არ გადაჰბუგონ და

უფრო უარესი არა აუტეხონ რა. ამნაირს შიშსა და ფიქრში მყოფს კაცს რომ რაიმე უბედურება შეემთხვას ან თავისით, ან სხვისით, საკვირველი არა იქნება რა. დრო და ხანი ამისთანა ამბებისათვის ბევრს შემთხვევას იძლევა. ამ გზით შესაძლოა ერთმა დანაშაულმა მეორე უფრო მძიმე და დიდი უბედურება გამოიწვიოს და მშვიდობიანი კაცი ავაზაკად გაჰხადოს.

თვითონ ბრალეულსაც, ტუსაღად არის თუ თავისუფლად, საქმის დახანების გამო მსჯავრის ლოდინში გული თანდათან უფრო უწბილდება, ემღვრევა. მერმისის უცნაურობაში შეშინებულის ფიქრის ტრიალი, ჰოსა და არას შუა ყოველდღე ტოკვა, შიშსა და იმედ შუა დღემუდამ ყოფნა ლოდინით დაუძლურებულ გულს ბრალდებულისას, ვინ იცის, საით არ გასწევს და გამოსწევს. განა საკვირველია, რომ ამისთანა ყოფაში ჩავარდნილ კაცს შიში იმოდენად გაუზვიადდეს, რომ გულმა უთხრას, თავს უშველეო და კაცმა ფეხი დაჰკრას და ყაჩაღად გავარდეს. განა ერთი და ორი მაგალითია, ამისთანა სულთამოძრაობას კაცი ძალაუნებურად ავაზაკად გაეხადნოს, რაკი სხვა გზა ვერ დაუნახავს გულისა და ფიქრის დაამებისა და დაწყნარებისათვის.

შესაძლოა ყოველივე ეს საქმეს დაუხანებლობაშიაც მოხდეს, მაგრამ დაგვიანება და დახანება ამისთანა შემთხვევას ახშირებს, რადგანაც დრო და ხანი შესწევს განსაცდელის მოვლენას და გულთათქმათა გაძლიერებას. სწრაფი და დაუხანებელი განაჩენი კი, — გამართლებისაა, თუ გამტყუნებისა, — რაკი ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს მიზეზიანს ლოდინსა, ბევრს დროსა და ხანს აღარ მისცემს გულთათქმათა გაძლიერებას, უცნაურობით საშიშს მერმისს დამნაშავისას ცხადჰყოფს და ამით მისს ჰოსა და არას შუა ყოფნას დასასრული ეძლევა. ამ გზით გულის ჩოჩქოლი ჰნელდება, ფიქრს უცნაური შიში აღარ იტაცებს, უკვე გადაწყვეტილის ბედის დამორჩილება იღვიძებს და გულისთქმანი წყნარდებიან თვით საქმეში ასე თუ ისე ჩარეულ მხარეთა შორის. ერთის სიტყვით, დიდი ნაწილი განსაცდელის მოვლენის მიზეზთა უღონოდ ჰხდება, უქმდება, დამნაშავე, ან მისი მომხრე-მოკეთე, ისეთივე ადამიანია, როგორც სხვა, და ერთსა და იმავე კანონს სულთა-მოძრაობისას ექვემდებარება, და ყოველ ადამიანისათვის ხომ დანახული, განცხადებული განსაცდელი უფრო ადვილად გასაძღოლია და ასატანი სულიერად, თუ ხორციელად, ვიდრე უცნაური მოსალოდნელი, რომელიც ადამიანს მით უფრო ძლიერ აბოროტებს, აშფოთებს, გულსა და ფიქრს უმღვრევს, რამოდენადაც მეტად მოქმედობს თავისს მსხვერპლზე.

აქაც ვიტყვით: იქნება ჩვენ ვცდებოდეთ, რომ საქმეთა გარჩევის დაგვიანებას ამოდენა მნიშვნელობას ვაძლევთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის გახშირების მიზეზებზეა საუბარი. ან იქნება ამ დაგვიანებას იმ მხრით არ მოვექცეთ, საიდამაც უფრო უეჭველად დასანახავია მისი ასეთი თუ ისეთი ზემოქმედება. ეს ყველაფერი შესაძლებელია და ჩვენის მხრით მეტისმეტი ახირება იქნება, ამაში გავუჭირვეულდეთ ვისმე. ხოლო არც უიმისობაა, რომ კაცმა სრულიად თვალი მოარიდოს ამ გარემოებას და ანგარიში რამ არ გაუწიოს ცოტად თუ ბევრად. თუ ესეა, საჭიროა კაცი ჩაუფიქრდეს ამ გარემოებას და წამალი რამ იღონოს. შემდეგს წერილში ვეცდებით, ჩვენის შეძლებისამებრ, ამ მხრით გამოვარკვიოთ რამ.

ტფილისი, 31 ოქტომბერი

ჩვენ წინა წერილებში* მოვიხსენიეთ იგი მიზეზნი, რომელნიც აქეზებენ და ათამამებენ ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას. ამ მიზეზთა შორის უკანასკნელ დავასახელეთ დაგვიანება საქმეთა გარჩევისა სამსაჯულოს მიერ. იქნება ჩვენ საკმაოდ და სასურველის საკვლევით ვერ დავასაბუთეთ ეს ჩვენ მიერ დასახელებული მიზეზი, მაგრამ ამაზე კი არავინ უარს არ იტყვის, რომ საქმის გარჩევის დახანება და დაგვიანება არ მოქმედებდეს ცოტად თუ ბევრად ქურდობისა და ავაზაკობის წახალისებასა და წათამამებაზე. მაშასადამე, თუ გვინდა ამ მხრით ცოტა რამ ხელი შეეშალის ქურდობას და ავაზაკობას, საჭიროა წამალი რამ მოვიხერხოთ,

* იხ. „ივერია“ № 215

რომ საქმეთა გარჩევას სასურველი და შესაძლებელი სისწრაფე მიეცეს.

იმ გარემოებაში, რომელშიაც დღეს ჩვენი მართლმსაჯულებაა და წესნი მისთა საქმეთა წარმოებისა, იქნება საჭირო იყოს ძირეული რამ ცვლილება. ამ მხრით საქმის გამოკეთება და მართლმსაჯულების წესრიგის გაჩარხვა არ შეადგენს საგანს დღევანდელ ჩვენ წერილებისას. ჯერ იმიტომ, რომ ჩვენ უღონონი ვართ ამისთანა მძიმე საქმე ვიტვირთოთ და მეორე იმიტომ, გაზეთის მოკლე წერილებით ძნელია კაცი ამ ტვირთს გაუძღვეს. ჩვენ მარტო გავკადნიერდებით და იმ გზას ვუჩვენებთ, რომელიც ძირეულს ცვლილებას არ შეეხება და დღესვე შესაძლოა ადვილად აღსრულებაში მოვიდეს.

ყველაზე უწინარეს ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს მომრიგებელ მოსამართლეობას. რა ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ ამ საქმეთა გარჩევა არ იგვიანებდეს? ჩვენის ფიქრით, ერთადერთი ღონისძიებაა: უმაღლესმა მთავრობამ, რომელსაც ექვემდებარება მომრიგებელი მოსამართლეობა, ყველაზე მძიმე საქმედ უნდა მიიჩნიოს ქურდობა და მიაჩნევინოს თვით მომრიგებელ მოსამართლეობას. რომ ეს მიჩნევა უქმად არ დარჩეს და სასურველი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა ზედამხედაობა მომრიგებელ მოსამართლეზე გაძლიერდეს, გასაქმიანდეს, მომრიგებელ მოსამართლეს უნდა ებრძანოს, დაუყონებლივ, რაკი ქურდობაზე საქმე ასტყდა, საქმეს ხელი ჩაჰკიდოს, თუნდა ამისათვის სხვა მორიგ საქმეების გადადება მოუნდეს, თთვისა და თთვის თავს, საცა ჯერ არს, ანგარიში წარუდგინოს თთვის განმავლობაში რამდენი საქმე გაუჩნდა ქურდობისა, რამდენი რა ხანში და როგორ გაათავა, რამდენი დარჩა და რა პატივსადები მიზეზია საქმის დარჩენისა სამერმისოდ. ამ ანგარიშიდამ, თუ მარტო ფორმალურად არ იქნება განკითხული, აშკარად გამოჩნდება ვინ როგორ ირჯება და მომრიგებელ მოსამართლეობის უფროსობას ხელთ ექნება ყოველთვის საბუთი ზედამხედაობისა და თვალყურის ჭერისათვის. ამ გზით ზედამხედაობა და თვალყურის ჭერა თვით მომრიგებელ მოსამართლესაც არ დააძინებს, რადგანაც შესაძლო იქნება ყოველივე დაგვიანება საქმისა მოეკითხოს და, თუ პატივსადები მიზეზი არ აქვს, უსაყვედუროდ არ გადარჩეს. ეს შიში საყვედურისა და ერთობ სამსახურში სახელის წახდენისა საკმაო ღონეა, რომ მომრიგებელმა მოსამართლემ მთელი თავისი ბეჯითობა იხმაროს საქმის დაუხანებლობისათვის.

რაც შეეხება იმ საქმეებს, რომელიც დიდს ქურდობას და ავაზაკობას შეადგენს და ექვემდებარება ოლქის სასამართლოს, ჯერ საქმე უნდა აჩქარდეს გამომძიებლის ხელში და მერე ოლქის სასამართლოში. რომ ან ერთგან, ან მეორეთგან საქმე არა ბრკოლდებოდეს, ჩვენის ფიქრით, საჭიროა ყოველივე ავკაცობა, რომელიც მიმართულია სხვის ქონების პარვა-მტაცებლობაზე, მიენდოს განსაკუთრებულს გამომძიებელს და განსაკუთრებულს ნაწილს ოლქის სასამართლოსას. ეს განსაკუთრებული გამომძიებელი და განსაკუთრებული ნაწილი ოლქის სასამართლოსი მარტო ქურდობისა და ავაზაკობის საქმეებზედ უნდა იყოს მიჩემებული და სხვა სისხლის სამართლის საქმეთაგან თავისუფალი და ყოვლად მოცლილი.

ჩვენ წინა წერილში, ჩვენის შეძლებისამებრ, ვაჩვენეთ, როგორ უნდა მოეკითხოს სასოფლო პოლიციას ქურდობისა და ავაზაკობის საქმენი. აქაც ჩვენ ჩვენი ვთქვით, რა გზით შესაძლოა სასამართლოებში ცოტად თუ ბევრად აჩქარდეს საქმეთა წარმოება შესახებ ხსენებულ ავკაცობისა, მაგრამ შორსა ვართ იმაზე, რომ ვიფიქროთ, ვითომ ამით სრულად ბოლო მოეღოს ქურდობასა და ავაზაკობასა ჩვენში. ეს კია, რომ თვალაცქვეტით ყოფნა პოლიციისა, სასწრაფო და ფიცხელი ძიება და დევნა ავკაცისა, სწრაფი და დაუყონებელი მართლმსაჯულება დიდს ზედმოქმედებას იქონიებს ხალხზე, ბევრს გაამხნევებს, ბევრს ხელს გამოაღებინებს და მთავრობა თვით მკვიდრთა შორის მოიპოვებს შველას და შემწეობას. ესეთი მღვიძარება ცალკე მთავრობისა, ცალკე მკვიდრისა, ბევრს წაართმევს ხალისს, ბევრს მოუკლავს მადას სხვის ქონების ქურდობით და ავაზაკობით შეძენისას. იმედს დაუსჯელად გადარჩენისას, ან მთავრობის ხელიდამ თავის დასხლეტისას, ბევრად შეასუსტებს, ბევრად შეამცირებს

ასეთი შეერთებული ფიცხელი ზედმისევა პოლიციისა, მკვიდრისა და სასამართლოსი.

ერთი დიდმნიშვნელობიანი მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა მკვიდრთა უიარაღობაა. ქურდი, ავაზაკი თავიდამ ფეხამდე გამოწყობილია თოფ-იარაღით მაშინ, როდესაც ძნელადღა ჰნახავთ ჩვენში სოფელს, რომ თოფი მოიპოვებოდეს. ხალხი იარაღაყრილია და, მაშასადამე, ყოვლად უღონოა, რომ თავი გამოიდოს ავაზაკის მოსაგერიელებლად და დასახვედრად, და რის შიშიღა აქვს ავაზაკს და ქურდსა? ამიტომაც ასე სასაცილოდ აგდებული ჰყავთ ავაზაკებს სოფელიც და მისი მკვიდრნიც. სასაცილოდ აგდება არ არის, მაშ რა არის, რომ შუაღამისას სოფელში მთელი გუნდი ავაზაკებისა შედის, რაც ჰსურს, ყოვლად დაუსჯელად იმას სჩადის, იტაცებს, სძარცვავს, ზოგჯერ სოფელს ხარჯს ახდევინებს და მშვიდობით გამოდის, თითქო თავის სახლში შევიდა და გამოვიდაო. განა ერთი და ორი მაგალითია ამისი? ვისი რიდი და შიში უნდა ჰქონდეს ავაზაკს, როცა არავის ხელში არავითარი იარაღი არ ეგულება მთელ სოფელში. ან რა ჰქმნას თვით სოფლელმა კაცმა, თუნდაც დიდმა გულადმა და თავგამომეტებულმა? ცარიელ მუშტით ხომ წინ არ დაუდგება კარგ თოფ-იარაღში გამოწკეპილ ავაზაკს? ან თუნდ დაუდგეს, რა გამოვა აქედამ, გარდა ავაზაკის გამარჯვებისა და მშვიდობისმოყვარე კაცის დამარცხებისა, წახდენისა და იქნება სიკვდილისაც.

ამბობენ იარაღის აყრა ამიტომ არის საჭირო, რომ აქაური ხალხი გულფიცხი ხალხია, ლხინსა თუ ჭირში ხან უბრალო ჩხუბში, მაშინვე იარაღსა სწვდება, ერთმანეთს აფუჭებენ, ჰხანჯვლენ და ზოგჯერ ჰხოცვენ კიდეცაო. კარგი და პატიოსანი, თუ ამისთანა ზომების ესგვარი დანაშაულობა მოისპობა, იარაღის აყრა ძალიან მოსაწონებელია და სასურველი. ხოლო ესე კია? მას აქეთ, რაც იარაღი აიკრძალა, ამგვარმა დანაშაულობამ განა იკლო? დიდად საეჭვოა. თუნდა ეკლო კიდეც, განა ამგვარ დანაშაულობის კლება და ავაზაკობის გათამამება ერთი მეორეს ჰფარავს?

დანაშაულობა, რომელიც წარმოსდგება ჩხუბისა და ერთმანეთის წაკიდებისაგან, ჯერ კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ დამნაშავე ავაზაკია, გულით წამხდარი კაცია. ესგვარი დანაშაულობა შეიძლება ფათერაკად შეემთხვას ყოვლად პატიოსან კაცსა და ამიტომ ამისთანა დამნაშავე საშიში არ არის საზოგადოებისათვის. სულ სხვაა ავაზაკი, იგი დაუძინებელი მტერია, დაუძინებელი ბოროტია ყველასი. ავკაცობა მისი მუდამი ხელობა. თუ უიარაღობა პირველგვარ დანაშაულობას უშლის ხელს, ავაზაკობას ხომ ხელს უწყობს, რადგანაც უშიშარჰყოფს და ამით ათამამებს. ეს სწორედ იმასა ჰგავს, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო.

ვთქვათ, უიარაღობამ გადაგვარჩინა პირველგვარ დანაშაულობას. ხოლო ამ ზომამ რომ მთელი ქვეყანა ავაზაკის სარბიელად, ავაზაკის ლუკმად გაჰხადა, განა კაცმა ამას ანგარიში არ უნდა გაუწიოს? განა ამას ფიქრი და წამალი არ უნდა? რად გაძლიერდა, ან რად არის ავაზაკობაო? სხვათა შორის იმიტომ, რომ ავაზაკს შიში არა აქვს უიარაღო კაცისა, უიარაღო სოფლისა. იცის, რომ წინ არავინ დაუდგება, არავინ გაუძალიანდება, არავინ გამოეკიდება, არავინ გამოუდგება, და რამ უნდა შეუშალოს ხელი? ისიც მიდის და არხეინად ჰთარეშობს. ესეთი მდგომარეობა, ჩვენის აზრით, წაქეზებაა ქურდისა და ავაზაკისა, მიზეზია მისის გაკადნიერებისა და ხელის გაშლისა. გარდა ამისა, უიარაღო მკვიდრი აღარც თავისის თავისათვის არის, აღარც მეზობლისათვის, აღარც მთავრობისათვის, როცა საჭიროა ავაზაკის დევნა და წინ დახვედრა. ამით მთავრობას აკლდება იგი ძლიერი ღონე, რომელსაც წარმოადგენს ამისთანა შემთხვევაში მხნეობა და თავის გამოდება მკვიდრისა და საზოგადოებისა. აქ ხელშეკრულია მარტო მშვიდობის მსურველი და მფარველი მკვიდრი და ხელგახსნილია მარტო ქურდი და ავაზაკი. ჩვენა გვგონია, რომ ეს შეუფერებელი მდგომარეობაა, ადამიანის ყოფა-ცხოვრების თვალით რომ დავაკვირდეთ, და საჭიროა ასეთის უხერხულ მდგომარეობისაგან გამოყვანა აქაურ მკვიდრისა.

თუ ყველას, ესე იგი თვითოეულს მსურველს ცალკე ვერ ენდობა თოფ-იარაღი იქონიოს, ეს მაინც უნდა, რომ თვითოეულ ცალკე სოფლის საზოგადოებას დაურიგდეს იარაღი, იგი ებაროს ერთს ვისმე სოფლის

მოხელეს, რომ საჭიროების დროს მოიხმარონ. თუ მთავრობისაგან დარიგება იარაღისა ამა თუ იმ მიზეზით არის შესაძლებელი, თვით სოფლის საზოგადოებას მაინც ნება მისცეს და საცა საჭიროა დაავალონ იარაღი იქონიონ სამდევროდ და საგერებლად. საქმე თოფ-იარაღის ნებართვაა და ჩვენ მარტო ეს აღვნიშნეთ, სხვას ყველაფერს ადვილად მოევლება.

ამით ვათავებთ ჩვენს წერილებს ქურდობისა და ავაზაკობის თაობაზე ჩვენში. დასასრულ, იმას დავძენთ, რომ სახეში არა გვქონია უქმი იმედი, ვითომც სრულად ამოსაკვეთად ხსენებულ ავკაცობისა რაიმე გზა და ღონე გვეჩვენებინა. ეს რომ შესაძლებელი იყოს, ჩვენზე უკეთესნი ჩვენზე ადრე აღმოაჩენდნენ მაგისთანა გზასა და ღონესა და ქვეყანაზე ქურდობა და ავაზაკობა აღარ იქნებოდა. არ არის იმისთანა ქვეყანა, თუნდაც ძლიერ დაწინაურებული სიმდიდრით და განათლებითა, საცა ამგვარი ავაზაკობა არა ჰბუდობდეს და არ იჩენდეს თავს. ამის ძირეულ მიზეზებს ფესვი მაგრა და ღრმად გადგმული აქვს, როგორც ჩვენში, ისეც სხვაგან, იმ ავკარგიანობაში, რომელსაც წარმოადგენს მეტნაკლებობა საეკონომიო და საზნეო ვითარებისა. ამაშია მისი სათავე და ამ გზით ამოწურვა საქმისა საჭირო სავსებითა ბევრს ძიებას, ცოდნას და შიგჩახედულობას თხოულობს. გარდა ამისა, საეკონომიო და საზნეო ვითარების განკარგება, გასწორება იმოდენად, რომ ამ მხრივ საზრდოება მოაკლდეს ქურდობასა და ავაზაკობას, ბევრს დროსა, ბევრს რთულს გარჯას და მეცადინეობას ნდომულობს. მინამ აქედამ საქმეს ეშველება რამ, ბევრი წყალი ჩაივლის, თუმცა საჭიროა კი, ნამეტნავად ჩვენში, მალე მიჰყონ ხელი ამ განკარგებას და ეხლავ დაიწყონ მეცადინეობა.

ამ მიზეზით ჩვენ ეს საეკონომიო და საზნეო საჭიროებანი მარტო გაკვრით მოვიხსენიეთ და უფრო ვრცლად თვალწინ დავიყენეთ ის გარემოებანი, რომელნიც გარედამ ხელს უწყობენ ჩვენში ქურდობის და ავაზაკობის გახშირებას და ნავარდობას. ესგვარნი გარემოებანი თვალდათვალ დასანახავნი არიან და ადვილად გამოსაკეთებელნი. იქნება ჩვენ მიერ ნაჩვენები ზომიერებანი იმდენად არ ჰშველოდნენ საქმეს, რამოდენადაც სასურველია. უკეთესთა ზომიერებათა მონახვა და აღმოჩენა შეუძლიანთ ჩვენზე უკეთესად საქმეში შიგ ჩახედულთა, ხოლო ჩვენ კი მაინც ამას ვიტყვით, რომ გაურჯელობა მოხელეობისა, დაგვიანება სამართლისა, და ყოველ ამითი გულის გატეხა მკვიდრისა, იგი უთოფუიარაღობა, რომელიც ავაზაკს ხელში უშიშრად აძლევს ხალხის მშვიდობით ყოფას, ხალხის ქონებას, — ისეთნი მიზეზნი არიან, რომ ამაებს ანგარიშის გაწევა უნდა. კიდევ ვიტყვით, აღმოკვეთა ამა მიზეზთა მთლად არ აღმოჰკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას, მაგრამ უეჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და, სხვა არა იყოს რა, ხელს მაინც არ შეუწყობს და ესეც მოგება იქნება. იმედი უშიშრად გადარჩენისა, ან ასე თუ ისე თავის დაძვრენისა, ბევრსა ჰშველის ქურდობისა და ავაზაკობის გაჩენას და გახშირებას. ავის ზნის კაცს ეს იმედი აქეზებს და ათამამებს და საჭიროა ამ იმედს გზა შეეკრას, ეს იმედი ჩამოართვან ქურდსა და ავაზაკსა.

[1897 წ.]



<ევროპა მაინც ორ დიდ ბანაკად გაყოფილი დარჩა>

ტფილისი, 27 ოქტომბერი

მას აქედ, რაც ჩვენ პოლიტიკაზედ ხმა არ ამოგვიღია, ბევრი რამ საყურადღებო ამბავი მოხდა, მაგრამ, საზოგადოდ რომ ვთქვათ, ამ ამბებს ბევრი რამ ცვლილება არ მოჰყოლია. ევროპა მაინც ორ დიდ ბანაკად გაყოფილი დარჩა, ცალ მხრივ „სამთა კავშირი“ და მეორე მხრივ „ორთა კავშირი“ დღესაც ჰსუფევს და, როგორც ჰგონიათ ყველას, ჰთავდებობს მშვიდობიანობის შეურყევლობას.

მართალია, „სამთა კავშირს“ როგორღაც მოულბა ძირი და „ორთა კავშირს“ უფრო გაუმაგრდა შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტის პეტერბუგში ყოფნისას, მაგრამ არც ერთი დასუსტდა და არც მეორე გამაგრდა ისე, რომ განსაცდელის რისამე მოლოდინი გაძლიერებულიყოს. აღმოსავლეთის საქმე, ასე უბედურად აღძრული საბერძნეთისაგან, ჯერ ხანად არასფერს შიშს არ მოასწავებს. როგორც ალაპლაპდა, ისეც დანელდა. რაკი იგი დიპლომატიის საღეჭად გახდა, დღესაც თუ ხვალ დაიღეჭება კიდეც და, ვინ იცის, მოსანელებლად საკმაოდ დაღეჭილი გადაეცემა თუ არა მერმისს. დიპლომატიას სასახელოდ ისიც ეყოფა, რომ დღეს გადასაწყვეტად გამწვავებული საქმე სამერმისოდ გადიდვა სისხლდაუღვრელად და ომის აუტეხლად. დღეს კი ესეო და მერმისმა თავისი იცოდესო, აი თავი და ბოლო დღევანდელ დიპლომატიის მოქმედებისა ოსმალთ-ბერძენთა საქმის გამო, რომელმაც კინაღამ ცეცხლი არ წაუკიდა მთელს აღმოსავლეთს და აქედამ მთელს

ევროპასა. ჯერ ხანად აღმოსავლეთიც და ევროპაც მშვიდობით გადარჩა მოსალოდნელს განსაცდელსა. ესეც ნუგეშია მშვიდობის მოყვარეთათვის.

ხოლო ევროპას შიგ გულში რაღაც ბალღამი უტრიალებს, გული გულის ადგილას მაინც არა აქვს, რაღაც ნაღველა აქვს გასიებული და დიდს ფიქრშია — ხვალინდელი დღე რას მოიტანსო. ამისთანა მდგომარეობა საქმეთა არავის ისე ხელს არ უწყობს, როგორც ინგლისსა. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ მას აქედ, რაც სამთა კავშირი შეიქმნა ევროპაში და ამის გამო რუსეთმა და საფრანგეთმა ერთმანეთისაკენ მიიწიეს სამეგობროდ, ინგლისი ცალკე გავიდა, არც ერთს მიემხრო, არც მეორეს და მიეცა პოლიტიკას „свободных рук“-ს, როგორც რუსები იტყვიან. ინგლისმა კარგად იცის თავისის თავის ფასი, იცის, რომ არც ერთი მხარე ამ ორ ბანაკთა შორის ცხვირზევით არ აიცილებს, რომ იგი მიიმხროს და მით მეორეზე გადაჭარბებით გაძლიერდეს. საქმე მარტო იმაშია, რომელი მხარე უფრო მეტს დაჰპირდება, უფრო მეტს დაახარებს. აი, იმ დღიდამ ამ დღემდე ინგლისი ამ ორ ბანაკ შუა სდგას ხელშეუკვრელი და ელის, ვინ უფრო ბევრს გაიმეტებს ინგლისის სახეიროდ, რომ თავისუფალი ხელი იქით გაიწოდოს.

რა თქმა უნდა, მას აქედ, რაც ევროპას ორ ბანაკად გაყოფა შეემჩნია, ასეთი სარბიელი თვალწინ გადაეშალა ინგლისს. ინგლისმა ის ბედნიერი შემთხვევა არ დაჰკარგა და ამ სარბიელზე ფეხი მაგრად მოიკიდა და დღესაც არა ჰფიქრობს ამ სარბიელის წრის გარედ ერთი მტკაველი მაინც გადააბიჯოს. ამასობაში როცა ეს ორი ნაწილი ევროპისა ძალ-ღონით თითქმის ტოლნი და თანასწორნი არიან და, მაშასადამე, ერთმანეთის ფიქრით ვერაფერსა ჰბედავენ, ინგლისი თავისს საკუთარს საქმეებს თავისებურად და თავისს სახეიროდ იკეთებს. სხვა რომ არა ვთქვათ რა, თუნდა მარტო აფრიკა ავიღოთ მაგალითად. ყველას მოეხსენება, რომ დღეს აფრიკა სანუკბარ ლუკმად გაუხდა მთელს ევროპას. გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, — ყველანი იმის ცდაში არიან, რომ აქ, რაც შეიძლება, მეტი ადგილები დაიჭირონ და დაიჩემონ და, რაც შეიძლება,

კარგი. აქ როგორც ინგლისს, ისე სხვას არავის ალჩუ არ უჯდება. გერმანიასაც ცალკე უჭირვეულდება და საფრანგეთსაც, არც ერთის განსაკუთრებული შიში არა აქვს, ერთსაც უპირობს თლას და მეორესაც. ვერც გერმანიას, ვერც საფრანგეთს იმოდენა ხმა ვერ ამოუღიათ, რომ ინგლისი შეაფერხონ და ხალისი მოუკლონ აფრიკაში მეტისმეტად გაძლიერებისა და განზე ფეხის გადგმისა. გერმანია გაუძალიანდება, ინგლისი მაშინვე საფრანგეთს მიემხრობა, საფრანგეთი გაუჭირვეულდება, გერმანიისაკენ გადავა.

ინგლისი ერთი ძლიერთაგანი და პირველ ხარისხოვანთაგანი ქვეყანაა. ამისი გადასვლა ან ერთისა, ან მეორე მხარესაკენ მოასწავებს ერთისა მეორეზე იმოდენად გაძლიერებას, რომლის წინაშე, ერთ-ერთი ანგარიშში ჩასაგდები აღარ იქნება. მაშინ ევროპაში და, მაშასადამე, მთელს ქვეყნიერობაზე იგი მხარე იბატონებს, საითკენაც ინგლისი იქნება. ამისი შიში ორსავე ბანაკსა აქვს და ადვილად მისახვედრია, რად არის დღეს ინგლისი თვალში ძელსავით ერთისა და მეორისათვისაც.

ესეთი ყოფა ინგლისისა ვერაფრად უნდა ეჭაშნიკებოდეს არც სამთა კავშირს და არც ორთა კავშირს. აშკარაა, ვერც ერთი მხარე ვერ აიტანს და შეითვისებს ასეთს მდგომარეობას, რომელიც ინგლისს დღეს ამისთანა უპირატესობას აძლევს ევროპიის პოლიტიკის ავკარგიანობაში. იქნება ვცდებოდეთ და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ამისთანა ყოფა-ცხოვრება ევროპისა მთელს საბელს პოლიტიკისას ხელთ აძლევს ინგლისსა, თუმცა იგი მარტოდ არის გასული და ყველას შორს უდგას. ამით აიხსნება ის, რომ ინგლისის ხმას ევროპიის საქმეში ასეთი ძალა და გავლენა აქვს დღეს. ევროპას უმძიმს, თითქო ჰთაკილობს კიდეც, რომ ინგლისმა ასეთი რიხიანი ადგილი დაიჭირა ევროპაში, არავის ერიდება, არავისი ფიქრი და შიში არა აქვს და დაუბრკოლებლად თავისს გულის წადილს არხეინად ისრულებს, რამოდენადაც დრო და გარემოება შესწევს.

აქ არის მიზეზი, რომ დღეს ევროპაში ინგლისზე ბევრი გაჯავრებული ჰლაპარაკობს. გაზეთებში თითქმის ის აზრიც მოისმის, რომ მთელი ევროპა უნდა შეერთ-

დესო ინგლისის ასალაგმავად და უკან დასაწევადა, თორემ ძალიან თავს გავიდა, ბევრს რაღაცას ოსტატობს და ევროპას არ ასვენებსო. ინგლისმა კარგად იცის, რომ ევროპა, რომელიც ერთმანეთში ესე აწეწილ-დაწეწილია, ერთმანეთში ასე მოურიგებელი, ერთმანეთზედ სამტროდ გადაკიდებული, თავისს დღეში ერთობას ვერ მოახერხებს და არხეინად ყურს უგდებს გაზეთების ვაისა და ვუისა. იგი, როგორც წინად, ისეც ეხლა განზე სდგას, თავისს საქმეებს სხვის დაუკითხავად ასე თუ ისე არიგებს და ასე იქნება იმ დრომდე, ვიდრე რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა იძულებულ არ ჰყოფს პირი ან იქით მიიბრუნოს, ან აქეთ. ევროპის ორ ბანაკად გაყოფამ შესაძლოდ გაუხადა ინგლისს პოლიტიკა „свободных рук“ და რუსეთისა და საფრანგეთ შორის საქვეყნოდ გამოცხადებულმა კავშირმა ამნაირ პოლიტიკას მტკიცე საფუძველი დაუდვა. ჩვენა გვგონია, რომ პოლიტიკა ინგლისისა სხვათა შორის იმის დაუღალავ ცდაში უნდა იყოს, რომ ეს ორი ბანაკი ევროპისა არ დაიშალოს, რაც შეიძლება დიდხანს და მით ინგლისს დღევანდელი უპირატესობა ხელიდამ არ გამოეცალოს და ვგონებთ ასეც იქცევა ინგლისი დღეს.

ბევრს კი ჰგონია, რომ საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი უნდა სწყენოდა ინგლისსაო. პირიქით, მისთვის ეს სასურველიც უნდა ყოფილიყო, რადგანაც სამთა კავშირი და ეს ორთა კავშირი ერთმანეთის მუქარაა და საცა ორნი თანასწორნი მუქარით უდგანან ერთმანეთს პირისპირ, იქ ხერხიანი მესამე ყოველთვის მოგებაშია. სწორედ ამისთანა მესამე ინგლისია დღეს და რად უნდა გვიკვირდეს, რომ იგი მაგრად ებღაუჭება მას, რაც ბედმა ასე ადვილად მიჰმადლა და დაულოცა.

[1897 წ.]

ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი

ტფილისი, 1 ნოემბერი

იყოს თუ არა ევროპაში ოსმალეთი? აი უმთავრესი ძარღვი აღმოსავლეთის საქმისა, რომელიც ეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია, რაც ევროპას არ აძინებს, არ ასვენებს და ერთი-ერთმანეთის შურითა და მტრობითა აქეთ-იქით ატოკებს და არყევს. ამას მოსდევს მეორე განსაკითხი, არანაკლებ მწვავი და რთული: ვთქვათ, არ იყოს, ვინ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი, ვინ უნდა გასწიოს მისი მაგიერობა, რადგანაც მაგიერობა მისი ევროპის ძალ-ღონეთა სასწორის უღელს ან აქეთ, ან იქით გადაჰხრის, იმისდა მიხედვით, ვინ რა ირგუნა დაცლილ სამკვიდროსაგან, ან ვინ ააფრიალა საკუთრად თვისი დროშა ბოსფორზე?

ეხლა ოსმალეთი თავისთავად არ წარმოადგენს იმისთანა სახელმწიფოს, რომ მარტოდ და ცალკე საშიშარი იყოს რომელიმე სხვა სახელმწიფოსათვის, თუ მარტოდმარტო გაემკლავებიან ერთმანეთსა. ბალკანეთის წვრილნი სახელმწიფონიც უშიშარ არიან ოსმალეთისაგან. თუმცა თითოეულ მათზე ოსმალეთი გაცილებით ძლიერია, მაგრამ არც ერთი დიდი სახელმწიფო აქ გზას არ მისცემს, არც ერთს წვრილ სახელმწიფოს ოსმალოს არ გაათელვინებენ, ოსმალოს ლუკმად არ გაჰხდიან. მაგალითი ამისი — დღეს დამარცხებული საბერძნეთია. მაშ რა თავის ასატკივებელია: არის ევროპაში ოსმალო, თუ არა? ვის რას უნდა უშლიდეს?

ნასკვი საქმისა სწორედ აქ არის. ამ ნახევარ საუკუნოზე მეტ ხანში, — იყოს თუ არა ევროპაში ოსმალეთი, — მაჯლაჯუნასავით გულზედ აწევს ევროპასა და ვერასგზით ვერ აუცილებია. ამ ხანის განმავლობაში ბევრნაირად ფერი იცვალა თვითეულის დიდ სახელმწიფოს პოლიტიკამ ამის შესახებ. რუსეთს სწამებენ, რომ ჯერ კიდევ პეტრე დიდმა ამოიღო ოსმალეთი ნიშანში, ხელი გაიწვდინა სტამბოლზედა, ამ გზით სვლა ანდერძად დაუდვა რუსეთსაო. ჩვენ არ ვიცით, რამოდენად მართალია ეს ანდერძდადება, ხოლო კი უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულმა ვითარებამ პეტრე დიდის აქედ რუსეთის პოლიტიკა უფრო აშკარად მიჰმართა ოსმალეთის დაუძლურებაზე და არა ერთხელ და ორჯერ დაანახვა ოსმალეთს, რა ძლიერი მეტოქეა მისთვის რუსეთი, ევროპა, საფრანგეთისა და ინგლისის მეთაურობით, არაერთხელ სადიპლომატიო გზით და ხან თოფ-იარაღით და ჯარით მიჰშველებია ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ. გავიხსენოთ ყირიმის ომები და ყოველივე ის ხლართი საქმისა, რომელსაც ინგლისი არა ჰზოგავდა, რომ რუსეთს სტამბოლში საქმე წაუხდინოს და წინ ფეხი არ გადაადგმევინოს. გავიხსენოთ თუნდ უკანასკნელი ომი ოსმალეთთან, საცა გამარჯვებული რუსეთი თვით სტამბოლის კარის წინ შეყენებულ იქმნა ევროპის დიპლომატიის ძალმომრეობითა. ამ სახით, ომის დროს ევროპა ხან ჯარითაც ჰშველოდა ოსმალეთსა და ყოველთვის კი, ომია, თუ უომრობა, დიპლომატიურ ძალღონეს ზედ ალევდა რუსეთის წინააღმდეგ და ოსმალეთის სახეიროდ. ამ ნახევარ საუკუნის პოლიტიკის გზას რომ დავადგეთ, აშკარად აღმოჩნდება, ვინ იყო უკანასკნელ დრომდე ევროპაში მომხრე ევროპიდამ ოსმალეთის განდევნისა და ვინ — ამისი ხელშემშლელი და ოსმალეთის მწე-მფარველი. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთ შორის თავიდათავი ინგლისი იყო.

ეხლა კი რას ვხედავთ? ინგლისმა თავი გამოიდო ოსმალეთის ევროპიდამ განდევნისათვის და რუსეთი სარჩლს უწევს ოსმალეთსა. ერთისა და მეორის პოლიტიკამ პირი უკუღმა იბრუნა და ამდენი ხნის თავისს საკუთარს მეცადინეობას ზურგი შეაქცია ერთმაცა და მეორემაც. საიდამ უნდა წარმომდგარიყო ასეთი ძირეული ცვლილება? რა მოხდა იმისთანა ევროპაში?

ამისი პასუხი, ჩვენის ფიქრით, იმ ორ ბანაკს შუა იმალავს თავს, რომელიც დღეს მთელს ევროპას თითქმის ორადა ჰყოფს და რომელიც აღარავისათვის საეჭვოა მას შემდეგ, რაც რუსეთმა და საფრანგეთმა კრონშტატში და ტულონში დაანახვეს ქვეყანას, და რაც უფრო უეჭველ შეიქმნა შემდეგ ჩვენის ხელმწიფე იმპერატორის საფრანგეთში მიბრძანებისა და პეტერბუგში საფრანგეთის პრეზიდენტის სტუმრობისა. საიდამ სადაო, იკითხავთ? იქიდამ, რომ ამ ორად გაყოფამ ძალ-ღონე ორის ბანაკისა გაათანასწორა, გაატოლა. პირველ შეხედვით ეს გათანასწორება ერთმანეთისათვის იმისთანა მუქარას აღარ წარმოადგენს, რომ ამის მიხედვით შეშლიყო რამ ევროპაში. მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ეს ორი მხარე, რამოდენადაც უფრო ტოლ-თანასწორნი არიან, იმოდენად უფრო ადვილად მოსალოდნელია განსაცდელი ერთისა და მეორესათვის, იმიტომ რომ, საკმაოა ევროპის აწეწილობამ ან დიპლომატიურ ოსტატობამ ერთი რომელიმე ორ ბანაკ გარეთ დარჩენილი სახელმწიფო, თუნდ მეორეხარისხოვანი, ან ერთს ბანაკს მიუყენონ, ან მეორეს, და მით ერთი მეორეზე საგრძნობლად გააღონიეროს, გააძლიეროს ყოველ შემთხვევისათვის.

ვისგან უფროა მოსალოდნელი ამისთანა განსაცდელი? რასაკვირველია, ოსმალეთისაგან. ამ მხრით არც ერთი სახელმწიფოა ისე საგულვებელი, რომელმაც მთელი ოსმალეთი ევროპის დიპლომატიას ხელში სათამაშოდ ჩაუგდო, ცალკე შინაურმა არევ-დარეულობამ და მოუსვენრობამ, ოსმალეთი იმ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ სხვის პირში მაყურებლადღა გაჰხადა. ამასთან, იმისთანა სახარბიელო ადგილები და საზღვრები უჭირავს, ისეთი მდებარეობა აქვს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა დიდი სახელმწიფო, რომ არ სწყუროდეს ძიძაობა მისი ხელთ იგდოს და მისი საბელი ყელისა თვით დაიჭიროს სწორედ იმ განსაცდელის მოლოდინით, რომ სხვამ არ დაგვასწროს და არ მიიყენოსო.

თუმცა, როგორცა ვთქვით, ოსმალეთი თვითოეულ ცალკე დიდ სახელმწიფოსათვის საშიშარი არ არის, მაგრამ იმოდენად კი ღონიერია, რომ ვინც გადიბირებს, იგი გააძლიეროს. ამის გამო, განა საკვირველია — ვიფიქროთ, რომ ამ ორის ბანაკის ძალღონეთა გათანასწორებამ თვითვეული ცალკე იძულებული გახადა ოსმალეთი გადმოიბიროს იმის შიშით, რომ გაჭირვების დროს სხვამ არ ჩაიგდოს ხელში საშველად. თუ ესეა, საკვირველი არც ის არის, რომ თვითვეული მხარე ეხლა ცალკე ჰცდილობს სტამბოლში და წელებზე ფეხს იდგამს, რომ ამ მხრით მეორეს საქმე დაასწროს და ოსმალეთი მოიმადლიეროს. მაშ რით უნდა აიხსნას ის უცნაური ამბავი, რომ დღეს გერმანია ასე ხელს აფარებს ოსმალეთსა და მისს მომადლიერებას ჰცდილობს? რა სტკივა გერმანიას აღმოსავლეთის საქმეში? განა არ გვახსოვს ბისმარკის სიტყვა: „ჩვენ არა გვეწვის რა აღმოსავლეთის საქმეში, ჩვენ ერთს ბრანდერბურგის ჯარისკაცსაც არ გამოვიმეტებთ მაგ საქმისათვისაო“.

ჩვენ ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით შემდეგ და ვეცდებით პასუხი წინათ დაყენებული საკითხისა, ჩვენის შეძლებისამებრ, მეტის სავსებით გამოვარკვიოთ თვითვეულ სახელმწიფოს მოქმედების მიხედვით, თუ გარემოებამ არ დაგვიშალა.

ტფილისი, 6 ნოემბერი

რომ უკეთესად შევიგნოთ* — ვინ რას ეძებს აღმოსავლეთის საქმეში და ვის რა ტკივილი აქვს, — ჯერ ყველაზე უწინარესს დიდ სახელმწიფოებს უნდა გავუსინჯოთ პოლიტიკის გზები. ყველამ იცის, რომ საფრანგეთი და ინგლისი დიდი ხანია ერთმანეთს გულდაუმშვიდებლად უყურებენ და ამ ბოლოს ხანებში თითქო ერთმანეთს უფრო აულურსდნენ, ვიდრე წინად. იმ ერთმანეთის საპირისპირო საქმეთა გარდა, რომელიც ევროპის გარედა აქვთ და რომელიც ექვემდებარება საახალშენო პოლიტიკას, შიგ ევროპის სამხრეთით, ჩვენის ფიქრით, ერთი დიდი მიზეზია, რომელიც არც ერთს ხსენებულს სახელმწიფოს და არც მეორეს ერთმანეთთან ვერ ათავსებს, ვერც არიგებს. ჩვენა გვგონია, რომ მიზეზი ხმელთაშუა ზღვაა. ეს ხმელთაშუა ზღვა

* იხ. „ივერია“ № 227

გადაჭიმულია სამხრეთ ევროპისა და ჩრდილო აფრიკის შუა და ამიტომაც ერთი მთელი თავისი გრძელი ნაპირი ევროპაში აქვს და მეორე აფრიკაში. ამ ნაპირის ერთი დიდი ნაწილი ევროპის მხრივ ეხება იტალიას და ოსმალეთსა, აფრიკის მხრივ მთელ ჩრდილო-აფრიკის საზღვარს, და იქ, საცა მთავრდება ეგვიპტის საზღვარი აღმოსავლეთით.

სადაც ატლანტის ოკეანიდამ, რომელიც ინგლისს გარშემო არტყია და საფრანგეთს დასავლეთით ჩაერთვის, იქ ვიწრო წყლის გზაა ხმელთაშუა ზღვაში გამოსასვლელი ისპანიის სამხრეთით და მაროკოს ჩრდილოეთით. და სწორედ ამ ვიწრო გასავალში ინგლისს უჭირავს თითქმის უძლეველი სიმაგრე ჰიბრალტარი, ასე რომ ხმელთაშუა ზღვაში ატლანტის ოკეანიდამ — როგორც ინგლისმა, ისე საფრანგეთმა — ამ სიმაგრეს ცხვირწინ უნდა გამოუაროს. რა თქმა უნდა, ეს სიმაგრე კარგად მოწყობილია, შორსმსროლელ უზარმაზარ ზარბაზნებითა. აბა ინგლისი ვის რა ხეირს დააყრის, თუ ვისიმე გამოშვება ატლანტის ოკეანიდამ ხმელთაშუა ზღვაში ჭკუაში არ დაუჯდა.

ამ სახით, ხმელთაშუა ზღვის სათავეში ინგლისია გამაგრებული და, მაშასადამე, ბატონიცა. ხოლო ხმელთაშუა ზღვას წელიცა აქვს და ბოლოც. მარტო სათავე არაფრის მაქნისია. ზღვის არც მოწყვეტაა შესაძლებელი, არც საითმე გადაყვანა და გადაგდება. წელი, უფრო დიდი ნაწილი, იტალიასა და ოსმალეთს ჰხვდება, და ბოლოს — ერთის მხრით — ჩრდილო-აღმოსავლეთით — ზედ ებჯინება ოსმალეთის სამფლობელოს — სირიას. ეს ევროპის მხრით. აფრიკის მხრით მთელი წელი გაწოლილია მთელ აფრიკის ჩრდილო ნაპირსა, ეგვიპტის აღმოსავლეთის საზღვრის დასასრულამდე. ამ აფრიკის ნაპირას არის მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ტრიპოლი და ეგვიპტე.

მინამ იტალია დანაწილებული იყო და წვრილ სახელმწიფოებად დაყოფილი, უღონოც იყო როგორც სამოყვროდ, ისე სამტროდ ვისიმე. ამის გამო იგი არავისაგან ანგარიშში ჩასაგდები არ იყო, როცა ხმელთაშუა ზღვისათვის საღერღელი სახარბიელოდ აეშლებოდა ვისმე. ხოლო ოსმალეთი ძლიერი იყო დღევანდელზე მეტად და ხმელთაშუა ზღვის საქმეში მის ხმას ადგილი ჰქონდა ცოტად თუ ბევრად. რა თქმა უნდა, ინგლისსაც და საფრანგეთსაც სახეში უნდა ჰქონოდათ, რომ ძლიერებას ოსმალეთისას ბევრი არა დაჰკლებოდა რა და მისის კლებით სხვა არ გაძლიერებულიყო. შიში ჰქონდათ რუსეთისა, რომ თუ ოსმალეთს მოაწვა, თან გაიტანს, გამოაპობს შავ ზღვას და ხმელთაშუა ზღვაზე აგვეტუზება ეს დიდი სახელმწიფო, რომელსაც თავისით იმოდენა ღონე აქვს, რომ არამცთუ თვითვეულს ცალკე, იქნება ორივეს ერთადაც გაგვიძღვესო.

სხვათა შორის, ეს იყო უდიდესი მიზეზი, რომ ყირიმის ომში ინგლისსა და საფრანგეთს ერთადა ვხედავთ წინააღმდეგ რუსეთისა. ამიტომაც ეს ომი გათავდა მით, რომ შავი ზღვის შემოსავალ-გასავალი გზა დაუკეტეს რუსეთსა. ამ მიზეზსვე უნდა მიეწეროს, რომ 1879 წლის ოსმალეთთან ომში გამარჯვებული რუსეთი სტამბოლის კარებთან შეაყენა ევროპამ, ინგლისის თაოსნობით და გერმანიის შემწეობით, და ოსმალოსთან ცალკე სან-სტეფანოში შეკრული პირობა რუსეთისა არ იყაბულეს, რადგანაც ეს პირობა ძალიან აუძლურებდა დამარცხებულს ოსმალეთს.

ევროპის სასურველი ის იყო, რომ ბოსფორზე, საცა დღეს ოსმალეთი ჰზის, არავინ ოსმალოზე ძლიერმა ფეხი საკუთრივ არ მოიკიდოს და სკუთრივ არ ამართოს იქ თავისი დროშა. ერთმანეთის შური და მტრობა არავის ამის ნებას არ მისცემს უომრად და სისხლდაუღვრელად. ოსმალეთის მაგიერ აქ სხვისა, უფრო ძლიერის ყოფნა, მეტისმეტად შეჰხუთავდა ხმელთაშუა ზღვაზე თავისუფალს სიარულს, იმიტომ რომ ყველას თავისი ქონება თავისთვის უფრო უნდა გამოსაყენებლად, ვიდრე სხვისთვის. ეს ერთი. და მეორე — ვინ იცის, ვის რა შემთხვევა აიძულებს ოდესმე ეს გზა სხვას შეუკრას, თუ ღონე შესწევს გარემოებათაგან მოვლინებულ სურვილისა. ეხლა უნდა ვიკითხოთ, — რა ხელსაყრელია ხმელთაშუა ზღვა ან რუსეთისათვის, ან ინგლისისათვის ან საფრანგეთისათვის და ან თუნდ გერმანიისათვის, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს კარგა მოზრდილი ფლოტი გაიჩინა და, მაშასადამე, წყლის გზა საჭიროებად გაუხდა ევროპის გარედ გასასვლე-

ლად. რა ხელსაყრელია, რომ ამის გულისთვის და ამის მიხედვით ევროპაში იწყნარებენ და ინახავენ იმისთანა სახელმწიფოს, როგორიც ოსმალეთია, რომელსაც სწამობენ ქრისტიანთა წეწვა-გლეჯას და უღმერთოდ ხოცვა-ჟლეტასა?

მეტისმეტი არ მოგვივა ვთქვათ, რომ იქნება ხმელთაშუა ზღვა ისე სახარბიელო არასდროს არ ყოფილა ევროპის დიდ სახელმწიფოთათვის, როგორც მას აქედ, რაც სუეზის არხი გაიჭრა ეგვიპტის აღმოსავლეთით. მინამ ეს არხი არ იყო, ხმელთაშუა ზღვა, წამოსული დასავლეთიდამ, სწვდებოდა მცირე აზიის და აფრიკის ხმელეთს და აქ თავდებოდა. ამ სახით, იგი ხმელთაშუა დაკეტილ ზღვას წარმოადგენდა, და თუ სახარბიელო იყო, მარტო მით, რომ მხოლოდ ევროპის სამხრეთსა და აფრიკის ჩრდილოს მისავალი გზა იყო. რაკი სუეზის არხი გაიჭრა, ხმელთაშუა ზღვა შეუერთდა მეწამულს ზღვას, რომელიც ეგვიპტისა და არაბეთის შუაზეა, ეხლა ხომალდები და ცეცხლის გემები ამ არხით ხმელთაშუა ზღვიდამ შედიან მეწამულ ზღვაში, აქედამ არაბეთის ზღვაში და არაბეთის ზღვიდამ გადიან ინდოეთის ოკეანეში. ინდოეთის ოკეანე კიდევ იმისთანა სახომალდო დიდი შარაგზა არის აზიის სამხრეთით, რომელიც სწვდება ინდოეთს და ბევრს იმისთანა ადგილებს, საცა ევროპის დიდ სახელმწიფოებს, სახელდობრ ინგლისსა და საფრანგეთს, უშველებელი ახალშენები აქვთ უკვე დაჩემებული.

გარდა ამისა, იგი ოკეანე ერთადერთი უფრო მოკლე, უფრო ზამთარ-ზაფხულ გამოსაყენებელი გზაა ავსტრალიისა და აზიისა ევროპიდამ. ამასაც მეტისმეტი სახარბიელო მნიშვნელობა აქვს ყოველ დიდ სახელმწიფოსათვის, ვითარცა დიდს გზას იმ უზარმაზარ აღებმიცემობისას, რომელიც დღეს ასულდგმულებს ევროპასა. ინგლისი, საფრანგეთი და ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიაც იმოდენა სავაჭროს ამზადებს, რომ ევროპის ბაზარი ვეღარ იტევს და ჰსაჭიროებს გარეთ გატანას. უიმისოდ ევროპის აღებმიცემობას და მრეწველობას სული უნდა ამოხდეს, და აბა იფიქრეთ, — რა დღეში უნდა ჩაცვივდნენ, რომ ის გზა ვისგანმე დაიკეტოს და ან ვისმე საკუთრივ ხელში ჩაუვარდეს იმოდენად, რომ საფიქრებელი იყოს ვისგანმე, თუ სრულიად დაკეტა არა, დაბრკოლება და წინ გადადგომა. ევროპას ამ გზით არამცთუ მარტო გააქვს თავისი საქონელი, არამედ ისიც შემოაქვს აზიიდამ, ავსტრალიიდამ, ამერიკიდამ, აფრიკიდამ, რაც თვით აკლია ცხოვრებისათვის.

აქედამ ცხადია, რა ძვირფასად მისაჩნევია ევროპის სახელმწიფოებისათვის ხმელთაშუა ზღვა, ნამეტნავად მას შემდეგ, რაც სუეზის არხმა შესაძლებელი გახადა ინდოეთის ოკეანეზე გასვლა ევროპიდამ. არც ერთ სახელმწიფოსათვის ეს გზა ისე სანატრელი არ არის, როგორც საფრანგეთის და ინგლისისათვის. ერთსაც და მეორესაც ევროპის გარეთ ისეთი დიდი ადგილები აქვთ დაპყრობილი, რომ ჯერ მათი ევროპიდამ პატრონობა, მოვლა, მტერთაგან უშიშარყოფნა, მეტისმეტად დიდ საქმეთა ჰქმნის ხმელთაშუა ზღვაზე თავისუფალად და დაუბრკოლებლად სვლას. უამისობა ერთისა და მეორისათვის ყელზე მიბჯენილი გალესილი დანაა.

ჩვენა ვნახეთ, რომ სათავე ხმელთაშუა ზღვისა, ანუ უკედ ვთქვათ, ატლანტის ოკეანიდამ შემოსავალი ვიწრო გზა — ინგლისს უჭირავს. ინგლისმა იმოდენად იოსტატა, რომ ხმელთაშუა ზღვიდამ გასავალიც ხელთ იგდო, რაკი ეგვიპტეში ფეხი ჩასდგა და ამ სახით თავი და ბოლო ხმელთაშუა ზღვისა თვით დაიჭირა. ეს ამბავი ვერაფრად იამათ, ნამეტნავად საფრანგეთსა, რომელიც, ვიდრე გერმანიისაგან დამარცხდებოდა, იმდენად აფრთხობდა ინგლისს, რომ ეს უკანასკნელი უსაფრანგეთოდ ბევრს ვერაფერს ჰსაქმობდა ეგვიპტეში მარტოდ და იძულებული იყო საფრანგეთის თანხმობით და თანადასწრებით ემოქმედნა და უიმისოდ ერთი ბიჯიც არ გადაედგა. მთელის თორმეტის წლის განმავლობაში, მას აქედ, რაც გერმანიასთან ომმა დააუძლურა საფრანგეთი და განამარტოვა, ინგლისს არ ეძინა, თავის საქმეს ჰჩარხავდა ეგვიპტეში იმ აზრით, რომ აქ თავიდამ როგორმე მოიშოროს საფრანგეთი და მარტო თავისის გავლენის ქვეშ იყოლიოს ეგვიპტე და აქედამ სუეზის არხს გაუბატონდეს.

როცა ეგვიპტის პატრიოტმა ა რ ა ბ ი — ფ ა შ ა მ მოიწადინა ეგვიპტე დაიხსნას ევროპიელთ ხელიდამ და თავისთავად ამყოფოს და ამისათვის აჯანყება მოახდინა,

და მერე მ ა ხ დ ი გამოვიდა და ეგვიპტის სამ-
ფლობელო სუდანი საომრად გაუხადა პატრონს, — ეგ-
ვიპტის საქმენი ძალიან აიწეწნენ, ამ აწეწილობამ ინ-
გლისს ხელი შეუწყო და ეგვიპტეში ჯარებით ჩადგა,
ვითომდა დასამშვიდებლად. ევროპამაც და თვით ოსმა-
ლეთმაც, რომელსაც ეგვიპტე ეკუთვნის, დასტური
დასცა, მხოლოდ იმ პირობით, რომ დამშვიდების შემ-
დეგ ინგლისმა ისევ გამოიყვანოს თავისი ჯარები.

იმ დღიდამ ამ დღემდე ინგლისს არამცთუ ჯარები
არ გამოჰყავს, უფრო მაგრა ებღაუჭება ეგვიპტეს და
არავის მუქარა აინუნშიაც არ მოსდის. ან ვის უნდა
შეუშინდეს? ოსმალო, რომელსაც ვითარცა ბატონს ეგ-
ვიპტისას, ეს სამფლობელო ხელიდამ ეცლება, უღონოა
ინგლისის წინაშე. საფრანგეთი, რომელსაც ყველაზედ
მეტი ეწვის ეგვიპტის საქმეში, ხელს ვერ გამოიღებს,
რადგანაც მაშინვე ინგლისი მიემხრობა გერმანიას და
ულელს თანასწორობისას სამთა კავშირის სასარგე-
ბლოდ გადაჰხრის; გერმანია, რომლისათვისაც სასურ-
ველია ინდოეთის ოკეანეში გასასვლელი გზა, ვერ აეკ-
ვიატება ინგლისსა იმავე შიშით, რომ მაშინვე ორთა
კავშირს მიუდგება. საქმე იმაშია, რომ ევროპაში ორთა
კავშირს და სამთა კავშირს ერთმანეთში ისეთი დიდი
საქმე აქვთ, რომ მის მიხედვით თვითოეული მათგანი
ეგვიპტეზე ხელს აიღებს, ოღონდ ევროპაში საქმე
გაისწოროს და მოიგოს. ინგლისსაც ესეთი მდგომარეო-
ბა ევროპისა ათამამებს ეგვიპტის საქმეში. თუ არ და-
ვივიწყებთ, რომ ეგვიპტეს თავით აქვს ხმელთაშუა
ზღვა და გვერდით ზღვა მეწამული, ცხადი იქნება, —
რად არიან საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთზე
ალურსულნი ეგვიპტის გამო და რატომ დღეს ერთმა-
ნეთს მხარს არ აძლევენ აღმოსავლეთის საქმეში, რო-
მლის თავი და ბოლო ოსმალეთია. რადგანაც ოსმალეთი
პატრონია ეგვიპტისა და ინგლისი კი ხელსა სჭიდებს
ამ სხვის სამფლობელოს, აქედამ აშკარაა, ინგლისი
უნდა ერჩოდეს ოსმალეთს და საფრანგეთი ესარჩლებო-
დეს, რომ ოსმალეთის სახელით, ვითარცა პატრონის
სახელით, მეტი საბუთი იქონიოს ეგვიპტიდამ ინგლისის
გამოსვლისათვის.

აქ ბევრი რამ სხვაც არის გამოსარკვევი. ეს შემდე-
გისათვის იყოს.

ტფილისი, 8 ნოემბერი

თუ ინგლისის გაბატონება ეგვიპტეში ჭკუაში არ
უჯდებათ სხვა დიდ სახელმწიფოებს,* და ინგლისს
თვითოეულის სამდურავი და მუქარა აინუნშიაც არ
მოსდის, რატომ დიდნი სახელმწიფონი ერთად არ
მოიყრიან თავს და ერთად არ შეუტევენ ინგლისსაო? —
იკითხავს მკითხველი. ინგლისმა კარგად იცის, რომ,
როგორც წყალი და ცეცხლი ერთად ვერ მოთავსდე-
ბიან, ისეც დიდნი სახელმწიფონიც, რომელთაგანიც
ზოგნი ერთს ბანაკს ეკუთვნიან, ზოგნი მეორესა, და
ბევრი და დიდი ანგარიშები აქვთ ერთმანეთში საშუ-
ლო და გასასწორებელი. ეს ისეთი მწვავი შუღლია,
რომ აქ ერთმანეთისათვის რაიმე დათმობა ნებაყოფლო-
ბით მოულოდნელია და უომრად და სისხლდაუღვრე-
ლად შეუძლებელი, ჯერ ხანად მაინც. აბა საფრანგეთი
და გერმანია ერთმანეთს როგორ დაუმშვიდდებიან
ევროპაში იმოდენად, რომ ურთიერთს ხელი მისცეს
ერთმანეთის სამოყვროდ და სხვისათვის სამტროდ.
მართალია, ამ ბოლოს ხანებში ზოგიერთი გაზეთები
ჰღაღადებენ — დროა თავგასულობას ინგლისას, რომ-
ელიც ასე ჰრევს საქმეებს ევროპაში, თუ ევროპის გა-
რეთ, ბოლო მოეღოს და ერთიანმა შეტევამ დიდ
სახელმწიფოებისამ ხმა გააკმედინოს და სახარბიელოდ
გაწვდილი ხელები უკან წააღებინოსო, მაგრამ ინგლისი
ყურსაც არ იბერტყავს: იცის, რომ ტყუილი და უქმი
მუქარაა, რადგანაც მაგ ერთობილად შეტევისათვის სა-
ფუძველი დიდი ხანია დაურღვევია ნაღმს დიდ სახელმ-
წიფოების ერთმანეთის მტრობისას და შუღლისას.

ვიდრე გარემოება ევროპისა ესეა, ინგლისს არავისი
შიში არა აქვს. მართალია, იყო ერთი შემთხვევა, რო-
მელმაც ერთად ამოქმედა გერმანია, საფრანგეთი და
რუსეთი. ეს იყო მაშინ, როცა ეს სამი სახელმწიფო
ერთად წაესარჩლა ჩინეთს — წინააღმდეგ იაპონიისა და

* იხ. „ივერია“ № 224

მასთან ერთად ინგლისისა, მაგრამ გერმანიას აქ სხვა მუცლის ტკივილი ჰქონდა: უნდოდა გასამრჯელო რამ დაეცინცლა დამარცხებულ ჩინეთისათვის და დაცინცლა კიდეც ზოგიერთი ადგილი — სადგურად დიდ ოკეანეში მოარულ გერმანიის ხომალდებისათვის.

თუმცა დღეს გერმანიას გამორკვევით არ გამოუთქვამს არც სიტყვით, არც მოქმედებით, რას ჰფიქრობს ეგვიპტის გამო ინგლისზე, მაგრამ საფრანგეთი კი თავს არ ანებებს ინგლისს, უნდა ეგვიპტიდამ ჯარები გამოიყვანოო, და რუსეთიც მხარს აძლევს. ამ ორთა ძლიერთა სახელმწიფოთა ხმამ გამოაღვიძა თვით ეგვიპტის პატრონი ოსმალეთი, რომელიც აქამდე თუმცა ტკივილითა ჰგრძნობდა, ინგლისი მჩაგრავსო, მაგრამ მოწიწებით და ხმადაბლა ძლივს ჰბედავდა ზოგიერთს დროს მოაგონოს ინგლისს, რომ დროა ეგვიპტიდამ გააბძანო შენი ჯარებიო. ხოლო მაშინ, როცა ორმა ძლიერმა სახელმწიფომ იგივე მოსთხოვა ინგლისს, ოსმალეთმაც ხმა მოიმატა და გაუთამამდა ინგლისსა და მით დაუახლოვდა რუსეთსა და საფრანგეთსა. ამ დღემდე ოსმალეთი, რუსეთის შიშით, ინგლისის დიპლომატიის ხელში იყო და ინგლისი, საითაც უნდოდა, თავს იქით უზამდა. წყალობა ინგლისისა თუმცა ძვირად უჯდებოდა ოსმალეთს და რიხიანად ხმას არ აღებინებდა ეგვიპტის თაობაზე, მაგრამ კიდევ ეს ყოფა უჯობდა, ვიდრე რუსეთის თავდასხმა და მისგან განადგურება. ტკივილი ეგვიპტისა მაინცდამაინც გულს ჩარჩენილი ჰქონდა და საფრანგეთის დიპლომატია ბევრსა სცდილობდა სტამბოლში, რომ ეს ტკივილი უფრო აუტკიოს და მით შეაფიცხოს ოსმალეთი წინააღმდეგ ინგლისისა. ეს როგორცა სჩანს, მოუხერხდა საფრანგეთსა, იქნება მით უფრო, რომ საფრანგეთს მომხრედ რუსეთი ჰყავს. ესეა თუ ისე, ეგვიპტის საქმემ ხმა ამოაღებინა ოსმალეთს წინააღმდეგ ინგლისისა და მით ოსმალეთი დააშორა ინგლისს და დაუახლოვა საფრანგეთს და მასთან გაუყრელს რუსეთსა.

ინგლისის დიპლომატიამ, რაკი ვეღარ გადმოიბირა ოსმალეთი, რომელიც ამ დღიდამ სხვის გავლენის ქვეშ ჩავარდა, ინგლისი შემოსწყრა. აბა, თუ ესეა, მე გიჩვენებო. მართლადაც უჩვენა: ჯერ ფეხზე წამოაყენა სომხების საქმე, რომელმაც შეაფიქრა ოსმალეთი და საქმეები ისე აუწეწა, რომ ამ აწეწვის მიხედვით პირდაპირ წინ დაუყენა ევროპას, რომ ოსმალეთს აღარ ედგომილება ევროპაში, მისი აღსასრული მოვიდა, იგი უნდა დაირღვეს და დანაწილდესო. რუსეთი ყველაზე უფრო მეტად წინ აღუდგა ამ ინგლისის სარჩიელსა და მისი წყალობით ოსმალეთი დღეს თავის ადგილას ჰსუფევს. ამან რაკი ვერ გასჭრა, ინგლისს აბრალებენ, ვითომც კრიტის კუნძულზე არეულობა აუტეხაო და მერე საბერძნეთი წააქეზაო საომრად ოსმალეთთან. ამბობენ, რომ დღესაც, როცა ეს ომი გათავებულია და შერიგებაზეა ლაპარაკი, ინგლისი თავისის ჰო და არათი იმოდენად აბრკოლებს საქმეს, რომ არ იციან, როდის დაბოლოვდება შერიგების საქმე. ამ დაბრკოლებით, იქნება, იმას მოელოდინება ინგლისი, რომ ამაში გართულმა ოსმალეთმა და სხვა სახელმწიფოებმა სხვა საქმეებისათვის არ მოიცალონ. ამასაც ამბობენ, რომ ყოველ ამის სამაგიეროდ ოსმალეთის ფადიშაჰმა ვითომ აუჯანყა ინგლისს მუსლემანობა ინდოეთისაო. აჯანყება კი მართალია, მაგრამ მიზეზი ოსმალეთია თუ არა, — ეს არ ვიცით. ხოლო ეს კი უეჭველია, რომ დღეს ოსმალეთში ინგლისს აბრუ გატეხილი აქვს მთლად, და ცალ მხრით რუსეთი და საფრანგეთი და მეორეს მხრით გერმანია — ჰცდილობენ გავლენა ოსმალეთზე დაისაკუთრონ. ამაში ჯერ, ჩვენის ფიქრით, გამარჯვებულია რუსეთი და მერე არ ვიცით, რა იქნება.

[1897 წ.]



<კ. ბლუმერის აზრი ამიერკავკასიაში გავრცელებული ავაზაკობის გამომწვევ მიზეზებზე>

ტფილისი, 22 ნოემბერი

„Новое Время“ თავისას არ იშლის: დაუჟინია, თუ გინდათ ავაზაკობა ამოჰკვეთოთ ამიერკავკასიაში, იქაურები სულ გამოყარეთ პოლიციის სამსახურიდამაო. „ნეტარ არიან მორწმუნენი“ და ნეტარ იყოს თვით „Новое Время“-ც, რომელსაც ამისთანა ადვილი და უეცარი წამალი სცოდნია თავისდა სასახელოდ. „Новое Время“ არა სჯერდება ამის ქადაგებას თავისის საკუთარის სახელით და დასჭირებია სხვის მიერ მოწმობაცა, უსათუოდ უფრო დიდის ავტორიტეტის და მცოდნე კაცისა. ამისთანა ძლიერ მოწამედ გამოსჩენია ბ-ნი კ. ბლუმერი, რომლის წერილი დაბეჭდილია „Новое Время“-ს № 7803-ში ამ ხმამაღალ სათაურით „О разбояхъ на Кавказъ“.

ბ-ნი ბლუმერი უფრო ხერხიანად მოქცეულა ამ საქმეში. რომ უცაბედად ნათქვამობა არ შესწამონ მისს წერილს, ბ-ნი ბლუმერი ჯერ იმასა სცდილობს, დაჯეროს მკითხველი, რომ მე ამ საქმეში გაწაფული, გაჩარხული კაცი ვარო, ყოველივე შიგნითი ტიკი კავკასიასი ავაზაკობისა კარგად ვიციო, მისი ალიან-ჩალიანი კარგად შეტყობილი მაქვსო და სხვანი და სხვანი. ამისი უტყუარი საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ, იგი გვიამბობს, რომ $7^1/_2$ წელიწადი სპარსეთში ვმსახურებდი და იქ შემხვედრია ზოგიერთნი კავკასიის ავაზაკნი, თვით სახელგანთქმული ქარიმაც

კი გავიცანიო. გვიამბობს, რომ დიდ პატივშია ქარიმა სპარსეთში, დიდის ამალით დასეირნობს და ღენერლის ხარისხს იჩემებსო. ერთხელ ქარიმამ მთელის ამალით გამაცილა თავაზიანად და ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, თავაზიანადვე გამომეთხოვაო. ბევრი რამ მიამბო ქარიმამ თავისი თავგადასავალი კავკასიაში და სხვათა შორის მითხრა ერთი ამბავიო. ერთხელაო, უთქვამს ქარიმას, ყაზახებმა ერთს ადგილას მომაწყვდიესო, მე გავუძვერ ხელიდამ და ერთის ბოქაულის სახლს მივატანეო. კარებში იარაღი ავიყარეო და თამამად და უშიშრად სტუმრად ვეწვიე ბოქაულსაო. ბოქაულმა ვერ გაჰბედა დაჭერა ქარიმასი, რადგანაც ამით უღალატებდა ჩვეულებას აღმოსავლეთის ხალხისას, რომელსაც სტუმარი ხელშეუხებელ კაცად მიაჩნიაო, უმატებს თვითონ ბ-ნი ბლუმერი.

რამოდენად დასაჯერია ეს დაუჯერებელი და უცნაური ამბავი — ეგ ბ-ნმა ბლუმერმა და „Новое Время“-მ ჩვენზე კარგად უნდა იცოდეს და თუ მართალია, მართლა რომ დიდი ბოღაზი უპოვნია ბ-ნ ბლუმერს ავაზაკობის საქმის ცოდნისა ჩვენში, თუ თქვენც იტყვით, მკითხველო, და მოდით და ამის შემდეგ ნუ იტყვით, რომ ბ-ნი ბლუმერი ზედმიწევნილი მცოდნეა აქაურ ავაზაკობისა. თუმცა მარტო ეს ამბავიც საკმაოდ გვარწმუნებს ჩვენ, რომ ბ-ნი ბლუმერი შიგ გულ-ღვიძლში ჩასწვდენია ჩვენებურ ავაზაკობას, მაგრამ უფრო მეტის დარწმუნებისათვის სხვა ამბავიც მოჰყავს, რომელიც არანაკლებ პირველ ამბავზე გვამცნევს, რომ ბ-ნ ბლუმერს ჭა სიბრძნისა ავაზაკობის შესახებ სრულად ამოუწურავს.

იგი გვიამბობს, რომ ჩემ დროსაო სპარსეთის ჯარში განწესდა ვიღაც მირზა კ-ევიო. ეს ვიღაც მირზა წინად კავკასიაში მსახურებდა ბოქაულად, თუ ბოქაულის თანაშემწედა, დაბადებულა და მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთში გაუტარებიაო. იმისდა მიუხედავად, იგი მუსლემანის ცხარე ფანატიკოსად დარჩაო. მე რომ სპარსეთიდამ წამოვედიო, სამ წელიწადს შემდეგ იგი მირზა გარდაიცვალაო. ერთხელ როგორღაც სასაუბროდ შევხვდიო, ლაპარაკი კავკასიაში ავაზაკობის შესახებ დავიწყეთო და მე ვუთხარიო: პოლიცია რად არის ასე

ულონო კავკასიაში, რომ აი რვა წელიწადია რაც იბრძ-
ვის და ვერას გამხდარა ქარიმასთან, ამ ერთადერთს
კაცთანაო.

— აი, უპასუხნია ხსენებულ მირზას, საქმე ხომ
წასულია, მე რუსეთში აღარ დავბრუნდები, თუმცა
არავინ დამიშლისო, რადგანაც იქიდამ გამოქცეული არა
ვარო. თქვენ მეკითხებით, ქარიმას რატომ ვერა
ავუტეხე რა, მაშ ყური მიგდეთ: „როცა ქარიმა მე-
გულებოდა ერთს სადმე ადგილას, მე სხვა ადგილი-
საკენ გავქანდებოდი ხოლმე, ის მარჯვნივ წავიდოდა,
მე განგებ მარცხნივ გავრბოდი. აბა რად გავცემდი ჩე-
მის რჯულის კაცს და თქენ სხვა რჯულის კაცს
ხელში რად ჩავუგდებდიო. თქვენ ვინა გთხოვათ, რომ
მოხვედით და ჩვენი ქვეყანა ძალით დაიჭირეთ. ჩვენ
უთქვენოდ უფრო კარგად გვეცხოვრებოდაო“.

კიდევ კარგია, რომ ბ-ნმა ბლუმერმა საიქიოს გაის-
ტუმრა ამისი მთქმელი მირზა, თორემ ბევრი ახირე-
ბული კაცია ქვეყანაზე, ვინ იცის, იქნება წასულიყო
ვინმე სპარსეთში და მირზასათვის ეკითხნა, — მართლა
ამისთანა რამ დაუროშე ბ-ნ ბლუმერსაო.

ამისთანა აბდა-უბდები არა ჰღირდა, რომ ასე
ვრცლად ამოგვეწერა, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რა
გზით ცნობულობენ აქაურობას ზოგიერთი პუბლი-
ცისტები „Новое Время“-ს ლილახანისანი და რა ჭკუის
საგზალით ეკიდებიან იმისთანა რთულს და მწვავს
საჭირბოროტო საქვეყნო საქმეს, როგორიც თუნდ
ავაზაკობაა, სხვა რომ არა ვთქვათ რა.

ახლა იკითხავთ: ბ-ნი ბლუმერი რად გარჯილა,
რომ ეს აბდა-უბდა გვიამბო? უსათუოდ ჯერ იმიტომ,
რომ გვანიშნოს, აი, რა უტყუარის და ჭეშმარიტის
გზით შემისწავლია კავკასიის ავაზაკობის საქმე
სპარსეთში და მერე იმიტომ, რომ რაკი ასეა, ჩემისთანა
მცოდნეს სიზმარიც დაეჯერებაო. რაკი ეს ორივ საქმე
შეასრულა, თავისი სიზმარიც გამოგვიცხადა. ყოველ
ამის მიხედვითო, მეც ვემოწმები „Новое Время“-ს და
თანავუგრძნობო, რომ კავკასიის პოლიციას ძირეულად
შეცვლა უნდაო. როგორ გგონიათ, რა ძირეულ შეცვ-
ლას გვირჩევს? იქნება გეგონოთ, რომ აქ ბ-ნი
ბლუმერი მართლადა რაიმე ძირეულს ცვლილებას

ჩაჰკიდებს ხელსა, თვით პოლიციის აგებულების კარგსა
და ავს განიშნებთ, ან ამ და ან იმ საპოლიციო შინაგან
სისტემაზე დაგიწყებთ ლაპარაკსა! ნურას უკაცრაოდ.
ყოველ ამას მეტი გარჯა უნდა ჭკუისა და გონებისა,
მეტი ცოდნა, ვიდრე იგი, რაც გამოუწურავს ბ-ნ ბლუმ-
ერს იმ ორის სასაცილო ამბისაგან, რომელიც გაუგო-
ნია ქარიმასა და ვიღაც მირზასაგან.

ბ-ნი ბლუმერი ბევრს არას აციებს და აცხელებს.
იგი მოკლედ სჭრის და ადვილად სცვლის ძირეულად
პოლიციას. რაკი ამისთანა ამბები აუგია ბურჯად
თავისის აზრისა, ადვილად გაუთვალისწინებია წამა-
ლიც. იგი ამბობს, — მე მთლად თანავუგრძნობ „Новое
Время“-ს, რომ კავკასიის პოლიციაში არც ერთი
თანამდებობა არ უნდა მიეცეს არც ერთს იქაურ თეს-
ლის კაცსაო და ამ სახით კაცების ცვლა პოლიციის
ძირეულად ცვლად დაუსახავს. ვთქვათ, ბ-ნს ბლუმერს
მიეტევოს, რომ ვერ გაურჩევია, რომ ერთია ძირეული
ცვლა დაწესებულებისა, როგორიც, მაგალითებრ, პო-
ლიციაა, და სულ სხვაა ერთის კაცის მაგიერ მეორის
დაყენება, მაგრამ როგორ უნდა ეპატიოს ასეთი უვი-
ცობა დიდს გაზეთს სატახტო ქალაქისას? ან როგორ
უნდა შეენდოს ამისთანა გაზეთს, რომ ქარიმასაგან და
ვიღაც მირზასაგან დაროშვილ ამბავისაგან გამოადნოს
კანონად დადება აქაურების გამოყრა სამსახურიდამ?
მითამდა ამიერკავკასიის მკვიდრთაგანი თვითვეულად
ცალკე და ყველა ერთად ნდობის ღირსნი არ არიან და
პატიოსნება და ნამუსი იმათთვის ღმერთს არ გაუჩენია.
როგორ იკადრა, რა მართებულებამ მისცა ნება, რომ
ასეთი სილა მოუღერა ყოველს აქაურს მკვიდრს საერ-
თოდ და ხელაღებით ყველას ერთად განურჩევლად
შესწამა ორგულობა კანონისა, სამსახურის ფიცის
გატეხა, მოვალეობის ღალატი, სინდისის დახშვა, ნა-
მუსის ახდა და სხვა ამისი მზგავსნი უკადრისნი და
შესაჩვენებელნი ბოროტებანი. ესეთი გაუპატიურება
მთელის ამიერკავკასიისა დიდი თავგასულობაა, სხვა
რომ არა ვთქვათ რა. მერე რა საბუთით? ვიღაც მირ-
ზას სპარსეთში რუსეთიდამ გადახვეწილს, რაღაც წა-
მოუროშავს და დაუყბედნია — მეტი საბუთიღა გნებავთ!
ოღონდ დამჯერი იყოს, თორემ ამისთანა საბუთიან

საბუთს კაცი დღეში ათასს გამოაცხობს ცხელ-ცხელად ისე, რომ ამისათვის სპარსეთშიაც კი წასვლა არ დასჭირდება.

რა თქმა უნდა, ამისთანა ბოროტებანი არც ერთს თესლის ცალკე კაცს ქვეყანაზედ არ დაეფიცება. ავი კაცი ყველგან მოიპოვება კერძოდ. გარნა საერთოდ მთელის ერის მოხვეტა და ერთს ამისთანა მაფრაშაში მოქცევა, ცოტა არ იყოს საგიჟეთის მომასწავებელია. თუ ამისთანა საქციელი ბ-ნ ბლუმერს, რომელსაც კავკასიის ავაზაკობა სპარსეთში უკვლევია, სამარცხვინოა იმისთანა კაცთათვის, რომელნიც ჰჩემულობენ ქვეყნის წრთვნასა ბეჭდურ სიტყვათა და მოძღვრებითა. ბეჭდურ სიტყვის ასეთი გაფუქსავატება და გაცულლუტება თავისთავად დიდი დანაშაულია.

[1897 წ.]



<ᲒᲣᲚᲜᲐᲛᲪᲔᲪᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲐᲖᲘᲐ>

ტფილისი, 13 დეკემბერი

საოცარი დრო დაგვიდგა, ისე არევ-დარეული არსად არ არის, როგორც ჩვენს ქართველობაში. ფეხქვეშიდამ ლამის დედამიწა გამოგვეცალოს, ლამის ხსენება ქართველისა საქართველოში მტვრად იქცეს და ქარმა წაიღოს და ჩვენ კი მოვყოლივართ და ვიძახით: კარლ მარქსის მოძღვრება უკეთესი მოძღვრებაა, მის წინაშე ყველამ ხმა უნდა გაიკმინდოსო. იქნება ეგრეც იყოს, როცა დანა ყელზედ მობჯენილი და ლამის თავი ტანს მოაშოროს, განა კაცს დროღა აქვს ინატროს, ნეტავი ლობიოს მაგივრად ფლავი მქოდესო.

ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ქართველებს რაღაც ეშმაკმა ჩაგვკრა თავში და თავბრუდასხმულები დავდივართ. კაცმა არ იცის, რა სასწორი აიღოს ხელში, რა საწყაო, რომ ან ასაწონისა რამ გაიგოს, ან ასაწყავისა. ქართველს ეუბნებიან, ეს შენი დედაქალაქი, შენის სისხლით მორწყული, შენის მამა-პაპის ძვლებით გაპატიოსნებული, შენი არ ყოფილა არც წინად და არც დღეს არის, გულხელი დაიკრიბე და ჩვენს კალთას მოეჭიდე, რასაც გიწყალობებთ, ეგ ჩვენ ვიცით, და თქვენით კი არაფერზე ხელი არ უნდა გაიწვდინოთო. თქვენ ანდერძაგებული ერი ხართ, ,,საფლავისკენ ფეხი გაგიშვერიათ", დღესა თუ ხვალ საუკუნო სახსენებელი გეთქმით ზეიმითა და ზარითა, მორჩა და გათავდა!.. თქვენ მარტო ისღა დაგრჩენიათ, განისვენოთ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, საიქიო თქვენთვის დაგვილოცნია, იმიტომ, რომ იქ ყველაფერი მუქთაა, სააქაო კი

ჩვენია, იმიტომ, რომ აქ ყველაფერს ფასი აქვს და ფასი და მაზანდა ჩვენ თქვენზე უკედ ვიცითო.

მართლის მოყვარე კაცი იტყვის: უფრო უპრიანია საქართველოში ქართველი უყურებდეს მზეს, ვიდრე სხვა ვინმე, თორემ ქართველი ხომ სხვას არ უშლის ერთად ცხოვრებას. იგი არც უშლიდა არასდროს და იქნება ეს თავისი გულკეთილობა და სხვის შეწყნარება სანანურად გახდომია და ცხვირში ძმარს ადენს, მაგრამ რაღა დროს? „წამხდარს საქმესა რას არგებს მერმეღა თითზე კბენანი?“

ვინც გუშინ ქართველმა იძმო და შეივრდომა, დღეს იგი ეუბნება: შენ ვინა გდიხარ, ერთი ვიღაც ღატაკი, უბირი, უვიცი, ბრიყვი, ზარმაცი? დღეს მე ვარ იქ, საცა გუშინ შენ იყავი. ქვეყანა ესეა, ერთი დრო არავის შერჩენია და არც ქართველს შერჩაო, უარესმა უკეთესს უნდა დაუცალოს ადგილი და გზაო. დრო იყო, როცა თოფი და ხმალი მოციქულობდა კაცთა შორის, მაშინ თქვენ წინ იყავით. ეხლა ფულია მბრძანებელი და გაბატონებული. ეხლა ჩვენ წინა ვართ და თქვენ უკან. ეხლა ბატონები ჩვენა ვართ და თქვენ ჩვენის ყმობის მეტი სხვა გზა არა დაგრჩენიათ რა. მიწათმოქმედნი ვართო, იძახით თავმოწონებით. იყავით, მაგრამ იცოდეთ, ბაზარი ჩვენია და ვისიც ბაზარია, ბატონიც ის არის დღევანდელ დღეს. მიწათმოქმედი ისეთივე ყმაა ფულის და ბაზრის პატრონისა, როგორც ყოველივე სხვა მუშაკაცი, რომლის ავლა-დიდება მარტო მარჯვენაა და სხვა არაფერი. იგი ჩვენთვის მუშაობს, ჩვენთვისა ჰღვრის ოფლსა, ჩვენი ყმაა და რასაც გადვუგდებთ, იმას უნდა დასჯერდეს, თუ გაგვიძალიანდა, მიწათმოქმედს შიგ ამოვარჩობთ თავისის პურისა და სიმინდის სავსე ბეღლებში. კიდევ ვიტყვით: მიწათმოქმედი ეხლანდელ დროთა ვითარებისა გამო იგივე მუშაა, როგორც ყოველივე სხვა მუშაკაცი, რომლის სახსარი მარტო ცარიელი მარჯვენაა და რომელიც ჩვენგან იმაზე მეტს არ მიიღებს, რაც საკმარისია, რომ სული ხორცს არ გაეყაროს, შიმშილით არ მოკვდეს. კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი და სხვა ამისთანა ტკბილ-ტკბილნი და თბილ-თბილნი საგალობელნი ჩვენთვის ანახრონიზმია, ზღაპარია, სულელობაა. კაცთა

ცხოვრება ერთმანეთის თლაა, ვინც მეტს და ბევრს ითლის თავისკენ, კაცი ის არის და ქუდიც, ქუდიც მეთქი!.. კარტუზიც იმასა ჰხურავს.

ვინ არ იცის, რომ ფულის არსებითი თვისება სიხარბეა და სიხარბე კიდევ ისეთი ვეშაპია, რომელიცა სნთქავს და სჭამს ყველაფერს, რასაც კი მიეკარება და ბრჭყალს მოსდებს. ფულის წარმომადგენელი საეკონომიო სარბიელზე ეგრედ წოდებული ბურჟუაზიაა, რომელიც ყველგან სამართლიანად ყბადაღებულია იმის გამო, რომ ყველგან, საცა კი ნაშრომ-ნაღვაწია, თავისაკენ მეტს ითლის იმოდენად, რომ თვით მშრომელს და მოღვაწეს თითქმის არას უტოვებს. ხოლო სხვაგან ამ ყბადაღებულს ბურჟუაზიას ბევრ ცოდვასთან მშრომელის წინაშე, ის სიკეთე მაინც მიუძღვის, რომ ეს საოცებელი მრეწველობა შეჰქმნა, რომელიც დღეს გვაკვირვებს ქვეყნიერობაზე. ვინც რა გინდა სთქვას, ამას კი ვერავინ იტყვის, რომ ამ საქმეში თაოსნობა მისი არ იყოს. მისით ცხოვრობს ქვეყანაზე ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება და იგი სასწაულთმოქმედი მრეწველობა, რომელმაც განადიდა მეცხრამეტე საუკუნე.

ჩვენებური ბურჟუაზია სულ სხვაა: იგი, როგორც თაგვი ნათესში, ჩრჩილი ტანისამოსში, ჭია ხეში, ბაცილა ტანში, სჭამს ადამიანის კეთილდღეობას, თვის გარეშემო ყველაფერს სძოვს, ჰღრღნის, სთხრის, აღარიბებს, აღატაკებს, არაფერს ჰქმნის, არაფერს აჩენს, მარტო სხვის ჯიბიდამ თავის ჯიბეში გადააქვს ფული და სიმდიდრე და ოქროს ზანდუკებზედ ფეხმოკეცილი ჰზის. ჩვენებური ბურჟუაზია ყველა სახის ბურჟუაზიაზე უხამსი, უარესი და შეუწყნარებელია. ჩვენებური ბურჟუაზია რაღაც წვრილფეხა დუქნური, მიკიტნური, ჩარჩული ბურჟუაზიაა. ქმნა და შემოქმედება მას ბედის დავთარში არ უწერია. ღმერთმა აქაურს ბურჟუაზიას ამასი შნო და უნარი, როგორც ეტყობა, არ აღირსა.

მინამ აქაური ბურჟუაზია ჩუმჩუმად სჭამდა აქაურობას და ხმაგაკმენდილი ჰბუდობდა აქაურობის გვამში გამოსაღრღნელად, არავის ფიქრადაც არ მოს-

დიოდა ესინჯა, რა სიცოცხლის მიმღები სენია გაჩენილი. ეხლა ხმამაღალი ღაღადია, უნდა გჭამოთო.

თითო-ოროლა კაცი გამოდის და იძახის: მინამ პირში სული გვიდგას, არ შეგეჭმევინებით და არც შეგაჭმევინებთ, თქვენც იცხოვრეთ და სხვაც აცხოვრეთო. ამის მთქმელს პირში ბურთსა სჩრიან და იცით რა ოსტატობით? ძმობისა და ერთობის სახელითა. არ შეგეჭმევინებით, — რა ძმობისა და ერთობის საკადრისიაო, მე ძმა ვარ და რა დიდი საქმეა, შენი თავი შემაჭმევინოო. აი მართალი ძმობა და ერთობაც ეს არის, თუ არ დაგიშლიათ. ესეთი ფიანდაზები, ამისთანა ძმობითა და ერთობით მოქარგული, რომ სხვამ გაგიშალოთ ფეხქვეშ, კიდევ ჰო, საქმე ის არის, რომ ჩვენში, ქართველებშიც გაჩნდნენ იმისთანა უმანკო ბღარტები, რომ ამისთანა საკენკზე მიდიან და კაკანათში თავსა ჰყოფენ.

„Новое Обозрение“ ძალიან ოსტატურად იქცევა ამ შემთხვევაში. იგი, როგორც კომპროჩიკოსისაგან დამახინჯებული, ცალის ყბით იცინის და ცალის ყბით სტირის ერთსა და იმავე დროს. სიხარულით იცინის, რომ ქართველები გამოყარეს ქალაქის საბჭოდამ, იცინის, რომ ტფილისი უწინაც ქართველებისა არ ყოფილა და ეხლა ხომ არ არის და არ არისო. იცინის, რომ აქაურ ბურჟუაზიისათვის ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა სულელობაა და იმავე დროს სწუხს და თავში იცემს, რომ ქართველებს ძმობა და ერთობა არ უნდათო.

აბა გვერდები ჩამოაფხიკეთ „Новое Обозрение“-ს, ტყუილის ძმობისა და ერთობის საფარებელი ახადეთ თუ თვალები არ შემოგაჭყიტოთ გულნამცეცა ბურჟუაზიის ნაძირალმა მოძღვრებამ.

ერთი გამკითხავი აღარავინ არის, ჰკითხოს: ადამიანო, თუ ძმა ხარ და ერთობა გინდა, რადა მკარ პანღური და გამომაგდე ჩვენის ქალაქის საბჭოდამ, რად მართმევ ჩემს დედაქალაქს და მარტო შენთვის იჩემებ, რატომ ხმა არ გაეცი შენს საკუთარს მოძმე გაზეთს, როცა კაცთა მოყვარეობა და ჰუმანიზმი, მაშასადამე, ძმობა და ერთობა, ვირზე შესვა და სანაგვეზედ გადააგდო. ეგ ძმობისა და ერთობის ისარს რომ ისვრი და მშვილდს კი ჰმალავ, როდემდის? ძმობა და ერთობა განა ერთის ძმის მოვალეობაა და მეორისა კი არა?

სულ მე, და შენ არაფერიო და ამასთან სიხარბეს შენვე მიკითხამ ძმობისას და სიყვარულისას! ამ კომპროჩიკოსობით, ამ თვალთმაქცობით ვისი იმედი გაქვთ, მოატყუოთ? ეგ თქვენი ძმობა და ერთობა გარეგანი ვარაყია შინაგანის ძირმწარისა. ვარაყი მარტო ბალღს წაიცდენს და აკი წაიცდინეთ კიდეც. ჩვენდა საუბედუროდ, ეს ამბავი ჩვენთვის, ქართველებისათვის არ ახალია, ძველია. ციხე ყოველთვის შიგნიდამ გაგვტეხია, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენდა დასამხობლად და ვინ იცის? იქნება თქვენი ღონე ამაშიც იყოს, ამ ჩვენს უბედურს ზნეში.

„Тифлисский листок“-ი ამით მაინც უკეთესია თქვენზე, რომ პირახდილი, უნიღაბოდ გამოდის და იძახის, თქვენი ძმობა და ერთობა ანახრონიზმია, სულელობაა. აშკარაა, ამ გაზეთის აზრით, კაცი კაცისათვის მგელი უნდა იყოს, საცა მოახელოს, ერთმა მეორე უნდა სჭამოს. თქვენ, რომელიც ერთს მეტს სიტყვას ისე არავის შეარჩენთ, რომ მეორე დღეს სამარცხვინოდ ბოძზე არ გააკრათ, თქვენს გაზეთში ამისთანა მოძღვრებას „Тифлисский листок“-ისას კი ყური მოუყრუეთ და ხმაც არ გაეცით. რას ჰნიშნავს ეს? ნუთუ იმას, რომ ან ეს თქვენთვის სასურველი მოძღვრებაა და იმოდენა გულადობა არა გაქვთ, ხმამაღლა აღიაროთ, ან სასურველი არ არის და იმოდენა ვაჟკაცობა არა გაქვთ, პირდაპირა სთქვათ მთელი ბარბაროსობა ამისთანა სამგლე მოძღვრებისა. აი ჭეშმარიტი საქციელი ეს არის წვრილფეხა ბურჟუასი, რომელიც ძმობას და ერთობას კალთის ქვეშ ამოეფარება ხოლმე და იმავე დროს თვალი სხვის ძეხვისაკენ უჭირავს მშიშარა კატასავით. თუ შესწვდა ძეხვს, კარგია, თუ არა და რა უშავს? იტყვის, პარასკებიაო.

დიაღ, ბატონებო, ჩვენ, ქართველებს, ბევრი ჭირი, ბევრი ავი ზნე გვჭირს და ამათ შორის ყველაზე უარესი ის არის, რომ როცა ვეღარ გაგვირჩევია, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე, თუ ჩვენი საქმე ასე წავიდა და თვალში სინათლის კლებამ იმატა, დრო მოვა, რომ ან ჩვენის ხელით გაგვათხრევინებენ ჩვენსავე საფლავს, ან ყმად უნდა ვეყმოთ დროთა ვითარებისაგან გათამამე-

ბულს წვრილფეხა, გულნამცეცა ბურჟუაზიას, რომლის ფარული ბაირაღტარი დღეს „Новое Обозрение“-ა.

[1897 წ.]

<ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა>

ტფილისი, 20 დეკემბერი

ჯერ კიდევ პუშკინმა* სთქვა, რომ ქვეყანაზე გაბატონებას, ქვეყნის დაჩემებას მარტო ოქრო და ხმალი ეცილებიან ერთმანეთსაო.

პუშკინმა ეს ამ სამოცი წლის წინათ სთქვა, თუ უფრო ადრეც, და მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრრიგად იცვალა ცხოვრება ადამიანისა. მაშინ იქნება ხმლის ქადილს ღონეც შესწევდა და ფულს უშიშრად პირში ედგა. ეხლა კი ხმალს მუცელში ენა ჩაუვარდა: ხმალმაც, როგორც ყოველმავე სხვამ, თოკი ყელზე შეიბა და ფულს დაუკრა თავი, ვითარცა უძლეველს ბატონს ყურმოჭრილმა ძლეულმა ყმამ. ქადილი ოქროვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემიაო, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა ქვეყნის საუბედუროდ. ეხლა რაც არის — ფულია და სხვა არაფერი. უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა.

ბევრიც რომ თავი მოვიწონოთ და ყელი მოვიღეროთ, აქაოდა მე ბრწყინვალე თავადი ვარ, კეთილშობილი აზნაური, მიწისმფლობელი, თუ მიწისმომქმედი, ტყუილი და სასაცილო დოინჯის შემოყრა იქნება.

---

* Все мое, сказало злато
Все мое, сказал булат
Все куплю, сказало злато,
Все возьму, сказал булат.
პუშკინი

ყოველმა ამისთანამ ეხლანდელ დროში თავისი მშვილდი ძირს უნდა დასდოს გაბატონებულ ფულის წინაშე. რაც გინდ ქუდი კახურად ჩავიკეცოთ, ყურთმაჯები ვაჟკაცურად მხრებზე გადვიყაროთ და, ისპანიის გაკოტრებულ უდა-აზნაურივით ულვაშები გავიწკიპოთ, ჟანგმოკიდებული ხმალი ჩამოვიკანკუროთ და დოინჯის შემოყრით ვიძახოთ: ჰოი ხმალი პაპაჩემისაო, ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით: საცა იქნება და როცა იქნება, მოგვასწრობს და ქეჩოში წაგვავლებს ხელს, ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, გვეტყვის.

მართალია, აქ ფული მეტისმეტად სულგრძელად გვექცევა, რადგან ორში ერთის არჩევანს ჩვენს ნებაყოფლობაზე აგდებს. მაგრამ ბევრი სახარბიელო არც ყმობაა და არც სულის ამორთმევა, თორემ ფული არც ისე გაბედოვლათდებოდა, ერთიცა და მეორეც ჩვენს ნებაზე მოეგდო. წყეულ იყოს ამისთანა სულგრძელობა და ამისთანა გარემოება, რომელიც ან ყმობას გვიქადის, ან სულის ამორთმევას და, ამ ორს საარჩევანოს გარდა, სხვა გზას არ აძლევს ადამიანსა.

ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სულთა და ხორცთამხუთავი ძალ-ღონე ფულს დაწერილ კანონისაგან ჰქონდეს მინიჭებული. ესეთი კანონი არა რჯულში არა სწერია, არა კანონმდებელს თავის დღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ესეთი ძალ-ღონე ფულისა იმ უწერელმა კანონმა შეჰქმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია და თავში გამწევი მოუდრეკელად. ჟამთა ცვლამ და ეკონომიურ შინაგან და გარეგან ვითარების წინსვლამ ისტორიაში ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ ყველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გაბა: გაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართებით, როგორც ბუზი აბლაბუდაში.

თუ კანონს აქ დანაშაული რამ მიუძღვის, მარტო ის დანაშაული, რომ ამისთანა ძალმომრეობას ფულისას იწყნარებს და მჭამელისა და ჭამულის შუა არ ჩასდგება ხოლმე, რომ ერთი მეორეს არ აჩაგვრინოს, ერთი მეორეს არ ათელვინოს. თუ კანონი ბატონისა და ყმის შუა ჩაერია და ერთის ძალმომრეობა და მეორის

ყმობა დასთრგუნა და გააქარწყლა და მით ქვეყნის მადლობა სამართლიანად მოიხვეჭა, რატომ აღარ უნდა ამოიღოს თავისი ძლევამოსილი ხმა იქ, საცა ბატონი ფულია და სხვა ყოველი მისი ყურმოჭრილი ყმა. ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, ეს ისეთი შეუწყნარებელი მდგომარეობაა, რომ ამასთან აწ საუკუნოდ განსვენებული ბატონყმობაც კი მადლად ჩასათვლელია.

რა თქმა უნდა, ამ კანონისაკენ მიმართულს ღაღადებას ჩაგრულისას, ქურდბაცაცა ბურჟუაზია ჩვენ დიდ ცოდვად ჩაგვითვლის ბუკითა და ნაღარითა: პოლიციის მოწვევა რეტროგრადების საქმეაო. აქაურ ბურჟუაზიის სუტ-ლიბერალური ავანჩავანი „Новое Обозрение“ მოგვდგება და წრიპინს დაიწყებს: დახეთ, დახეთ, შემუსრეს დედააზრი ლიბერალობისა, პოლიციას იწვევენო. ჩვენ აქ ისეთი წრიპინ-წივილი არ გვიკვირს: რაკი კუდზე ფეხს დაადგამთ, დაიწივლებს, მა რა ეშმაკია. ჩვენთვის საოცარი მარტო ის წინდაუხედავი კადნიერება და გაბედულობაა, რომელიც კაცს ნებას აძლევს ამისთანა ფეხმოკლე თვალთმაქცობა გაასაღოს, გაანაღდოს ლიბერალების სახელითა. განა საკვირველია, რომ ამისთანა სუტ-ლიბერალობა ჩვენებურ წვრილფეხობაში მუშტარს პოულობდეს და ჰპოულობს კიდეც? განა ცოტა ბრძენია ქვეყანაზე, რომელსაც ჰგონია, რომ თავია ქუდისათვის გაჩენილი და არა ქუდი თავისათვის?

ჩვენ ამ საგანს, რომელიც შეეხება სახელმწიფო მოქმედებას საეკონომიო ურთიერთობის სარბიელზედ, იქნება სხვა დროს დავუბრუნდეთ და შეძლებისამებრ უფრო ვრცლად მოვილაპარაკოთ. ეხლა კი დავჯერდეთ ამ გზადაგზად ხსენებულს და ვთქვათ, რომ ესეა თუ ისე, აღვირაშვებულმა ფარფაშობამ ფულისამ ისე გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი ეხლანდელ დროში, რომ ვისაც უფულობაში მოასწრო, იმის გაფულიანება თითქმის შეუძლებელიღაა პატიოსან შრომითა და გარჯითა, თუ ერთი უეცარი ბედი რამ არ მოევლინა, მაგალითებრ, შადრევანი ნავთისა, ან ყალბი ფული მართალ ფულად არ გაასაღა, ან შამპანურით სავსე ბოთლი ცარიელ ბოთლად არ შემოეპარა საბაჟოს, ან

ერთზე ორი სარგებელი არ აიღო გასესხებულ ფულში და სხვა ამისთანა ჟამთა საფერ საქმეში კოჭი ალჩუდ არ დაუჯდა და სინიდისმა არ დააბრკოლა. თუ არ ამ გზებით, დღეს კაცმა, მარტო და უფულომ, გაფულიანებაზე იმედი უნდა გადიწყვიტოს, რადგანაც მეტფულიანი ნაკლებფულიანს ყველგან სულსა ჰხდის, საცა კი მოასწრობს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ფული ფულთან მიდისო. ჩვენ, ქართველები, უფულონი ვართ და თუ აგრეა, რამღა უნდა გვიშველოს? სადღაა და რაშიღაა ხსნა? ჩვენი დღევანდელი თავში საცემი საკითხი სწორედ ეს არის და სხვა არა რა. ამას უნდა შევალიოთ ყოველი ჩვენი სულიერი და ხორციელი ღონე და გზა ხსნისა როგორმე გავიგონოთ, გავითვალისწინოთ.

ერთგვარნი სახსარნი იმისთანანი არიან, რომ ჩვენს საკუთარს თაოსნობასა, მხნეობასა და საქმის გაბედულად შეჭიდებაზედ არიან დამოკიდებულნი. უნდა ვეცადნეთ, რომ რაც თვითვეულ ცალკე კაცისათვის მიუწვდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითვეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყენოთ და ამგზით ბევრნი ერთად შევებნეთ ულელში ცხოვრების ავკარგიანობის საწევლად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს, ჩვენვე გვრგებოდეს. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჩარჩულ ფულთან, რომელიც ყოველ სხვა ფულზე უფრო ულონოა. ჩარჩული ფული ბუნებითად მხდალია, იმიტომ რომ ქურდბაცაცაა, იქა მკის, საცა არ უთესნია. იგი ქვეყანას ქონს აცლის და სამაგიეროს არას აძლევს, იგი გასამრჯელოს იქ იღებს, საცა არ ირჯება, იგი ჰსუქდება მით, რომ სხვას ამჭლევებს, აჭლექებს, იგი თვითონ ივსება და სხვას აცარიელებს. უფულო კაცი და უფულო ერი მისი საძოვარია, მისი საცხოვრებელია, მაშასადამე, ჩვენის ულონობით არის იგი ძლიერი. ოღონდ ერთობით, ამხანაგობით ჩვენ ღონე მოვიცეთ და ჩარჩული ფული თავისს საკუთარს ბედისწერას გადაჰყვება, თვითონ შესჭამს თავისს თავსა, საკუთარის გესლით მოიწამლება, როგორც ქვემძრომი მორიელი.

თუ ჩარჩული ფული (და სხვა ფულს კი ჩვენში არა ვხედავთ), დღეს ჩვენში ცალკე კაცს თავში სცემს, ბევრს ერთად თავმოყრილს და მაგრად შეკრულს ძნელად თუ გაუძალიანდება, ძნელად თუ გაუსწორებს ომს, რომელს ეკონომიურს სარბიელზედაც გინდა შეხვდეს, იმიტომ რომ ჩარჩული ფული არა ჰქმნის სარჩოსაბადებლს და მარტო სთვლის თამასუქებს და სად ვის რა ასცინცლა. იგი ეკონომიური წარმოებისათვის მკვდარია და, მაშასადამე, მკვდარია იმისთანა მოქმედებისათვის, რომელიც ერთადერთი სამართლიანი და მოუწყვეტელი წყაროა გაღონიერებისა, გამდიდრებისა და თუნდ გაფულიანებისაცა, რაკი დღეს ფულია სიმდიდრედ აღიარებული.

მინამ ჩარჩულს, ქურდბაცაცა ფულს გული თავისით ხისა აქვს და აბჯარი კი, ჟამთა ვითარების წყალობით, რკინისა, მასთან ომი კიდევ შესაძლებელია და საიმედო, იმიტომ რომ ომში გამძლეა მარტო გული რკინისა, თუნდ აბჯარი ხისაც იყოს, და არა პირიქით. მინამ საქმე ასეა, მოცდა და დაგვიანება მომაკვდინებელი ცოდვა იქნება ჩვენის მხრით. თუ ეხლავ არ ვუშველეთ თავსა, ჩვენი საქმე წასულია. ამიტომაც ყოველსავე ეკონომიურ სარბიელზე საშრომს, საღვაწს, საწარმოებელს, — ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, კეთება და მოყვანა რისამე, თუ სხვა ამგავრი მექმეობა, — ამხანაგური კრებული უნდა ავუჩინოთ, რაკი ცალ-ცალკე ამისათვის ულონონი ვართ. იმოდენად უნდა ერთად მოვგროვდეთ ღონით თუ ფულით, რამოდენათაც თვითვეული ცალკე საქმე რომელისამე წარმოებისა იკმარებს გასამარჯვებლად. თუ დღეს ცოტანი ბევრსა გვძლევენ და გვჩაგვრენ, ეგ იმიტომ მოგვდის, რომ ცალ-ცალკე მოგვიხელებენ ხოლმე და ცალკე კაცისათვის ჭიდილი ფულთან, თუნდ ჩარჩული ფულიც იყოს, ძნელია. აბა ჩარჩს ყველგან, საითაც კი ხელს გაიწვდის, წინ კარგად შეკრული ამხანაგობა, ან სხვა რამე კრებული დავახვედროთ, ერთობით გაღონიერებული, და მაშინ იქნება ღმერთმა ჩვენკენაც მოიხედოს.

[1897 წ.]



პატარა საუბარი

თ. გ. თუმანიშვილის გაზეთმა ამ უკანასკნელ დროს პანტასავით მოგვაყარა სხვადასხვა სიბრძნე და მით მეცნიერების საგანძურს ბევრი კარგი შესძინა. ტყუის სახელგანთქმული შექსპირი, როცა ამბობს, რომ ქვეყანაზე ბევრი იმისთანა საიდუმლოა, რომელიც თქვენს ფილოსოფოსებს არც კი ესიზმრებათო. თ. გ. თუმანიშვილისათვის ამისთანა საიდუმლო არ არსებობს. ამ ბოლოს ხანებში პატივცემულმა თავადმა ისეთი საიდუმლო აღმოაჩინა, ისეთს რასმე ახადა ფარდა, რომ შექსპირის სიტყვა დასაჯერი აღარ არის. მაგალითებრ, შეიძლებაო კაცი კარგი პოეტი იყოს, კარგი ორატორიცა და პუბლიცისტად კი და ჟურნალისტად არ ვარგოდესო. მართალია, შეიძლება. ხოლო, ხომ ისიც შეიძლება, რომ კაცი არც კარგი პოეტი იყოს, არც კარგი ორატორი და არც კარგ პუბლიცისტად ვარგოდეს და არც ჟურნალისტად? ამბობენ, ეხლა თ. გ. თუმანიშვილი ამ ახალს საიდუმლოებას იკვლევსო და თავისს საკუთარს ნაწერებში ეძებს ამის საპასუხოდ უტყუარს საბუთებსა და მაგალითებსაო. ღმერთმა ხელი მოუმართოს, თავანკარა წყაროსათვის მიუგნია. პასუხი ყოველგვარ ეჭვს გარედ იქნებაო, იძახიან გულსწრაფნი მოყვარენი მეცნიერებისა და სიბრძნისა.

[1897 წ. 20 დეკემბრამდე.]

<ფიქრები ქრისტეს შობის დღესასწაულის წინ>

ტფილისი, 24 დეკემბერი

„ხოლო რა ჟამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებისა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მისთანა, მაშინ დასჯდეს საყდართა დიდებისა ვისისათა და შეჰკრბენ წინაშე მისთა ყოველნი ნათესავნი და განარიდნეს იგინი ურთიერთარს, ვითარცა იგი მწყემსმან რა განარჩინოს მაცხოვარნი თიკანთაგან, და დაადგინეს ცხოვარნი მარჯვენით მისსა და თიკანნი მარცხენით.

„მაშინ ჰრქვას მეუფემან მარჯვენითა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისად, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასვით მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა.

„მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქვან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ, ანუ წყურიელი და გასვით შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ, ანუ შიშველი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური, ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?

„და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქვას მათ: ამინ გეტყვით თქვენ: რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირესაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.“

„მაშინ ჰრქვას მარცხენითთა მათთა: წარვედით ჩენგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი

გამზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის, რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და არა მასვით მე; უცხო ვიყავ არა შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა და არა მოხვედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქვან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი, ანუ წყურიელი, ანუ უცხოებასა, ანუ შიშლოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ?

„მაშინ მიუგოს მან და ჰრქვას მათ: ამინ გეტყვით თქვენ, რამდენი რა უყავთ ერთსა ამასა მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ“.

რას მოასწავებს ეს დიდებული მოძღვრება მისი, ვისის შობის დღესაც ვდღესასწაულობთ? ვინც მშიერს არ მიეცით ჭამადი, მწყურვალს არ ასვით, უცხო არ შეიწყნარეთ, შიშველი არ შემოსეთ, სნეულს არ მიხედეთ, საპყრობილეში მყოფს ნუგეში არ ეცით, იგი ქრისტიანე არ არისო, რადგანაც რამდენად არ განიკითხეთ ერთი ამა მცირეთაგანი, არ განმიკითხეთ მე, ღმერთი თქვენიო.

საცა მადლია, იქ ღმერთია და როცა იგი მადლი არ გამოგვიმეტნია ჩვენთა მცირეთა ძმათათვის, გვიგმია ღმერთი, გვიგმია იესო ქრისტე, გვიგმია მისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, უარგვიყვია ქრისტიანობა. სიტყვითა ვდღესასწაულობთ დღევანდელს დღეს და საქმით კი შორსა ვართ. ბევრნი არიან თიკანნი და ცოტანი ცხოვარნი.

მეტი არ იქნება, თუ ყოველდღე არა, ქრისტეს შობის დღეს მაინც, წელიწადში ერთხელ, ჩვენს გულში ჩავიხედოთ და სვინიდისი ჩვენი დავისვათ ჩვენდა გამკითხავად. ნეტარ არის იგი, ვისაც შეეძლება ამ განკითხვის შემდეგ მართლა სთქვას გულსა შინა თვისსა: მშიერ იყო და მივეცი ჭამადი, მწყურვალ იყო და ვასვი, უცხო იყო და შევიწყნარე, შიშველ იყო და შევმოსე, სნეულ იყო და მივხედე, საპყრობილესა იყო და ნუგეში ვეცი.

კურთხეულ არიან ესენი, ბრძანებს იესო ქრისტე: და ამათთვის არის დასაბამიდგანვე სოფლისა მომზადებული სასუფეველიო. შობა ქრისტესი უხაროდეთ ამათ,

რადგანაც მათთან არს ქრისტე-ღმერთი სააქაოს და საიქიოსაც. ნეტარ არის იგიც, ვისაც ერთი მცირეთაგანი თუმცა არ განუკითხავს, არ შეუწყნარებია, მაგრამ დღესასწაული ესე გარდაუქმნია ამ მიზეზით სინანულის დღედ, დღედ განწმენდისად წარსულ ცოდვათაგან, რათა ეღირსოს იგიც თქმას: ჩემთანა არს ღმერთი და მე მასთანა.

[1897 წ.]



პატარა საუბარი

— ეს „ლალი“ რა ხელობის კაცია?
— მწერალია.
— უკაცრაოდ, მოკრივე უნდა იყოს.
— როგორ თუ მოკრივე? რას ამბობ?
— თუ არ მოკრივე, განა ნამდვილი მწერალი დაიქადებს, — ჩვენ ამჟამად ბევრნი ვართ, თქვენდა საუბედუროდო?* მწერლობა განა მუშტი-კრივია, რომ ბევრი ცოტას სჯობნიდეს? სხვას რას ჰნიშნავს ესეთი ქადილი, თუ არ მუქარასა და მუშტის მოღერებას? მწერლობაში — ვინ ბევრია და ვინ ცოტა — რა სათქმელია? გინდ ბევრი იყოს, გინდ ცოტა, საქმე ის არის, შიგ რა ჰყრია.
— ეჰ, შენც ერთი!..
— როგორ თუ მეც ერთი!.. განა ნამდვილი მწერალი ამისთანა ქადილით იკადრებს მოედნიდამ ბურთის გატანას! ეს რა მწერლის საბუთია, თუ ლილახანა არ წახდენია? რომელი ჯაგლაგი მწერალი იქნება იმისთანა, რომ მინამ ამისთანას იტყოდეს, ათჯერ არ წამოწითლდეს. ბევრნი ვართო!.. თუნდ მართლა ქვიშაზე უმრავლესნი იყვნენ. ამით მითამ რაო? კალია კი არ არის ხოლმე ბევრი და რა კარგია? ერთი მარცვალი ხორბალი არა სჯობია მთელს ხვავს კალიასა! ბევრნი ვართო! ჭკუისა და გონების საქმეში, როგორც მწერლობაა, საცა მძლეველი მართალია და ძლეული მტყუანი და საცა ამისათვის მარტო საბუთი საბუთს უნდა პირში წაუდგეს, ბევრი რაა, ცოტა რაა? დარვინი ერთია და „ლალისთანა“ მწერალი ათასი და ამით მითამ რაო?

* იხილეთ „კვალი” №33, გვერდი 932.

მითამ ათასი „ლალი“ სჯობია ერთს დარვინს? საცა საქმე მუშტით მორევნაზეა, იქ, იქნება ამისთანა ქადილი ანგარიშში მისაღები იყოს, მწერლობაში მაგისთანა რამ რა მოსატანია? როგორ გგონია, განა ერთი ჭკუა ათასს უჭკუაობას არა სჯობია?
— უნდა სჯობდეს, თუ რუსთაველს დავუჯერეთ, აი რუსთაველი რას ამბობს:

ასი ათასსა აჯობებს,
თუ გამორჩევით მქნელია.

— მაშ რის მაქნისია ქადილი „ლალისა?“ რა მუქარაა „თქვენდა საუბედუროდო?“ მითამ მოგესევით და წაგიღებთო?
— ეჰ, შენც რას გადაეკიდე? ბაშვური ფახიფუხია. არ იცი, ბაშვი რომ ჯოხს გადააჯდება, თავი მხედარი ჰგონია.
— არა, ძმაო და მეგობარო, ეს ჯოხცხენაობა არ არის, ეს დროთა ნიშანია. ბევრნი ვართ, თქვენდა საუბედუროდო! ეს იცი, რა მაღალზნეობური ქადილია! ბევრთანა ცოტამ „სუო“, ძლიერთან უძლურო ‘„ნუო’“, მოდი და ნუ იტყვი:

შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე მისგან ქმნილო!...

თუნდ ეგეც არ იყოს, დიდი სახელოვანებაა განა, რომ ბევრნი არიან და სხვის საუბედუროდ არიან! დიდი სირცხვილი იქმნებოდა განა, რომ სხვის საბედნიეროდ ყოფილიყვნენ. აი გიდი, ჩვენო მწერლობავ, აქამდისაც მიხვედი... რას იზამ?

კარგი რამ გვჭირდეს, გვიკვირდეს,
ავი რა საკვირველია.

[1897 წ. 27 დეკემბრამდე]



რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტფილისი, 31 დეკემბერი

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ვთქვათ: ..ჰოი, წამოვ სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!" წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: "მოვედინ, დღეო სიხარულისაო!.." რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი..." სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თვითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თვითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არა ჰპატრონობს. ღმერთმა რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, — ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა". ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთათქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი, ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმს დაგვიჭრას!..

დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახ-
აროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართ-
ველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყ-
დით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევი-
ნახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდა-
რად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გა-
მოღრღნას როგორც მძოვარი, როგორც ლეში! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტ-
ესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გამო-
ჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამო-
ფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს და „სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშ-
ვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდ-
ვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვე-
ჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყ-
ანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგ-
ვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგდებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა, — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მი-
წას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახ-
ვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლოა, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკნაღაროდ სთესავს, უბუკნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაი-
ღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწ-
ვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნა-
მუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამო-

საჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლით ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად და ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან — და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოთა ვბზუით "მე ვარ და ჩემი ნაბადიო" და ამ ბზუილიდამ არა გამოდის რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

[1897 წ. 31 დეკემბერი]

შენიშვნები

და კომენტარები



ტექსტისათვის

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის XIII ტომი მოიცავს 1894-1897 წლებში დაწერილსა და თავის დროზე გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებს, კორესპონდენციებს, ფელეტონებს, პამფლეტებს.

აქ წარმოდგენილი 78 თხზულებიდან ადრინდელ გამოცემებში არ დაბეჭდილა 57 წერილი. ამათგან ერთი გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (1952 წ. № 44), ხოლო სამი დაისტამბა კრებ. „საისტორიო მოამბეში“ (1971 წ. ტ. 25-26). 53 თხზულება კი გაზ. „ივერიის“ შემდეგ პირველად ამ გამოცემაშია წარმოდგენილი. ისინი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რომ 78 დასახელებაში შევიდა 105-ზე მეტი წერილი, რომელთაგან ზოგიერთი საკითხისა და თემატიკის მიხედვით გაერთიანდა ერთი საერთო სათაურით.

ტომში მოთავსებული თხზულებები თავმოყრილია ყველა არსებულ ბიბლიოგრაფიაზე დაყრდნობით.

მკვლევარმა ლევან ჭრელაშვილმა ახალი საარქივო მასალების გამოვლენითა და შესწავლით, ასევე აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ილია ჭავჭავაძის არქივში დაცული ხელნაწერი კრებულებისა და ავტორის სიცოცხლისდროინდელი გამოცემების სკრუპულოზური ანალიზით ახლებურად გააშუქა გაზ. „ივერიასა“ და გაზ. „დროებაში“ ილია ჭავჭავაძის მიერ ხელმოუწერლად დაბეჭდილი წერილების ატრიბუციის საკითხი, რითაც მწერლის პუბლიცისტური წერილების რაოდენობა რამდენიმე ტომით გაიზარდა. საარქივო მასალების ძირფესვიანად შესწავლისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ილია ჭავჭავაძე მონაწილეობდა და თვალყურს ადევნებდა თავისი ნაწერების ჟურნალ-გაზეთებიდან გადმოწერის საქმეს. გაირკვა იმ

პირთა ვინაობაც, რომლებმაც გადმოწერეს ზემოხსენებული წერილები და დადგინდა ისიც, რომ სათანადო ხელშეკრულებით ხელნაწერები მწერალმა თვითონ გადასცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. ამ ხელნაწერ კრებულებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების ატრიბუციის საკითხის გასარკვევად.

ასევე მნიშვნელოვანია თედო სახოკიას მიერ შედგენილი და აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიის“ მოკვლევა-გამომზეურება ლევან ჭრელაშვილის მიერ და მისი მეცნიერული ანალიზი.[1/]

აღნიშნული ნაშრომიდან ირკვევა, რომ თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ დიდი და ხანგრძლივი შრომის შედეგია. სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იგი „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაზე უფრო ადრე შეიქმნა, მაგრამ შემდგენელს ხსენებული ბიბლიოგრაფია თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია და სხვა უამრავ მასალასთან ერთად თავის პირად არქივში შეუნახავს.

საფიქრებელია ისიც, რომ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შემდგენელს მისი გამოქვეყნება არ შეეძლო.

ჩვენს ხელთ იყო ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიის ორი წყარო: თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ და თამარ მაჭავარიანის, პლატონ კეშელავასა და სხვათა მიერ შედგენილი „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომელთა ავტორები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად „ივერიაში“ დაბეჭდილ ხელმოუწერელ წერილებს ვარაუდით ილია ჭავჭავაძის ნაღვაწად თვლიდნენ. „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შემდგენლებმა თემატიკაზე, შინაარსზე, ენაზე, ქართველ მოღვაწეთა მიერ მოწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით „ივერიის“ ხელმოუწერელი მეთაური წერილები ილია ჭავჭავაძის სახელს დაუკავშირეს.

ლევან ჭრელაშვილმა ყველა წყაროს შეჯერებითა და საარქივო ცნობების მოშველიებით დაადგინა, რომ „ივერიის“ ეს ხელმოუწერელი წერილები ილიას კალამს ეკუთვნის; ამან საფუძველი შეუქმნა როგორც ილიას ხელნაწერი კრებულების ავთენტიკურობას, ისე ბიბლიოგრაფიების

[1/] ლ. ჭრელაშვილი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის საკითხები: ჟ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 2, 3.

გარეშე დარჩენილი წერილების ილიასადმი მიკუთვნებას, რამაც გამოიწვია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერლის მემკვიდრეობის რამდენიმე ტომით გაზრდა.

ვფიქრობთ, მეტად საგულისხმოა იონა მეუნარგიას და არტემ ახნაზაროვის ცნობა, რომ „ივერიის“ გაზეთად გადაკეთების პირველ ორ-სამ წელიწადს ილია თითქმის ყოველდღე მეთაურ წერილებს წერდა გაზეთისათვის და ეს წერილები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა. თუ ვინმე დაწერდა მეთაურს, მხოლოდ მაშინ აღინიშნებოდა წერილის ბოლოში დამწერის ვინაობა, ფსევდონიმი ან სახელისა და გვარის ინიციალები...[1] როგორც ჩანს, ილია და გაზეთი „ივერია“ შემდეგ წლებშიც აგრძელებდნენ ამ ტრადიციას. ამის შესახებ მიუთითებენ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების ტომების შემდგენლებიც (იხ. ტ. VIII, ტ.IX, ტ. X, ტ.XI).

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ გაზ. „ივერიის“ 1894-1897 წლებში დაბეჭდილი მეთაური წერილები. კვლევისას დადგინდა: „ივერიაში“ იბეჭდებოდა მეთაურები **ხელმოწერებით: კიტა, ფარნაოზი, ალ. ფრონელი**. **ხშირად** ქვეყნდებოდა მეთაურები **ხელმოუწერლად. ასევე ხელმოუწერლად** დაიბეჭდა რამდენიმე პატარა საუბარი, ფელეტონი და ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან).

ამ ხელმოუწერელ წერილებს სხვებისაგან აშკარად გამოარჩევს რამდენიმე ნიშანი. ესენია: **შინაარსობრივ-სტრუქტურული** – ილიას ინტერესთა სპექტრი ძალიან ფართოა, მისი წერილები ეხება პოლიტიკას, ეკონომიკას, სოფლის მეურნეობას, განათლებას, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ყოფას, მეზობელ ერებთან ურთიერთობას, თბილისის კომუნალურსა და ფინანსურ საკითხებს და მრავალ სხვას.

ყველა ეს წერილი დაწერილია ამგვარი თანმიმდევრობით: საკითხის ზოგადი მიმოხილვა, არსებული ვითარების ანალიზი, პრობლემის დასმა და გამოსავლის ძიება. ილიას პუბლიცისტიკისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე ზოგადის მიმართება კონკრეტულისაკენ. **ტექსტოლოგიური** კვლევა ცხადყოფს, რომ ტომში წარმოდგენილი მეთაურების მთელი ციკლი ეძღვნება იმ დროისათვის აქტუალურ რამდენიმე პრობლემურ საკითხს; მაგ: წერილების სერია „ ბ-ნ შაუმოვის „სელდებისა“ და ბ-ნ

[1] ლ. ჭრელაშვილი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის საკითხები: ჟ “მაცნე”, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, №2,3.

არუთინოვის „ტრიხინიანი“ ღორებისა და ლორების საკითხი“ (იხ. გვ.357-409). გარდა იმისა, რომ თ. სახოკიას მოგონებით დგინდება ამ წერილთა ილიასეულობა, ყოველი წერილის დასაწყისში ავტორი უთითებს (იხ. გვ. 373) წინა წერილის შესახებ.

წერილების სერია თბილისელ სომეხთა შესახებ, ასევე უდავოდ ილიას კალამს ეკუთვნის.[1]

ხშირად წერილის ატრიბუციისათვის უტყუარი წყაროა ოპონენტის წერილის შინაარსი. ამ შემთხვევაში ჟ. „კვალში“ დაბეჭდილი გ. წერეთლის წერილით ირკვევა, რომ სომეხთა საკითხის შესახებ დაწერილი ყველა ხელმოუწერელი მოწინავე ილიასია.

არის საკითხები, რომლებსაც ილია სხვადასხვა დროს რამდენჯერმე უბრუნდება. მაგ. ინგლისის მინისტრებს (სალუსბერი და როზბერი) ახსენებს VII, VIII, IX ტომებში დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილებშიც და წინამდებარე ტომში წარმოდგენილ მეთაურშიც: “ინგლისმა პირი იბრუნა რუსეთისაკენ”. (გვ.58). რამდენიმე ნომრის შემდეგ დაბეჭდილ მეთაურში “ინგლისის პოლიტიკის ახალი მიმართულება” (გვ.65). ილია აგრძელებს იმავე თემაზე მსჯელობას: „ჩვენ ამას წინათ დავიწყეთ საუბარი იმაზე, რომ ინგლისი დღეს საჭიროდ ჰხედავს რუსეთს დაუკავშირდეს.“ მაშასადამე, ეს არგუმენტიც იმ აზრს ამყარებს. რომ გაზ. „ივერიის“ ხელმოუწერელი მეთაურები ილიას კალამს ეკუთვნის.

ენობრივ-სტილისტური ფორმები არის ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო არგუმენტი ატრიბუციის საკითხის დადგენისათვის. ილიას ენა ძალიან მდიდარია, მისი ნაწერები გაჯერებულია ხალხური გამონათქვამებითა და ფრაზეოლოგიზმებით. მაგ: „ოზმა-ოზმად უწყვიათ“, „ზაჰლა წაიღო“, „აბრუნდის ეძახიანო“, „მტრედული უგუნებობა“, „დაფოლება“, „თაბაუთი“, ბაშვი, „სამეურნოე“, „ერთბამად“, „უფროს-ერთი“, „კაზუისტობა“, „ორჭობად ლაპარაკი”, ‘დალაბრებული ბეჯითობა“, „სართადაუდებლად“, „ფეხმოკლე ოსტატობა“, „ურგენიათ“, „აბერჩხარდება ვენახი“, „ნაპოლიონი“, და მრავალი სხვა. ვფიქრობთ, ილიას პუბლიცისტური ნაწერები შესანიშნავი წყარო იქნება მისი ენის შემდგომი კვლევისათვის.

[1] ჯ. გაბოძე „ილიას უცნობი წერილები თბილისელ სომეხთა შესახებ“. საერთაშორისო კონფერენცია. „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“ , თბ. 2007 წელი.

ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ტომში მასალა დავალაგეთ ქრონოლოგიურად, წერილები შევუდარეთ ავტორისდროინდელ ყველა ხელნაწერ და ნაბეჭდ წყაროს, დავადგინეთ ტექსტი, გავითვალისწინეთ ავტორის ბოლო ნება – ხელუხლებლად დავტოვეთ ავტორისეული პარალელური ფორმები, გავასწორეთ მხოლოდ აშკარა კორექტურული შეცდომები, ხელნაწერის კალამლაფსუსი, კომპოზიტების მართლწერა და პუნქტუაცია.

გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილი ხელმოუწერელი მოწინავე წერილების უმრავლესობა უსათაურია, ახლავს მხოლოდ ასეთი მინაწერი: ტფილისი, 3 იანვარი; ტფილისი, 12 თებერვალი; ტფილისი, 15 აპრილი და ა. შ., რაც ვერ გამოხატავს წერილის თემატიკასა და შინაარსს. ამიტომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულების გამოცემის დროს მკვლევარ პავლე ინგოროყვას მიზანშეწონილად ჩაუთვლია მათი დასათაურება წერილში განხილული საკითხების მიხედვით, ან თვით წერილის ტექსტიდან ამოღებული ფრაზით. ამ სათაურებს მკითხველი ათეული წლების მანძილზე ილიასეულად აღიქვამდა და ჩვენც ისინი უცვლელად დავტოვეთ, შენიშვნებში კი მივუთითეთ, რომ სათაური პ. ინგოროყვასია და არა ავტორის. უსათაურო წერილების დიდი ნაწილი ჩვენ დავასათაურეთ შინაარსის მიხედვით.

სათაურები, რომლებიც ილიასეული არ არის, ჩავსვით კუთხოვან ფრჩხილებში ამგვარად: < —— >

გაზ. „ივერიის“ შემდეგ პირველად ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი წერილის მისანიშნებლად ამ ინფორმაციის გამეორება ყოველი ასეთი წერილის ბოლოს მკითხველისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ. შენიშვნებშივე მივუთითეთ ცნობა, რომ ხსენებული წერილები ჩვენ დავასათაურეთ.

როგორც ცნობილია, პავლე ინგოროყვას გამოცემებში მასალა თემატური პრინციპით არის დალაგებული და ერთ საკითხზე სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები ერთი სათაურის ქვეშ არის გაერთიანებული.

ჩვენს გამოცემაში დავიცავით რა ქრონოლოგიური პრინციპი, ერთგვარად დავარღვიეთ წინა გამოცემების თემატური ქარგა, თუმცა ერთ საკითხთან დაკავშირებით გაზ. „ივერიის“ უახლოეს ნომრებში დაბეჭდილი მეთაური წერილები ჩვენც გავაერთიანეთ ერთი სათაურის ქვეშ ქრონოლოგიის მცირე დარღვევით..

ტექსტის დაწერის თარიღად დავტოვეთ გაზ. „ივერიისეული“ თარიღები: – ტფილისი, 16 იანვარი; ტფილისი, 28 იანვარი, ტფილისი, 5 თებერვალი და ა. შ. რაც, ვფიქრობთ, უფრო ახლოსაა ზუსტ თარიღთან. როგორც ჩანს, ეს მოწინავეები იწერებოდა გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე. უთარიღო წერილების ტექსტის ბოლოს ოთხკუთხა ფრჩხილებში ჩავსვით პირველი პუბლიკაციის თარიღი, ან ჩვენ მიერ დადგენილი თარიღი და შენიშვნებში ავხსენით, თუ რის მიხედვით დავათარიღეთ ისინი.

პირველი პუბლიკაციის მიხედვით წერილის დათარიღებისას ანგარიში გაეწია ცენზურის ნებართვის თარიღს. (ასე, მაგალითად: თუ ცენზურამ გაზეთს 20 თებერვალს დართო დაბეჭდვის ნება, რაღა თქმა უნდა, მასში დაბეჭდილი წერილი 20 თებერვლამდეა შექმნილი და თარიღის დაზუსტების მიზნით ტექსტის ბოლოს მივანიშნეთ – ამა და ამ წლის 20 თებერვლამდე).

შენიშვნებისა და კომენტარების განყოფილებაში ცალკეული თხზულების ე. წ. პასპორტში მივუთითეთ ავტორისდროინდელი ყველა ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წყარო. პასპორტშივე მივანიშნეთ ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული რომელიმე წყაროს სათაური, თარიღი და ხელმოწერა.

უთარიღო და ხელმოუწერელი წერილებისაგან განსხვავებით ტექსტიდან პასპორტში გადმოვიტანეთ ყოველგვარი ხელმოწერა, ფსევდონიმი ან კრიპტონიმი.

შენიშვნებში, თუ ამას მოითხოვდა ტექსტი, განვიხილეთ დათარიღების თუ ატრიბუციის საკითხი, მივანიშნეთ, ესა თუ ის ხელმოუწერელი წერილი პირველად ვინ მიაკუთვნა ილია ჭავჭავაძეს და „ივერიის“ შემდეგ პირველად სად დაიბეჭდა იგი, დავურთეთ ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარი.

ტომს დასასრულს დავურთეთ ანოტირებული საძიებლები: პირთა საძიებელი, გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, წიგნთა და პერიოდულ გამოცემათა საძიებელი და თემატური საძიებელი. ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ მიგვანიშნებს მრავალფეროვან თემატიკაზე, რაც ილიას ინტერესთა სფეროში იყო მოქცეული, დაეხმარება მკითხველს მისთვის საინტერესო წერილის მოძებნაში.

ჯულიეტა გაბოძე, ეთერ შარაშენიძე

<ქუთაისის ბანკის შესახებ> (გვ. 11)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 11, 16 იანვარი, გვ.1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 16 იანვარს.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ შემდეგ პირველად დაბეჭდა მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა VII ტომში 1956 წელს სათაურით „ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ“.

ამ წერილის ილიასეულობას ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგიც და თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“.

<„კახეთის მევენახეთა საზოგადოების“ დაარსება> (გვ. 16)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 21, 28 იანვარი, გვ.1-2; № 22, 29 იანვარი, გვ. 1-2; № 23, 30 იანვარი, გვ.1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 28 იანვარს; ტფილისი, 29 იანვარს; ტფილისი, 30 იანვარს.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილები საგაზეთო პუბლიკაციის შემდეგ ჩვენს გამოცემაში იბეჭდება პირველად.

ბიბლიოგრაფ პლატონ კეშელავას ცნობით, ეს წერილები, 1894 წ. გაზ. „ივერიის“ სამ ნომერში (№№ 21, 22, 23) დაბეჭდილი ხელმოუწერელი მეთაური წერილი, რომელიც „კახეთის ვენახის პატრონთა საზოგადოების“ დაარსებას, კახური ღვინის დამზადებას, გასაღებას და ღვინის ნარჩენი მასალის გამოყენებას შეეხება, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც ის სავარაუდოდ ი. ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული, ამ წერილების ილიასეულობას ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

სამ ნომერში დაბეჭდილი ზემოხსენებული წერილი ერთმანეთის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე მოწინავე წერილებად არის

დაბეჭდილი გაზ. „ივერიაში“ და „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც ასევე ცალ-ცალკეა შეტანილი, ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ ამ წერილების გაერთიანება ერთი სათაურის ქვეშ.

<„სამთა კავშირი“> (გვ. 25)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 182, 25 აგვისტო გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 24 აგვისტო.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

„სამთა კავშირი“, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, უმთავრესად რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული, შეიქმნა 1882 წელს, სამოკავშირო ხელშეკრულება დაიდო 1882 წლის 20 მაისს ვენაში, იარსება 1915 წლამდე.

<საფრანგეთსა და გერმანიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დასაწყისი> (გვ. 29)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია”, 1894, № 183, 27 აგვისტო, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 26 აგვისტო.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი იბეჭდება პირველად „ივერიის“ შემდეგ.

<სოფლის მეურნეობა რუსეთში> (გვ. 32)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 184, 28 აგვისტო, გვ1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 28 აგვისტო.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ ხელმოუწერელი მეთაური წერილის ილიასეულობას ადასტურებს ‘‘ივერიის’’ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიაც, თედო სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლევან ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

<მამულების გამიჯვნის თაობაზე> (გვ. 35)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 186, 2 სექტემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 2 სექტემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი გაზ. „ივერიის“ შემდეგ გამოქვეყნდა კრებულში „საისტორიო მოამბე“, 1971 წ., ტ. 25-26.
ამ წერილის ილიასეულობას ადასტურებს „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიაც, თედო სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“ და ლევან ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

<მინისტრის მოლოდინში> (გვ. 39)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი, დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში № 2943.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 188, 4 სექტემბერი გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 3 სექტემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ წერილის ავტოგრაფს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში მიაკვლია ამ მუზეუმის მეცნიერ

თანამშრომელმა ნუნუ ხომერიკმა (იხ. მისი წერილი 1952 წ. გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, № 44, სათაურით — „ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი ავტოგრაფი“).

ეს ხელმოუწერელი ავტოგრაფი ნაწერია სამი სხვადასხვა ზომის ფურცელზე შავი მელნით, აქა-იქ ნასწორებია. პირველი და მეორე ფურცლის თავკიდურზე ილიას ხელით მიწერილი აქვს „მეთაური“. მესამე ფურცლის თავკიდური მოხეულია.

გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტი ხელნაწერს აბსოლუტურად ემთხვევა.

ავტოგრაფის მიკვლევამ დაადასტურა ბიბლიოგრაფ პლ. კეშელავას ვარაუდი, რომ გაზ. „ივერიის“ №188-ში დაბეჭდილი ხელმოუწერელი მეთაური წერილის ავტორი ილია ჭავჭავაძეა.

<ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე> (გვ. 42)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 198, 18 სექტემბერი, გვ. 1-2; № 200, 21 სექტემბერი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 18 სექტემბერი; ტფილისი, 21 სექტემბერი.

„ივერიაში“ დაბეჭდილი ეს ორი ხელმოუწერელი მეთაური წერილი პირველად პ. ინგოროყვამ გააერთიანა და დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის VII ტომში 1956 წ. სათაურით: „ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე“. ამ წერილების ილიასეულობას ადასტურებს „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიაც, თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

<მიწათმოქმედების სწორად წარმართვისათვის> (გვ. 48)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 204, 25 სექტემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 25 სექტემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანი „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ეს ხელმოუწერელი წერილი წინა მეთაურების მსგავსად ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის.

ამ წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

<იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების გამო> (გვ. 52)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 224, 22 ოქტომბერი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 22 ოქტომბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ წერილის ილიასეულობას „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„...ნაშთნი რუსეთ-ოსმალოს ომებისა“ — იგულისხმება 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი.

„...ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის“— იგულისხმება საფრანგეთ-პრუსიის ომი 1870-1871 წლებში.

„...კრონშტადტისა და ტულონის სადღესასწაულო ამბებმა „სამთა კავშირს“ თვალი აუხილა და ქარქაშიდან ამოღებული ხმლები უკანვე ჩააგებინა“ — იგულისხმება 1891-1893 წლებში რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნის შედეგად ამ ორ სახელმწიფოს შორის დამყარებული სრული თანხმობა, რომელიც სადღესასწაულოდ აღინიშნა რუსეთის იმპერატორის საფრანგეთში სტუმრობის დროს ქ. ტულონში და საფრანგეთის პრეზიდენტის რუსეთში სტუმრობის დროს ქ. კრონშტადტში.

„აღმოსავლეთის საქმე“ – იგულისხმება ისტორიულ ლიტერატურაში პირობითად მიღებული ტერმინი „აღმოსავლეთის საკითხი“, რომელიც აღნიშნავს XIX-ს-დან XX ს. დასაწყისში საერთაშორისო წინააღმდეგობებს, დაკავშირებულს ოსმალთა იმპერიის მოახლოებულ დაშლასთან და ევროპის დიდი სახელმწიფოების (ავსტრია-უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის, პრუსიის (გერმანიის), რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის, მოგვიანებით აშშ-ის) ბრძოლასთან ოსმალეთის სამფლობელოების (უპირატესად ევროპაში) დასანაწილებლად.

ტერმინი „აღმოსავლეთის საკითხი“ დიპლომატებმა პირველად იხმარეს ოსმალთა წინააღმდეგ ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების გამო (1821-1829 წ.წ.)

„...ბოლგარეთის ამბები რომ გავიხსენოთ“– იგულისხმება XIX ს. 80-იან წლებში ბულგარეთის მთავრის ალექსანდრე ბატენბერგის (1857-1893) რეაქციული პოლიტიკა და ცდა, ბულგარეთი ექცია ავსტრია-გერმანიის დასაყრდენად ბალკანეთში, რამაც რუსეთის მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვია.

„...მიზეზიანი ამბავი მოხდა 1885 წელს კუშკაზე ავღანელებთან“– იგულისხმება ავღანეთსა და რუსეთს შორის საზღვრის დადგენისას წარმოქმნილი კონფლიქტის გამო 1885 წ. რუსეთისა და ავღანელების ჯარების შეჯახება დღევანდელი თურქმენეთის რესპუბლიკის სამხრეთ საზღვარზე მდებარე ქალაქ კუშკასთან.

<ინგლისმა პირი იბრუნა რუსეთისაკენ სამეგობროდ> (გვ. 58)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 250, 25 ნოემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 25 ნოემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ წერილის ილიასეულობას „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლევან ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„...ნაპალეონის დამარცხების შემდეგ“ – იგულისხმება საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტის (1769-1821) დამარცხება რუსეთში 1812 წელს, სადაც საფრანგეთის დიდი არმია მთლიანად განადგურდა.

„...უიმედო ავადმყოფობა განსვენებულის იმპერატორისა და მისი უდროოდ გარდაცვალება“ – იგულისხმება რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III-ის (1845-1894) ავადმყოფობა და გარდაცვალება გატჩინის სასახლეში.

<მართლმსაჯულება ქვეყნისა და ერის სამსახურში> (გვ. 62)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 251, 26 ნოემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 26 ნოემბერი.

გაზ. „ივერიის“ ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი დაიბეჭდა კრებულში „საისტორიო მოამბე“, 1971 წ. ტ. 25-26.

<ინგლისის პოლიტიკის ახალი მიმართულება> (გვ. 65)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 255, 2 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 2 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

წერილის ილიასეულობას ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„აღმოსავლეთის საქმე“, იხ. შენიშვნების გვ. 510.

„პარიჟის ხელშეკრულება“, – იგულისხმება პარიზის 1856 წლის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც დასრულდა ყირიმის ომი (1853-1856). ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 18 (30) მარტს პარიზში სახელმწიფოთა კონგრესის დასკვნით სხდომაზე რუსეთის, საფრანგეთის,

დიდი ბრიტანეთის, ოსმალეთის, ავსტრიის, პრუსიის და სარდინიის წარმომადგენლებმა.

„სამთა კავშირი“, იხ. შენიშვნების გვ. 506

„ვის არ ახსოვს კუშკაში მომხდარი ამბები“ იხ. შენიშნების გვ. 510

„Все мое, - сказал Булат“, ციტატა ა. ს. პუშკინის ლექსიდან „Золото и Булат“.

<ინგლისის ფლოტის ბატონობა საზღვაო-სავაჭრო საქმიანობაში> (გვ. 70)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 257, 4 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 4 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ბიბლიოგრაფ პლ. კეშელავას ვარაუდით, ეს წერილი ილიას კალამს უნდა ეკუთვნოდეს. „ივერიის“ ბიბლიოგრაფიაშიც იგი სავარაუდოდ ილიას სახელთან არის დაკავშირებული. წერილის ილიასეულობას ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„ჩინეთ-იაპონიის ომი“, – იგულისხმება 1894 წ. დაწყებული ომი ჩინეთსა და იაპონიას შორის (გაგრძელდა 1895 წ. 27 აპრილამდე), რომლის საბაბი გახდა კორეასთან დაკავშირებული კონფლიქტი.

„...წარვიდნენ დრონი ინგლისისათვის ნაგებნი მტკბარად“ – იგულისხმება ინგლისის მოცილე ევროპული ქვეყნების კოლონიზატორული მოქმედება აფრიკაში, რაც ინგლისს უქმნიდა კოლონიების დაკარგვის საშიშროებას.

„...პამირის საქმის მშვიდობიანად გათავება“ – იგულისხმება 1878-1880 წლებში ინგლისის მიერ წარმოებული ომი ავღანეთთან, რომლის მიზანი იყო შუა აზიაში რუსეთის გავლენის შესუსტება. თავგამოდებულმა ავღანელებმა ინგლისს ომზე ხელი ააღებინეს და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, დაიკავეს ტერიტორიის ერთი ნაწილი, მთლიანად მის დაპყრობაში კი რუსეთმა შეუშალა ხელი. 1885 წ. ინგლის-რუსეთის შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა ავღანეთ-რუსეთის ჩრდილო საზღვარი. 90-იან

წლებში კი კომპრომისული შეთანხმებით დადგინდა სახელმწიფო საზღვარი პამირის ზონაში.

„...ხელმწიფე-იმპერატორი დაუმოყვრდა ინგლისის სამეფო გვარეულობას“ – იგულისხმება 1894 წ. რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის – ნიკოლოზ II-ის (1868-1918) დაქორწინება ჰესენ-დარმშტადტის ჰერცოგის ქალიშვილზე ალისა (ალექსანდრა) თედორეს ასულზე.

<კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის> (გვ. 77)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1894, № 265, 15 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 15 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი პ. ინგოროყვამ შეიტანა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის VII ტომში 1956 წელს.

ამ წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

<პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები> (გვ. 82)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“. 1895, № 9, 13 იანვარი, გვ. 1-2; № 11, 17 იანვარი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 13 იანვარი; ტფილისი, 17 იანვარი.

„ივერიის“ ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი პირველად პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა შეიტანეს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა X ტომში 1929 წელს. წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, “ივერიის” ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, აგრეთვე ლევან ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

<სიტყვა ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე> (გვ. 90)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 106, 20 მაისი, გვ. 3-4.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 20 მაისს 1895 წელს.

სათაური: სიტყვა თავ. ილია ჭავჭავაძისა.

ეს წერილი პ. ინგოროყვას ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის IX ტომში 1957 წელს დაბეჭდილი აქვს სათაურით: „სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს“. ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ამოგველო ამ სათაურიდან ორატორის სახელი და გვარი, ვინაიდან ისედაც გასაგებია, რომ ჩვენს ტომში მხოლოდ ილია ჭავჭავაძის წერილები და სიტყვებია დაბეჭდილი და სათაურში მისი მინიშნება ზედმეტად ჩავთვალეთ.

„...ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან“ — იგულისხმება ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის წევრთა კრებაზე 1895 წლის 18 მაისს თავ. ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანისაგან ილია ჭავჭავაძის ლანძღვა.

„...აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი საქმე არა აქვსო“ — იგულისხმება იმავე კრებაზე თავ. ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანის მწვავედ ნათქვამი სიტყვა, თავ. ვლადიმერ მიქელაძე უცხოა მოსული, ჩვენს თავადაზნაურობასთან არავითარი საერთო არა აქვს და არც უფლება აქვს ჩვენ დაგვარიგოსო.

ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ) (გვ. 92)
(სახალხო სკოლების უფლებათა შესახებ)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 167, 6 აგვისტო, გვ. 3.

ს ა თ ა უ რ ი: ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ბიბლიოგრაფ თამარ მაჭავარიანის მტკიცებით, გაზ. „ივერიის“ 1895 წ. № 167-ში და № 181-ში დაბეჭდილი ხელმოუწერელი ნარკვევები ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის. „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც ისინი ვარაუდით ილიას სახელთან არის დაკავშირებული. ნარკვევების ილიასეულობას ადასტურებს ლევან ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

„კატკოვის თაყვანისმცემელი“ — ამ ირონიულ გამონათქვამში იგულისხმება რუსი რეაქციონერი პუბლიცისტი მიხ. კატკოვი, რომელმაც გამოილაშქრა ქართული ეროვნული კულტურისა და საერთოდ ქართველი ერის წინააღმდეგ. (იხ. სახელთა საძიებელში).

„ორივე საქართველო“ — იგულისხმება საქრისტიანო საქართველო და სამაჰმადიანო ანუ „ოსმალოს საქართველო“.

ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ) (გვ. 96)
(„ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი ცილს სწამებს ქართველობას)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 181, 24 აგვისტო, გვ. 3-4.

ს ა თ ა უ რ ი: ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ ნარკვევის ატრიბუციის შესახებ იხ. აქვე, წინა ნარკვევის შენიშვნები.

<კრწანისის გმირთა მოსახსენებლად> (გვ. 99)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია“, 1895, № 194, 10 სექტემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 11 სექტემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

მკვლევარისა და ბიბლიოგრაფის პლატონ კეშელავას მტკიცებით ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი ილიას კალამს ეკუთვნის. „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც იგი სავარაუდოდ ილიას სახელთან არის დაკავშირებული.

„...კრწანისის გმირთა მოსახსენებელ წერილში“ დამოწმებულია ციტატები გრ. ორბელიანის პოემიდან „სადღეგრძელო“ (1827-1870 წწ.), ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“ (1839 წ.) და ვაჟა-ფშაველას პოემიდან „მოხუცის ნათქვამი“ (1883 წ.).

„...კრწანისის მინდორზე პანაშვიდია დანიშნული...“ – იგულისხმება 1795 წ. 11 სექტემბერს თბილისის მახლობლად კრწანისის ველზე ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაღუპულ ქართველთა ხსოვნის აღსანიშნავი პანაშვიდი.

<კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი> (გვ. 105)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1895, № 240, 5 ნოემბერი, გვ 1; № 243, 9 ნოემბერი, გვ. 1-2; № 248, 16 ნოემბერი, გვ. 1-2; № 249, 17 ნოემბერი, გვ. 1-2; №256, 26 ნოემბერი, გვ. 1-2; № 258, 29 ნოემბერი, გვ. 1-2; № 262, 3 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 4 ნოემბერი; ტფილისი, 9 ნოემბერი; ტფილისი, 16 ნოემბერი; ტფილისი, 17 ნოემბერი; ტფილისი, 26 ნოემბერი; ტფილისი, 29 ნოემბერი; ტფილისი, 3 დეკემბერი.

1895 წელს „ივერიის“ ექვს ნომერში დაბეჭდილი ხელმოუწერელი მეთაური წერილები – ტფილისი, 4 ნოემბერი (№240); ტფილისი, 7 ნოემბერი (№243); ტფილისი, 16 ნოემბერი (№248); ტფილისი, 17 ნოემბერი (№249); ტფილისი, 26 ნოემბერი (№256); ტფილისი, 29 ნოემბერი (№258); ტფილისი, 3 დეკემბერი (№262) მკვლევარმა პ. ინგოროყვამ გააერთიანა და დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთტომეულის IV ტომში (1955 წ) სათაურით: „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“.

გაზ. „ივერიაში“ №240-ში და №243-ში დაბეჭდილ მეთაურ წერილებს სათაურად აქვს „ტფილისი, 4 ნოემბერი“ (ასევე აქვს დაბეჭდილი პ. ინგოროყვასაც). ჩვენი აზრით №243-ში დაბეჭდილი წერილის სათაურში ციფრი 4 კორექტურული შეცდომაა, ვინაიდან წერილი იწყება სიტყვებით: „ჩვენს მეთაურში ამ რამდენისამე დღის წინად...” თუ წინა წერილი 4 ნოემბრით თარიღდება, რამდენიმე დღის შემდეგ დაწერილ წერილში ციფრი 4 ალბათ კორექტურული შეცდომაა.

ზემოჩამოთვლილი წერილების ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას მიერ შედგენილი „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, აგრეთვე ლევან ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

<ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა> (გვ. 124)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 247, 14 ნოემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 14 ნოემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი პირველი პუბლიკაციის შემდეგ დაიბეჭდა პ. ინგოროყვასა და ალ აბაშელის რედაქციით გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა X ტომში 1929 წელს, სათაურით: „ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“.

წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„აღმოსავლეთის საქმე“, იხ. შენიშვნების გვ. 510

„სამთა კავშირი“, იხ. შენიშნების გვ. 506

<ოსმალეთის არეულობა და ევროპა> (გვ. 128)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 251, 19 ნოემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 19 ნოემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი პირველი პუბლიკაციის შემდეგ დაიბეჭდა პ. ინგოროყვასა და ალ აბაშელის რედაქციით გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა X ტომში 1929 წელს.

<იქნება ომი თუ არა?> (გვ. 131)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 253, 23 ნოემბერი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 23 ნოემბერი.

ეს და მომდევნო ხელმოუწერელი წერილი პირველი პუბლიკაციის შემდეგ ჩვენს გამოცემაში იბეჭდება პირველად.

ამ და მომდევნო ხელმოუწერელი მეთაური წერილების ილიასეულობას, „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თედო სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები. (ამ შენიშვნას ქვემოთ აღარ გავიმეორებთ).

„აღმოსავლეთის საქმე“ იხ. შენიშვნების გვ. 510

„სამთა კავშირი“ იხ. შენიშნების გვ. 506

„ორთა კავშირი“ იგულისხმება რუსეთ-საფრანგეთის კავშირი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III-ის დროს 1891-1893 წლებში.

“...ახალგაზრდა იმპერატორი გერმანიისა” – იგულისხმება ვილჰელმ II (1859-1941), გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე 1888-1918 წლებში.

<ციხეში ჯდომა უფრო ახშობს ზნეობას, ვიდრე აფხიზლებს> (გვ. 135)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 254, 24 ნოემბერი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 24 ნოემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ ჩვენს გამოცემაში იბეჭდება პირველად.

<ელექტრონით განათება ტფილისისა> (გვ. 138)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 256, 26 ნოემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 26 ნოემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ ჩვენს გამოცემაში იბეჭდება პირველად.

<წყალდიდობა საქართველოში> (გვ. 141)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 263, 5 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 5 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი “ივერიის” პუბლიკაციის შემდეგ ჩვენს გამოცემაში იბეჭდება პირველად.

<ოსმალეთის სომეხთა განწირვა> (გვ. 145)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1895, № 274, 19 დეკემბერი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 19 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი პირველი პუბლიკაციის შემდეგ დაიბეჭდა პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის X ტომში 1929 წელს. წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია", აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„სომეხთა საქმე" – იგულისხმება XVI საუკ. II ნახევრიდან ოსმალეთის ბატონობის მძიმე უღელქვეს ტანჯული სომხეთის მოსახლეობის, ე.წ. ოსმალეთის სომხების დარბევა-დაწიოკება XIX საუკ. 80-90-იან წლებში. ოსმალეთის სულთანმა აბდულ-ჰამიდ II-მ (1842-1918), ქვეყანაში დაამყარა დესპოტური რეჟიმი „ზულუმი". ამას თან მოჰყვა ეროვნული უმცირესობის – განსაკუთრებით სომხების – სისხლიანი დარბევები და პანისლამიზმის რეაქციული პოლიტიკის გატარება.

სულთანი – იგულისხმება ოსმალეთის სულთანი აბდულ-ჰამიდ II. (1842-1918), რომელიც სულთანის ტახტზე იჯდა 1876-1909 წლებში.

<სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურის მოძველებული წესწყობილების შეცვლის საჭიროებაზე> (გვ. 148)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1895, № 276, 21 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 21 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის" შემდეგ პირველად გამოქვეყნდა „საისტორიო მოამბეში" 1971 წ. ტ. 25-26. მის ილიასეულობას „ივერიის" ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია", აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

<ქართული სკოლების გიმნაზიებად გადაკეთების თაობაზე> (გვ. 153)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1895, № 282, 30 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 30 დეკემბერი.

გაზ. „ივერიის" პუბლიკაციის შემდეგ ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი პირველად ჩვენს გამოცემაში იბეჭდება.

პლ. კეშელავას ვარაუდით ამ ხელმოუწერელი მეთაური წერილის ავტორი ილია ჭავჭავაძეა. „ივერიის" ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც სავარაუდოდ იგი ილიას სახელთან არის დაკავშირებული. წერილის ილიასეულობას ადასტურებს აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„არწრუნისეული ქარვასლა", – მდებარეობდა დღევანდელი თავისუფლების მოედანზე, იმ მიდამოებში, სადაც ამჟამად გრიბოედოვის სახელობის თეატრია. ქარვასლის მეპატრონე იყო სომეხი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, გაზ. „მშაკის" რედაქტორი გრიგოლ არწრუნი.

ქართული თეატრის მესვეურთა თხოვნით გასული საუკუნის 80-იან წლებში ქარვასლის დიდი დარბაზი გადაკეთდა თეატრად, რომელიც 1880 წლის 24 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა და ეწოდა „არწრუნის თეატრი".

<შინაური მიმოხილვა 1895 წლისა> (გვ. 160)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1896, № 2, 4 იანვარი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 4 იანვარი.

„ივერიის" ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი პირველად შეტანილ იქნა პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა VII ტომში 1928 წელს. წერილი დასათაურებულია მათ მიერ.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ გამოცემაში წერილში ზოგი ადგილი გამოტოვებული იყო.

ჩვენს გამოცემაში წერილი იბეჭდება სრული სახით.

„ადამიანი არა მარტო პურითა ერთითა ცოცხალ არს“ — ციტატა მათეს და ლუკას სახარებიდან (4.4).

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ — ციტატა მათეს სახარებიდან (5, 48).

ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ) (გვ. 167)
(რუსეთის გავლენიანი გაზეთები ამხედრებულან ჩვენს წინააღმდეგ)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1896, № 11, 16 იანვარი, გვ. 2-3.

ს ა თ ა უ რ ი: ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ბიბლიოგრაფ თამარ მაჭავარიანის მტკიცებით, ნარკვევი ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის. „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც იგი ვარაუდით ილიას სახელთან არის დაკავშირებული. წერილის ილიასეულობას ადასტურებს აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

ფელეტონი
ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე (გვ. 171)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1896, № 20, 26 იანვარი, გვ. 1-2; № 21, 27 იანვარი, გვ. 1-3; № 22, 28 იანვარი, გვ. 1-3.

ს ა თ ა უ რ ი: ფელეტონი.
ჩვენი სიბრძნე-სიცრუე

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ჯიბრეილ (და არა ჯიბრაელ, როგორც პ. ინგოროყვა მიუთითებს).

პირველი პუბლიკაციის შემდეგ ეს ფელეტონები დაიბეჭდა პ. ინგოროყვასა და ალ აბაშელის რედაქციით გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა IX ტომში 1928 წელს. წერილის ილიასეულობას ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

მესამე დასი — პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეიქმნა 1892 წ. გაზ „კვალში“ — გ. წერეთელმა ახალ მიმართულებას უწოდა „მესამე დასი“.

„თამარაშნელი ბულანჟე“ — იგულისხმება ივანე მაჩაბელი, რომელიც თამარაშენიდან იყო. ბულანჟე იხ. სახელთა საძიებელში.

“...უშვერსიტყვაობა... ობოლ მარგალიტებსავით მოეყვანა ამას წინად „დავიწყებულ მწერალს“ „ივერიაში“ — იგულისხმება ვლადიმერ მიქელაძის წერილი სათაურით „ნაწყვეტი“, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1896 წლის №1-ში და №2-ში. წერილი ხელმოწერილია ფსევდონიმით — „დავიწყებული მწერალი“.

<გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მობოდიშების თაობაზე > (გვ. 198)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1896, № 22, 28 იანვარი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 28 იანვარი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ წერილის ილიასეულობას „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“ და ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

„...ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის სიტყვა“ — იგულისხმება თავად სიმონ წერეთლის, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1895 წ. 17 დეკემბერს თავად-აზნაურთა კრებაზე; გამოქვეყნდა გაზ. „ივერიაში“ № 10, 1896 წ. 14 იანვარს.

<სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების უსაფუძვლო კრიტიკის თაობაზე> (გვ. 201)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1896, № 27, 6 თებერვალი, გვ.1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 6 თებერვალი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ამ წერილის ილიასეულობას „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თედო სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ და ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები. თბილისში გამომავალი რუსული გაზეთის სათაური „Кавказ“ წერილში ქართულად წარმოდგენილია ხან „კავკაზის“, ხან „კავკასის“ ფორმით. ჩვენ ყველგან დავიცავით ერთი ფორმა „კავკაზი“ (ეს შენიშვნა ვრცელდება მომდევნო წერილებზეც).

<ქართული სამონასტრო მამულები ბერძენი ბერების სამსხურში> (გვ. 207)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1896, № 29, 8 თებერვალი, გვ.1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 8 თებერვალი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ბიბლიოგრაფ პლ. კეშელავას მტკიცებით ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის, „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც იგი სავარაუდოდ ილიას სახელთან არის დაკავშირებული. წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„...მონასტერი, რომელიც ძველისძველიდანვე ქართველებისა იყო“ – იგულისხმება ათონის ივერთა მონასტერი, ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის

უმნიშვნელოვანესი კერა ათონის მთაზე, ქალკედონის ნახევარ კუნძულზე (საბერძნეთი). დაარსდა 980-983 წლებში. მისი შექმნა დაკავშირებულია იოანე მთაწმინდელისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან.

<გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო > (გვ. 210)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1896, № 32, 11 თებერვალი, გვ 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 11 თებერვალი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს (გვ. 214)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1896, № 63, 19 მარტი, გვ. 2-3. ჟ. „მოამბე“, 1896, № 3, განყ. II, გვ. 110-115.

ს ა თ ა უ რ ი: სიტყვა თქმული, ილია ჭავჭავაძის მიერ გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს.

„გაბრიელ ეპისკოპოსი“ – გამოჩენილი მოაზროვნე პედაგოგი და ფსიქოლოგი. 1860-1896 წლებში მეთაურობდა იმერეთის ეპარქიას. ავტორია კაპიტალური ნაშრომისა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (რუსულ ენაზე), რომელიც დიდხანს იხმარებოდა ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოდ რუსეთის სემინარიაში. გაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1896 წლის 25 იანვარს 71 წლის ასაკში. დაკრძალეს გელათის საკათედრო ტაძარში 1897 წლის 10 მარტს. ილიას სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე ორატორული ხელოვნების ნიმუშია. ამ სიტყვასთან დაკავშირებით იხ. ექვთიმე

თაყაიშვილის მოგონება ილიაზე („დაბრუნება“ – ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეული, I, თბ., 1991, გვ. 412-418).

ილიას სიტყვა ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ დაიბეჭდა პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის VII ტომში 1928 წელს. ნაბეჭდის სათაურიდან გამომცემლებმა ამოიღეს სიტყვები: „ილია ჭავჭავაძის მიერ“.

პოლიტიკური მიმოხილვა (გვ. 220)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 1, 17 იანვარი, გვ.1-2.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ამ მეთაური წერილის ილიასეულობას, „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

„სამთა კავშირი“ – იხ. შენიშვნების გვ. 506

„...ხელმწიფე იმპერატორის და ხელმწიფე იმპერატრიცის პარიზში მიბძანება...“ – იგულისხმება რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის (1868-1918) და მისი მეუღლის ალექსანდრა (ალისა) თეოდორეს ასულის (1872-1918) სტუმრობა პარიზში.

„...კრონშტადტისა და ტულონის ამბების შემდეგ“ – იხ. შენიშვნების გვ. 509

„...იტალიის კოროლი“ – იგულისხმება იტალიის მეფე 1878-1900 წლებში რუმბერტ რაინერ კარლ ემანუელ მარია ფერდინანდ ევგენი (1844-1900), შვილი მეფე ვიქტორ ემანუელ II-ისა.

„...საფრანგეთი, რომელსაც დღეს აქამომდე გული გულის ადგილას არა აქვს გერმანიის მიერ დამარცხებისაგან...“ – იგულისხმება საფრანგეთ-პრუსიის ომში (1870-1871 წლებში) საფრანგეთის დამარცხება.

„ეგრედწოდებული სომეხთა საქმე...“ – იხ. შენიშვნების გვ. 519

„აღმოსავლეთის საქმე“ – იხ. შენიშვნების გვ. 510

ეგვიპტის საქმეში ოსმალეთმა მხარი დაიჭირა საფრანგეთისა – XIX ს-ში ეგვიპტე, რომელსაც

ფორმალურად ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლება განაგებდა, ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიზატორული მეტოქეობის ასპარეზი იყო და ამ ვითარებაში ოსმალეთი საფრანგეთს უჭერდა მხარს.

„...კრიტის კუნძულის ამბავი“ – იგულისხმება 1896 წ. კრიტის კუნძულზე ოსმალთა წინააღმდეგ მომხდარი შეტაკება.

„...ინგლისის საპოლიტიკო ცას ჯანღი გადაეფარა ვენეცუელის და ტრანსვალის საქმეთაგან“ – იგულისხმება ვენესუელის სახელმწიფოს შიდა პარტიებს შორის ბრძოლის შედეგად შექმნილი ვითარება და სამხრეთ აფრიკის ტერიტორიის – ტრანსვაალის მოსახლეობის ბრძოლები დამპყრობთა წინააღმდეგ.

„...ინგლისი მზად არის ეგვიპტეს თავი დაანებოს და ჯარები გამოიყვანოს მაშინვე, რაკი წაართმევს მაღდის...“ – 1882 წლიდან ეგვიპტეში დამყარდა ინგლისის კოლონიური ბატონობა, რამაც განაპირობა ეგვიპტეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება. XIX საუკ. 90-იან წლებში აქ ყალიბდება ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც აწყობენ თავდასხმებს კოლონიზატორთა შეიარაღებულ ძალებზე. ინგლისი თანახმაა თავი დაანებოს ეგვიპტეს, თუკი ხელში ჩაიგდებს ცისფერი და თეთრი ნილოსის შესართავთან მდგარ საპორტო ქალაქს ხართუმს.

<არწრუნისეული ქარვასლის ბედი> (გვ. 233)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 2, 18 იანვარი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი : ტფილისი, 17 იანვარი.

დაბეჭდილია ხელმოუწერლად და უსათაუროდ.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ და მომდევნო წერილების ილიასეულობას „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

„არწრუნისეული ქარვასლა“, – იხ. შენიშვნების გვ. 521

<სულიერი გაღატაკება და საზოგადოების გულგრილობა (გვ. 236)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 3, 19 იანვარი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი : ტფილისი, 18 იანვარი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

<ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე> (გვ. 238)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 4, 20 იანვარი, გვ. 1; №5, 21 იანვარი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 20 იანვარი; ტფილისი, 21 იანვარი.

ეს ორი ხელმოუწერელი მეთაური წერილი გაზ. „ივერიის“ შემდეგ პირველად პ. ინგოროყვამ გააერთიანა და დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის IV ტომში (1955 წ.) სათაურით „ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე“. გაზ. “ივერიისეული” სათაურები კი, როგორც წესი, წერილების ერთმანეთისაგან გამყოფ ქვესათაურებად დატოვა.

<თავად-აზნაურთა კრებების უფლება-მოვალეობა> (გვ. 245)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 15, 2 თებერვალი. გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 1 თებერვალი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

<სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საჭიროება> (გვ. 250)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 21, 9 თებერვალი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 8 თებერვალი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.
ამ ხელმოუწერელი მეთაური წერილის ილიასეულობას „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

<კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი> (გვ. 253)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“ 1897, № 22, 11 თებერვალი. გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 10 თებერვალი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ეს წერილი გაზ. „ივერიის“ №48-ში (1897 წ.) დაბეჭდილ ხელმოუწერელ მეთაურ წერილთან (ტფილისი, 13 მარტი) ერთად „ივერიის“ შემდეგ პირველად გაერთიანებული სახით დაიბეჭდა პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის მიერ გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის X ტომში 1929 წელს, სათაურით: „კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი“.
ჩვენ წინა გამომცემლებისაგან განსხვავებით ეს ორი წერილი ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვათავსეთ და ცალ-ცალკე დავბეჭდეთ ისე, როგორც ილიას ჰქონდა გამოქვეყნებული გაზ. „ივერიაში“. პირველ წერილს დავუტოვეთ რედაქტორების მიერ მიცემული სათაური. წერილის ილიასეულობას ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები, ასევე „ივერიის“ ანალიტიკური

ბიბლიოგრაფია და თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“.

„კრიტის კუნძულის გამო ატეხილი ალიაქოთი“ – იხ. შენიშვნების გვ. 526

ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ) (გვ. 258)
(სამეურნეო საზოგადოების პროექტის თაობაზე)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 22, 11 თებერვალი, გვ. 2-3.

ს ა თ ა უ რ ი : ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ეს ხელმოუწერელი ნარკვევი ტომში შევიტანეთ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მიხედვით, რომელშიც იგი ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული. ნარკვევის ილიასეულობას ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგებიც.

წერილი „Кавказская утопия“ დაიბეჭდა ჟურნ. „Неделя“-ში 1897 წ. – № 2.

<ერობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო> (გვ. 261)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 27, 16 თებერვალი.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 15 თებერვალი.

„ივერიის“ ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი შეტანილ იქნა პავლე ინგოროყვას რადაქციით გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის VII ტომში 1957 წელს. წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

<სწავლა-განათლება და საზოგადო მოღვაწის მოვალეობა> (გვ. 266)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 30, 20 თებერვალი, გვ 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 19 თებერვალი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ამ ხელმოუწერელი მეთაური წერილის ილიასეულობას, „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე, ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

ეს შენიშვნა ვრცელდება მომდევნო წერილებზეც.

<საზოგადო საქმისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე> (გვ. 270)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 32, 23 თებერვალი, გვ1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 22 თებერვალი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

<შინაური საჭირბოროტო საქმეები და თავად-აზნაურთა უფლება-მოვალეობა> (გვ. 275)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 38, 2 მარტი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 1 მარტი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

„არწრუნისეული ქარვასლა“ — იხ. შენიშვნების გვ. 521

პატარა საუბარი (გვ. 281)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 38, 2 მარტი, გვ.1-3.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ეს და მსგავსი ფელეტონები სათაურით „პატარა საუბარი“ გაზ. „ივერიის“ სხვადასხვა ნომერში ხელმოუწერლად იბეჭდებოდა. „ივერიის“ ანლიტიკურ ბიბლიოგრაფიაში ზოგიერთი მათგანი ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული, მაგრამ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ისინი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ადრინდელ გამოცემებში არ დაბეჭდილა. ჩვენს გამოცემაში შევიტანეთ „ივერიის“ ანალიტიკურსა და ლ. ჭრელაშვილის მიერ დაზუსტებულ ბიბლიოგრაფიებზე დაყრდნობით. წერილის სტილიც ცხადჰყოფს, რომ იგი ილიას ეკუთვნის.

თავადი ნ.ზ. ჭავჭავაძე (გვ. 290)
ნეკროლოგი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 45, 11 მარტი, გვ 1-2.

წერილის ილიასეულობას მიუთითებს მისი სტილისთვის ნიშანდობლივი სიტყვები, მაგ. თაბაუთი.
ეს ხელმოუწერელი ნეკროლოგი გაზ. „ივერიის“ შემდეგ პირველად ჩვენს გამოცემაში იბეჭდება „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მიხედვით.
აღსანიშნავია, რომ თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“ ეს ნეკროლოგი ჯერ შეუტანია, შემდეგ კი გადაუხაზავს.

<კრიტის კუნძულის ნავსადგურების ბლოკადა> (გვ. 293)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 48, 14 მარტი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 13 მარტი.

ეს ხელმოუწერელი წერილი გაზ. „ივერიაში“ №22 (1897 წ.) დაბეჭდილ ხელმოუწერელ მეთაურ წერილთან (ტფილისი, 10 თებერვალი) ერთად პირველად პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა შეიტანეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა X ტომში 1929 წელს, გაერთიანებული სათაურით: „კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი“.
ჩვენ წინა გამომცემლებისაგან განსხვავებით, ეს ორი წერილი ცალ-ცალკე დავბეჭდეთ ისე, როგორც ილიას ჰქონდა გამოქვეყნებული და მოვათავსეთ ქრონოლოგიურ ჩარჩოში. პირველ წერილს, როგორც უკვე აღვნიშნეთ სათანადო ადგილას (გვ. 529), დავუტოვეთ პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის მიერ მიცემული სათაური, მეორე კი დავასათაურეთ ტექსტიდან ამოღებული ფრაზით.

წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.
„აღმოსავლეთის საქმე“ — იხ. შენიშვნების გვ. 510

<მობრძანდა ახალი მთავარმართებელი კავკასიისა> (გვ. 296)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 49, 15 მარტი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 14 მარტი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ამ წერილის ილიასეულობას „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიასთან ერთად ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, აგრეთვე ლ.

ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები (შენიშვნა ეხება მომდევნო წერილებსაც).

<ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმართველობა> (გვ. 300)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 53, 20 მარტი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 19 მარტი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

„სომეხთა საქმე ოსმალეთში“ – იხ. შენიშვნების გვ. 519

<სად სომხეთი და სად ტფილისის ქალაქი?> (გვ. 309)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 56, 23 მარტი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 22 მარტი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

„...ჩვენს მეთაურში ამას წინად ვთქვით“ – იგულისხმება გაზ. „ივერიის“ №53-ში დაბეჭდილი ხელმოუწერელი მეთაური წერილი. რასაც ადასტურებს გაზეთის სქოლიოს მითითება (იხ. „ივერია“ №53).

წერილების ციკლი სომეხთა შესახებ იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიის“ შემდეგ ნომერებშიც, რაც კიდევ ერთი არგუმენტია ამ მოწინავეების ატრიბუციის გასარკვევად.

პატარა საუბარი (გვ. 312)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 59, 28 მარტი, გვ. 3.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

გაზ. „ივერიაში“ ამ ფელეტონს პირველი ნაწილის ბოლოს მინიშნებული აქვს სქოლიო: – „ეს საუბარი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დაგვიანდა და ეხლა იბეჭდება“.

<მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო> (გვ. 316)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 61, 30 მარტი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 29 მარტი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ წერილის ილიასეულობას, „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები. ამასთანავე წერილის შინაარსი აგრძელებს „ივერიის“ წინა ნომრებში დაწყებულ მწვავე კამათს ქართველ-სომეხთა შესახებ. წერილის სქოლიოში მითითებულია (იხილეთ „ივერია“ №56).

„აქაური რუსული გაზეთი სომხის რედაქტორობით“ – იგულისხმება 1884-1906 წლებში თბილისში გამომავალი რუსული გაზეთი „Новое Обозрение“, რომელსაც 1891-1906 წლებში რედაქტორობდნენ კ. და ბ. თუმანიშვილები.

პატარა საუბარი (გვ. 321)

(უმაღლესად დამტკიცებულია სამოსწავლო გეგმა...)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 61, 30 მარტი, გვ. 3.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ეს ფელეტონი ჩვენს გამოცემაში შევიტანეთ „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიასა და მკვლევარ ლ. ჭრელაშვილის მიერ დაზუსტებულ ბიბლიოგრაფიაზე დაყრდნობით.

<ქართველებისა და სომხების განსხვავებული ხასიათი და ინტერესი> (გვ. 323)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 67, 6 აპრილი, გვ. 1-3.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 5 აპრილი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.
წერილს აქვს სქოლიო. (იხ. „ივერია“ №61).

<ბ-ნ გ. წერეთლის წერილის გამო> (გვ. 330)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 72, 17 აპრილი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 16 აპრილი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.
„ეს წერილი გახლავთ ბ-ნ გ. წერეთლისა“ — იგულისხმება 1897 წ. ჟ. „კვალის“ № 17-ში, გვ 328. დაბეჭდილი წერილი სათაურით „ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს“
„მესამე დასი“ — იგულისხმება საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1892 წ. შექმნილი პირველი სოციალურ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელსაც 1894 წ. გ. წერეთელმა უწოდა „მესამე დასი“.
გ. წერეთლის ამ წერილის შინაარსიც ადასტურებს იმას, რომ სომეხთა საკითხზე „ივერიის“ ყველა ხელმოუწერელი მოწინავე ილიას ეკუთვნის.

პატარა საუბარი (გვ. 334)
(წაიკითხავდით „კავკასში“ ერთს ამბავს...)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 72, 17 აპრილი, გვ. 3.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ეს ფელეტონი ჩვენს გამოცემაში შევიტანეთ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მიხედვით.
ეს წერილი აშკარად ილიასია, რადგან ავტორი აგრძელებს საუბარს ისევ — სომეხ-ქართველთა საკითხის შესახებ და იგი მკაცრად აკრიტიკებს სომეხთა მიერ „ჰუმანურობას“ სისულელედ გამოცხადებას, ამ საკითხს ილიამ რამდენიმე წერილი უძღვნა.
„უკანასკნელი რუსთ-ოსმალთა ომების დროს“ — იხ. შენიშვნების გვ. 509

<სწავლა-ცოდნა, როგორც მხოლოდ ფულის ხვეჭის საგანი> (გვ. 338)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 75, 20 აპრილი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 19 აპრილი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად. წერილს ახლავს სქოლიო (იხ. „ივერია“ №67), რითაც ავტორი აგრეთვე მიანიშნებს, რომ ამ წერილში აგრძელებს ადრე დაწყებულ თემას.
„აქაური სომეხთ რუსული გაზეთები“ — იხ. შენიშვნები წინა გვერდზე. 535

<უსიცოცხლო ცოდნა ხვედრია უნიჭობისა> (გვ. 343)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 78, 25 აპრილი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 24 აპრილი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად. წერილს ახლავს სქოლიო (იხ. „ივერია“ №75).

პატარა საუბარი (გვ. 348)
(სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ...)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 78, 25 აპრილი, გვ. 2-3.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ეს ფელეტონი ჩვენს გამოცემაში შევიტანეთ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მიხედვით. გარდა ამისა, წერილის ატრიბუციის დასადგენად საკმარისია მისი შინაარსის გაცნობა, წერილი გაგრძელებაა ილიას მიერ სომეხთა საკითხის შესახებ დაწყებული საუბრებისა.

„ორთავიანი იანუსი“ – ძველ რომაულ მითოლოგიაში ყოველგვარი დასაწყის-დასასრულის ღვთაება ორი პირისახით.

„ღვარძლის მთესველი ვერ მომკის იფქლსა ბასრისა ცელითა“ – ციტატა მოყვანილია „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანიდან.

<ჩვენში დიპლომია ნიშანი მკურნალის ცოდნისა და არა თვით ცოდნა> (გვ. 352)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 80, 27 აპრილი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 26 აპრილი.

ეს არის ერთ-ერთი ბოლო წერილი სომეხ-ქართველთა საკითხის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებს შორის. ამ საკითხზე დაწერილი ყველა წერილი შინაარსით ერთმანეთს მისდევს და აშკარად ემჩნევა ერთი ავტორის სტილი, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ყველა ეს მოწინავე

ილიასია. (ილია ხშირად იმეორებს ერთსადაიმავე სიტყვებს, მაგ. „კულტურროსანნი“, რომელიც სომხებს მიემართება და ახსნას წინა წერილები შეიცავს).

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად. წერილს ახლავს სქოლიო, რაც ამ წერილის ილიასეულობას ადასტურებს (იხილეთ „ივერია“ №75).

<ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიან“ ღორების და ღორების საქმე> (გვ. 357)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 81, 29 აპრილი, გვ. 1-2; № 85, 3 მაისი, გვ. 1-2; № 86, 4 მაისი, გვ. 1-3; № 88, 8 მაისი, გვ. 1-2; № 89, 9 მაისი, გვ. 1-2; № 90, 11 მაისი, გვ. 1-2; №93, 16 მაისი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 28 აპრილი; ტფილისი, 2 მაისი; ტფილისი, 3 მაისი; ტფილისი, 7 მაისი; ტფილისი, 8 მაისი; ტფილისი, 10 მაისი; ტფილისი, 15 მაისი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილები „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ამ ხელმოუწერელი მეთაური წერილების ილიასეულობას, „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები. არსებობს თედო სახოკიას მოგონება, რომელშიც იგი ვრცლად ეხება შიო არაგვისპირელის ბიოგრაფიიდან ერთ მომენტს: კერძოდ, მწერლის სასაკლაოზე მუშაობის დროს სპანდარიანცის მიერ „ტრიხინიანი“ ღორების ხორცის ბაზარზე გაყიდვას და წერს: „ილია ჭავჭავაძემ 1897 წელს „ივერიაში“ №85, №86, №88, №89 და №90 თითოეული გაზეთის ცალ გვერდიანი მეთაური უძღვნა ქალაქის სასაკლაოზე მომხდარ საქმეს. სააშკარაოზე გამოიტანა ქალაქის გამგეობის მელაძუობა, ყოველი მათი დასაგმობი საქციელი და ამ საქმეში მონაწილეობა კრიტიკის

ქარცეცხლში გაატარა.* (იხ. თ. სახოკიას „ჩემი საუკუნის ადამიანები“, თბ. 1969, გვ. 210).

ჩვენ ზემოხსენებული წერილები გავაერთიანეთ ერთი სათაურის ქვეშ: აქვე ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვათავსეთ ამავე საკითხზე გაზ. „ივერიის“ 1 მაისის №83-ში დაბეჭდილი ფელეტონი სათაურით „პატარა საუბარი“, რომელიც „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში სავარაუდოდ ილიას სახელთან არის დაკავშირებული.

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე> (გვ. 410)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 94, 17 მაისი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 16 მაისი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი გაზ. „ივერიის“ შემდეგ პირველად დაბეჭდა პავლე ინგოროყვამ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის VIII ტომში 1957 წელს სათაურით „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“.

<საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები> (გვ. 414)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 189, 13 სექტემბერი, გვ. 1-2; № 190, 14 სექტემბერი, გვ. 1; № 194, 19 სექტემბერი, გვ1-2; № 196, 21 სექტემბერი, გვ. 1; № 200, 26 სექტემბერი, გვ. 1; № 201, 28 სექტემბერი, გვ. 1-2; № 215, 16 ოქტომბერი, გვ.1-2; № 217, 18 ოქტომბერი, გვ. 1; № 226, 1 ნოემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 12 სექტემბერი; ტფილისი, 13 სექტემბერი; ტფილისი, 18 სექტემბერი; ტფილისი, 20 სექტემბერი; ტფილისი, 25 სექტემბერი; ტფილისი, 27 სექტემბერი; ტფილისი, 15 ოქტომბერი; ტფილისი, 17 ოქტომბერი; ტფილისი, 31 ოქტომბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილები „ივერიის“ პირველნაბეჭდის შემდეგ პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა გააერთიანეს საერთო სათაურით: „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“ და დაბეჭდეს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა VIII ტომში 1928 წელს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამომცემლებს გამოუტოვებიათ ამავე საკითხზე გაზ. „ივერიის“ №190-ში დაბეჭდილი ხელმოუწერელი მეთაური წერილი, **ტფილისი, 13 სექტემბერი;** – რომელიც საერთოდ არცერთ გამოცემაში არ დაბეჭდილა. იგი ჩვენს გამოცემაში შევიტანეთ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მიხედვით.

ამ წერილის ილიასეულობას ზემოხსენებულ წერილებთან ერთად ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

თ. სახოკიას მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში გამოტოვებულია გაზ. „ივერიის“ №217-ში დაბეჭდილი მეთაური წერილი – ტფილისი, 17 ოქტომბერი.

აღსანიშნავია, რომ ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებულ ამ წერილთა შორის გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილია ერთი პოლიტიკური ხასიათის წერილი – (სახელდობრ №222-ში გამოქვეყნებული მეთაური წერილი: ტფილისი, 27 ოქტომბერი), რომელიც ჩვენ ქრონოლოგიის მცირე დარღვევით გადავიტანეთ №226-ში დაბეჭდილი წერილის შემდეგ.

საყურადღებოა ისიც, რომ გაზ. „ივერიაში“ ყოველი წერილის დასაწყისში სქოლიოში მინიშნებულია ამ საკითხისადმი მიძღვნილი წინა წერილი, რაც უტყუარი ცნობაა მათი ატრიბუციის დასადგენად.

<ევროპა მაინც ორ დიდ ბანაკად გაყოფილი დარჩა> (გვ. 454)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 222, გვ. 28 ოქტომბერი, 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 27 ოქტომბერი.

* მოწინავეში ნახსენებია შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), რომელიც იმ ხანად მუშაობდა მთავარი სანიტარული სამსახურის დირექტორის ისპანდერიანცის მოადგილედ.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ამ წერილის ილიასეულობას „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

„სამთა კავშირი“ — იხ. შენიშვნების გვ. 506

„ორთა კავშირი“ — იხ. შენიშვნების გვ. 518

„აღმოსავლეთის საქმე“ — იხ. შენიშვნების გვ. 510

„ოსმალთ-ბერძენთა საქმე“ — იგულისხმება ოსმალთა წინააღმდეგ ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება 1821-29 წლებში.

<ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი> (გვ. 458)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 227, 2 ნოემბერი, გვ 1-2; № 231, 7 ნოემბერი, გვ.1-2; № 233, 9 ნოემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 1 ნოემბერი; ტფილისი, 6 ნოემბერი; ტფილისი, 8 ნოემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილები „ივერიის“ პირველნაბეჭდის შემდეგ გამოაქვეყნეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა X ტომში 1829 წელს გაერთიანებული სათაურით: „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი“.

ამ წერილების ილიასეულობას ადასტურებს აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები და თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“.

„აღმოსავლეთის საქმე“ — იხ. შენიშვნების გვ. 510

„ყირიმის ომები“ — იგულისხმება 1853-1856 წწ. **აღმოსავლეთის ომი,** ომი ინგლისის, საფრანგეთის, ოსმალეთისა და სარდინიის კოალიციასა და რუსეთს შორის ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის.

„უკანასკნელი ომი ოსმალეთთან“ — იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომი 1877-1878 წლებში.

„...მას შემდეგ, რაც რუსეთმა და საფრანგეთმა კრონშტატში და ტულონში დაანახვეს ქვეყანას“ — იხ. შენიშვნების გვ. 509

„..ჩვენი ხელმწიფე იმპერატორის საფრანგეთში მიბრძანება“ — იხ. შენიშვნების გვ. 526

„...სან-სტეფანოში შეკრული პირობა“ — იგულისხმება 1878 წ. 19 თებერვალს (3 მარტს) სტამბოლის მახლობლად სან-სტეფანოში დადებული ხელშეკრულება, რომლითაც დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომი.

„სამთა კავშირი“ — იხ. შენიშვნების გვ. 506

„ორთა კავშირი“ — იხ. შენიშვნების გვ. 518

„სომხების საქმე“ — იხ. შენიშვნების გვ. 145

<კ. ბლუმერის აზრი ამიერკავკასიაში გავრცელებული ავაზაკობის გამომწვევ მიზეზებზე> (გვ. 470)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 243, 23 ნოემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 22 ნოემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ამ წერილის ილიასეულობას, „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაც“, აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები. ილიას წერის მანერა და სტილი.

<გულნამცეცა ბურჟუაზია> (გვ. 475)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 259, 14 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 13 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად ჩვენს გამოცემაში.

ამ წერილის ილიასეულობას, „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გარდა, ადასტურებს ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

“...კომპრაჩიკოსებისაგან დამახინჯებული” (Компрачикосы) – **კომპრაჩიკოსი,** XIII-XVII სს-ში ესპანეთში. ინგლისში და სხვა ქვეყნებში არსებული დანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც ბავშვებს იტაცებდა, ფიზიკურად ამახინჯებდა, ასაჭურისებდა, აქცევდა მასხარად და ყიდდა.

<ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა> (გვ. 481)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 265, 21 დეკემბერი, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 20 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ შემდეგ პირველად დაბეჭდა პ. ინგოროყვამ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა VII ტომში 1956 წელს სათაურით „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“. ამ წერილის ილიასეულობას ადასტურებს თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“.

Все мое, сказало злато,
Все мое, сказал булат,
Все куплю, сказало злато,
Все возьму, сказал Булат.
პუშკინი.

სქოლიოში დამოწმებულია ციტატა პუშკინის ლექსიდან „Золото и Булат“.

პატარა საუბარი (გვ. 486)
(თ. გ. თუმანიშვილის გაზეთმა ამ უკანასკნელ დროს...)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 265, 21 დეკემბერი, გვ. 3.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად.

ეს ფელეტონი ჩვენს გამოცემაში შევიტანეთ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისა და ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგების მიხედვით.

<ფიქრები ქრისტეს შობის დღესასწაულის წინ> (გვ. 487)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 268, 25 დეკემბერი, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 24 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი გაზ. „ივერიის“ შემდეგ პირველად ჩვენს გამოცემაში შევიტანეთ თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაზე“ დაყრდნობით, ამ წერილის ილიასეულობას ადასტურებს აგრეთვე ლ. ჭრელაშვილის კვლევა-ძიების შედეგები.

პატარა საუბარი (გვ. 490)
(ეს „ლალი“ რა ხელობის კაცია?...)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1897, № 269, 28 დეკემბერი, გვ. 2.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იბეჭდება პირველად. ჩვენს გამოცემაში.

ეს ფელეტონი ჩვენს ტომში მოვათავსეთ „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის მიხედვით.

ფელეტონში დამოწმებულია ციტატები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“.

„...ჩვენ ამჟამად ბევრნი ვართ თქვენდა საუბედუროდ“, – ამონაწერი გიორგი ლასხიშვილის – „ლალის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა 1897 წ. გაზ. „კვალის“ №53-ში (გვ. 932) სათაურით „სამშობლო ციხის გუშაგს“.

<რა გითხრათ, რით გაგახაროთ> (გვ. 492)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898, № 1, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 31 დეკემბერი.

ეს ხელმოუწერელი მეთაური წერილი „ივერიის“ შემდეგ პირველად დაიბეჭდა პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის მიერ გამოცემული ი. ჭავჭავაძის თხზულებათა VI ტომში 1927 წელს სათაურით: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“.

საძიებლები

სახელთა საძიებელი

პირთა საძიებელი

ა

ავთანდილოვი – ხმოსანი. 400

ალექსანდრე III (1845-1894) – რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წლებში. 52, 53, 54, 55, 56, 60, 65.

ალიბეგოვი – ქალაქის მაშინდელი ლაბორატორიის გამგებელი. 362.

ანდერსენ ჰანს კრისტიან (1805-1875) დანიელი მწერალი. 179.

ანდრონიკაშვილი ივანე ზაქარიას ძე. 240.

არუთინოვი კევორქა თუ გეურქა – თბილისის მცხოვრები, ყასაბი. 237, 256, 257, 365, 369, 374-394, 396, 397, 401, 403, 408.

არწრუნი – გრიგოლ (1845-1892), სომეხთა პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ლიბერალთა დასის მეთაური, გაზ. „მშაკის“ რედაქტორი. 156, 233, 234, 279.

ასტროვსკი (ოსტროვსკი) ოსტროვსკი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1827-1901 წ.წ.) – 1881-1893 წლებში სახელმწიფო-ქონებათა ყოფილი მინისტრი, რუსი დრამატურგის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკის (1823-1886 წ.) უმცროსი ძმა. 38.

აღა-მაჰმად ხანი (1742-1797) – ირანის გამგებელი, შემდეგ ირანის შაჰი, 1795 წ. გაილაშქრა საქართველოზე და დაარბია თბილისი. 493.

ბ

ბაგრატიონი პეტრე ივანეს ძე (1765-1812) – თავადი. რუსეთის ინფატერიის გენერალი, 1812 სამამულო ომის გმირი. ქართველი მეფის ვახტანგ VI-ის ძმის იესეს შვილიშვილის შვილი. 199.

ბალფიური (ბალფური) ართურ ჯეიმზ (1848-1930) – ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე. 1874 წლიდან პარლამენტის წევრი. კონსერვატიული პარტიის ლიდერი. 226, 227.

ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817-1845) – ქართველი პოეტი. 100, 103, 313, 314.
ბარბიე ანრი ოგიუსტ (1805-1882) – ფრანგი პოეტი. პოეტური პამფლეტების ავტორი. 350.
ბატიევი ავეტიქ – თბილისის მცხოვრები. 386.
ბახტაძე ილია ლუკას ძე („ილია ხონელი“) (1859-1900) – ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი. 201, 202, 203, 204, 205, 206, 210, 211, 212, 213.
ბენტამი ერემია (1748-1832) – ინგლისელი სამართლისმცოდნე და ფილოსოფოსი. 429.
ბისმარკი ოტო ედუარდ ლეოპოლდ, თავადი ფონ ბისმარკი შენჰაუზენი (1815-1898) – გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცლერი. 221, 222, 223, 461.
ბლუმერი კ. ჟურნალისტი – გაზ. „Новое Время“. 470, 471, 472, 473, 474.
ბოტკინი სერგეი პეტრეს ძე (1832-1889) – რუსი ექიმი თერაპევტი. 355.
ბრისსონი ეჟენ ანრი – ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. 87, 88.
ბულანჟე – ჟორჟ ერნესტ-ჟან მარია (1837-1891) ფრანგი გენერალი, პოლიტიკური მოღვაწე, მონაწილეობდა პარიზის კომუნის ჩახშობაში. (1887-1889 წ.წ.) სათავეში ჩაუდგა შოვინისტურ მოძრაობას, მონარქისტებთან მისი ურთიერთობის გამომჟღავნების შემდეგ, ბელგიაში გაიქცა, სადაც იგი მოკლეს. 197.
ბურჟუა ლეონ ვიქტორ ოგიუსტ (დაიბ. 1851-) ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. 89.

გ

გაბრიელ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე) (1825-1896) – იმერეთის ეპისკოპოსი, მოაზროვნე, პედაგოგი, ფსიქოლოგი, საზოგადო მოღვაწე. 210, 211, 214, 218.
გალილეი გალილეო (1564-1642), იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი და ასტრონომი, ბუნებისმეტყველების ერთერთი ფუძემდებელი, პოეტი, ფილოლოგი და კრიტიკოსი. 173.
გალიცინი (გოლიცინი) გრიგოლ სერგეის ძე – კავკასიის მთავარმართებელი. 296.

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე (1840-1912), ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. 191
გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე (1809-1852) – რუსი მწერალი. 350.
გონიანცი II **გონიევი** – ექიმი 358, 359, 360, 364.
გორემიკინი – სამეჯნო უწყებათა გამგებელი და მმართველი. 35, 38.
გრიმები ძმანი, იაკობ (1785-1863), ვილჰელმ (1786-1859), გერმანელი ფილოლოგები, ფოლკლორისტები და ენათმეცნიერები. 179.
გუნია ვალერიან – ცნობილი მსახიობი. იგი თავდაპირველად ილიას მიერ დაარსებული „ივერიას“ თანამშრომელი იყო, შემდეგ ქართული თეატრის დასის წევრი. 312, 313.
გურამიშვილი – თავადი, გურამიშვილი დავით ალექსანდრეს ძე (1857-1926), ფერმწერი. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში „ფალანგა“ და „ობზორი“. 167, 168, 169.

დ

დავიწყებული მწერალი – იხ. მიქელაძე ვლადიმერ. 172.
დარვინი ჩარლზ რობერტი (1809-1882) – ინგლისელი ბუნებისმეტყველი. 490, 491.
დედაბრიშვილი შიო ზაქარიას ძე (არაგვისპირელი) (1867-1926) – ქართველი მწერალი, პროფესიით ბეითალი, ექიმი-ვეტერინარი. – იმჟამად ისპანდერიანცის თანაშემწე. 387, 388, 394, 399.
დეკანოზიშვილი პოეტი, რომელიც ესწრებოდა ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებას. 191.
დრაგომანოვი მიხეილ პეტრეს ძე (1841-1895), უკრაინელი ბურჟუზიული ლიბერალი, პუბლიცისტი. 199.
დუპუი (დიუპუი) შარლ ალექსანდრ (დაიბ. 1851-) ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. 87.

ე

ევანგულოვი – თბილისის ქალაქის საბჭოს თავ-რე 1890-იან წლებში, ხმოსანი. 400.
ეზოპე (ესოპე) ძვ. წ. VI საუკუნის ბერძენი მწერალი, იგავარაკების ჟანრის ფუძემდებელი. 179.

ერეკლე მეორე II მეფე ერეკლე (1720-1798), 1744-1762 წლებში კახეთის, 1762 წლიდან ქართლ-კახეთის მეფე. 100.
ერისთავი ზაქარია, ოძისის მკვიდრი თავადი. შემდგომში დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. 238, 239, 240, 241.
ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824-1901) ქართველი მწერალი, ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. 164, 165.
ერმოლოვი ალექსეი სერგეის ძე – სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების მინისტრი. 39.

ვ

ვალდეკ რუსსო იხ. რუსსო. 88.
ვაჟა-ფშაველა (1861- 1915) 100, 101, 103.
ვართანიანცი, ექიმი. 312, 313, 317, 370, 371.
ვართანოვი, ხმოსანი. 400.
ვაჩნაძე რევაზ ქაიხოსროს ძე. 240.
ველიჩკო, ვასილი ლევის ძე (დაიბ. 1860-) – რუსი პოეტი და ჟურნალისტი. ერთხანს რედაქტორობდა თბილისის გაზეთს „კავკაზს“. 350.
ვილჰელმი (ვილჰელმ II) (1859-1941) – გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე 1888-1918 წლებში. 29, 31, 136.
ვიტტე (ვიტე) სერგეი იულის ძე (1849-1915) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, 1892 წლიდან ჯერ გზათა, შემდეგ ფინანსთა მინისტრი. 251.

ზ

ზახარინი გრიგოლ ანტონის ძე (1829-1897) – რუსი ექიმი თერაპევტი. 355.

თ

თამამშოვი, ხმოსანი. 400.
თარხანიანცი, მთავრობის საქალაქო მკურნალი. 362.
თემურლიენგი (ლანგთემური) (1336-1405) – შუააზიელი სისასტიკით გამორჩეული მხედართმთავარი, რომელიც თავის ლაშქრით რვაჯერ შემოესია საქართველოს და უდიდესი ზიანი მიაყენა სახელწიფოსა და ქართველ ხალხს. 493.

თუმანიშვილი (თუმანიანცი) გიორგი მიხეილის ძე (1854-1920) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, 1891-1903 წწ. ვ. და კ თუმანიშვილებთან ერთად გაზ. „Новое Обозрение“-ს გამომცემელი. 262, 313, 314, 486.

ი

ივანენკო – გამომძიებელი. 376-379, 382-390, 393, 394, 396-399, 400, 402
იზმაილოვი პავლე (1852-1905) – თბილისელი სომეხი ჟურნალისტი და მოღვაწე. 1869-1882 წლებში თანამშრომლობდა ქართულ, რუსული და სომხურ პერიოდულ გამოცემებში. 1893 წ. აირჩიეს თბილისის ქალაქის თავად, ეკუთვნოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მიმართულებას. 361, 362, 363.
იოსელიანი გიორგი ნიკოლოზის ძე (1847-1919), ქართველი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი. წერდა წყალტუბოელის ფსევდონიმით. 191.
ისპანდიარიანცი II ისპანდიაროვი მხიტარ ოჰანჯანის ძე, ექიმი. – სავეტერინარო სამსახურის მაშინდელი უფროსი. 394-397, 399, 400, 402-405.

კ

„კავკაზეცი“– „ნოვოე ვრემია“-ს კორესპოდენტი. 169.
კაზიმირ პერიე – იხ. პერიე. 82, 85, 87, 88, 89.
კაპრივი ლეონ ფონ (1831-1899) – გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი, გრაფი (1891), 1890-1894 წლებში რაიხსკანცლერი (შეცვალა ბისმარკი) და ამავე დროს (1890-1892 წლებში) პრუსიის მინისტრი – პრეზიდენტი. 222.
კატკოვი მიხეილ ნიკიფორის ძე (1818-1887) – რუსი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, რადაქტორი გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტისა“, რეაქციონერი, გამოილაშქრა ქართული ეროვნული კულტურისა და საერთოდ ქართველი ერის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა გამანადგურებელი პასუხები. 93, 183.
კატონი მარკუს ჰორაციუს (ძვ. წ 234-149) – ძვ. რომის პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, რომაული პროზის ფუძემდებელი. 168.
კ-ევიო მირზა 471

კობიაშვილი ალექსანდრე იოსების ძე. 240.
კრილოვი ივანე ანდრიას ძე (1769-1844), რუსი მწერალი მეიგავე. 179.
კრისპი ფრანჩესკო (1818-1901) – იტალიის სახელმწიფო მოღვაწე, 1887-1891 და 1893-1896 წლებში სახელმწიფოს მეთაური, იტალიის იმპერიალისტური ავანტურის ერთ-ერთი მოთავე აფრიკაში. 1893-1894 წლებში სასტიკად ახშობდა გლეხთა მოძრაობას სიცილიაში. 221, 223.
კრისტი – ბესარაბიის აზნაური. 207.
კუჩარიანცი, ხმოსანი. 400.

ლ

ლანგთემური – იხ. თემურლენგი. 493.
ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე (“ლალი”) (1865-1931), პუბლიცისტი, რედაქტორი, საზოგადო მოღვაწე. 490, 491.
ლაფონტენი ჟან (1621-1695), ფრანგი პოეტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი 1684 წლიდან. 179.
ლიბიხი იუსტუს (1803-1873) – გერმანელი ქიმიკოსი. 344.

მ

მარქსი კარლ (1818-1883) 475.
მაჩაბელი ივანე გიორგის ძე (1854-1898), ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 176, 190-197.
მაჩაბელი მიხეილ – ქალაქის გამგეობის ხმოსანი, ივანე მაჩაბლის ძმა. 173-175, 184-188.
მახდი (მაჰდი) (1844-1885), სუდანელი მუჰამად აჰმედ, აღმოსავლეთ სუდანის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი. სუდანის მაჰდისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. 71.
მახსარ-ბეი – პოლკოვნიკი. 227.
ტერ-მინასოვი – საპნის ქარხნის მეპატრონე. 389, 390, 395.
მირზაშვილი ალექსანდრე 195.
მიქელაძე ვლადიმერ – თბილისის გამგეობის ხმოსანი. 191, 357, 407.

მოსე წინასწარმეტყველი, იუდეველთა სარწმუნოების მიხედვით უდიდესი წინასწარმეტყველი და ებრაული რელიგიის ფუძემდებელი. 353.
მრევლიშვილი, ექიმი. 362.
მუსხელოვი დ. ი. 240.
მუხრანსკი 334.

ნ

ნაპოლეონი ნაპოლიონ I ბონაპარტე (1769-1821) – საფრანგეთის იმპერატორი 1804-1815 წლებში. 58.
ნიკოლოზ პირველი (ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი) (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი 1825-1855 წლებში. 225.
ნიუტონი ისაკ (1643-1727) – ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი. კლასიკური ფიზიკის ფუძემდებელი. 216.

ო

ოპოჩინინი – ხმოსანი. 400, 401, 402, 403.
ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე (1804-1883), პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალ-ლეიტენანტი. 101.
ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე (1812-1890). ქართველი პოეტი. ერეკლე II- ის ქალიშვილის თეკლა ბატონიშვილის ვაჟი 1838 წლიდან იყო სამხედრო სამსახურში, 1860 წ. გენერალი. 91.
ორბელიანი საბა (სულხან-საბა) (1658-1725), მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. 177, 178, 179, 181.

პ

პერიე კაზიმირ – საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. 82, 85, 87, 88, 89.
პეტრე დიდი, პეტრე I (მეფე ალექსი მიხეილის ძის ვაჟი) (1672-1725) – რუსეთის მეფე იმპერატორი, სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, დიპლომატი. 183, 459.
პროზოროვსკი – ექიმი. 362.
პუშკინი ალექსანდრე სერგეის ძე (1799-1837) – დიდი რუსი პოეტი. 68, 350, 481.

რ

როზბერი – ლორდი, არჩიბალდ, გრაფი, ინგლისელი პოლიტიკოსი (დაიბ. 1847). გლადსტონის კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ლიბერალობის მოთავე. 60, 68.
როსტომაშვილი 190.
რუდინი 221.
რუდკოვსკი, ექიმი. 358, 360, 361, 362.
რუსთაველი შოთა. 63, 180, 491.
რუსსო ვალდეკ – კონსერვატორი, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, პრეზიდენტობის კანდიდატი. 88.

ს

საბაოთ მამა სინაის მთიდამ 295.
სალვატორი – იტალიელი ბერი. 227
სალუსბერი – რობერტ არჩელი (1830-1903). მარკიზი დერბის კაბინეტში პირველ მინისტრად ნამყოფი. კონსერვატორების მოთავე (სოლსბერი) რობერტ არტურ ტილბოტ გასკონ სესილ (1830-1903) – დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ინდოეთის მინისტრის ადგილი ეკავა. გამოჩენილი კონსერვატორი. გლადსტონის კაბინეტის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. 60, 68, 225.0
სარაჯოვი– ალექსანდრე სარაჯიშვილი 358.
ტერ-სიმონიანცი – ყარაული. 377, 389, 392, 394, 399, 400.
სიტოვსკი – პოლიციის ბოქაული. 358, 361, 363.
სტენლი – ინგლისის პალატის წევრი. 226, 227.
სტეპანიანცი (სტეფანოვი) – სანიტარულ-სამკურნალო სამსახურის ინსტრუქტორი. 366, 399.
სუვორინი ალექსი სერგის ძე (1834-1912) – რუსი პუბლიცისტი, ლიტერატორი, გამომცემელი. 1876 მისი რედაქტორობით პეტერბუგში გამოდიოდა გაზ. „Новое Время “. 92, 93, 96, 97.
სფივტი (სვიფტი) ჯონათან (1667-1745) – ინგლისელი მწერალი. 350.

ტ

ტერ-სტეფანიანცი – თბილისის ღორების სასაკლაოს ყარაული. 387, 388.

უ

უვაროვისა – პრასკოვია სერგეის ასული (1840-1924), მეუღლე რუსი არქეოლოგის გრაფ ალექსი უვაროვის, 1879 წლიდან იყო კავკასიაში არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი. 142.

ფ

ფელიქს ფორი – საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი (189 წწ) – რესპუბლიკელი. 88, 89.
ფრანკლინი (ფრანკლინი) ბენჯამინ (1706-1790) – ამერიკელი განმანათლებელი, სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი. 355.

ქ

ქარიმა 470-473.
ქიქოძე – გუბერნიის ექიმი. 362, 374, 375, 382, 383, 391, 393, 394, 397, 402, 403, 404, 406, 408.
ქობულოვი ბეჟან – თბილისის მცხოვრები. 386.

შ

შარკო ჟან მარტენ (1825-1893) – ფრანგი ნევროპათოლოგი. 555
შაუმოვი არტემ ლაზარეს ძე – პირველი გილდიის ვაჭარი. 356-364, 366, 368, 369, 394.
შაჰ-აბაზი (შაჰ-აბას დიდი) (1571-1629) – ირანის შაჰი, მხედართმთავარი. 493
შერემეტიევი – მთავარმართებელი. 250.
შექსპირი უილიამ (1564-1616) – ინგლისელი დრამატურგი, პოეტი. 486.
შილლერი (შილერი) იოჰან – კრისტოფ ფრიდრიხ (1759-1805) – გერმანელი დრამატურგი, პოეტი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი. 327.
შჩედრინი (სალტიკოვ-შჩედრინი) – მიხეილ ევგრაფის ძე (1826-1889) – რუსი მწერალი. 350.

ჩ

ჩოლოყაშვილი ალექსანდრე ზაალის ძე – ქალაქის გამგეობის ხმოსანი. 357, 407.

ც

ციციშვილი თომა 440.
ცხვედაძე ნიკოლოზ (ნიკო) ზებედეს ძე (1845-1911), – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი. 190

წ

წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1842-1900) – ქართველი მწერალი, პუბლიცსტი, საზოგადო მოღვაწე. 172, 173, 178, 179, 180, 182, 183, 192, 331, 332, 333, 336, 337.
წერეთელი სვიმონ – იმერეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი. 167, 196
წინამძღვრიშვილი იოსებ ივანეს ძე ილიას გიმნაზიისდროინდელი მეგობარი. 240.

ჭ

ჭავჭავაძე ივანე სულხანის ძე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე იგი დასახელებულ იქნა ილიასთან ერთად სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველთა კანდიდატურიდან. 240.
ჭავჭავაძე ნ.ზ. (ნიკოლოზ ზურაბის ძე) (1830-1897) – რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი. 290, 292.

ხ

„ხითაროვი“ 334, 335, 336.
„ხონელი“ (ილია ხონელი) იხ. ბახტაძე ილია. 201-206, 210, 211, 213
ხოსროევი – თბილისის მაშინდელი გამგეობის წევრი. 376.
ხუდადოვი ნიკო, ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ქალაქის თვითმართველობის წევრი, ხმოსანი, სახალხო თეატრის მესვეური, „სახალხო კითხვათა კომისიის“ თავმჯდომარე. 403.

ჰ

ჰუმბერტი რეინერ კარლ ემანუილ იოჰან მარია ფერდინანდ ევგენი (1844-1900), იტალიის მეფე, შვილი მეფე ვიქტორ ემანუილ II-ისა. 128.

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აბასთუმანი 424.
ავსტრალია 464, 465.
ავსტრია 25, 26, 65, 66, 131, 132, 133, 221, 222, 223.
ავსტრი-ვენგრია II ავსტრი-უნგრეთი 25, 126, 128, 226.
ავღანისტანი 54, 67, 68.
ავჭალა 310.
აზია 66, 67, 75, 77, 77, 420.
ათონის მთა 208.
ალბიონი 72.
ალჟირი (ალჟირი) 462.
ამერიკა 45, 75, 184, 415, 432, 465.
ამიერკავკასია 17, 18, 43, 46, 64, 77, 323, 353, 418, 421, 470, 473.
არაბეთი 464.
არაბეთის ზღვა 464.
ასტრახანი 358, 361.
ატლანტის ოკეანე (ატლანტიკის ოკიანე) 462, 465.
აფრიკა 73, 74, 75, 76, 455, 456, 462, 464, 465.
ახალქალაქი II ახალქალაქის მაზრა 424.
ახალციხე II ახალციხის მაზრა 424.

ბ

ბათუმი 18.
ბალკანეთის კუნძული II ბალკანეთი, ბალკანეთის სახელმწიფო 65, 66, 124, 221, 294, 458.
ბაქო 18.
ბელგია 135.
ბერლინი 220, 223.
ბერდიჩევი (ქალაქი უკრაინაში) 310.
ბესსარაბია 207, 208.
ბირმანი (ბირმა) — სახელმწიფო სამხ.-აღმ. აზიაში 73.
ბოლგარეთი II ბოლგარია 54, 256.
ბორჩალო (ყაზახ-ბორჩალო) 431, 433.
ბორჯომი 424.
ბოსნია 256.
ბოსფორი 228, 458, 463.
ბრანდერბურგი 461.

გ

გამბურგი (ჰამბურგი) 222.
გერმანია 25-31, 52, 54, 64, 66, 71, 73-76, 126, 131-133, 136, 220-224, 310, 345, 455, 456, 461, 463-469.
გორი 422, 424.
გორის მაზრა 422, 424.

დ

დარდანელი 66, 146, 228.
დიდი ბრიტანია (დიდი ბრიტანეთი) 127.
დიდი ოკეანე 468.
დუშეთი 424.
დუშეთის მაზრა 424.

ე

ეგვიპტე 67, 73, 226, 227, 256, 462, 464-468.
ევროპა 25, 27, 28, 30, 31, 52-55, 57, 59-61, 65-67, 70, 75, 83, 93, 124, 125, 127-135, 146, 147, 173, 220, 224-228, 253-257, 288, 293, 294, 340, 353, 420, 454-467, 469.
ესპანეთი — იხ. ისპანია 74, 462, 482.

ვ

ვენეცუელა (ვენესუელა) 226.
ვლადიკავკასი (ვლადიკავკაზი) 431.

ზ

ზულუ, ამაზულუ, ზულუსები — სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში ნატალის პროვინციაში მცხოვრები ხალხი. 71

თ

თამარაშენი 197.
თელავი 23, 105, 107, 110, 111, 360.
თიანეთი 23.

ი

იაპონია 27, 73, 75, 467.
ინგლისი 27, 54, 58-61, 65-68, 70-76, 85, 124-128, 224, 226-228, 256, 455-457, 459, 461-469.
ინდოეთი 66, 67, 68, 71, 73, 464, 465, 466, 469.
ინდოეთის ოკეანე 73, 464, 465, 466.
ისპანია (ესპანეთი) 74, 462, 482.
იტალია 25, 26, 74, 126, 128, 131, 132, 133, 221, 223, 227, 455, 462.

კ

კავკასია 94, 168, 199, 200, 296-298, 305, 316, 336, 338, 348, 355, 414, 470-474.
კართაგენი – ძვ. ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუაზღვის-პირეთში, ახლანდ. ტუნისის ყურე. 168.
კახეთი 16-21, 23, 105, 114, 116, 119, 273, 291.
კორრეა (კორეა) 27, 75.
კრიტის კუნძული 226, 253, 256, 257, 293, 294, 469.
კრონშტატი (კრონშტადტი) 54, 220, 222, 460.
კრწანისი 99, 100, 102, 103, 104, 163, 164.
კუშკა – ქალაქი თურქეთის რესპუბლიკის სამხრეთ საზღვართან. 54, 67.

ლ

ლილო 188, 196.

მ

მადაგასკარი 73.
მაკედონია 257, 294, 295.
მანჩესტერი 226.
მაროკკო (მაროკო) 462.
მეწამული ზღვა 353, 464, 466.
მოსკოვი 141, 142.
მტკვარი 139, 140.
მცირე აზია 464.

ო

ოდესა 45.
ოსმალეთი 124, 125, 127-131, 134, 145, 146, 225-229, 253, 257, 294, 303, 458-464, 466, 468, 469.
ოძისი 238, 239, 241, 242, 243, 273.

პ

პამირი 75.
პარიჟი 66.
პერმი 169.
პეტერბურგი 220.
პორტუგალია 74.
პოზნანი 64.
პოლონეთი 93.
პრუსია 136, 221

ჟ

ჟენევა 139, 140.

რ

რომი 227, 377
რუმელია (ბულგარეთი) 256.
რუმინია (რუმინეთი) 294
რუსეთი 16, 19-23, 27, 32, 39, 45, 46, 52-61, 63, 65-68, 71, 73, 75-77, 93, 98, 110, 115, 131, 133, 148, 150, 151, 167, 168, 198-200, 220-228, 262, 275, 297, 310, 311, 353, 425, 432, 437, 455, 457, 459, 460, 463, 467-469, 471-473.

ს

საბერძნეთი 124, 253, 254, 255, 256, 257, 293, 294, 348, 454, 458, 469, 493.
სან-სტეფანო 463.
საქართველო 19, 35, 40, 43, 46, 64, 77, 90, 91, 92, 94, 99, 100, 101, 103, 108, 114, 141, 167, 181, 186, 187, 192, 195, 200, 208, 210-213, 239, 250, 251, 271, 290, 291, 310, 311, 316, 320, 321, 421, 424, 475, 476, 493, 494.

საქართველოს სამხედრო გზა 424.
საფრანგეთი 25-27, 29-31, 52, 54, 66, 67, 71, 73-76, 82-89, 128, 131, 133, 152, 220-224, 226-228, 335, 345, 454-457, 459, 460-467, 468, 469.
სერბია 294.
სიამი – (სიამ-ბირმანი) ძველი სახელწოდება დღევანდელი ტაილანდის სახელმწიფოსი სამხრეთ-აღმოს. აზიაში. 73.
სინაის მთა – სინას ნახ. კუნძულზე არაბეთსა და აფრიკას შორის, წითელი ზღვის ყურესა და სუეცის არხთან აღმართული მთა. 295.
სირია 462.
სიღნაღი 23, 360.
სოხუმი 96, 97.
სპარსეთი 470, 471, 472, 473, 474.
სტამბოლი 459, 461, 463, 468.
სუდანი 466.
სუეცის II სუეზის არხი 67.

ტ

ტომსკი 169.
ტონკინი – ამჟამად ბაკბო – ვიეტნამის ჩრდ. ნაწილი. 73.
ტრანსვალი (ტრანსვაალი) 226.
ტრიპოლი 462.
ტულონი 54, 220, 222, 460.
ტუნისი 462.
ტფილისი 13, 17, 18, 35, 40, 77, 138-141, 258, 284, 300, 301, 307-311, 323, 336, 345, 346, 356-360, 364, 366, 367, 369, 370-373, 375, 377, 378, 383, 384, 388, 390, 393, 397, 398, 403, 405-410, 431, 478.
ტფილისის გუბერნია 153, 258, 259, 262, 263, 433, 434.

ფ

ფინლანდია (ფინეთი)
ფრიდრიხსრუე – ქალაქი 223.

ქ

ქიზიყი 18.
ქუთაისი 11, 12, 13, 14, 40, 245, 248, 360.
ქუთაისის გუბერნია 11, 141, 167, 198, 245, 427.

ყ

ყვარელი 291.

შ

შავი ზღვა 228, 432, 463.
შვეიცარია 139.
შინდისი 336.

ჩ

ჩერნოგორია 294.
ჩინეთი 27, 73, 75, 467, 468.
ჩინეთის ზღვა 73.

ც

ციმბირი 417.

ხ

ხართუმი 226.
ხმელთაშუა ზღვა 66, 458, 461, 462, 463, 464, 465, 466.

ჰ

ჰერცოგოვინა 256.
ჰიბრალტარი 462.

წიგნთა და პერიოდულ გამოცემათა საძიებელი

დ

„Deili news“ 60.
„Deili Cronicle“ 60.

ე

„Eclair“– პარიზის გაზეთი 226.

ვ

„ვერსტმინსტერი“ – ინგლისის გაზეთი 75.
„ვეფხვისტყაოსანი“ 180.

ი

„ივერია” – ქართული პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული გამოცემა 1877-1906 წწ. (1877-1878 – ყოველკვირეული გაზეთი; 1879-1885 – ჟურნალი; 1886-დან ყოველდღიური გაზეთი). დამაარსებელი და რედაქტორი ი. ჭავჭავაძე. 29, 44, 48, 77, 86, 172, 309, 313, 316, 323, 338, 343, 350, 352, 357, 373, 397, 409, 436, 447, 461, 467.
„იურიდ. გაზ.“ – [„იურიდიული გაზეთი“?] 168.

კ

„Кавказ“, „კავკასი“(„კავკაზი“) – ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1846-1918 წწ. 201-205, 210-213, 301, 303, 334.
„კვალი“ – ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა 1893-1904 თბილისში. რედაქტორები ა. თუმანიშვილი-წერეთლისა (ფაქტობრივი რედ. გამომც. – გ. წერეთელი), ნ. ალექსი-მესხიშვილი. 168, 172, 178, 179, 180, 331, 490.

მ

„Московские Ведомости“, „მოსკოვსკაია ვედამოსტი“ („მოსკოვსკიე ვედომოსტი“) – რუსული გაზეთი. გამოდიოდა 1756-1917 მოსკოვში. 1863 წლიდან რეაქციულია. რედ. მ. კატკოვი და პ. ლეონტიევი. 93,

ნ

„Неделя“ – რუსული ყოველკვირეული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა 1866-1901 პეტერბურგში. 258.
„Новое Время“ – რუსული ბურჟუაზიულ-მემამულეთა გაზეთი, გამოდიოდა 1868-1917 პეტერბუგში. 470-473.
„Новое Обозрение“ – რუსული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1884-1906. სხვადასხვა დროს რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: ა. სტეპანოვი, ო. ნიკოლაძე, მ. უსპენსკი, ფაქტობრივი რედაქტორი ნ. ნიკოლაძე (1887-1891), კ. და ვ. თუმანიშვილები (1891-1906). 478, 480, 483, 312-315, 317, 350, 409, 478, 480, 483.

პ

„Pall Mall Budjet“ 59.
„Pall Mall Gasette“ 60.
„Правительственный Вестник“ **„პრავიტელ. ვესტ.”** [„პრავიტელსტვენი ვესტნიკ“]
გაზ. **„პუნჩი“ – „Пунч“** 59.

ს

„სტანდარტი“ – ინგლისის გაზეთი. 75

ტ

„Temps“ – ფრანგული გაზეთი. 227, 335.
„Тифлисский листок“ – რუსული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1886-1919 წლებში. ძირითადად იბეჭდებოდა ქრონიკა და ახალი ამბები. 479.

ფ

„Fun“ 59.
„ფიგარო“ 227, 228.

ქ

„ქართული სახარება“, „ქართული ფსალმუნები“ და სხვა. 321.

ნაწარმოებთა და პერსონაჟთა საძიებელი

ა

ავთანდილი 180.

გ

„გულქანი“ 180.

ვ

„ვეფხვის-ტყაოსანი“ 180

თ

თინათინი 180.

ნ

ნესტან-დარეჯანი 180.

რ

„რუხი მგელი“ 180

ს

„სიბრძნე-სიცრუისა“ 171, 176, 177, 181, 183, 188, 189, 193, 194, 197.

ტ

ტარიელი 180.

ფ

ფრიდონი 180.

თემატური საძიებელი

I. პოლიტიკა, სამართალი.

1. უცხოეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკა

ა) ევროპის ქვეყნების პოლიტიკის საკითხები 58-61, 220-229, 454-457.
ბ) გერმანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა 29-31, 131-133.
გ) ინგლისის საგარეო და საშინაო პოლიტიკა 58-61, 65-69, 70-76, 124-127, 467-469.
დ) ევროპის სახელმწიფოები და აღმოსავლეთის საქმე 65-69, 461-466.
ე) საფრანგეთი 82-86,87-89,
ვ) ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი 70-76 ,124, 458-469.
ზ) ოსმალეთის საკითხი და ევროპის სახელმწიფოები, 128-130.
თ) კრიტის კუნძული (საბერძნეთი) და ოსმალეთი 253-257, 293-295.
ი) სომეხთა საქმე. ოსმალეთის სომეხთა განწირვა 145-147.
კ) „სამთა კავშირი“ 25-26, 29, 54, 244.
ლ) „ორთა კავშირი“ 29-31.
მ) პარლამენტის დეპუტატებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები 82-85, 86-89.
ნ) სხვადასხვა დაჯგუფებები უცხოეთის პოლიტიკურ სარბიელზე: 82-86
ანარხისტები (84), ბურჟუაზია (84) კლერიკალები (84), მონარქისტები (84) ოპორტუნისტები (84), რადიკალები (84) რესპუბლიკელები (84).

2. რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

3. სოციალურ-დემოკრატები და ბურჟუაზია საქართველოში

ა) “მესამე დასი”, გ. წერეთელი 178
ბ) ბურჟუაზია 475-480

4. საქართველოს შინაური ცხოვრება

ა) ბანკის წევრთა არჩევნები 11, 78, 281.
ბ) თავად-აზნაურთა კრებები 245-249, 278.
გ) სიტყვა თავ. ილია ჭავჭავაძისა (ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის კრებაზე 20 მაისს 1895 წელს) 90-91.
დ) ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ. 410-411.
ერობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო 261-265
ე) საზოგადო საქმისადმი პასუხისმგებლობის თაობაზე. 270-274.
ვ) თბილისელი სომხები და მათი ურთიერთობა ქართველებთან 300-308, 309-320, 323-325, 330-336, 338-347, 348-350.
ზ) თავად-აზნაურთა უფლება-მოვალეობები 245, 275.
თ) ქალაქის გამგეობა 410.

5. ამიერკავკასიის სხვადასხვა ხალხის შესახებ 418-421

ა) თათრები 427-436
ბ) ოსები 422-427
გ) კ. ბლუმერის აზრი ამიერკავკასიაში გავრცელებული ავაზაკობის გამომწვევ მიზეზებზე 470-475.

6. სამართალი და მართლმსაჯულება

ა) მთავარმართებლის, ჩინოვნიკ-მოხელეთა და გლეხთა უფლებები 148-152, 443.
ბ) სამართალი და ეროვნული საკითხი საქართველოში 62-64.
გ) სასამართლო, მოსამართლეები 448.

II. ისტორია, რელიგია

1. **ისტორია**

ა) ქართველი ერის ისტორიიდან 99-104.
ბ) მატიანე 1895 წლისა (შინაური მიმოხილვა) 160-166.

2. **რელიგია**

ა) ქართული სამონასტრო მამულები 205-209.
ბ) სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს. 210-213.
გ) ქრისტიანობა საქართველოში 487.
დ) ქრისტეს ზოგიერთი მოძღვრების შეგონება 487.

III. ეკონომიკა

1. თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკი და საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა

ა) ბანკი და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი 78-79, 90, 281-283.
ბ) ქუთაისის ბანკის შესახებ 11-15.

2. სოფლის მეურნეობა

ა) კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი 105-107, 109, 111, 123, 144.
კახეთის მევენახეთა კავშირი 116-123.
ბ) კახური ღვინის შესახებ 16-20, 21-24.
გ) კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის 16, 18, 19, 20-24, 77-81.
დ) მიწათმოქმედება და გლეხთა საქმეთა გამგეობა 48-51
სოფლის თვითმართველობა (ერობა) 35-38.
ე) სამეურნეო საკრედიტო საზოგადოება 201-206, 258-260
სასოფლო ბეგარა და ფერმების საჭიროების შესახებ 42-44.
ვ) საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები 414-416.

3. მრეწველობის განვითარება

ა) საფაბრიკო და საქარხნო წარმოება 56.
ბ) აღებმიცემობის განვითარება 44-47.
გ) სახელმწიფო ქონებათა მმართველობა 38, 482-485.

4. ეკონომიური ცხოვრების ავკარგიანობა

ა) ქალაქის საკრედიტო საზოგადოება 284.
ბ) ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა 481-485.
გ) არწრუნისეული ქარვასლა 233-235.
დ) სამეურნეო სკოლების საჭიროება 49, 238-244.
ე) ათონის სამონასტრო მამულების თაობაზე 207.
ვ) კახეთის რკინისგზა
ზ) საქართველოში წყალდიდობით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციისათვის 141-144.
თ) სამეურნეო საზოგადოების პროექტი 258-260.

5. ტფილისის კეთილმოწყობა

ა) ტფილისში ქუჩების მოკირწყვლა 346.
ბ) წყლის გამოყვანა 344.
გ) საყასბოს შენება 345.
დ) კანალიზაციის მშენებლობა 345.
ე) ელექტრონით განათება 138-140.

6. რუსეთის ეკონომიკის შესახებ

ა) რუსეთის შინაური ეკონომიური პოლიტიკა და იმპერატორ ალექსანდრე III-ის დროს მომხდარი ზოგიერთი ცვლილებები 52-57, 60.
ბ) საფაბრიკო და საქარხნო წარმოების აღორძინება რუსეთის იმპერიაში 56.
გ) სოფლის მეურნეთა მდგომარეობა რუსეთში 32-34.

IV. სწავლა-განათლება

1. ქართული სკოლებისა და სასწავლებლების შესახებ

ა) ქართულ სკოლებში რუსულის სწავლების თაობაზე 92-95
ბ) ქართული სკოლების გიმნაზიებად გადაკეთების თაობაზე 153
გ) ოძისის სამეურნეო სკოლის შესახებ 238-244.
დ) სამეურნეო სასწავლებელის დაარსების საჭიროება 49, 182-188, 190-196, 250-252.
ე) სახალხო სკოლების უფლებათა შესახებ 92-94.

ვ) ნ. ზ. ჭავჭავაძის ანდერძი 290-292
ზ) ქართულ სამრევლო სკოლებში ქართული საეკლესიო ენის სწავლების შესახებ 321.

2.განათლების შესახებ

ა) უნიჭო დიპლომიანი ცოდნის შესახებ 338-341, 343-345, 352-356.
ბ) სწავლა-განათლება 266-269.

V. მედიცინა

ა) ტფილისის მკურნალები 352, 355.
ბ) ტფილისის სანიტარ-ვეტერინართა და მკურნალთა ცუდი მუშაობის სავალალო შედეგი 357-365, 366-409.

VI. პრესა

ა) რუსეთის პრესა საქართველოს შესახებ 167-170, 198-200.
ბ) თბილისის რუსული გაზეთები ჩვენ შესახებ 96-98.

VII. სხვადასხვა

ა) რა გითხრათ, რით გაგახაროთ? 492-496.
ბ) სულიერი გაღატაკება და საზოგადოების გულგრი-ლობა 236-237.
დ) ზნეობის შესახებ 135.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1894 წელი

<ქუთაისის ბანკის შესახებ>.....11 / 505
<„კახეთის მევენახეთა საზოგადოების“ დაარსება>.....16 / 505
<„სამთა კავშირი“>.....25 / 506
<საფრანგეთსა და გერმანიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დასაწყისი>.....29 / 506
<სოფლის მეურნეობა რუსეთში>.....32 / 506
<მამულების გამიჯვნის თაობაზედ>.....35 / 507
<მინისტრის მოლოდინში>.....39 / 507
<ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე>.42 / 508
<მიწათმოქმედების სწორად წარმართვისათვის>.....48 / 508
<იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების გამო>.....52 / 509
<ინგლისმა პირი იბრუნა რუსეთისაკენ სამეგობროდ>.....58 / 510
<მართლმსაჯულება ქვეყნისა და ერის სამსახურში>.....62 / 511
<ინგლისის პოლიტიკის ახალი მიმართულება>.....65 / 511
<ინგლისის ფლოტის ბატონობა საზღვაო—სავაჭრო საქმიანობაში>.....70 / 512
<კრედიტი საქართველოს მევენახეთავის>.....77 / 513

1895 წელი

<პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები>.....82 / 513
<სიტყვა ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე>.....90 / 514
ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდგან (სახალხო სკოლების უფლებათა შესახებ) .....92 / 514
<„ნოვოე ვრემიას“ კორესპოდენტი ცილს სწამებს ქართველებს>.....96 / 515
<კრწანისის გმირთა მოსახსენებლად>.....99 / 515

<კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი>.....105 / 516
<ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის
დღევანდელი პოლიტიკა>.....124 / 517
<ოსმალეთის არეულობა და ევროპა>.....128 / 518
<იქნება ომი თუ არა?> .....131 / 518
<ციხეში ჯდომა უფრო ახშობს ზნეობას,
ვიდრე აფხიზლებს>.....135 / 519
<ელექტრონით განათება ტფილისისა>.....138 / 519
<წყალდიდობა საქართველოში>.....141 / 519
<ოსმალეთის სომეხთა განწირვა>.....145 / 519
<სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურის მოძველებული
წესწყობილების შეცვლის საჭიროებაზე>.....148 / 520
<ქართული სკოლების გიმნაზიებად
გადაკეთების თაობაზე>.....153 / 521

1896 წელი

<შინაური მიმოხილვა 1895 წლისა>.....160 / 521
ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ) (რუსეთის გავლენიანი
გაზეთები ამხედრებულან ჩვენს წინააგმდეგ>.....167 / 522
ფ ე ლ ე ტ ო ნ ი ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე.....171 / 522
<გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“
მობოდიშების თაობაზე>.....198 / 523
<სამეურნეო—საკრედიტო საზოგადოების უსაფუძვლო
კრიტიკის თაობაზე>.....201 / 524
<ქართული სამონასტრო მამულები ბერძენი
ბერების სამსახურში>.....207 / 524
<გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო>.....210 / 525
სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ
ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს.....214 / 525
პოლიტიკური მიმოხილვა.....220 / 526

1897 წელი

<არწრუნისეული ქარვასლის ბედი>.....233 / 527
<სულიერი გაღატაკება და საზოგადოების
გულგრილობა>.....236 / 528
<ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე>.....238 / 528
<თავად-აზნაურთა კრებების უფლება-მოვალეობა>.....245 / 528
<სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საჭიროება>.....250 / 529
<კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი>.....253 / 529
ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)
(სამეურნეო საზოგადოების პროექტის თაობაზე).....258 / 530
<ერობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო>.....261 / 530
<სწავლა-განათლება და საზოგადო მოღვაწის მოვალეობა>....266 / 531
<საზოგადო საქმისდმი პასუხისმგებლობის თაობაზე>.....270 / 531
<შინაური საჭირბოროტო საქმეები და
თავად-აზნაურთა უფლება-მოვალეობა>.....275 / 531
პატარა საუბარი (— მართალია, კაცო...) .....281 / 532
თავადი ნ. ზ. ჭავჭავაძე (ნეკროლოგი) .....290 / 532
<კრიტის კუნძულის ნავსადგურების ბლოკადა>.....293 / 533
<მობრძანდა ახალი მთავარმართებელი კავკასიისა>.....296 / 533
<ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო
ქალაქის თვითმართველობა>.....300 / 534
<სად სომხეთი და სად ტფილისის ქალაქი?> .....309 / 531
პატარა საუბარი (ჩვენმა დარბაისელმა...) .....312 / 534
<მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო>.....316 / 535
პატარა საუბარი (უმაღლესად დამტკიცებულია...) .....321 / 535
<ქართველებისა და სომხების განსხვავებული
ხასიათი და ინტერესი>.....323 / 536
<ბ-ნ გ. წერეთლის წერილის გამო>.....330 / 536
პატარა საუბარი (წაიკითხავდით „კავკასში“...).....334 / 537
<სწავლა-ცოდნა, როგორც მხოლოდ
ფულის ხვეჭის საგანი>.....338 / 537
<უსიცოცხლო ცოდნა ხვედრია უნიჭობისა>.....343 / 537
პატარა საუბარი (სიტყვამან შენმან...) .....348 / 538

<ჩვენში დიპლომია ნიშანი მკურნალის ცოდნისა
და არა თვით ცოდნა>.....352 / 538
<ბ-ნ შაუმოვის „სელდების“ და ბ-ნ არუთინოვის
„ტრიხინიან“ ღორების და ლორების საქმე>.....357 / 539
პატარა საუბარი (შაუმოვის „სელდების“...).....366
<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის
გამგეობის მიმდინარე საქმეებზე>.....410 / 540
<საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და
მისი ეკონომიური მიზეზები>.....414 / 540
<ევროპა მაინც ორ დიდ ბანაკად გაყოფილი დარჩა>.....454 / 541
ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის
გზების საკითხი.....458 / 542
<კ. ბლუმერის აზრი ამიერკავკასიაში
გავრცელებული ავაზაკობის გამომწვევ მიზეზებზე>.....470 / 543
<გ ულ ნ ა მ ც ე ც ა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა >.....475 / 543
<ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა>.....481 / 544
პატარა საუბარი (თ. გ. თუმანიშვილის...) .....486 / 544
<ფიქრები ქრისტეს შობის დღესასწაულის წინ>.....487 / 545
პატარა საუბარი (– ეს „ლალი“ რა ხელობის კაცია?...)..490 / 545
რა გითხრათ? რით გაგახაროთ? .....492 / 546
შენიშვნები და კომენტარები.....497
ტექსტისათვის.....499
სახელთა საძიებელი.....547
პირთა საძიებელი.....547
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....558
წიგნთა და პერიოდულ გამოცემათა საძიებელი.....564
ნაწარმოებთა და პერსონაჟთა საძიებელი.....567
თემატური საძიებელი.....568

ИЛЪЯ ГРИГОРЪЕВИЧ ЧАВЧАВАДЗЕ

ПОЛНОЕ СОБРАНИЕ СОЧЕНЕНИЙ

В 20-ти ТОМАХ

ТОМ XIII

(На Грузинском языке)

ТБИЛИСИ

“ИЛИАС ФОНДИ”

2007

კორექტორი: ელენე ბედუკაძე
ტექსტი ააწყო: ნათელა ბერიშვილმა
დააკაბადონა: ნიკოლოზ ბერიშვილმა

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო